ვურმბრანდი

„ქრისტესთვის წამებული“
სრული ისტორია

„წამებულთა ხმა“

ვურმბრანდი

„ქრისტესთვის წამებული“
სრული ისტორია

რას ამბობს ხალხი
ვურმბრანდის
ისტორიის შესახებ?

1967 წელს, როცა კისერი მოვიტეხე და სავარძელს მივეჯაჭვე, წარმოდგენა არ მქონდა, რომ მალე წავიკითხავდი ახალგამოცემულ ქრისტიანულ წიგნს, რომელიც ჩემს წარმოდგენას ქრისტესთვის წამებულების შესახებ სრულიად შეცვლიდა. წიგნს *„ქრისტესთვის წამებული“* ერქვა და კოლეჯის მეგობრები დაჟინებით მთხოვდნენ მის წაკითხვას. მათი თქმით ეს წიგნი დამეხმარებოდა საკუთარი განსაცდელის უკეთესად გააზრებაში და ქრისტესადმი მინდობაში ტანჯვისა და დანაკარგის დროსაც კი.

ყვინთვისას მომხდარ უბედურ შემთხვევამდე, რამაც ჩემი პარალიზება გამოიწვია, ვფიქრობდი, რომ ღმერთს სურდა მის შვილებს ბედნიერად, განსაცდელის გარეშე, ჯანსაღად და მშვიდად ეცხოვრათ. „ქრისტესთვის წამებულის“ კითხვისას მივხვდი, რომ ღმერთის მიერ ჩვენი გამოსყიდვის მიზანი არის არა უდარდელი ცხოვრების მოცემა, არამედ ის, რომ უფრო და უფრო მეტად დაგვამსგავსოს ქრისტეს. დანაკარგი, მწუხარება, ტკივილი და ტანჯვა ღვთის ნების იარაღია ამ მიზნის მისაღწევად.

ახლა, როცა უკვე ორმოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ეტლს მივეჯაჭვე - ზუსტად იმდენი წელი, რამდენიც „ქრისტესთვის წამებული“ გამოიყენება უფლის საქმისათვის - დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ქრისტიანის ცხოვრებაში სიღრმისეული ტანჯვა არის ის, რაც ყველაზე დიდ ძალას გვაძლევს სახარებისეული წარმატებისთვის. სწორედ ამიტომ, მადლობას ვუხდი ღმერთს ასეთი შესანიშნავი წიგნისა და მარადიული უწყებისთვის.

ჯონ ერექსონ ტადა,
„ჯონი და მეგობრების“ დამფუძნებელი

ვადიდებ უფალს იმ მუდმივი მადლისა და წყალობისთვის, რომელიც გამოვლინდა რიჩარდ და საბინა ვურმბრანდების ცხოვრებაში. მათი გზავნილი ძალიან შეეხო ჩემს გულს. ორგანიზაცია „ოპერატიული მობილიზაციის“ (Operation Mobilisation) დაარსების პირველ წლებში, რიჩარდის მრავალი წიგნი გავავრცელეთ და ვლოცულობდით, რომ ეს წიგნები ღმერთს გამოეყენებინა, განსაკუთრებით საბინას წიგნი *„ხუცესის მეუღლე“*, რომლის ათასობით ეგზემპლარი გავავრცელეთ მთელ მსოფლიოში.

ყველა საქმისთვის, რომლისთვისაც იგი ღმერთმა გამოიყენა, რიჩარდი თავმდაბლურად და თვინიერად აგრძელებდა სიარულს. ის ყოველთვის მზად იყო იესოს ფეხებთან დაჩოქილიყო ახალი გაკვეთილების სასწავლად. მისი დამოწმება პირდაპირ ეხება იმ მიძინებული ქრისტიანების გულებს, რომელთაც წარმოდგენა არა აქვთ სხვა ტანჯული ქრისტიანების შესახებ. დღემდე მისი დამოწმება და მემკვიდრეობა „წამებულთა ხმაში“, ჯერ კიდევ აგრძელებს ქრისტიანებისთვის თვალის ახელას და დევნილი ოჯახის წევრების არსებობას ახსენებს მათ. დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთმა რიჩარდს მისცა ხედვა ქვეყნიერების შორეულ კუთხეში მისაღწევად, რაც არ შეცვლილა ორმოცდაათი წლის განმავლობაში.

ჯორჯ ვერვერი, ორგანიზაცია „ოპერატიული მობილიზაციის“ დამფუძნებელი

ჩვენი ძვირფასი ძმის, რიჩარდის, მაგალითი გულზე მომხვდა. რიჩარდის მეშვეობით, ორგანიზაციამ „ახალგაზრდობა მისიით“ (YWAM) რკინის ფარდის მიღმა ბიბლიების არალეგალურად გავრცელება დაიწყო. დიდი პატივი იყო წამებულთა ხმასთან თანამშრომლობა სასუფევლის მშენებლობის დროს და სურვილი გვაქვს, რომ კიდევ დიდხანს დარჩეს ჩვენს გულებში ეს მსახურება, რადგან ერთობა, რომელსაც ვხედავთ, მშვენიერი სიყვარულია, რომელიც ღმერთმა საკუთარ ოჯახის წევრებში გაავრცელა. ჩვენი ორგანიზაციის „ახალგაზრდობა მისიით“ მიზანია უფლის

სიტყვის დაცვა და გაფრთხილება, რითაც შთაგვაგონებენ ისეთი ხელმძღვანელები, როგორებიც რიჩარდი და საბინა არიან.

ლორენ კანინგემი, „ახალგაზრდობა მისიით“
ორგანიზაციის დამაარსებელი (YWAM)

ხუცესის თორმეტი წლის ქალიშვილი ვიყავი, როცა „ქრისტესთვის წამებული“ წავიკითხე და გული სიბრალულით ამევსო. მახსოვს ვფიქრობდი, ვურმბრანდის მსგავსი გამბედაობა თუ მექნებოდა სახარებისთვის ტანჯვის ასატანად, თუმცა მე მაქვს საკუთარი ტყვეობის ისტორია, რომელიც არასოდეს გამიზიარებია ისე, როგორც ეს ვურმბრანდებმა გააკეთეს ციხეში წამებისას, მთელი ამქვეყნიური ქონებისგან გაძარცვულებმა. მრავალი წლის შემდეგ მახსენებენ, რომ ჩვენი სულების მიმართ სიბრალული არ არსებობს მტრის გულში. ახლა, ისევე როგორც მაშინ, მტერი ამაყად დადის, როგორც მბრდღვინავი ლომი და ეძებს ვინ ჩაყლაპოს, მაგრამ მან ვერ გაიმარჯვა ამ ისტორიებში. გაბედულმა გამოსყიდულებმა, რომლებმაც შეიძულეს ქვეყნიერება, ზეცაში შეუერთდნენ საოცარ საგალობელს: „მას, ვინც ისე შეგვიყვარა, რომ გაგვწმინდა ჩვენი ცოდვებისაგან, მას დიდება და მეფობა საუკუნეთა მიმართ. ამინ.“ დაე, ღმერთმა ამ წიგნის კითხვისას გვაპოვნინოს ძალა, რათა ისე გმირულად ვიცხოვროთ, როგორც რიჩარდმა და საბინამ იცხოვრეს, სანამ მათ შევუერთდებით „დიდებულ საგალობელში“.

გრასია ბარნჰემი, ახალი ტომების მისია,
ავტორი *ჩემი მტრების თანდასწრებაში*

იმის მიუხედავად, რომ რიჩარდი და საბინა ასზე მეტი წლის წინათ დაიბადნენ, მათი უკვდავი ისტორია თანამედროვეებისთვისაც შესაფერისია, რაც კიდევ უფრო ცხადდება ყოველი ფურცლის წაკითხვის შემდეგ. დიახ, ისინი იყვნენ სახარებისეული გმირები ცივი ომის პერიოდში, მაშინ, როცა დასავლეთი კომუნიზმის გავრცელებას ებრძოდა. ისინიც ჩვენი დროის გმირები არიან, რადგან თავიანთი ცხოვრებით

ასხივებდნენ სიყვარულსა და ქრისტესადმი თავგანწირვას, რაც არ შემცირებულა ზეწოლის, დევნისა და ტკივილის მიუხედავად.

პირველად შევიდა რიჩარდისა და საბინას ისტორიები ერთ წიგნში, რომელიც მოგვითხრობს ზემოთხსენებული გმირების ცხოვრებაზე. მათი ისტორიები თითოეული ჩვენგანისთვის გამოწვევაა. ჩვენც ანალოგიურად უნდა მოვიქცეთ, რათა იესოს რწმენით თავაწეულებმა ვიაროთ.

თოდ ნეტლტონი, VOM რადიოს“ წამყვანი (VOMRadio.net)

ჩემს ორგანიზაციაში სახელად „საზღვრებს მიღმა“, დევნილ ქრისტიანებთან თანამშრომლობისას, მათთვის სამსახურის გაწევისა და მათთან ერთად მსახურებაში, სამყაროში ყველაზე რთული და საშიში მისიის შესრულებისას, ორმოცდაათზე მეტ ქვეყანაში პრაქტიკულად განვიცადე რიჩარდ და საბინა ვურმბრანდების დამოწმების ძალა. კანონიკური წერილის მიღმა ცოტა ისტორიას თუ უმოქმედია ამდენ ადამიანზე. იგულისხმება ის, რომ ვურმბრანდების ისტორიამ დასავლელი ქრისტიანები ქრისტესათვის მიცემული პირობის შესრულებისას განამტკიცა და საშუალება მისცა მათ ეკლესიისა და ღვთის დიადი დავალება შეესრულებინათ. მარტივია ამ ამბავს ისე შევხედოთ, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ქრისტიანულ ბიოგრაფიას მთელ ისტორიაში. ვურმბრანდების ამბავი უფრო მეტია, ვიდრე ისტორიული ჩანაწერები ორ ქრისტიანზე, რომელთაც რუმინეთის კომუნისტური მთავრობა ულმობლად მოექცა. ეს ისტორია დამოწმებაა ღვთისადმი ერთგულებისა და მისი მორწმუნეების სამაგალითო მსახურებისა ციხეში, წამებასა და სიკვდილში. ღმერთმა ეს ამბავი მილიონობით ადამიანის გარდასაქმნელად გამოიყენა მსოფლიოს გარშემო. ყველა ქრისტიანმა უნდა წაიკითხოს ეს წიგნი».

კოლ რიჩარდსი, პრეზიდენტი, წამებულთა ხმა

Originally published in English under the title
WURMBRAND. Tortured for Christ: The Complete Story
by Voice of the Martyrs
Copyright © 2018 The Voice of the Martyrs, Inc.

© 2025 The Voice of the Martyrs, Inc. for Georgian edition.
Translated by permission. All rights reserved.

მთარგმნელი: ლალი ჰანმერ
რედაქტორი: ნათია კოტორაშვილი
კორექტორი: ელენე მადათოვი

კოლ რიჩარდსი, პრეზიდენტი, წამებულთა ხმა
ვურმბრანდი
„ქრისტესათვის წამებული“
სრული ისტორია
„წამებულთა ხმა“

ვურმბრანდი
გამოიცა დევიდ სი კუკის მიერ 4050 Lee Vance Drive
Colorado Springs, CO 80918 U.S.A.
დევიდ სი კუკი U.K., Kingsway Communications Eastbourne. East Sussex BN23 6NT, England
გრაფიკული წრე “C” ლოგოა, სავაჭრო ნიშანი, დევიდ სი კუკისა. ყველა უფლება დაცულია. გარდა მოკლე ამონარიდისა, მიმოხილვის მიზნით გამოსაყენებლად, ამ წიგნის არცერთი ნაწილის ხელახლა დაბეჭდვა ან გამოყენება, ნებისმიერი ფორმით, გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე დაუშვებელია.
გარდა სხვა აღნიშნული შემთხვევისა, ყველა ციტატა მოყვანილია წმინდა წერილიდან ESV ® ბიბლიიდან (The Holy Bible, English Standart Version ®), საგამომცემლო უფლება © 2001 Crossway-ის მიერ, საგამომცემლო მსახურების მიერ „Good News Publishers“. გამოყენებულია ნებართვის თანახმად. ყველა უფლება დაცულია. წმინდა წერილიდან ციტატები მოყვანილია NKJV- დან (New King James Version ®). საავტორო უფლება © 1982 ტომას ნელსონის მიერ.
გამოყენებულია ნებართვით. ყველა უფლება დაცულია.
LCCN 2017952211
ISBN 987-1-4347-1117-2
eISBN 978-1-4347-1233-2
© 2018 The Voice of the Martyrs, Inc.
დევიდ კუკის გუნდი: ები დებენედიტისი, ეით ვოლი, ნიკ ლი, რეიჩელ სტივენსონი, ჯენიფერ ლონასი, კაილა ფენსტერმეიკერი, სუზან მურდოკი.
წამებულთა ხმის გუნდი: მერი ნაითი, კოლ რიჩარდსი, შერილ ოდენი, თოდ ნეტლტონი, ოლივ სუანი
გარეკანის დიზაინი: ეიმი კონინდიკი
გარეკანის ფოტო: წამებულთა ხმა. მთავარი მწერალი და მკვლევარი რებეკა პ. ჯორჯი

შენიშვნა მკითხველთათვის

თანამედროვე ეპოქაში მკითხველები და ფილმის მაყურებლები მიჩვეულნი არიან ნამდვილ ამბებზე დაფუძნებულ გამოგონილ ისტორიებს, რაც ხშირად საგონებელში აგდებს ადამიანებს იმის გარკვევაში, თუ რა იყო გამოგონილი და რა ნამდვილი. წინამდებარე ნაშრომი ზუსტ ფაქტებს ეყრდნობა და ერთგული რჩება რეალური დოკუმენტების, ნაწერებისა და ისტორიული ჩანაწერების.

მკითხველს შეუძლია დარწმუნებული იყოს წიგნის ისტორიულობაში, უტყუარობაში და ვურმბრანდის მემკვიდრეობის ერთგული დარჩეს. არცერთი დიალოგი ჩვენი გამოგონილი არ არის. როცა დიალოგი ციტატითაა მოყვანილი, გამოყენებულია რიჩარდისა და საბინას საკუთარი სიტყვები, ოღონდ გავათანამედროვეთ სადაც საჭიროდ მივიჩნიეთ.

პროლოგი

29 თებერვალი, 1948 წელი
ბუქარესტი, რუმინეთი

შავი მანქანა მიქროდა ბუქარესტის თოვლიან ქუჩებში, საბურავების ხმაური კვირა დილის სიმშვიდეს არღვევდა. რიჩარდ ვურმბრანდმა იცოდა, რომ მთავრობის მიერ გატაცებების შეკვეთა ჩვეულებრივი მოვლენა იყო კომუნისტურ ქალაქში. ის აქამდეც დაუპატიმრებიათ და მრავალი დანარჩენის მსგავსად, ანალოგიური შემთხვევის გამეორების გამუდმებული შიშით ცხოვრობდა, თუმცა იმ დილით მსხვერპლის როლში ყოფნას არ მოელოდა, განსაკუთრებით ეკლესიისაკენ მიმავალ გზაზე. გონებაში ქადაგების საკვანძო საკითხებზე ფიქრობდა, როცა მოსახვევში გასწრებულმა მანქანამ ფიქრი გააწყვეტინა. ფურგონიდან შავ შარვალ-კოსტიუმში გამოწყობილი ორი კაცი გადმოხტა. მათმა ცივმა და შემზარავმა გამოხედვამ ოცდაცხრამეტი წლის ხუცესი შოკისგან გააქვავა. კოშკის სიმაღლისხელა, ექვსი ფუტისა და სამი ინჩის სიმაღლის, რიჩარდმა ვერ შეძლო მათთან გამკლავება. აღნაგობა ხელს უშლიდა თავდამსხმელების მოგერიებაში. ისინი გამეტებით ურტყამდნენ. ერთმა მათგანმა მკლავში ჩაავლო ხელი, მეორემ მიწაზე დაანარცხა და თირკმელებზე მოაჯდა. დახმარების სათხოვნელად ყვირილს აზრი არ ჰქონდა, რადგან რიჩარდი მიწაზე ფართხალებდა და ყინვისაგან სუნთქვაც კი უჭირდა. კაცებმა ძალდატანებით ჩააგდეს კატაფალკის ფორმის ფორდის უკანა სავარძელზე. რიჩარდს თავში ჭკვიანური აზრი მოუვიდა. ორი დღის წინ იესო ნავეს ძის წიგნს კითხულობდა და შენიშნა,

რომ განუწყვეტლივ მეორდებოდა ერთი და იგივე სიტყვა „ნუ გეშინია.“ რიჩარდს უკვირდა რატომ მეორდებოდა ეს ბრძანება ამდენჯერ წმინდა წერილში? რამდენჯერ გამეორდა ეს სიტყვა? ყველა ასეთი ადგილი დაითვალა და აღმოაჩინა, რომ 366-ჯერ გამეორდა იგი ბიბლიაში. რიჩარდმა გაიაზრა, რომ წელიწადის ყოველ დღეს, ნაკიანი წლის ჩათვლით, ქრისტიანებს არაფრის უნდა შეშინებოდათ. ღვთის დაპირება ვრცელდებოდა 29 თებერვალზეც, დღეზე, როდესაც რიჩარდი გაიტაცეს.

მძღოლმა კარის დახურვამდე დაძრა მანქანა, მაგრამ რიჩარდმა გაიღიმა. მან და მისმა მეუღლემ, საბინამ, იცოდნენ ამ დღის მოახლოებაზე. იცოდნენ ქრისტიანობისთვის თავდადების მაღალი საზღაურის გადახდის შესახებ და ამ საზღაურს ყოველ წელს იმკიდნენ. ახლაც, გატაცებისას, რიჩარდს ღვთის სიტყვამ შეახსენა, რომ არ შეშინებოდა.

მესამე კაცი, რომელსაც მგზავრის ადგილი დაეკავებინა მანქანაში, რიჩარდს პისტოლეტს უმიზნებდა, სხვები კი ხელ-ფეხზე ბორკილებს ადებდნენ. რიჩარდს კიდევ უფრო მეტად გაეცინა და მისმა გამტაცებლებმა ერთმანეთს შეწუხებული სახეებით გადახედეს. მათი პატიმარი დაკავებული იყო და მიუხედავად ამისა, მაინც იცინოდა. ხომ არ გაგიჟდა? მათ სჭირდებოდათ ინფორმაციის მიღება, რისთვისაც გიჟი ადამიანი ნაკლებად გამოადგებოდათ.

„რატომ იღიმით?“ იკითხა ერთმა კაცმა.

„რადგან დაწერილია 366-ჯერ“ უპასუხა რიჩარდმა.

ახლა კი დარწმუნდნენ, რომ ის ნამდვილად გაგიჟდა.

„ბატონო, რა წერია 366-ჯერ?“

„რაც ახლა მჭირდება.“

კაცმა გაღიზიანებულმა ამოისუნთქა. „რა გჭირდებათ?“

„კაცი არ ცხოვრობს მხოლოდ პურით,“ უპასუხა რიჩარდმა. „ის ღვთის სიტყვით ცოცხლობს და მე ღვთისაგან მომეცა სიტყვა, რომ არ მეშინოდეს.“

რიჩარდი საიდუმლო პოლიციამ მაინც დააკავა, მაგრამ იცოდა, რომ ყოვლისშემძლე ღვთის ხელში იყო, რაც მის გულს სიმშვიდეს

ჰგვრიდა. როგორც კი მანქანა ქუჩაში გაუჩინარდა, რიჩარდმა თვალები დახუჭა. ღმერთმა მოამზადა ის იმისთვის, რაც მოელოდა და ილოცა, რომ ღვთისადმი ერთგული დარჩენილიყო ამ განსაცდელში.

1

ქლიავის არყის მეორე ჭიქის დალევის შემდეგ, რიჩარდმა გონებამახვილობა დაკარგა. გრძელი სამუშაო დღე საკუთარ საბროკერო ფირმაში, ბუქარესტში, რუმინეთში, დასრულდა და ახლა შეეძლო ყურადღება უფრო სასიამოვნო რამეზე გადაეტანა, მაგალითად კაბარეს წითელკაბიან მოცეკვავეზე. როგორც ჩანს, მანაც იცნო რიჩარდი და სცენიდან მთელი საღამო თვალს უკრავდა. მოცეკვავემ გამოსვლა დაასრულა და მისკენ სეირნობით მიმავალს, რიჩარდმა გაუღიმა. რიჩარდის გარეგნობამ და კარგმა აღნაგობამ მრავალი ქალის ყურადღება მიიპყრო. მისი ყინულივით ცივი, ლურჯი თვალები ძალიან უხდებოდა იმ კოსტიუმს, რომელიც, როგორც იქნა, შეიძინა.

რიჩარდმა იცოდა რა უნდოდა ქალს. ყველა ქალს ერთი და იგივე სურდა: გაქცევა. მასაც გაქცევა უნდოდა. ადრეული 1930-იანი წლები მისთვის კარგი გამოდგა. 1934 წელს, ოცდახუთი წლის ასაკში, რიჩარდს ფინანსებზე საზრუნავი აღარ ჰქონდა, თუმცა ყოველ ჯერზე მის დაწინაურებას უფრო მეტი ხორციელი სურვილების სითამამე მოჰყვებოდა. მან სამართლიანადაც მიიღო „ქარაფშუტას“ რეპუტაცია, მაგრამ სიმდიდრის დაგროვებამ და ქალების სიუხვემ უპირობოდ განიცადა მარცხი მისი მწარე ბავშვობის მოგონებების დავიწყებაში. შვებას ჰპირდებოდა თრობა. ცეცხლოვანი ბრენდის ყოველი ყლუპის შემდეგ, რიჩარდის მტკივნეული წარსული ბუნდოვანებაში გადაიზრდებოდა და უცნაურად ასატანი ხდებოდა.

უკეთესი ცხოვრების ძიებაში, მამამისმა, კბილის ექიმმა, ოჯახი ბუქარესტიდან სტამბულში, თურქეთში, გადაიყვანა პირველი

მსოფლიო ომის დროს. ახალმოსახლეობა პირველ ხანებში წარმატებული ჩანდა, მაგრამ მალე ყველაფერი შეიცვალა. ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მისი ბავშვობა ასეთ ადრეულ ასაკში დასრულდებოდა სხვა მრავალი ბავშვის მსგავსად. მისი განადგურება განაპირობა გლობალური გრიპის პანდემიამ 1918-1919 წლებში. რიჩარდი მხოლოდ ცხრა წლისა იყო, როდესაც მამამისმა სუნთქვა შეწყვიტა.

ზოგიერთი მოგონება უფრო ადვილი დასავიწყებელი იყო რიჩარდისთვის, ვიდრე დანარჩენები. მეუღლის დაკარგვიდან ერთი წლის შემდეგ, რიჩარდის დამწუხრებული დედა ოთხი შვილით, უკან დაბრუნდა ბუქარესტში. პირველმა მსოფლიო ომმა წაართვა მათ ოჯახს საკვები და სამოსი. რიჩარდის გარდერობი გაცვეთილი და ნაჩუქარი სამოსით შემოიფარგლებოდა, რაც კიდევ უფრო მეტად აგრძნობინებდა რუმინეთის სუსხიან ზამთარს.

ერთხელ, რიჩარდს კაცმა ახალი კოსტიუმის შეძენა შესთავაზა. ეს კაცი მამაკაცების ტანსაცმლის მაღაზიაში ყოფნისას მიუახლოვდა. მკერავმა მყიდველს ძვირადღირებული სამოსიდან მრავალფეროვანი არჩევანი შესთავაზა; საუკეთესო, რაც კი მაღაზიაში მოიძებნებოდა. როგორც კი კაცმა ნაჭერი ახალგაზრდის სხეულთან მიიტანა და მყიდველს შეხედა, წარბები გაკვირვებისგან აზიდა. რიჩარდს არასოდეს დაავიწყდება მისი სიტყვები: „ძალიან კარგია ასეთი ახალგაზრდისთვის.“

ახლა, წარმატებული ბროკერი, რიჩარდი, ქვეყნიერების სიამოვნებისგან ნადგურდებოდა. როცა ის ოფისში არ იყო, ხმაურიან ადგილებში ატარებდა დროს ნახევრად შიშველი ქალების გარემოცვაში, ხმამაღალ მუსიკასა და ალკოჰოლთან ერთად, თუმცა ყურადღების ასეთი გადატანა ვერასოდეს ავსებდა მის შინაგან სიცარიელეს. როცა კაბარეტი ყოველ ღამით კარს კეტავდა, რიჩარდს მაშინაც კი სხვა რაღაცის სურვილი კლავდა, რაღაც რეალურის.

იმ საღამოს, როცა მან სცენაზე მოკაშკაშე სინათლეს თვალი ჩაუკრა, წარსულში ღმერთთან დაკავშირებულ პრობლემებზე

გაიფიქრა. ვურმბრანდები ებრაელები იყვნენ, მაგრამ მათი რწმენა იშვიათად ზემოქმედებდა მათსავე ყოველდღიურობაზე. მისი ოჯახი სინაგოგას თავს არიდებდა და შაბათს არ იცავდა. რიჩარდის ბავშვობიდან ყმაწვილკაცობაში შესვლაც ებრაელებისათვის დამახასიათებელი ნიშნის გარეშე მოხდა, a bar mitzvah (ებრაელი ბიჭი, რომელსაც 13 წელი შეუსრულდება, მცნების დაცვისა და პასუხისმგებლობის აღების ცერემონიას გადის). თინეიჯერობის ასაკში უჭირდა რელიგიასთან შერიგება ირგვლივ არსებული ტანჯვის გამო და მოგვიანებით, პასუხების ძიებაში, ერთხელ სინაგოგაში აღმოჩნდა მსახურებაზე. სინაგოგაში კაცი თავისი ავადმყოფი გოგონასათვის ლოცულობდა და ღმერთს მის გამოჯანმრთელებას სთხოვდა. მომდევნო დღეს გოგონა მოკვდა.

„როგორი უნდა ყოფილიყო ის ღმერთი, ასეთ სასოწარკვეთილ ლოცვაზე რომ უარს იტყოდა?“ ჰკითხა რიჩარდმა რაბინს, რომელსაც პასუხი არ ჰქონდა მის კითხვაზე. ქვეყნიერებაზე ამდენი ადამიანის შიმშილობის ფონზე, რიჩარდს არ სჯეროდა მდუმარე ღმერთის, რომ აღარაფერი ვთქვათ მისადმი თაყვანისცემასა და მსახურებაზე.

თავაზიანმა შეხებამ რიჩარდი ფიქრებისგან გამოაფხიზლა. წითელკაბიანმა მოცეკვავემ კოსტიუმის ნაკეცებს ხელი გადაუსვა. აშკარა იყო, რომ მის ხარისხს აღმერთებდა. ქალს თვალები აუკიაფდა და მის ვარდისფერ ტუჩებს მაცდუნებელი ღიმილი მოსწყდა. რიჩარდმა ქალს ღიმილითვე უპასუხა და სასმლის ბოლო ყლუპი გადაჰკრა. ამაღამ ქალი მამაკაცს მისთვის სასურველ ყველა იმ სიამოვნებას ჰპირდებოდა, რომელიც ამ უკანასკნელს ასე სწყუროდა. რიჩარდი ადგა, მოცეკვავეს მკლავში ხელი ჩაავლო და კაბარედან პატარა პარიზის ცივ ღამეში გაიყვანა.

2

1930-იანების დასაწყისი.

საბინა ოსტერმა თავი ოდნავ გადახარა პარიზის თბილი მზისკენ, მზის სხივები მის დელიკატურ სხეულს უფრო მკვეთრად წარმოაჩენდა და სქელ, შავ თმას უთბობდა. საბინას ბოლო გაკვეთილი, როგორც იქნა, დასრულდა და ბედმა გაუღიმა, რომ კაფეში დასაჯდომი ადგილი იპოვა. საბინამ ახლადაღმოჩენილ დამოუკიდებლობაში ჩაძირვა დაიწყო.

ის არ იყო ერთადერთი ქალი, ვინც თავისუფლება იპოვა ქიმიის, ფიზიკისა და მათემატიკის სწავლისას ცნობილ სორბონის უნივერსიტეტში. ორმოცი წლის წინ, ქალი სახელად მარი სკლოდოვსკაც ამ უნივერსიტეტში სწავლობდა, ვიდრე პიერ კიურის შეხვდებოდა, ცოლად გაჰყვებოდა და საბოლოოდ სკოლის ელიტარულ ფაკულტეტს შეუერთდებოდა. შეიძლება საბინას მარი კიურის ნობელის პრიზი მიეღო თავის საქმიანობაში. ამ დიდებულმა დარბაზებმა ხომ უთვალავი წარმატებული მოსწავლე გაუზარდა მსოფლიოს. აქ ელოდებოდა ჩვიდმეტი წლის გოგონა სტიპენდიასა და კურსელებისგან კეთილგანწყობის მოპოვებას.

საბინას ბავშვობა რუმინეთის უნივერსიტეტში, ქალაქ გზერნოვიტზში, თავმდაბლური, მაგრამ ბედნიერი და სიცოცხლით სავსე იყო. უფროსი ძმებისა და მდიდარი ებრაული კულტურის გარემოცვაში, მას იშვიათად აკლდა ცხოვრების საჭიროებები. მშობლები ზრდიდნენ ორთოდოქსული, მკაცრი ებრაული კანონებით, რომლის ფონზეც გოგონა იტანჯებოდა, მეტის მოთმენა აღარ შეეძლო, კისერზე შემოხვეული ზღარბივით უშლიდა სუნთქვას.

თავი 2

საბინა ცხოვრებაში პირველად იყო მარტო, იძულების გარეშე და თავისუფალი. გოგონა სკამის საზურგეს მიეყრდნო და იმ საღამოს მოსალოდნელ დიდ შეხვედრაზე დაიწყო ფიქრი.

*****

საბინამ პატარა ფეხები შავ, მაღალქუსლიან ფეხსაცმელებში ჩაყო. კედლის საათი წამებს ითვლიდა, ვიდრე ზარი შემოჰკრავდა და საბინას ცხოვრებაში პირველად წაიყვანდა სატრფო პაემანზე.

გოგონას გაეცინა იმაზე ფიქრში, თუ რას იტყოდნენ უფროსი ძმები აქ რომ ყოფილიყვნენ და მისი მოხდენილი კავალერი დაენახათ კართან. სად წაიყვანდა ახალგაზრდა ჯენტლმენი მას? რაზე ისაუბრებდნენ? სუნთქვა შეეკრა, აქამდე არც კი უფიქრია იმ საგანგაშო საკითხზე, რაც ახლა გაახსენდა. რა მოხდებოდა ყმაწვილი რომ ხელით შეხებოდა? სიცხემ მკერდიდან კისრამდე დაუარა ქალიშვილს და ლოყებზე გადაუვიდა. საბინას კავალერი დათქმულ დროს მობრძანდა ისე, როგორც ნამდვილ ჯენტლმენს შეეფერებოდა. საბინა ოთახის მეგობარს გადაეხვია და გარეთ გამოვიდა სატრფოს შესაგებებლად. პირველად იყო მის ცხოვრებაში, რომ მშობლების მკაცრ კანონებს არ ემორჩილებოდა.

სადილის შემდეგ, ვაჟი ხმაურიანი რესტორნიდან მდინარის ქვით მოკირწყლული ქუჩისკენ წაუძღვა საბინას მთვარის შუქზე. სადილი გემრიელი იყო. საბინას უკვირდა, თუ როგორ მარტივად წარიმართა მათი საუბარი. საღამომ იმაზე უკეთ ჩაიარა, ვიდრე მოელოდა. გოგონას შეყვარებული ხელით შეეხო და მისი თითები ვაჟის ხელის თითებს შუა აღმოჩნდა. მისეირნობდნენ პარიზის ქუჩებში, გაიარეს ჯარდი დე ლუქსემბურგი და ახალაშენებული ხელოვნებისა და არქეოლოგიის მუზეუმი, მესოპოტამიური სტილის უზარმაზარი შენობა, სადაც ხელოვნების, ისტორიისა და არქეოლოგიის სტუდენტები ესწრებოდნენ ლექციებს. წყვილმა გეზი აიღო ახლადგახსნილი საერთაშორისო სტუდენტთა საცხოვრებლისაკენ, სადაც საბინა ცხოვრობდა.

საოცარია, როგორ გამოცოცხლდა საუნივერსიტეტო ქალაქის ცხოვრება მრავალრიცხოვანი სტუდენტებით, რომელთა რაოდენობა სამჯერ გაიზარდა პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ.

საღამო დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც საბინა ყმაწვილისკენ შებრუნდა მადლობის სათქმელად, მაგრამ როგორც კი მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა, გოგონამ მოულოდნელობისგან თავი უკან გადაწია, ბიჭი კი საკოცნელად გადმოიხარა. საბინა ბარბაცით მიეყრდნო ქვის კედელს და პროტესტის ნიშნად ხელები აწია. მშობლები ამის ნებას ხომ არასოდეს დართავდნენ. ენის ბორძიკით დაიწყო ბავშვობის დროინდელი აღზრდისა და მორალური ზღვრის შესახებ ახსნა.

ვაჟმა გაიცინა. „თუ ღმერთი გწამს?“ ნუთუ არ იტყვი, რომ იგივე ღმერთმა შექმნა ხელები და ტუჩები?“

საბინა გაწითლდა და ვერაფერი უპასუხა.

„თუ შეიძლება, რომ ხელიხელჩაკიდებულებმა ვიაროთ“ გააგრძელა ახალგაზრდამ, „რატომ არის არასწორი ტუჩებზე შეხება?“

ყმაწვილი გოგონას უფრო მიუახლოვდა, ხელი ვიწრო წელზე მოხვია და სხეულით თავისკენ მიიკრა. საბინას პასუხის გაცემა უჭირდა.

„რა მოხდება ხელი რომ მოგხვიო?“ დაიჟინა ბიჭმა.

საბინა ყმაწვილის სხეულს თავისი სხეულიდან რამდენიმე სანტიმეტრში გრძნობდა.

მას შეიძლება ბიჭისთვის შესაფერისი პასუხი გაეცა საკლასო ოთახში, მაგრამ ახლა მისი გონება ბურუსს მოეცვა და ყმაწვილისადმი მიზიდულობა დუღდა მასში. სათანადო პასუხი ვერ მოძებნა. ვინ იყო მისი განმსჯელი? ცამეტი ათასი მილით იყვნენ მშობლები მისგან დაშორებულნი; შეიძლება სწორედ ეს იყო თავისუფლების შეგრძნება.

საბინამ წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო ბიჭის სასარგებლოდ. გოგონას თვალები გაუფართოვდა, როცა ბიჭმა ნიკაპში ხელი მოკიდა და მათი ტუჩები ერთმანეთს შეეხო.

თავი 2

*****

კვირები და თვეები ერთმანეთს მისდევდა, საბინას სიამოვნებდა პარიზის უზრუნველი ცხოვრების სტილი. წარსულს ჩაბარდა მორალი, სიწმინდე და მშობლების განსჯის შიში. ახლა შორს იმყოფებოდა რუმინული მორალური ძალდატანებისა და შეზღუდვისგან. საბინამ სიხარულით აზიდა საკუთარი ძველითავდაჯერებულობაპარიზისსიამოვნებისსამსხვერპლოზე. მისი სხეული მასვე ეკუთვნოდა, ამიტომ თავისუფლად მიუძღვნა შეყვარებულს.

სულ რომ არაფერი, იმართლებდა თავს საბინა, ათეისტი თავისუფალია, მას შეუძლია გააკეთოს ის, რაც სურს.

3

ორ წლიანი დაუდევარი ცხოვრების შემდეგ, საბინა პარიზიდან ბუქარესტში დაბრუნდა. არდადეგები ოჯახთან და სხვა ნათესავებთან ერთად გაატარა, მაგრამ არაფერი უხსენებია ახალი სტილის პარიზული ცხოვრების შესახებ.

ერთ დღეს ბიძამისმა, ვისთან ყოფნაც ძალიან ახარებდა, მანქანით წაიყვანა მეგობართან სტუმრად. როცა მანქანა სახლს მიუახლოვდა, საბინამ აივანზე ახალგაზრდა კაცი შენიშნა. კარგად დააკვირდა და შეამჩნია, რომ ყმაწვილი გაღიზიანებული ჩანდა და მისკენ გაბრაზებული იმზირებოდა. ისე ცხადად შეიგრძნო ყმაწვილის სიბრაზე, რომ ფიქრობდა ღირდა თუ არა მანქანიდან გადმოსვლა?

როდესაც მასპინძელმა ყურადღება საბინას ბიძისაკენ გადაიტანა, დაძაბულობა მოეხსნა და სტუმრებს ხელი დაუქნია, მყისვე დაბლა ჩამოვიდა და შემოსასვლელ კარში შეეგება. ბიძამ თავისი დისშვილი რიჩარდ ვურმბრანდს წარუდგინა. ყმაწვილი ისეთივე მოხდენილი გახლდათ, როგორც ყველა, ვისაც კი საბინა პარიზში იცნობდა. გოგონა აღფრთოვანდა მისი სიმაღლითა და სახის გამომეტყველებით; ემოციების მოზღვავება იგრძნო.

რიჩარდი სტუმრებს მისაღებ ოთახში წაუძღვა და თავაზიანად შესთავაზა, რომ დამსხდარიყვნენ. ცოტა არ იყოს შერცხვა, რომ ლამაზ სტუმარზე უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებდა და თქვა, „დედაჩემი ჩამაცივდა, რომ დავქორწინდე; გოგონაც კი შერჩეული ჰყავს, ოჯახური ბიზნესის მემკვიდრე, ორი სახლითა და მილიონიანი მზითვით.“

„ძალიან კარგი,“ თქვა საბინამ.

თავი 3

„ნამდვილად,“ თქვა რიჩარდმა ღიმილით, „წინააღმდეგი არ ვარ ბიზნესისა და მემკვიდრეობის მიღებისა. უბრალოდ, გოგო არ მომწონს. დედაჩემი ფიქრობს, რომ ეს ერთადერთი გზაა ჩვენი გამდიდრებისთვის.“ რიჩარდმა საბინას შეხედა და ხელოვნურად გაუღიმა. „მაგრამ მერე აივანზე გამოვედი და თქვენ დაგინახეთ.“

საბინა არ მოელოდა მის გულწრფელობას, მაგრამ ინტრიგამ მოიცვა.

„აზრმა გამიელვა, თქვენისთანა გოგონა რომ მყავდეს, სიმდიდრეს ჩირადაც არ ჩავაგდებდი“.

*****

საუბარს სწრაფად მოჰყვა თავბრუდამხვევი ურთიერთობა და რიჩარდმა და საბინამ შვებულების ყველა შესაძლო დღე ერთად გაატარეს. გოგონას მოეწონა როცა შეიტყო, რომ რიჩარდი წარმატებული ბროკერია და ბევრ ფულს შოულობს. ბიჭს თავის მხრივ არანაირი პრობლემა არ ჰქონდა ეს ფული საბინასთან ერთად დაეხარჯა. ყოველ საღამოს დადიოდნენ ღამის კლუბებსა და თეატრებში, წვეულებებსა და ბარებში, კაზინოებსა და კაბარეებში.

რაც უფრო ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, მით უფრო აღარაფერს ნიშნავდა პარიზელი ყმაწვილი საბინასთვის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აღმოაჩინა, რომ არა მხოლოდ საერთო ინტერესები და გამოცდილება აერთიანებდათ, არამედ ებრაული წარმომავლობაც, ის, რომ ორივემ მიატოვა რელიგია სიმდიდრის, წარმატების, ფუფუნებისა და საკუთარი თავისთვის სიამოვნების მინიჭების გამო.

ერთ საღამოს, საბინა გააოცა დამთვრალი რიჩარდის კომენტარმა.

„მე მარტივი ადამიანი არ ვარ“ თქვა მან, შავი ელიხირის სმისას. „ძალიან ბევრ ტანჯვას გაივლი ჩემთან ერთად.“

შეიძლება ასეც მომხდარიყო, მაგრამ საბინას უკვე შეყვარებოდა იგი. თუ მათ მომავალში უნდა ყოფილიყო ტანჯვა, დარწმუნებული იყო, რომ საკმარისი სიამოვნებაც იქნებოდა კომპენსაციისთვის.

4

საბინა აღარასოდეს დაბრუნებულა პარიზში. მან რიჩარდთან ერთად უკეთესი ცხოვრება დაიწყო ბუქარესტში და მალე ადგილობრივ სადაზღვევო სააგენტოში გავიდა სამუშაოდ. შეხვედრები 1936 წლის 23 ოქტომბრამდე გაგრძელდა, იქამდე, ვიდრე რაბინის სახლში იქორწინეს. ახლადდაქორწინებულები ებრაული ტრადიციული საბურველის ქვეშ დადგნენ (chuppah) და ფეხით ღვინის ჭიქა გატეხეს (იერუსალიმელი ბაბილონელების გათავისუფლების სიმბოლო, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 586 წელს). რელიგიურ სიმბოლოს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა ათეისტი წყვილისათვის, მაგრამ მოხარულები იყვნენ, რომ ამით მშობლებს ასიამოვნეს.

ბავშვის გაჩენის საკითხს ახალდაქორწინებულები ჯერ არ განიხილავდნენ. ვერ მისცემდნენ უფლებას პატარებს, ხელი შეეშალათ მათი უდარდელი ცხოვრებისთვის. მათი მიზანი იყო მარტივი და ადვილად მიღწევადი: სადაც და როგორც შეეძლოთ, გართობის მიზეზს ხელიდან არ უშვებდნენ.

რიჩარდის ქალებისადმი ლტოლვა ნელა და რთულად კვდებოდა, ქორწინების შემდეგაც კი. მორალური კოდის გარეშე, რთული იყო ჯანსაღი დამოკიდებულების შენარჩუნება. საბინა გვერდზე იყურებოდა, როცა რიჩარდი სხვა ქალებს თვალსა და გულს არ აშორებდა. ტყუილი და შემწყნარებლობა რუტინულ მანკიერებად გადაექცა წყვილს. მიუხედავად მამაკაცის უტაქტობისა, რიჩარდმა და საბინამ ქორწინების პირველი წლები უდარდელ მხიარულებაში გაატარეს.

თავი 4

*****

თანაცხოვრების პირველი წელი ცოლ-ქმარმა ბედნიერად გაატარა, თუმცა მალე ყველაფერი შეიცვალა, როცა რიჩარდის ცხოვრების წესმა შედეგი გამოიღო. ყველაფერი დაიწყო გამაღიზიანებელი, გამუდმებული ხველებით, რასაც ცოტა ხნით ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ საბოლოოდ დასთანხმდა მეუღლის დაჟინებულ თხოვნას და ექიმთან შეხვედრაზე ჩაეწერა.

ექიმისგან დაბრუნებულს სახეზე საშინელი ფერი ედო.

1930-იან წლებში, ტუბერკულოზი სასიკვდილო განაჩენთან იყო გაიგივებული, მსოფლიოში ყველაზე კრიტიკული კრიზისი ჯანდაცვის სფეროში, რაც ევროპაში შიშისმომგვრელად სწრაფად გავრცელდა. ექიმები თავს არ ზოგავდნენ განკურნების მეთოდის აღმოსაჩენად, მაგრამ დაახლოებით ათწლეული დასჭირდებოდა, ვიდრე ტუბერკულოზის ვაქცინას შეიმუშავებდნენ პრაქტიკაში დასანერგად.

რიჩარდის იმუნური სისტემა გამუდმებულმა სმამ დაასუსტა, რამაც მოწყვლადი გახადა მისი ორგანიზმი ტუბერკულოზთან ბრძოლაში და რესპირატორული სისტემაც ჩაითრია. მის ფილტვებში არსებული მცირე ჩრდილი მალე გავრცელდა, რაც ღამღამობით ოფლიანობასა და მაღალ ტემპერატურას იწვევდა. ამან კი გაანადგურა მისი ისედაც დასუსტებული სხეული. მისი ფილტვები სითხით ივსებოდა და უჭირდა ტვინისთვის ჟანგბადის მიწოდება, რის შედეგადაც ხველებისას სისხლი ამოჰქონდა. მოკლედ რომ ვთქვათ, საბინას ოცდაშვიდი წლის მეუღლე მალე საკუთარ სითხეში ჩაიძირებოდა.

რიჩარდს ერთადერთი გამოსავალიღა დარჩენოდა, განმარტოება კარპატის მთების სანატორიუმში, სადაც სუფთა ჟანგბადით სავსე ჰაერს ისუნთქებდა და ულტრაიისფერსხივებიანი ნათურის ქვეშ იჯდებოდა, საკმარის დროს გაატარებდა ლოგინში და იმედია, მალე გამოკეთდებოდა. დიაგნოზი მძიმე იყო, გადარჩენის შანსი ორმოცდაათი ორმოცდაათზე იყო.

საბინა მოთქვამდა ახლადდაქორწინებული ქმრის სასიკვდილო განაჩენის გამო. მათი ქორწინება ბედნიერი იყო, მაგრამ რიჩარდის დიაგნოზი აუტანელ ტანჯვად იქცა. ურთიერთობაში პირველად დაიწყეს მომავალზე ფიქრი და ეჭვი გაჩნდა, რომ საბინა მალე დაქვრივდებოდა.

რიჩარდი მატარებელში ავიდა და რუმინეთის მწვანე მთების გავლით სანატორიუმისაკენ გაემართა, ხოლო საბინა რიჩარდის დედასთან გადავიდა საცხოვრებლად. ყოველ ორ კვირაში ერთხელ, საბინა გრძელ მოგზაურობაში მიდიოდა ცოცხალი მეუღლის სანახავად, მაგრამ მასთან ყოფნა, ქალისთვის ცრემლებად დაღვრილ უძილო ღამეებს გულისხმობდა. სხვა ქალბატონებიც მოთქვამდნენ რიჩარდის მდგომარეობაზე. (დედამისი და ის ქალები, რომლებთანაც რიჩარდს ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა).

რიჩარდისათვის სიმშვიდე, რომელსაც სანატორიუმი სთავაზობდა და ბუქარესტში ასე აკლდა, ხანმოკლე აღმოჩნდა. „პირველად ჩემს ცხოვრებაში“ - უთხრა მან თავის ცოლს - „ვისვენებ.“

მთების სიჩუმე აიძულებდა წარსულზე დაფიქრებულიყო. განუზომელი დროის ბარებში, თეატრებსა თუ ღამის კლუბებში გატარებაზე ფიქრობდა.

მტკივნეული წარსულის ტალღა მოულოდნელად დაატყდა თავს და ჭირივით მოედო მის გონებას, ისევე, როგორც ტუბერკულოზის დაავადება. რიჩარდი ხედავდა იმ თანამშრომლების სახეებს, რომელთაც ატყუებდა და ისე ცხადად ესმოდა ის ტყუილები ყურში ახლა, როგორც პირველად წარმოთქმისას. მთის ჰაერმა ყოველი ფიქრი, სიტყვა, საქმე და ცოდვა ზედაპირზე ამოატივტივა. ისე მიბრუნდება ყველაფერი უკან, როგორც აუტანელი სცენა, ფიქრობდა ის. რიჩარდმა თავისი ახალგაზრდობა სხვაზე აუგის თქმაში, დაცინვასა და მოტყუებაში გაატარა, და რისთვის? თვალწინ გადაეშალა მთელი ცხოვრება, როგორც ქარაფშუტობის უზარმაზარი ველი. ის მხოლოდ

საკუთარი თავისთვის ცხოვრობდა და ახლაც, მარტო საკუთარი თავისთვის კვდებოდა.

მარტოობის ირონია იმაში მდგომარეობდა, რომ სიმშვიდემ თავისი შედეგი გამოიღო. მალე ათეისტმა პირველი ლოცვაც წარმოთქვა ღვთისადმი, მაშინ როცა ამას ყველაზე ნაკლებად მოელოდა, თუმცა სხეული ღალატობდა. სული იმ ღვთისადმი ლოცვას წარმოთქვამდა, რომლისაც არ სწამდა.

5

რიჩარდმა რთული ახალგაზრდობა გამოიარა და წიგნებს ჩაუჯდა ბავშვობის დროინდელი ტკივილის შესამსუბუქებლად. ათი წლის იუბილეზე უკვე სახლში არსებული ყველა წიგნი წაკითხული ჰქონდა. თავის თავს განსაკუთრებით აიგივებდა ვოლტერთან და აღმერთებდა რელიგიის ფრანგ სკეპტიკოსს. მიუხედავად მისი ასაკისა, რიჩარდიც სკეპტიკოსი ხდებოდა. თუ ყოვლისშემძლე ღმერთი მოსიყვარულე და კარგი უნდა ყოფილიყო, ფიქრობდა იგი სიღრმისეულად, რატომ დაუშვა ღმერთმა რიჩარდის მამის სიკვდილი?

მცირე ხნით კათოლიკურ ღვთისმსახურებას ესწრებოდა. რიჩარდი ამ დროს ქალწული მარიამის ფიგურასთან მივიდა და გადაწყვიტა, რომ სტატუეტის გარშემო თავმოყრილ ხალხთან ერთად ელოცა მარიამის წინაშე.

„დიდება, მარიამს, მადლით აღსავსეს“ დაიწყო ლოცვა, მაგრამ სიტყვები შინაგან სიცარიელეს ვერ ავსებდა. ლოცვა შეწყვიტა, მარიამის ფიგურას შეხედა და თქვა: „მართლა, ქვას ჰგავხარ. რამდენი ადამიანი გთხოვს და არაფერი გაქვს მათთვის მისაცემი.“ თუ ქალწული მარიამი ვერ შთააგონებდა რიჩარდს რწმენას ღვთისადმი, მაშინ ვერც კათოლიკური ღვთისმსახურება შეძლებდა ამას, რაც მთლიანად ლათინურად ტარდებოდა. უჭირდა წაკითხული ლოცვის გააზრება და ღვთის განდიდების სიტყვებს ბორძიკით წარმოთქვამდა:

Dominus Deus, Rex caelestis,
Deus Pater Omnipotens.

თავი 5

Domine Eili unigennite Jesus Christ,
Domine Deus, Agnus Dei, Filius Patris.

რიჩარდს საბოლოოდ აუცრუვდა გული რომის კათოლიკურ ეკლესიაზე და ანალოგიური დამოკიდებულება გაუჩნდა აღმოსავლეთ მართლმადიდებლური ტრადიციის მიმართ. თინეიჯერობისას უკვე ჩამოყალიბებული ათეისტი იყო. არანაირი ინტერესი არ გააჩნდა ეკლესიის მიმართ. ებრაელისათვის მართლმადიდებლური ეკლესიის ანტისემიტიზმის გამართლება შეუძლებელი იყო. რელიგია თავგამოდებით იცავდა ტრადიციებს და მორწმუნეებს პირად ცხოვრებაში თავისუფლებას უკრძალავდა.

ძველ აღთქმაში იაჰვემ ისრაელიანები გაათავისუფლა ეგვიპტის მონობისგან და პურის ნაცვლად მანა, პურის მსგავსი საკვები, მოუვლინა ზეციდან უდაბნოში საჭმელად. ახლა რუმინეთი პურის ნაკლებობას განიცდიდა. რიჩარდმა იცოდა რას ნიშნავდა შიმშილი, თირკმელებს ქვემოთ რომ ტკივილი ღრღნიდა. ფული ძნელად საშოვნელი რამ გახდა ვურმბრანდებისათვის და გადარჩენა დამოკიდებული იყო მხოლოდ იმ მცირედ შემოსავალზე, რომლის შოვნაც ოჯახს როგორღაც მოეხერხებინა.

რიჩარდი ყოვლადძლიერი და ყოვლისმოყვარული ღვთის უარყოფამ უაზრო მატერიალიზმამდე მიიყვანა. მისთვის არაფერი არსებობდა მატერიალური სამყაროს გარდა. თავს არიდებდა ყოველგვარ ზეციურზე ფიქრს და გამუდმებით ისეთ საოცრებებზე ფიქრობდა, რომლის ახსნაც არ შეეძლო. შედგებოდნენ თუ არა ადამიანები ატომებისა და მინერალების გარდა სხვა რამისაგან? რა ხდებოდა სიკვდილის შემდეგ? არსებობდა თუ არა სული? რიჩარდი ასეთ საკითხებზე უკვე აღარ ფიქრობდა. თუმცა მამამისის სიკვდილის აჩრდილს თავიდან ვერ იშორებდა. მიუხედავად იმისა, რომ მისმა გონებამ მიატოვა ღმერთზე ფიქრი, მისი გული ჯერ კიდევ იმედოვნებდა, რომ ღმერთი არსებობდა.

ზამთრობით, რიჩარდი ხშირად დადიოდა ბუქარესტის სასაფლაოზე. მას ძალიან მოსწონდა სასაფლაოს პრიალა ქვები და ფიქრობდა, რომ ერთ დღეს ისიც მოკვდებოდა. თოვლი

მოეფინებოდა მის საფლავს, როცა ცოცხლები გაიცინებდნენ, ერთმანეთს გადაეხვეოდნენ და მის გარეშე გაიხარებდნენ ცხოვრებით. ის კი, აღარ იარსებებდა და მოკლე ხანში აღარავის ემახსოვრებოდა. მაშინ რა სარგებელი აქვს ყველაფერს? ფიქრობდა ის. მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული იყო, არ არსებობდა სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ და არც ღმერთი. რიჩარდს ხშირად ჰქონდა სურვილი, რომ ეს ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო. ნუთუ არ უნდა ჰქონოდა რაიმე აზრი სამყაროში მის არსებობას?

ათეიზმი მოსწონდა რიჩარდს და თოთხმეტი წლის ასაკში უკვე წაკითხული ჰქონდა ყველა ლიტერატურა, რომელიც ღმერთის არსებობას უარყოფდა. განსაკუთრებით გაიტაცა მეცხრამეტე საუკუნის ფილოსოფოსის, კარლ მარქსის, ნაშრომებმა, რომლებმაც დაარწმუნა რიჩარდი, რომ ღვთის არსებობის იდეა ადამიანის გონებისთვის მომწამვლელი იყო. ყველაფრის მიუხედავად, რიჩარდი ფაქტებზე ფიქრობდა და არა პროზაზე. სწყუროდა ქვეყნიერების შესახებ ჭეშმარიტების გაგება და არა მითოლოგიური გამოგონებების მანტიაში გახვეული რელიგია. ერთხელ, კარლ მარქსმა თქვა: „[რელიგია] არის ხალხის ოპიუმი,“[1], რასაც რიჩარდი დაეთანხმა.

რიჩარდი ბასრი ინტელექტით, სწრაფი გონებითა და ენების შესწავლის განსაკუთრებული უნარით, მალე გახდა კომუნისტური მოძრაობის ახალგაზრდული განყოფილების აქტივისტი. განათლებაში წინსვლის მიზნით მოსკოვში წავიდა მარქსიზმის შესასწავლად. ცხრა ენას წყალივით დაუფლებულს, არ გასჭირვებია რუსულ კულტურაში ნავიგაცია და რუმინეთში დაბრუნებული, უკვე კომუნისტი აგენტი იყო, რომელსაც მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ბურჟუაზიული კლასის ჩამოგდება და ინტერნაციონალური საბჭოთა რესპუბლიკის დაარსება. კომუნიზმი ჰპირდებოდა იმ სიღარიბის დაძლევას, ბავშვობაში რომ განიცადა. საკუთრებისა და ქონების საერთო ფლობის იდეა

[1] კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი, რელიგიაზე (მინეოლა, NY: Dover, 2008), 42.

ძალიან ხიბლავდა ახალგაზრდა ათეისტს. მას თანამოაზრე საძმოსთან ურთიერთობის ძლიერი წადილი კლავდა. ისეთი ურთიერთობის, რომელიც ეკლესიაშიც კი არ განუცდია. როგორც იქნა, რიჩარდმა იპოვა ბრძოლის მიზეზი და ისეთი ერთობა, ზეიმს რომ იმსახურებდა. მთელი თავისი ენერგია კორუმპირებული, მაღალი კლასის, რუმინეთის მთავრობის დამხობისაკენ მიმართა და იმედოვნებდა, რომ ერთ დღეს კომუნისტური პარტია აღადგენდა სამართლიანობას მის ქვეყანაში, მაგრამ მალე რიჩარდმა პრობლემა აღმოაჩინა. მემარცხენე პარტიის მიზნები ამაღელვებლად მიაჩნდა, მაგრამ მაინც ღვთის იდეისადმი ინტერესს ავლენდა. რიჩარდი იშვიათად ჩაუვლიდა ეკლესიას ისე, რომ არ შეჩერებულიყო და მსახურებისთვს არ მოესმინა. ამქვეყნიური მამის მონატრების სურვილმა მის სულში იმ ზეციერი მამის არსებობის ღრმა სურვილი აღძრა, ვისთვისაც იძგერებდა რიჩარდის გული. მარქსიზმზე და კომუნიზმზე ასეთი ყურადღების მიქცევამაც კი ვერ დააკმაყოფილა მისი გულის სიღრმისეული წყურვილი.

*****

ახლა, სანატორიუმში განმარტოებისას, რიჩარდმა პირველი ლოცვა ყოყმანით წარმოთქვა. „ღმერთო, დარწმუნებული ვარ, რომ არ არსებობ,“ ჩურჩულებდა ის, „მაგრამ, თუ შემთხვევით არსებობ, ჩემი საქმე არ არის შენი რწმენა. შენი საქმეა მე გამომეცხადო.“

როგორც ჩანს, რიჩარდი არ იყო ის ერთადერთი კაცი, რომელიც რუმინეთის მთებში ლოცულობდა. მაღალ მთებში, ქალაქიდან დიდი მანძილით დაშორებულ სოფელში, მოხუცებულმა გერმანელმა ხურომ, სახელად ქრისტიან ვოლფკსმა, მთელი ღამე მუხლმოყრილმა გაატარა ღვთისადმი ლოცვაში. მისი ცოლი წლების განმავლობაში ლოცულობდა იმისთვის, რომ ერთი ებრაელი მაინც მოექციათ იესო ქრისტეს დამხსნელ რწმენაზე. ყოველ ჯერზე, რამდენიმე საათის განმავლობაში,

ცოლ-ქმარი გულით ლოცულობდა შემოქმედი ღმერთის წინაშე, ბიბლიაზე და ლოცვისას ცრემლად იღვრებოდნენ იმ ებრაელზე შუამდგომლობით, რომელიც თვალით არ ენახათ.

„ჩემო ღმერთო,“ ლოცულობდა ქრისტიანი ხმამაღლა, „შენ გემსახურე დედამიწაზე და აქაც ისევე მინდა მივიღო ჯილდო, როგორც ზეცაში. ჩემი ჯილდო ის იქნება, რომ ვიდრე ცოცხალი ვარ ერთი ებრაელი მაინც მივიყვანო ქრისტესთან, რადგან ქრისტე ებრაელ ერში დაიბადა.“ ამოიოხრა მან. „მაგრამ ღარიბი ვარ, მოხუცი და ავადმყოფი. არ შემიძლია წასვლა და ებრაელის მოძებნა. ჩემს სოფელში კი ებრაელები არ არიან. მოიყვანე ებრაელი ჩემს სოფელში და მე ძალ-ღონეს არ დავიშურებ ქრისტესთან მის მისაყვანად.“

*****

რიჩარდი დაფიქრებული დახვდა სანატორიუმში მის სანახავად მისულ საბინას.

„წარსულზე ვფიქრობდი,“ უთხრა ცოლს. „ყველა იმ ადამიანზე, რომლებსაც გული ვატკინე... დედაჩემზე, ყველა გოგოზე, რომლებსაც არც კი იცნობ.“ მან ღრმად ამოიოხრა და აღიარა, „მთელი ჩემი ცხოვრება მხოლოდ საკუთარ თავზე ვფიქრობდი.“

„ამაზე ნუ იდარდებ, „თქვა საბინამ თავისუფალი ტონით. „არც ჩემი ცხოვრება ყოფილა განსხვავებული. ახალგაზრდები ვართ, ადამიანები ასე იქცევიან.“

საბინა ქმრის გამხიარულებას იმ კარგი ამბების შეხსენებით ეცადა ბუქარესტში დაბრუნებისას რომ ელოდებოდათ ერთად, მაგრამ გულის სიღრმეში რიჩარდს ეჭვი ეპარებოდა, დაბრუნდებოდა კი ისეთი, როგორიც წამოვიდა? მისმა ძლიერმა სულმა ძიების შედეგად მოულოდნელად გამოიღო შედეგი, რასაც ალბათ მისი ცოლი ვერ გაიგებდა. რიჩარდის ადრინდელი ცოდვები ახლა უფრო ნაკლებად მიმზიდველად გამოიყურებოდა, ვიდრე წარსულში. როგორღაც ცდუნებამ დაკარგა მასში ლტოლვა. ახლა უფრო ნაკლები ღირებულება

აქვს, განმარტა მან, უაზრო მექალთანეობასა და ღამის კლუბებში ხშირად სიარულს.

*****

რაც უფრო უმჯობესდებოდა რიჩარდის ჯანმრთელობა, მით უფრო ჯანსაღდებოდა მისი სული. საბინას მაცდუნებელი ზრახვა, მისთვის სასურველი რეაქციის გამოსაწვევად ჩაიშალა, მაგრამ როდესაც დაინახა განსაკუთრებული წიგნი, რომელსაც რიჩარდი კითხულობდა, შეშინდა. ქრისტიანული ბიბლია! მისი ათეისტი ქმარი კითხულობდა ახალ აღთქმას, რომელიც ერთ-ერთ სანატორიუმელ ავადმყოფს ეთხოვებინა მისთვის. ტრადიციულ, ებრაულ ოჯახში გაზრდილს, საბინას იესო ქრისტეს სახელის ხსენების უფლებაც კი არ ჰქონდა მამამისის ჭერქვეშ. როდესაც ქრისტიანულ ეკლესიას გვერდს ჩაუვლიდა, მას და მის და-ძმას ინსტრუქცია ჰქონდათ მიცემული, რომ გზის მეორე მხარეს უნდა მიეხედათ. და რატომაც არა? ყველა იმ დევნისა და დამცირების შემდეგ, რაც ქრისტიანებმა ებრაელებს მოუტანეს, საბინას ოჯახის წინააღმდეგობა გასაგები გახლდათ. ებრაელთა ისტორია სისხლით იყო მორწყული ქრისტეს მიმდევართა ხელით, რომ აღარაფერი ვთქვათ იძულებით ნათლობასა და კათოლიკურ ღვთისმსახურებაზე. ახსოვს, რომ ისწავლა ერთი ებრაელის ისტორია, რომელმაც გადაწყვიტა თავისი შვილების მოკვლა და ბოლოს თვითმკვლელობა, რათა თავიდან აერიდებინა ქრისტიანობაზე მოქცევა და ფატალური შეცდომის დაშვება. საბინას არ ავიწყდება ბავშვობაში, სკოლიდან მომავალი როგორ ძრწოდა იმ ქუჩის კუთხის დანახვისას, სადაც ორი უფროსი ასაკის გოგონა იდგა ხშირად. „ჭუჭყიანი პატარა ებრაელი!“ ყვიროდნენ ისინი. გოგონები იცინოდნენ, საბინას თმებში ქაჩავდნენ და პატარა მკლავებში მოულოდნელად აფრინდებოდნენ.

ყველაზე ძალადობრივი ანტისემიტური ორგანიზაციები სწორედ ქრისტიანული მრწამსის იყვნენ. მართლმადიდებლური ეკლესია, ლუთერანული და ეროვნულ-ქრისტიანული თავდაცვის

ლიგა, რომელთა უპირველეს მიზანს, როგორც ჩანს, ებრაელი სტუდენტების ცემა და ებრაული ბიზნესების განადგურება წარმოადგენდა. თუ ეს იყო ქრისტიანობა, საბინას ამ ყველაფერთან საერთო კავშირი არ სურდა. ახლა უსმენდა ქმარს, რომელიც ახალ აღთქმაში აღწერილ იესო ქრისტეს ახასიათებდა. საბინამ განცდილი შოკის დაფარვა ვერ შეძლო. ქრისტიანობამ გააუკუღმართა ისტორია და ახლა მის ქორწინებასაც ემუქრებოდა. აქამდე შეთანხმებული იყვნენ, რომ შვილებს არ გააჩენდნენ. ახლა კი მისი ქმარი შეუსვენებლად საუბრობდა იმაზე, თუ როგორ უნდა აღზარდო შვილები მორალურად. ეს ყველაფერს ანადგურებდა.

რიჩარდი სხვა, უცხო წიგნებში ჩაიძირა. მან საბინას თანასანატორიუმელის მიერ ნათხოვარი წიგნი გადასცა. წიგნი იმ ქრისტიანების შესახებ იყო, რომელთაც ისე უყვარდათ ებრაელები, რომ საკუთარი სიცოცხლე გასწირეს მათ გადასარჩენად. „ეს წიგნი რატისბონის საძმოს შესახებ მოგვითხრობს," თქვა მან. „ბერთა ეს ორდენი ებრაელთა გადასარჩენად დააარსეს." როცა რიჩარდი იმ ქრისტიანებზე საუბრობდა, რომლებიც ებრაელებს ემსახურებოდნენ, საბინამ იმედგაცრუებისგან გვერდზე გაიხედა.

„ადამიანები ჩემთვის ლოცულობდნენ, ვიდრე მე სიცოცხლეს უსარგებლოდ ვფლანგავდი," თქვა მან.

*****

კვირებს თვეები მისდევდა და რიჩარდი მძიმე ავადმყოფობიდან გამოდიოდა, ფილტვების მდგომარეობა იმდენად გაუმჯობესდა, რომ ტუბერკულოზის სანატორიუმი დატოვა და მთებთან ახლოს მდებარე, ერთ წყნარ სოფელში გადავიდა მკურნალობის გასაგრძელებლად.

ერთ შუადღეს, როცა რიყის ქვით მოკირწყლულ ქუჩაში სეირნობდნენ, რიჩარდმა სუსტი, მოხუცი კაცი შენიშნა. მოხუცმა ისინი სახლში შეიპატიჟა. მასპინძელს ქრისტიან ვოლფკსი ერქვა. როცა ქრისტიანმა შეიტყო, რომ რიჩარდი ებრაელი იყო,

თვალები ცრემლებით აევსო. „ღმერთს ვთხოვე სიცოცხლის ბოლოს ერთი სურვილი შეესრულებინა,“ თქვა მან და რიჩარდს დაკოჟრილი ხელით მკლავზე მოეჭიდა. „რადგან ქრისტე ებრაელი იყო, მსურდა, რომ ებრაელი მიმეყვანა მასთან, მაგრამ რადგან აქ ებრაელი არავინაა, მე კი სოფლიდან წასვლა არ შემიძლია, ვიცოდი, რომ ღმერთი გამომიგზავნიდა ვინმეს, და აი, თქვენც აქ ხართ! ჩემი ლოცვის პასუხი!“

რიჩარდს რატისბონების საძმო გაახსენდა მასპინძელთან განშორებისას და ამ უკანასკნელმა წლების განმავლობაში კითხვისაგან გაცვეთილი ბიბლია გადასცა საჩუქრად. რიჩარდმა გაცვეთილი ფურცლები ერთმანეთის მიყოლებით გადაშალა და ქრისტიანმა დაამატა, „მე და ჩემი ცოლი საათობით ვლოცულობდით ამ წიგნზე და ღმერთს შენს მოქცევას ვთხოვდით.“ რიჩარდს გულში უცნაური სითბო ჩაეღვარა მისი ახალი მეგობრის გულკეთილობის გამო, მაგრამ ხედავდა, რომ საბინა განადგურებული იყო. მისი თვალებიდან გამოსჭვიოდა ღალატი, რასაც აშკარად გრძნობდა.

6

მომდევნო დღეებისა და კვირების განმავლობაში, რიჩარდი ყურადღებით ათვალიერებდა ქრისტიანის ბიბლიას. ყოველდღე კოტეჯის პატარა დივანზე იჯდა და ახალი აღთქმის ისტორიებში იძირებოდა. ახალგაზრდობაში იშვიათად წაუკითხავს ბიბლია, ძირითადად ინტერესის გამო. წაიკითხა პავლეს შესახებ, რომელიც რწმენის გამო დააპატიმრეს, მაგრამ განაცხადა, რომ „მე არ მრცხვენია სახარების, რადგან იგი ღვთის ძალაა მორწმუნეთა ხსნისთვის, ჯერ ებრაელის და შემდეგ ბერძენის“ (რომ. 1:16). რიჩარდი ფიქრობდა წაკითხულის ჭეშმარიტებაზე. იესო ქრისტემ პირველ რიგში ხსნა ებრაელებს შესთავაზა?

ახალი აღთქმის ყოველი სიტყვა კითხვის გაგრძელების სურვილს ბადებდა მასში. სიტყვებს შორის სასვენი ნიშნებიც კი ჭეშმარიტებით ბრწყინავდნენ, რაც აქამდე არასოდეს არ შეუმჩნევია. ქრისტიანობა მასში ბავშვობაში იწვევდა ინტერესს, მაგრამ ახლა სინანული მოჰგვარა წარსულში მიღებულ სიამოვნებაზე. რიჩარდი აკვირდებოდა იესოს იგავებს და ფიქრობდა მის გასაოცარ სიტყვებზე: „მაგრამ მე გეუბნებით თქვენ, შეიყვარეთ თქვენი მტრები და ილოცეთ თქვენი მდევნელებისათვის, რათა გახდეთ თქვენი ზეციერი მამის შვილები, რომელიც ზეცაშია“ (მათე 5:44-45). ებრაელები საუკუნეების განმავლობაში იდევნებოდნენ. ნუთუ მართლა შეძლებდა მათ პატიებას, ვინც ზიანი მიაყენა და ვისაც სძულდა ის? მაგრამ რიჩარდი ისე აგრძელებდა წიგნის კითხვას, თითქოს მისი სიცოცხლე ამ წიგნზე იყო დამოკიდებული. მალე იესო

იმდენად რეალური გახდა, რამდენადაც ქალი, რომელსაც სადილი მოჰქონდა მისთვის. ყოველ ღამე იესოზე მეტის გაგების სურვილით იძინებდა. შინაგანი ბრძოლა დაიწყო მასში. გული ღმერთისკენ იხრებოდა, მაგრამ გონება მის საწინააღმდეგო კითხვებს სვამდა. „შენ არასოდეს მომიხსენიებ მოწაფედ," ლოცულობდა ის. „მე მინდა ფული, მოგზაურობა, სიამოვნება. საკმარისად ვიტანჯე." შეკრა რიჩარდმა მუშტი. „შენი გზა ჯვრისკენ მიდის და თუნდაც ეს იყოს გზა ჭეშმარიტებისკენ, არ გავყვები მას." პასუხი მოვიდა მის გონებაში, როგორც თხოვნა, აზრები შეაწყვეტინა. გამომყევი! ნუ გეშინია ჯვრის! მიხვდები, რომ ეს არის საუკეთესო ბედნიერება, რაც კი შეიძლება არსებობდეს. რიჩარდი სიხარულისგან ტიროდა. მცირე წარმოდგენა ჰქონდა იმაზე, რომ ეს სიხარული იყო ახალი და უცხო გრძნობა. შეიძლებოდა, რომ იესოს მისი წარსული ცხოვრება ეპატიებინა, ცოდვითა და თავკერძობით სავსე? შეიძლებოდა, რომ ქრისტეს რიჩარდის ბრალი მადლიერებით შეეცვალა? იესოს სიტყვები დაელაპარაკა მას გულში: „მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო და ტვირთმძიმენო და მე მოგასვენებთ თქვენ" (მათე 11:28). რიჩარდს დასვენება სჭირდებოდა, სწორედ ამიტომ მიატოვა სანატორიუმი, მაგრამ ის დასვენება, რასაც ქრისტე ჰპირდებოდა ფიზიკურ დასვენებაზე მეტი იყო; ეს იყო სულიერი დასვენება.

რიჩარდს გაახსენდა ძველი ჩინური ამბავი ერთ კაცზე, რომელიც აუტანელ მცხუნვარე მზეში ძლივს მიდიოდა. მაღალი მუხის ხის ჩრდილის ქვეშ დაისვენა და თქვა, „რა სასიხარულო შემთხვევაა, რომ გიპოვე!"

მუხამ უპასუხა: „ეს არ არის შემთხვევა. ოთხასი წელი გელოდებოდი შენ."

უცბად, რიჩარდს თვალები აეხილა. ხსნისკენ მიმავალი გზა აშკარა იყო. იესო ქრისტე ელოდებოდა, რომ ესწავლებინა როგორ დაესვენა მისი სიყვარულით. შესაძლოა, ტუბერკულოზიც ღვთის გეგმის ნაწილი იყო, რომ ქვეყნიერების სიცხისგან დაეხსნა იგი და ჯვრის ჩრდილით დაეფარა. კარპატების მთის

ძველებურ კოტეჯში რიჩარდმა იესო ქრისტეს სიყვარული მიიღო. სიყვარული, რომელმაც მას წასვლის ნება არ დართო. „ღმერთო," ილოცა რიჩარდმა, „ათეისტი ვიყავი. ახლა, ნება მომეცი რუსეთში წავიდე და ათეისტებს ვემსახურო, როგორც მისიონერი და არ ვიწუწუნებ, თუნდაც მთელი ჩემი დარჩენილი ცხოვრება ამის გამო ციხეში გავატარო."

*****

იესოს აკრძალული სახელის ხსენებამ საბინა გააშმაგა. ცვლილება, რომელიც ასე სწრაფად ვითარდებოდა რიჩარდის ცხოვრებაში, მიუღებელი იყო. მან ათეისტზე იქორწინა და არა ქრისტიანზე. „აღარ მჭირდება ის!" დაიჟინა საბინამ. „შენ ის აღარ გჭირდება. ეს ბუნებრივი არ არის." დაჭკრა ფეხი საბინამ ხის კოტეჯის იატაკზე. „ჩვენ ებრაელები ვართ! ეს სრუალიად განსხვავებული ცხოვრების გზაა." მაგრამ არ შეეძლო არ ეღიარებინა ის ფაქტი, რომ მისი ქმარი იცვლებოდა. იესო ქრისტეს ახალმა რწმენამ გარდაქმნა ის. „მირჩევნია მოვკვდე, ვიდრე ქრისტიანი გახდე!" წამოიძახა საბინამ დაუფიქრებლად. ულტიმატუმი წაუყენა რიჩარდს. თუ მაინცდამაინც რელიგიურობა უნდოდა, შეეძლო საკუთარი ებრაული რწმენა გაეპრაქტიკებინა. როდესაც ქმარმა ნათლობის სურვილი გამოთქვა, საბინა კინაღამ გაგიჟდა. ნათლობის საკითხი არ განიხილებოდა.

ცოტახანს იმუშავა ამ შეთანხმებამ. რიჩარდი სინაგოგაში დადიოდა და შეხვედრებს ესწრებოდა, თავადაც მონაწილეობდა. იქაც ძირითადად იესო ქრისტეზე საუბრობდა. ერთხელ, ბუქარესტში ყოფნისას, რიჩარდმა დაარწმუნა საბინა ეკლესიაში გამართულ ღონისძიებას დასწრებოდა. შეშინებული, მაგრამ დაინტერესებული საბინა უკან გაჰყვა ქმარს მძიმე ხის კარამდე და მის ზღურბლსაც გადააბიჯა. საბინა ქმრის ლაბადას ეკიდებოდა და წმინდანების სახეებით მოხატულ ფერად კედლებს ათვალიერებდა. ისინი ქრისტიანი წმინდანები იყვნენ. რიჩარდმა თითოულ მათგანზე შეაჩერა ცოლის ყურადღება და

შეახსენა, რომ მათგან ნახევარზე მეტი ებრაელი იყო, იესოსა და დედამისის ჩათვლით. საბინა მკრთალად განათებულ გუმბათს და თაღოვან ჭერს ათვალიერებდა, როცა რიჩარდი ათი მცნების მნიშვნელობაზე საუბრობდა. ქალს გაახსენდა, როგორი სათუთი დამოკიდებულება ჰქონდა მამამისს ამ ათი მცნების მიმართ, რომელიც ებრალთა წიგნში იყო აღწერილი მოსეს მიერ. რიჩარდი საუბრობდა იმაზე, თუ რამხელა მნიშვნელობას ანიჭებენ ქრისტიანები ძველი აღთქმის ნაწერებს, ისევე როგორც ებრაელი მეფის - დავითის ფსალმუნებს. სინამდვილეში, მთელი ძველი აღთქმა-ებრაელთა წმინდა წიგნი - მოიცავდა მრავალრიცხოვან წინასწარმეტყველებებს მომავალი მესიის, იესო ქრისტეს, შესახებ.

„საქმე იმაში მდგომარეობს," თქვა რიჩარდმა, რომ „ქრისტიანული რელიგია არის უბრალოდ ებრაელთა რწმენა, რომელიც მიეცა დედამიწაზე მცხოვრებ ყველა ერს." სახით საბინასკენ შებრუნდა და ჰკითხა: „ვინ გახადა შესაძლებელი, რომ ებრაელთა ფასეულობა, მორალი და სიბრძნე მთელს ქვეყნიერებაზე გავრცელებულიყო? ვინ შეძლო, რომ ამას ასეულობით მილიონ ადამიანამდე მიეღწია ორი ათასი წლის განმავლობაში?"

საბინა ქმრის ჩქარ საუბარს უსმენდა.

„მხოლოდ ქრისტეს შეეძლო ამის გაკეთება," აგრძელებდა ქმარი. „მისი საქმეების გამო, ებრაელთა წმინდა წიგნი, ებრაულიდან ათასობით უცხო ენაზე გადათარგმნეს." აღელვებისგან ხმას აუწია. „და ახლა ბიბლიის კითხვა ერთნაირად შეუძლია ყველას, გლეხსა და მეცნიერს, როგორც პასტერსა და აინშტაინს."

რას იტყვი იმ ბოროტების შესახებ, ქრისტიანებმა რომ ჩაიდინეს ებრაელების წინააღმდეგ? განა იესოს მიმდევრების საქმეები არ იყო ქრისტიანობის წინააღმდეგ ყველაზე ძლიერი მოწმობა?

კვირების განმავლობაში ფიქრობდა საბინა ამ კითხვებზე. სიმპათიით იყო განწყობილი განდისადმი, რომელმაც ერთხელ

თქვა, „მიყვარს ქრისტე, მაგრამ არა თქვენი ქრისტიანები.“[1] შეძლებდა საბინა ქრისტიანობის გარეშე ქრისტეს მიღებას?

რიჩარდმა თავი გაიქნია. „ვერ მიიღებ იესოს მისი მოწაფეების მიღების გარეშე. ის მათ ვერ მიატოვებდა და შენთან ვერ წამოვიდოდა. ვერ მიიღებ მოწაფეებს თუ მეგობრებს არ უწოდებ მათ, იუდასაც კი, ისე როგორც ეს იესომ გააკეთა.“

საბინამ იცოდა, რომ რიჩარდს სურდა მის მეუღლესაც გაეზიარებინა ახლადაღმოჩენილი რწმენის ენთუზიაზმი. მოთმინებით უხსნიდა ქმარი სახარების სიდიადეს და სხვის პატიებას მოუწოდებდა ზუსტად ისე, როგორც ღმერთმა აპატია მას თავისი ცოდვები. როდესაც საბინა ბოლოსდაბოლოს დათანხმდა სახარების წაკითხვაზე, სიხარულის ტალღამ გადაუარა რიჩარდს სახეზე. ახალი დღე დაიწყო ვურმბრანდების ცხოვრებაში. საბინა ხვდებოდა, რომ ნელ-ნელა მოსწონდა და უყვარდებოდა მეუღლის მხსნელი.

*****

საბინამ ქრისტიანებისადმი ინტელექტუალური წინააღმდეგობები დაძლია, მაგრამ მისი ემოციური კავშირი იუდაიზმთან გადაჯაჭვული იყო ებრაელების დევნის ათასწლოვან ისტორიასთან და ჯერ კიდევ ღრმად ჰქონდა მის სულში ფესვები გადგმული, რისი დავიწყებაც ადვილი არ იყო. ქრისტიანებისადმი ცეცხლოვანი სიძულვილი კვლავ ბობოქრობდა მის გულში.

ერთ საღამოს რიჩარდი საეკლესიო შეხვედრიდან დაბრუნდა სახლში, რომელსაც ანგლიკანური მისია ატარებდა ებრაელებისთვის. ერთი სული ჰქონდა ცოლთან როდის მივიდოდა და დიდი აღფრთოვანებით გამოუცხადებდა, რომ სახალხოდ მიუძღვნა თავისი გული ქრისტეს. მომდევნო ნაბჯი კი ნათლობა უნდა ყოფილიყო. სიახლე იმაზე მეტად მძიმე იყო,

[1] მაჰათმა განდი, ბილ ვილსონის ციტატა, ქრისტიანობა ჯვარში: ცხოვრების ნამდვილი გამოსავალი აღმოჩენილია ცეცხლის ხაზში (Shippensburg, PA: Destiny Image, 2004), 74.

ვიდრე ამის ატანას საბინა შეძლებდა. წარმოიდგინა როგორი სახეები ექნებოდათ მის იმედგაცრუებულ მშობლებს სიახლის შეტყობისას. მას ქრისტიანული ეკლესიისთვის შეხედვის უფლებასაც არ აძლევდნენ და რა თქმა უნდა, მისი ქმრის იმ ტაძარში ნათლობას არ დასთანხმდებოდნენ. ძლიერი და წინააღმდეგობრივი სულის მქონე საბინას მეტის ატანა აღარ შეეძლო და სამზარეულოში ტირილი დაიწყო, ჭურჭლის ტილო მაგიდაზე მოისროლა და საძინებელში ჩაიკეტა. რამდენიმე საათი საწოლში ტირილში გააატარა. თუ რიჩარდს ჰქონდა საშინელი გადაწყვეტილების მიღების უფლება, არც საბინა გახლდათ გამონაკლისი.

ბოლოს გონება მოიკრიბა: რიჩარდის ნათლობის დღეს თავს მოიკლავდა.

7

1938 წელს რიჩარდის ნათლობის დღეც დადგა და მატარებლის სადგურისკენ გაეშურა, რადგან მსახურება მეზობელ ქალაქში ტარდებოდა. საბინა მოელოდა, რომ მეუღლე რამდენიმე საათით - თავისი ზრახვების სისრულეში მოყვანისთვის საკმარისი დროით - წავიდოდა. სასოწარკვეთილმა კარი ჩაკეტა და იატაკზე გაგორდა. ტირილისაგან დაღლილ სხეულს დიდხანს ტანჯვის ატანა აღარ შეეძლო.

„იესო, არ შემიძლია შენთან მოსვლა!“ მოთქვამდა იგი. არ მინდა, რომ რიჩარდი შენი გახდეს. მეტის ატანა აღარ შემიძლია!“

თვითმკვლელობა იქნებოდა მისი საბოლოო გადწყვეტილება. საბინამ გაიაზრა ის ცხოვრება, რომელიც სავარაუდოდ ერთად უნდა გაეტარებინათ - წოდება, შესაძლებლობა და სიმდიდრე. ქრისტიანობა, რამდენადაც ეს მას ესმოდა, იყო არა სიცოცხლისათვის, არამედ სიკვდილისათვის მოწოდება. თუ არ ექნებოდა ისეთი ცხოვრება, როგორიც მას სურდა, მაშინ ასეთ ცხოვრებას სიკვდილი ერჩია. სახლში დაბრუნებული რიჩარდი მის სხეულს იპოვიდა და მიხვდებოდა, რამდენად დამანგრეველი იყო ეს რწმენა მისთვის. ნათლობის დღე მთელი ცხოვრება ცუდ მოგონებად გაჰყვებოდა. საბინა თავისი ოთახის კუთხეში მიიკრუნჩხა და შესაძლო ვარიანტების განხილვა დაიწყო. რამდენიმე საათი იმაზე ფიქრობდა, თუ როგორი იქნებოდა სიკვდილი. რეალობაში იმისი იმედი ჰქონდა, რასაც ათეიზმი და კომუნიზმი ჰპირდებოდა: სიკვდილი იყო ადამიანის საბოლოო დასასრული და სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე იყო

მითი, მხოლოდ ღარიბებზე პროპაგანდისათვის, უკეთესად არსებობისათვის რომ იძლეოდა იმედს. ბოლოს და ბოლოს, საბინა ხომ მინერალებისა და ატომებისგან შედგებოდა. როდესაც ბოლო სუნთქვას ამოუშვებდა, დაკრძალავდნენ და გაიხრწნებოდა. მაგრამ, ვაი, თუ რიჩარდი მართალი იყო? რა მოხდებოდა მას შემდეგ, როცა საბოლოოდ თვალებს დახუჭავდა და ახალ რეალობაში გაახელდა, იმაზე უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, ვიდრე ახლა იმყოფებოდა. მის ქმარს სწამდა ჯოჯოხეთის, ღმერთისაგან სამუდამოდ განშორების ადგილის, არსებობის; სწორედ იმ ადამიანებისთვის, რომელთაც ქრისტეს სიყვარულის არ სწამდათ დედამიწაზე. მარადიულ ცეცხლში ტანჯვა იმდენად აფორიაქებდა მის გონებას, რამდენადაც რიჩარდის გულის ტკივილი მის მიერ ცოლის სხეულის აღმოჩენის შემდეგ. სხვა ცოლს შეირთავდა, ქრისტიანს, რომელიც ყოველთვის მასთან ერთად წავიდოდა ეკლესიაში. ქრისტიანული რწმენით აღზრდიდნენ თავიანთ შვილებს? რაც უფრო მეტს ფიქრობდა, მით უფრო მეტად მშვიდდებოდა. სიკვდილის რისკი უფრო დიდ გამოცანად ეჩვენებოდა. შესაძლოა, სხვა გზაც არსებობდა. უხალისოდ და ნელა დაიწყო განსხვავებული აზრების გაფურჩქვნა გულში. სიცოცხლემ, რომლის დასრულებასაც იმ დილით ლამობდა, უხვად დაიწყო მასში დინება. თუ ღმერთი მართლა არსებობდა, სავარაუდოდ ღმერთს უყვარდა კიდეც ის. საბინამ ძალა მოიკრიბა, იატაკიდან წამოდგა, კაბა გაისწორა და დასიებული თვალებით საათს შეხედა. თუ იჩქარებდა, მატარებლის სადგურზე მისვლას და ახლადმონათლული ქმრის დახვედრასაც მოასწრებდა.

ქრისტიანული ტრადიციით, ნათლობა, რამდენადაც იცოდა, იყო ის ადგილი, საიდანაც უკან დასაბრუნებელი გზა აღარ არსებობდა. ის იყო ხსნის სიმბოლო. ძველი ცხოვრებისთვის სიკვდილს, ხოლო სიკვდილიდან ახალი ცხოვრებისთვის აღდგომას ნიშნავდა. გაახსენდა რიჩარდის ამაღელვებელი განწყობა დილით სახლიდან გასვლისას, ყვავილების თაიგულს ხელი დაავლო და ქმარს სადგურზე შეეგება.

ვურმბრანდები გათენებამდე ფეხზე იყვნენ და დღევანდელი დღის მოვლენებს განიხილავდნენ. რიჩარდს გული ეტკინა, როცა მეუღლის სასოწარკვეთილების შესახებ შეიტყო. ქალი საუბრობდა და გრძნობდა, რომ ქმარმა მასში განსხვავება შენიშნა, რაც ამ დრომდე არ მომხდარა. ზუსტად ისეთივე განსხვავებულობა, რაც საბინამ შენიშნა მასში, ვიდრე ღმერთს გულს გაუხსნიდა კარპატის მთების სოფელში დასასვენებლად ყოფნისას.

*****

მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში, იმედის ნაპერწკალი საბინას გულში სრულად არ მომწიფებულა. მას ჯერ კიდევ არ სურდა, რომ *ქრისტიანი* რქმეოდა. მისი ღვთისადმი ინტერესი თანდათან იზრდებოდა, მაგრამ ჩვევების შეცვლა უჭირდა. ღამით, როცა თვალებს ხუჭავდა, საბინა საკუთარ სიკვდილზე ფიქრობდა, მაგრამ დღისით წარსულის სიამოვნებაზე, რომელიც ცოცხალი და ახალი იყო. ბარებსა და ღამის კლუბებში დროის ტარებას აგრძელებდა. თეატრები უფრო მეტად ხიბლავდა, ვიდრე ეკლესიაში მოსმენილი ქადაგებები. ბავშვობაში მკაცრი აკრძალვების გამო, უჭირდა ნანატრი და საოცნებო ცხოვრების სტილის მიტოვება. ახალგაზრდა და ლამაზი ჯერ კიდევ მოძებნიდა გზას დაკარგული დროის აღსადგენად. ერთ კვირა დილას, რიჩარდმა მსახურებაზე წასვლა შესთავაზა ცოლს. იმედგაცრუებულმა საბინამ ტირილი დაიწყო და ეკლესიის ნაცვლად ფილმის სანახავად წასვლა დაიჟინა.

„კარგი,“ თქვა მან. „წავიდეთ... რადგან მიყვარხარ.“

თეატრიდან თეატრში დადიოდნენ საუკეთესო ფილმის ასარჩევად. შემდეგ, მოულოდნელად, რიჩარდმა ყველაზე ვულგარული ფილმის ბილეთები შეიძინა, ყველაზე გაცვეთილი ფილმი, რაც კი შეიძლებოდა ეპოვათ. საბინა განცვიფრდა. ალბათ მისი რწმენა მოდიდან გადადიოდა. ფილმის დასრულების შემდეგ, ახლომდებარე კაფეში

შეიარეს დესერტისთვის. ნამცხვრის ბოლო ლუკმა ჩაკბიჩა თუ არა, საბინამ ყურებს არ დაუჯერა ისეთი სიტყვები მოისმინა მეუღლის პირით.

„ახლა, წადი სახლში და დაწექი,“ თქვა რიჩარდმა. „ახლა მინდა, რომ ვნახო გოგონა და სასტუმროში წავიყვანო.“

უცბად, თავი მოატრიალა და თვალებიდან ნაპერწკლები გადმოყარა. „რა თქვი?“

რიჩარდმა თვალი გაუსწორა მეუღლის გამოხედვას. „ძალიან მარტივია,“ თქვა მან. „შენ სახლში წადი. მინდა, რომ გოგონა ვნახო და სასტუმროში წავიყვანო.“

„როგორ შეიგიძლია ამის თქმა?“ დაიჩურჩულა და ჩანგალი დააგდო.

„შენ მაიძულე კინოში წასვლა,“ თქვა რიჩრდმა, „და დაინახე რა გააკეთა ფილმის გმირმა. მეც რატომ არ უნდა გავაკეთო იგივე?“

საბინამ წარბი შეკრა, მაგრამ ქმარმა გააგრძელა. „თუ ასეთი ფილმების სანახავად წავალთ ხვალ და ზეგ...“ და მისი სიტყვები ნელი ხმით მიწყდა.

საბინა მიხვდა, რასაც გულისხმობდა ამ სიტყვებით: განა არ უნდა ეცადა რიჩარდს ზუსტად ისეთი გამხდარიყო, როგორი მამაკაცებიც მათ მიერ ნანახ ფილმებში იყვნენ?

„ყოველი მამაკაცი ის გახდება, რასაც უყურებს,“ გამოთქვა მოსაზრება რიჩარდმა. „თუ გინდა, რომ კარგი ქმარი ვიყო, ხანდახან წამოდი ეკლესიაში.“

რიჩარდმა დასკვნა გააკეთა. საბინას უნდოდა, რომ კარგი ქმარი ჰყოლოდა და იცოდა, რომ თვითონაც უკეთესი ცოლი იქნებოდა. აქამდეც მრავალჯერ უღალატია ცოლისთვის და ქორწინების აღთქმაც დაურღვევია, მაგრამ ღმერთში მისმა ახლადაღმოჩენილმა ერთგულებამ გამოიწვია მეუღლისადმი მოულოდნელი ერთგულებაც. რიჩარდი სხვა ქალებთან აღარასოდეს წავიდოდა ამიერიდან და უკვირდა, ნეტავ თვითონაც თუ შეძლებდა ოდესმე ეგოისტურ ცხოვრებასთან მიჯაჭვულობის გაწყვეტას. ქვეყნიერებაზე ჯერ კიდევ იმდენი რამ იყო, რისკენაც მიისწრაფოდა.

ერთ კვირა საღამოს საბინამ დაარწმუნა რიჩარდი, რომ ბუქარესტის ღამის კლუბს წვეოდნენ. ეკლესიაში წასვლის ნაცვლად მისი სურვილების დაკმაყოფილება ხომ ჩვეულ რუტინად ითვლებოდა. წყვილი დარბაზში შესვლისთანავე სიგარეტის კვამლში გაეხვია. ბრენდი და არაყი ისე თავისუფლად ისხმებოდა, როგორც ხმამაღალი დიალოგები ხალხით გადაჭედილ ოთახში. წყვილები ღიად ეხვეოდნენ ერთმანეთს. რიჩარდი თავის ცოლს მიჰყვა ოფლის სუნით აქოთებული ადამიანების ლაბირინთში. მოთენთილმა კაცმა თავი ვეღარ შეიკავა, წაბარბაცდა და საბინას ფეხსაცმელზე სასმელი გადაასხა; შეძრწუნებული ქალი უკან სხვა წყვილს დაეჯახა. რიჩარდი საბინას პატარა მაგიდისაკენ გაუძღვა, სადაც მათი მეგობრები ისხდნენ. მეგობრებთან საუბარსა და სიცილში საბინა სასმელს სვამდა. დიალოგი სწრაფად აეწყო და უცბად მიხვდა, რომ წვეულება ისეთ სიამოვნებას არ ანიჭებდა, როგორსაც მოელოდა. სინამდვილეში, საერთოდ არ ახალისებდა წვეულება.

„მოდი, წავიდეთ, ჩაჰყვირა ყურში რიჩარდს. „შეიძლება წავიდეთ?“

„რატომ?“ კითხვითვე უპასუხა რიჩარდმა. „ახლახან მოვედით.“ დაიჟინა, რომ უხერხული იქნებოდა მეგობრების წინაშე ასე მალე წასვლა.

ჯერ კიდე წინ ელოდათ მთელი ღამის სიამოვნება.

დაახლოებით შუაღამით საბინამ კვლავ ითხოვა წასვლა, მაგრამ რიჩარდმა კვლავ უარი უთხრა. ერთი საათის შემდეგ კიდევ ერთხელ სთხოვა, მაგრამ რიჩარდმა დარჩენის მიზეზი კვლავ იპოვა. ცხოვრებაში პირველად იგრძნო საბინამ თავი ცუდად და ზიზღი მოერია. მთელი საღამოს განმავლობაში ოდნავადაც კი არ უგრძვნია სიამოვნება. რიჩარდმა როგორც იქნა დააკმაყოფილა მისი თხოვნა და ხალხმრავალი ოთახიდან გარეთ გამოუძღვა. კარი გააღეს და საღამოს სუფთა ჰაერი ჩაისუნთქეს. მთვარე ცის შუაგულში იყო და კაშკაშებდა, მისი სინათლე ღამის წყვდიადში ისე იჭრებოდა, რომ ასეთი რამ საბინას არასოდეს შეუნიშნავს.

თავი 7

„რიჩარდ,“ თქვა მან, „პირდაპირ ხუცესის სახლში მივდივარ აქედან და უნდა ვთხოვო, რომ მომნათლოს. ნათლობა ემსგავსება ამ ჭუჭყისაგან განბანვას!“

რიჩარდმა გაიცინა. „ამდენ ხანს ელოდი და შეგიძლია ხვალ დილამდეც მოიცადო. მოდი, დავაძინოთ საწყალი ხუცესი.“

საბინას ხელი ჩაავლო და თავაზიანად წაუძღვა. კლუბი მათ უკან მოეფარა თვალს.

*****

მეორე დილით რიჩარდმა მეუღლე ბუქარესტის ანგლიკანურ მისიაში წაიყვანა და ხუცესი ადენსი და ხუცესი ელისონი გააცნო. ეს ორი ადამიანი განსხვავებული მოეჩვენა საბინას. ორივეს ყველაფერი მიუტოვებია იმისათვის, რომ იესო ქრისტეს გაჰყოლოდნენ და ისეთ მოწადინებას იზიარებდნენ ქრისტიანობაში, როგორსაც რიჩარდში ხედავდა. უკვირდა, როგორ შეძლეს წარსულ ცხოვრებას ჩამოშორება. საბინა ისმენდა მათ ისტორიებს და გული კიდევ ერთხელ გაუთბა. გადაშალეს ბიბლიები და განუმარტეს იმ სისრულის შესახებ, რომელსაც ღმერთი სთავაზობდა ყველას, ვინც მზად იყო რწმენისთვის. ქრისტეს არ უნდოდა მისი *ნაწილი*, მას *სრულად* უნდოდა საბინა. ღმერთს სურდა, რომ გამოესყიდა იგი მისი წარსულიდან, ყოველი სინანულისა და მწუხარებისაგან. იცოდა საბინამ რა ახლოს იყო თვითმკვლელობასთან და ამ ორი ადამიანის საუბრისას იგრძნო, როგორ ივსებოდა მასში არსებული სიცარიელე ჭეშმარიტებით. მათ აუხსნეს, რომ იესოს პირადად ცნობას შეეძლო გადაუჭრელი პრობლემების მოგვარება და მშვიდობის მოტანა მათ ცხოვრებაში. ღმერთს შეეძლო მისთვის ახალი გულის მიცემა, განახლებული გულის, განახლებული სურვილების. ქრისტე სთავაზობდა, რომ შთანთქავდა მის ყოველგვარ ჭუჭყს და ღვთიური სამართლიანობით შეცვლიდა. ღმერთს შეეძლო მისი ჩამოშორება ამქვეყნიური სასიკვდილო სურვილებისგან და ხანგრძლივი მნიშვნელობის შეძენა მისი ქორწინებისთვის.

საბინას უნდოდა, რომ ღმერთი ერწმუნა, მისი, ვინც შეძლებდა ამ ყველაფრის შესრულებას, ქრისტესი, რომელსაც მისი გარდაქმნა და გათავისუფლება შეეძლო. ბოლოს და ბოლოს უნდოდა მინდობოდა იმ ერთადერთს, რომელსაც სრულყოფილად და უცვლელად ეყვარებოდა. სახარება ხშირად ეწინააღმდეგებოდა მის სურვილებს, მაგრამ ახლა არ შეეძლო ღამის კლუბში მიღებულ განცდებთან შეწინააღმდეგება. საბოლოოდ დაინახა უზნეობა, რაც სხვა თუ არაფერი, სიცარიელე იყო. ცოდვა კარგავდა მაცდუნებელ ძალას და ამიერიდან საბინა მის საკუთრებაში აღარ ექცეოდა. ერთხელ და სამუდამოდ, საბინა მზად იყო საკუთარი თავი იესო ქრისტესთვის მიეძღვნა. ამიერიდან ადგილი აღარ ექნებოდა უაზრო საქციელს, თრობაში გატარებულ საღამოებს, თვითმკვლელობაზე ფიქრებს. საბინამ აღიარა ქრისტე და მეორე დღეს მოინათლა.

მომდევნო თვეების განმავლობაში მას არ შეეძლო ბედნიერების დამალვა. ყველას, ვისთანაც ხელი მიუწვდებოდა, უზიარებდა რწმენის აღმოჩენის შესახებ. სიცოცხლემ და სიკვდილმა საბოლოოდ აზრი შეიძინა. წარსულ ცხოვრებასთან სრული ჩამოშორება გახლდათ შემდეგი ნაბიჯი. უარი განაცხადა ძველ ცხოვრებაზე, აღარასოდეს დაუბრუნდებოდა მას. რიჩარდმა აუხსნა, რომ ქრისტეს გაყოლას საზღაური ექნებოდა. შესაძლოა, საშიშიც კი ყოფილიყო, მაგრამ საბინა მზად იყო რისკისთვის. ბუქარესტში მუშაობისას საბინამ საუკეთესო მეგობარი, ებრაელი გოგონა, გვერდზე გაიხმო და სახარება გაუზიარა. საბინას თვალები უბრწყინავდა იმის ახსნისას, თუ როგორ შეცვალა ამ ყველაფერმა მისი გული, მაგრამ რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა, მით უფრო ნაკლებად უსმენდა მეგობარი.

გოგონამ საბინასგან შორს დაიხია და თავი გაიქნია. „ახლა კი საბოლოოდ დაგკარგე!“ თქვა მან.

სიტყვები ნესტარივით იჩხვლიტებოდა, მაგრამ საბინას ესმოდა მისი წინააღმდეგობის. ერთხელ ისიც ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, იუდაიზმის მიუწვდომელ კანონებსა და სიცოცხლის მომნიჭებელ ჯვარს შორის.

თავი 7

უკმაყოფილების გამო რწმენის გაზიარებას ვერ შეწყვეტდა. საბინა ყოველ კვირას დადიოდა ეკლესიაში ქმართან ერთად, ხარობდა ახალ მეგობრებთან ურთიერთობით, ძველი ცხოვრების ყალბი ურთიერთობებისგან განსხვავებით. ქადაგებები მის გულს ეხებოდა და ძველ მოუსვენრობას იმორჩილებდა. რიჩარდის რწმენაც იზრდებოდა. საბინას მოსწონდა მისი მიზნები და ფიქრობდა, ნეტავ საით წაუძღვებოდათ ეს ყველაფერი.

ერთ დღეს სამსახურიდან სახლში დაბრუნებულ რიჩარდს სახე ენთუზიაზმით უბრწყინავდა. ქალი დააინტერესა აღფრთოვანების მიზეზმა, მაგრამ მოსასმენად ჯერ მზად არ აღმოჩნდა.

რიჩარდს ხუცესობა სურდა.

8

ნაციზმის დამპყრობლური შავი ღრუბელი გადაეფარა რუმინეთს მცირე ხნით, მაგრამ 1939 წელს, პოლიტიკური კლიმატი აუტანელი გახდა, რადგან ქვეყანა ადოლფ ჰიტლერის რკინის ფარდას შეეჯახა. ებრაელები განაწყენდნენ გერმანელი დიქტატორის დაწინაურებით და შიშობდნენ, რომ ეს ფაქტი ხელშესახებად საკმარისი იყო იმისათვის, რომ ერი აღეგავათ პირისაგან მიწისა. დევნასთან დაკავშირებული ჭორები, ყველა ებრაელი ოჯახის ვახშამზე სალაპარაკო, მთავარ თემას წარმოადგენდა, ვურმბრანდების ჩათვლით.

რთული წელი იყო ახლადდაბადებული ბავშვის ქვეყანაზე მოსავლენად, მაგრამ ღმერთმა უპასუხა რიჩარდისა და საბინას ლოცვებს. მიუხედავად იმისა, რომ ერთ დროს უარს ამბობდნენ ბავშვის გაჩენაზე, ახლა სიხარულით ხელგაშლილები შეეგებნენ პირველი ვაჟის ქვეყანაზე მოვლენას და მიხეილი დაარქვეს.

„შენსავით შავია,“ უთხრა ქმარმა საბინას, „და ლამაზი.“ ცელქმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე რიჩარდს. „მაგრამ მარტო ტირის, როდის იქნება, რომ რაღაც ჭკვიანურს იტყვის?“

რიჩარდმა ბავშვს აკოცა და ცოლს მკლავები შემოხვია. ვურმბრანდებს, რომელთაც ეშინოდათ, რომ ბავშვები თავისუფლად დროის ტარებაში ხელს შეუშლიდნენ —ისეთ ცხოვრებაში, რომელიც იზიდავდათ —ახლა ბავშვი უდიდეს სიხარულს ანიჭებდათ. რიჩარდი ამ დიალოგამდე არც კი დაფიქრდებოდა, ისე დაშორდებოდა ცოლს ცხოვრების სტილის შეცვლის გამო, მაგრამ ახლა ახლადშობილი ვაჟის მოვლინებამ,

ხაზგასმით წარმოაჩინა მათში არსებული სულიერი ცვლილება. რიჩარდმა სიხარულით აიღო მამობის პასუხისმგებლობა.

*****

რამდენიმე თვის შემდეგ, ქალაქის სხვა ნაწილში, ცხრა კაცი იწვა იატაკზე დამხობილი მართლმადიდებლურ ეკლესიაში. მათი სხეული ჯვრის ფორმას გამოსახავდა და მკვლელობის გეგმის სისრულეში მოსაყვანად ემზადებოდნენ. მკვლელები - გესტაპოს მიერ გაწვრთნილი ადვოკატი, რამდენიმე ახალგაზრდა ფანატიკოსი და იდეის ავტორები, რომელთა სტრატეგიითაც იხელმძღვანელებდნენ თავდასხმისას - დიდი დაკვირვების შემდეგ შეარჩიეს ფაშისტებმა გერმანიიდან, იტალიიდან და რუმინეთიდან. სიკვდილით დამსჯელთა რაზმის წინაშე იდგა არმანდ კალინესკუ, რუმინეთის ახალი პრემიერ მინისტრი, რომელსაც მხოლოდ ექვსი თვე ჰქონდა გატარებული ოფისში, მაგრამ მისმა ხელმძღვანელობამ უკვე პრობლემები მოუტანა რკინის დაცვას.[1] ახლა, 1939 წლის 20 სექტემბერს, ემზადებოდნენ მომდევნო მკვლელობისთვის.

*****

ნაცისტების მიერ რუმინეთის ოკუპაციისას, რკინის დაცვა მართლმადიდებლური ეკლესიის წევრებს საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებდა პოლიტიკურ მაქინაციებში. 1939 წლის 21 სექტემბრის დილას, მკვლელებმა წარმატებას მიაღწიეს და სიცოცხლეს გამოასალმეს პრემიერი კალინესკუ,

[1] რკინის დაცვა იყო ფაშისტური ორგანიზაცია რუმინეთში, რომელიც სოციალურ და პოლიტიკურ გავლენას ატარებდა ქვეყანაში. ეს მოძრაობა დაიწყო 1920 წელს და 1941 წელს დასრულდა. ჯგუფი ანტისემიტურ მიზნებს ისახავდა და ძირითად ყურადღებას ერებზე ამახვილებდა. იხილეთ ენციკლოპედია Britannica Online, S. V. “Iron Guard,” accessed September 20, 2017, WWW.britannica.com/topic/Iron-Guard.

როდესაც ბუქარესტის ქუჩებში მძღოლის დახმარებით გადაადგილდებოდა, კოტროსენის სასახლეში დაბრუნებისას. მისი მძღოლიც და დაცვაც მოკლეს და ოცამდე ტყვია ამოიღეს კალინესკუს უსიცოცხლო სხეულიდან. ამ დროს რკინის დაცვა ჰიტლერის პროტექციით მანევრირებდა, გენერალი იან ანტონესკუს ძალაუფლება ხელთ ეპყრა. მეფე კაროლის გადადგომის შემდეგ, ირონ გურარდი, რუმინეთის ოპოზიციის ლიდერი, აიძულეს მისივე ვაჟის, მიხეილის, სასარგებლოდ გადამდგარიყო, რომლის ნაცვლად ფაქტობრივად დიქტატორი ანტონესკუ მართავდა რუმინეთს. რკინის დაცვამ თავსატეხის ბოლო ფიგურა თავის ადგილზე დასვა.

მწვანეფორმიან სამხედროებს შეეძლოთ თავისუფლად გასწორებოდნენ მათი ძალაუფლების მოწინააღმდეგეებს. ებრაელები, კომუნისტები და პროტესტანტები, ყველანი მათ მახეში ხვდებოდნენ განურჩევლად და რუმინეთის ქუჩებში მკვლელობები გახშირდა. რკინის დაცვა ვურმბრანდების მისიას ბუქარესტში ღალატს აბრალებდა და რიჩარდი ყოველდღიური მუქარის მსხვერპლი გახდა. ერთ კვირა დილას, მსახურების დროს, დარბაზში ჩუმად შემოსული მწვანე უნიფორმაში გამოწყობილი ჯარისკაცები შენიშნა. მრევლი წინ იყურებოდა და ვერ ხედავდა მათ უკან რა ხდებოდა, მაგრამ რიჩარდმა დაინახა, რომ ჯარისკაცებს რევოლვერები ეჭირათ ხელში. თუ ეს მისი უკანასკნელი ქადაგება იქნებოდა, უმჯობესი იყო კარგად ექადაგა. რიჩარდმა იესო ქრისტეს ხელებზე ისაუბრა. მან იესოს ხელები დახატა სხვებისათვის ცრემლის მომწმენდად, ბავშვებზე მზრუნველად და მშიერის დამპურებლად. მან თქვა, რომ მხსნელის ხელები ავადმყოფებს კურნავდა, ჯვარზე ხელებგაკრული და მოწაფეები აკურთხა ზეცაში ამაღლებამდე. შემდეგ რიჩარდი შეჩერდა და ბიბლიიდან თავი მაღლა ასწია. დარბაზში მსხდომთ შეხედა და ხმამაღლა თქვა: „მაგრამ თქვენ! რა გააკეთეთ თქვენი ხელებით?“ ეკლესიის წევრებმა გაოცება გამოხატეს. მათ ლოცვის წიგნები ეჭირათ ხელში. რას გულისხმობდა ხუცესი? რიჩარდმა ფოლადისებური ხმით გააგრძელა თავისი ტირადა:

„თქვენ კლავთ, სცემთ და აწამებთ უცოდველ ხალხს! თქვენ თავს ქრისტიანებს უწოდებთ? განიწმინდეთ ხელები, ცოდვილნო!“ ეკლესიაში, უკან, რკინის დაცვის ჯარისკაცები ისხდნენ. მათმა რეაქციამ მიიქცია დამსწრე საზოგადოების ყურადღება, იარაღით ხელში იდგნენ რიჩარდის მსახურების გასრულებამდე.

როცა თითქმის მთელი ეკლესიის ემოციურმა გამოძახილმა აავსო შენობა, რიჩარდმა კათედრა მიატოვა და ფარდის მიღმა გაუჩინარდა. უკნიდან ყვირილის ხმა მოესმა: „სად არის ვურმბრანდი? დაიჭირეთ!“ რიჩარდი პატარა კარში გაძვრა და კარი მიიკეტა. საიდუმლო გასასვლელი წლების წინ ჰქონდათ გათვალისწინებული, რადგან იმ დღეს ელოდნენ, როცა ეს გასასვლელი რიჩარდის სიცოცხლეს გადაარჩენდა. კარიდან გზა მეზობელ ქუჩაში, ბუქარესტის ხალხმრავალ ბულვარში გადიოდა.

ომი გრძელდებოდა, ქრისტიანული დენომინაციის უმცირესობის მრავალი წარმომადგენელი დახვრიტეს ან იძულებით საკონცენტრაციო ბანაკებში გააგზავნეს ებრაელებთან ერთად. ომის წლებში რიჩარდი ნაცისტებმა სამჯერ დააპატიმრეს. სასამართლოს, დაკითხვებს, ცემასა და პატიმრობას თან სდევდა წინასწარმეტყველური კომუნისტური რეჟიმის სისასტიკე.

*****

რიჩარდმა ქორწინებამდე გააფრთხილა საბინა, „ბევრჯერ დაიტანჯები ჩემთან ერთად.“ და მეორე მსოფლიო ომის ციებ-ცხელებაში, მისი გაფრთხილება რეალურად იქცა. ებრაელთა ანგლიკანურ მისიასთან შეერთების შემდეგ, ბუქარესტში ვურმბრანდებმა ომისგან განადგურებული ოჯახების დახმარება დაიწყეს. ისინი ებრაელ ობოლ ბავშვებს იფარებდნენ გეტოებიდან. რიჩარდი ყოველდღე ბომბისაგან თავდასაცავ თავშესაფრებში ქადაგებდა, აორგანიზებდა პროგრამებს უნგრელი ბოშების დასახმარებლად, მონაწილეობას იღებდა საიდუმლო ქრისტიანულ ღონისძიებებში და ეს ყველაფერი არალეგალური იყო.

ჰიტლერის მმართველობის ქვეშ მარიონეტმა გენერალმა ანტონესკუმ, რუმინეთის ფაშისტმა, ებრაელთა დევნის ახალი ტალღა წამოიწყო. ვურმბრანდებს უფრო პატარა ბინაში გადასვლა აიძულეს, რათა გამოეცადათ დაცინვა და აბუჩად აგდება ძალმომრეობრივი ანტისემიტური სამეზობლოდან. მათი ბინის შიდა ეზოში, ანტიებრაული პოსტერები და პროპაგანდისტული წარწერები იყო გამოკრული. არ არსებობდა გზა ეროვნული მტკიცებულების უარყოფისა, რადგან სიტყვა ებრაელი ჰქონდათ შტამპით ჩარტყმული პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში. ებრაელებისადმი სიძულვილი მეტასტაზებივით გაუჯდა მთელს ევროპას და თვით ქრისტიანებს შორისაც კი გავრცელდა, რომელთაც არ უარყვეს ქვეყანაში გავრცელებული ებრაელი ერის ფობია. ევროპაში მცხოვრები ცხრა მილიონიდან, ნაცისტებს ხუთიდან ექვს მილიონამდე ებრაელი უნდა გაენადგურებინათ. მიუხედავად ამისა, რიჩარდი კარდაკარ დადიოდა ანტისემიტებთან ურთიერთობების აშენებისა და სამეზობლოში ქრისტეს სიყვარულის გაზიარების მიზნით. მან სტრატეგიული მეგობრობა დაამყარა, პირველ რიგში, ბინის მეპატრონესთან და შემდეგ, ბინის გარშემო მცხოვრებ მეზობლებთან. რიჩარდის ლინგვისტურმა უნარმა, მისმა ბუნებრივმა ქარიზმამ და გონებამახვილობამ იმდენივე გულის კარი გახსნა, რამდენმაც კარი გაუღო. ბატონმა პარვალესკუმ, რომელიც მესამე სართულზე ცხოვრობდა, ერთხელ რიჩარდს უთხრა: „ებრაელებს არასოდეს კარგი არ გაგიკეთებიათ!“ რიჩარდმა უპასუხა: „მშვენიერი საკერავი მანქანა. ვინ გააკეთა? ზინგერი! მოიცადეთ... განა ებრაელმა არ გამოიგონა? ბატონო პარვალესკუ, თუ ფქრობთ, რომ ებრაელები ასეთი უსარგებლოები არიან, მაშინ თავიდან უნდა მოიშოროთ ეგ საკერავი მანქანა!“

ქალბატონი გეორგესკუ, შუახნის ანტისემიტი, ხშირად ახსენებდა საუბარში სიძულვილით „ეს ებრაელები.“ რიჩარდმა უსმინა ამ ქალბატონის ტანჯვას, რომელმაც ცოტა ხანში გული გადაშალა. იმ დროსთან დაკავშირებულ წუხილზე ისაუბრა,

როცა მისმა მეუღლემ ოჯახი მიატოვა და გაიხსენა, როგორ წუხდა ვაჟის აღზრდაზე, რომელიც ველური და აღვირახსნილი ცხოვრებით ცხოვრობდა. დედა დარდობდა, რომ შვილი ვენერიულ დაავადებას აიკიდებდა. „მაგრამ ასეც რომ მოხდეს," დაარწმუნა რიჩარდმა ქალბატონი, „ამ დაავადებების განკურნება ახლა შესაძლებელია და სხვათა შორის, ამის წამალიც ებრაელებმა გამოიგონეს."

რიჩარდის მეზობლები მოჯადოვებულები იყვნენ ახალი, ლურჯთვალება მეზობლით, კარგად მოლაპარაკე ხუცესით, რომელმაც მათი გაცინება შეძლო. ყველაზე უხეში მეზობელიც კი, რომელიც ლოთი პოლიციელი იყო და ცოლს ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა, ვერ გაექცა რიჩარდის სიკეთესა და მეგობრობას. რიჩარდთან ურთიერთობამ მისი გულის ცვლილება და მეგობრული საუბრები გამოიწვია. მოგვიანებით, რიჩარდი ნებას რთავდა პოლიციელს, მიხეილი დიდი ხნით წაეყვანა მოტოციკლით სასეირნოდ, რაც ექსტრემალურად იშვიათი პრივილეგია გახლდათ ებრაელი ბიჭისთვის ომის დროს. შემაძრწუნებელი საჰაერო განგაშისას, როცა არალეგალური იყო ებრაელისთვის ქალაქგარეთ გასვლა, პოლიციელს მიხეილი სოფლად მიჰყავდა საშიში ადგილიდან თავის დაღწევის მიზნით. თუ დაიჭერდნენ, პოლიციელმა დაარიგა მიხეილი, მას უნდა ეთქვა ჯონ მ. ვლადი მქვიაო.

რიჩარდის თავაზიანმა და თანამგრძნობმა ხასიათმა თანდათან სხვა მეზობლების ნდობაც მოიპოვა. ყოველდღიურად, დაუღალავად, მუშაობდა სამეზობლოში ებრაელების მიმართ მიკერძოებული შეხედულებების გასაქარწყლებლად და რწმენის გასაზიარებლად. ერთ დროს სიძულვილით სავსე ვურმბრანდების სამეზობლო ახლა მეგობრულ, ერთმანეთის მხარში მდგომ და მშვიდობიან ადგილად გადაიქცა. შიდა ეზოში, ბიბლიის გამონათქვამებმა შეცვალა ანტისემიტური ლოზუნგები. თუმცა ჯოჯოხეთი მძვინვარებდა გარეთ, მიხეილი სიყვარულისა და მეგობრობის გარემოცვაში იმყოფებოდა და წარმოუდგენელ ბედნიერებას

განიცდიდა. უდროობის მიუხედავად, რიჩარდი არასოდეს დაუშვებდა, რომ მიხეილთან არ ეთამაშა და სათავგადასავლო ისტორიები არ ეამბა.

*****

მრავალი რუმინელი სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებდა, ან საერთოდ ყურადღებას არ აქცევდა ებრაელთა დევნის საკითხს, რამაც ათასობით ადამიანის სიკვდილით დასჯა გამოიწვია, რომელთა დახსნაც შესაძლებელი იყო. რიჩარდი და საბინა თვალს არ არიდებდნენ ამ ფაქტს. ისინი პიროვნულად განიცდიდნენ საკუთარი ერის ტანჯვას და ცხარე ცრემლით მოსთქვამდნენ მათ ბედზე, ვინც ჰოლოკოსტის საშინელებას ემსხვერპლა. მათ საკუთარი სიცოცხლეც კი გასწირეს ებრაელების გადასარჩენად. შვიდი ახალგაზრდა გოგონა, რომლებიც სოფელ ტასიში ხოცვა-ჟლეტას გადაურჩნენ, ვურმბრანდებმა ბუქარესტში მატარებლით ჩამოიყვანეს. მატარებლის დანიშნულების ადგილზე მისვლამდე, რიჩარდმა და საბინამ შეძლეს ობლების უსაფრთხო ადგილზე გადამალვა. ამას სხვა საშიში მისიების შესრულებაც მოჰყვა, რამაც ვურმბრანდების დაჭერა და ციხეში ჩასმა გამოიწვია. ხშირად სდებდნენ ბრალს ვურმბრანდებს, არალეგალური რელიგიური შეხვედრების მოწყობაში. დაცვა ხშირად მანამდე სცემდა, ვიდრე ბრალდებულებს ნაცისტური სასამართლოს წინაშე თავის მართლების შესაძლებლობა მიეცემოდათ.

ერთხელ, რუმინელი ქალბატონი შემოვარდა იმ პოლიციის სადგურში, სადაც რიჩარდი და საბინა ჰყავდათ დაკავებული. „თქვენ ჩემი ებრაელი ძმები გყავთ აქ დაკავებული,“ თქვა მან. „ჩემთვის პატივი იქნება მათთან ერთად ტანჯვა.“ პოლიციელმა ქალბატონს სურვილი შეუსრულა, ახალგაზრდა წყვილის სხვა მრავალი მხარდამჭერის სურვილებთან ერთად. სასამართლოზე ბევრი ადამიანი მოდიოდა ჩვენების მისაცემად, როგორც ხუცესი ფლეშერი, გერმანელი ბაპტისტი, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე

სასწორზე დადო რიჩარდისა და საბინას გათავისუფლებისთვის ჩვენების მისაცემად.

1940 წელს რუმინეთსა და ბრიტანეთს შორის ურთიერთობა დაიძაბა და ბუქარესტში მსახური ანგლიკანები იძულებულები გახდნენ ქალაქი დაეტოვებინათ. რიჩარდი, რომელიც მდივნად მუშაობდა მამა ჯორჯ სტივენსთან, ინგლისის ეკლესიის მისიის ხელმძღვანელთან, იძულებული გახდა მარტოდმარტო გაეგრძელებინა მსახურება. ომის დასასრულს, დაახლოებით ხუთი წლის შემდეგ, რიჩარდმა გადაწყვიტა ახალ, ქრისტიანულ, მიმდინარეობას შეერთებოდა. ის ფიქრობდა მართლმადიდებელი გამხდარიყო. მართლმადიდებლობას უამრავი ტრადიცია ახლდა თან, რასაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მისდევდა, მაგრამ ბოლოს უარი განაცხადა მათი გარეგნული მსახურების ფორმებზე, რიტუალებსა და პომპეზურობაზე. ასევე, უარი განაცხადა რომაული კათოლიციზმის მიღებაზე, ანალოგიური მიზეზის გამო და განსაკუთრებით არ მოსწონდა ლათინური ენის გამოყენების პრაქტიკა მსახურებაში. მისი აზრით, ეს სტილი მხოლოდ სახეს უცვლიდა ბიბლიას. მეორე მხრივ, რიჩარდს მოსწონდა პროტესტანტების უბრალოება და მსახურება, რაც მთავარ ყურადღებას ბიბლიის ქადაგებას აქცევდა. იგი მოხიბლული იყო მეთექვსმეტე საუკუნის პროტესტანტი რეფორმატორით, მარტინ ლუთერითა და მისი მემკვიდრეობით, ამიტომაც ლუთერან ხუცესად კურთხევა გადაწყვიტა. მას მოსწონდა ლუთერის პირდაპირი, ვნებით აღსავსე, ქადაგებები და მისი უცვლელი პირობა, რომ ქრისტე საზოგადოებისთვის გაეცნო, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი. ორივეს იმდენად სჯეროდა სახარებისეული ძალის, რომ დენომინაციურ ბარიერზე მაღლა დამდგარიყვნენ. იმ დროის ახალი რელიგიური ორგანიზაციის დაფუძნებას ლუთერი ომს უცხადებდა, თუმცა ლუთერის სიჯიუტემ, ისევე როგორც რიჩარდისამ, დასაბამი მისცა დატყვევებულ სულიერ სიცოცხლეს ღვთის სიტყვის მეშვეობით. ლუთერისთვის ხსნა იყო მადლით და არა საქმეებით. იცნობდა რა საკუთარ შინაგან

ცოდვილ ბუნებას სიღრმისეულად, რიჩარდი მიხვდა, რომ არავის შეეძლო ყოფილიყო საკმარისად კარგი ან საკმარისად წმინდა, რომ ხსნა დაემსახურებინა. რიჩარდს მძაფრი სურვილი ჰქონდა ანალოგიური სულიერი გამოღვიძების ხილვისა, ისეთის, როგორიც ლუთერმა იხილა ევროპაში პროტესტანტიზმის რეფორმაციის დროს. და, თუ ლუთერს გაუწიეს წინააღმდეგობა, რიჩარდსაც უნდა გამოეცადა დაჭერა, დევნა მთავრობის მიერ, გატაცება და განმარტოებით ციხეში ჩასმა.

რიჩარდმა ქადაგებით მთელ ქვეყანაში მოიპოვა პოპულარობა და მისმა ლუთერანმა მრევლმა, ძირითადად ებრაელი ახლადმოქცეულებისაგან რომ შედგებოდა, ათასს მიაღწია. ის მსახურებისთვის ყველგან დადიოდა: ციხეში, ბორდელებსა და ბარებში; თანამშრომლობდა ნორვეგიულ, შვედურ და ბრიტანულ მისიებთან; მსოფლიოს ეკლესიათა შორის მრჩეველთა საბჭოს წევრი იყო; მნიშვნელოვანი როლო ითამაშა რუმინეთის იატაკქვეშა ეკლესიის მოძრაობის დაარსებაში. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, რიჩარდს დაბეჭდილი და გავრცელებული ჰქონდა ასობით ათასზე მეტი რუსული ახალი აღთქმა რუმინეთში მცხოვრებ რუს ჯარისკაცებს შორის.

ის ღიად გამოხატავდა ამ შესაძლებლობისათვის მადლიერებას ღვთისადმი, ლოცულობდა: „ო, უფალო, როგორ შეიძლება გამოვხატო მადლობა იმისთვის, რომ ნაცემსა და დამცირებულ ადამიანებში ვარ შენი მადლით და არა მათ შორის, ვინც სცემს და ამცირებს?“

*****

ხუთი წლის განმავლობაში, ვურმბრანდები ნაციზმის აგრესიულ დევნასა და წინააღმდეგობას განიცდიდნენ. ციხეში ჩასმადაიქიდანთავისდაღწევაზეგამუდმებულიფიქრი.რიჩარდი და საბინა ერთხელ კინაღამ სიკვდილით დასაჯეს. რუმინეთის სამხედრო სასამართლოს მიერ მოწყობილი ტრიბუნალის დროს, განაჩენის სისრულეში მოყვანამდე რამდენიმე საათით

ადრე, რუმინეთის ყველაზე ცნობილი გაზეთის მთავარმა რედაქტორმა საქმე ისე მოაწყო, რომ ცნობილი რელიგიური წინამძღოლებისაგან გამოწვეული ზეწოლით, ვურმბრანდები გაეთავისუფლებინათ. სხვა მოქალაქეებმა და პოლიტიკურმა პირებმაც საკუთარი რეპუტაცია საფრთხის ქვეშ დააყენეს მათ დასახმარებლად. შვედეთის დიპლომატის, რეუტერშვარდის, გაუთავებელმა ჩარევამ დაარწმუნა სასამართლო, რომ რიჩარდი არ გაატარებდა თავის ცხოვრებას ნაცისტური რეჟიმის გისოსებს მიღმა. დიპლომატის მნიშვნელოვანმა გავლენამ გენერალ ანტონესკუზე რიჩარდის გათავისუფლება გამოიწვია, მას შემდეგ, რაც დააკავს და შრომით-გამოსასწორებელ კოლონიაში მუშაობა აიძულეს.

1944 წლის 23 აგვისტოს, სამხედრო პოლიტიკური ჯგუფი, რომელიცარასრულწლოვანიმეფემიხეილისხელმძღვანელობას ემორჩილებოდა, მამაცურად შეეწინააღმდეგა გენერალ ანტონესკუს, რომელიც ეფექტურად ასრულებდა დავალებას და ნაცისტურ გერმანიასთან წარმატებით თანამშრომლობდა. მოსკოვში შეხვედრა შედგა ომის შემდეგდროინდელი მსოფლიოს მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით. უინსტონ ჩერჩილი და იოსებ სტალინი მაგიდასთან პირისპირ ისხდნენ კრემლის სასახლეში.

„მას შემდეგ, რაც ბრიტანეთი და რუსეთი დაინტერესებულია," დაიწყო ჩერჩილმა, „რას იტყოდით რუმინეთის 90 პროცენტი რომ ჩაგეგდოთ ხელში[2]. ჩვენ საბერძნეთის 90 პროცენტი და ორმოცდაათ-ორმოცდაათი პროცენტი იუგოსლავიისა ?"[3]

ჩერჩილმა წერილობითი ფორმა მისცა ამ შეთავაზებას და მცირე ხნის ფიქრის შემდეგ, სტალინმა ლურჯი მელნით თანხმობის ნიშნად ხელი მოაწერა. მალე ერთი მილიონი რუსი გადაიყვანეს რუმინეთში საცხოვრებლად და ქვეყანაში მოულოდნელად გამოჩნდა ახალი მოკავშირე."

---

[2] წყარო ახსენებს სიტყვას „რომანია."

[3] იოსებ მ. სირაკუსა, „სტალინისა და ჩერჩილის მიერ ევროპის გაყოფის ღამე: The view from Washington," Review of Politics 43, no. 3 (July 1981): 381.

*****

საბჭოთა მოსახლეობა უპრეცენდენტო სიშმაგით შეიჭრა ბერლინში, ნაციზმზე მკაცრი შურისძიების მიზნით, რომლის პირობებშიც გააუპატიურეს, აწამეს და გაძარცვეს ხალხი. მეორე მსოფლიო ომმა მსოფლიოს მოსახლეობის 3 პროცენტი იმსხვერპლა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თითქმის ნახევარი მილიონი ადამიანი დაკარგა; გერმანელებმა დაახლოებით შვიდი მილიონი სიცოცხლე, მაგრამ საბჭოთა დანაკარგი ორივე, ზემოთ აღნიშნული, ქვეყნის დანაკარგის საერთო ჯამს ბევრად აღემატებოდა - ოც მილიონ ადამიანზე მეტი.

საბინა ოცდათერთმეტი წლისა იყო, როდესაც ადოლფ ჰიტლერმა თავი მოიკლა ბუნკერში, მას შემდეგ, რაც ბერლინთან ომი წააგო. იმ დროს მიხეილი მხოლოდ ექვსი წლის იყო. ცემა, რასაც საბინა და რიჩარდი იტანდნენ ნაცისტებისაგან საშინელი იყო, მაგრამ უღიმღამოდ გამოიყურებოდა იმასთან შედარებით, რა სისასტიკითაც კომუნისტები მოექცეოდნენ. კომუნისტები მოაწყობდნენ იმაზე დიდ სისხლისღვრას, ვიდრე მსოფლიოს ოდესმე უხილავს, დაახლოებით ერთი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს. უფრო მეტიც, ჰიტლერის მმართველობისგან განსხვავებით, ვინც შემწყნარებლობას იჩენდა სახელმწიფო რელიგიის მიმართ და თვითონაც ქრისტიანობაზე დებდა თავს, კომუნისტების მიერ კონტროლირებად რუმინეთში რელიგიის ადგილი არ იყო. იოსებ სტალინი, ვინც მარქსისტული რწმენის იყო, ქრისტიანობას მიიჩნევდა მთავრობის მტრად, ძირფესვიანად განადგურების საშიშროებად. ქრისტიანები მიზანში ამოიღეს, აწამებდნენ და ისეთი ფორმით სჯიდნენ სიკვდილით, როგორი საშინელებაც ნაცისტების ხელშიც კი არ გამოუვლიათ.

უფალმა მოამზადა რიჩარდი და საბინა მოსალოდნელი საშინელებისთვის. რუმინეთის ნაცისტებისაგან კონტროლირებად ნაწილში ცხოვრებამ, შეამზადა ისინი ქრისტიანული მოვალეობის საიდუმლო პირობებში გავრცელებისათვის. მათ ისწავლეს იმ ადამიანების ამოცნობა, ვისი ნდობაც შეიძლებოდა საიდუმლო

ინფორმაციისთვის. ამასთანავე, სიყვარულით დაძლიეს ეთნიკური სიძულვილის გავლენა. ვურმბრანდებმა სულიწმინდის დახმარებით, ისწავლეს როგორ აეტანათ ნებისმიერი სახის წამება და როგორ ეპატიებინათ მტრისთვის. მნიშვნელობა არ ჰქონდა რამდენად აუტანელი იყო დამცირება, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური შეურაცხყოფა მტრისგან; ყველაფერი უნდა აეტანათ და ჰყვარებოდათ ისინი, ვინც ამ საშინელ ტკივილს აყენებდათ. ქრისტე მათთვის ეტანჯა და მათთან ერთად იქნებოდა; დაეხმარებოდა, როცა მის გამო ზიანს მიაყენებდნენ.

9

ომმა საკმარისად მისცა ადამიანებს შესაძლებლობა მათი მწამებლების პატიებისთვის. როდესაც რუმინეთი პირველად ჩაება ომში, ათი ათასობით ებრაელი მოკლეს და გადაასახლეს. მარტო ქალაქ იასიში თერთმეტი ათასი ადამიანი მოკლეს ერთ დღეს. რიჩარდი და საბინა ბუქარესტში ცხოვრობდნენ 1939 წელს, ამიტომ ისინი გადარჩნენ, მაგრამ საბინას ებრაელი მშობლები, სამი და, უმცროსი ძმა და სხვა ნათესავები, რომლებიც ბუკოვინაში ცხოვრობდნენ, ერთად გადაასახლეს ტრანსნისტრიაში, საბჭოთა კავშირის მიერ გავერანებულ პროვინციაში, საზღვართან.[1] ტრანსნისტრიამდე მგზავრობისას, ღალატის გამო მრავალი ადამიანი სიცოცხლეს გამოესალმა. შიმშილი, დამცირება და სასტიკად დასჯა დახვდათ ადგილზე ჩასულებს. გამანადგურებელმა გენოციდმა იმსხვერპლა საბინას ოჯახის ყველა წევრი ტრანსნისტრიაში. როდესაც რიჩარდმა საბინას ეს უბედური ამბავი შეატყობინა, საბინა განცდისაგან გაშეშდა. ბავშვობის მოგონებებმა გაუელვა თავში წამიერად. ვეღარასოდეს ნახავდა დედასა და მამას. ვეღარასოდეს გადაეხვეოდა თავის დებსა და პატარა ძმას. როგორ მოკვდნენ? ვინ მოკლა ისინი? სასოწარკვეთილმა გმინვა ამოუშვა.

[1] „ვიდრე რუმინეთი ნაცისტური გერმანიის ორბიტაზე გამოჩნდებოდა, რუმინეთის ხელმძღვანელობამ მკაცრი წესები - მდევნელი ანტისემიტიზმი, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საზღვარზე მცხოვრები ებრაელების წინააღმდეგ, რომელთაც არასწორად აიგივებდნენ საბჭოთა კომუნიზმთან და ტრანსილვანიაში მცხოვრებლებს კი ძველი უნგრული კანონის მიხედვით აღიარებდნენ.“ “Romania,” Holocaust Encyclopedia, United States Holocaust Memorial Museum, accessed August 15, 2017, WWW.ushmm.org/mlc/en/article.php?Moduled=10005472.

თავი 9

ამის შემდეგ, საბინას თუ ოდესმე უტირია თავისი ოჯახის გამო, ეს რიჩარდს არასოდეს დაუნახავს. „აღარ ვაპირებ ტირილს,“ თქვა მან, მხრებში გასწორდა და სუნთქვა შეანელა. „შენ ბედნიერი ცოლი უნდა გყავდეს და მიხეილს ბედნიერი დედა. ჩვენი ეკლესია იმსახურებს მხნეობით სავსე მსახურს.“

ამ ამბიდან არც ისე დიდი ხნის შემდეგ, ვურმბრანდების სახლის პატრონმა, თავგანწირულმა ქრისტიანმა, რიჩარდს უთხრა, რომ ჯარისკაცი იდგა მის სახლთან. „ჯარისკაცს ომამდე ვიცნობდი“ თქვა მან, ხელები ერთიანად დასველებოდა, „მაგრამ სრულიად შეცვლილია. პირუტყვად გადაქცეულა და ტრაბახობს, როგორ მოხალისეობდა და უსპობდა სიცოცხლეს ებრაელებს ტრანსნისტრიაში. იკვეხნის როგორ მოკლა საკუთარი ხელით ასობით ადამიანი.“

ტრანსნისტრია? რიჩარდს სიცივემ გადაურბინა ხერხემალზე. *შეიძლება ეს ის იყოს?*

საბინასთან და მიხეილთან ერთად ვახშმობისას, რიჩარდს არაფერი გაუმხელია ჯარისკაცის შესახებ. გონებაში უტრიალებდა მომხდარი და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. საბინამ ვაჟი დასაძინებლად დააწვინა და თვითონაც ძილი მოერია, მაგრამ რიჩარდს არ ეძინებოდა, ფიქრები ერეოდა გონებაში, ღმერთი არ აძინებდა. საწოლიდან გამოძვრა და ბინის პატრონს მიაკითხა, ზედა სართულზე მთელი ღამე ფხიზლად ლოცვის მიზნით. რიჩარდმა კარზე დააკაკუნა. კარი გაიღო და ჯარისკაცის სილუეტს მოჰკრა თვალი მისაღებ ოთახში. ბინის პატრონმა სტუმარი გააცნო. ჯარისკაცი ფეხზე წამოდგა, რიჩარდზე მაღალი იყო სიმაღლით. მას ბორილა ერქვა, ბრძოლაში გამობრძმედილი ვეტერანი, რომელსაც ოთახში მუქარის აურა დაეტრიალებინა. რიჩარდს თითქმის სისხლის სუნიც კი სცემდა, რომელიც მის სამოსს კვლავ შერჩენოდა.

რიჩარდი კაცებს შეუერთდა. ბორილამ ომისდროინდელ ამბებზე ტრაბახი დაიწყო, თუ როგორ ხოცავდა უამრავ ებრაელს უმოწყალოდ. იმ ჩვილების მოკვლასაც კი იკვეხნიდა, მკლავიდან რომ აცლიდა დედებს. რიჩარდი უსმენდა მის ისტორიებს და

აღშფოთებისა და მწუხარების განცდა ერთმანეთში ირეოდა მის გულში. ბორილა წამით შეჩერდა წყლის დასალევად. „რა საშინელი ისტორიებია,“ ჩაერია რიჩარდი, „მაგრამ მე არ მეშინია ებრაელების. ღმერთი მისცემს მათ ტანჯვის კომპენსაციას.“ რიჩარდმა ჯარისკაცს პირდაპირ შეხედა: „მე იმაზე ფიქრი მტანჯავს, რა მოუვათ მათ მკვლელებს, როცა ღვთის სასამართლოს წინაშე წარსდგებიან.“ ბორილა სკამიდან წამოხტა და სქელ კისერზე მსხვილმა ვენამ თამაში დაუწყო. მასპინძელიც მაშინვე წამოდგა, შეშინდა, ვაი თუ ცუდი რამ მოემოქმედებინა სტუმარს. რიჩარდი და ბორილა სტუმრები იყვნენ ამ სახლში და აყალმაყალს ვერ ატეხდნენ. ბორილამ ეჭვის თვალით შეხედა რიჩარდს, სიმშვიდე მოიკრიბა და თავის ადგილს დაუბრუნდა.

შეხვედრის დასასრულს საუბარი ბუნებრივად გადავიდა ნეიტრალურ საკითხებზე. რიჩარდმა შენიშნა, რომ ბორილა სასიამოვნო მოსაუბრე იყო. მას მუსიკა ძალიან მოსწონდა და ახსენა, რომ უკრაინაში მსახურებისას ადგილობრივი მუსიკა შეუყვარდა. „ვისურვებდი, რომ კვლავ მომესმინა უკრაინული მუსიკა,“ თქვა ბორილამ ნოსტალგიით.

რიჩარდმა იცოდა რამდენიმე უკრაინული სიმღერა და ეს შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა. *თევზი გაება ჩემს ბადეში!* გაიფიქრა მან. „თუ გნებავთ ზოგიერთი მათგანის მოსმენა, შეგიძლიათ ჩემთან ჩამობრძანდეთ,“ უთხრა ბორილას. „ჩემს ბინაში ჩამოდით. პიანისტობაზე თავს არ ვდებ, მაგრამ შემიძლია დავუკრა რამდენიმე უკრაინული მელოდია.“

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახს უკვე ეძინა, რიჩარდმა ეს ორი კაცი სახლში შეიპატიჟა და ხმადაბლა დაიწყო იმ მუსიკის დაკვრა, ბორილას რომ მოსწონდა. ჯარისკაცს თვალები გაუბრწყინდა და სახე გაუწითლდა. რიჩარდმა იცოდა, რომ მუსიკას დიდი ზეგავლენა ჰქონდა. დავითი, ებრაელი მეცხვარე ბიჭიც, ხომ უკრავდა არფაზე მეფე საულის წინაშე. დიდი ხანი არ დასჭირვებია რიჩარდს რეპერტუარის ამოსაწურად. ფორტეპიანოს კლავიშებიდან ხელი აიღო და მკვლელს მიმართა:. „რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი მაქვს შენთვის სათქმელი.“

ბორილამ თვალები შეიმშრალა, „ბრძანეთ.“

„იმ ფარდაში გახედვა რომ დააპიროთ,“ თქვა რიჩარდმა და კედლისაკენ მიანიშნა, „დაინახავთ, რომ იქ ვიღაცას სძინავს მეორე ოთახში. იქ ჩემი ცოლია, საბინა. მისი მშობლები, დები და თორმეტი წლის ძმა მოკლეს ოჯახის დანარჩენ წევრებთან ერთად.“ ჯარისკაცმა ფარდაჩამოფარებულ ოთახს შეხედა. „შენ მითხარი, რომ ასობით ებრაელი მოკალი გოლთასთან ახლოს.“

ბორილამ თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა.

„სწორედ იქ წაიყვანეს მისი ოჯახი. შენ არ იცი ვის ესროლე, მაგრამ ჩვენ გვაქვს მიზეზი ვიფიქროთ, რომ ეს შენ იყავი.“

ბორილა სკამიდან წამოხტა.

რიჩარდი სტუმარს ხელში სწვდა. „მოიცადე, რაღაც მინდა ვცადო. მოდი, ექსპერიმენტი ჩავატაროთ. ცოლს გავაღვიძებ და ვეტყვი ვინც ხარ და რაც გაგიკეთებია. ზუსტად შემიძლია გითხრათ, რაც მოხდება.

გაოგნებულმა ბორილამ ხუცესს შეხედა.

„ჩემი ცოლი ერთ სიტყვასაც არ იტყვის თქვენ შესახებ,“ დაარწმუნა რიჩარდმა. „სინამდვილეში, ძმასავით გადაგეხვევა და საუკეთესო ვახშამს მოგართმევს, რის გაკეთებასაც შეძლებს.“

ბორილას არ ეჯერა ნათქვამის. თუ მან მოკლა მისი ოჯახის წევრები, ქალს მისთვის დაღვრილი სისხლი უნდა მოეკითხა.

რიჩარდმა გააგრძელა, „თუ საბინა, თითოეული ჩვენგანის მსგავსი ცოდვილია, შეუძლია აპატიოს და ისე შეიყვაროს. წარმოიდგინეთ იესო, სრულყოფილი სიყვარული, როგორ გაპატიებს და შეგიყვარებს შენ. თუ მიბრუნდები იესოსკენ, ყველაფერი გეპატიება, რაც ჩაგიდენია.“ ბორილამ კოჭლობით დაიწყო სიარული. დანაშაულში ამხილეს. მკვლელი თავისივე პერანგს ჩაეჭიდა ხელებით და შემოიხია. „ოხ, ღმერთო, რა ჩავიდინე?“ ბორილამ თავი ხელებში ჩარგო და ქვითინი დაიწყო. „მკვლელი ვარ. სისხლით ვარ გაჟღენთილი. *რა გავაკეთო?*“

რიჩარდმა განაცხადა: „იესო ქრისტეს სახელით, ვუბრძანებ ეშმაკს დატოვოს შენი სული!“ ბორილამ ცახცახი დაიწყო ამ ორი კაცის ერთდროულად ლოცვისას. ბორილა განუწყვეტლივ

სთხოვდა ღმერთს პატიებას და მისი სინდისის დანაშაულისაგან გათავისუფლებას. როცა ბორილას ლოცვისაგან ძალა გამოეცალა, რიჩარდმა უთხრა: „ექსპერიმენტს დაგპირდით და ვაპირებ ჩემი სიტყვა შევასრულო.“ კარზე ჩამოფარებული ფარდა გადაწია და საბინას ოთახში შევიდა. „ერთი კაცია მოსული, რომელიც აუცილებლად უნდა ნახო,“ დაიჩურჩულა და საბინას მხარზე ხელი გადაუსვა. მან თვალები მოიფშვნიტა და საწოლზე წამოჯდა. „დარწმუნებული ვარ, რომ ამ კაცმა შენი ოჯახი ამოხოცა, მაგრამ მოინანია და ახლა ის ჩვენი ძმაა.“ საბინა სამოსში გაეხვა, მცირე ხანს ჩუმად იჯდა და შემდეგ ოჯახის მკვლელის მისასალმებლად გავიდა. ბორილას გაუკვირდა, როცა საბინა მას გადაეხვია. ორივემ ხელები ჩაკიდეს ერთმანეთს და ტიროდნენ, ლოყაზე ერთმანეთს კოცნიდნენ. რიჩარდი იცნობდა თავისი ცოლის გულს, თუ ღმერთს მისი წარსულის ცოდვების მიტევება შეეძლო, მაშინ ბორილასაც მიუტევებდა. თუ ღმერთს შეეძლო საბინას სინდისის გაწმენდა იმის მიუხედავად, რომ ადამიანებს გული ატკინა და მოატყუა, მაშინ, რა თქმა უნდა, ღმერთს შეეძლო იგივე გაეკეთებინა ბორილასთვის. შემდეგ, როგორც რიჩარდმა იწინასწარმეტყველა, საბინა სამზარეულოში შევიდა ჯარისკაცისათვის ვახშმის მოსამზადებლად. საბინას სამზარეულოში მუშაობისას, რიჩარდი საძინებელში შევიდა და ორი წლის ვაჟი გააღვიძა. ნახევრად მძინარე მიხეილი ხელში აყვანილი შემოიყვანა მისაღებ ოთახში სტუმრისათვის გასაცნობად. რამდენიმე საათის წინ ბორილა ებრაელი ბავშვების მოკვლას იკვეხნიდა.

„ხედავ, როგორ წყნარად სძინავს?“ ჰკითხა რიჩარდმა. „შენც ასეთივე ახლადშობილი ბავშვი ხარ, რომელსაც შეუძლია მამის მკლავებში მოსვენება. იესო ქრისტეს დაღვრილმა სისხლმა გაგწმინდა.“

*****

ბორილა იმ ღამით ვურმბრანდებთან დარჩა და განახლებული ენერგიით გაიღვიძა. „დიდი ხანია ასე არ მიძინია,“ აღიარა მან.

საუზმის შემდეგ რიჩარდთან ერთად სხვა ებრაელი ქრისტიანების სახლში წავიდა. თავისი დამოწმების გაზიარების შემდეგ, ყველგან გულთბილად იღებდნენ. ისე, როგორც უძღებ შვილს. რიჩარდმა ახალი აღთქმის წიგნი აჩუქა ბორილას და უამბო, თუ როგორ შეუძლია იესო ქრისტეს ყოველი მკვლელის შეცვლა. აუხსნა, როგორ კლავდა ტარსუსელი სავლე ღვთის შვილებს და როგორ შეხვდა იგი ქრისტეს დამასკოს გზაზე, რის შემდეგაც გახდა პავლე, დიდი მისიონერი.

მალე დადგა ბორილას რაზმში დაბრუნების დრო მეზობელ ქალაქში. მისი ნაწილი კვლავ ფრონტის წინა ხაზზე გამოიძახეს და იძულებული გახდა მიეღო გადაწყვეტილება.

„როგორ უნდა მოვიქცე?“ ჰკითხა რიჩარდს. „კვლავ უნდა მოვკლა ადამიანები?.“

„არა,“ უთხრა რიჩარდმა, „შენ იმაზე მეტი მოკალი, ვიდრე ჯარისკაცს შეეფერებოდა.“ მან მკლავები გადახვია ახალ ძმას და უთხრა: „უმჯობესია სხვებმა მოგკლან. ბიბლია არ არის ამის წინააღმდეგი.“

ბორილამ თავი დაიქნია, სამხედრო ქუდი დაიხურა და წავიდა.

დროთა განმავლობაში ვურმბრანდების ერთ-ერთი ყველაზე ახლო მეგობარი გახდა ბორილა. რიჩარდი მოგვიანებით იხსენებდა, რომ ორად ორი კაცი, ვისაც საბინამ ქორწინების შემდეგ აკოცა, იყო მისი ქმარი და კაცი, რომელმაც მისი ოჯახი ამოხოცა.

10

„მოდიან!“ ბიჭმა ველოსიპედს სიჩქარე მოუმატა და პედლები რიჩარდისა და საბინასკენ მიმართა. „რუსები მოდიან!“ როგორც კი რუსების პირველი კოლონა ბუქარესტს მოუახლოვდა, 1944 წლის 31 აგვისტოს, ვურმბრანდები მამაცურად გამოიჭრნენ მცხუნვარე და ოფლისმომგვრელ მზეზე. შვიდ ნომერ ტრამვაიში ჩასხდნენ და მათ შესახვედრად გაეშურნენ. „უნდა წავიდეთ,“ თქვა რიჩარდმა. „რუსებს უნდა ველაპარაკოთ, რომ ქრისტე არის სამოთხე დედამიწაზე.“ ომგამოვლილი ხუცესი უამრავ რუსს იცნობდა რუმინეთის ციხის ბანაკებში. მიუხედავად ოცდახუთწლიანი ათეისტური ტვინის გამორეცხვისა, რუსები ინსტიქტურად რელიგიურები რჩებოდნენ და მწყურვალე სულებით დაეწაფნენ სახარებას.

რამდენიმე წითელი დროშა აღემართათ ადგილობრივი კომუნისტების ჯგუფს, რომლებიც სამალავიდან გამოსულიყვნენ „დიდებული წითელი არმიის“ შესახვედრად. კომუნისტები რიჩარდსა და საბინას ისეთი ინტერესით უცქერდნენ, როგორი ინტერესითაც ახლოს მდგარ რუმინელ მაღალჩინოსან წყვილს, ნერვიულად რომ იზეპირებდნენ რუსულენოვან მისალმებას. კომუნისტებს ხელში ტრადიციული საჩუქრები, პური და ერთი მუჭა მარილი, ეჭირათ.

ომი დასრულდა. რიჩარდი და საბინა სიხარულით შეხვდნენ ახალ შესაძლებლობებს. იდგა რიჩარდი მაღალი, განიერი მხრებით და რწმენისადმი სიმტკიცის ექოს გამოსცემდა. ტანდაბალი ცოლი გვერდით ედგა და იღიმებოდა. მოშორებით ზარები რეკავდნენ და იარაღის ხმა აღარ ისმოდა. როგორც

ჩანს, ამიერიდან ყველა ერთმანეთის მეგობარი იქნებოდა. რიჩარდმა და საბინამ ცარიელ ქუჩას გახედეს და ფიქრობდნენ, ნეტავ რა მოხდებოდა. რუსები ახლა მოკავშირეები იყვნენ, მაგრამ დამპყრობი არმიაც იყო, თავისი კარგად ნაცნობი მადით ქურდობასა და გაუპატიურებაში. რამდენ ხანს დარჩებოდნენ ბუქარესტში? რიჩარდს და საბინას მოახლოვებული მოტოციკლის ხმა შემოესმათ, რასაც უზარმაზარი ტანკები მოჰყვა. წითელვარსკვლავიანი ჩაფხუტები მოჩანდა პატარა კოშკურებიდან და მიწა მათი სიმძიმისგან იძვროდა.

როგორც კი რუმინელმა ოფიციალურმა პირმა მისასალმებელი სიტყვა დაასრულა, მაღლა აწიეს პურისა და მარილის ძღვენი ტანკების მეთაურისთვის მისართმევად. მის უკან მდგარმა ახალგაზრდა სერჟანტმა, თვალი შეავლო ოცდათერთმეტი წლის საბინას, იმ დღეს ქუჩაში მყოფ მცირერიცხოვან ქალებს შორის რომ იდგა. „ძვირფასო,“ თქვა მან, ტანკის კიდეზე გადმოიხარა და ფართო ღიმილით კბილები გამოაჩინა. „თქვენ რას გვთავაზობთ?“

საბინა ფეხის წვერებზე შედგა და ყმაწვილს წიგნი გაუწოდა. „ბიბლია მოგიტანეთ.“

„პური, მარილი და ბიბლია, როცა ჩვენ მხოლოდ დალევა გვსურს!“ ჩაიცინა და ჩაფხუტი უკან გადაიწია, მისი ღია ფერის თმა მზეზე პრიალებდა. „მადლობა, მაინც!“ ტანკები კვლავ გამოცოცხლდნენ გუგუნით, მეტალის ნაბიჯების ხმა ისმოდა ქუჩაში. რიჩარდსა და საბინას სული შეეხუთათ მოტორის გამონაბოლქვით, როდესაც კოლონამ გრუხუნით ჩაიარა.

სახლში მიმავალი რიჩარდი და საბინა ტრამვაის ფანჯრიდან უყურებდნენ, თუ როგორ ძარცვავდნენ, ისედაც გაძვალტყავებულ ქუჩაზე, ერთმანეთის მიყოლებით მდგარ მაღაზიებს. ღვინის კასრებს მოაგორებდნენ ტროტუარზე და ტომრებს შებოლილი ღორის ხორცით, ქათმებითა და სოსისებით ავსებდნენ. ბუქარესტი უკვე განადგურებული იყო ოკუპანტი ნაცისტების მიერ, მაგრამ ახალგაზრდა რუსი ჯარისკაცებისათვის ჯერ კიდევ დაუჯერებელ სიმდიდრეს წარმოადგენდა.

ვურმბრანდი

როცა ვურმბრანდები ტრამვაიდან გადმოვიდნენ, რიჩარდი ერთ-ერთ რუსს გამოელაპარაკა, მაგრამ ჯარისკაცი მხოლოდ ამას იმეორებდა: „სად ვიპოვით არაყს?“

რიჩარდი და საბინა სახლში დაბრუნდნენ და ახალი გეგმა შეადგინეს. რუსებს ღმერთი წაართვეს ამქვეყნიური სამოთხის დაპირების სანაცვლოდ. რაც, ცხადია, ვერასოდეს მოხდებოდა მხოლოდ ადამიანური გზებით. ნაცისტური ტერორი წარსულს ჩაბარდა. რუმინელი ხალხი იმედოვნებდა, რომ რუსები მალე მშვიდობიანად დატოვებდნენ აქაურობას. მცირედმა თუ გააცნობიერა, რომ რუმინეთი იმ გზას დაადგა, რომელიც ციხისაკენ მიდიოდა და უთვალავი მეგობრის საფლავით იქნებოდა მოკირწყლული.

ახალი და უფრო საშინელი ტირანია დაიწყო.

11

რუმინეთის სრული მოსახლეობა ოცდაოთხ მილიონს შეადგენდა რუსების ქვეყანაში შემოჭრისას, მაგრამ კომუნისტური პარტია ათი ათას კაცზე ნაკლებს ითვლიდა, რაც არასაკმარისი იყო ერთი სტადიონის შესავსებად, თუმცა ახლა ქვეყანა მოსკოვიდან იმართებოდა და ადგილობრივი კომუნისტები დემოკრატიულობანას თამაშობდნენ.

„ჩვენ ყველასთან მეგობრობა გვსურს!“ აცხადებდნენ ისინი. „ღვთის თაყვანისცემის თავისუფლება? რა თქმა უნდა! მრავალპარტიული კაბინეტი მეფე მიხეილით, კონსტიტუციონალი მონარქით? რატომაც არა?“

კომუნისტებმა დასავლეთი გააცურეს რუმინეთისადმი მიცემული დაპირებებით და მცირე ხნით, ქვეყანამ გაიხარა რელიგიური თავისუფლებით. მართლმადიდებელმა ხელმძღვანელობამ, რომელიც ტირანულად ეპყრობოდა ებრაელებსა და პროტესტანტებს, ერთპიროვნული ძალაუფლება დაკარგა და დიქტატორი ანტონესკუ სიკვდილით დასაჯეს. ბოლოს და ბოლოს რუმინეთს დემოკრატიული მთავრობა ჰყავდა, თუმცა მას ნიღაბი მალევე ჩამოეხსნა.

„კომუნისტები უნდა დაგენიშნა მთავრობაში!“ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ანდრეი ვიშინსკიმ, ყვირილი დაუწყო ახალგაზრდა მეფე მიხეილს და მაგიდაზე მუშტი დაჰკრა მეფის ოფისში. რუმინეთის სამხედრო პოლიცია განიარაღდა და დაიშალა, კომუნისტებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება. რუსეთში მართლმადიდებლური ეკლესია

გახადეს მთავრობის მარიონეტი. რამდენ ხანში გამეორდებოდა რუმინეთში იგივე?

*****

ახლა, რუს დამპყრობლებს ერთი მიზანი ჰქონდათ ცხოვრებაში: დალევა, მოპარვა და განადგურება. ადამიანებს ქუჩაში ართმევდნენ ველოსიპედებსა და საათებს. რუსი ჯარისკაცები სახლებში უცვივდებოდნენ და აუპატიურებდნენ ათასობით ქალს, ახალგაზრდიდან დაწყებული ჩვილებით დამთავრებული. წითელმა არმიამ წოდებრივი ძალაუფლება იარაღის ძალით აღადგინა, მაგრამ ძარცვა-გლეჯა ფართო მასშტაბით მაინც გრძელდებოდა.

რუსებმა სრულად გაფრცქვნეს რუმინეთის საზღვაო ფლოტი, სავაჭრო ფლოტის უმეტესი ნაწილი, მატარებლების ნახევარი, სარკინიგზო ტრანსპორტი და ავტომობილები. არბევდნენ ფერმერთა მოსავალს, საქონელს, ნავთობს და რუსეთში აგზავნიდნენ. რუმინეთი, რომელიც ცნობილი იყო ევროპის მარცვლეულის ბეღლად, მოშიმშილე ერად გადაიქცა, რადგან შიმშილი მძვინვარებდა ქვეყანაში.

ერთ დღეს, ანუცა, სიცოცხლით სავსე რუმინელი გოგონა ნორვეგიიდან, საბინას ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი, ვურმბრანდებს ყავაზე ესტუმრა ბინაში. „ოჰ, ეს რუსები! გაიგეთ ჩვენ მიერ მოსკოვთან ახალი ხელშეკრულების დადების შესახებ?“ თვალები შეშფოთებისგან უელავდა. „ისინი წაიღებენ ჩვენს მთელ მარცვლეულს და სამაგიეროდ მივცემთ ჩვენს მთელ ზეთს. გუშინ წითელარმიელი კაცი დავინახე, ორივე მაჯაზე სამ-სამი საათი ეკეთა. საათებს ისე ართმევენ ადამიანებს, როგორც ავტობუსში ბილეთებს აგროვებენ!“ ანუცას გაეცინა, მაგრამ რუმინეთს საქმე სასაცილოდ არ ჰქონდა. საბჭოთა არმია იტაცებდა მილიარდობით დოლარის ღირებულების საქონელს. მაღაზიები ცარიელი იყო, ხოლო ხალხი უსასრულო რიგებში იდგა სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭირო ნივთებისათვის.

რუმინელებს იმედი ჰქონდათ, რომ სტალინი პირობას შეასრულებდა და წითელი არმია ქვეყანას დატოვებდა, როცა გერმანიასთან ომი საბოლოოდ დასრულდებოდა, რაც მალე უნდა მომხდარიყო.

*****

ნაცისტური ოკუპაციის განმავლობაში, ვურმბრანდები დაუღალავად ეხმარებოდნენ იმ უმცირესობებს ფაშისტების მსხვერპლად რომ იქცნენ. ახლა ახალი უმცირესობა გაჩნდა და მონადირე გახდა ნანადირევი. ნაცისტებმა უკან დახევისას მიატოვეს გერმანელი ჯარისკაცები, რომლებიც საკუთარ თავს იცავდნენ რუსი ჯარისკაცებისგან, რომლებიც ქუჩაშიც კი დასდევდნენ მსხვერპლს. გერმანელები შიმშილობდნენ და შეშინებულები იყვნენ. მრავალი მათგანი დაიღუპა კიდეც შიმშილისგან.ადამიანებმა,რომელთაწოდებამაცმილიონობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ვურმბრანდების ოჯახი და მეგობრები დახოცეს. ახლა მკვლელებიც მოკლულთა ხვედრს იზიარებდნენ. რიჩარდს და საბინას არ შეეძლოთ უარი ეთქვათ გერმანელთა დახმარებაზე. „ღმერთი ყოველთვის დევნილთა მხარესაა,“ პასუხობდა რიჩარდი მათ, ვინც მკვლელებისათვის საკუთარი უსაფრთხოების გარისკვის გამო, დასცინოდა. ღმერთმა ვურმბრანდებს ბოროტის წილ კეთილის გადახდის ძალა მისცა.

უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა გერმანელ ჯარისკაცთა რიცხვი რიჩარდისა და საბინას სახლში. ერთხელ, სახლის გარეთ მდგარ პატარა ტუალეტში, სამი ოფიცერი დამალეს. რიჩარდი და საბინა ძლივს კვალავდნენ გზას მუხლამდე თოვლში, მათთვის საკვების მისატანად და ღამით ცლიდნენ ტუალეტის ქოთნებს. მათ სძულდათ გერმანელი ჯარისკაცების მიერ ჩადენილი დანაშაულებანი, მაგრამ ახლა გულთბილად იღებდნენ და ცდილობდნენ გალიაში გამომწყვდეული მხეცებივით არ ეგრძნოთ თავი.

ერთ საღამოს, გერმანელმა კაპიტანმა გააჩერა საბინა: „რაღაც მინდა გითხრათ, რაც დიდი ხანია გონებაში მიტრიალებს. თქვენ იცით, რომ სიკვდილით დაგსჯიან გერმანელი ჯარისკაცების შეფარებისთვის, მაგრამ მაინც აკეთებთ ამას; თან ებრაელი ხართ!“ სიბნელის მიუხედავად, საბინამ მაინც დაინახა, როგორ გაიქნია კაცმა თავი. „როცა გერმანული არმია კვლავ დაიპყრობს ბუქარესტს, რაც დანამდვილებით ვიცი, რომ მალე მოხდება,“ თქვა მან, „მე არასოდეს გავაკეთებ თქვენთვის იმას, რასაც თქვენ ჩვენთვის აკეთებთ.“ საბინა გადაყირავებულ ყუთზე ჩამოჯდა და ეცადა აეხსნა: „მე შენი მასპინძელი ვარ. ჩემი ოჯახი ნაცისტებმა მოკლეს. მიუხედავად ამისა, სანამ ჩემს ჭერქვეშ იქნები, არა მხოლოდ დაცვის, არამედ შენდამი პატივისცემის მოვალეც ვარ, როგორც მასპინძელს შეშვენის.“ ადრესატის სახეზე უცნაური მზერა შენიშნა და გააგრძელა. ბიბლია ამბობს: „ადამიანის სისხლის დამღვრელის სისხლი ადამიანის მიერვე დაიღვრება [დაბადება 9:6]. იმდენად დაგიცავ პოლიციისაგან, რამდენადაც შემიძლია, მაგრამ ღვთის სამსჯავროსგან დაცვის ძალა არ შემწევს.“

„რა უაზრობაა,“ თქვა კაპიტანმა საბინას მხარზე ხელის მოთათუნებით და უკან დაიხია.

„მაპატიეთ,“ თქვა მან. „ცუდი განზრახვა არ მქონია, უბრალოდ, მიკვირდა რატომ უნდა გაეწირა ებრაელს თავისი სიცოცხლე გერმანელი ჯარისკაცისათვის. მე არ მიყვარს ებრაელები და არც ღმერთის მეშინია.“საბინამ განმარტა ღვთის მცნება უცხოთა სიყვარულზე და პატიებაზე, თუ როგორ აპატია ღმერთმა თავის შვილებს, მაგრამ მისი სიტყვები მსმენლის ყურს არ გაუგია. „მოიცადეთ ერთი წუთი,“ შეაწყვეტინა ოფიცერმა. „ებრაელებმა გერმანელი ხალხისა და ზოგადად ადამიანთა მოდგმის წინაშე ჩაიდინეს დანაშაული. სამართლიანობა მოითხოვს ეს პირდაპირ გითხრათ, მაგრამ თქვენი პერსპექტივიდან ისე გვიყურებთ, თითქოს ჩვენ ჩავიდინეთ დანაშაული ებრაელთა წინაშე. თქვენ ყველას პატიობთ იმ დანაშაულს?“ საბინა კიდევ ერთხელ გადაიხარა მისკენ და ეცადა აეხსნა, რომ „ყველაზე საშინელი

დანაშაულის პატიებაც კი შეეძლო ადამიანს იესო ქრისტეს რწმენით. მე არ მაქვს პატიების ძალაუფლება, მაგრამ იესოს აქვს თუ მოინანიებთ.“ კაცმა სიგარეტს მოუკიდა, მაგრად მოქაჩა და მერე სიგარეტი მეგობარს გადააწოდა. „ქალბატონო,“ თქვა კაპიტანმა: „თავს ვერ მოგაჩვენებთ თითქოს გავიგე ნათქვამი, მაგრამ თუ არავის ექნებოდა ის ნიჭი, რომ ბოროტისთვის კეთილი მიეგო, მაშინ არასოდეს დასრულდებოდა მკვლელობა.“

ამ ჯარისკაცებმა საბოლოოდ მშვიდობიანად გადალახეს გერმანიის საზღვარი, მაგრამ ათასობით ჯარისკაცი დაიჭირეს და წლობით საბჭოთა შრომით-გამოსასწორებელ კოლონიებში გააგზავნეს რუს ქრისტიანებთან ერთად, ჭკუის სასწავლებლად. გერმანელი ჯარისკაცები, ადამიანების სხვა ჯგუფებთან ერთად, ვურმბრანდების ქრისტიანული ქველმოქმედების ადრესატები გახდნენ.

12

1945 წელს მატარებელში, ბუქარესტსა და ბუდაპეშტს შორის, საბინა, ერთადერთი ქალი მგზავრი რუს ჯარისკაცებს შორის, სატვირთო ვაგონში, ფუთებში იჯდა. ფეხით ცდილობდა ირგვლივ განლაგებული საკვებისა და პროდუქტების ჩანთების გამაგრებას.

„არ წახვიდე!“ ეხვეწებოდა ანუცა. „რუსი ჯარისკაცები მოწყურებულნი არიან ქალებს. ქუჩაში გავლისას ყელგამოჭრილ გოგონებს დაინახავ და არავინ არაფერს აკეთებს მათ წინააღმდეგ!“ საბინამ იცოდა, რომ ამ ჰუმანიტარული დახმარების გარეშე, უნგრეთი ვერ გამოკვებავდა ებრაელ ქრისტიანებს ბუდაპეშტში. რუსებს უკვე გაეძარცვათ უნგრული ქალაქი, რიჩარდს არ შეეძლო ბუქარესტის დატოვება. სხვა არავინ გამოიჩენდა მოხალისეობის სურვილს დახმარების წასაღებად და საბინა უნდა წასულიყო.

დიდი ხნის ძებნის შემდეგ, საბინამ ერთ-ერთ ვაგონში, რამდენიმე შესაძლებლობიდან, ცარიელი კუთხე აირჩია. სხვა დანარჩენი ადგილები რუსების განკარგულებაში იმყოფებოდა. მგზავრობას, რომელიც სწრაფი და მარტივი უნდა ყოფილიყო, დღეები დასჭირდა. მატარებლის ბუდაპეშტში შესვლისას საბინას თვალები გაუფართოვდა. ჯარისკაცები ჯერ კიდევ იბრძოდნენ და ყველაფერი გაპარტახებული იყო. ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტი განადგურებული იყო და შენობებს ალი ასდიოდა. ფუთებით დახუნძლული საბინა ბორძიკით მიიკვლევდა გზას ომისაგან განადგურებულ უნგრულ ქალაქში. იმ ხალხს ვერსად პოულობდა, ვისთვისაც ჩამოვიდა. ზოგიერთები ბოლო დღეების განმავლობაში მომხდარი შეხლა-შემოხლის დროს მოუკლავთ და დანარჩენები გერმანელებს გაუძევებიათ. ბოლოს ორი ქრისტიანი

ხელმძღვანელი იპოვა, ხუცესი ჯონსონი, ნორვეგიის მისიისდან და ხუცესი ანგარი, ებრაელი ქრისტიანი, რომელიც ებრაელთა და სხვა ეროვნებების ეკლესიის მსახურებას ხელმძღვანელობდა. მათთვის საბინა იყო ღვთისაგან გამოგზავნილი ანგელოზი.

შიმშილობა უკიდურეს ზღვარზე იყო მისული ბუდაპეშტში. მას შემდეგ, რაც ხალხი სარდაფებიდან გამოვიდა, საკვები სანთლით საძებნი გახდა. ასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა. ეკლესიის შენობები დაანგრიეს, ადამიანები ომში მოკლული ცხენის ხორცს ჭამდნენ. საბინას დახმარება დროული იყო. ბუდაპეშტიდან საბინა ვენაში გეგმავდა წასვლას. ავსტრიული ქალაქიც განადგურებული იყო და მისი მაცხოვრებლებიც შიმშილობდნენ. ბუდაპეშტის რკინიგზის სადგურზე მივიდა ვენაში წასასვლელად, მაგრამ ხალხი უკვე მატარებლის კარების სახელურებზე ეკიდებოდა და ვაგონის სახურავებზე ისხდა. მოულოდნელად, საბინას თავისი სახელი შემოესმა და სიცილის ხმით შემობრუნდა.

„ადგილი არ არის, მაგრამ გამოვძებნით!“ დაიძახა გოგონამ იმ ჯგუფიდან, ერთად რომ იყვნენ შეჯგუფებულები ვაგონის სახურავზე. გოგონები აუშვიცის ლტოლვილები იყვნენ; ისინი, ვინც ვურმბრანდების სახლში დარჩნენ ბუქარესტში. საბინა სახურავზე აძვრა და გოგონებს შეუერთდა. ოთხ საათიან მგზავრობას ბუდაპეშტიდან ვენამდე, ამჯერად, ექვსი დღე დასჭირდა. კვირების განმავლობაში ვერ კონტაქტობდა საბინა რიჩარდთან, მაგრამ ავსტრიაში საქმის გასრულებამდე დარჩა. საქმის დასრულება ვენაში შეიძლებოდა, მაგრამ ბუქარესტის პრობლემა უსასრულოდ გამოიყურებოდა.

*****

„უცნაური ამბავი,“ თქვა ხუცესმა სოლეიმ, შეაწყვეტინა რიჩარდს საკვირაო მსახურებისთვის დარბაზის მოწესრიგება, „მთავრობა სასულიერო პირებს მოუწოდებს შეხვედრისათვის, რასაც ისინი კულტის კონგრესს უწოდებენ. ყველა აღმსარებლობა, ყველა რელიგია, სინამდვილეში გვთხოვს, რომ დიდი დელეგაცია

წარვგზავნოთ. „სოლეიმმა ჩაილაპარაკა: „კონფერენცია პარლამენტის შენობაში ჩატარდება! ვის სმენია ასეთი რამ? ნეტავ რას უნდა გეგმავდნენ?“

მომავალი კონგრესის შესახებ ყველა საკუთარ აზრს გამოთქვამდა და მოლოდინებს უზიარებდა ერთმანეთს. ბევრს სჯეროდა მთავრობის დაპირება რელიგიის თავისუფლების შესახებ, მაგრამ რიჩარდი უფრო ფართო და შავ სურათს ხედავდა. *აქაც ზუსტად ისე არ ხდება, როგორც რუსეთში მოხდა? თქვა მან გაკვირვებით. ლენინი იცავდა დევნილი სექტის წარმომადგენლებს... ვიდრე ხელისუფლებაში მოვიდა. შემდეგ ათობით ათასი ადამიანი მოკვდა საკონცენტრაციო ბანაკებში. თავდაპირველად, ეკლესიას ცივ ნიავს არ აკარებენ. მერე ქარიშხალი დაუბერავს.* რიჩარდს ნაღველი მოჰგვარა საშინელი სცენის გონებაში წარმოსახვამ.

რიჩარდი და მისი კოლეგა ხუცეს სოლეიმს შეხვდნენ, მოახლოებულ შეხვედრაში მონაწილეობის მიღების განსახილველად. სოლეიმსა და მისიის ხელმძღვანელთან ერთად, საბოლოო დეტალები გადაწყდა. რიჩარდმა დაინახა ის თავდაჯერებულობა, მის შავ თვალებში რომ კიაფობდა.

„წავალთ და ჩვენს სათქმელს ვიტყვით,“ თქვა მან. გადაწყვეტილება მიიღეს.

*****

რუმინეთში, ქრისტიანულმა ეკლესიამ საშიში თამაში წამოიწყო კომუნისტებთან. მართლმადიდებელი და პროტესტანტი ხელმძღვანელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ კომუნისტებისადმი მორჩილებაში. მართლმადიდებელმა ეპისკოპოსმა ნამგალი და ურო მიიკერა სასულიერო მანტიაზე და ითხოვა „ამხანაგი ეპისკოპოსი“ დაეძახათ და არა „თქვენო ღირსებავ.“ ზოგიერთი მღვდელი საიდუმლო პოლიციის ოფიცერი გახდა და სემინარიის ხელმძღვანელობამ ახალი, საშიში, თეოლოგიური საგნები დაამატა სასწავლო ნუსხას. რუმინეთის ლუთერანული ეკლესიის ეპისკოპოსის თანაშემწემ სამღვდელოების სტუდენტებს აუხსნა,

რომ ღმერთმა ორი კი არა სამი გამოცხადება მოგვცა: ერთი მოსეს, მეორე იესოს და მესამე სტალინის მეშვეობით. ამჟამად ეკლესია სტალინის გამოცხადების მიხედვით ცხოვრობდა. კომუნისტებმა „აირჩიეს“ საეკლესიო ხელმძღვანელობა, მაგრამ ეკლესიას სხვა არჩევანი არ ჰქონდა. ბაპტისტების ერთმა ჯგუფმა ქალაქ რესიტაში წითელი დროშა ააფრიალა ყოველწლიურ შეხვედრაზე და საბჭოთა კავშირის ჰიმნი ისე შეასრულა, თითქოს, ის ყოფილიყოს ქრისტიანული რწმენის ჰიმნი. ბაპტისტური ეკლესიის პრეზიდენტმა ქება-დიდება უძღვნა სტალინს, როგორც ბიბლიის დიდ მასწავლებელს და ღვთის მცნებების შემსრულებლად გამოაცხადა. მსახურებმა, რომლებმაც უარი თქვეს კომუნისტებთან გარიგებაში მონაწილეობაზე, დიდი ტანჯვა გამოიარეს. ახლა ყველა ამ მსახურმა მოიყარა თავი კულტის კონგრესზე.

*****

შეხვედრის დილას რიჩარდი და საბინა სხვა სასულიერო პირებს შეუერთდნენ პარლამენტის გორაკზე ასასვლელად. გალერიები და დიდი დარბაზები ოთხი ათასი რელიგიური ხელმძღვანელით იყო სავსე. მართლმადიდებელი ეპისკოპოსები და კათოლიკე მღვდლები პროტესტანტ ხუცესებსა და მსახურებს შეუერთდნენ. ებრაელი რაბინები და მუსლიმი მოლები გვერდიგვერდ ისხდნენ. ბრბომ ყიჟინა დასცხო, როცა ამხანაგი სტალინი, რომლის უზარმაზარი პორტრეტი ავისმომასწავებლად იცავდა დარბაზს, კონგრესის მფარველად დასახელდა. როგორც ჩანს, არავის აწუხებდა, რომ სტალინი ათეისტი და ქრისტიანების მკვლელი იყო. წითელმა დროშებმა აავსეს აუდიტორია და მთვარი კომუნისტი ლიდერები (რუმინეთის პრემიერ მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი) სცენაზე შეუერთდნენ მთავარ რელიგიურ ხელმძღვანელებს. ასამბლეა გაიხსნა მოკანკალე მოხუცი მართლმადიდებელი პატრიარქის, ნიკოდიმის, მიერ, რომელსაც კომუნისტი ლიდერები ხელზე კოცნიდნენ პირჯვრის წერისას და ერთფეროვნად ლოცულობდნენ მართლმადიდებლური

ხატების წინაშე. პირველად, მინისტრმა გროზამ გახსნა კონგრესი სიტყვით, რომელშიც ირწმუნებოდა, რომ რუმინეთის მთავრობა მხარდაჭერას უცხადებდა რწმენას, ნებისმიერ რწმენას, და გარანტიას იძლეოდა, რომ მთავრობა გააგრძელებდა სამღვდელოების დაფინანსებას. ფაქტობრივად, მნიშვნელოვნად გაზრდიდა ხელფასებს. შეკრებილი საზოგადოება სიხარულით შეხვდა რელიგიისადმი მთავრობის მხრიდან გულუხვ დაპირებებს და შეძახილებმა და ტაშის ცემამ გამომსვლელის ხმა დაფარა.

კომუნისტების დაპირებებს მოჰყვა მღვდლებისა და ხუცესების საპასუხო გამოსვლა. ერთმანეთის მიყოლებით ადიდებდნენ მთავრობის ხელმძღვანელებს რელიგიის მხარდაჭერისთვის და საპასუხოდ რუმინეთის ახალ მთავრობას თანადგომას უცხადებდნენ. მთავრობა იმედს ამყარებდა ეკლესიაზე, რადგან ეკლესია მთავრობაზე იქნებოდა დამოკიდებული. კომუნისტებსა და ქრისტიანებს ერთნაირი საფუძვლები გააჩნდათ და რა თქმა უნდა, თანაარსებობაც შედგებოდა. ყველა პოლიტიკური პარტიის ნაკადი შეუერთდა ეკლესიის დიდ მდინარეს, თქვა ერთმა ეპისკოპოსმა. სიხარულით მიიღო წითლების წინსვლა და დანარჩენების მსგავსად, მდინარესთან შეერთება. რელიგიური წინამძღოლებისა და კომუნისტი მარიონეტების დიდი აღტაცება და მგზნებარება რადიო არხით გადაიცემოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

რიჩარდს სისხლი უდუღდა. იჯდა ვიწრო საყელოიან პერანგში გამოწკეპილი მშიშარა რელიგიურ წინამძღოლებთან ერთად. კომუნიზმს სძულდა რელიგია! მსახურები კომუნისტებისადმი მაამებლურ სიტყვას წარმოთქვამდნენ ოჯახების, სამსახურისა და ხელფასების დაკარგვის შიშით, მაგრამ სიჩუმეს რატომ არ ირჩევდნენ?

*****

რიჩარდის გვერდით საბინა შეიშმუშნა და გაღიზიანებისაგან ღრმად ამოისუნთქა, მისი სიბრაზე ყოველი მლიქვნელური ტყუილის გაგონებაზე იზრდებოდა. კომუნიზმი მიზნად

ისახავდა რელიგიის დესტრუქციას და არა დაცვას. რელიგიურმა წინამძღოლებმა საკუთარი თვალით იხილეს, რაც რუსეთში მოხდა. რატომ უნდა იყოს ეს ხალხი ასეთი სულელი და ისე იფიქრონ, თითქოს, აქ განსხვავებულად იქნება? ეკლესია მოატყუეს კომუნიზმის ცარიელი დაპირებებით. ეს კონგრესი იესო ქრისტეს სახეში აფურთხებდა. ბოლოს, საბინას მეტის ატანა აღარ შეეძლო. ნელა ამოისუნთქა და გაოფლილი ხელისგულები კალთაზე შეიმშრალა. გული გამალებით უცემდა, მეუღლისკენ გადაიხარა და ხელი ჩაავლო. ღრმად სუნთქავდა და რიჩარდს ყურში ჩასჩურჩულებდა: „რიჩარდ, ადექი და ჩამორეცხე ეს სირცხვილი სახიდან ქრისტეს!“ რიჩარდი ნელა მიბრუნდა საბინასკენ და გაბრაზებულ თვალებში თვალი გაუყარა. აშკარად იცოდა, რომ საბინა მართალი იყო, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ამას თავისი შედეგი მოჰყვებოდა.

„თუ ამას გავაკეთებ,“ გააფრთხილა მან, „ქმარს დაკარგავ.“

საბინა რიჩარდს დაჟინებით უყურებდა თვალებში, ქმარს ხელს უფრო მაგრად უჭერდა. ფრჩხილები მკლავებში ესობოდა. სულიწმინდისაგან გამხნევებულმა კვლავ თქვა:

„არ მინდა მშიშარა ქმარი მყავდეს.“

13

რიჩარდმა პირადობის მოწმობა გადააწოდა და სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა ითხოვა. კონგრესის ხელმძღვანელობამ სიხარულით მიაცილა იგი სცენასთან. ერთმანეთს შეხედეს და გაუღიმეს, უკვე წარმოიდგინეს მეორე დილის ახალი ამბების გადმოცემა: „ხუცესი რიჩარდი, შვედეთის მისიის ეკლესიის ხელმძღვანელი და მსოფლიო ეკლესიების მრჩეველთა საბჭოს წევრი, ულოცავს კომუნისტურ მთავრობას რუმინეთში რელიგიურ მხარდაჭერას!“ წარმოიდგენდნენ სტატიის სათაურს და უკვე ულოცავდნენ ერთმანეთს პროპაგანდის წარმატებას, მაგრამ ხუცეს ვურმბრანდს სხვა რამ უნდა ეთქვა კულტების კონგრესზე. სცენაზე ავიდა თუ არა მდუმარება ჩამოწვა დარბაზში. საბინა ღვთის სულის მოახლოებას გრძნობდა. რიჩარდმა დაიწყო თუ არა საუბარი, დარბაზში აღტაცებით უსმენდნენ. რიჩარდის განდიდების საგანი კომუნიზმს კი არა, იესო ქრისტეს წარმოადგენდა. რწმენით ანთებულმა რიჩარდმა კოლეგებს შეახსენა, რომ მათი მოვალეობა შემოქმედი ღმერთისა და მხსნელის - ქრისტეს განდიდება იყო, რომელიც ჯვარზე მოკვდა, და არა ამქვეყნიური ძალებისა. მან განადიდა ეკლესიის მოწოდება, მხარი დაეჭირათ ქრისტეს მარადიული სიყვარულის სამეფოსთვის, ამქვეყნიური ამაოების წინააღმდეგ; უარი ეთქვათ პარტიის ხაზზე და მის ნაცვლად ბიბლიური ჭეშმარიტება ექადაგათ. რიჩარდის საუბრისას დარბაზში შექმნილი ატმოსფერო სრულიად შეიცვალა. მსახურები, უემოციოდ რომ ისხდნენ საათების განმავლობაში და პასიურად იწოვდნენ კომუნისტური პარტიის მაამებლურ ქება-დიდებას, გამოფხიზლდნენ. ჯიქურმა თვალებმა ახლა სხვა რამეზე გადაიტანეს

ყურადღება და თითქოს გამოიღვიძეს. საბინას გული სიხარულით აევსო, როცა მიხვდა, რომ მისი მეუღლის მიერ სახარების ქადაგება მთელ ქვეყანას გადაეცემოდა რადიომაუწყებლობით.

მოულოდნელად, ვიღაცამ ტაშის დაკვრა დაიწყო. განწყობა უცებ გადაედო ყველას და ოთახი ტაშის ხმამ მოიცვა. დელეგატები იდგნენ და ხმამაღალი შეძახილებით ავსებდნენ დარბაზს. რუმინეთის ეკლესია კვლავ გამოფხიზლდა. ყოფილი მართლმადიდებელი მღვდელი სახელად ბურდუკეა, სასწრაფოდ წამოხტა: „თქვენ სიტყვით გამოსვლის უფლება ჩამოგერთვათ!“ დაუძახა. გაწითლებულ კისერზე ვენები უხტოდა და დარბაზში მსხდომ მომხრეებს ყეფით აძლევდა ბრძანებებს. „გათიშეთ მიკროფონი!“ დარბაზიდან მსმენელები ყვიროდნენ: „პასტორულ! პასტორულ!“ რიტმში აყვა ყველა ერთმანეთს. „უბრალო ხუცესობიდან“ რიჩარდი „ცნობილი ხუცესი“ გახდა.

რიჩარდმა ყურადღება არ მიაქცია ბურდუკეას ბრძანებას და ახსენებდა, რომ სიტყვით გამოსვლის უფლება ღმერთისაგან მიიღო. გამოხატავდა რა, რიჩარდი ყველა ქრისტიანი წინამძღოლის სათქმელს, ხალხის ბრბო ძლიერი ტაშით აჯილდოვებდა. შეძახილები რამდენიმე წუთს გაგრძელდა, კომუნისტების ლაქიები სწრაფად დარბოდნენ პარლამენტის დარბაზში და გაშმაგებით ცდილობდნენ ხუცესი ვურმბრანდის გაჩუმებას და დელეგატების დაწყნარებას. ქრისტიანი ლიდერები ყვიროდნენ და რიჩარდის სცენიდან ჩამოსვლის შემდეგაც დიდხანს უკრავდნენ ტაშს.

კონგრესის იმ დღის განრიგი დასრულდა. რიჩარდი და საბინა ხმაურსა და მღელვარებაში მიიკვლევდნენ გზას ბუქარესტის ქუჩებში. რიჩარდის გამბედაობა ღირდა ამად, თუმცა შესაძლებელი იყო, რომ მძიმე საფასურიც გადაეხადა.

*****

რიჩარდის დედა რადიოს სიხშირეს ასწორებდა. კონგრესიდან პირდაპირ ჩართვას უსმენდა, მაგრამ როცა რადიო ჩაჩუმდა, საშინელმა შიშმა მოიცვა.

გვიან საღამოს, როდესაც მისი ვაჟი და რძალი სახლში დაბრუნდნენ, სიხარულისგან წამოიყვირა: „ვიფიქრე, რომ ორივე დაგაპატიმრეს! ახლა რა მოხდება?“ დედის გაფითრებული სახე აშკარად მეტყველებდა იმ განცდებზე, რაც მან მთელი დღის განმავლობაში გადაიტანა. „დედა,“ თქვა რიჩარდმა და დედას მკლავები მოხვია. „მე ძლიერი მხსნელი მყავს. ის ჩემთვის საუკეთესოს გააკეთებს”.

რიჩარდმა მალევე შეიტყო, რომ კულტის მინისტრმა ხუცესობის ნებართვა ჩამოართვა და ურჩიეს გავლენიან მართლმადიდებელ პატრიარქთან, ჯასტინიანთან, მისულიყო დახმარების სათხოვნელად. რიჩარდი რამდენჯერმე ეცადა მასთან შეხვედრას, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, მოახერხა შეხვედრის ჩანიშვნა. ჯასტინიანი ახლადარჩეული პასუხისმგებელი პირი გახლდათ მართლმადიდებლურ ეკლესიაში (რუმინეთის მოსახლეობის 80 პროცენტი ეკლესიაში დადიოდა). რიჩარდს შთაგონება ჰქონდა და გადაწყვიტა, რომ დახმარების თხოვნა და პატრიარქის წინაშე თავის საქმეზე კამათი დაევიწყებინა; სანაცვლოდ, ეს ძვირფასი დრო გამოეყენებინა ახალ პოზიციაზე დანიშნულიადამიანისგამხნევებისთვის.ამწინასწარმეტყველურ შეხვედრაზე, რიჩარდმა დაიწყო მართლმადიდებლური სამყაროს ხელმძღვანელთან გავლენიანი ურთიერთობა იმ დროს, როდესაც კომუნიზმი ყველაფერს ანადგურებდა ირგვლივ. ჯასტინიანს ბიბლიას ასწავლიდა, ლოცულობდა მისთვის და მოუწოდებდა სახარებისეული მაგალითებით ეხელმძღვანელა. როგორც კი ჯასტინიანის ცოდნა გაიზარდა ღვთის სიტყვის შემეცნებაში და მისი რწმენა გაღრმავდა, კომუნისტურმა პარტიამ რუმინეთში რელიგიის წინააღმდეგ გამანადგურებელი კამპანია წამოიწყო.

ამ დრომდე, რიჩარდი თავისი საქმიანობით კმაყოფილი იყო. მისი შემოსავალი აკმაყოფილებდა საბინასა და მიხეილს, ხოლო ეკლესიურ ოჯახს უყვარდა და ენდობოდა მას. ამის მიუხედავად, რიჩარდს გული მშვიდად არ ჰქონდა. რატომ დაუშვა ღმერთმა, რომ ჩვეულებრივ ეცხოვრა, როცა ტირანული, დიქტატორული,

თავი 13

მმართველობა ყველაფერს ანგრევდა მის გარშემო და მაშინ, როცა სხვა ქრისტიანები რწმენის გამო იტანჯებოდნენ? მრავალი ღამის განმავლობაში ლოცულობდნენ რიჩარდი და საბინა ღვთის წინაშე, რათა ღმერთს მათთვის სატარებელი ჯვარი მიეცა. მალე მათი ლოცვა შეისმინა ღმერთმა.

14

ავისმომასწავებელი კულტის კონგრესიდან მალე, კომუნისტებმა მიზანში ამოიღეს ვურმბრანდების ეკლესია. მზარდ ეკლესიას, რომელიც ახლახან გადავიდა ახალ და უფრო დიდ შენობაში, კომუნისტები მიუგზავნეს მსახურების დასარბევად. კვირების განმავლობაში უხეში შეხედულების ახალგაზრდა კაცები და ქალები ხელების ქნევით მიიკვლევდნენ გზას ეკლესიის დარბაზში, უსტვენდნენ და მსახურების წარმართვაში ხელს უშლიდნენ.

„უნდა გვიხაროდეს," თქვა ხუცესმა სოლეიმმა. „უკეთესია თავაშვებული მსმენელი გყავდეს, ვიდრე წყნარად მჯდომები, ვითომ რომ ისმენენ!" რიჩარდმა და საბინამ ქუჩის მსახურების სტრატეგია შეიმუშავეს. თუ ზოგ ადამიანს ერიდებოდა ეკლესიაში მოსვლა, ეკლესია მიდიოდა მასთან. პატარა ჯგუფი შეიკრიბებოდა ქუჩის კუთხეში და გალობდა, რაც რუმინელებისთვის უცხო პრაქტიკა გახლდათ. დაინტერესებულ ადამიანთა ჯგუფი ყოველთვის იკრიბებოდა მათ გარშემო და მსმენელებში საბინა ყოველთვის არიგებდა სახარებას. ქადაგება უნდა ყოფილიყო მოკლე და სხარტი, ყველგან მყოფი კომუნისტების ყურადღებისაგან თავის დაღწევის მიზნით.

შუადღით, მალაქსას სახელობის ლოკომოტივის ქარხნის გარეთ, საბინა კომუნისტების ძალაუფლებაში მოსვლის წინააღმდეგ გამართულ მსვლელობაში მოყვა. მუშებს სახარების შესახებ ესაუბრა და ზოგიერთებისთვის ამ სიტყვის მოსმენა საბოლოო აღმოჩნდა მათთვის ხსნის შესაძლებლობისთვის.

მეორე დღეს პოლიციამ ცეცხლი გაუხსნა ქარხნის მუშებს და მრავალი ადამიანი დაიღუპა. კომუნისტურ რუმინეთში დრო ძალიან ძვირფასი და წუთიერი გახდა.

ერთ განსაკუთრებულად წარმატებულ შუადღეს, საბინამ ბუქარესტის უნივერსიტეტის კიბეებიდან მიმართა ხალხს. მზარდმა ბრბომ მალე დაფარა პატარა მოედანი და ავტომანქანების მოძრაობაც კი შეაფერხა ბულვართან დაკავშირებულ ქუჩაზე. აღფრთოვანების ნიშნად ხალხი ტაშს უკრავდა და შეძახილებით ამხნევებდა საბინას სახარებისეული უწყებისათვის. როცა ამ წარმატების შესახებ რიჩარდს უყვებოდა, ანუცა შემოვარდა მათთან სახლში. „მთელმა ქალაქმა იცის, რომ ანა პაუკერმა სიტყვა წარმოთქვა უნივერსიტეტის ეზოში!“ ვერავინ მიხვდა, რატომ მოუწოდებდა ამხანაგი პაუკერი, წითელი არმიის ერთგული ოფიცერი, ხალხს ცოდვების მონანიებისაკენ. რიჩარდი, საბინა და ანუცა ხმამაღლა ახარხარდნენ სიცილისაგან.

მომდევნო წლებში, საბინა ყოველდღიურ მსახურებას უძღვებოდა ასობით რუმინელი რელიგიური წინამძღოლისთვის სხვადასხვა დენომინაციიდან. ის ქუჩაში უქადაგებდა ადამიანთა დიდ ჯგუფებს. ძლიერი და ქარიზმატული სიტყვით გამომსვლელი ეს ტანდაბალი ქალი კოშკივით ძლიერი გახდა ღვთის სამეფოში.

*****

კომუნისტური მთავრობის მახვილი თვალი საშიშროებას ხედავდა ვურმბრანდების ქუჩაში ღიად ქადაგებაში. როგორც ეს რუსეთში მოხდა, რუმინეთის ქრისტიანებმა მალე განსხვავებული ეკლესიის ვერსია შეიმუშავეს ევანგელიზაციისათვის, სახარების საქადაგებლად და ბავშვებთან ქრისტეს სიტყვის მიტანის მიზნით. ვიდრე რუმინეთის ოფიციალური ეკლესია კომუნისტების აკრძალვებს ასრულებდა ქრისტიანულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ქრისტიანების ახალი გუნდი არ ემორჩილებოდა... და წარმატებასაც მიაღწია.

სხვა ერთგულ ქრისტიანებთან ერთად რიჩარდმა იატაკქვეშა მსახურება დაიწყო. საზოგადოებაში (იატაკს ზემოთ) ოფიციალური და პატივსაცემი პოზიცია ეკავა-ნორვეგიული მისიის ხუცესი და რუმინეთის განყოფილების წარმომადგენელი ეკლესიების მსოფლიო საბჭოს სადამხმარებლო ორგანიზაციაში. ეს პოზიციები მას რეალური მსახურების დაფარვაში ეხმარებოდა. ეჭვს ვერავინ მიიტანდა, რომ საზოგადოების თვალში მტკიცედ მდგარი რიჩარდ ვურმბრანდი „ძირგამომთხრელ“ საქმეს აკეთებდა. საიდუმლოდ, საოჯახო ეკლესიაში, რიჩარდმა და საბინამ დაიწყეს ეფექტური, სულიერი მსახურება რუსი ჯარისკაცებისთვის და რუმინეთის მიერ დაპყრობილი ხალხისთვის.

*****

მისი მოქცევის დღეს, რიჩარდმა ღმერთს ლოცვაში სთხოვა რუსებთან ქრისტეს სახარების მიტანის საშუალება მიეცა. გრძელ მოგზაურობაში წასვლის ნაცვლად, ღმერთმა რუსები მასთან მიიყვანა. რიჩარდი რუსულად ადვილად ელაპარაკებოდა ქვეყნის ახალ მაცხოვრებლებს და კომუნისტებს ყოველთვის არ ესმოდათ მისი ნათქვამი.

ერთ დღეს, რიჩარდი მაღაზიაში შეხვდა კაც კაპიტანს და ოფიცერ ქალს და გამყიდველთან თარგმნაში დახმარება შესთავაზა. საყიდლების შემდეგ, წყვილი რიჩარდს სახლში სტუმრობაზე დასთანხმდა.

თქვენ ქრისტიანის სახლში ხართ და ჩვენ ლოცვის ჩვეულება გვაქვს,“ აუხსნა მათ ჭამამდე. მოეწონათ რიჩარდის რუსულად ლოცვა და რუს ოფიცერს საკვებისადმი ინტერესი სრულიად დაეკარგა. კითხვას კითხვაზე უსვამდა ღმერთის, იესოსა და ბიბლიის შესახებ. „როგორ უნდა ჰყოლოდა მას ასი ცხვარი?“ ჰკითხეს მას იესოს მიერ ერთი ცხვრის დაკარგვის იგავის მოსმენის შემდეგ. „კომუნისტურმა კოლექტივიზაციამ არ ჩამოართვა?“ როცა რიჩარდმა იესო, როგორც მეფე ისე დაახასიათა, „ყველა მეფე ბოროტი იყო

და ხალხს აკონტროლებდა, ასე რომ იესოც დიქტატორი უნდა ყოფილიყო.“

როცა მან ბოროტ მევენახეზე უამბო იგავი, „მათ გონიერება გამოიჩინეს ვენახის პატრონის წინააღმდეგ აჯანყებით. ვენახი კოლექტივს უნდა ეკუთვნოდეს!“რუსებისათვის სახარების ქადაგებისას რიჩარდი მიხვდა, რომ სრულიად სხვა მიდგომა უნდა გამოემუშავებინა. წლების განმავლობაში ტვინის გამორეცხვის პოლიტიკამ მათ გონებას მჭიდროდ შეურწყა კომუნისტური იდეოლოგია, ამიტომ რიჩარდმა ტაქტიკა შეცვალა და მარქსისტული ენა გამოიყენა ოფიცერთან სასაუბროდ. თავისით ვერ მიაღწევდა წარმატებას, მაგრამ სულიწმინდის მეშვეობით, მეორე დღეს წყვილი გაქრისტიანდა და რიჩარდსა და საბინას დაეხმარა რუსებისთვის იატაკქვეშა მსახურების ჩატარებაში.

*****

ვურმბრანდმა და მისმა ეკლესიამ საიდუმლოდ დაბეჭდა და დაარიგა ათასობით რუსულენოვანი იოანეს სახარება და სხვა ქრისტიანული ლიტერატურა. ახლადმოქცეული რუსი ჯარისკაცების მეშვეობით შეძლეს ბიბლიებისა და მისი ცალკეული თავების რუსეთში ჩუმად შეტანა. საბოლოოდ ვურმბრანდებმა შეძლეს ასი ათასზე მეტი რუსული სახარებისა და ამდენივე ქრისტიანული წიგნის დაბეჭდვა, რომელსაც არიგებდნენ პარკებში, მატარებლებში, კაფეებში, მატარებლის სადგურებში, ყველგან, სადაც კი რუსი ჯარისკაცები იყვნენ. ისინი იყენებდნენ რუსი ჯარისკაცების მგრძნობიარე გულს, ბავშვებისადმი სიყვარულს და მათი შვილების ნახვის სურვილს. მიხეილ ვურმბრანდი და სხვა ახალგაზრდები პარკში მსხდომ რუს ჯარისკაცებთან ან ქუჩაში მოსიარულეებთან მიდიოდნენ. ჯარისკაცები სიყვარულით უსვამდნენ ბავშვებს შეკითხვებს და თბილად უთათუნებდნენ თავზე ხელს, შოკოლადს ან კანფეტს სთავაზობდნენ. სანაცვლოდ, ბავშვები ბიბლიებს ჩუქნიდნენ, რასაც მაშინ ჯარისკაცები დიდი სიხარულით იღებდნენ, რაც

უფროსებისათვის საშიში იყო. ბავშვებს ამის გაკეთება ღიად და უსაფრთხოდ შეეძლოთ. ეს ახალგაზრდები მისიონერები გახდნენ რუსებთან მსახურებაში.

მიუხედავად ზემოხსენებულისა, საქმე დიდი რისკის გარეშე არ დასრულებულა. უამრავი ქრისტიანი დაიჭირეს საშინაო (იატაკქვეშა) ეკლესიებში და უმოწყალიდ სცემეს, მაგრამ მსახური არასოდეს არ დაუსმენიათ.

*****

რუსეთის ოკუპაციის ადრეულ წლებში, მთელს რუმინეთში, ქრისტიანებმა დიდი გამბედაობა გამოიჩინეს მეზობელ ქვეყნებში ქრისტიანი და-ძმებისთვის რიჩარდის მიერ შემუშავებული სტრატეგიის გადაცემით.

ერთი სუსხიანი ზამთრის დილას, ოთხკაციანმა რუმინულმა ჯგუფმა საშიში მგზავრობა დაიწყო უკრაინის საზღვრის გასწვრივ, მოგვიანებით საბჭოთა კავშირის ნაწილი რომ გახდა იმ ტერიტორიაზე. ტანსაცმლის სახელოებში ბიბლიები ჰქონდათ დამალული მეორე მხარეს მცხოვრები ქრისტიანებისთვის. თოვლში სიარული ადვილი არ იყო, მათი უცნაური გადაწყვეტილების გამო - ევლოთ არა წინ, არამედ უკუსვლით. რუსეთის ჯარი რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის საზღვრის გასწვრივ იდგა და რუტინულად ათვალიერებდა იქაურობას, უამრავი ადამიანის მიერ შექმნილი საშიშროების გამო: საბჭოთა მოქალაქეები გაქცევას, ხოლო კონტრაბანდისტები არალეგალური საქონლის შემოტანას ცდილობდნენ. დაცვა ნელი სვლით ათვალიერებდა საზღვარს და ფარანს დათოვლილ მიწას ანათებდა. უცბად, ღრმად ამოისუნთქა, როცა ფარნის სინათლემ რაღაც შენიშნა თოვლზე. ნაბიჯები! რუმინეთისაკენ მიმავალი! სასტვენში გრძელი და მყარი განგაშის ხმით ჩასტვინა. რამდენიმე წამში სხვა მესაზღვრეები მოცვივდნენ და ძაღლებით გარს შემოერტყნენ. ამ დროს ოთხი რუმინელი ქრისტიანი მათთან ახლოს სიბნელეში გაიყინა და დაძაბულები უსმენდნენ.

თავი 14

„აქეთ! აქეთ!“ გადახტა დაცვა, დაიყვირა და ოთხი ადამიანის ნაფეხურისაკენ ხელს იქნევდა. „შორს არ იქნებიან! შეიძლება დავიჭიროთ, ვიდრე რუმინეთის საზღვარს მიაღწევენ!“ დაცვა ღამის სიბნელესა და ყვირილის ხმაში გაუჩინარდა და ძაღლების ყეფა ნელ-ნელა მიწყდა, ოთხმა ქრისტიანმა ერთმანეთს გაუღიმა. ლიდერის თავის დაკვრისთანავე მგზავრობა გააგრძელეს. ფრთხილად მიდიოდნენ უკუსვლით უკრაინისაკენ, იატაკქვეშა ეკლესიისათვის ძვირფასი ბიბლიებით ხელში.

*****

საბჭოთა კავშირის მიერ რუმინეთის ოკუპაციიდან მალევე, რიჩარდმა რუსი ჯარისკაცების სახლში მოყვანა დაიწყო. „უფრთხილდი, საბინა!“ უთხრა ანუცამ. „რას მოიმოქმედებ რუსებისა და გერმანელების გზები რომ შენს სახლში გადაიკვეთოს?“ რიჩარდი და საბინა სტუმართმოყვარეობის ფრთხილ თამაშს თამაშობდნენ. რიჩარდმა რუსებთან სახარების გასაზიარებლად ჯარისკაცების ბარაკებში დაიწყო სიარული, ისე იქცეოდა თითქოს იაფი საათების გადამყიდველი იყო. საათის ყიდვის მსურველი რუმინელი სამხედრო ბარაკებში უნდა მისულიყო. ხშირად, თავისივე მოპარულ საათს ყიდულობდნენ რუსებისგან. ჩვეული ამბავი იყო რუმინელებისათვის ბარაკებში ბიზნესის წარმოება, რიჩარდსაც სოლიდური მიზეზი ჰქონდა. როცა საათების გაყიდვის მსურველთა ჯგუფი შეიკრიბებოდა, რიჩარდს ბიბლიამდე მიჰყავდა საუბარი. ძველი ჯარისკაცები უკვე ცნობდნენ რიჩარდის მანერებს.

„შენ აქ ჩვენი საათების საყიდლად არ მოსულხარ,“ თქვა ერთმა კაცმა. „შენი რწმენის გასაზიარებლად მოხვედი. დაჯექი და მოგვიყევი, მაგრამ ფრთხილად იყავი. ვიცით სადაც უნდა მოგძებნოთ.“ კაცმა ახლომახლო მსხდომ ჯარისკაცებს გადახედა. „ჩემს გარშემო ყველა კარგი კაცია, მაგრამ როცა მუხლზე ხელს დაგადებ, მხოლოდ საათებზე ილაპარაკე. როცა ხელს ავიღებ, შეგიძლია სიტყვა გააგრძელო.“ წითელი არმია სავსე იყო

ინფორმატორებით. თავიანთ მეგობრებს ჯაშუშობდნენ და ამბავი უფროსობასთან მიჰქონდათ. ახალგაზრდა რუსებმა არაფერი იცოდნენ ბიბლიის შესახებ, ის არასოდეს უნახავთ და არც ეკლესიის შენობაში ყოფილან ოდესმე. საბინა მალე მიხვდა, რატომ თქვა რიჩარდმა „სამოთხე დედამიწაზე“ რუსებთან სახარების მისატანად.

ერთ დღეს, ორმა ახალგაზრდა ჯარისკაცმა დააკაკუნა ვურმბრანდების კარზე. „ქოლგის ყიდვა ხომ არ გნებავთ?“ იკითხა ერთმა და სამი მოპარული ქოლგა შესთავაზა.

„ოჰ, ჩვენ ქრისტიანები ვართ“ უპასუხა რიჩარდმა. „ჩვენ არ ვყიდულობთ, მაგრამ რაღაც კი გვაქვს გასაყიდი.“ ჯარისკაცები შინ შემოიპატიჟა და საბინამ ცივი რძე შესთავაზა სტუმრებს. ორიდან უფროსმა, ღია ფერის თმით, ოც წლამდე რომ არ იქნებოდა, პირდაღებულმა შეხედა საბინას.

„შენ ის ხარ, ბიბლია რომ მომეცი!“

საბინამ იცნო ყმაწვილი: „შენ სერჟანტი ხარ, პირველი ტანკიდან, ბუქარესტში!“

ჯარისკაც ივანს ჯერ კიდევ ჰქონდა ბიბლია, ბარაკების უჯრაში ჩაკეტილი, მაგრამ წაკითხული. სადილზე ივანმა რიჩარდსა და საბინას იმ ებრაელის შესახებ უთხრა, რომელსაც შეებრძოლა აღმოსავლეთ ევროპაში გადმოსვლისას. დანაყოფში მყოფი ასაკოვანი კაცი აწამებდა ხოლმე ებრაელ ჯარისკაცებს: „თქვენ მოკალით ქრისტე!“ ყვიროდა ის. ებრაელები ფიქრობდნენ, რომ კაცი გიჟი იყო. „სტალინგრადიდან ბუქარესტამდე მოყოლებული ხოცავდა ხალხს,“ განმარტა ივანმა. „რა იცოდა ვინ მოკლა ქრისტე?“ ქრისტეს სახელი საერთოდ უცხო იყო ებრაელი ჯარისკაცისთვის. ივანმა ეს კაცი ვურმბრანდების სახლში მოიყვანა; რიჩარდმა მთელი ბიბლია განუმარტა დაბადებიდან გამოცხადებამდე. გარკვეული დროის შემდეგ, სტალინმა შეწყვიტა ღმერთად თავის გამოცხადება და ჯარისკაცებს შეეძლოთ რიჩარდსა და საბინასთან ხშირად წასულიყვნენ სტუმრად.

როცა მათი დანაყოფი სხვაგან გადავიდა, იანმა ვურმბრანდებს გამოსამშვიდობებელი საჩუქარი დაუტოვა - ბრწყინვალე,

ახალთახალი ელექტრო ქურა. საბინამ რიჩარდს შეხედა; რა თქმა უნდა ქურა მოპარული იყო. „ლამაზია!“ თქვა ანუცამ. „სწორედ ეს სჭირდებათ ლიებმანებს!“ ოჯახი გაღატაკებული დაბრუნდა აუშვიციდან და რიჩარდმა ქურა მათ გადასცა. ივანმა ეს ნივთი იესო ქრისტეს გზის ჩვენებისთვის მადლიერების ნიშნად მოიპარა.

უბრალო ადამიანის სიყვარული ხშირად უცნაური გზებით გვეცხადება, ფიქრობდა საბინა. რამდენად კარგია, რომ იესოს სისხლმა, ივანის მიერ ელექტრო ქურის მოპარვის ცოდვაც დაფარა.

15

1947 წელს დაკავებები დაიწყო. კომუნისტებმა თაღლითობითა და ძალადობით მოიპოვეს სრული ძალაუფლება ქვეყანაში. ოპოზიციის ლიდერებს, პოლიციის ოფიცრებსა და სამოქალაქო სამსახურის მუშაკებს ლიკვიდაცია მოუწყვეს დატერორების გზით. შემდეგ, კომუნისტებმა ეკლესიაზე მიიტანეს იერიში. კათოლიკე ეპისკოპოსი და უთვალავი სამღვდელოების პირი, ბერები და მონაზვნები ამოიღეს მიზანში. ათი ათასობით ჩვეულებრივი ადამიანი გაუჩინარდა, ციხეებსა და შრომა-გამოსწორებით კოლონიებში გააგზავნეს. დანარჩენები თავისუფლებისათვის მებრძოლთა რაზმებს შეუერთდნენ მთებში. აღარავის ცხოვრება არ მიდიოდა ძველებურად.

რუსეთის ოკუპაციის პირველ დღეებში, ებრაელებმა შეძლეს რუმინეთის დატოვება. ათასობით ებრაელი გაიქცა, დატოვეს ყველაფერი, რაც ებადათ და სიღატაკესა და ლტოლვილობაში ცხოვრებას ამჯობინებდნენ რუსების მიერ შემოთავაზებულ „თავისუფლებას.“ ახლა მახეში გაებნენ.

ანუცას ეშინოდა, რომ ებრაელთა დასაპატიმრებელი ხალხის სიაში იყო მოხვედრილი და გაქცევას გეგმავდა კომუნისტური კედლების მიღმა შორეულ ქვეყანაში. სამწუხაროდ, განშორების დღე დადგა საბინასა და მისი ძვირფასი მეგობრისთვის. „ყველაფერს ვიღონებ ორივე რომ ქვეყნიდან გაგიყვანოთ,“ დაპირდა ანუცა. „კვლავ შევხვდებით ერთმანეთს თავისუფლებაში.“ დაუღალავად შრომობდა ანუცა დანაპირების შესასრულებლად, მაგრამ მხოლოდ ოცი წლის შემდეგ შეხვდნენ ერთმანეთს მეგობრები.

თავი 15

ტერორი გავრცელდა მთელს რუმინეთში. საიდულო პოლიცია გაუფრთხილებლად იჭრებოდა სახლებში და საათობით რაღაცას ეძებდა, ბოლოს მაცხოვრებლები „განცხადების გასაკეთებლად“ მიჰყავდათ განყოფილებაში. რამდენიმე საათით დაყოვნება არასოდეს ამართლებდა. ხორცის, თევზისა და პურის წარწერებიანი სატვირთოები ქუჩებში გადაადგილდებოდნენ და უცხოელი ჟურნალისტები ცნობებს ავრცელებდნენ, რომ რუსები რუმინელ ხალხს საკვებს ურიგებდნენ. სინამდვილეში, სატვირთოებს პატიმრები გადაჰყავდათ ტყვეობაში.

ვურმბრანდებმა პირველი გაფრთხილება მაშინ მიიღეს, როცა სამოქალაქო სამოსში გამოწყობილმა პოლიციელმა რიჩარდი მისიის სათავო ოფისში დაინახა. „ინსპექტორი რიოსანუ,“ თქვა მან და თავი წარუდგინა. „თქვენ ვურმბრანდი არ ხართ?“ ორმა ნაცნობმა ერთმანეთი მოიკითხა და ინსპექტორმა ფაზლის ფიგურები ერთმანეთს დააკავშირა, როდესაც ოფისში საეჭვო ქაღალდებს წააწყდა. „მინიშნების მოსაცემად მოვედი.“

რიჩარდმა წარბი ასწია გაოცებისაგან და ელოდა როდის გააგრძელებდა კაცი.

„დიდი, სქელი საქაღალდეა თქვენზე საიდუმლო პოლიციის სათავო ოფისში. ჩემი თვალით ვნახე. ვიღაც აწვდის თქვენზე ინფორმაციას ოფისის წევრებს ამ ბოლო დროს. ბევრ რუს მეგობარს მასპინძლობთ, არა?“ რიოსანუმ დაკოჟრებული ხელები ერთმანეთს გაუსვა. „მაგრამ ვიფიქრე, შეიძლება შეთანხმებისთვის მიგვეღწია... “ხმა შეეცვალა და რიჩარდის მიმართულებით გაიხედა. სამართლიან ფასად, ინფორმაციის განადგურება შეიძლება.

საბინა დიალოგს შეუერთდა და სამივენი თანხაზე შეთანხმდნენ.

ქაღალდის კუპიურების კეცვისა და ჯიბეში ჩაკუჭვის დროს რიუსანუმ თქვა, „შეთანხმება შედგა. შეგიძლიათ იცოდეთ ინფორმატორის სახელი, არის -„

„არა!“ ჩაერია საბინა, „არ გვინდა ვიცოდეთ მისი ვინაობა.“

თუ რიჩარდსა და საბინას არ ეცოდინებოდათ ინფორმატორის სახელი, მასზე ვერც აღშფოთდებოდნენ. იმ დროს, უთვალავი ადამიანის სიცოცხლეს ანადგურებდნენ ინფორმატორები. ინსპექტორმა მხრები აიჩეჩა და ქუდი დაიხურა. „როგორც გენებოთ.“ ამ სიტყვებით ისევე სწრაფად გაუჩინარდა ღამის სიბნელეში, როგორც მოვიდა.

მალე რიჩარდი პოლიციის განყოფილებაში დაიბარეს დასაკითხად, მაგრამ ოფიციალური ბრალის არ არსებობის გამო წითელმა არმიამ საქმე დახურა. ვურმბრანდების გავლენიანმა მეგობრებმა მისი გათავისუფლება სამ კვირიანი პატიმრობის შემდეგ შეძლეს, თუმცა გათავისუფლება ნამდვილად არ იქნებოდა ამ გზის დასასრული. თითქმის ყოველდღე, უფრო და უფრო მეტ მის მეგობარს აპატიმრებდნენ. ასეთ დაპატიმრებას ხშირად წამება მოჰყვებოდა ხოლმე.

*****

ებრაელები მთელი ქვეყნის მასშტაბით რუმინეთში იყვნენ მახეში გაბმული, მაგრამ ძალიან გვიანი არ იყო ვურმბრანდებისათვის ქვეყნის დატოვება. ათასობით ადამიანი იხდიდა თანხას გასაქცევად. საბინამ იცოდა, რომ რიჩარდს არ უნდოდა წასვლა, მაგრამ უნდოდა საბინა წასულიყო, „ანტონესკუს მმართველობის ქვეშ არასდროს ვყოფილვართ ორ ან სამ კვირაზე მეტ ხანს დაკავებული ერთ ჯერზე, მაშინ, როცა კომუნისტებთან შეიძლება დაპატიმრება წლები გაგრძელდეს. მათ შეიძლება შენც წაგიყვანონ... და მიხეილი - ვინ მიხედავს ბავშვს?“

უცნაური საუბრები ჰქონდა მეგობრებთან და ნაცნობებთან; ყველა მათგანი წასვლას ურჩევდა და ვურმბრანდებიც ფიქრობდნენ, იყო თუ არა ეს პასუხი ღმერთისგან.

„თუ დასავლეთით წავალთ,“ თქვა რიჩარდმა, „უფრო *მეტის* გაკეთებას ვერ შევძლებთ რუმინეთის ეკლესიისთვის? თუ დავრჩებით, სხვებთან ერთად ციხეში წავალ. ეს იქნება ჩვენი ერთად ცხოვრების დასასრული. მაწამებენ და შეიძლება მომკლან

კიდეც. თუ შენც დაგაპატიმრებენ, ეს იქნება მისიის დასასრული. სოლეიმები უცხოელები არიან - მათ დარჩენის უფლებას არ მისცემენ. მიხეილი ქუჩაში გაიზრდება, როგორც კომუნისტი. რა სიკეთეს მოუტანს ეს ვინმეს?“

ერთ საღამოს რიჩარდმა და საბინამ ცხადი პასუხი მიიღეს. ორმოცდაათი მორწმუნე შეიკრიბა საიდუმლო ლოცვისათვის მეზობელთან. შუაღამისას, მუხლებზე დაცემულმა ქალმა ყვირილი დაიწყო: „და თქვენ, ვინც წასვლაზე ფიქრობთ! გახსოვდეთ, რომ კარგი მწყემსი თავის ცხვარს არ მიატოვებს. ის ბოლომდე რჩება.“ ქალმა არაფერი იცოდა რიჩარდის დილემაზე და ვურმბრანდებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს.

გამთენიისას რიჩარდი და საბინა ცივ ქუჩას მიუყვებოდნენ სახლისაკენ, იანვარი იდგა და თოვლის ფიფქები ცვიოდა; „ახლა ვერ წავალთ,“ თქვა საბინამ და ქმარიც დაეთანხმა.

დიდი ხნის შემდეგ, როდესაც რიჩარდმა თავისუფლება დაიბრუნა ციხეში მრავალწლიანი წამების შემდეგ, შინ დაბრუნებისას იგივე ქალბატონი დახვდა ყვავილებით ხელში მატარებლების სადგურზე.

„არ ვნანობ თქვენი რჩევის მიღებას,“ უთხრა რიჩარდმა მას. „მადლიერი ვარ ამის.“

*****

მომდევნო წლებში ერთმანეთს მიჰყვებოდა დევნა და ენით აღუწერელი წამება. რიჩარდმა და საბინამ ქრისტეს კვალი დატოვეს რუმინელ ხალხში. ქრისტიანულ ლიტერატურას ნიღბავდნენ და კომუნისტური პროპაგანდის მიღმა, კაფეებსა და ქუჩებში ავრცელებდნენ. რიჩარდი და საბინა იფარებდნენ ობოლ ბავშვებს, ყოფილ ნაცისტებს, მსჯავრდებულებსა და ქრისტიანებს, რომლებსაც ციმბირში გადასახლებას უპირებდნენ. ომის მსხვერპლ ასობით ადამიანს უმასპინძლდებოდნენ ცხელი სადილით ყოველდღიურად, მას შემდეგ, რაც ქვეყანა სასტიკი გვალვისა და შიმშილისაგან იტანჯებოდა. ორი

საზაფხულო ბანაკიც მოაწყვეს ქრისტიანობის მიმდევარი ყველა წინამძღოლისთვის კარპატის მთებში.

როგორც კი ბუქარესტის ეკლესიამ ზრდა დაიწყო, რასაც თან დაერთო ათასამდე ებრაელის მოქცევა და სხვა ეროვნების ადამიანების გაქრისტიანება, ვურმბრანდების მსახურებამ კომუნისტური რეჟიმის მრისხანება გამოიწვია.

16

1948 წლის 29 თებერვალი მშვიდ ნოტაზე დაიწყო. რიჩარდი დაიხარა, საბინას გამოსამშვიდობებლად აკოცა და სახლიდან ბუქარესტის გამაცოცხლებელ ჰაერზე გამოვიდა. აწოწილი, ოცდაცხრამეტი წლის ხუცესი, ეკლესიისაკენ მიმავალ მოკლე გზას დაადგა, ოლტენის ქუჩიდან ვაქარესტის თვალწარმტაცი სამეზობლოს გავლით. გაჩერებული მანქანებით სავსე, კარგად ნაცნობ ბილიკზე, სიცოცხლის ნიშან-წყალი ნაკლებად შეინიშნებოდა. კვირა დღის სიმშვიდემ რიჩარდის თავისუფალ გონებას დღევანდელი ქადაგების მთავარ თემაზე ფიქრის საშუალება მისცა. ისტორიული შენობების სილუეტები მოჩანდა მის თავზემოთ. ქუჩას მიუყვებოდა და საკუთარი ქალაქის მდიდარი ისტორია ახსენდებოდა. ლუთერანული ეკლესიისკენ მიმავალ ზიგზაგისებურ გზას მიუყვებოდა, სადაც ნახევარ საათში მეუღლეც შემოუერთდებოდა. შუადღისით ახალგაზრდა მეგობრის ჯვრისწერა უნდა წარემართა, მაგრამ ახლა მისი სული, როგორც ფეხსაცმლის ლანჩა, ტოპოგრაფივით მიყვებოდა კვირა დილის რუტინას.

შავი, ფორდის მარკის, მინივენი მიუახლოვდა. ორი კაცი მანქანიდან გადმოხტა, ხელი ჩაავლეს და რიჩარდი მალე მიხვდა, რომ მისი გეგმები ამაო გახლდათ. მეუღლეს ვეღარ შეხვდებოდა, ვეღარ იქადაგებდა, შუადღის ჯვრისწერაც ვეღარ შედგებოდა. მანქანის უკანა სავარძელზე ჩატენეს და შუბლზე იარაღი მიადეს საიდუმლო პოლიციის მსხვერპლს. ფორდი ქუჩას დაუყვა და უცნობი მიმართულებით გაექანა. რიჩარდმა ფანჯრიდან თვალი შეავლო გარემოს, მაგრამ დამტყვევებლების

დარტყმისგან მის თვალებს ფოკუსირების უნარი ჰქონდა წართმეული. მანქანა ქალაქის ცენტრისკენ მიქროდა და როგორც კი კოშკის სიმაღლის, რკინის, ჭიშკარს მიუახლოვდა, სიჩქარეს უკლო. რიჩარდს არ ასვენებდა ფიქრი იმ ნაცნობ პოლიტიკოსზე, რომელმაც გატაცებიდან და დაპატიმრებიდან ერთ კვირაში, ციხის საკანში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. *იგივე ხვედრი ძეწევა?* ფიქრობდა რიჩარდი. შემდეგ გაახსენდა სიტყვა, „ნუ გეშინია“, რომელიც ზუსტად 366- ჯერ არის ბიბლიაში ნახსენები, რაც მთელ წელს მოიცავს, ნაკიანი წლის ჩათვლით. რიჩარდისთვის განგებასთან ასოცირდებოდა ის ფაქტი, რომ 29 თებერვალს დააკავეს; იმის გახსენება, რომ არ უნდა შეშინებოდა რას უზამდა მას კაცი. შიში იყო ის ემოცია, რასაც არ მიიკარებდა ციხის საკანში. ღვთის დახმარებით შეეძლო გაეძლო წამების, ცუდად მოპყრობის, ავადმყოფობისა და სიკვდილისთვისაც კი, ოღონდაც ქრისტე დაენახათ მის თვალებში ადამიანებს.

წინა საღამოს რიჩარდმა და საბინამ რამდენიმე მეგობარს უმასპინძლეს სახლში; ერთმა მათგანმა ერთ-ერთ პოლიტიკოსზე თქვა: „როგორც ჩანს, ჯოჯოხეთი გაიარა.“

„რიჩარდ, რას ფიქრობ, რა არის ჯოჯოხეთი? იკითხა მეორე მეგობარმა. როდესაც მინივენის კარის დახურვის ხმა მოესმა, რიჩარდმა იფიქრა, რომ ეს იქნებოდა ხმა, რომელსაც ის უკანასკნელად მოისმენდა. „ჯოჯოხეთი არის სიბნელეში მარტო ჯდომა და ყველა იმ ცუდის გახსენება, რაც კი ოდესმე ჩაგიდენია,“ პასუხობდა ის.

*****

საბინა, მეუღლესთან კოცნით გამომშვიდობებიდან ოცდაათი წუთის შემდეგ, ეკლესიაში წავიდა და იმ გზას გაუყვა, რიჩარდი რომ ხშირად გადიოდა. ეკლესიაში მისულმა აღმოაჩინა, რომ ხუცესი სოლეიმი, მისიის ხელმძღვანელი, ბოლთას სცემდა, ყურადღება სხვა რამისკენ მიეპყრო და შეშფოთებული ჩანდა. „რიჩარდი არ გამოჩენილა,“ თქვა მან. „მაგრამ თავში იმდენი

რამ უტრიალებს, შეიძლება სხვა მნიშვნელოვანი შეხვედრა გაახსენდა და დაავიწყდა, რომ აქ უნდა მოსულიყო.“საბინა სხვა შეხვედრის საქმის კურსში არ იყო. „მაგრამ დამპირდა, რომ აქ მნახავდა ნახევარ საათში,“ უპასუხა საბინამ. „შეიძლება მეგობარი შეხვდა, რომელსაც დახმარება სჭირდებოდა“ - უპასუხა ნერვიულად. „მოვა.“

ვიდრე ხუცესი სოლეიმი რიჩარდის გარეშე განდიდების მსახურებას უძღვებოდა, საბინამ მეგობრებს დაურეკა, თუმცა არც მათ იცოდნენ რიჩარდის ადგილსამყოფელის შესახებ.

„ნუ იდარდებთ,“ უთხრა ხუცესმა სოლეიმმა მსახურების შემდეგ. „ვერაფერს გაუგებ რიჩარდს. გახსოვს? ერთხელ, საზაფხულო ბანაკი რომ გვქონდა, დილით გაზეთის საყიდლად წავიდა და ლანჩის დროს დარეკა, რომ საუზმეზე ვერ მოვიდოდა“.

საბინამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მაგრამ შინაგანად წუხდა, ეშინოდა.

მეგობრებმა, ჩვეულებისამებრ, ისიამოვნეს საბინას მიერ კვირა დღეს მომზადებული სადილით მის ბინაში. ეს კვირის ყველაზე კარგი დღე იყო ბევრი ადამიანისთვის, თუმცა მასპინძელს მადა წართმეოდა განცდისაგან. სტუმრებმა მიირთვეს და იგალობეს. საბინა იმედოვნებდა, რომ რიჩარდს მნიშვნელოვანი საქმე გაახსენდებოდა და მალე დაბრუნდებოდა. წარმოიდგენდა, რომ ახლა შემოაღებდა კარს და სიცილით ბოდიშს მოიხდიდა დაგვიანებისთვის, აპატიებდა და ყველაფერი კვლავ ძველებურად იქნებოდა.

მას შემდეგ, რაც ხუცესმა სოლეიმმა ჯვრისწერა ჩაატარა, საბინამ ქალაქის ყველა საავადმყოფოში დარეკა. ფიქრობდა რა, რომ რიჩარდს შეიძლება მანქანამ დაარტყა, ყველა სასწრაფო დახმარების განყოფილებაში გაშმაგებით ეძებდა, მაგრამ ამაოდ. ქმრის ასავალ-დასავალს ვერ მიაგნო. მხოლოდ მისი დაპირება ახსოვდა, რომ ნახევარ საათში ეკლესიაში შეხვდებოდა.

შუადღე საღამომ ჩაანაცვლა, საღამო - ღამემ, მაგრამ რიჩარდი ისევ არ ჩანდა. საბინა ჩუმად იდგა კართან და ელოდა. დროის გასვლასთან ერთად ტანში ჟრუანტელი უფრო მეტად უვლიდა

და ამ ყველაფრის ერთადერთ შესაძლო ახსნად რიჩარდის გაუჩინარება ეჩვენებოდა.

*****

კომუნისტურმა საიდუმლო პოლიციამ რიჩარდი მინივენიდან სათაო ოფისში გადაიყვანა. ჰალსტუხი მოხსნეს, ჯიბეები გადმოუტრიალეს, პირადობის მოწმობა წაართვეს და ტანსაცმელი გახადეს. ფეხსაცმლის შესაკრავები - რასაც პატიმრები ხშირად იყენებდნენ თავის ჩამოსახრჩობად -რიგრიგობით მოხსნეს.

„ამიერიდან," თქვა ერთ-ერთმა ოფიციალურმა პირმა, „ვასილ გეორგესკუ ხართ."

გვართან დაკავშირებული ასოციაცია საკმარისი იყო იმისათის, რომ ყველა პატიმარში სიძულვილის გრძნობა გამოეწვია. პოპულარობის გამო რიჩარდს სასამართლო დევნისთვის თავი ვერ აერიდებინა და დაცვასაც ვერ ეცნო დაკითხვის დროს. რიჩარდი უბრალოდ უკვალოდ გაქრებოდა.

ციხე, რომელიც ბუქარესტის ერთ-ერთი მთავარი ქუჩის ბოლოში მდებარეობდა, კალეა რაჰოვეი, ახალი იყო და სავარაუდოდ ბევრმა არ იცოდა მისი არსებობის შესახებ. რიჩარდმა იცოდა, რომ მის მეგობრებს აზრად არ მოუვიდოდათ რიჩარდის იქ მოძებნა.

უბრალო და ვიწრო ცემენტის საკანში სინათლე შემოდიოდა პატარა, ყუთის ფორმის, ფანჯრიდან, რომელიც პატიმრების გაქცევის თავიდან აცილების მიზნით, მაღლა იყო გამოჭრილი. რიჩარდი ფიცრებიან საწოლზე ჩამოჯდა, კუთხეში მიდგმული სათლის გვერდით და დასაკითხად გამოძახებისთვის მოემზადა. ლოდინი ციხეში ცხოვრების ყველაზე რთული, ჯოჯოხეთური, ნაწილი იყო. წარმოიდგენდა, თუ რა კითხვებს დაუსვამდნენ გამომძიებლები და იმაზე ფიქრობდა, რა მეთოდებს გამოიყენებდნენ მისთვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით. ფიზიკური ტკივილის მიყენების შესახებ მუქარის სიმძაფრე, სხვა პატიმრებისგან იყო ცნობილი, მაგრამ

თავი 16

შეპყრობისას დაუფლებულმა შიშმა უკვე გაუარა. მისი ადგილი, ახლა, სახარებისთვის ნებისმიერი სახის ტკივილის მიყენების განცდას ჩაენაცვლებინა. რიჩარდს სჯეროდა, რომ ღმერთი მისცემდა მტკიცედ დგომის ძალას იმ რთული ფიზიკური მდგომარეობიდან გამოსასვლელად, მის გამტაცებლებს რომ უნდა მიეყენებინათ. რიჩარდი ჩუმად იჯდა ცივ ქვაზე და მადლობას უხდიდა ღმერთს ამ ციხეში მოხვედრისთვის. ყოველი განვლილი წამი მისი და საბინას ლოცვის პასუხი გახლდათ ჯვრის სატარებლად. რა უცნაური და შესანიშნავი შესაძლებლობები გაიფურჩქნებოდა ამ კედლებში? როგორ დამეგობრდებოდა დაცვასთან? არ იცოდა რიჩარდმა, მაგრამ იმედოვნებდა, რომ ღმერთი გაანათებდა მასში, კალეა რაჰოვეის ავისმომასწავებელ ციხეში ტანჯვისას.

*****

კომუნისტებმა საბინასაც ჩამოართვეს პირადობა, ასე რომ, მანაც შეწყვიტა ლეგალურად ყოფნა. როგორც პოლიტიკური პატიმარი, სურსათის ტალონსაც აღარ აძლევდნენ და სამსახურშიც არ აჰყავდათ. მისთვის საკვების მოპოვება ყოველკვირეული პრობლემა გახდა.

„როგორ უნდა ვიცხოვრო?“ ეკითხებოდა მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენლებს. „და ჩემი ვაჟი?“

ისინი ყოველთვის ასე პასუხობდნენ: „ეგ შენი გადასაწყვეტია.“

თვეების განმავლობაში ეძებდა საბინა რიჩარდს, ერთიდან მეორე კაბინეტში დადიოდა და იმედოვნებდა, რომ რაიმე ინფორმაციას წააწყდებოდა. ოფიციალური წარმომადგენლები თხოვნაზე უარს ეუბნებოდნენ და მეუღლის დაპატიმრებას არ უდასტურებდნენ. საღამოობით საბინა ფანჯარასთან იჯდა, ელოდა და ტიროდა. ალბათ, ამაღამ დაბრუნდება, ფიქრობდა საგონებელში ჩავარდნილი. ბოლოს და ბოლოს ფაშისტებიც კი ათავისუფლებდნენ ორ კვირიანი პატიმრობის შემდეგ, მაგრამ ახლა ისინი არ იყვნენ ხელისუფლებაში, კომუნისტები კი უფრო

მეტ ულმობლობას ავლენდნენ, ვიდრე ნაცისტები. პრობლემის გადაჭრის მიზნით, საბინამ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიაკითხა. იცოდა, რომ მაღალი რანგის პატიმრები ხშირად იატაკქვეშა საპყრობილეებში ჰყავდათ. ხშირად უნახავს ოჯახის წევრებით სავსე შენობები მთელი შემადგენლობით რომ ეძებდნენ საყვარელ ადამიანებს. საბინამ საინფორმაციო განყოფილებას მიაკითხა მეორე სართულზე და იმ კიბეზე ავიდა, რომელზეც დედები და ბავშვები იცდიდნენ პასუხის მოლოდინში. მათ ზემოთ, კედელზე გაკრული იყო ლოზუნგი, „არავითარი შემწყნარებლობა კლასობრივ მტრებს.“ საბინამ წინ მდგომი ქალბატონების საუბარს მოჰკრა ყური. ოფიციალურმა პირებმა ყური ათხოვეს მათ საჩივრებს და საბუთებსაც კი გადაავლეს თვალი. თავს აჩვენებდნენ, თითქოს, დაბეჭდილ სახელებს ეძებდნენ. სათხოვრების კაბინეტები ღია იყო, ჩანაწერები სახეზე გვქონდა, მაგრამ პასუხი ყოველთვის ერთნაირი იყო. მათი ქმრების კვალი ჩანაწერებში არსად ჩანდა.

საბინას მოთხოვნასაც ანალოგიური საფეხურები უნდა გაევლო. კაბინეტი დამარცხებულმა და იმედგაცრუებულმა დატოვა. გადაწყვიტა დახმარებისთვის შვედეთის დიპლომატისთვის, ბატონი რეუტერსვარდისთვის, მიემართა. ხუცესი სოლეიმი საბინას შეხვედრაზე გაჰყვა საელჩოში. იგი აქამდეც დახმარებია ხუცესრიჩარდსდასაბინადარწმუნებულიიყო,რომრეუტერსვარდი ახლაც დაეხმარებოდა რიჩარდს გათავისუფლებაში. რჩევის მიუხედავად, უფროსი უარს აცხადებდა საქმეში ჩართულობაზე და დიპლომატმა საკუთარი რეპუტაცია რისკის ქვეშ დააყენა რიჩარდის გასათავისუფლებლად. დაუკავშირდა საგარეო საქმეთა მინისტრს, ანა პაუკერს, რომელმაც უთხრა, რომ „ჩვენი ინფორმაციის თანახმად, რიჩარდ ვურმბრანდი ქვეყნიდან გაიქცა დოლარებით სავსე ჩემოდნით, რომელიც შიმშილის დაძლევის პროგრამის ფარგლებში მიანდეს. ამბობენ, რომ დანიაში გაიქცა.“ დიპლომატი ვერ მოხიბლა აშკარად მცდარმა ინფორმაციამ და პირველ მინისტრს, გროზასაც, ესაუბრა. მან აღტაცებული ხმით უპასუხა: „ვურმბრანდი ჩვენს ციხეებში უნდა

იყოს? თუ დაამტკიცებთ, გავათავისუფლებ!“ დამტკიცება ძნელი საქმეა, მაგრამ საბინა მაინც ვერ შეწყვეტდა ძებნას. მთელი ენერგია ამოწურა და აღარავინ დარჩა რიჩარდის საქმესთან დაკავშირებით, რომ არ შეეწუხებინა. სხვა არჩევანი აღარ დარჩენოდა, თუ არა ქრთამის გაღება.

17

ინფორმაციის სანაცვლოდ თანხის გაღებამ საბინა ბუქარესტში, საშიშ, დანაშაულით განთქმულ, სამეზობლოში მიიყვანა. მზად იყო ნებისმიერი ადამიანისთვის გადაეხადა მეუღლის ადგილსამყოფელის გაგების სანაცვლოდ. ზოგიერთები ამბობდნენ, რომ რიჩარდი გაიტაცეს და მოსკოვში გადაიყვანესო.

ერთ დღეს, საბინას ბავშვობის მეგობარს, კლარი მეირს, იდეა გაუჩნდა, „იცნობ ტეოჰარი გეორგესკუს, კაბინეტის მინისტრს?“ ჰკითხა მან.

საბინამ თავი გაიქნია.

„მისი ძმა ჩვენს მეზობლად ცხოვრობს და გამიგია, რომ მას შეუძლია ციხეში შესაბამისი თანხის სანაცვლოდ შესვლა. მის მეუღლეს დაველაპარაკები შენს საქმეზე.“

საბინა შეხვდა ბატონ გეორგესკუს ქალაქის გარეუბანში, ბარაკებში. დაბალი კაცი იყო, ძვირფასი შარვალ-კოსტიუმი ეცვა. „მე გეორგესკუ ვარ,“ თქვა მან. „მე მოვაგვარებ საქმეს. ერთი სიტყვა ჩემს ძმასთან და საქმე დამთავრებულია. გარანტია? ჩემი სიტყვა გარანტიაა.“ გეორგესკუ ბევრს ითხოვდა, მაგრამ საბინამ შეძლო ამ თანხის შეგროვება. არანაირი თანხა არ ღირდა მისი მეუღლის სიცოცხლედ. რამდენიმე კვირა არაფერი მომხდარა. გეორგესკუდან არაფერი ისმოდა, არც მომდევნო შეხვედრის დანიშვნა. საბინამ დასკვნა გამოიტანა, რომ სიმართლე იყო რასაც აქამდე ეჭვობდა. კიდევ ერთხელ გააცურა ეშმაკმა.

თავი 17

*****

ერთ საღამოს, მაღალი წოდების პოლიტიკოსი მოვიდა საბინასთან სახლში. „ვინ იცის რა ხდება?“ - თქვა მან. „შეიძლება ბრიტანელები და ამერიკელები არიან საქმეში ჩართულები.“ საბინამ იცოდა, რომ საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის დაძაბულობა იზრდებოდა და მცირე ხნით, გათავისუფლების იმედმა გაუელვა. პოლიტიკოსი შეძლებისდაგვარად დაეხმარა საბინას, ფულადი ჯილდოც კი შესთავაზა, მაგრამ დანარჩენების მსგავსად, მისი დაპირებაც ფუჭი გამოდგა. საბინა კიდევ ერთ ოფიციალურ პოლიტიკურ პირს შეხვდა მეგობრის მეშვეობით, რომელიც მრავალი წლის წინ მასთან ერთად დადიოდა სკოლაში. ეს ოფიციალური პირი და საბინას მეგობარი თავს ისე აჩვენებდნენ, რომ საყვარლები იყვნენ, საიდუმლოდ ხვდებოდნენ ერთმანეთს, ისე რომ ეჭვი არავის აეღო, მაგრამ არც მათმა ვაჭრობამ გამოიღო ნაყოფი. კრიმინალებთან შეხვედრებმა, დაუმთავრებელმა გამოძიებებმა და ქრთამების გაღებამ რამდენიმე თვეს გასტანა. ერთ საღამოს კი საბინას კარზე დაუკაკუნეს. უცნობი, რომელიც უხეში კაცი ჩანდა, ქლიავის ბრენდის სუნით - საბინასთვის კარგად ნაცნობი არომატით - იყო გაჟღენთილი.

„მე თქვენს მეუღლეს შევხვდი,“ თქვა მან.

საბინას უჭირდა ამის დაჯერება, მაგრამ მაინც უსმენდა.

„ციხის დარაჯი ვარ,“ თქვა მან. „არ მკითხოთ რომელ ციხეში. საკვები მიმაქვს მასთან და მითხრა, რომ კარგად გადამიხდიდით პატარა ინფორმაციაში.“

„გააჩნია,“ უპასუხა საბინამ. „რამდენი?“

უცნობმა ფასი დაასახელა. „თქვენ იცით, რომ თავს ვწირავ თქვენი გულისთვის.“

ფასი ძალიან მაღალი იყო და საბინას ეჭვი ეპარებოდა, რომ ამდენის შეგროვებას შეძლებდა. ამის მიუხედავად, თუ ეს უცხო ადამიანი საკმარისად დაარწმუნებდა მეუღლის სიცოცხლეში,

საბინა ყველაფერს იღონებდა. ამ შემთხვევის შესახებ ხუცეს სოლეიმს უამბო, თუმცა ის სკეპტიკურად განეწყო უცნობი კაცის მიმართ. დაცვას შოკოლადის ფილა გადასცა და უთხრა: „წაიღე ეს და ვურმბრანდის ხელმოწერით დააბრუნე უკან.“

ორმა დღემ გაიარა და დარაჯისგან არაფერი ისმოდა, მაგრამ ერთ საღამოს კარზე კაკუნი გაისმა. საბინამ კარი გააღო, კაცმა ქუდი მოიხადა და შოკოლადის ფილის ქაღალდი გადასცა. ფრთხილად აკვირდებოდა საბინა, წაკითხულის დაჯერება უჭირდა.

„ჩემო ძვირფასო ცოლო, მადლობას გიხდი შენი სიტკბოსთვის. მე კარგად ვარ. რიჩარდი.“ ხელწერა ნამდვილად მის მეუღლეს ეკუთვნოდა! შეცდომა არ ყოფილა. მის გარკვევით დაწერილ, დიდ, ასოებს მეორე ოთახიდანაც კი ცნობდა. საბინას თვალზე ცრემლი მოერია.

„ის კარგად არის,“ თქვა დარაჯმა. „სიყვარულით მოგიკითხავთ.“

საბინა ცდილობდა წარმოედგინა ის საშინელი მდგომარეობა, რომელშიც რიჩარდი იყო და იმედოვნებდა, რომ შოკოლადის ფილა მას მცირეოდენ შვებას მაინც მოჰგვრიდა. ყველაფერს გაიღებდა, ოღონდაც ახლა მასთან ყოფილიყო, თუნდაც რამდენიმე წუთით.

„ზოგიერთ პატიმარს მარტოობის ატანა არ შეუძლია,“ თქვა დაცვამ. „არ მოსწონთ საკუთარი კამპანია.“

საბინამ იცოდა, რომ რიჩარდი მარტო არ იყო. როგორც ხშირად ეუბნებოდა ხოლმე, ციხეში ქრისტეს არსებობას უეჭველად გრძნობდა. მეუღლე წერილებით უნდა გაემხნევებინა, ამიტომ დარაჯს ქრთამად ყველაფერი მისცა, რაც კი გააჩნდა.

„ხალხს თორმეტ წელს აძლევენ ამისთვის,“ უთხრა საბინას. „იცით, ამას მხოლოდ ფულის გამო არ ვაკეთებ.“

უცნობი კაცი საკუთარ თავისუფლებას სწირავდა სიტყვიერი ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლისთვის და საბინა მისადმი მადლიერების გრძნობით განიმსჭვალა. მან იმედი მისცა იმისა, რომ რიჩარდი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

თავი 17

„რას აკეთებ ჩემ მიერ მოცემული თანხით?“ ჰკითხა ერთხელ საბინამ.

„ვსვამ!“ თქვა მან, სიცილით.

თუ სიმთვრალე რიჩარდის ტანჯვას შეამსუბუქებდა, მაშინ ეს გარიგება ღირდა ამისთვის. რიჩარდი ცოცხალია და მთავარი მნიშვნელობა ამას აქვს. საბინამ დარაჯს ალკოჰოლისთვის რამდენიმე თვის საკმარისი თანხა მისცა. მოკრძალებული და ნამდვილი მეგობრობა ჩამოყალიბდა რიჩარდსა და დაცვას შორის და დამატებით რამდენიმე ნაჭერი პური მიჰქონდა მისთვის, როცა არავინ უყურებდა.

საბინამ ხუცეს სოლეიმსა და მის მეუღლეს, გილგას, უამბო რიჩარდის დაპატიმრების შესახებ. ცოლ-ქმარმა სხვა პასუხისმგებლობებს თავი მიანება და მხოლოდ რიჩარდის ციხიდან გათავისუფლების საქმეს მოჰკიდა ხელი. სოლეიმმა შვედეთის დიპლომატის სანახავად კიდევ წაიყვანა საბინა, ამჯერად შოკოლადის ქაღალდიც თან წაიღეს, რიჩარდის სავალალო მდგომარეობის მტკიცებულებად. დიპლომატმა მყისვე მისწერა წერილი პირველ მინისტრს: „თქვენ დამპირდით ხუცესი ვურმბრანდის გათავისუფლებას მისი რუმინეთში პატიმრობის მტკიცებულების მოპოვების შემთხვევაში. ამჯერად, ეს მტკიცებულება ხელთ მიპყრია.“ გროზამ, საკუთარ ხუმრობაზე პასუხის დაბრუნებისაგან გაოცებულმა, ანა პაუკერის - საგარეო საქმეთა მინისტრის, ინფორმაციაზე დაყრდნობით მოითხოვა დიპლომატთან შეხვედრა. გაშმაგებულმა და დამცირებულმა, დატუქსა რეუტერსვარდი იმის წარმოჩენისთვის, რომ, თითქოს, მატყუარა იყო და დაჟინებით ამტკიცებდა, რომ რიჩარდი დანიაში გაიქცა. მინისტრი ვერ აიტანდა დიპლომატის საშინაო საქმეებში ცხვირის ჩაყოფას და უარი განაცხადა მისი თხოვნით გამოძიების დაწყებაზე. რეუტერსვარდი ვერ დაუშვებდა უდანაშაულო ადამიანის წამებას და კიდევ ერთხელ, დაჟინებით, მოითხოვა თანამშრომლობა, მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრისთვის საქმე დახურული გახლდათ.

დიპლომატის ხელმძღვანელობამ მისი სიბრძნე ეჭვქვეშ დააყენა ამ საქმეში ჩარევის გამო და არასასურველ პიროვნებად გამოაცხადეს. მისი რეპუტაცია შეილახა და ნდობაც დაკარგა. ამიერიდან საბინასთვის დახმარება აღარ შეეძლო იმის მიუხედავად, რომ მტკიცებულება ჰქონდა რიჩარდის რუმინეთის ციხეში ყოფნის შესახებ. რეუტერვარდის კარიერა დასრულდა. სტოკჰოლმში გამოიძახეს და დიპლომატიური კორპუსის ზეწოლით პენსიაზე გასვლა აიძულეს.

საბინასთვის უფრო მეტად იმედგამაცრუებელი და ტრაგიკული გახლდათ უახლოესი მეგობრის, ხუცესი სოლეიმისა და მისი მეუღლის ამბავი, რომელთაც რუმინეთში დარჩენა აღარ შეეძლოთ. მისთვის ყელაზე რთულ განსაცდელში, საბინა შვებასა და სიმტკიცეს პოულობდა მათი გამხნევებით. როგორ გადარჩებოდა მათი დახმარების გარეშე? მაგრამ სოლეიმის სამისიონერო საქმიანობა დასასრულს მიუახლოვდა და თითქმის აღარაფრის გაკეთება შეეძლოთ შორი მანძილიდან მის დასახმარებლად, თუმცა წასვლამდე, უფალმა პასუხი გასცა საბინასა და მისი მეგობრების რამდენიმეთვიან ლოცვას. რიჩარდი იპოვეს!

*****

ბუქარესტის ქუჩებში ხმა გავარდა, კვირაში ორჯერ, მთავრობის კონკრეტულ კაბინეტში კალეა რაჰოვეიზე, დაკარგულად გამოცხადებული ადამიანების ნათესავებს შეეძლოთ მისულიყვნენ ოფიციალურ პირებთან და თავიანთი საყვარელი ადამიანების ასავალ-დასავალი გაეგოთ. ამ უკანასკნელ ძალისხმევას ჩაბღაუჭებული საბინა თავის მეგობარ ბიანკას მიუბრუნდა და სთხოვა თავისი „ძმის“, რიჩარდის, ამბის მოკითხვა.[1]

ბიანკამ სათხოვარი დაწერა და თვითონ წარადგინა ოფისში, რომელიც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, საიდუმლო პოლიციის

[1] ბიანკა ადლერის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მის წიგნში *Serving God in Hostile Territory* (Penrith, Australia: Stephanus, 2003).

სათაო ოფისი გახლდათ. შენობა რიჩარდის ციხის ზემოთ იყო. ქალბატონები შენობის დარბაზში იცდიდნენ კაბინეტში შესასვლელად და თავიანთი ახლობლების ამბის გასაგებად, იყვნენ თუ არა ისინი ოფიციალურ სიაში შეყვანილები. ბიანკა იცდიდა, მის გვერდით მდგომმა ქალბატონმა სარდაფში გამოჭრილი პატარა ფანჯრისაკენ მიანიშნა.

„შეხედე იმ ფანჯარას, მაგრამ ფრთხილად, რომ არ შეგამჩნიონ,“ ჩასჩურჩულა ქალმა. თითქოს, კაცი ჩანს და შენსკენ იწვდის ხელს, თითქოს რაღაცის თქმა სურს შენთვის.

ბიანკა ნელა მობრუნდა, აწოწილი და პირგაუპარსავი კაცი დაინახა. თვალები მოიფშვნიტა და ეცადა ადამიანის ფორმის ჩრდილზე გაემახვილებინა ყურადღება. ეს რიჩარდი იყო! ის ცოცხალია!

ბიანკამ გაიხარა, რიჩარდი მიხვდა, რომ მას არ შეეძლო მისი შემჩნევა, ამიტომ თვითონ დაუქნია ხელი და გაუღიმა.

მალე დადგა ბიანკას კაბინეტში შესვლის ჯერი. „ვურმბრანდი, ვურმბრანდი... არა, ის ჩვენს სიაში არ არის,“ თქვა ოფიციალურმა პირმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენთან არ არის და მისი ასავალ-დასავალიც არ ვიცით.“

ბიანკა მაშინვე მიხვდა, რომ ეს სასტიკი კომუნისტების მორიგი ფარსი და ტყუილი იყო პატიმრებისა და მათი ოჯახის წევრების ტანჯვა-წამების მიზნით. იმ დღეს ყველა ნათესავმა მსგავსი უარი მიიღო.

ოფიციალური პირების უარყოფამ ვერ შეაჩერა საბინა. მას შემდეგ, რაც რიჩარდის ადგილმდებარეობა შეიტყო, კვირაში ორჯერ აკითხავდა საიდუმლო პოლიციის სათაო ოფისს, დაკარგული მეუღლის შესახებ ინფორმაციის შესატყობად. ყოველ ჯერზე დარბაზში ლოდინისას, რიჩარდს ფანჯრიდან „ესაუბრებოდა“ და მონატრებული თვალებით უმზერდა. ვიდრე რიჩარდი კალეა რაჰოვეის ციხეში დარჩებოდა, საბინა მას მუდამ სტუმრობდა, მაგრამ არავინ იცოდა როდემდე გაგრძელდებოდა ასეთი სტუმრობები.

18

საბინას გასაკვირად და სასიხარულოდ, 1948 წლის 14 მაისს ისრაელი ოფიციალურად გახდა სახელმწიფო. ნაცისტების მიერ რუმინელი ებრაელების ხოცვა-ჟლეტის გლოვასთან დაკავშირებით, ახალი ამბავი გამოქვეყნდა კომუნისტური რეჟიმის კონტროლირებადი ტერიტორიებიდან ებრაელების გამოყვანის თაობაზე. მართალია რიჩარდი იტანჯებოდა საკანში, მაგრამ საბინამ იცოდა, რომ რიჩარდს გაუხარდებოდა ღმერთის მიერ წინაპრებისათვის დაპირებული აღთქმის შესრულების შესახებ ამბის გაგება, როგორც იერემია წინასწარმეტყველის წიგნში წერია: „აჰა, მე შევკრებ მათ ყველა ქვეყნიდან, სადაც გავაძევე ისინი ჩემი რისხვით და ჩემი გულისწყრომით და დიდი მძვინვარებით და დავაბრუნებ მათ ამ ადგილას და დავასახლებ მათ უსაფრთხოდ“ (იერ. 32:37). თუ დაახლოებით ოცდაექვსი ათასი წლის შემდეგ, ღმერთს თავისი ხალხის სახლში დაბრუნება შეეძლო, რიჩარდისთვისაც შეძლებდა იმავეს გაკეთებას.

ბაბილონის ტყვეობის დროს დაპირებულ მიწაზე მოგზაურობა არცისეადვილი საქმე გახლდათ. კომუნისტური რკინის ბრჭყალები ადამიანებს ერთ ადგილას აკავებდა და მხოლოდ მცირეოდენმა შეძლო თავის დაღწევა. რუსი ჯარისკაცები გამუდმებით ჩხრეკდნენ ქუჩებს ებრაელების დაპატიმრების მიზნით და ძალით აგზავნიდნენ საბჭოთა შრომით-გამოსასწორებელ კოლონიებსა და მაღაროებში სამუშაოდ. რუმინელებიც ასეთი ძალადობრივი შეკრების მსხვერპლნი გახდნენ. მას შემდეგ, რაც საიდუმლო პოლიცია გაიტაცებდა ადამიანებს, სატვირთო მანქანებში ყრიდნენ და მათ შესახებ ვერავინ ვერაფერს იგებდა.

თავი 18

საბინას მშობლიურ ქალაქში, ბუკოვინაში, ერთმა ახალგაზრდა ბიჭმა ინფორმაცია მიაწოდა: „ჩემი ძმა ოთხი თვე იმალებოდა კარადის უკან გამოჭრილ ხვრელში, საბჭოთა კავშირის გადასახლების თავიდან აცილების მიზნით. თავის დაღწევის მიზნით, ზურგზე ტანსაცმლის ტომარა გადავიკიდე და გამოვედი. საბჭოთა ბიუროკრატს ვუთხარი, რომ მთელ ჩემს ბინას მივცემდი თავისი ავეჯით და მთელ თანხას, რაც კი გამაჩნდა, ოღონდ პასპორტი დაებრუნებინა. პასპორტი მივიღე თუ არა, ქვეყანაც დავტოვე.“ ამოიოხრა კაცმა. „აი, ასეთია კომუნიზმი - ყველას რომ ყველაფერს პარავენ.“

გამოსვლა უტრიალებდა ყველას გონებაში, მაგრამ თავის დაღწევა ძალიან ძვირი ღირდა. უცხოური ვალუტის დიდი მოთხოვნის გამო, რუმინელი ხალხის რესპუბლიკამ, რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრი ანა პაუკერი წინამძღოლობდა, ისრაელთან ხელი მოაწერა, რომლის მიხედვითაც რუმინეთი ებრაელებს მიყიდიდა ახალი სახელმწიფოს მკვიდრებს. მოგვიანებით, პროფესორები, ექიმები და მეცნიერები დიდი თანხის სანაცვლოდ გამოისყიდეს რუმინეთიდან.

ებრაელები ბუქარესტის ვიზების ოფისის შენობის გარეთ იკრიბებოდნენ, ერთი სული ჰქონდათ, როგორმე თავის ქვეყანას გამოსასყიდი გადაეხადა მათთვის და რუმინეთიდან თავი დაეღწიათ. ყველაზე მოწყვლადი და არასასურველი ბებია-ბაბუები ბავშვებით ხელში, შენობის წინ, ცივ ასფალტზე, ათენებდნენ ღამეებს იმის მოლოდინში, რომ როგორმე რუმინეთიდან გაქცეულიყვნენ. ისრაელის ვიზის მომლოდინე ადამიანთა რიგი პოლიციის სადგურიდან პარლამენტის შენობამდე გრძელდებოდა.

„ეს რა რიგია?“ ჰკითხა უცხომ ებრაელს.

„ფორთოხლის,“ უპასუხა ებრაელმა.

„მაგრამ ქუჩის მეორე მხარეს ხომ რიგის გარეშე იყიდება ფორთოხალი, მაღაზიაში.“

„ეჰ,“ თქვა ებრაელმა, „მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ ხიდან ვჭამოთ.“

ისრაელის ტოპოგრაფია საუკუნეების განმავლობაში პირველად მოირწყა და საკმარის პირობას იძლეოდა ერის გამოსაკვებად.

მთელ რუმინეთში სატვირთო მატარებლები ქვეყნიდან გამავალი ებრაელი ადამიანებით იყო სავსე. არაებრაელებმაც კი იფიქრეს თავისუფლებაზე, წარმოუდგენლად დიდ თანხას იხდიდნენ ყალბი ვიზების მისაღებად. მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ისრაელთა ოპერაცია საიდუმლოდ შეენახა, მატარებლებს ბუქარესტის ცენტრალური სადგურიდან გასვლის უფლება არ ჰქონდათ. მატარებლები ღამით გადიოდნენ უცნობი გარეუბნების სადგურებიდან. ყოველ კვირა მიდიოდა საბინა ამ სადგურებზე, ცრემლმორეული, მეგობრებთან გამომშვიდობების მიზნით, რათა ღვთის წინამძღოლობა ესურვებინა მოგზაურობასა და ახალ ცხოვრებაში.

საბინაც ფიქრობდა ქვეყნის დატოვებას, მაგრამ არა რიჩარდის გარეშე. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენი წელიც არ უნდა დასჭირვებოდა მის გათავისუფლებას, მეუღლეს არ მიატოვებდა გადასახლებაში მარტო ტანჯვისთვის.

„მეორე წელს იერუსალიმში!“ ებრაელთა ყველა გეტოდან და სინაგოგიდან ტირილი ისმოდა მთელ ქალაქში. საბინაც მათთან ერთად ტიროდა. მასაც მატარებლით რიჩარდთან და მიხეილთან ერთად ისრაელში წასვლა, ღვთის დანაპირებ მიწაზე, შინ დაბრუნების წმინდა შეგრძნების განცდა სურდა.

ჯარისკაცებმა და დაცვამაც კი საფრთხის ქვეშ დააყენეს საკუთარი სიცოცხლე სამხედრო სამსახურიდან თავის დაღწევის მიზნით. პოლიციის მაღალჩინოსანმა ერთხელ საბინას უთხრა: „თუ ფულს გადამიხდი, დაგეხმარები ებრაული ვიზის მიღებაში, ქვეყნიდან თავის დაღწევის მიზნით და შენს მეუღლეს ციხიდან დავიხსნი.“

საბინას მეგობარმა, რომელსაც მთელი გულით ენდობოდა, დაადასტურა პოლიციელის გულწრფელობა და დაარწმუნა საბინა, რომ პოლიციელს შეეძლო დაპირების შესრულება. მიხეილი ახალი ამბით გამოწვეული სიხარულისაგან ხტოდა. ბოლოს და ბოლოს, მამას კვლავ იხილავდა. ასაკისათვის შეუფერებელი სიმაღლითა და სიბრძნით, მიხეილმა განდგომილის რეპუტაცია მოიპოვა მეგობრებში. მიხეილს უჭირდა სკოლაში იმის ახსნა,

თუ რატომ იჭერდნენ მამამისს ასე ხშირად. მისი უარყოფა მეგობრებისაგან, საბინას უყურადღებოდ არ დარჩენია.

„დედა, სიზმარი ვნახე,“ თქვა მიხეილმა პოლიციელის შეთავაზებიდან მეორე დღეს. „დავინახე, რომ ჩვენს მეზობელს ქუდი ეჭირა ხელში და ორ ჩიტს მასზე დაჯდომას სთხოვდა. ჩიტებმა ქუდს შემოუფრინეს და ბოლოს შორს გაფრინდნენ.“

საბინა მიხვდა სიზმრის აზრს. პოლიციელი წარმატებას ვერ მიაღწევდა რიჩარდის გათავისუფლების საქმეში. რამდენიმე დღის შემდეგ სიზმარი ახდა და პოლიციელი დააპატიმრეს. მიხეილს მომავალთან დაკავშირებით სხვა აზრებიც ჰქონდა, მაგრამ მისი სიზმარი-როგორც სხვა მრავალი ბავშვური გამოცდილება-საშინელებებით მთავრდებოდა.

ებრაელები ყოველდღე უჩინარდებოდნენ ბუქარესტის ჩიხებიდან. ერთხელ, კარგად ნაცნობი პატიმრების ერთი ჯგუფი გაათავისუფლეს ციხიდან. სასწრაფო დახმარების მანქანებმა ჩამოარიგეს პატიმრები სახლებში, რათა ოჯახის წევრებს ენახათ იარები და ციხეში მიყენებულ ტანჯვაზე ეამბათ. მეორე დღეს ყოველი მათგანი ხელახლა დააპატიმრეს.

საბინას აშინებდა, რომ რიჩარდს აწამებდნენ. კომუნისტები უფრო დახელოვნებულები იყვნენ პატიმრებისგან ინფორმაციის გამოძალვის საქმეში, ვიდრე ნაცისტები. იესომ ერთხელ თქვა: ნუ გეშინიათ მათი, ვინც სხეულს კლავს, გულის მოკვლა კი არ შეუძლია“. (მათე 10:28), მაგრამ საბინა იცნობდა ხუცესებს, რომლებმაც უარყვეს ქრისტე წამების გამო და საკუთარი ოჯახები და ახლობლებიც კი გასცეს. დაცვა ხშირად იყენებდა ამპუტაციის, კასტრაციისა და სხვა საშინელი მეთოდების მუქარას წარმატების მისაღწევად. თავიდან სხეულს შეუძლია რთული ფიზიკური ტკივილის გაძლება, მაგრამ სხეულის მრავალჯერადად დაზიანების შემთხვევაში, ტკივილის მეხსიერება მანამდე იტევს განცდას, ვიდრე არ დანებდები.

19

1948 წელს, კალეა რაჰოვეის მიწისქვეშა საკანში, რიჩარდმა ძლივს მოჰკრა თვალი სასამართლო შენობის კუთხეს, თავისი საკნის მაღალი ფანჯრიდან. ხშირად ფიქრობდა იმაზე, იყო თუ არა მისი რწმენა საკმარისი იმისთვის, რომ მოსალოდნელი სასტიკი მოპყრობისთვის გაეძლო. საკუთარ თავს იმ მრავალი ბიბლიური მუხლის გახსენებით ამხნევებდა, აქამდე რომ დაეზეპირებინა.

გამომძიებლები მოთმინებას იჩენდნენ დაკითხვებზე. კომუნისტური ციხეები მოიცავდა საარქივო ფაქტებს, რომლებიც წიგნების ნაცვლად პატიმრების სხეულებზე ინახებოდა. საჭირო ინფორმაციას ნელ-ნელა გამოწურავდნენ პატიმრებს, როცა სჭირდებოდათ. რიჩარდი უზარმაზარი ინფორმაციის საგანძური იყო გამომძიებელთა თვალში, მისივე ქსელში, მაგრამ ნელ-ნელა გამოწურავდნენ სახელებს იმ ქსელიდან და ურთიერთობებიდან, რომელიც რიჩარდს დასავლეთის ეკლესიასთან და მსოფლიოს მრჩეველთა საბჭოს ეკლესიასთან აკავშირებდა. მისი წევრობა რუმინეთის კომუნისტური მთავრობისათვის მოღალატეობის ტოლფასი გახლდათ. ის მათი პოლიტიკური პატიმარი გახლდათ და სავარაუდოდ მათ ხელშიც დალევდა სულს. მისი დამპატიმრებლებისთვის უცნობი იყო, რომ რიჩარდი საიდუმლო და ძლიერ იარაღს ფლობდა-ის პატიმრობისთვის წლების განმავლობაში ემზადებოდა გონებრივად. როგორც ჯარისკაცი მშვიდობის დროს, რიჩარდიც გონებასა და სხეულს ამზადებდა წამებისა და საკვების ნაკლებობისათვის. მისი გატაცების დღეს, შესანიშნავ ფორმაში იყო ცემის, სიტყვიერი შეურაცხყოფისა და საკნის სასტიკი პირობების ასატანად. რიჩარდმა მარავალი წელი გაატარა იმის შესასწავლად,

თუ როგორ იტანდნენ სხვა ქრისტიანები წამებას. თითქოს, „წამებულთა მკვლევარ-სპეციალისტიც“ კი გახდა, გამუდმებით ადარებდა საკუთარ ცხოვრებას მსგავსი განსაცდელის ატანას. მაშინ, როცა ნაკლებად მომზადებული პატიმრები დაპატიმრების „განცდის გამოქვაბულში“ ექცეოდნენ და ხშირად აძლევდნენ გამომძიებლებს ინფორმაციას, რიჩარდმა საკუთარ თავში ძალის სწრაფად აღდგენის რეპუტაცია მოიპოვა.

ჩვეულებისამებრ, დაკითხვა შემდეგნაირად მიმდინარეობდა: „როგორც ქრისტიანი, დაგვპირდი, რომ სიმართლეს გვეტყვი ყველაფრის შესახებ“-მაგრამ რიჩარდზე ეს არ მოქმედებდა. სინამდვილეში, არანაირი სტრატეგია არ მოქმედებდა, რადგან ნებისმიერი რამ, რასაც ის იტყოდა, შესაძლოა, მხილებაში ჩათვლოდა-ან უარესი, განდგომაში. მან გეგმა შეიმუშავა: გამომძიებლებს დააბნევდა მანამ, სანამ გამოძიება გაგრძელდებოდა. პირველ რიგში, რიჩარდმა საბინასთან და მეგობრებთან შეტყობინების გაგზავნის გზა იპოვა, რათა საკუთარი ადგილსამყოფელი შეეტყობინებინა. ხუცესები და ეკლესიის წინამძღოლები სკანდინავიასა და ბრიტანეთში მისი გაუჩინარების გამო, ძალიან წუხდნენ.

ყველაზე მამაცი ადამიანიც კი ქალბატონი პაუკერის წინაშე მშიშარა გახდებოდა. რიჩარდი მას პირადად იცნობდა. ანას მამა სამღვდელო პირი გახლდათ, სახელად რაბინოვიჩი, რომელმაც ერთხელ რიჩარდს დადარდიანებული ხმით უთხრა, „ანას არანაირი გრძნობა არ გააჩნია გულში ებრაელების მიმართ.“ დასაწყისში ანამ მედიცინა შეისწავლა, რათა ექიმი გამოსულიყო. ის, ასევე, მოკლე დროით ასწავლიდა ინგლისური ეკლესიის მისიაში. ანამ საკმარისი რელიგიური ცოდნა შეიძინა ადრეულ წლებში მის გასანადგურებლად, ძალაუფლების მიღების შემთხვევაში. ინჟინერ მარსელ პაუკერთან ქორწინების შემდეგ, კომუნისტი გახდა და პოლიტიკურმა ოპონენტებმა დააპატიმრეს კონსპირაციაში მონაწილეობის გამო. კომუნიზმისათვის თავგანწირული ანა და მისი უხალისო ქმარი მოსკოვში გადავიდნენ; თუმცა, იოსებ სტალინის ერთ-ერთ, ომამდე,

ვურმბრანდი

მასობრივ წმენდაში მარსელი სიკვდილით დასაჯეს. ანა სწრაფად დაწინაურდა, როგორც რუსი ოფიციალური წარმომადგენელი, საგარეო საქმეთა მინისტრის პოზიციაზე. უმოწყალო რეპუტაციის გამო ჟურნალ *Time* -ის გარეკანზე მოხვდა, რომელშიც „ყველაზე გავლენიან ცოცხალ ქალად“ იყო დასახელებული.[1]

ასე იყო ანა პაუკერი რუსეთით აღტაცებული. ერთ მშვენიერ დღეს მას თვალი მოჰკრეს ბუდაპეშტის ქუჩებში საკუთარი ქოლგით სეირნობისას.

„რატომ დაგაქვთ ქოლგა?“ ჰკითხა ვიღაცამ.

„მოსკოვში წვიმს,“ უპასუხა ანამ. „რადიოში მოვისმინე.“[2]

---

1 “A Girl Who Hated Cream Puffs,” *Time*, September 20, 1948.

2 “Raining in Moscow,” *Time*, June 9, 1952.

20

რიჩარდი თვალებს არ უჯერებდა, როდესაც მისი საკნის კარი ფართოდ გაიღო. უჭირდა რიჩარდს იმის დაჯერება, რომ კაცი, რომელიც მის საკანში შევიდა შინაგან საქმეთა მინისტრი - ლუკრეტიუ პატრასკანუ იყო, კომუნისტების რუმინეთში ჩამოყვანაზე პასუხისმგებელი პოლიტიოკოსი. როგორი პატივია ასეთი მაღალჩინოსანი პოლიტიკოსი ოფიცრის მიერ დაკითხვა. როგორც კი მის უკან კარი ხმაურით დაიხურა, რიჩარდმა თვალი მოჰკრა პატრასკანუს ფეხსაცმელებს, მაგრამ არა შესაკრავებს. ჰალსტუხი უსწორმასწოროდ ეკიდა კისერზე, ისიც პატიმარი გახლდათ. პატრასკანუ ხის საწოლზე დაჯდა, რიჩარდის პირდაპირ. მისი თავდაჭერილი გამოხედვა იმაზე მეტყველებდა, რომ მიჩვეული იყო პატივისცემით მოპყრობას. ციხე ვერ შეცვლიდა პოლიტიკოსის ჩვეულ თავდაჯერებულობას. რიჩარდმა იცოდა როგორ დესტრუქტიულ როლს ასრულებდა პეტრასკანუ რუმინეთის კორუფციაში და რამდენი უსამართლობის გამოწვევის მიზეზად იქცა. რიჩარდმა საუბარში მისი გულწრფელობა შენიშნა და სჯეროდა, რომ მასთან პირისპირ საუბარს ისე შეძლებდა, როგორც კაცი კაცთან.

პეტრასკანუ რამდენჯერმე დააპატიმრეს წინა ხელისუფლების ლიდერებმა. მისი პოლიტიკური მტრები, მისივე პოპულარობის ზრდის მოშურნენი, რუმინეთის საქმეების არასწორად წარმართვის გამო მის წინააღმდეგ გაერთიანდნენ. რამდენიმე დღის წინ, შინაგან საქმეთა მინისტრმა, ტეოჰარ გეორგესკუმ, წარმატებით შეძლო მისი გაძევება ბურჟუაზიელი მტრის ბრალდებით. ვასილ ლუკას - ფინანსთა მინისტრის მხარდაჭერით, ბრალი წაუყენეს

პატრასკანუს იმპერიალისტებისთვის დახმარებაში, პატიმრებისა და კონტრრევოლუციონერების წამების ანგარიშები მეტადრე რომ აღელვებდა. როდესაც გავრცელებული ხმების შესახებ პასუხი მოითხოვა, პატრასკანუმ ამით საკუთარი თავი გასწირა და ლოიალური კომუნისტის იარლიყი მიიკრა. მისი კუბოს ბოლო ლურსმანი ძველმა მეგობარმა - ანა პაუკერმა, დააჭედა.

„როგორც კი დარბაზიდან გამოვედი," უთხრა მან რიჩარდს, „დავინახე, რომ ახალი მძღოლი მელოდებოდა მანქანაში." მძღოლმა თქვა, „თქვენი მძღოლი, იონესკუ, ცუდად გახდა, ამხანაგო პატრასკანუ.'" რიჩარდი წინ გადაიხარა და თხრობას დიდი გულისყურით უსმენდა.

„მანქანაში ფეხი შევდგი თუ არა, ორი საიდუმლო პოლიციის თანამშრომელი შემომყვა-და აი, მეც აქ ვარ!"

რამდენიმე ნახევრად მოხარშული ქერის მარცვლის ნაცვლად, რაც რიჩარდის სადილს წარმოადგენდა, დაცვამ პატრასკანუს გემრიელი ქათამი, ყველი და ხილი მიართვა. ღვინის ბოთლს უკვე საცობი მოხსნილი ჰქონდა მინისტრისთვის, მაგრამ ახალ პატიმარს მადა დაჰკარგვოდა. მან ლანგარი რიჩარდისკენ გააცურა, რომელმაც ერთი სულის მოთქმით მოულხინა მდიდრულ სუფრას. რიჩარდი ვახშმობდა და პატრასკანუ მხიარულ ისტორიებს აფრქვევდა; გაიხსენა შვედეთის სენატორი, რომელმაც საზღვაო მინისტრობა მოითხოვა. „მაგრამ ჩვენ საზღვაო ჯარი არ გვყავს!" თქვა პირველმა მინისტრმა.

„რა მნიშვნელობა აქვს?" იკითხა სენატორმა. „თუ რუმინეთს შეიძლება, რომ სამართლის მინისტრი ჰყავდეს, რატომ არ შეიძლება, რომ შვეიცარიას საზღვაო ფლოტის მინისტრი ჰყავდეს?"

რიჩარდმა ჩაიხითხითა, ხმელეთით გარშემორტყმული შვეიცარიის გემების ფლოტზე. პეტრასკანუმაც გაიცინა.

მეორე დილით, ორმა დაცვამ გაიყვანა საკნიდან პატრასკანუ დაკითხვაზე. უკვირდა რიჩარდს, როგორ შეიძლებოდა ასეთი მდგომარეობის კაცის სასტიკად დაკითხვა. იმ საღამოს, პატრასკანუ საკანში დაბრუნდა და რიჩარდს უთხრა, რომ არ დაუკითხავთ.

უნივერსიტეტში კანონის შესახებ ლექცია წაიკითხა, რადგან მისი დაპატიმრება გასაიდუმლოებული იყო. მისმა მეუღლემაც კი არ იცოდა ამის შესახებ, ეგონა, რომ მინისტრი მოგზაურობდა და სასტუმროებში რჩებოდა. სჯეროდა, რომ რიჩარდს სიკვდილით დასჯიდნენ ან მთელ სიცოცხლეს ციხეში გაატარებდა, მინისტრი ამის გამო მას ენდობოდა.

პატრასკანუ კომუნისტი იმიტომ კი არ გამხდარა, რომ იდეალების მომხრე იყო, არამედ ომის შემდეგ მომხდარი სიტუაციის გამო. მამამისი გერმანელებს ეხმარებოდა პირველი მსოფლიო ომის დროს და კავშირის გამარჯვების შემდეგ, მთელი მისი ოჯახი განდევნეს; პატრასკანუ გერმანიაში გაიქცა უნივერსიტეტში სასწავლებლად. რუმინეთში დაბრუნების შემდეგ, ერთადერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც მის მოსვლას სიხარულით შეხვდა კომუნისტური პარტია იყო. მოგვიანებით იქორწინა კომუნისტ გოგონაზე, რომელიც უნივერსიტეტში სწავლის დროს საბინასთან მეგობრობდა.

„თქვენ მარქსისა და ლენინის მსგავსად ხართ," უთხრა რიჩარდმა. კომენტარმა პატრასკანუ თავდაცვის გარეშე დატოვა.

„მარქსს საკუთარი გენიოსობის სჯეროდა," გააგრძელა რიჩარდმა, „მაგრამ როგორც ებრაელი გერმანიაში, როცა ანტისემიტიზმი მძვინვარებდა, სხვა გამოსავალი ვერ ნახა, გარდა რევოლუციონერობისა. მას შემდეგ, რაც ლენინის ძმა ჩამოახრჩვეს იმპერატორის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობისათვის, სიშმაგემ და იმედგაცრუებამ უბიძგა ლენინს მსოფლიოს გადატრიალებისაკენ. იგივე მოხდა თქვენს შემთხვევაშიც."

პატრასკანუ არ დაეთანხმა, მაგრამ რიჩარდმა დაინახა, რომ მისმა სიტყვებმა ნერვებზე იმოქმედა. ორი თანასაკნელი სამართლიანობაზე, ტანჯვასა და ეკლესიის როლზე აგრძელებდა საუბარს. პატრასკანუმ არც ისე მცირე ენერგია დახარჯა, რომ მნიშვნელოვანი დარტყმა მიეყენებინა კორუფციისა და ბორგიას პაპის ძალადობის, ესპანური ინკვიზიციის, ჯვაროსნების ბოროტებისა და გალილეოს უსამართლო დევნისათვის.

„მაგრამ ეკლესიის დანაშაულებანი და შეცდომები აღძრავს ჩვენში მისადმი უფრო მეტ პატივისცემას,“ თქვა რიჩარდმა და მონოლოგი შეაწყვეტინა.

„რას გულისხმობ?“

„საავადმყოფო შეიძლება ყარდეს სისხლისა და ჩირქის სუნით,“ აუხსნა რიჩარდმა. „სწორედ ამაშია მისი სიდიადე, რადგან ავადმყოფებს იღებს აუტანელი ჭრილობებითა და საშინელი დაავადებებით. ეკლესია ქრისტეს საკუთარი საავადმყოფოა. მილიონობით ავადმყოფს სიყვარულით ეპყრობიან. ეკლესია იღებს ცოდვილებს; ისინი კვლავ აგრძელებენ ცოდვას და ამის გამო, ეკლესიას ადანაშაულებენ.“

რიჩარდმა გააგრძელა, „ჩემთვის, მეორე მხრივ, ეკლესია არის დედა, რომელიც შვილების გვერდით დგას მაშინაც კი, როცა ისინი დანაშაულს სჩადიან. პოლიტიკა და მისი მსახურებისადმი მიკერძოება იმის დამახინჯებაა, რაც ღვთისაგან მოდის - ბიბლია და მისი სწავლება, თაყვანისცემა, და რიტუალები. რისი ბრალიც არ უნდა იყოს, ეკლესიას ამაზე მეტი სილამაზე აქვს შინაგანად. ზღვა ყოველწლიურად ათასობით ადამიანს ასალმებს სიცოცხლეს, მაგრამ მის სილამაზეში ეჭვი არავის ეპარება.“

პატრასკანუ ცოტა ხანს დაფიქრდა და მერე თქვა, „იგივე მეც შემიძლია ვთქვა კომუნიზმზე. მისი განმახორციელებლები სრულყოფილები არ არიან-მათ შორის ავადმყოფებიც არიან-მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაიმე არასწორია ჩვენს თეორიაში.“

„მაშინ შედეგების მიხედვით განსაჯეთ,“ უპასუხა რიჩარდმა. „სამწუხარო საქმეებმა დაღი დაასვეს ეკლესიის ისტორიას, მაგრამ სიყვარული და ზრუნვა არ მოაკლო ხალხს მსოფლიოს გარშემო. უამრავი წმინდანი წარმოშვა და ყველაზე მნიშვნელოვანი რაც არის - მას ჰყავს ქრისტე, წმიდათა შორის წმიდა, როგორც ეკლესიის თავი. ვინ არიან თქვენი იდეალები? მარქსის მსგავსი ადამიანი, რომელიც საკუთარ ბიოგრაფიაში ლოთად არის დახასიათებული. ან ლენინი, ვისი მეუღლეც გვიამბობს, რომ გამოუსწორებელი აზარტული მოთამაშე იყო და ვისი ნაშრომებიც

შხამს აფრქვევდა. კომუნიზმმა მოაშთო მილიონობით უდანაშაულო მსხვერპლი, გააკოტრა ქვეყნები, ჰაერი ტყუილითა და შიშით გაჟღინთა. სად არის მისი კარგი მხარე? ყველამ იცის, რომ თქვენი ყველა თანამეგზური ციხეში ამოალპეთ, სიკვდილით დასაჯეთ ან როგორღაც გაანადგურეთ წარსულში. რა იმედი გაქვთ, რომ გააგრძელებთ ადამიანების გამოყენებას და მერე გადააგდებთ?“

„რადგან სულელები არიან,“ უპასუხა პატრასკანუმ. „მსოფლიო ომიდან ათი წლის შემდეგ, უდიდესი ბოლშევიკი მოაზროვნე, ბუხარინი, შეეწინააღმდეგა ტროცკის მსოფლიო რევოლუციის იარაღით მოწყობის გეგმებს. ის ამტკიცებდა, რომ უკეთესი იქნებოდა დაგვეცადა, ვიდრე კაპიტალისტური ქვეყნები ერთმანეთთან ბრძოლას დაიწყებდნენ. რუსეთი გამარჯვებულ მხარეს შეუერთდებოდა და ლომის წილს მიიტაცებდა დაპყრობილი ქვეყნებიდან. დასავლეთს რომ სცოდნოდა, რომ ნახევარი ევროპა და აზიის ორი მესამედი ამის შედეგად კომუნისტური გახდებოდა, ბოლო ომი არასოდეს მოხდებოდა.“

რიჩარდი არ ნებდებოდა. „ნუთუ ვერ ხედავთ, ბატონო პატრასკანუ, რომ როცა ხალხი გამოიყენეთ და მერე გადააგდეთ, ასევე თქვენმა მეგობრებმა გამოგიყენეს და მოგიძულეს? განა თვალი არ დახუჭეთ და დაბრმავდით ლენინის ბოროტული დოქტრინის მიმართ?“

პატრასკანუმ ვერ დაიტია სიმწარე გულში. „როცა დანტონი გილიოტინაზე მიყავდათ და რობესპიერი დაინახა, ბალკონიდან რომ უყურებდა, დაუძახა, „მე გამომყვები!“

რიჩარდმა შენიშნა, რომ შურისძიების ნაპერწკალი ინთებოდა მოსაუბრის თვალებში.

„და შემიძლია დაგარწმუნოთ,“ გააგრძელა პატრასკანუმ, „რომ ისინი გამომყვებიან-ანა პაუკერი, გეორგესკუ და ლუკა.“

ხუთი წლის შემდეგ პატრასკანუს წინასწარმეტყველება აღსრულდა.

21

ერთ საღამოს, 1948 წელს, კალეა რაჰოვეის ციხეში, 10:00 საათზე, დაცვის სამი თანამშრომელი შევარდა რიჩარდის საკანში და სწრაფად ჩაცმა უბრძანა. „ლაბადაც ჩაიცვი," ჩასჩურჩულა პატრასკანუმ. „შეიძლება ქარი უბერავდეს." ერთ-ერთმა დაცვამ, სახელად აპელმა, სათვალე წამოაცვა რიჩარდს და გრძელი კორიდორის გზას გაუყენა იმ ოთახისკენ, რომელშიც მაგიდა და განათებული სკამი იდგა.

როგორც კი აპელმა თვალებიდან ასახვევი მოხსნა, რიჩარდმა სინათლეზე თვალები მოჭუტა. მაგიდის პირდაპირ მჯდარი ადამიანის სილუეტმა თანდათან ფორმა მიიღო. რამდენიმე წამში იცნო რიჩარდმა მორავეცი, ყოფილი პოლიციის ინსპექტორი, ვინც ცოტა ხნის წინ გამომძიებლად დააწინაურეს.

„ვასილ გეორგესკუ," თქვა მორავეცმა, „მაგიდაზე ფურცელს და საწერ კალამს დაინახავთ. სკამი აიღეთ და დაწერეთ თქვენი საქმიანობისა და ცხოვრების შესახებ."

რიჩარდი დამორჩილდა.

„როგორც მღვდელი," გააგრძელა ინსპექტორმა, „უამრავი აღიარება მოგისმენია. აქ იმისათვის მოგიყვანეს, რომ ის აღიარებები ჩვენთან თქვათ."

ერთი საათი წერდა რიჩარდი თავის ისტორიას, საკუთარი ბიოგრაფიის დაბრკოლების ლოდის შესახებ. ამ გამომძიებლების მსგავსად, ისიც ხომ ათეისტი იყო ერთ დროს, ვიდრე მისი გული შეიცვლებოდა.

„საკმარისია ამ საღამოსთვის," თქვა მორავეცმა საბოლოოდ და კალამი ჩამოართვა.

თავი 21

რამდენიმე მსგავსი დაკითხვის შემდეგ, რიჩარდი მალე მიხვდა დამტყვევებლების მეთოდსა და სტრატეგიას. პოლიციის ტაქტიკის ნაცვლად, რაც დაპატიმრებით გამოწვეულ შოკში აგდებდა უმრავლესობას, აღიარების მოსაპოვებლად, კომუნისტები უფრო ნებისყოფიან მიდგომას ამჯობინებდნენ - პატიმარი ჯერ უნდა *მომწიფებულიყო*. არსი იმაში მდგომარეობდა, რომ დანაშაულისა და მღელვარების განცდა გამოეწვიათ ნელ-ნელა ინფორმაციის გამოძალვისთვის. პატიმრებს იშვიათად ეუბნებოდნენ დაპატიმრების მიზეზს, რაც მათში საკუთარი ცხოვრების გაჩხრეკასა და დაუცველობის შეგრძნებას იწვევდა. დაუსრულებელი ხრიკები იწვევდა ზეწოლას, ეჭვსა და შიშს მათ გონებაში. ყალბი სასამართლო ინიშნებოდა და ბოლო წუთს გადაიდებოდა. მსროლელთა რაზმებს აწყობდნენ პატიმრების საკნების წინ შესაშინებლად, პატიმართა ჩაწერილ ყვირილსა და გასროლის ხმას ასმენინებდნენ ღამღამობით. რამდენიმე კვირიანი ფსიქოლოგიური თამაშის შემდეგ, წინააღმდეგობა თანდათან სუსტდებოდა. გონება დანებებას გკარნახობდა. განადგურებული და დანაშაულის შეგრძნებით აღვსილი პატიმარი მცდარ დასკვნამდე მიდიოდა და ერთი სიტყვის დაცდენას მეორე მოჰყვებოდა. სახელებს ამბობდნენ და მეგობრებს გასცემდნენ. დიდი ხანი არ სჭირდებოდათ გამომძიებლებს სასურველი და სარწმუნო ინფორმაციის მოსაპოვებლად.

მენტალურ გატეხვამდე, გამომძიებელი დამოკიდებულებას ცვლიდა და კეთილგანწყობით განიმსჭვალებოდა პატიმრის რთული მდგომარეობისადმი. დაშინება წყალობად გადაიქცეოდა. ჰპირდებოდნენ, რომ ტანჯვა შეწყდებოდა თუ პატიმარი ჩადენილ დანაშაულს აღიარებდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, რიჩარდი საკნიდან კვლავ სარდაფში ჩაიყვანეს, სადაც ორი გამომძიებელი ელოდა. აპელი გამომძიებლის ჩემოდანს მისწვდა, კანფეტი ამოიღო და რიჩარდს გაუწოდა.

„რა გაკავშირებდათ ბატონ თეოდორესკუსთან?“ სხვათაშორის იკითხა აპელმა.

„თეოდორესკუ? ეს ძალიან ზოგადი სახელია. კონკრეტულად რომელს გულისხმობთ?“

აპელმა არაფერი უპასუხა და სწრაფად შეცვალა საუბრის თემა, ბიბლიის, ესაიასა და მოსეს წინასწარმეტყველების შესახებ დასვა შეკითხვები. რიჩარდის პერსპექტივიდან გამომძიებელი საინტერესოდ მოქმედებდა. საუბრისას ხან თავს უკრავდა და ხან წარბს მაღლა სწევდა. შემდეგ, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, აპელმა იმ ადამიანების სახელები მოითხოვა, რიჩარდს რომ საბჭოთა ჯარისკაცებთან ქრისტიანული ლიტერატურის დარიგებაში ეხმარებოდნენ. მოისმინეს თუ არა ესაიას წინასწარმეტყველების შესახებ? აპელი თავაზიანად ისმენდა, უფრო მეტად რიჩარდის რეაქცია აინტერესებდა, ვიდრე მისი სიტყვები.

მეორე გამომძიებელი, ნაკლებად თავდაჯერებული ახალგაზრდა კაცი, სახელად ვასილუ, თავაზიანობით არ გამოირჩეოდა. „ყველა სახელი დაწერეთ ვისაც კი იცნობთ,“ ითხოვდა ის. „გვითხარი სად შეხვდი და რა გაკავშირებდათ მათთან.“ რიჩარდი ყოყმანობდა, ფრთხილად და შერჩევით წერდა სახელებს. „ნუ არჩევთ,“ დაიყვირა ვასილუმ. „მე ვთქვი *ყველა*.“

რიჩარდი კომუნისტური პარლამენტის წევრებისა და ჩვეულებრივი მგზავრების სახელებს წერდა, რაც იცოდა. შემთხვევით რომ ქრისტიანი მსახურების სახელები დაეწერა, მათ ოჯახებს დააპატიმრებდნენ და უმოწყალოდ სცემდნენ.

„მეორე შეკითხვა იმაში მდგომარეობს, თუ რა ჩაიდინეთ სახელმწიფოს წინააღმდეგ.“

რიჩარდმა თვალებში ჩახედა ვასილუს. „რაში მდებთ ბრალს?“

ვასილუმ მაგიდას მუშტი დაჰკრა. „თქვენ თვითონ იცით რაც ჩაიდინეთ! ამოიღეთ გულიდან. დაიწყეთ მართლმადიდებელ კოლეგებთან, მამა გრიგორიუსთან ურთიერთობით. დაიწყეთ წერა და გააგრძელეთ!“

რიჩარდი იმდენ თავს წერდა საკუთარი ქრისტიანული ბიოგრაფიიდან, რამდენიც გამომძიებლებს მოესურვებოდათ, მაგრამ რაც შეეხება სხვა საკითხებს, შეძლებისდაგვარად გაკვრით წერდა.

თავი 21

რიჩარდს დაძინების საშუალებასაც კი არ აძლევდნენ დაკითხვების გამო. ღამით სინდისს წმინდა წერილის იმ ადგილების გამეორებით იმშვიდებდა, მეხსიერებაში რომ ჰქონდა შემორჩენილი.

ღმერთი ამხნევებდა მას, მაგალითად პარიკმახერი, რომელმაც ჩასჩურჩულა, რომ საბინა კარგად იყო და მსახურებას აგრძელებდა. იმის ცოდნა, რომ მეუღლე კარგად იყო ძალას უორმაგებდა. რიჩარდს გამომძიებლების გაძლების ძალას აძლევდა, მაგრამ საბინას დაკითხვისა და წამების ფაქტზე ფიქრი ნებისმიერი ქმრისთვის აუტანელი იქნებოდა. საბინა რომ დაეპატიმრებინათ, მიხეილს რა ეშველებოდა? უთვალავ ბავშვს უკვე ხვდა წილად ეს ხვედრი. დაობლდებოდა და იძულებული გახდებოდა, რომ ქუჩაში ცხოვრება დაეწყო.

ერთ საღამოს, ჩაძინებას რომ აპირებდა, მტირალი ქალის ხმამ გამოაღვიძა მეზობელი საკნიდან. „არა, არა!“ იხვეწებოდა ქალი. „გთხოვთ არ მცემოთ. კიდევ ნუ მცემთ! ვერ გავუძლებ ამას!“ დერეფანში დაცვის მიერ უმოწყალო დარტყმებისაგან ქალის ყვირილის ხმა ისმოდა. რიჩარდი იქამდე უსმენდა დაძაბული, ვიდრე შიშისაგან თვალები არ გაუფართოვდა. ეს საბინას ხმა იყო! დაიჭირეს და კალეა რაჰოვეის ციხეში მოიყვანეს. რიჩარდმა მთელი ღამე ტირილში გაატარა და სიბნელეში ხმამაღლა ეძახდა. ნეტავ ესმოდა მისი? როგორ აწამებდნენ? მოგვიანებით, რიჩარდმა შეიტყო, რომ ეს არ იყო საბინას ხმა, არამედ კასეტაზე ჩაწერილი ხმა იყო, რომელსაც ყველა პატიმრის დასაშინებლად იყენებდნენ, ყოველი მათგანი ფიქრობდა, რომ ეს მისი ცოლის, შეყვარებულის ან დედის ხმა იყო.

*****

პირობა, რომელიც რიჩარდმა საბინას მისცა, რომ თავს მოიკლავდა, ვიდრე მეგობრებს დააბეზღებდა, ყოველ ღამე თავში უტრიალებდა. ახსოვს, ადრეული ეკლესიის პერიოდის ქალბატონის ნაწერს კითხულობდა, რომელმაც

სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, ვიდრე მონასტრის თავდამსხმელი ბარბაროსები ნამუსს ახდიდნენ. თუ ეკლესია მას წმინდანად შერაცხავდა, მაშინ რიჩარდსაც ეპატიებოდა თვითმკვლელობა, რომელიც დანარჩენებს სიკვდილისაგან დაიხსნიდა.

ციხეში ფეხსაცმლის თასმები ჩამოართვეს. საკანში ხშირად ეძებდნენ მინის, წვრილი თოკის ან საპარსის პირს. ექიმები ყოველ საღამოს ერთ აბ ძილის წამალს აძლევდნენ, მაგრამ დაცვა ყოველთვის ამოწმებდა რიჩარდმა პირში ხომ არ დამალა იგი. ალბათ ენის ქვეშ რომ დაემალა, მცირე კოლექციას შეაგროვებდა. აბებს უბედური შემთხვევისათვის პატრასკანუს თივის ლეიბში ინახავდა, რამდენიმე ძაფის ამოძრობა საკმარისი შეიქმნა მის გასახსნელად. ერთ თვეში ოცდაათი აბი მოაგროვა-საკმარისი იმისათვის, რომ სამუდამოდ დაეძინა. თვითმკვლელობაზე ფიქრმა მოწინააღმდეგეზე გამარჯვების ძალა მისცა რიჩარდს, მაგრამ ქალაქიდან შემოსული ხმაური სთხოვდა დაფიქრებულიყო: ახალგაზრდა გოგონა მღეროდა და ტრამვაის მანქანა მოსახვევში ღრჭიალებდა. რიჩარდმა ცხოვრება ღვთის მსახურებას მიუძღვნა. ბრძნული იქნებოდა მისი დასრულება?

გამომძიებლები პატიმრებს თვალებში შუქს ანათებდნენ, მათში შეშფოთების გამოწვევის მიზნით, მაგრამ ღმერთს საკუთარი სინათლე ჰქონდა. ერთ საღამოს რიჩარდი შუაღამის ცას უმზერდა და დაინახა ერთი ვარსკვლავი, რომელიც სიბნელეში იწვოდა. ვარსკვლავის სინათლემ მთელი სამყარო გამოიარა მის სანუგეშებლად. ვარსკვლავი მას სიცოცხლის შენარჩუნებას სთხოვდა, მაგრამ რიჩარდი ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული. შეიძლება მის სიკვდილს უფრო მეტი სიკეთე მოეტანა, ვიდრე სიცოცხლეს.

მეორე დილით დაცვამ რეიდი ჩაატარა საკანში და პატრასკანუს ლეიბი სხვა პატიმარს გადასცეს. რიჩარდის თვითმკვლელობის გეგმები, მოულოდნელად, შეიცვალა. ჯერ გაბრაზდა, მერე დამშვიდდა, სჯეროდა, რომ ღმერთი დაიცავდა მის სიცოცხლეს და მნიშვნელობა არ ჰქონდა, როგორი მძიმეც არ უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი წამება.

22

„გვეთამაშები,“ დაიყვირა პოლკოვნიკმა დულგერუმ და რიჩარდს ლოყაში მუშტი გაარტყა. „ნუთუ ვერ ხედავ, რომ სრულიად ჩემი წყალობის ქვეშ ხარ და შენი მხსნელი, თუ რასაც ეძახი, ჩემი ციხის კარს ვერ გახსნის?“

„მას იესო ქრისტე ჰქვია,“ თქვა რიჩარდმა, დარტყმულ ადგილზე ხელი დაიდო, „თუ სურს, შეუძლია ჩემი გათავისუფლება.“ „ძალიან კარგი,“ თქვა დულგერუმ. „ხვალ ამხანაგ ბრინზარუს შეხვდები.“

რიჩარდს, ისევე როგორც სხვა პატიმრებს, შიშის ზარს სცემდა ამ სახელის გაგონება. მაიორ ბრინზარუს ჰქონდა წმინდა, ინტელიგენტი სადისტის რეპუტაცია, გორილას მსგავსად ბეწვიანი მკლავებითა და ინფორმაციის მოპოვების უნარით. ვიდრე გამომძიებელი გახდებოდა, პოპულარულ პოლიტიკოსთან მუშაობდა, რომლის ვაჟიც პატრიოტული მოძრაობის ხელმძღვანელობისთვის დააკავეს.

„ბავშვობაში ჩემს მუხლებზე იჯექი ხოლმე,“ უთხრა ბრინზარუმ ყმაწვილს და ცარიელი ხელებით მოახრჩო ახალგაზრდა.

რიჩარდი მიხვდა, რომ მშვიდი დაკითხვის ეტაპი დასრულდა. ბრინზარუმ დაკითხვის ოთახში წამების მრავალფეროვანი იარაღები შემოიტანა. „განსაკუთრებით რომელი იარაღი მოგწონს აქედან?“ იკითხა ბრინზარუმ და მოჩუქურთმებული დანებისა და სხვა საჭრელი იარაღებით სავსე მაგიდისაკენ გაიხედა. „გვსურს დემოკრატია გამოვიჩინოთ.“ ბრინზარუმ რიჩარდი აიძულა ფეხის წვერებზე დამდგარიყო და ხელებით ჭერს მისწვდომოდა. როგორც კი ტანჯულს სისხლი წამოუვიდა ხელ-ფეხიდან, უგონოდ დაეცა, მაგრამ ცემით კვლავ საწყის მდგომარეობაში დააბრუნეს.

ყოველდღე რამდენიმე საათის განმავლობაში აიძულებდნენ ამორალური, უხეში და უაზრო პოზიციის დაკავებას. თუ ამის მიზანი მისი ღირსების წართმევა იყო, დაცვამ წარმატებას მიაღწია, როცა ყველა პოზიციაში დგომისას დასცინოდნენ.

რიჩარდს მის წინ აღმართული კედელი ბიბლიიდან ფრაზას აგონებდა: „ვამსგავსე საყვარელი ჩემი ნიამორის ანუ ირმის ნუკრს. აჰა, დგას იგი ჩვენი ზღუდის უკან (ქებათა ქება 2:9). როცა დაცვა ურტყამდა, უთვალავი ნაკეცი ემჩნეოდა ტანზე და წარმოიდგენდა, რომ იესო იდგა კედლის მეორე მხარეს, ანუგეშებდა და მასთან ერთად იტანჯებოდა. ქრისტეს რომ ხელი გამოეწოდებინა ჯვრიდან, რიჩარდიც გაუწვდიდა მას ხელს. მოსე, ისრაელიანების წინამძღოლიც, წარმოუდგა გონებაში. ვიდრე მოსეს ხელები აპყრობილი ჰქონდა, ებრაელებიც იმარჯვებდნენ ყამალეკების წინააღმდეგ ომში (გამოს. 17:11).

ხშირად თვალახვეულს არ შეეძლო ციხის მენტალური რუკის დანახვა, მაგრამ ერთ ოთახს განსაკუთრებით კარგად იცნობდა, მანეჟად წოდებულს, როგორც ამას პატიმრები ეძახდნენ. ოთხი ნაბიჯის შემდეგ კედელი იდგა აღმართული, კიდევ ორი ნაბიჯი და კიდევ მეორე კედელი. ბრინზარუმ რიჩარდი აიძულა საათობით წრეზე ევლო. „იარე!“ თქვა მან მოთხოვნის ტონით. „წრე დაარტყი!“

რიჩარდიც დაემორჩილა და კედლებზე დაჯახებისაგან კოპები უჩნდებოდა სხეულზე. თავს ვეღარ გრძნობდა და თვალები ოფლისაგან ეწვოდა. რამდენიმე საათის შემდეგ, ოთახი ბურუსმა მოიცვა. რიჩარდმა თვალები დახუჭა და ისე ეხეთქებოდა კედლებს, რომ ცდილობდა გონებრივი სიფხიზლე შეენარჩუნებინა დაცვის თანამშრომლებზე სალოცავად, რომლებიც შეურაცხყოფას აყენებდნენ.

„სწრაფად!“ ეუბნებოდნენ მას.

ერთ-ერთმა დაცვამ ხის ჯოხი დაარტყა იდაყვზე და ტკივილმა ტალღებივით დაურბინა მკლავზე. „ადექი! იარე!“

მეორე დღეს, რიჩარდს უბრძანეს იატაკზე დაწოლილიყო და ხელები ზურგს უკან დაეწყო. დაცვამ რკინის ჯოხი მკლავებში

გაუყარა, სხეულით ჰაერში ასწია და ფეხებზე და ფერდებში ნეილონის ჯოხით დაუწყეს ცემა. თავზე ტომარა ჩამოაფარეს, რომ დარტყმისაგან მიყენებული ტკივილი მოულოდნელი ყოფილიყო, დარტყმისაგან მიყენებული ტკივილის გაორმაგების მიზნით. რამდენიმე დარტყმის შემდეგ რიჩარდმა გრძნობა დაკარგა. დაცვამ რეალობაში დააბრუნა, სახეში ერთი სათლი ცივი წყლის შესხმით.

მომდევნო კვირას ბრინზარუ რიჩარდის საკანში შევიდა და ყელზე დანა მიაბჯინა. ბასრმა პირმა კანი რამდენჯერმე გაუჭრა და მკერდი დაუფლითა. რიჩარდი გამოფხიზლდა თუ არა, დაინახა, რომ მთელი სხეული სისხლში ცურავდა.

როცა დანის დარტყმისაგან მიყენებული ტკივილის შეგრძნება დაკარგა, ბრინზარუმ ძაბრი ჩაუდო რიჩარდს პირში და იმდენი წყალი ჩაასხა, ვიდრე მუცელი გასკდომამდე არ გაებერა. დაცვას უბრძანა მანამდე ერტყათ მისთვის, ვიდრე არ აღებინებდა.

ერთ დღეს, რიჩარდს ისევ ჩამოაცვეს თავზე ბნელი ნაჭერი და ორი მგელი შემოვარდა მის საკანში. უთხრეს, რომ ეს მხეცები გაწვრთნილნი იყვნენ იმისათვის, რომ თუ პატიმარი გაინძრეოდა, მაშინვე დაეძგერებოდნენ. რიჩარდიც გაუნძრევლად იჯდა და სახიდან რამდენიმე სანტიმეტრის დაშორებით გრძნობდა მათ თბილ სუნთქვას.

თვეები გადიოდა, წამების ინტენსივობა იმატებდა. დაცვამ გახურებული უთო დაადო რიჩარდს ბეჭებზე. კანი აშიშხინდა და რამდენიმე წამში მსხვერპლს გული წაუვიდა. დაცვამ მისი გამოფხიზლება ანალოგიური დამწვრობის ტკივილით მოახერხა. უთოთი დადაღული ისე ახლოს იყო ჯოჯოხეთთან, ვიდრე ეს ოდესმე გამოუცდია და დაცვისადმი უფრო მეტ სიბრალულს გრძნობდა, რომ ისინი მარადიულობას ანალოგიურ მდგომარეობაში გაატარებდნენ. იმისათვის, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ რიჩარდი უდროოდ არ მომკვდარიყო, ექიმი ყოველთვის ზედამხედველობდა წამების პროცესს. ხანდახან სიკვდილი ერთი წამის მოშორებით ჩანდა. გულის წასვლამდე მიჰყავდათ და მანამდე ურტყამდნენ მათრახით,

ვიდრე ფილტვები გაგუდვის ზღვარს არ მიაღწევდა და სუნთქვას ვეღარ შეძლებდა.

იესოც გაშოლტეს, იხსენებდა რიჩარდი. რამხელა პრივილეგიაა ისეთივე ტანჯვის გავლა, როგორიც ქრისტემ გამოიარა. მთელი ღამის განმავლობაში ისმოდა მეზობელი საკნებიდან პატიმრების ოხვრა, განსაკუთრებით მაშინ, როცა კიდური სხეულიდან იყო ამოვარდნილი; აპარატი, რომელზეც პატიმრებს დასაჭიმად აკრავდნენ იქამდე, ვიდრე ძვლები არ ამოუვარდებოდათ ჩონჩხიდან. უბრალოდ, ამ თაროს სახელის ხსენებაც კი, იმდენად დიდ შიშის ზარს სცემდათ პატიმრებს, რომ წამების გარეშეც აძლევდნენ აღიარებით ჩვენებას.

„სად არის იმ ადამიანთა სახელები, რომელთაც საიდუმლოს გადასცემდი?“ ითხოვდა ბრინზარუ პასუხს.

რიჩარდმა რამდენიმე სახელი და მისამართი დაწერა, მაგრამ მეგობრები არასოდეს გაუცია. ეს სახელები მათ ეკუთვნოდათ, რომლებიც უკვე გარდაიცვალნენ ან დასავლეთში გაიქცნენ.

დაპატიმრებამდე რიჩარდს ვერ წარმოედგინა, ასეთ დამცირებას თუ ოდესმე გაივლიდა. დაპატიმრების შემდეგ ყველაფერი შეიცვალა, როცა ორმა დაცვამ შეაფურთხა, მას პირი გააღებინეს და შიგ მოშარდეს, სხვები უყურებდნენ და იცინოდნენ. წამების დროს რიჩარდი აიძულეს ჰომოსექსუალობა, მრუშობა, ქურდობა, ჯაშუშობა და მოღალატეობა ეღიარებინა. ღამით საკანში დაბრუნებული, დღის განმავლობაში მიყენებული ემოციური ტრამვისაგან ტიროდა და მომდევნო დღის ტანჯვის ასატანი ძალისთვის ლოცულობდა.

„რატომ არ დანებდები?“ ჰკითხა ბრინზარუმ. შენ მხოლოდ ხორცი ხარ და ბოლოს მაინც გატყდები.“

კომუნისტები ფიქრობდნენ, რომ ადამიანი ნებისმიერ რამეზე წავიდოდა სიკვდილისაგან თავის დაღწევის მიზნით. პატიმარი, როგორც მათ სჯეროდათ, ყველაფერს აღიარებდა საკუთარი თავისუფლებისათვის. საკანში მარტო იჯდა რიჩარდი და მომდევნო დღის მოსალოდნელი ტანჯვის გამო შიშით თრთოდა, მაგრამ სჯეროდა, რომ სიცოცხლე იმაზე მეტი იყო, ვიდრე ხორცი,

სისხლი და ძვალი. მწამებლებს შეეძლოთ დაედაღათ, მათრახით გაეშოლტათ, დაეცინათ და დაემცირებინათ, მაგრამ ევროპის ყველა კომუნისტს, ერთად აღებულს-ბრინზარუს ჩათვლით-არ შეეძლოთ სულის წართმევა. მისი სული იმის ხელში იყო, ვისაც ვერანაირი ძალა ვერ წაჰგლეჯს ხელიდან.

23

რიჩარდი ჩაბნელებულ საკანში იჯდა მარტოობის განცდით მოცული. კედლები, თვითონ რომ უნიფორმა ეცვა, ისეთი ნაცრისფერი იყო და არც ისე დიდი ხნის წინ, განმარტოებით საკანში ყოფნამ, წაართვა მდინარეების, ყვავილების, მზისა და ვარსკვლავების შესახებ მოგონებები. ბუქარესტის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამდივნოს შენობის ქვემოთ ოცდაათი ფუტის სიღრმეზე, უფანჯრო საკანში პატარა მილით შედიოდა ჰაერი. კვირაში ერთი ნაჭერი პური და შიმშილი მისი გამუდმებული თანამგზავრი გახდა. საკვები, რომელსაც მას აძლევდნენ, მხოლოდ იმ რაოდენობის კალორიას შეიცავდა, რომ ესუნთქა.

რვაწლიანი პატიმრობიდან პირველი სამი წელი რიჩარდი მარტო იყო. სიჩუმე დამაყრუებელი გახდა. საკანს მხოლოდ მაშინ ტოვებდა, როცა უნდა ეცემათ ან ეწამებინათ. დაცვასაც კი ფეხსაცმელზე თხელი ფენა ჰქონდა მიწებებული, რომ სიჩუმე არ დაერღვიათ. ქაღალდისა და კალმის არ არსებობის შემთხვევაში წერაც კი ავიწყდებოდა. მხოლოდ იმ სიტყვებს ფლობდა გონებაში, მოულოდნელ დაპატიმრებამდე რომ უტრიალებდა, 1948 წლის თებერვალს, მისივე მეუღლის დაპატიმრებამდე ორი წლით ადრე. როცა რიჩარდი სხვა პატიმრებს შეუერთდა საკანში, მისი ცხოვრება არ გაუმჯობესებულა. დილის 5:00 სათიდან საღამოს 10:00 საათამდე პატიმრები ზურგს უკან ხელებგაკრული მუცლით იწვნენ იატაკზე. ჩონჩხებივით გამხდრები ძაღლებივით ხვრეპდნენ საჭმელს იატაკზე დადგმული ჭურჭლიდან. ჩვიდმეტი საათის განმავლობაში

საშუალება არ ჰონდათ თავი დაესვენებინათ ან თვალები დაეხუჭათ. თვალახვეული, ნაცემი და დადაღული რიჩარდი რწმენის ნიშნებს ატარებდა საკუთარ სხეულზე. წლების შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების სენატის წინაშე როცა ამოწმებდა, პატიმრობის დროს მიყენებულ ღრმა ჭრილობებსაც აჩვენებდა.

„ჩემს ირგვივ მრავალი იობი იყო," თქვა მან, „ზოგიერთი მათგანი იობზე მეტად დაზიანებული. ვიცოდი იობის ისტორია, როგორ მიიღო ორჯერ იმაზე მეტი, ვიდრე მანამდე ჰქონდა. ჩემს ირგვლივ მათხოვარი ლაზარეს მსგავსი ადამიანები ტრიალებდნენ, მშიერნი და წყლულებით სავსე. ვიცოდი, რომ ანგელოზები ამ ადამიანებს აბრაამის წიაღში წაიყვანდნენ. ვხედავდი მათ როგორები იქნებოდნენ მომავალში. ვხედავდი გაცვეთილ, ჭუჭყიან, სუსტ წამებულებს ახლო მომავალში დიდების გვირგვინით შემკულებს." ტვინის რეცხვის ტაქტიკამ დუმილი დაარღვია. საათების განმავლობაში ჩატარებულმა დაკითხვებმა შედეგი ვერ გამოიღო, რიჩარდმა უარი თქვა რუმინეთის ეკლესიის და-ძმების დასმენაზე.

მხოლოდ დაცვა არ ცდილობდა რიჩარდის ტვინის გამორეცხვას. ხშირად, ბოროტი სულის თანდასწრებას გრძნობდა ბნელ და ცივ საკანში. როგორც ბავშვი, ისე ხედავდა რიჩარდი როგორ უღრჭიალებდა სატანა კბილებს და ახლა, ამ მარტოობის ჟამს, სატანა მის დასაცინად დაბრუნდა. რიჩარდს, თითქოს, ესმოდა მისი გამუდმებული სისინი: *„სად არის იესო? შენმა მხსნელმა ვერ დაგიხსნა შენ. მოგატყუეს და შენც სხვები მოატყუე. ის არ არის მესია. შენ არასწორ ადამიანს გაჰყევი."* უიარაღო რიჩარდი თავს მიტოვებულად გრძნობდა.

დაცვა იქამდე დაათრევდა რიჩარდის თანასაკნელებს, ვიდრე უკანასკნელი გრძნობა არ გამოელეოდათ. რიჩარდს უჭირდა ყურადღების გამახვილება და ხანდახან უფლის ლოცვაც კი ძალიან გრძლად ეჩვენებოდა გასამეორებლად, ვერ კონცენტრირდებოდა. ერთხელ, მცირედი ძალით, რაც კი გააჩნდა, ჩაიბუტბუტა, „იესო, მიყვარხარ."

გიყვარვარ? უპასუხა იესომ. *ახლა გაჩვენებ მე როგორ მიყვარხარ.*

და უცბად რიჩარდს გულმა ისე დაუწყო ცემა, როგორც ემაუსის გზაზე მიმავალ ორ კაცს. „მე ვიცი სიყვარული იმისა, ვინც თავისი სიცოცხლე გაიღო ჩვენთვის, ყველასთვის. ასეთი სიყვარული არ გამორიცხავდა კომუნისტების სიყვარულს, როგორიც არ უნდა ყოფილიყო მათი ცოდვები.“ რაც უფრო მეტად იტანჯებოდა რიჩარდი, უფრო მეტ სიყვარულს გრძნობდა დაცვის მიმართ. მას სჯეროდა ქრისტესმიერი სიყვარულის, ვისაც ყველას დახსნა სურს.

სხვა დროს, განსაკუთრებით განმარტოებით საკანში ყოფნისას, რიჩარდი წმინდა წერილის გამეორებით ცდილობდა საღი გონების შენარჩუნებას. ფეხშიშველი, დიდი ნაბიჯებით დადიოდა პატარა საკანში წინ და უკან, მთელი ღამე შრომობდა ქადაგების მომზადებისათვის და ქადაგებდა ღვთისა და მისი ანგელოზების თანდასწრებით. პატარა საკანში ბიბლიური გმირები ცოცხლდებოდნენ: იხილა აბრაამი და მისი აქლემები, იესო მოწაფეებთან და პავლე, სამისიონერო მოგზაურობებში, ხმელთაშუა ზღვაში. ფიზიკური საკვები საშინელი იყო, მაგრამ სულიერი - უხვი.

რიჩარდი ღამის ლოცვებს მსოფლიოს გარშემო მყოფ სხვა ქრისტიანებთან ერთად ლოცვაში ატარებდა და მისივე დამტყვევებლებისათვის ლოცულობდა. ერთ დღეს, რიჩარდი, როგორც წესი, მარტო იჯდა საკანში, როცა მისი ლოცვები მოულოდნელად სინათლის სვეტებით გაბრწყინდა. სიბნელე გაქრა და ღმერთმა გარდასახა მისი საპყრობილე ქვეყნიერების მშვენიერებად, ქვეყანად, რომელიც თვით ქრისტემ მოიცვა. რიჩარდი მოგვიანებით იხსენებდა, „მეფეთა მეფე, იესო, ჩვენთან იყო.“

*****

მართალია, სრულიად მარტო იყო საკანში რიჩარდი, მაგრამ ქრისტეს სიახლოვეს გრძნობდა. დევნა არსებობდა, მაგრამ

მიტევებაც. რა თქმა უნდა, ბევრი რამ იყო საპატიებელი. ბნელ დღეებში, როცა ბოროტის თანდასწრება იგრძნობოდა, რიჩარდმა პოემა დაწერა გონებაში, რომელიც ეშმაკის მუქარას აბრკოლებდა:

სიყვარული არის თვითგამართლება.
სიყვარული არ არის ბრძენთათვის.
ათასობით მძიმე განსაცდელშიც არ
შეწყვეტს სიყვარულს.
თუნდაც ცეცხლმა დაწვას და მისმა
ტალღებმა ჩაძიროს, იმ ხელს აკოცებს,
რომელიც ტანჯავდა.
თუ საკუთარ კითხვაზე პასუხს ვერ იპოვის,
დარწმუნებულია მასში და მოელის
ერთ დღეს მზე გაანათებს ბნელ ადგილებს და
ყველაფერი გაცხადდება.

რიჩარდის თავზე ანთებული ნათურა იწვოდა მთელი ღამე, მაგრამ არ გადამწვარა. სიწყნარე შემოუშვა მისმა პატარა საკანმა. გარეთ არსებული ქვეყნიერება გაუჩინარდა - წვიმა, ქარი, ხეების რხევა. ყველა ეს ხმა გაუჩინარდა რიჩარდის მეხსიერებიდან. საკანმა საბინას ხმაც კი დაავიწყა. ხმაურის არ არსებობის გამო, ეჭვი თავისუფლად მოძრაობდა მის გონებაში. ნუთუ მართლა განიცადა ღვთის ძალა, თუ მისი ხუცესობა უბრალოდ წარმოდგენა იყო? მართლა უყვარდა თუ არა სხვები, თუ მხოლოდ საკუთარ თავს ემსახურებოდა? სახელმწიფო მოხელე, მილიონერი ან არქიტექტორი ხომ არ უნდა გამოსულიყო? მართლა არსებობდა ღმერთი, თუ კომუნისტები იყვნენ მართლები? სად იყო მაშინ ღმერთი?

რიჩარდი ნატრობდა, რომ თავისი საყვარელი წიგნი, პატერიკი, თან ჰქონოდა ციხეში. ერთი ამოსუნთქვით ისე წაიკითხა ეს წიგნი, რომ არაფერი უჭამია და დაულევია. წიგნი აღწერდა მეხუთე საუკუნის ქრისტიანებს, რომლებიც ეგვიპტის უდაბნოს გადიან საკუთარი რწმენის წარმართული რომაული საზოგადოებისაგან

დასაცავად. ერთ-ერთმა ბერმა ამ უდაბნოში უხუცესს ჰკითხა, „მამაო, რა არის სიჩუმე?“

„ჩემო შვილო,“ უპასუხა აბატმა, „სიჩუმე არის საკანში მარტო ჯდომა, სიბრძნითა და ღვთის მოშიშებით, გულის დამწველი ცეცხლოვანი ისრებისგან დაცვა... ო, სიჩუმე, რომელშიც ადამიანი მხოლოდ უპირველეს საგანზე ფიქრობს და მხოლოდ იესო ქრისტეს ესაუბრება! ვინც სიჩუმეშია, ის გალობს, „ჩემი გული მზად არის შენს განსადიდებლად, ღმერთო!’“

სიჩუმე ტვირთად დააწვა რიჩარდს თავდაპირველად. მალე ეს ნაკლი კურთხევად იქცა. „სიჩუმეში,“ მოგვიანებით იხსენებდა, „ქრისტეს კოცნა ვიგრძენი და ყველა ჩუმადაა, როცა კოცნიან. სიწყნარე და სიხარული დაბრუნდა.“ სხვა ქრისტიანებზე მოგონებებიც ამხნევებდა რიჩარდს. მარტო აღარ იყო. განმარტოებულ საკანში, ყველა დროის, ათასობით ხუცესის კამპანიას გრძნობდა, რომლებმაც სიხარული განიცადეს ქრისტეს თანდასწრებაში. მოწმეთა ღრუბელში გაეხვია რიჩარდი და არც ისე დიდი ხანი დასჭირდა, რომ მათი დამოწმებითა და ტრიუმფით გამხნევებულიყო. თვით იესო, ორმოცი დღისა და ღამის მარტო უდაბნოში გატარების შემდეგ, რომელსაც ანგელოზები მიეახლნენ და გაამხნევეს; (მათე 4:11). რიჩარდი გრძნობდა, რომ მისი ანგელოზები თვალს ადევნებდნენ. სიჩუმის ხეს მშვიდობის ნაყოფები გამოაქვს. რიჩარდი ამ ჭეშმარიტების აღიარებამდე მივიდა და ყოველდღე მასში ვახშმობდა. ღმერთი *არსებობდა*. ის ქრისტეს თანდასწრებას ყოველდღე გრძნობდა. ღმერთმა მოუწოდა მას *ხუცესად გახდომა* უდაბნოში სიარულისათვის, სხვების სიყვარულისა და მსახურებისათვის და ალბათ, საკუთარი თავის მსხვერპლშეწირვისთვის. სად იყო ღმერთი მისი შვილების ტანჯვისას? უკვირდა რიჩარდს ფიქრებში. ღმერთმა იცოდა რას ნიშნავდა საკუთარი შვილების ტანჯვის ცქერა. სინამდვილეში, ქრისტე ქვეყნიერებაზე ყოველგვარი მოსალოდნელი ტანჯვის გასანადგურებლად გამოაგზავნა. რიჩარდი გაამხნევა ამ ახალმა აზრმა, რომ ის მორწმუნე იყო. მისი სიცოცხლის ყოველი ატომი ღმერთს ეკუთვნოდა, მისი სუნთქვა და გულისცემა.

თავი 23

გონიერების შენარჩუნების მიზნით, რიჩარდს ყოველდღიური რუტინა სჭირდებოდა. ყოველ ღამე, რვა საათზე, მთელ ციხეში ზარის ხმა ისმოდა, ძილის დროის მაუწყებლად. ზარი რიჩარდის რეჟიმის დასაწყისის ნიშანიც გახლდათ, ამავდროულად, პროგრამა, რომელსაც ის თვალს ადევნებდა ყოველ ღამე, ორ წელზე მეტ ხანს, განმარტოებით საკანში ყოფნისას რომ შეიმუშავა. რუტინა ლოცვით იწყებოდა და იშვიათად მიმდინარეობდა ცრემლების გარეშე. რადიო ტალღების მსგავსად მოწმენდილ ღამეში რომ უფრო კარგად გადაადგილდებოდნენ, რიჩარდის მიერ წარმოთქმული ლოცვები ზიგზაგისებურად მოძრაობდა მისი საკნის კარებში, დერეფანში და ცაში მიდიოდა ღვთის ტახტთან. ლოცვის შემდეგ ისე ქადაგებდა, როგორც ამას ეკლესიაში მსახურებისას აკეთებდა, ხალხის წინ რომ იდგა, მაგრამ ხუცესისაგან განსხვავებით, მისი მსახურება თავისუფალი იყო ყოველგვარი შეზღუდვებისგან - იმ დარდისგან, თუ რას იტყოდა ეკლესიის თემი ან ეპისკოპოსი დაპატიმრების შიშის, ჯაშუშობის ან ღალატის გამო. რიჩარდი ჩუმად ქადაგებდა, რომ დაცვის ყურადღება არ მიეპყრო, მაგრამ მისი მსახურება არ იყო მონოლოგები. ის ქადაგებდა ღვთის, ანგელოზების, დემონების, ღვთის წინაშე და ყველა იმ ადამიანისათვის, რომელთა სახეებიც თვალწინ გაუელვებდა მეხსიერებაში, განსაკუთრებით საბინას სახე. რიჩარდის აზრები საბინასკენ მიემართებოდა და ლოცულობდა, რომ ეს ფიქრები საბინას გონებაში გარდასახულიყო. იცოდა, რომ განქორწინებას აიძულებდნენ, თუ ამას არ გააკეთებდა და მსახურებას გააგრძელებდა, კომუნისტები მასაც დააკავებდნენ, აწამებდნენ და უარესს უზამდნენ.

საბინაზე ფიქრის შემდეგ, რიჩარდი თივით გავსებულ ლეიბს ჩაეხუტა და ძილინებისა უსურვა. ვითომ მისი ვაჟი, მიხეილიც, იქვე იყო. ერთ საღამოს ისე მოენატრა მიხეილი, რომ ვერ აიტანა უიმისობა და რკინის ურდულს ეცა, მუშტებს კარებზე ურტყამდა, ვიდრე დაცვა არ მოვიდა და ტრანკვალაიზერით (მომადუნებელი ელექტრო ჯოხი) არ დაამშვიდეს. რიჩარდმა დილით

სასოწარკვეთილმა გაიღვიძა. სხვა მრავალი პატიმარივით ხომ არ კარგავდა გონებას?

ის ფიქრობდა იესოს დედაზე, ჯვარცმის დროს მის ფეხებთან რომ იდგა. რიჩარდს ახსოვს, რომ მარიამიც უიმედობას მოეცვა, მაგრამ არ წუწუნებდა. მეც მომეცი ძალა, ლოცულობდა ის, რომ წუწუნის გარეშე მივიღო ჩემი შვილის ბედი. ღმერთმა თავისი ძე გამოაგზავნა ქვეყნიერებაზე, იოანეს სახარების მიხედვით, „ვინც ირწმუნებს არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე“ (იოანე 3:16). ალბათ რიჩარდსაც შეეძლო იგივეს გაკეთება.

ჯონ უესლი ამბობდა, რომ საათის მეოთხედის განმავლობაშიც კი არ ყოფილა მოწყენილი. უესლის გახსენებისას, რიჩარდი ღვთის მცნებას დაემორჩილა, რომ გაეხარა და ძალა მოიკრიბა რომ გაეცინა, ეცეკვა, ხუმრობები გამოეგონებინა; საკუთარ თავს ჭადრაკსაც კი ეთამაშებოდა. პურისაგან გამოძერწა ჭადრაკის ფიგურები-მუქი ფერები ებრძოდნენ ღია ფერებს. ერთი თამაშიც კი არ წაუგია ორი წლის განმავლობაში.

სიჩუმე მნიშვნელოვანი სულიერი მსახურება გახდა რიჩარდის ცხოვრებაში. წმინდა ადგილი გახდა განმარტოების საკანი, სადაც იკურნებოდა და ქრისტეს თანდასწრებაში ლოცულობდა. მას არ შეეძლო სიტყვიერად გამოეხატა ღვთის სიახლოვით გამოწვეული ეიფორია, მაგრამ გრძნობდა, რომ სიხარულისაგან ფეთქავდა. იესო დაგვპირდა, „ნეტარნი ხართ, როცა შეგიძულებენ ადამიანები, როცა გაგყრიან და გაგლანძღავენ, ხოლო თქვენს სახელს განდევნიან, როგორც ბოროტს, კაცის ძის გამო. გაიხარეთ იმ დღეს და გამხიარულდით“ (ლუკა 6:22-23). რიჩარდი ხტოდა და ცეკვავდა თავის საკანში, სულიწმინდისა და მეფის სახელის გამო, ტანჯვის პრივილეგიის სიხარულისგან აღვსილი.

რიჩარდი იცნობდა ღვთის ხალხს. როგორც მუხლუხომ-აბრეშუმის ჭიამ - უნდა აიტანოს ბნელ პარკში ყოფნა სინათლეში გამოფრენამდე. კომუნიზმის ჭიის პარკმა რიჩარდს სამისიონერო შესაძლებლობა შესთავაზა. მან შეძლო გამომძიებლების შეყვარება, ისეთებად კი არა, როგორებიც უნდა ყოფილიყვნენ, არამედ როგორებიც იყვნენ. თუ ღმერთს ტარსუსელი სავლეს

მოქცევა შეეძლო, ის ყველაზე სასტიკი გამტაცებლების მოქცევასაც შეძლებდა. რიჩარდის დაცვათაგან რამდენიმემ, მოგვიანებით, იესო ქრისტეს რწმენა და მათი დახსნისათვის მისი სასტიკი ტანჯვა აღიარეს.

„მათ მიერ წამების გამო ვისწავლეთ მათი სიყვარული,“ თქვა რიჩარდმა მოგვიანებით. „სამოთხის კარი დახურული არ არის კომუნისტებისთვის. არც ჯოჯოხეთის ცეცხლია მათთვის ჩამქრალი.“

24

საბინა ბიძაშვილის თვალებში ამოკითხულმა შიშმა შეაძრწუნა. „თქვა, რომ საცხოვრებელი ადგილის ოფისიდან მოდიოდა“ ახალგაზრდა კაცი, რომელიც დილით დაუკავებიათ, საეჭვო სტუმრის ინფორმაციაზე დაყრდნობით და თქვა, რომ ბინაში უფრო მეტი ადამიანის განთავსებაზე ფიქრობდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ სინამდვილეში იმის გაგება სურდა, კიდევ რამდენი კარი აქვს ბინას მთავარი გასასვლელის გარდა.

საბინამ ნელა ამოიოხრა და ოფლი წამოუვიდა შუბლიდან, იცოდა ეს რასაც ნიშნავდა. მალე პოლიციის რეიდი მოეწყობოდა.

*****

საბინამ თვალები ფართოდ გაახილა და დაბნეულობისაგან ისევ დაახამხამა, ცდილობდა ჩაქუჩის კაკუნის არსს ჩასწვდომოდა. წინკარზე მუშტების ბრახუნის ხმა გაისმა და გვიან, მაგრამ მაინც ამოიცნო ხმის წარმომავლობა. ადგა და იგრძნო, თითქოს, მის გვერდით ქალი ნელა ამოძრავდა, ეს გახლდა ის ძვირფასი მეგობარი ქალბატონი, რომელიც პატარა ოჯახთან იყო სტუმრად. საბინამ თვალები ისევ მოჭუტა, რომ საათი დაენახა. დილის ხუთი საათი იყო. რეიდი დაიწყო.

ბიძაშვილის ხმა ესმოდა, გაბრაზებული რომ ყვიროდა. მალე მძიმე ფეხსაცმელების ხმა მოესმა კიბიდან საბინას, საძინებლისაკენ რომ მიდიოდა. რიჩარდი რომ აქ ყოფილიყო, ეცოდინებოდა როგორ გაერთმია თავი პოლიციასთან უთანხმოებისთვის, მაგრამ ის უკვე ორი წელია სახლში აღარ

ყოფილა. საბინა და მისი მეგობარი საწოლის გადასაფარებლებს მოეჭიდნენ და გარინდებულები იცდიდნენ.

„საბინა ვურმბრანდ!“ ყვიროდა სქელკისერა კაცი, რომელიც აშკარად ჯგუფს ხელმძღვანელობდა. „ვიცით, რომ იარაღს მალავთ! გვაჩვენეთ სად არის იარაღი, ახლავე!“

ვიდრე საბინა გააპროტესტებდა, ექვსმა კაცმა უჯრების შიგთავსის გარეთ გადმოყრა დაიწყო. მამაკაცის საცურაო ტრუსები გაჩხრიკეს და წიგნების თაროები იატაკზე გადმოყარეს. საბინას მეგობარმა მათი მოგროვება დაიწყო.

„დაივიწყე წიგნები!“ ყვიროდა კაცი. „ტანთ ჩაიცვით!“ ორი ქალბატონი მამაკაცების წინაშე ტანსაცმელს იცვამდა და ოფიცრები ოთახებს თავდაყირა აყენებდნენ. „არ გვეუბნებით სად არის დამალული იარაღი? სახლს ნაკუწებად ვაქცევთ!“

სიბრაზისგან გაგულისებულმა, მაგრამ სულიწმინდის თანდასწრებისაგან დამშვიდებულმა საბინამ თქვა, „ერთადერთი იარაღი რაც ამ სახლში გვაქვს აქ არის“ და ბიბლია მათ ფეხებქვეშ მოქცეული ნამსხვრევებისგან აიღო.

მეთაური ღრიალებდა, „ჩვენთან წამოხვალ ჩვენების მისაცემად ამ იარაღთან დაკავშირებით!“

საბინამ ბიბლია მაგიდაზე დადო და თქვა, „გთხოვთ რამდენიმე წუთი ლოცვას დავუთმოთ. შემდეგ კი თქვენთან ერთად წამოვალ.“

კაცები პირდაღებული შესცქეროდნენ ქალბატონების ლოცვას. საბინა ბიძაშვილს და მეგობარს გადაეხვია. „მომავალ წელს იერუსალიმში!“

კაცები სანამ კარისკენ მიუძღოდნენ დაკავებულს, საბინამ, ამასობაში, საწოლის ტუმბოდან პატარა შეკვრა აიღო.

*****

კაცებმა ზურგში ხელი ჰკრეს საბინას ძველი მანქანისაკენ და კანკალით ჩამოაცვეს მოტოციკლის ფართო, შავი სათვალეები თვალებზე. მხოლოდ რამდენიმე წუთი დასჭირდათ ადგილამდე

მისასვლელად. შემდეგ, მანქანიდან გადმოათრიეს და კიბეებზე ისეთი სიჩქარით მიაქანებდნენ, როგორითაც გათოკილ ცხოველს. ფეხის წვივებით კედლის კუთხეებს ეხეთქებოდა. ერთმა კაცმა სათვალეები მოაძრო და უკან კარი მოიჯახუნა.

საბინამ გრძელ ოთახს თვალი მოავლო, გრძელ სკამებსა და იატაკზე მსხდომ ქალბატონებს. ერთი სოციალისტი იცნო გაზეთიდან, კინომსახიობი და რიგში მდგომი ქალბატონი სასახლიდან. საბინა კარგად ერგებოდა რუმინეთის „სოციალურად გახრწნილი“ საზოგადოების ელემენტებს.

საღამომდე რამდენიმე ასეულმა ქალბატონმა მოიყარა თავი ოთახში. თავისუფლების დღის აღსანიშნავად, როგორც ამას კომუნისტები უწოდებდნენ, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ქვეყნის ძირგამომთხრელი საქმიანობის მონაწილე უამრავი ადამიანი მოაგროვეს. ქალბატონები ერთი მოქანავე ნათურის ქვეშ იყვნენ გართხმულნი, თითოეული თავის სადარდებელში გახვეული. საათები გადიოდა, მაგრამ წყალი და საკვები არავის მოჰქონდა. რამდე ნხანს გაგრძელდებოდა დაკითხვა? ყველას ერთი კითხვა აფიქრებდა. რა მოელოდათ მათ შვილებს? მიხეილმა ხომ უკვე დაკარგა მამა, ახლა დედაც წაართვეს. სახლსა და მასში არსებულ ყველა ნივთს ჩამოართმევდნენ. საბინამ მიხეილისთვის ილოცა, რომელიც ამიერიდან მეგობრების სიკეთეზე იყო მინდობილი; უსაფრთხოდ აღარავინ იყო...

მის გვერდით ერთი ქალბატონი წამოხტა და კარებს დაუწყო მუშტების ცემა: „ჩემი შვილები! ჩემი შვილები!“ ყვიროდა იგი. არავინ პასუხობდა.

- „გამათავისუფლებენ,“ თქვა მსახიობმა. „ნახავთ თუ არა.“

კარი კვლავ გაიღო, ახლა ახალი მსხვერპლები უყვიროდნენ დაცვას. „მე ცუდი არაფერი ჩამიდენია! ამბობდა ყოველი მათგანი. თითქოს მათი უდანაშაულობა დაიხსნიდათ. ქალბატონებს ავიწყდებოდათ, რომ ეს იყო კომუნისტური ერის 1950-იანი წლები.

ყოველ მათგანს ეუბნებოდნენ, „პოლიციას განცხადების გასაკეთებლად სჭირდებით.“ ზოგიერთს ეს განცხადება ათი წლის დაკავების ფასად უჯდებოდა.

თავი 24

*****

საბინამ ღამე ხალხით გადაჭედილ ოთახში გაატარა. მეორე დილით სპილენძის ბენდის ხმაური შემოესმათ პარადოქსული თავისუფლების დღისადმი მიძღვნილი პარადიდან. თუ ეს პარადი ქვემოთ მიდის, იფიქრა საბინამ, მაშინ ჩვენ პოლიციის შენობაში უნდა ვიყოთ გამოკეტილნი, თავისუფლების ქუჩაზე.

დატყვევებულ ქალებს მარშის, ათასობით ფეხის ხმა და მოვალეობის მოხდის გამო ზეიმის რიტმული შეძახილები ესმოდათ ირონიული ლოზუნგებით:

„აგვისტოს 23-მა თავისუფლება მოგვიტანა!“

„სიკვდილი ქურდებსა და მოღალატეებს ციხეში!“

„დამსხვრეული ბორკილები ჩვენს უკან რჩება!“

ქალბატონები ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ და ბურტყუნებდნენ. რუმინეთს ამდენი ქალი არასოდეს ყოლია დაბორკილი.

ბოლოს და ბოლოს დაცვამ შავი პური და წყალწყალა სუპი მოუტანა დაკავებულებს.

მწირი ვახშმის შემდეგ, ქალბატონები ღამისთვის მოემზადნენ. საბინამ რამდენიმე საათი გაატარა ლოცვასა და მშვიდად ძილში.

25

მეორე დღეს სერჟანტი შემოვიდა ოთახში და ადამიანების გამოძახება დაიწყო. საბინა ვურმბრანდი პირველი იყო სიაში. დაცვამ კვლავ ჩამოაცვა შავი სათვალეები სახეზე და გაჩერებულ მინივენში შეაგდეს. მოგვიანებით გაიგო, რომ საიდუმლო პოლიციის სათაო ოფისს გადასცეს კალეა რაჰოვეიზე.

„ვინმე იცნობთ ამ ქალს?“ ჰკითხა დაცვამ პატარა საკნის მკვიდრთ. არავინ იცნობდა და საბინას მათთან შეერთების ნება დართეს. კომუნისტური პოლიცია მოითხოვდა, რომ მეგობრები ერთმანეთისაგან შორს ყოფილიყვნენ, კომფორტისა და მეგობრული ცხოვრების თავიდან აცილების მიზნით. გამოძიების ეტაპზე, დაცვა პატიმრების ჩახლართული გადაადგილების მეთოდს მიმართავდა, მათ შორის მეგობრობის ჩამოყალიბების თავიდან აცილების მიზნით. ყოველი ახალი თანასაკნელი, შესაძლოა, ინფორმატორი ყოფილიყო. ახალგაზრდა სამედიცინოს სტუდენტის გარდა, საბინას ახალი კამპანიონები გლეხი ქალები იყვნენ. უცნობი გლეხები სასწრაფო წესით სიკვდილით დასაჯეს კომუნისტების ფერმერების მიწაზე შეჭრის გამო. ციხეში სასჯელის მოხდა ელოდა კიდევ სხვა, ასი ათას გლეხს.

რამდენიმე დღის შემდეგ, საბინა განმარტოებით გადაიყვანეს საკანში. მის პატარა საკანში მხოლოდ ბავშვის რკინის საწოლი იდგა. საბინამ საკანში მიმოიხედა და საშინელება გააცნობიერა: საპირფარეშოსთვის განკუთვნილი სათლი არ იდგა. ციხის საკვები და ცხოვრების სტილი მუდამ ნაწლავების აშლილობას იწვევდა მასში და საბინამ შეიტყო, რომ დაცვა საპირფარეშოს გამოყენების

თავი 25

საშუალებას მხოლოდ შვიდიდან ათ საათში ეთხელ მისცემდა, დილის ხუთიდან სამამდე და საღამოს ათზე. საპირფარეშოს თავისუფლად გამოყენების გარეშე, საბინა გაღიზიანებული კუჭის მოწყალებაზე იყო დამოკიდებული.

აგვისტო იდგა, მაგრამ საბინას საკანი სველი და ცივი იყო. რკინის გისოსები გადაღობილი იყო პატარა ფანჯრის მინით, ძალიან მაღლა, თავს ზემოთ. საზაფხულო მოსაცმელსა და მატყლის წინდებში, რომელსაც სახლიდან გამოსვლისას დაავლო ხელი, სიცივისგან კანკალებდა. ამ თხელი სამოსის არსებობისთვისაც მადლიერებას გამოთქვამდა.

რამდენი ხანი გავიდოდა, ვიდრე გამოიძახებდნენ? რას ჰკითხავდნენ? საბინას ახსოვს რიჩარდის ადრეული კომენტარები: „ჯოჯოხეთი არის სიბნელეში მარტო ჯდომა და შენ მიერ ჩადენილ ბოროტებაზე ფიქრი.“

საბინას ასეთი მრავალი ბოროტება ჰქონდა ჩადენილი და ფიქრობდა, ნეტავ ცემის მეთოდით თუ დააფქვევინებდა მოსალოდნელი გამოძიება ყველაფერს.

„დღეს უფრო სქელია,“ ჩაიბურტყუნა მოხუცმა ციხის ზედამხედველმა საბინასთან მოხარშული შვრიის ფაფის მიტანისას. მოხუცი გულკეთილობას იჩენდა საბინას მიმართ - ასაკიანები ხშირად უფრო კეთილები იყვნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ამერიკელები მალე დაუსვამდნენ წერტილს რუმინელთა ტანჯვას. წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რომ ათწლეული გაივლიდა, ვიდრე რუმინელები თავისუფლებას იხილავდნენ.

ღამით საბინა საწოლში წვებოდა და ცდილობდა ყურები დაეხშო მის ირგვლივ გამეფებული საშინელი ხმაურის - რკინის კარზე ბრაგა-ბრუგის, გამუდმებული უხამსობებისა და დაცვის საუბრის მოსმენისგან. ახლო საკნებიდან ესმოდა, თუ როგორ ეჭიდებოდნენ პატიმრები საკნის გისოსებს, რადგან დაკითხვაზე წასვლა არ სურდათ. ყოველ ჯერზე საბინა ფიქრობდა, რომ შემდეგი თვითონ იქნებოდა, მაგრამ რამდენიმე დღემ გასტანა დახურულ, პატარა სივრცეში ყოფნის შიშმა, მისი გამოძახების ჟამის დადგომამდე.

*****

„ზურგისაკენ შებრუნდი!“ დაუყვირა დაცვამ, საბინას საკნის კარი გააღო და თავზე მუქი სათვალეები ჩამოაცვა. სიბნელის შიშმა მოიცვა პატიმარი, როცა ორმა კაცმა ყელში ხელი ჩაავლო და ციხის უხილავი გასასვლელისკენ გაათრია. მარცხნივ, მარჯვნივ, მარცხნივ, მარჯვნივ. ნეტავ ესროდნენ? გაფრთხილების გარეშე ხომ არ მოკვდებოდა სიბნელეში?

ბოლოს მოგზაურობა დასრულდა. დაცვამ სათვალეები მოხსნა სახიდან და დაინახა, რომ დაბნელებულ, დიდ ოთახში იდგა. ზედამხედველი სკამისაკენ წაუძღვა, მუხის ფართო მაგიდის წინ გაქვავებული დადგა. საბინამ თვალი გაუშტერა მელნისაგან დალაქავებულ ზედაპირს. მაგიდასთან საიდუმლო პოლიციის ორი თანამშრომელი იჯდა-მძიმე, საშუალო ასაკიანი მაიორი წვერით და უფრო ახალგაზრდა, ქერა ლეიტენანტი, რომელიც საბინას სახლში თავდასხმის დროსაც გახლდათ. ლეიტენანტს შეხედა, თითქოს ნაცნობი სახე ამოიცნო. ლეიტენანტი რომ გაიზმორა, საბინას ააკანკალა. იმ თინეიჯერ ბიჭს ჰგავდა, პარიზში რომ უყვარდა მრავალი წლის წინ. გასაოცრად ჰგავდა. საბინა მისგან განსხვავებულ დამოკიდებულებას მოელოდა, მაგრამ მოთმინებადაკარგულმა მაიორმა თქვა, „თქვენ იცით, ქალბატონო ვურმბრანდ, რაში გედებათ ბრალი სახელმწიფოს წინაშე. ახლა დაგვიწერეთ დეტალური განცხადება ამის თაობაზე.“

„რა უნდა დავწერო?“ იკითხა საბინამ. „არც კი ვიცი, აქ რატომ მომიყვანეთ.“

მაიორმა ჩაიფრუტუნა. „ძალიან კარგად იცით,“ ამბობდა დაჟინებული ტონით.

გვერდითა მაგიდაზე საწერი კალამი და ფურცლები ეწყო. ოფიცრის გულის მოსაგებად, საბინამ რამდენიმე ხაზი დაწერა და ამბობდა, რომ არ იცოდა მისი დაპატიმრების მიზეზი. მაიორმა ნაწერს თვალი გადაავლო, თავი გაიქნია და სხვა პატიმარი მოიხმო.

თავი 25

საკნისაკენ უკან მიმავალ გზაზე დაცვა უყვიროდა და ხელს ჰკრავდა თვალახვეულს, ქვის კედლებისკენ. საკანში დაბრუნებულმა, კარების პატრა სათვალთვალო ხვრელში მოციმციმე თვალი დაინახა.

„ახლა დაჯდები და იფიქრებ, ვიდრე არ დაწერ იმას, რაც ოფიცერმა გთხოვა! თუ არა და, მკურნალობას მიიღებ.“ საბინამ კარგად იცოდა რასაც ნიშნავდა „მკურნალობა“: წამებას, ჩაგვრას, შეურაცხყოფას, დაცინვას. მოისმენდა ჩაწერილ სასოწარკვეთილ ხმებს მეზობელი საკნებიდან და დამსჯელი რაზმების ავტომატიდან სროლას დერეფნებში. მენტალური ტანჯვა პატიმრების გამოძიებასთან თანამშრომლობის მიზნით. წამება არ შეწყდებოდა გონებაში კვირებისა და თვეების განმავლობაში, საბინა დაინახავდა პატიმრების ფიზიკური წამების შედეგებს.

რა უნდა გეთქვა გამომძიებლებისთვის, რომ ახალი პრობლემა არ წარმოგეშვა. მან ანალოგიური ტაქტიკა გამოიარა ნაცისტური დამპყრობლების პირობებშიც. ზოგიერთი ქრისტიანი ფიქრობდა, რომ არასოდეს მოიტყუებოდა - სხვების გადარჩენის შემთხვევაშიც კი - და ასეც იქცეოდნენ. ადამიანი არ ეტყვის ქურდს სად ინახება ფული სახლში, ფიქრობდა საბინა. ექიმი მართალია, როცა განიარაღების მიზნით ატყუებს გონებადაბინდულ ადამიანს, რომელსაც ხელში იარაღი უჭირავს. კომუნისტების სიძულვილი გაუმართლებელი სიგიჟე იყო და ქრისტიანები მოვალენი იყვნენ შეცდომაში შეეყვანათ ისინი, ვინც განადგურებას უპირებდათ.

*****

მეორე დილით მაიორი და მისი ლეიტენანტი საბინას ელოდნენ. შენიშვნების ფურცელზე მთელი კითხვების სია ჰქონდა მაიორს ჩამოწერილი და აღნიშნავდა ყოველ მათგანს მას შემდეგ, რაც წარმატებით ჰკითხავდა ეჭვმიტანილს. მიზანი რიჩარდის მიერ ნათქვამის საწინააღმდეგო იფორმაციის გამოძალვას ემსახურებოდა.

„ყოველ კაცს აქვს სუსტი წერტილი,“ თქვა მაიორმა. კომუნისტები ეძებდნენ რიჩარდის სისუსტეს და საბინამ იცოდა, რომ ეს გამოძიება უმოწყალოდ წარიმართებოდა.

ოფიცრებმა ჰკითხეს, თუ რა უთხრა რიჩარდმა თავის კოლეგებს. საბინამ უთხრა, რომ ისინი რელიგიურ საკითხებს განიხილავდნენ და არა პოლიტიკურს.

„ქალბატონო ვურმბრანდ,“ უპასუხა მაიორმა ღიმილით, „ბიბლიასავსეაპოლიტიკით.წინასწარმეტყველებიჯანყდებოდნენ და უკმაყოფილონი იყვნენ ეგვიპტელი მმართველების. იესო თავისი დროის მმართველი კლასის წინააღმდეგ გამოდიოდა.“ მან საბინას მზერა გაუსწორა. „თუ თქვენი ქმარი ქრისტიანია, მას ცხადი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს მთავრობაზე.“

„ჩემს მეუღლეს არ აინტერესებს პოლიტიკა.“

არ ნებდებოდა მაიორი, მაგრამ საბინაც მტკიცედ იდგა.

ქალბატონო ვურმბრანდ, თქვა დამარცვლით, თქვენ ძალიან განათლებული ქალბატონი ბრძანდებით, არ მესმის თქვენი დამოკიდებულება. შენ და შენი ქმარი ებრაელები ხართ. ჩვენ, კომუნისტებმა, დაგიცავით ნაცისტებისაგან. მადლიერი უნდა იყოთ. თქვენ ჩვენს მხარეს უნდა იყოთ. თვალები დაუპატარავდა და ხმა შეანელა. „შენი მეუღლე კონტრრევოლუციურ საქმიანობაშია ეჭვმიტანილი. ის შეიძლება დახვრიტონ. მისმა კოლეგებმა ისაუბრეს და ისინიც ადასტურებენ მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას.“

საბინას გონება აერია და გული შეუწუხდა. იტყუებოდა, რა თქმა უნდა, და მის რეაქციას აკვირდებოდა. ეცადა ნეიტრალური პოზიცია დაეჭირა.

მაიორმა გააგრძელა. „შეიძლება ესენი საკუთარი ტყავის გადასარჩენად იბრძვიან. შესაძლოა ესენი არიან ნამდვილი კონტრრევოლუციონერები. ვერ გავასამართლებთ, ვიდრე არ გავიგებთ ყველაფერს, რასაც მისი კოლეგები ამბობდნენ. ყველაფერს...“ გაგრძელებამდე ცოტა ხნით შეჩერდა. „ილაპარაკე, დაასმინე ნამდვილი კონტრრევოლუციონერები და შენს მეუღლეს ხვალვე გავათავისუფლებთ.“

თავი 25

მაიორი ლეიტენანტს მიუბრუნდა და გაუღიმა, ვურმბრანდების ოჯახის მომავალ ბედნიერებაზე სასაუბროდ იწვევდა ბედნიერი ღიმილით. ყმაწვილი საბინასკენ მიბრუნდა და გამამხნევებლად გაუღიმა -„შენც შეძლებ ოჯახთან დაბრუნებას.“

საბინას გონება გაუთბო მიხეილთან და ეკლესიის ოჯახთან დაბრუნების ფიქრმა, მაგრამ მალევე უარყო იგი.

- არაფერი ვიცი, დაჟინებით უპასუხა.

მაიორი იდგა და რკინისებური ცივი თვალებითა და მოკუმული პირით მიშტერებოდა დალურჯებულ საბინას. მისი მიმართულებით წავიდა და მუშტი მაღლა შემართა. ქალი ცემის დაწყებისთანავე თავდაცვაზე გადავიდა.

საკანში დაბრუნებულმა საკუთარ დალურჯებულ სხეულს შეძლებისდაგვარად უმკურნალა. ფეხები საწოლზე აწია და იგრძნო, რომ საწოლის რკინის თავს მიარტყა. საწყალი რიჩარდი, გაიფიქრა მან. ის ისეთი მაღალია, რომ ფეხები საწოლიდან გარეთ ექნება გადმოკიდებული.

ნეტავ როგორ ეპყრობოდნენ ახლა? ორი წელი გავიდა, რაც მისი სახე არ უხილავს. საბინას სურდა მისი გადარჩენა, მაგრამ უნდოდა, რომ წინააღმდეგობა გაეწია მათთვის; მთელი ღამე ერთმანეთს ებრძოდნენ მასში საპირისპირო აზრები.

*****

მაიორმა საბინას მოჭუტული თვალით შეხედა, მაგრამ გამარჯვების ნაპერწკალის სხივიც იგრძნო. ამჯერად, მისი კითხვების მთავარი თემა ნაცისტები იყვნენ. რა გააკეთეს გერმანელებმა, რაც მან იცოდა? რა აკავშირებდათ ვურმბრანდებს მათთან? არ იცოდა, რომ ხალხს ნაცისტების დახმარების გამო ხვრეტდნენ? რატომ მალავდა საბინა ოფიცრებს თავისთან? საბინას შეეძლო სიმართლე ეთქვა, რომ ნაცისტები მას არასოდეს დაუმალავს. მისთვის ისინი ნაცისტები არ იყვნენ; ისინი უბრალო ადამიანები იყვნენ, კონკრეტული საჭიროების მქონე ადამიანები, ხოლო ვურმბრანდები მათ დახმარებას

ცდილობდნენ ზუსტად ისე, როგორც იქამდე დახმარებიან არაერთ ადამიანს.

- ესე იგი, უარყოფთ ბრალდებას, არა? თქვა მაიორმა ხელოვნურად. ძალიან კარგი, ჩვენ სიურპრიზი გვაქვს შენთვის. მაგიდაზე ღილაკს ხელი დააჭირა და დაცვამ ოთახში შემოიყვანა კაცი, რომელსაც საბინა კარგად იცნობდა. სტეფანესკუ, ვურმბრანდების ოჯახში 1945 წელს ცხოვრობდა და ყველაფერი იცოდა იმის შესახებ, რასაც ისინი გერმანელებისთვის აკეთებდნენ. საბინას ხელის მტევნები გაუოფლიანდა, როცა მისკენ მიმავალი კაცი დაინახა. აღელვებული მაიორი თვალებს უციმციმებდა ჯერ ლეიტენანტს და მერე საბინას. ამ უკანასკნელმა ნერწყვი გადაყლაპა და თვალები დახუჭა, რათა გარე სამყაროსგან გამოთიშულიყო.

- ახლა, სტეფანესკუ, თქვა მაიორმა - სიგარეტის ანთებითა და გრძელი ნაფაზის დარტყმით - გვითხარი, როგორ იფარებდნენ ვურმბრანდები გერმანელებს საკუთარ სახლში. კაცმა საბინას მიმართულებით თავი გაიქნია.

- რა თქმა უნდა, თქვენ იცნობთ ამ ქალს, არა?

- არა.

- რა?

-მე ის არასოდეს მინახავს.

-იტყუები!

- არა, ბატონო.

სტეფანესკუმ თვალები დახუჭა და მოსალოდნელი დარტყმებისათვის მოემზადა. მაიორმა დაიყვირა და სტეფანესკუს სახეს ერთი ინჩით მიუახლოვდა. ფილტვების უკანასკნელი ამოსუნთქვით ყვიროდა, რამაც პატიმარში გაოცება გამოიწვია, მაგრამ განუწყვეტლივ იმეორებდა, რომ საბინას არ იცნობდა.

მაიორმა საბოლოოდ დათმო, როგორც ჩანს, აბსურდულად ჟღერდა ებრაელის მიერ გერმანელი ოფიცრების შებრალება. საბინას მიუბრუნდა და ვურმბრანდის წითელ არმიაში მსახურებასთან დაკავშირებული კითხვები დაუსვა. საბინამ მოახერხა და თავი აარიდა საშიშ კითხვებს.

თავი 25

მოგვიანებით, ოთახში წამოწოლილს, გაახსენდა წითელი არმიის ბიჭების სახლში შემოჭრის ამბავი, ბინა რომ აავსეს. როგორი შესანიშნავი უბრალოებით მოისმინეს ღვთის სიტყვა! ახსოვს, როგორ ცეკვავდა ერთი ბიჭი სამზარეულოში სიხარულისგან, როცა რიჩარდმა უთხრა, რომ ქრისტე მკვდრეთით აღდგა.

ყოველდღიური სიტუაციები ამხნევებდა საბინას. საკანში მარტო მყოფიც კი, გრძნობდა ღვთის სულის თანდასწრებას, რომელიც აძლევდა ძალასა და გონიერებას რუსული ბიბლიების დაბეჭდვისა და ჰუმანიტარული დახმარების მიღებასთან დაკავშირებულ კითხვებზე საპასუხოდ. შეიძლება ყველაზე უარესი უკან მოიტოვა.

ცარცისმაგვარი თაბაშირით, ჭერიდან რომ ძვრებოდა, მუქი საბნის გადასაკრავზე დიდი, თეთრი ჯვარი გამოსახა.

26

საბინას შემდეგი გამომძიებელი დიდი კაცი იყო, მელოტი თავითა და ბანჯგვლიანი მკლავებით. როცა ყავისფერ საქაღალდეში დოკუმენტებს ათვალიერებდა, საბინა მელნით დალაქავებული მაგიდის წინ იდგა და ელოდა. ქერა ლეიტენანტი შენიშვნებს იწერდა სქელი რვეულიდან და ხანდახან მელასავით ამოხედავდა ხოლმე ქალს. თითქოს ისეთი რამ იცოდა, რაც საბინასთვის უცნობი იყო.

ბოლოს, გამომძიებელმა დაიწყო გამოკითხვა, პირადული კითხვების დიდი სია ჰქონდა ოჯახზე, მეგობრებსა და საზღვარგარეთ მოგზაურობაზე. პარიზის სტუდენტობის დროინდელი ამბებიც გამოჰკითხა. მისი კითხვები იყო თბილი, მეგობრული და რბილი.

„და ახლა,“ თქვა მონოტონური ჟღერადობით, გეგონება სამთავრობო გრანტის შესავსები ფორმის ინსტრუქციას იძლევიანო, „გვინდა, რომ თქვენი სექსუალური ისტორია დაწეროთ.“

საბინამ მაღლა აიხედა, დაბნეულმა წარბები დააფახუნა. კაცმა მოთმინებით ახსნა. „თქვენი სექსუალური ისტორია, ვფიქრობ, ასეთი რამ გაქვთ, არა? თქვენი პირველი გამოცდილება. პირველი ყმაწვილი ვისთან ერთადაც პაემანზე წახვედით. როგორ მოგეფერათ. უპასუხეთ თუ არა მის კოცნებს. რა მოხდა შემდეგ? წაგიყვანათ თუ არა სადმე და სად? თუ მას შემდეგ გამოჩენილმა ყმაწვილმა წაგიყვანათ სადმე? გვიამბეთ მისი მოფერების შესახებ, შეადარეთ ორი ან სამი და სხვა საყვარლების ისტორიებზე გადადით. სრული სურათის დანახვა გვსურს... ერთი ამოსუნთქვით გვიამბეთ.

თავი 26

მისი მშვიდი, თავაზიანი ტონი სახეში გარტყმის ტოლფასი იყო საბინასთვის. ლეიტენანტმა საბინას შეხედა და ენა ტუჩებზე მოატარა, ვიდრე კუთხეში პატარა, წითელ ჰერპესს არ შეეხო.

- ყველა დაწერეთ. ყველა დეტალი გვაინტერესებს. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი დეტალები უხვად იქნება.

საბინა სიმშვიდის შენარჩუნებას ეცადა: - თქვენ ამის კითხვის არანაირი უფლება არა გაქვთ. თქვენ შეგიძლიათ მსჯავრი დამდოთ კონტრრევოლუციონერობაში ან რაც გნებავთ, მაგრამ ეს არ არის მორალის სასამართლო. კაცმა ბანჯგვლიანი თითები მაგიდის ზედაპირზე დააკაკუნა. „სწორედაც რომ ამის გაკეთება გვსურს. ამბავი გავრცელდა, თითქოს, წმინდანი ბრძანდებით. ჩვენ კი სხვაგვარად ვფიქრობთ, ჩვენ სხვაგვარად *ვიცით*. ჩვენი მიზანი თქვენი ჭეშმარიტი სახის გამოვლენაა - როგორც კახპის, დაასრულა ლეიტენანტმა.

- ამას არ გავაკეთებ, თქვა საბინამ.

- მაგასაც ვნახავთ! მელოტმა გამომძიებელმა უხამსი ლიტანია გააჩაღა საბინას მისამართით, მკრეხელობის ნაკადი უსასრულოდ გადმოედინებოდა მისი ბაგეებიდან. ღვარძლიან გამოსვლას წერტილი დაუსვა, როდესაც ბანჯგვლიანი მკლავი მაგიდაზე დაარტყა.

საბინა ოფლში იწურებოდა, თავბრუ ესხმოდა და მაინც უარს ამბობდა წერაზე. ერთი საათის შემდეგ კაცი გაჩერდა. უთვალავი ქალისათვის ანალოგიური კითხვების დასმა მოსწყინდა, როგორც ჩანს.

- დრო ჩვენს მხარესაა, თქვა მან. შენმა ქმარმა უკვე აღიარა მოღალატეობა და ჯაშუშობა. შენ ნაგავსაყრელისაკენ მიექანები. გაცეცხლებული სახით უყურებდა კაცი მოცახცახე ქალს.

დაცვამ მუქი სათვალე ისევ ჩამოაცვა და საკანში მჟავე სუნით გაჟღენთილი დერეფნის გავლით დააბრუნეს. სათვალეები საკანში შეგდებამდე მოხსნეს და პირველად მოხდა, რომ კარებს ზემოთ დაწერილი ნომერი წაიკითხა.

შვიდი.

შვიდ ნომერ საკანში იყო. შექმნის დღის სიმბოლო. მენორას ტოტების რაოდენობა. საბინა პატარა ბავშვის საწოლზე დაეცა

და აქვითინდა. ბოლოს დამშვიდდა. მისი სხეული სიბნელეში იწვა, მაგრამ მისი სული ციხის კედლებს ზემოთ ამაღლდა. ის ქრისტესთან ერთად იქნა ჯვარცმული და შეიძლება მისთვისაც დამდგარიყო დრო, როცა იტყოდა - აღსრულდა. თუ ასე მოხდებოდა, სურდა, რომ სიყვარულის სიტყვები აღევლინა მშობლების, მეგობრებისა და მის გვერდით მდგარი ქურდის მიმართ. ღმერთი იყო მასთან ამ გასაჭირში.

*****

თვეების განმავლობაში საბინა განმარტოებით ცხოვრობდა, საკანს მხოლოდ გაქვავებული გამომძიებლების განუწყვეტელ კითხვებზე პასუხისათვის ტოვებდა. გაქონილ სუპს მიირთმევდა შუადღისით და მეხსიერებაში რიჩარდთან ქორწინების ადრეულ პერიოდს იხსენებდა. რამდენად პრეტენზიული იყო საკვებთან დაკავშირებით!

ყოველ ღამით, საბინა გამოსვლის წიგნიდან იმეორებდა ადგილებს, საკუთარ თავს ახენებდა, თუ როგორ გამოიყვანა ღმერთმა ისრაელიანები ეგვიპტის მონობიდან. როგორღაც იცოდა, რომ რიჩარდიც იგივეს აკეთებდა. ღმერთმა დაიხსნა ისრაელიანები და ვურმბრანდებსაც დაიცავდა.

მელოტი გამომძიებელი აგრძელებდა თავის რუტინას საბინას სექსუალური ცხოვრების უხამსი კითხვებით და ისიც თავისივე რუტინას აგრძელებდა პასუხის გაცემაზე უარის თქმით. გატანჯულობაში იპოვა ძალა ამის სათქმელად, „არ გეტყვით რისი გაგებაც გსურთ.“ იცოდა, რომ ცუდი „სექსუალური წარსული“ ხელს ვერ შეუშლიდა ადამიანს წმინდანად გახდომაში. ძველი აღთქმა, მაგალითად, რახაბს მრუშს უწოდებს, მაგრამ ახალი აღთქმის სამი ადგილი მას ღრმა პატივისცემით და ღვთის რწმენის ადამიანად მოიხსენიებს (იესო ნავეს ძე 2:1; მათე. 1:5; ებრაელთა 11:31; იაკობი 2:25). დამკითხველმა ბოლოს უარი თქვა ასეთი შინაარსის კითხვებზე და რამდენიმე დღეში საბინა საერთო საკანში გადაიყვანეს. ზამთარი მოდიოდა და ოთახი

საყინულეს ჰგავდა. მისი თხელი საზაფხულო მოსაცმელი და მატყლის წინდები მთელი საკნის ბინადრებში შურს აღძრავდა და თავის სიმდიდრეს თანასაკნელებს უზიარებდა. მისი თხელი მოსაცმელი - ლაბადა - საბნად, ხალათად და დაკითხვებზე წასვლისას ოფიციალურ სამოსად გადაიქცა. საბინამ თავისი გაცვეთილი წინდები გოგონას შესთავაზა, რომელსაც მხოლოდ თხელი ბამბის კაბა ეცვა და ფერდაკარგულ სახეზე ცრემლები ნაკადულივით მოედინებოდა.

*****

- შენ, ვურმბრანდ, უბრძანა დაცვამ, რომელსაც ვუ-ს გამოთქმა უჭირდა გერმანულად, შავი სათვალეები გაიკეთე.

აყროლებულ დერეფანში ბრმა მარში მამაკაცების ოთახში დამთავრდა. სიჩუმემ დაისადგურა და საბინამ მისკენ მიშტერებული თვალები იგრძნო.

- მოიხსენი სათვალეები! კაშკაშა სინათლემ სათვალეების მოხსნისას თვალი მოსჭრა, მაგრამ სინამდვილეში, გრძელი, უფანჯრო ოთახიდან თავი დააღწია ათ ფორმიან ოფიცერ მამაკაცს.

იცი რა დაემართა შენს ქმარს? ჰკითხა ერთმა. დაჯექი, თუ ჩვენთან ითანამშრომლებ და კითხვებზე პასუხს გაგვცემ, შეიძლება, მისი ნახვის ნება მოგცეთ.

საბინას მართლა სჯეროდა, რომ ეს შეიძლებოდა. მათ ხომ არანაირი დანაშაული ჩაუდენიათ. შეიძლება, რიჩარდი უკვე გაასამართლეს და გაამართლეს. როგორ გულუბრყვილობას იჩენდა დაპატიმრების პირველ დღეებში.

გამუდმებით უმწარებდნენ სიცოცხლეს რიჩარდთან და მის თანამშრომლებთან დაკავშირებული შეკითხვებით. ზოგ კითხვას არა, და ზოგს ვერ პასუხობდა. თავბრუ ეხვეოდა და ნერვები ეწეწებოდა რთულ მომენტებში.

ტირილის უფლება არა გაქვს, გააფრთხილა ერთმა დაცვამ, მაგრამ ვერ ჩერდებოდა. ორი საათის განმავლობაში ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა სახეზე.

ოფიცრები ჯერ ემუქრებოდნენ, მერე თავისუფლებას ჰპირდებოდნენ, დაპირებებს აძლევდნენ და ფულს სთავაზობდნენ.

ყოველ ქალს თავისი ფასი აქვს, თქვა მელოტმა დამკითხველმა. შენ გულწრფელი ქალი ხარ, შეგიძლია მაღალი ფასი დაასახელო. იუდა სულელი იყო თავისი ბატონი რომ ოცდაათ ვერცხლად გაყიდა, სამასის დასახელებაც შეეძლო. გვითხარი, რამდენი გინდა. თავისუფლება შენი და შენი ქმრისთვის? კარგი ეკლესია მისთვის? ჩვენ ვიზრუნებთ თქვენს ოჯახზე. შეგიძლია ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის, თუ მოღალატეებს დაასახელებ.

როცა დაასრულა, ოთახში სიჩუმემ დაისადგურა.

ბოლოს საბინა ალაპარაკდა: მადლობა, უკვე გაყიდული ვარ. ღვთის ძე აწამეს და თავისი სიცოცხლე ჩემ გამო გასწირა. მისი მეშვეობით შემიძლია სამოთხე დავიმკვიდრო, ამაზე დიდი ფასის შემოთავაზება შეგიძლიათ?

*****

ვურმბრანდების ქორწინების წლისთავი, 23 ოქტომბერი, მოვიდა და წავიდა, შემოდგომა მალე ზამთარში გადაიზარდა. საბინა მიხეილზე ფიქრობდა. ყოველთვის ძალიან ადვილად ცივდებოდა. ღამით საბანს უკეცავდა ხოლმე და ახლა ამას ვინ გაუკეთებს? ასეულობით ეჭვი და მღელვარება გაიელვებდა ხოლმე ყოველდღიურად საბინას გონებაში.

ნოემბერში ციხის დირექტორი პირადად ეწვია საკანს. ქალების პატარა ჯგუფს უთხრა, რომ ათ წუთში წასასვლელად მომზადებულიყვნენ. კითხვის დასმის უფლება არავის ჰქონდა. საბინამ შიში ამოიკითხა თანასაკნელების სახეზე. პატიმრებმა თავისი მცირედი ქონება მოაგროვეს და მოელოდნენ, რომ ან გაათავისუფლებდნენ, ან დახვრეტდნენ.

წლების შემდეგ, საბინა ჯორჯ ბორუს, უსაფრთხოების ლეიტენანტის, ინფორმაციით შეიტყობს, რომ სინამდვილეში, მას ბრალი დაედო ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის, რომელიც

ოლტენის ქუჩის 45 ნომერში მდებარეობს, კომუნისტური მთავრობის საწინააღმდეგოდ მოქმედება და კომუნისტური რეჟიმისა და მარქსისტული იდეების წინააღმდეგ ბრძოლა. ბრალდება მის რწმენასაც მოიხსენიებდა, აღნიშნავდა, რომ ეკლესიის წევრებს პატიმრებისთვის ლოცვას სთხოვდა. ის ფანატიკური მორწმუნეა. დამაჯერებლად მოქმედებს და დიდი გავლენა აქვს. სასამართლოს გარეშე მიუსაჯეს ოცდაოთხი თვით ციხე, შრომით-გამოსასწორებელ კოლონიაში მძიმე მუშაობა. როცა ეს დრო გავიდა, ახალი სასჯელი მიუსაჯეს. ის ერთ-ერთი იყო იმ ათასობით პატიმარს შორის, რომელიც ადმინისტრაციულ მცხოვრებელთა სახელით იყო კლასიფიცირებული იმ ციხის ბანაკს შორის, რომელთა შრომაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო კომუნისტური ეკონომიკისთვის. გაზეთებში კომუნისტებს ულოცავდნენ სამუშაო ადგილების შექმნას და არაფერი იყო ნახსენები დაკავებებისა და დაპატიმრებების შესახებ. სახელმწიფო იმას აკეთებდა და იმას ბეჭდავდა, რაც მოსწონდა.

საკონცენტრაციო ბანაკები მთელი ქვეყნის მასშტაბით აჯანყდნენ და აჯანყებულები, რომლებმაც ვერ დააკმაყოფილეს კომუნისტების მოთხოვნები - ციგნები, კრიმინალები, მღვდლები, მრუშები, მდიდრები - იქ გააგზავნეს ხელახალი განათლების მისაღებად. პატიმრები, თორმეტიდან სამოცდაათი წლის ჩათვლით, ციხის ბანაკების მუდმივ მცხოვრებლებს წარმოადგენდნენ. სულ ორასი ათასი იყვნენ, კაცის, ქალისა და ბავშვის ჩათვლით. შემდეგი პარადიგმის მიხედვით, სოციალისტური რეკონსტრუქცია, რომელიც საბჭოთა კავშირიდან მთელ მსოფლიოში გავრცელდა. რუმინეთი გახდა იმ ქვეყნის თვალსაჩინო მაგალითი, რომელმაც წარმატებით გადაჭრა უმუშევრობის პრობლემა. ვიდრე საბინა ამ წარმატებულ გამოსავალში მიიღებდა მონაწილეობას, ის გადაიყვანეს სხვა ადგილზე-ჯილავა-ქვეყნის ყველაზე საშიშ ციხეში.

27

თანმიმდევრული და ჩუმი კაკუნის ხმა შემოდიოდა რიჩარდის საკნის კედლიდან, კალეა რაჰოვეის ციხეში. თავიდან იფიქრა, რომ უბრალოდ მოეჩვენა, მაგრამ კაკუნი არ წყდებოდა. მალე მიხვდა, რომ ახალი პატიმარი მისულა გვერდითა საკანში და კოდის მეშვეობით დაკავშირებას ცდილობდა. ერთი დარტყმა ნიშნავდა ა-ს, ორი ბ-ს და ასე შემდეგ.

- ვინ ხართ? უცხომ ნელ-ნელა დამარცვლა.

- ხუცესი, უპასუხა რიჩარდმა კედელზე კაკუნით.

მძიმე და იმედგამაცრუებელი დიალოგი შედგა მომდევნო რამდენიმე საათის განმავლობაში.

- ქრისტიანი ხარ? ჰკითხა რიჩარდმა.

ერთი წუთი გავიდა და პასუხიც მოჰყვა: - ვერ ვიტყოდი, რომ ვარ.

რიჩარდმა გაიგო, რომ მისი ახალი მეგობარი, ორმოცდათორმეტი წლის რადიო ინჟინერი სასამართლოს მოლოდინში იყო სახელმწიფო ღალატის გამო. მას ურწმუნოსთან უქორწინია, ქრისტიანული რწმენიდან გადაუხვევია და ღრმა დეპრესიაში იყო ჩავარდნილი. ყოველ ღამით რიჩარდი ანუგეშებდა კომუნიკაციის ახალი სისტემის მეშვეობით. ერთი დარტყმა ანბანის პირველ ხუთ ასოს ნიშნავდა, ორი დარტყმა მეორე ხუთეულს და ასე შემდეგ. თუმცა ასო ბ გულისხმობდა ერთ დარტყმას და მას პაუზა მოჰყვებოდა და შემდეგ კიდევ ორი დარტყმა მოდიოდა; ასო ფ გულისხმობდა ორ დარტყმას და მოჰყვებოდა პაუზა და ერთი დარტყმა. ამ გაუმჯობესებულმა კოდმაც ვერ დააკმაყოფილა რიჩარდის ახალი მეზობელი. რადიო ინჟინერმა იცოდა მორზეს კოდი და ზედმიწევნით ასწავლიდა მეზობელს, ვიდრე ყოველი დეტალი არ შეისწავლა.

თავი 27

ერთ საღამოს, მეზობელმა დაწერა, „მინდა ცოდვები მოვინანიო.“ სტაკატოს ბეჭდვის სიჩქარის შესაბამისად. კაცმა გული გადაშალა, შვიდი წლის ასაკში ერთი ებრაელი ბიჭის ცემით დაწყებული და განაგრძო, რასაც მრავალი სხვა ცოდვის აღიარება მოჰყვა. პასუხად, რიჩარდმა ბიბლიის მუხლებით სიმშვიდე მოჰგვარა, რამაც კაცის გული გაამხიარულა. ორი პატიმარი ერთმანეთს თავისუფლების ისტორიებს უზიარებდა, ხუმრობდნენ და ჭადრაკსაც კი თამაშობდნენ ერთად, ფიგურების გადაადგილებას კედელზე კაკუნით ატყობინებდნენ ერთმანეთს.

როცა დაცვა ორ საკანს შორის კედელზე კაკუნში დარწმუნდა, რიჩარდი სხვა ადგილას გადაიყვანეს. ახალი ენის შესწავლის შემდეგ, რიჩარდმა საკნის ყველა მკვიდრს ახალი კოდი შეასწავლა. რაც უფრო მეტ ადგილს უცვლიდნენ რიჩარდს, მით უფრო მეტმა პატიმარმა ისწავლა ახალი ენა. დიდი ხანი არ გასულა, რომ საკანში მარტო მყოფმა პატიმრებმა ერთმანეთთან დაკავშირება ისწავლეს. აღიარება, რომელსაც რიჩარდი ცემენტის კედლებიდან ისმენდა, ხშირად ამ სიტყვებით იწყებოდა „როცა პატარა ბიჭი ვიყავი...“ ან „როცა სკოლაში ვიყავი...“ განმარტოებით საკანში ყოფნამ, გონებაში დიდი ხნის წინათ დავიწყებული წარსულის ცოდვები ამოუტივტივა. დანაშაულის შეგრძნებით ნათქვამი სიტყვები მამის, დედის, ძმებისა და დების მიმართ გაცოცხლდა პატიმართა გონებაში და სირცხვილი გამოიწვია. ცილისმწამებელი მეგობრების სახეები, ცოლების ღალატი და შვილების ცემა ამხელდა მათ და თითოეული პატიმარი საკუთარ დაუდევრობასა და საქციელს განსჯიდა. არაფერი რჩებოდა დაფარული ციხის მარტოობაში გატარებული დროის განმავლობაში.

ერთ დილას, რიჩარდმა გაიღვიძა და შეიტყო, რომ დიდი ხუთშაბათი იყო. საპირფარეშოში ნაპოვნი ლურსმნით თავისი საკნის კედელზე ამოტვიფრა სიტყვა იესო. შესაძლოა, საკნის შემდეგი მკვიდრი მცირედით მაინც ენუგეშებინა. კარცერში ამოყოფთ თავს, უთხრა დაცვამ რიჩარდს, როცა სიტყვის ამოტვიფრისას წაადგა თავზე.

28

დერეფანში მიმავალი რიჩარდი წაბორძიკდა, როცა დაცვამ კედელში გამოკვეთილი პატარა კარადისკენ ხელით უბიძგა. კარადა ლურსმნებით იყო მოჭედილი და პატიმრებს გადაადგილებაში ხელს უშლიდა. როცა დაცვამ კარი მოიჯახუნა, სინათლის სხივი შემოიჭრა სიბნელეში. რიჩარდი უკან გადაიხარა, რადგან ლურსმნები ჩხვლეტდა. მკვეთრი მოძრაობით წინ გადაიხარა, მაგრამ აქაც წვეტები ესობოდა მთელ სხეულზე. ჩხვლეტებმა პანიკაში ჩააგდო, ტკივილისაგან მოუსვენრად მოძრაობდა, რადგან ლურსმნები მკერდსა და ხელებში ესობოდა. თუ სავსებით მშვიდად იდგებოდა, მხოლოდ მაშინ შეძლებდა ჩხვლეტის თავიდან აცილებას.

რამდენიმე საათის შემდეგ დაცვამ კარადა გააღო. დაფლეთილი სხეულით დგომის ძალა აღარ შესწევდა და რიჩარდი დაეცა. მცირეხნიანი შესვენება და ისევ ძველ პოზიციაზე დააყენეს. ხანდახან გრძნობდა, რომ სიბნელეში დაიხრჩობოდა. ეცადა საკუთარი თავი მეფე დავითის სიტყვებით ენუგეშებინა: „შავეთის ველზეც რომ ვიარო, ბოროტებისა არ მეშინია, რადგან შენა ხარ ჩემთან; მანუგეშებენ შენი კვერთხი და შენი საყრდენი“ (ფსალმუნი 22:4).

რიჩარდი გაჭედილი იყო. სიბნელეში ოდნავ განძრევაც კი არ შეეძლო, არა თუ სიარული. თვალები დახუჭა და წარმოიდგინა ბერძნული გამოქვაბული ათონის მთაზე, იქ მცხოვრებმა ქრისტიანმა ბერებმა რომ დაწერეს მათი გულისცემის საპასუხო ლოცვა: „უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი.“ რიჩარდი რამდენიმე საათით იმეორებდა ამ ლოცვას.

ბოლოს გონებამ ნება დართო გულს ფიქრის გარეშე გაემეორებინა ლოცვა სხეულის ტანჯვის განცდისას.

რიჩარდმა ორი დღე გაატარა კარცერში იქამდე, ვიდრე ექიმმა მისი გადაყვანა არ დაიჟინა. მზის სინათლის უქონლობისა და არასაკმარისი საკვების გამო, რიჩარდის თმამ ზრდა შეწყვიტა. ფრჩხილები დაურბილდა, თანდათან უხმებოდა. ის ოცდაცხრამეტი წლის მომხიბლავი ყმაწვილი გახლდათ, როცა დაცვამ ბუქარესტის ქუჩიდან გაიტაცა, მაგრამ ახლა, როცა დამსხვრეული სარკის ნაჭერში იხედებოდა, რომელიც საპირფარეშოში იპოვა, ვერ იცნო ის მოხუცი კაცი, სარკიდან რომ უყურებდა. რიჩარდი უცხო იყო საკუთარ სხეულში. ნეტავ საკუთარი ოჯახი თუ იცნობდა? კონსერვის ქილის ფინჯანი ახსენებდა, რომ ჯოჯოხეთში არ იყო. წყალი არ არსებობდა ჯოჯოხეთში.

ღამღამობით ჰალუცინაციები იპყრობდნენ: უზარმაზარი ლხინის სუფრა იყო მის წინ გაშლილი, საბინას მისი საყვარელი საჭმელი, შებოლილი სოსისებით სავსე თეფში, მიჰქონდა მასთან. ყოველ მარილიან ლუკმას აგემოვნებდა, ყბას დიდი სიამოვნებით ამოძრავებდა, თითქოს, ლუკმას ღეჭავდა. უცბად კედლები გადიდდა და უზარმაზარი ბიბლიოთეკა გამოჩნდა. მილიონობით წიგნი კოშკივით აღიმართა მის თავზემოთ. დიდი სიამოვნებით კითხულობდა ნოველებს, პოეზიას, ბიოგრაფიებსა და უამრავ სამეცნიერო ჟურნალს. შემდეგ ბიბლიოთეკა გაუჩინარდა და მის ადგილასათასობითსახეგამოჩნდა,გულმოდგინედრომელოდნენ მის სიტყვას, რომელთაც მოგვიანებით ტაშით დააჯილდოვეს. რიჩარდმა შავბნელი გამოცხადებებიც იხილა. იგი მოწმე გახდა შემაძრწუნებელი ბოროტებისა და სისხლისღვრის. იხილა დაცვის მიერ დასახიჩრებული პატიმრები და სხვა, ენით აღუწერელი წამება. ხშირად, იწვა და ოფლში იწურებოდა სექსუალური ფანტაზიებისა და ეროტიკული ოცნებებისგან ნაწამები. როგორც უდაბნოს წმინდა ანტონი, რომელმაც ქალები იხილა, მის შეცდენას რომ ლამობდნენ შიშველი სხეულებით. მას საბინასთან სექსუალური კავშირიც კი აღარ ახსოვდა. მისმა მარტოობამ ერთმანეთს შეურწყა ტუბერკულოზის გაუკონტროლებელი

სიმპტომები და გაძლიერებული სექსუალური მადა. რაც უფრო მეტს ფიქრობდა მათგან თავის დაღწევაზე, მით უფრო იპყრობდა უკუღმართი აზრები. რიჩარდმა იმაზე ფიქრიც კი დაიწყო, რომ ტანჯვას იმსახურებდა. იმედგაცრუებული და დანაშაულის შეგრძნებისაგან გატანჯული, ღმერთს გათავისუფლებისთვის შეჰღაღადებდა. ღმერთმა უპასუხა მის ლოცვას და რიჩარდმა ჰალუცინაციისაგან გასათავისუფლებლად სტრატეგია შეიმუშავა. მათზე ისე ფიქრობდა, როგორც მტრის შემოტევაზე, ცდუნებაზე, და არა როგორც ცოდვაზე. ამ ხედვით, საკუთარი თავის დადანაშაულების ნაცვლად, ცივი იარაღით აღიჭურვა. ღმერთმა შესანიშნავი ნიჭით დააჯილდოვა რიჩარდი. მთელი პატიმრობის განმავლობაში ასი ათას სიტყვიანი, სამასამდე პოემა დაწერა. ცემის, წამლის ზეგავლენისა და უძილო ღამეების ფონზე, ყველაფერი დაავიწყდა, მაგრამ გათავისუფლების შემდეგ გაახსენდა და ჩაიწერა.

რიჩარდმა მალევე შეძლო გონების ნაწილის დაბლოკვა დაკითხვების დროს, თუმცა მეგობრების სახელებსა და მისამართების აღიარებაზე დარდი აღარ სჭირდებოდა, მართლა აღარ ახსოვდა ისინი. ანალოგიურად ხდება, როცა ექიმები ვირუსს იყენებენ მეორე ვირუსის დასამარცხებლად. რიჩარდმა მოახერხა თავისი ვირტუალური მტრის დამარცხება მათი იარაღის მეშვეობით. ეშმაკის ისრები შეიძლება უკანვე გესროლა მტრისთვის. რიჩარდი ჰალუცინაციებს ყოველდღიურად იმორჩილებდა გონებაში. უარს ამბობდა იმაზე, რომ ცოდვიან ფიქრებს ებატონათ მის საკანში და მთელი გულით ისვენებდა ღვთის დაპირებაში: „შენს წინააღმდეგ გამოჭედილი ყოველი იარაღი გაცუდდება“ (ესაია 54:17).

29

1951 წელს, ტუსაღობაში სამ წლიანი მარტოობის შემდეგ, რიჩარდმა ცოლ-შვილის კვლავ ხილვის იმედი თითქმის დაკარგა. მას ახსოვდა მამა, რომელმაც პატიმრობის გამო, ავადმყოფი ცოლი და ექვსი შვილი მიატოვა. შიმშილობის ზღვარზე, სამსახურის დაბრუნების უიმედო მცდელობაში, ორი უფროსი ქალიშვილი-ჩვიდმეტი და ცხრამეტი წლის ასაკში-მეძავები გახდნენ ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფისათვის. უფროსი დების სხეულით ვაჭრობის შემყურე უმცროსმა ძმამ, გონება დაკარგა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იპოვა თავშესაფარი. მამამისმა ციხიდან დაბრუნების შემდეგ კვლავ იხილა ოჯახის ტანჯვა და ღმერთს ციხეში დაბრუნებას სთხოვდა: „დამაბრუნე ციხეში, არ შემიძლია ამის ყურება.“

რიჩარდი ხშირად ლოცულობდა ამ ოჯახისთვის, ფიქრობდა, რატომ არ ერეოდნენ სხვა ქვეყნის ქრისტიანები საქმეში და არ ეხმარებოდნენ კომუნისტური ბოროტებით ტანჯულ სულიერ და-ძმებს. ხუცეს ფლორესკუს მსგავსი პატიმრების ისტორიები მისი ლოცვების არეალს აფართოვებდა. მოშიმშილე ვირთხებს უშვებდნენ ფლორესკუს საკანში მილის საშუალებით, მათი კბენა ძილს უფრთხობდა და გამუდმებით იცავდა თავს. დაცვამ ფლორესკუ აიძულა ორი კვირის განმავლობაში ფეხზე მდგარიყო, ტანზე გაცხელებულ უთოს ადებდნენ და დანით სერავდნენ.

გამომძიებლებმა ვერ შეძლეს მის მსახურებასთან დაკავშირებულ პირთა სახელების მოპოვება, ამიტომ ფლორესკუს თოთხმეტი წლის ვაჟი, ალექსანდრე, გაიტაცეს და მამამისის წინაშე სცემეს. ფლორესკუს არ შეეძლო ამ სცენის ყურება.

- ალექსანდრე, უნდა ვთქვა რაც სურთ! ვერ ავიტან შენს მეტად ცემას!

- მამა, უპასუხა ბიჭმა, ნუ მომექცევი უსამართლოდ, დამიცავი მოღალატე მამისაგან. გაძლიერდი!

გამომძიებლებმა, ახალგაზრდის წინააღმდეგობის გამო გაშმაგებულებმა, სასიკვდილოდ სცემეს ხელჯოხით და მისი სისხლით მამამისის საკანი მორწყეს.

რიჩარდს სხვა უამრავი მხეცობის შესახებაც ესმოდა. ახალგაზრდა ქალი, მასწავლებელი, რომელიც დაიჭირეს ბავშვებისათვის ბიბლიის სწავლებისა და ბიბლიების იატაკქვეშა ეკლესიაში გავრცელების გამო. კომუნისტებმა მიზანში ამოიღეს იგი, მაგრამ ქორწილის დღემდე არ დააკავეს. რამდენიმე კვირის შემდეგ, ქორწილის ცერემონიალი დაიწყო თუ არა, ეკლესიის ჭიშკარი უცბად გაიღო და საიდუმლო პოლიციის თანამშრომლები შემოცვივდნენ შენობაში. დაცვა თეთრ კაბაში გამოწყობილ პატარძალთან მივიდა. ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, გოგონამ მათ მაჯები გაუწოდა ბორკილების დასადებად. საბოლოოდ შეავლო თვალი ნეფეს, ბორკილებიან ხელს აკოცა და თქვა, „ვმადლობ ჩემს ზეციერ მეფეს სამკაულისათვის, რომელიც ქორწილის დღეს გამომიგზავნა. მადლიერი ვარ, რომ მისი სახელისათვის ტანჯვის ღირსი გამხადა.“

პოლიციამ ხელით გამოიყვანა პატარძალი დერეფანში, მისი მეგობრებისა და ოჯახის წევრების ტირილისა და მოთქმის ფონზე. ციხის საკანში წაიყვანეს, სადაც ქორწინების ღამეს, კომუნისტმა დაცვის თანამშრომლებმა გააუპატიურეს. ხუთი წლის შემდეგ, გაათავისუფლეს და საქმროს მიჰგვარეს დარდისაგან დამწუხრებული ქალი, რომელსაც ოცდაათი წლით უფროსი შეხედულება ჰქონდა, თავის ასაკთან შედარებით. ეს იყო ყველაზე მცირედი რამ, რისი გაკეთებაც ქრისტესთვის შეეძლო, არწმუნებდა საქმროს. ძალადობა, რომელსაც ქალბატონები განიცდიდნენ კომუნისტებისაგან, ყოველთვის აღემატებოდა მამაკაცებისათვის მიყენებულ ტანჯვას. რიჩარდი ფიქრობდა,

ტანმორჩილ საბინაზე და იმედოვნებდა და ლოცულობდა, რომ არასოდეს დააპატიმრებდნენ და აწამებდნენ.

ზამთარში, რიჩარდს იძულებით დაადეს ლურსმნებიანი ხელბორკილები, რომელიც მაჯებს უჩხვლეტდა. მწვავე სიცივის გამო, ხელები ბუნებრივად უკანკალებდა, კანს უსერავდა და შეუძლებელს ხდიდა სიმშვიდე შეენარჩუნებინა. დაინახა ქრისტიანები, ჭერზე თოკით ჩამოკიდებულები და უმოწყალოდ ნაცემები. მათი დაფლეთილი სხეულები აქეთ-იქით რომ ირწეოდნენ ოთახში, ტკივილისაგან დაკრუნჩხულები. დაცვა იმდენ სიგარეტს აწვავდა პატიმრებს სხეულზე, რომ კანი ულპებოდათ.

ზაფხულში, დაცვამ რიჩარდი სანახევროდ გააშიშვლა და საყინულეში ჯდომა აიძულა. ხელისა და ფეხის თითები დაუბუჟდა, შემდეგ კიდურები, ვიდრე ბოლოს მისმა სხეულმა სითბო არ დაკარგა მგრძნობელობის შესანარჩუნებლად. როცა ექიმებმა იფიქრეს, რომ მალე მოკვდებოდა, დაცვამ საყინულიდან ამოიყვანა, ტილოში გაახვია და სხეულის ხელახლა გათბობას დაელოდა. რამდენიმე წუთი დასჭირდა, რომ კანკალისაგან თავი შეეკავებინა. როცა სტაბილურ მდგომარეობას დაუბრუნდა, კვლავ ყინულის ყუთში ჩააგდეს. ასე იქამდე გრძელდებოდა, ვიდრე გამომძიებელმა არ დაუყვირა რიჩარდს, რომ საიდუმლო გაემხილა.

- ჩვენ ეშმაკები ვართ! ყვიროდნენ მწამებლები აღტაცებით.

გამომძიებელმა საიდუმლო გაუმხილა რიჩარდს: „ერბოკვერცხს ვერ გააკეთებ კვერცხის ნაჭუჭის დამსხვრევის გარეშე.“

იცოდა რიჩარდმა რომ იმსხვრეოდა. მისი კალეა რაჰოვეის ციხეში ყოფნის დროს, დაცვამ ოთხი ნეკნი და სხვა მრავალი ძვალი ჩაუმტვრია. მისი კანი მოჩუქურთმებული, დასერილი და ნაიარევი იყო დანით დასერვისაგან. თვრამეტი ღრმული ჰქონდა სხეულზე დამწვრობისგან. საზრდოს მოკლებულმა სხეულმა და ძილის უკმარისობამ მისი იმუნიტეტი შეიწირა. პნევმონია იქცა გამუდმებულ საფრთხედ. ყოველდღე, მწუხრისას, რიჩარდი ნახევრად მკვდარი იწვა საკანში, მცირეოდენ ენერგიას იკრებდა განთიადის მოსალოდნელი ტანჯვის ასატანად.

მიუხედავად მისი გატეხვისა, ისეთი განკურნების ძალა აღმოაჩინა, როგორიც აქამდე არასოდეს განუცდია. დაცვის მიერ მიყენებული ყოველი ტკივილისას გრძნობდა, რომ სიბრაზე და სიძულვილი ტოვებდა მის სხეულს. როგორღაც, ტანჯვა ბადებდა თანაგრძნობას. სხვა მრავალი პატიმრისაგან განსხვავებით, რომლებიც გინებით იხსენიებდნენ გამომძიებელ-დამკითხველებს, რიჩარდმა მათი შეყვარება დაიწყო. ის დარწმუნებული იყო, რომ ღმერთი მას განსჯიდა არა იმით, თუ რამდენი ტანჯვა აიტანა, არამედ იმით, თუ რამდენად უყვარდა მისივე მწამებლები. კომუნისტებისთვის არ უნდა დაედო ბრალი დანაშაულში, სჯეროდა რიჩარდს. ეშმაკი იდგა ამ ყველაფრის უკან. კომუნიზმი იყო სატანის იარაღი ეკლესიის წინააღმდეგ. რიჩარდი პავლეს სიტყვებს იმეორებდა: „ჩვენი ბრძოლა არ არის ხორცისა და სისხლის წინააღმდეგ, არამედ მთავრობათა, ხელმწიფებათა წინააღმდეგ, სოფლის სიბნელის მპყრობელთა წინააღმდეგ, ცისქვეშეთის ბოროტების სულთა წინააღმდეგ“ (ეფეს. 6:12).

კომუნიზმი არ იყო ძირითადად პოლიტიკური მოძრაობა. ის იყო სულიერი მოძრაობა - ბოროტის აღზევება ევროპაში, მიზნად რომ ისახავდა ქვეყნიერებაზე ღვთის საქმის განადგურებას. გამომძიებლები მხოლოდ მსახიობები იყვნენ დიდ დრამაში. რიჩარდი ნანობდა ამ დრამაში ერთ-ერთ მსახიობად ყოფნას, მაგრამ რადგან ქრისტემ აპატია ცოდვები - ისეთი საშინელი, როგორიც მისი ცოდვები იყო - ახლა უკვე ფლობდა ნებისმიერი ადამიანისათვის პატიების თავისუფლებას, მისი მტრების პატიებისასაც კი. თუ კომუნისტებს ადგილი აღარ ჰქონდათ იესოსთვის გულებში, რიჩარდიც ვერ დატოვებდა ადგილს სატანისთვის მის გულში.

ახლომდებარე პიტესის ციხიდან მოსულმა წამების ამბებმა, კიდევ ერთხელ გამოსცადეს რიჩარდის პრობლემის გადაჭრის უნარი. იმ ციხეში ქრისტიანი პატიმრები ჯვრებზე გააკრეს, იატაკზე დააწყვეს და ასობით პატიმარს მათ სახეებზე ფეხის წმენდა აიძულეს. შემდეგ, ზეიმით, დაცვამ ჯვრები ყველას

დასანახად აღმართა, მასხრად ასაგდებად - „შეხედეთ თქვენს ქრისტეს! რა მშვენიერია! რა სურნელება ჩამოაქვს ზეციდან!“.

ერთი მღვდელი წამებისგან გაგიჟდა. ყოველ კვირა დაცვა აიძულებდა ადამიანის განავალი და შარდი შეეწირა და უფლის სერობის მსგავსად, როგორც პური და ღვინო, ისე შეეთავაზებინა პატიმრებისთვის. მას შემდეგ, რაც ვიღაც დაარწყევდა ამ მკრეხელურ ნივთიერებას, ქრისტიანებს იატაკიდან უნდა აეღოთ და ეჭამათ ის. ამ სიბნელეში გმირები გამოჩნდნენ. მილან ჰაიმოვიჩი, ხუცესი, რომელმაც ვაჟკაცურად გაუძლო სხვა პატიმრების ნაცვლად ცემას, ერთ-ერთი ასეთი გმირი გახლდათ. ვინაიდან დაცვა არ იცნობდა გადაჭედილი ციხის ყველა პატიმარს სახელით, ჰაიმოვიჩი მოხალისედ მიდიოდა ნებისმიერი სახელის დაძახებისას და თითო ჯერზე ოცდახუთ დარტყმას იღებდა. ამის გაკეთებით, ხუცესმა თანასაკნელებს შორის პატივისცემა მოიპოვა და ქრისტესმიერი თავგანწირვის მაგალითი გახდა, სხვების გადარჩენისთვის საკუთარი ტანჯვის საფასურად.

*****

კომუნისტებმა ისწავლეს, რომ სხეულის ტანჯვა აღიარებას იწვევდა. მათ ტვინის რეცხვის სარგებელიც აღმოაჩინეს. რუმინეთი იყო პირველი სრულყოფილი კომუნისტური ქვეყანა ევროპაში, ტვინის რეცხვის ხელოვნებაში, ხელახალი განათლების პროექტში. თანასაკნელები, რომლებიც რწმენას უარყოფდნენ და მეგობრებს დაასმენდნენ, დამატებითი ულუფით დაჯილდოვდებოდნენ. ზოგიერთ მათგანს უფროს გამომძიებლადაც კი აწინაურებდნენ. უპირობო მიზანს წარმოადგენდა, პატიმრების დარწმუნება თანასაკნელების წამების აუცილებლობაში.

ხელახალი განათლების პროექტი 1949 წლის დეკემბერში გამოიცა, რუმინეთის საიდუმლო პოლიციის უფროსის, ალექსანდრუ ნიკოლსკისა და იმ პატიმრის მიერ, რომელიც ფაშისტური დაჯგუფების - რკინის დაცვის ორგანიზებაში

დახმარებისთვის დააკავეს. ტურკანუ დაპატიმრების შემდეგ, წინამძღოლობდა პატიმართა ორგანიზაციას, კომუნისტ მორწმუნეთა პროექტის საშუალებით. თხუთმეტი პატიმარი ამოირჩიეს ექსპერიმენტისთვის. თუ ყოველი მათგანი წარმატებით გაივლიდა ოთხ ფაზას, დააჯილდოვებდნენ და დააწინაურებდნენ.[1]

პირველი ფაზა გახლდათ „ნიღბის მოხსნა“, რომელშიც პატიმრებს უნდა დაემტკიცებინათ თავიანთი ლოიალობა კომუნისტებისადმი, დანაშაულის აღიარებით და ციხის გარეთ მეგობრების დასმენით. მეორე ფაზა გახლდათ „შინაგანი ნიღბის მოხსნა,“ რაც მოითხოვდა იმ თანასაკნელების დასმენას, რომლებიც დაპატიმრების შემდეგ დაეხმარნენ. „სახალხო მორალის ნიღბის მოხსნა“ მოითხოვდა, რომ ყოველ პატიმარს დაეწყევლა ის, რასაც წმინდად აღიარებდა. უნდა დაესმინა მეუღლე ან შეყვარებული, ოჯახის წევრი, ნაცნობი. სამი ფაზის გასრულების შემდეგ, მეოთხე და ბოლო ფაზა ბუნებრივად ამტკიცებდა მის ლოიალობას. პატიმარი თავისი ნებით ეცდებოდა საუკეთესო მეგობრის დაპროგრამებას, საკუთარი ხელით წამების საშუალებით.

ტურკანუს რეპუტაცია ზღვარზე იყო და ყოველი შესაძლებლობის გამოყენებას ცდილობდა ახალწვეულებში მოტივაციის აღძვრისა და მეოთხე ფაზის წარმატების მიღწევის საქმეში. იცოდა რა, რომ ზოგიერთი პატიმარი ქრისტიანი იყო, შეურაცხყო მათი რიტუალები; შარდითა და განავლით სავსე სათლში ნათლავდა. მან წამოიწყო წმინდა კვირაში სერობის ცერემონიალი. პატიმრებს აიძულებდა გუნდის მგალობლებივით ჩაეცვათ და მღვდლებს ფეკალიით გაჟღენთილი მანტია მოესხათ. ლიტურგიის განმავლობაში პორნოგრაფიულ სცენებს დგამდნენ და ქალწულ მარიამს

[1] ეს ინფორმაცია ხელახალი განათლების შესახებ მოყვანილია სტეფანე კარტოისისა და სხვა თანავტორების წიგნიდან, *The Black Book of Communism: Crimes, Terror, Repression*, trans. Jonathan Murphy and Mark Kramer (Cambridge, MA: Harvard University Press, 1999), 420–21.

დიდ მეძავს უწოდებდნენ. სამი წლის განმავლობაში წარმატებით ტარდებოდა ტურკანუს ექპერიმენტები ხელახალი განათლების მეთოდებით.

ყოველდღე ჩვიდმეტი საათი - თვეებისა და წლების განმავლობაში - რიჩარდს აიძულებდნენ ოთახში მარტო ჯდომას და ჩანაწერის მოსმენას, რომელიც კომუნისტურ პროპაგანდას აჟღერებდა ხმამაღლა: „კომუნიზმი კარგია! კომუნიზმი კარგია! ქრისტიანობა სისულელეა! ქრისტიანობა სისულელეა! დანებდი! დანებდი!“ ამ წამების ტექნიკის ეფექტურობა მის გამეორებაში მდგომარეობდა. დასაწყისში, ერთი ან ორი დღის შემდეგ, გონება ადვილად უარყოფს პროპაგანდას, მაგრამ როცა დღეებს კვირები მოყვება და კვირებს თვეები, გონება იღებს მოწოდებას. სიტყვები მეგობარივით ხდება და პატიმარს უფრო სასტიკი წამებისაგან იცავს.

რიჩარდი გრძნობდა სიტყვების გონებაზე ზეგავლენის ძალას. მან წლები გაატარა წმინდა წერილის ადგილების დამახსოვრებასა და გამეორებაში. წლების შემდეგ კომუნისტური სლოგანის გამუდმებული მოსმენით, ტვინის რეცხვაზე უფრო საშინელი იარაღი აღმოაჩინა - *გულის რეცხვა*. თავი ყოველთვის გულს ემორჩილება და თუ იესო ქრისტე გულს გაწმენდდა, გული ეჭვის გარეშე გაჰყვებოდა მას. „რადგან გულის სისავსიდან მეტყველებს ენა“ (ლუკა 6:45).

30

ცალკე საკანში განმარტოებული პატიმრობის ბოლო წელს, რიჩარდის ჯანმრთელობა იმდენად შეირყა, რომ წამებისთვის აღარ გამოდგებოდა. ექიმს, რომელიც საკნის კარის ჭუჭრუტანიდან უთვალთვალებდა, აწუხებდა ის ფაქტი, რომ პაციენტი სისხლს აღებინებდა. მკვდარი რიჩარდი სასარგებლო აღარ იქნებოდა კომუნისტებისთვის. ჩვენ ნაცისტებივით მკვლელები არ ვართ, იკვეხნიდა მისი გამომძიებელი, გვსურს, რომ იცოცხლო და იტანჯო.

იმ ღამით რიჩარდი შენობის გარეთ გაიყვანეს, ღია სივრცეში. დავიწყებული ჰქონდა როგორ გამოიყურებოდა მთვარე და ვარსკვლავები. სუფთა ჰაერი უკვე უცხო იყო მისი ფილტვებისთვის, ვიდრე სასწრაფო დახმარების მანქანაში ჩასვამდნენ, ღრმად ისუნთქავდა. მან თავის სახლსაც კი მოჰკრა თვალი მანქანის ქალაქში გადაადგილებისას. სახლში ხომ არ მივყავარ, იქ რომ მოვკვდე? ფიქრობდა ის. როცა მანქანა ციხის საავადმყოფოსთან შეჩერდა, რიჩარდს ხელი დასტაცეს, მთელი სიჩქარით კიბეებზე გააქანეს და საკანში შეიყვანეს. დაცვა ოთახში შევიდა და ეჭვის თვალით დაათვალიერა იქაურობა. რიჩარდს ჰკითხა ისეთი რა ჩაიდინა, პატიმრობას რომ იმსახურებდა. მე ხუცესი და ღვთის შვილი ვარ - თქვა რიჩარდმა. დაცვა რიჩარდისაკენ დაიხარა და ჩასჩურჩულა, „დიდება ღმერთს! მე იესოს ერთ-ერთი ჯარისკაცთაგანი ვარ!“ რიჩარდს უფლის არმიასთან შეერთების საკუთარი ისტორია უამბო, მართლმადიდებლური ეკლესიის შტოს წარმომადგენელმა, რომელიც ასობით ათას წევრს აერთიანებდა. კაცს ტაჩისი ერქვა. მათი საუბრისთვის რომ ყური არავის მოეკრა, დაცვა ბიბლიის მუხლებით მიმართავდა

რიჩარდს. ვინმეს რომ მათი საუბარი მოესმინა, სასტიკად აწამებდნენ. სხვა პატიმრების მსგავსად ტაჩისიც დააპატიმრეს და თორმეტი წლის განმავლობაში პატიმრობაში ისე აწამეს, თითქოს ვაშლს სთავაზობდნენ.

საწოლს მიჯაჭვული და დასუსტებული რიჩარდი იატაკზე იწვა, კედელში გამოჭრილ პატარა ფანჯარას თვალს არ აშორებდა. აღარც კი ახსოვს როდის ნახა ლურჯი ცა. ეს ფერი მისი მეხსიერებიდან საერთოდ წაიშალა, მწვანეც. მზის სხივით განათებული ბალახი და სიცოცხლე. უცნაურმა ხმამ - ჩიტების ჭიკჭიკმა - შეაშინა. ტაჩისის უამბო მარტინ ლუთერის შესახებ, რომელიც ტყეში სეირნობისას ჩიტებს ეუბნებოდა: დილა მშვიდობისა, თეოლოგებო - იღვიძებთ და მღერით, მაგრამ მე, ბებერ სულელს, თქვენზე ნაკლები მესმის და ყველაფერზე ვწუხვარ, უბრალოდ ზეციერი მამის ზრუნვას მინდა, რომ მივენდო.

ენით აუწერელი დაქანცულობის გამო რიჩარდს ღრმად ჩაეძინა, მაგრამ მალევე ხმამ გამოაღვიძა.

- მე ლეონტე ფილიპესკუ ვარ. თქვენ ვინ ხართ?

რიჩარდი დაიძაბა მეზობელი საკნიდან ხმის მოსასმენად. ის რუმინეთის ერთ-ერთი პირველი სოციალისტი იყო.

ებრძოლე ავადმყოფობას, უთხრა კაცმა. არ დანებდე! ყველას გაგვათავისუფლებენ ორ კვირაში.

- რა იცი? ჰკითხა რიჩარდმა.

ამერიკელები კომუნისტებს კორეისაკენ მიერეკებიან. ორ კვირაში ამერიკელები აქ გაჩნდებიან.

რიჩარდი ყოყმანობდა, წინააღმდეგობასაც რომ არ წააწყდნენ, ორ კვირაზე მეტი რუმინეთამდე ჩამოსვლას დასჭირდება, ასე არ არის?

- არა! თქვა ფილიპესკუმ. მანძილი არაფერს ნიშნავს მათთვის, სწრაფი საჰაერო ლაინერები ჰყავთ.

რამდენიმე წუთით რიჩარდი შეეცადა სიახლე დაეჯერებინა, მაგრამ დაცვის საკანში შემოსვლამ რეალობაში დააბრუნა. სასამართლო ჩანიშნეს. ერთი ქალბატონი და ოთხი მამაკაცი ისხდა რიჩარდის მოპირდაპირედ: ადვოკატი დაგინიშნეს, რათა

დაგიცვას, თქვა სასამართლოს პრეზიდენტმა. მან მოიპოვა მოწმეების გამოძახების უფლება, შეგიძლიათ დაბრძანდეთ.

ბრალმდებელმა მის წინააღმდეგ იერიში წამოიწყო. ამტკიცებდა, რომ რიჩარდი იმპერიალიზმის ჯაშუში იყო, სკანდინავიური ეკლესიის მისიის და მსოფლიოს მრჩეველთა საბჭოს ეკლესიების. ის მხარს უჭერდა ანტიკომუნისტურ იდეებს და ეცადა ეს ყველაფერი რელიგიური მანტიით შეენიღბა. სიცხისაგან ბოდავდა და რიჩარდმა კანში ნემსის ჩხვლეტა იგრძნო. დამცველი ადვოკატი უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდა ბრალდებების წინაშე. სათქმელი ხომ არაფერი გაქვთ? - იკითხა პრეზიდენტმა.

რიჩარდმა ის ერთადერთი თავდასაცავი აზრი გამოთქვა, იმ წამს გონებაში რომ გაუელვა: მე ღმერთი მიყვარს.

ათ წუთიანი სასამართლო დასრულდა და რიჩარდს ოცი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა შრომით-გამოსასწორებელ კოლონიაში.

31

რიჩარდის სასამართლოდან ორი დღის შემდეგ, ტაჩისი მის თავთან დაიხარა და ჩასჩურჩულა: გადაყავხართ, დაე, ღმერთი იყოს შენთან! დაცვა საკანში შემოვიდა, ორმოცდაათ ფუნტამდე ჯაჭვი რიჩარდს მუხლებზე შეაბეს და მთავარი გასასვლელისკენ წაიყვანეს. სატვირთოში ორმოცამდე სხვა პატიმარიც იჯდა და რიჩარდი მათ კამპანიას შეემატა. ერთი გოგონა მისი ეკლესიიდან, მის გვერდით ტიროდა.

- არ გახსოვართ? ჰკითხა გოგონამ.

რიჩარდს ახსოვდა გოგონა და მის სამწუხარო ისტორიას ისმენდა, ქვითინის ფონზე რომ ახერხებდა მოყოლას.

დაპატიმრების შემდეგ საკვებისა და სხვა საჭირო ნივთების მოპარვა დაიწყო.

ძალიან მრცხვენია, თქვა გოგონამ.

- მეც ცოდვილი ვარ, არწმუნებდა გოგონას, ღვთის მადლით დახსნილი. ირწმუნე ქრისტე და ცოდვები მოგეტევება.

გოგონა დაბლა დაიხარა, რათა რიჩარდისათვის ხელზე ეკოცნა და დაჰპირდა, რომ გათავისუფლების შემთხვევაში, საბინას რიჩარდთან შეხვედრის შესახებ შეატყობინებდა.

სატვირთომ პატიმრები ცირგულ-ოკნასაკენ მიმავალ მატარებელში გადასვა. ეს იყო სანატორიუმი ტუბერკულოზიანი პატიმრებისთვის. ორასი მილის გზის გავლას, მთელი დღე-ღამის მგზავრობა დასჭირდა. რიჩარდი წაიყვანეს ქალაქის განაპირას მდებარე დიდ შენობაში, რომელშიც ქრისტიანმა, სახელად დოქტორმა ალდეამ, პაციენტი გასინჯა.

მე თვითონ პატიმარი ვარ, თქვა მან, მაგრამ ექიმად მუშაობის ნება დამრთეს.

მხოლოდ ერთი ექიმი, ფიქრობდა რიჩარდი, ტუბერკულოზით დაავადებულთა სავსე სანატორიუმისთვის?

- ვერ მოგატყუებ, თქვა ექიმმა, არაფრის გაკეთება შეგვიძლია. შეიძლება სიცოცხლის ბოლო ორი კვირაღა დაგრჩათ, ეცადეთ ყველაფერი ჭამოთ, თუმცა არც ეს არის კარგი.

მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში ორი პატიმარი გარდაიცვალა. რიჩარდმა გაიგო როგორ ეხვეწებოდა ერთი პაციენტი ექიმს: გეფიცებით უკეთესად ვარ, ექიმო. ხმაწართმეული ეუბნებოდა ენის ბორძიკით. სიცხე მაქვს, ვიცი. მისმინეთ, გთხოვთ! დღეს მარტო ერთხელ ამოვახველე სისხლი. გთხოვ არ მისცე ნება, რომ მეოთხე ნომერ ოთახში ჩამსვან!

ოთახი ნომერი ოთხი? გაიკვირვა რიჩარდმა ხმამაღლა.

სწორედ იქ გამწესებენ, როცა იციან, რომ იმედი აღარ დაგრჩენია, აუხსნა კაცმა რიჩარდს და წყალწყალა სუპი მიუტანა. რიჩარდი ეცადა წვენი მოეხვრიპა, მაგრამ უკან ამოაღებინა. როცა კოვზით ვეღარ ჭამდა, ექიმმა სამწუხარო ამბავი აუწყა. ვწუხვარ, მაგრამ ისინი ითხოვენ, უთხრა რიჩარდს. მეოთხე ოთახში უნდა გადაგიყვანონ.

*****

დაცვამ რიჩარდი ფართო ოთახში შეიყვანა. ოთახში თორმეტი საწოლი ერთმანეთის მიჯრით იდგა, რამდენიმე მაგიდის გარშემო. ფანჯრებს რკინის გისოსები ჰქონდა, მაგრამ პატარა ბოსტანს გადაჰყურებდა კედლებითა და მავთულხლართებით გარშემორტყმულს. დაავადების გადადების საშიშროება აფერხებდა რიჩარდს, სხვა პაციენტებთან ურთიერთობაში და მეოთხე ოთახის პაციენტები პირდაპირ დაცვას ეკონტაქტებოდნენ. არავინ მოელოდა, რომ ოთახს ცოცხალი დატოვებდა. დამნაშავეები საკვებს კარებთან ტოვებდნენ - უმეტესად: კომბოსტოს, ლობიოსა და წყალწყალა შვრიის სუპს.

ვიდრე სხვა პატიმრებს გარეთ, ბოსტანში, მუშაობის საშუალებას აძლევდნენ, რიჩარდმა მომდევნო ცამეტი თვე სიკვდილის ოთახში გაატარა, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე. ხანდახან, კომაში ვარდებოდა, ვიდრე სისხლდენისაგან ამოისუნთქებდა. წყლულები სწრაფად მოედო ზურგზე. ზოგი პატიმარი რიჩარდს უკვე მკვდრად მიიჩნევდა და მის საწოლთან ჩავლისას პირჯვარს იწერდა. სხვა პატიმრები კი ხუცესს აგონიის შემსუბუქების მიზნით, ღამეში ორმოცჯერ მაინც აბრუნებდნენ საწოლში, კიდურების ადგილის შეცვლა იმედს იძლეოდა კომფორტის შესაქმნელად.

ორ კვირაში, ოთხი კაცი, რომლებიც რიჩარდთან ერთად კარანტინში იყვნენ, მალევე დაიხოცა. ათეულობით ადამიანი ვერ უძლებდა ავადმყოფობას და მათი საწოლები მალე ივსებოდა სხვა პატიმრებით. ტუბერკულოზი საგრძნობლად სწრაფად ვითარდებოდა რიჩარდის სხეულში. მისი მკერდი სივდებოდა და ხროტინის ხმა ამოსდიოდა, რიჩარდს უჭირდა, ფილტვების წყლისგან ავსებით გამოწვეული ტკივილის ატანა. მეფე დავითმა ერთხელ თქვა, „ერთი ნაბიჯია ჩემსა და სიკვდილს შორის“ (1 სამუელი 20:3), რიჩარდმა მრავალჯერ გადადგა ეს ნაბიჯი. როცა თვალებს ხუჭავდა, არ იცოდა სად გაახელდა. აქ, თუ იმ სამყაროში.

თანამედროვე წამლები რომ გვქონოდა, თქვა ექიმმა ალდეამ, რიჩარდის სიმპტომების დათვალიერებისას. ამბობდნენ, რომ ამერიკელებს აღმოუჩენიათ, ტუბერკულოზის ახალი წამალი-სტრეპტომიცინი, მაგრამ კომუნისტები კითხვის ქვეშ აყენებდნენ წამლის ლეგალიზაციის საკითხს, დასავლური პროპაგანდისადმი მტრულად განწყობილი პასუხით.

სასწაულებრივად, რიჩარდის მდგომარეობა გაუმჯობესდა. ექიმის გასაოცრად, მისი პაციენტის გონება ნათელი გახდა, სიცხემ გაუარა და ფილტვებმაც დაიწყო განკურნება. რიჩარდმა ჭამა და რწმენის, უჩვეულო გულანთებულობით, გაზიარება კვლავ დაიწყო. ყოველ კვირას, სიკვდილი ისადგურებდა მეოთხე ოთახში, მომდევნო მსხვერპლის შესაპყრობად, მაგრამ არცერთი პატიმარი ათეისტად არ გარდაცვლილა. რიჩარდი გახდა მათი ხუცესი. რწმენის ყველაზე ძლიერ მოწინააღმდეგესაც კი,

ეხმარებოდა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, ღმერთთან მშვიდობის დამყარებაში. სიკვდილმა ახალი თემი შესძინა რიჩარდს - მკვლელების, ქურდების, ცოდვილების და ფაშისტების - და ყოველმა მათგანმა შეიძინა იმედი, რომლის მიცემაც კომუნიზმს არ შეეძლო.

მცირე ხანს, რიჩარდის საწოლი იდგა ვასილესკუს, კანონიერი ქურდის, საწოლის გვერდით. ის მღვდლების ჯგუფის დამონების ხელმძღვანელად იყო არჩეული, დანუბეს არხის კოლონიაში. მეორე გვერდით, იყო ერთი აბატი, რომელიც ვასილესკუმ აწამა. ახლა, მეოთხე ოთახში, ორივე პატიმარი ერთად კვდებოდა.

ტუბერკულოზი ქაოსურად შეიჭრა ახალგაზრდა ვასილესკუს ფილტვებში და ერთ ღამეს სუნთქვის უკმარისობამ გააღვიძა. ხუცესო, ვკვდები! - ყვიროდა ის, გთხოვთ, ილოცოთ ჩემთვის! მერე მთელი ღამე მშვიდად დაეძინა. დილით გაიღვიძა და ყვირილი დაიწყო: მე მჯერა ღმერთის!

განთიადისას, აბატმა ისკუმ ორი პატიმარი საკანთან მოიხმო - ამწიეთ!

ძალიან ცუდად ხარ და მოძრაობას ვერ შეძლებ, - გააპროტესტეს მათ.

ჩვენ გავაკეთებთ ამას შენთვის - თქვეს სხვა პატიმრებმა.

- ამწიეთ!

ასწიეს.

- ვასილესკუს საწოლთან მიმიყვანეთ, მიუთითა ისკუმ.

აბატი იმ ახალგაზრდა კაცის საწოლთან ჩამოჯდა, რომელმაც აწამა, მაგრამ თბილად შეეხო მის ხელს.

დაწყნარდი, უთხრა დამამშვიდებლად. ახალგაზრდა ხარ, არც კი იცოდი, რას აკეთებდი. ნაჭრით ოფლი მოწმინდა ყმაწვილს შუბლიდან. მთელი გულით გპატიობ; სხვა ქრისტიანებიც ასე მოიქცეოდნენ. სამოთხეში შენთვისაც არის ადგილი. აბატმა ისკუმ ჩაიბარა ვასილესკუს აღსარება და ზიარება მიაღებინა, ვიდრე თავის საწოლში დააბრუნებდნენ.

იმ ღამით ორივე მოკვდა, აბატიც და ვასილესკუც.

32

ჯილავას ციხე მეცხრამეტე საუკუნის ციხე-სიმაგრე იყო. მიწისქვეშა, ღრმა ლაბირინთებიანი საკნებით. გარშემო თხრილით, ნესტიანი ციხე, ექვსას კაცზე გათვლილი, ამჟამად სამი ათას პატიმარს იტევდა. ჯილავა ნაცნობი ადგილი იყო საბინასთვის. ორჯერ იყო სტუმრად ამ ციხეში-ერთხელ გოგონასთან ერთად, რომელიც მეგობარ თანასაკნელს ეძებდა და მეორედ-რიჩარდის საძებნელად. ორივეჯერ პასუხის გარეშე გაბრუნდა უკან. ახლა თვითონ იყო ამ ციხის პატიმარი.

საიდუმლო პოლიციის სათაო ოფისიდან წამოსული სატვირთო, ავტომაგისტრალის რამპაზე უცბად გაჩერდა. საბინამ და სხვა პატიმრებმა წივილ-კივილი ატეხეს. ქალები იცდიდნენ.

ბოლოს ბრძანება გაიცა: მოიხსენით სათვალეები!

საბინამ ფართო მიწისქვეშა შენობა დაათვალიერა. კედლები სინესტეს ირეკლავდნენ და უნიფორმიანი მდედრობითი სქესის დაცვის თანამშრომლები შენობას გარს უვლიდნენ.

კუნთებიანი ქალი, წითელი თმებით, ჯგუფს უყეფდა და ახალმოსულებს კოლეგისკენ აგზავნიდა, მოხელისკენ, ხელში დავთრით რომ იდგა.

საჭიროზე მეტი სამოსი და სხვა ნივთები, ყვიროდა სერჟანტი ასპრა, აქ გროვდება, ამ დაწესებულებაში შემოსვლისას. დაცვამ საბინას საზაფხულო ლაბადა ჩამოართვა და დავთარში ჩაიწერა. საბინას რამდენიმე კვირის წინ, ორი სკოლის მოსწავლე გოგონას საუბარი გაახსენდა, დაკითხვის ცენტრის საკანში: „ღმერთი დაგეხმაროს, თუ ოდესმე ჯილავას მეოთხე საკანში მოხვდები“, ჩაიჩურჩულა ორიდან უფროსმა. საბინას ჯგუფმა, რომელიც მძიმე,

რკინის გისოსებიან, კარს უახლოვდებოდა, შემაძრწუნებელი სიტყვები გაიგონა: „ეს ჯგუფი მეოთხე საკანში!“

საკანში ორი გრძელი, ხის იარუსი იყო კედლის გასწვრივ. ვიწრო დერეფანი გადიოდა ოთახის შუაგულში და მბჟუტავი ნათურა ეკიდა ჩამოშლილ ჭერზე. ერთი გისოსებიანი ფანჯარა შეუღებავთ, ცხელოდა და უსიამოვნო სუნი იდგა უჰაერო საკანში. ათეულობით თვალი მიაშტერდა საბინას იარუსებიდან.

- მე ვიორიკა ვარ, შენი ოთახის უფროსი. ბოლოში მიეცით საწოლი.

საბინა ოთახის ყველაზე ბნელი კუთხისაკენ წავიდა, სადაც ერთი საპირფარეშოსთვის განკუთვნილი სათლი იდო, რომელსაც ორმოცდაათი ქალი იყენებდა. მათგან უმეტესობას კი კუჭის პრობლემა აწუხებდა. საწოლებიდან სხეულები იყო გადმოკიდებული, წამების კვალი ემჩნეოდათ ხელ-ფეხსა და მთელ სხეულზე.

პირველი დილა გათენდა ჯავაში და საბინას გალობის ხმა შემოესმა. მონაზვნები ციხის მცხოვრებთა მნიშვნელოვან წილს წარმოადგენდნენ და დაცვას სძულდა მათი გალობა.

სიმღერის უფლება გაქვთ? - მოგვიანებით ჰკითხა საბინამ ერთ მონაზონს.

- გალობის უფლება გვაქვს, უპასუხა და ვერონიკამ, თუმცა მათაც აქვთ ჩვენი ცემის უფლება.

*****

დილის 11 საათზე, საბინა თანასაკნელებს სუპის რიგში შეუერთდა. ყოველი ქალი იღებდა ერთ კოვზ ცხელ სითხეს და შავი პურის ნაჭერს. როგორც კი სუპის კასრი საკანს დატოვებდა, ქალები მძვინვარებდნენ არათანაბარი ულუფის გამო. საკანში რისხვის ყმუილი იქამდე ისმოდა, ვიდრე დაცვა არ შემოიჭრებოდა ღილაკებით.

სერჟანტი ასპრა დაიღრიალებდა: ზედმეტად კარგად გექცევით! თუ ასე გააგრძელებთ, ხვალ გაშიმშილებთ!

თავი 32

დაღვრილი სუპის პატარა გუბეები იდგა იატაკზე და იარუსებიდან ქვითინი ისმოდა. როგორც კი დაცვა გავიდოდა, ქაოსი გრძელდებოდა.

დღეს და ხვალ მეტი საკვები აღარ იქნება! - ღრიალებდა ასპრა.

საბინას გვერდით მყოფი გოგონა მის ხელს შეეხო: შე საწყალო, შენ არ გიჭამია.

- არაუშავს, მადისაღმძვრელად არ გამოიყურებოდა.

დამპალი სტაფილოა, თქვა გოგონამ, სახელად ელენამ, ცხვირის ჭმუხვნით. „სახელმწიფომ - სოფლის მეურნეობის განყოფილებამ - დაყარა სამასი ტონა, არავინ ყიდულობდა, ღორებისთვისაც კი. ჩვენ კი კვირებია, რაც ვჭამთ.

დიდმა, შთამბეჭდავმა, ქალმა საბინას გამომწვევად შეხედა: შენ ვინ ხარ? აქ რატომ ხარ? იკითხა მომთხოვნი ტონით. მოსვლიდან ერთი სიტყვა არ გითქვამს. მის ირგვლივ მყოფმა ქალებმა ინტერესით შეხედეს და მბრძანებელმა ქალმა ზედა იარუსიდან გადმოხედა.

საბინამ სახელი უთხრა და თქვა, რომ ხუცესის მეუღლეა.

- რელიგია? ბიბლიური მოთხრობები იცით? იკითხა ჭაღარა თმიანმა გლეხმა ქალმა.

- დიახ.

- გთხოვთ, გვითხარით რამე! გაისმა სხვა ხმები. აქ ისეთი მოწყენილობაა.

კუნთებიანი ქალი უფრო მტრულად განეწყო. ამ ადგილს სამრევლოს მღვდლის სახლად გადააქცევენ! - ამოხეთქა შურისაგან ხისტად.

- ყურადღებას ნუ მიაქცევ, ელსა გავრილოიუს, თქვა ელენამ, ის მოხუცი პარტიის წევრია. ბნელ საკანშიც კი ხედავდა საბინა ელენას გაბრწყინებულ თვალებს. ის ძალიან მადლიერია იმ შესაძლებლობისათვის, რომელიც საკნში ყოფნისას მიეცა, რადგან საკუთარი იდეოლოგიური შეცდომების შესახებ გაიგო, ჯილავას ხელახალი განათლების ინსტიტუტში!

მშიერი ქალბატონების გასახალისებლად, საბინამ იოსებისა და მისი ძმების ისტორია უამბო და ამით შეახსენა,

რომ ცხოვრების ბორბალი შეიძლება შემოტრიალდეს მაშინაც კი, როცა ყველაფერი უიმედოდ გეჩვენება. რამდენიმე ქალბატონი უსმენდა, დანარჩენები კი ხმამაღლა, ფრინველთა ვოლიერებივით, ჩხაოდნენ. საბინამ გამაფრთხილებელი გამოხედვა ამოიკითხა წითელთმიანი ვიორიკას სახეზე.

უფრთხილდი, ჩაიჩურჩულა მან. თუ ასპრა გაიგებს, რომ ღმერთის შესახებ საუბრობ, პრობლემები გექნება.

*****

მეორე დილით, ვიორიკა ორ იარუსს შორის გასასვლელში იდგა: ბოლოს და ბოლოს, მივხვდი ვინც ხარ! და თითი საბინასაკენ გაიშვირა. ეს უკანასკნელი გაიყინა და ისე მიაშტერდა მოსაუბრეს. ვიცოდი, რომ შენი სახელი საიდანღაც მეცნობოდა. ჩემს თავს ვკითხე, სად მსმენია ეს სახელი?“

სხვა ქალები გაკვირვებით შეაცქერდნენ საწოლზე ჩამომჯდარ საბინას სასამართლოს მოლოდინში.

- დიახ! თქვა ვიორიკამ მოზეიმე სახით. „ის მქადაგებლის, ხუცეს ვურმბრანდის, ცოლია!“

ოთახის მეთაურმა სიამაყით აუხსნა დანარჩენებს, რომ ბიძამისი იყო მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღოლი, ბუქარესტში და მან მოისმინა რიჩარდის სიტყვა, კულტების კონგრესზე გამოსვლისას. „მხოლოდ ის ერთი ადამიანი, ოთხი ათას კაცში, ადგა და ღვთის შვილისათვის შესაფერისად ილაპარაკა,“ თქვა ვიორიკამ. „იცით თუ არა, რომ მისი გამოსვლის შემდეგ, კულტების მინისტრი გაათავისუფლეს?“ მოსაუბრე საბინას მიუბრუნდა - ნამყოფი ვარ თქვენს ეკლესიაში. მომეწონა მსახურება. საბინა დღის გმირი გახდა. ვიორიკამ მას უკეთესი საწოლი შესთავაზა, საპირფარეშოსათვის განკუთვნილი სათლიდან, ათი ფუტის მოშორებით (1 ფუტი უდრის 30.48 სმ).

„კოვზი სჭირდება!” თქვა მასხრად აგდების ტონით ქალბატონმა გავრილოიუმ. „დახვრიპე!“

თავი 32

საბინა შეეცადა, რომ თხელი, აყროლებული შვრიის ფაფა დაეხვრიპა ბრტყელი თუნუქის კონსერვის ქილიდან, მაგრამ ნიკაპზე ეწუწებოდა. ასე ხვრეპა ცხოველურ საქციელს უფრო ჰგავდა, ასე რომ დილით საუზმობაზე უარი თქვა, თუმცა მოგვიანებით, გედეონი გაახსენდა, ბიბლიური გენერალი, რომელსაც ღმერთმა უთხრა, რომ ჯარი მხოლოდ იმ ადამიანებისგან შეეკრიბა, რომლებიც წყალს ისე დახვრეპდნენ „როგორც ძაღლი ხვრეპს“. (მსაჯულები 7:5). იესომ ხომ ყველაზე მეტად დაიმდაბლა თავი. თუ მათ მიიღეს და აიტანეს ეს დამცირება, საბინაც ასე უნდა მოქცეულიყო. როგორც კი, მომდევნო კვების დრო დადგა, საბინამ თავისი წილი სადილი დახვრიპა. ხვრეპითაც კი, ქალებს გადარჩენისათვის საკმარისი კალორიის მიღება უჭირდათ. შიმშილობა ოფიციალური პოლისი გახლდათ კომუნისტებისთვის. ეს ძალას აცლიდა მათ და ნაკლებად ქმნიდნენ პრობლემებს, რის შედეგადაც კომუნისტებს, ერთგული მოხალისეები მუდამ ჰყავდათ, შრომით-გამოსასწორებელ კოლონიაში და მეტი საკვების დაპირების საშუალებად იქცეოდა.

*****

საბინა და სხვა ქრისტიანები, ხშირად იკრიბებოდნენ მონაზვნების საწოლებთან, ჩუმად გალობდნენ და საკანში მყოფ სხვა ქალებზე ზრუნავდნენ. ქალების უმეტესობა მართლმადიდებელი იყო, წერა-კითხვის უცოდინარი ქალბატონები, რომლებიც სოფლიდან იყვნენ. წუხდნენ, ისე არ მომკვდარიყვნენ, რომ მღვდლის ლიტანია არ მოესმინათ გარდაცვალებამდე. მონაზვნები უკითხავდნენ მომაკვდავ ქალბატონებს დაკრძალვის წინ წარმოსათქმელ სიტყვებს და სთავაზობდნენ იმ მცირეოდენ იმედს, რომელიც თვითონ გააჩნდათ.

„ჩაები შენი გამოცდილებით ქალთა ჯგუფის საქმიანობაში,“ უთხრა ქალბატონმა სტუპინეიუმ, ელენას ყველაზე ახლო მოკავშირემ, საბინას. დაგვიხსენი ამ წვრილმანი დავებისაგან.

ქალბატონი სტუპინეიუ მაღალი ქალი იყო, კულტურული, რომელიც მდიდრულად ცხოვრობდა იქამდე, ვიდრე კომუნისტები ყველაფერს ჩამოართმევდნენ. გაღარიბებული იძულებული გახდა, სანთლები გაეყიდა და ეკლესიის შენობა დაელაგებინა. ქალბატონი სტუპინეიუ დაასმინა ფრანგმა სემინარიელმა, რომელსაც ხელგაშლილი შეეგება ეკლესიაში. ქრისტიანი, დევნილი ქალის ისტორიებით დახუნძლული, საიდუმლო პოლიციის ინფორმატორმა დაასმინა. ორმოცდაექვსი წლის ასაკში, ჯილავაში ერთი წლის გატარების შემდეგ, უკვე თმა გათეთრებოდა.

*****

ჯილავა იყო უსამართლობისა და ტერორის ადგილი. სერჟანტ ასტრას დამხმარე, კაპრალი გეორგესკუ, მოსაწყენი, სულელი გოგონა იყო ბრტყელი სახითა და ხმით, რომელიც ქალების ვარჯიშს ხელმძღვანელობდა. „როცა გეტყვით, გარეთ მაშინ გახვალთ, საკანში არავინ დარჩება. ყველა ერთად გავა გარეთ!“ ორმოცდაათ ქალს როგორ შეეძლო ერთდროულად, ერთ კარში გასვლა, მაგრამ გეორგესკუს ლოგიკა არაფრად ანაღვლებდა. „როცა გიბრძანებ, უნდა დამემორჩილო“, მოხუცები და სუსტები ისჯებოდნენ ყოველთვის მის მიერ.

არ იცით რას ნიშნავს გულმოწყალება? - ყვიროდა საბინა. ბიბლიაში წერია, რომ უმოწყალოები ვერ მიიღებენ ღვთის წყალობას ქვეყნიერების დასასრულს! (იაკობი 2:13).

- არა, არ ვიცი, პასუხობდა გეორგესკუ მონოტონურად; არც მინდა, რომ ვიცოდე.

საბინა კარგად იცნობდა ადამიანებს, რომლებსაც უყვარდათ ან სძულდათ, მაგრამ ეს უნიფორმიანი, ხის ქალები, მარიონეტებად იყვნენ გადაქცეულნი. თუ უბრძანებდნენ ცემას, ისინიც ურტყამდნენ. მათ გავლილი ჰქონდათ, დაცვის პოლიციის სკოლის კურსები, სადაც ბრმად მორჩილებას უნერგავდნენ. მათი უმრავლესობა გლეხი იყო, უნიფორმაზე

უკეთესი და რევოლვერზე ძვირი, თავის ცხოვრებაში არაფერი გააჩნდათ. ისინი მმართველობდნენ რუმინეთში და რუმინეთი იყო მათი სამყარო.

წამების მოგონებები აიშალა ჯილავას მეოთხე საკნის, პატიმრის გონებაში. მარტო ყოფნის შიში, ხშირად იწვევდა საკნის ყველა მცხოვრებისთვის, გადატანილი უბედურების გახსენებას. საათების განმავლობაში ქალები იატაკზე იგრიხებოდნენ და ყვიროდნენ. საბინა სიგიჟეს ლოცვით ებრძოდა.

უფალო, თქვა მან, თუ რაიმე ძალა მოგიცია ჩემთვის, მაშინ სიბრძნეც მომეცი, რომ შეთან მოვიყვანო ისინი.

მეორე დილით შესაძლებლობამაც არ დააყოვნა.

*****

საბინა პირისპირ შეხვდა ელსა გავრილეიუს, ძველი პარტიის წევრს.

კიდევ გააგრძელებ შენს ქადაგებას? მანამდე ავტეხ კარებზე ბრაგა-ბრუგს, სანამ დაცვა საკანში არ შემოვა, დაემუქრა ის.

- ელზა, კიდევ გჯერა პარტიის? ჰკითხა საბინამ.

- უდაოდ, უპასუხა დამცინავი ღიმილით. რწმენა არ შემიცვლია. ჩემი დაკავება შეცდომა იყო.

- არც ჩემი რწმენის შეცვლაზე უმოქმედია დაკავებას, უპასუხა საბინამ. სინამდვილეში, უფრო განმტკიცდა. მინდა ადამიანებს გავუზიარო იმ მეგობრის შესახებ, რომელიც მათ იესოს სახით ჰყავთ.

შენს გამო მთელ საკანს დასჯიან, გააფრთხილა ელზამ. არ ვფიქრობ, რომ შენი და შენი ღმერთისათვის ვეწამო, თუმცა დიდადაც არ დაგხმარებია ეგ შენი ღმერთი.

- ეს ღმერთი, შენ რომ არ მოგწონს, უთხრა საბინამ, მიამბე მის შესახებ.

ელზამ დაახასიათა როგორც ფანატიკოსი, რომელმაც მიატოვა მეცნიერული საქმიანობა და პროლეტარიატს ფული მოჰპარა, ხოლო მოპარულ თანხას ეკლესიებს ახმარდა.

- შენ მიერ დახასიათებული ღმერთი, რა თქმა უნდა, სიყვარულს არ იმსახურებს, თქვა საბინამ. ღმერთი, რომელიც მე მიყვარს სრულიად განსხვავებულია. ის იზიარებდა მუშების ღარიბული ცხოვრების წესს. თვითონაც ჩაგრულთა კლასის ოჯახში გაიზარდა. ის მშიერს აპურებდა და ავადმყოფს კურნავდა. ის ჩვენთვის მოკვდა...

სიყვარული! ელზას ხმა აუკანკალდა. რა სიკეთის მომტანია? ყველას ვძულვარ. რომ იცოდე როგორ მძულს ყველა ის ამხანაგი, ვინც აქ ჩამსვა - იმედი მაქვს, რომ ჯოჯოხეთში დაიწვებიან! მთელი ცხოვრება პარტიას შევწირე და ასე გადამიხადეს. თავი დახარა და თვალებიდან ცრემლები წამოუვიდა. - ვილოცო? აპატიე, მამაო? ისროლა სიტყვები.

- არ მივიღებ პატიებას, ტყუილია.

ელზამ ქვითინი დაიწყო: ყველაფერი სულ ერთია. ამერიკელებიც რომ მოვიდნენ, მაინც ჩამომკიდებენ. კომუნისტები თუ დარჩებიან სათავეში, ციხეში გამომკეტავენ. პატიება! ცრემლები მოედინებოდა მის ლოყებზე.

ცოტა ხნის შემდეგ წამოჯდა და ნაცრისფერი სახე კაბის კალთით შეიმშრალა. საბინა ვურმბრანდ, თქვა მან, თვალებგაფართოებულმა, მოხერხებული ვინმე ხარ. გითხარი, რომ ქადაგება შეგეწყვიტა და ხუთ წუთში მე მიქადაგე.

*****

გადაიტვირთა ჯილავას ციხე პატიმრებით. მეოთხე საკანი გათვალისწინებული იყო ოცდაათი ადამიანისათვის, მაგრამ შობისთვის უკვე ოთხმოცი პატიმარი იყო ოთახში. საბინა აგრძელებდა სახარების თანასაკნელებისათვის გაზიარებას და ასწავლიდა ფრანგულ და გერმანულ ენას, DDT მწერების მოსასპობ ფხვნილზე ნაფოტით წერდა. მისი მეგობრები ძალიან იტანჯებოდნენ, მრავალი მათგანი მოკვდა. ამერიკული გათავისუფლების შესახებ ხმები გავრცელდა საკანში, მაგრამ იმედი არავის ჰქონდა გაცნობიერებული.

შესაძლოა, მეოთხე საკანში, ტანჯვით გარემოცულნი, მომავალი წმინდანები იბადებოდნენ.

კაპრალი გეორგესკუ ერთ დილას ფურცლით გამოცხადდა. ვინც ამ სიაში ხართ, დაუყოვნებლივ უნდა გაემზადოთ წასასვლელად! სია ამოიკითხა, მაგრამ გამგზავრების არანაირი მიზეზი არ დაუსახელებია. ზოგიერთებს სჯეროდათ, რომ სახლში მიდიოდნენ, ჯილავაზე უარესი რაღა უნდა ყოფილიყო. საბინა ყოველდღე ელოდებოდა თავისი სახელის გამოცხადებას. 1951 წლის 6 იანვარს, მიხეილს თორმეტი წელი უსრულდებოდა; წასვლის შესაძლებლობაც გაჩნდა. დილის 8:00 საათზე, გაუსაძლის სიცივეში, გარეთ ელოდებოდა სატვირთოს, რომელიც პატიმრებს მალე გენცეას ციხეში გადაიყვანდა. მიწისქვეშა საკანში მრავალთვიანი ცხოვრების შემდეგ, საბინა დილის ცას ხარბად შესცქეროდა.

გვათავისუფლებენ? ყვიროდა მაღალი, გამხდარი და შავთვალება გოგონა, მოეკრა რა ყური ახალმოსულების იმედიანი მითქმა-მოთქმისთვის. როგორი იდეაა! საბინას მიაპყრო მზერა. არხზე გამგზავრების დროა. ბუქარესტთან ახლოს, მატარებლის გზაგასაყარზე, ქალები დანუბეს არხისაკენ მიმავალ მატარებელზე გადასვეს. ბოლოს და ბოლოს ისინი ღია სივრცეში მუშაობას შეძლებდნენ და საკვებიც საკმარისად ექნებოდათ. რამდენიმე საათის შემდეგ, მატარებელი გაჩერდა და საბინა წაბარბაცდა, დაღლილი და ტკივილით სავსე. გზის მაჩვენებელზე წაიკითხა *ცერნავოდა*, დანუბესთან ახლომდებარე პატარა ქალაქი. ბანაკი კილომეტრებით იყო დაშორებული ამ ადგილიდან და ქალები ზამთრის ცივ ღამეში, ფეხით გაუყენეს დანუბესაკენ მიმავალ გზას. საბინას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა რა საშინელება მოელოდა დანუბეს არხზე.

33

საბინამ ფართოდ გაახილა თვალები, გული გამალებით უძგერდა ციხის ქოხმახის იატაკიდან წამოდგომისას, სადაც ღამე ეძინა.

მხეცი! კიოდა ქალი საბინას გვერდით. ჩემს საწოლზე ამოხტა!

საბინას სიბნელეში მოესმა ფხაჭუნი, წრიპინი და ცხოველის არასასიამოვნო სუნი იგრძნო. ვირთხები!

ცერნავოდაში გატარებული პირველი ღამე შეტევას ჰგავდა. ციხის ბანაკში შესვლისას, გაიგო, რომ ციხის ხელმძღვანელობა, პატიმრების ოჯახის წევრებს მონახულების ნებას რთავდა არხზე. მიხეილის ნახვაზე ფიქრი უტრიალებდა გონებაში, დილის ორ საათამდე და რამდენიმეწუთიან ძილს ვირთხების ცოცვის ხმა უფრთხობდა. საბინას იმედი ჰქონდა, რომ დაისვენებდა და ჭუჭყიანი ტანსაცმლის გარეცხვის საშუალება მიეცემოდა, მაგრამ დოცილე რინა მაინც არ მოასვენებდა. დიდი, კრიმინალური, ისტორიის მქონე პატიმარი, რომელიც ციხის ქალების ხელმძღვანელად აირჩიეს ბანაკში.

ყველა ახალმოსული აბანოსთან შეიკრიბეთ! - გასცა ბრძანება. საბინაც სხვა ქალებთან ერთად რიგში ჩადგა და გაყინულ ტალახიან ადგილს გვერდს უვლიდა; შეიარაღებული დაცვა პატიმრების რიგს ორივე მხრიდან გარს უვლიდა. აბანოს შენობაში ტანსაცმელი გაიხადა.

ცერნავოდას პოლიტიკური პატიმრები განათლებული და ახალგაზრდა სოციალისტი ქალები იყვნენ, მაგრამ ციხეში კრიმინალებიც იყვნენ ამავდროულად, რამდენიმე მეძავის ჩათვლით. ამჟამად, დაცვის მეთვალყურეობის ქვეშ, მეძავები

ყვიროდნენ და ჭყიოდნენ, შიშველი ქალების მასის მიერ ბინძური მანერების ჩვენებისას. დაცვა იცინოდა და ფეხს აბაკუნებდა. რინა კაკანით სთხოვდა დაცვას იმავეს გაგრძელებას.

დაქანცული, მშიერი და შერცხვენილი საბინა გრძნობდა, რომ ქვეყნიერება მის გარშემო ტრიალებდა. სახით ცემენტის სველ იატაკზე დაენარცხა და ყველაფერი გაშავდა. ქალებმა ხელით წაიყვანეს ციხის ქოხში და საწოლზე დააწვინეს. ვიღაცამ ქურთუკი და ტომრის მსგავსი, ჭუჭყიანი, ქვედაკაბა დააფარა, ნაცრისფერი და თეთრი ზოლებით. საბინას უჭირდა ახალი სამოსის მორგება, თავი უბჟუოდა აბანოს მაგარ იატაკზე დაცემისგან.

შავი თმითა და ებრაული სილამაზით, საბინას ახალმა შესახედაობამ, ცნობისმოყვარეობა გამოიწვია თანაპატიმრებში. ელიტარულმა პოლიტიკურმა პატიმრებმა იცოდნენ, რომ საბინა ერთ-ერთი მათგანი არ იყო და ვარაუდობდნენ, რომ ის ბოშა იქნებოდა. იმ დროიდან მოყოლებული, ცერნავოდაში საბინამ ბოშას ზედმეტსახელი მიიღო.

*****

მეორე დღეს, დილით ადრე, პატიმრები დანუბეს არხისაკენ ფეხით წასასვლელად მოემზადნენ. სუსხიანი, ცივი ქარი უბერავდა შავი ზღვიდან და პატიმრების თხელ სამოსში ატანდა. ზამთრის თბილ ლაბადებში გახვეული დაცვის თანამშრომლები, ცემით პასუხობდნენ არეულობის შემომტან ყველა პატიმარს. ქალების რიგს მამაკაცებიც შემოუერთდნენ. ორი ათასამდე კრიმინალი და კონტრრევოლუციონერი! დაცვის უფროსი ყვირილით მიერეკებოდა ჯგუფს რკინის კოშკისაკენ. ფეხით მიმავალ პატიმართა მიხვეულ-მოხვეული სვეტი შორიდან უზარმაზარი მხეცი მოგეჩვენებოდათ. საბინამ იმ წინაპრებზე დაიწყო ფიქრი, ეგვიპტეში რომ ფარაონის მონობაში შრომობდნენ.

დანუბე, ევროპის მეორე დიდი მდინარე, კომუნისტური რკინისებრი გავლენის მქონე ქვეყნებში მიედინებოდა. პოლიტიკურ და კრიმინალ პატიმრებს აიძულებდნენ, რომ

შრომით-გამოსასწორებელ კოლონიებში, დანუბესა და შავ ზღვას შორის დამაკავშირებელი არხი გაეყვანათ. პატიმრები, რომლებიც ვერ შეასრულებდნენ დღიურ სამუშაო ნორმას, შიმშილი და სასჯელი ელოდათ. მრავალთა დასჯის პრობლემა გადაჭრეს კიდეც. მათ ძაღლებს, გველებს, თაგვებსა და ბალახს აჭმევდნენ მწირი მენიუს შესავსებად. საბინას მომცრო სხეული შეუფერებელი გახლდათ გაყინული ტალახის თხრისა და წყლიდან მძიმე ქვების სათრევად. წვეტიანი ქვები პატარა თითებში ესობოდა, თითები უსივდებოდა და ტკივილისაგან უფეთქავდა. ღამე ასპირინსა და ტკივილგამაყუჩებელზე ოცნებაში ატარებდა. პროექტს სამართლიანად შეარქვეს სიკვდილის არხი.

ცერნავოდას პატიმრები დამბასაც აშენებდნენ არხის გასწვრივ. ქალები მიწით ავსებდნენ ურიკებს; შემდეგ მათ მამაკაცები მიათრევდნენ ორას იარდზე, ვიდრე არხის უსწორმასწორო, ციცაბო, მოაჯირზე აიტანდნენ. პირველი რამდენიმე ურიკის ავსების შემდეგ, საბინა მძიმე ნიჩბის აწევისას ურიკასთან წაბარბაცდა.

ციხის ბრიგადის უფროსი მუშების ყველა ჯგუფს ადევნებდა თვალს, იმ დღის შესასრულებელი სამუშაოს ნორმას ადგენდა და პროგრესსაც ინიშნავდა. გაწეული ძალისხმევის შემდეგ, ჯგუფი თუ ნორმას შეასრულებდა, უფროსი მეორე დღის ნორმას გაზრდიდა. თუ ვერ შეასრულებდნენ, დაისჯებოდნენ.

მოდი! გაიღვიძე! გაისმა რინას ხმა ორი იარდის მოშორებით. გინდა, რომ ღამე კარცერში გაატარო?

კარცერი იყო სიტყვა, რომლის გაგონებისას სისხლი იყინებოდა სხეულში. რიჩარდმა ორი დღე გაატარა ლურსმნებით დაჭედილ კუბოს მსგავს ყუთში, კალეა რაჰოვეის ციხეში. ეს ჩვეულებრივი სასჯელი გახლდათ არხის გასაყვან ბანაკებში და დამქანცველი სამუშაო დღის შემდეგ, პატიმრებისთვის ეს სასჯელი ნამდვილი წამება გახლდათ. მეორე დილით პატიმრები ისევ სამუშაოდ მიდიოდნენ. ამჯერად, უფრო დაღლილები და სავარაუდოდ, კვლავ დააბრუნებდნენ კარცერში, არასაკმარისად შესრულებული სამუშაოს გამო.

სადილზე პატიმრები ერთ ფუნტ (0,453 გრამი) პურს, სუპსა და შვრიის ფაფას იღებდნენ, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა, ჯილავაში მიღებული საკვების რაოდენობას, მაგრამ არასაკმარისი იყო კალორიები, არხზე წელის წყვეტით შესრულებული მძიმე სამუშაოსთვის. სადილის შემდეგ, პატიმრები ოთხი საათი კიდევ მუშაობდნენ. სინათლე მიინავლებოდა თუ არა, ზიგზაგისებური სვეტი ისევ გამოემართებოდა ბანაკისკენ. დასუსტებული პატიმრები მიწაზე ეცემოდნენ, შედარებით ძლიერი მამაკაცები იქამდე ეხმარებოდნენ ქალბატონებს ადგომაში, ვიდრე დაცვა შენიშნავდა. როგორც ჩანდა, ცივი ქარი არასოდეს შეწყვეტდა ქროლვას.

ორი ათასი ბანდიტით დაბრუნებული! დაცვის უფროსი ხალხის ჭიშკართან მიახლოვებისას შეჰყვირებდა. გაუმკლავდით სიცივეს! ყვიროდა ხმამაღლა და მხიარულად, სქელ ლაბადაში გახვეული მეორე დაცვა.

საბინას სხეულში სიცივე ძვლებამდე აღწევდა. დაკოჟრილი ხელები და დასიებული ფეხები ისევე სტკიოდა, როგორც სხეულის ყველა კუნთი და თავი. მეორე დღეს, აუცილებლად მაღალ სიცხეს მისცემდა.

ცერნავოდას ციხის იერარქია სავსე იყო გამანადგურებელი, გულქვა კრიმინალებით. საბინა ფიქრობდა, როგორმე გამოწვევისა და გამხნევების სიტყვა მიეტანა მათ გაქვავებულ გულებამდე, წერილის ისტორიების გამოყენებით. ერთმა დიდებულმა ადამიანმა ცხოვრება ტყუილებით დაიწყო, უთხრა ერთხელ ქალებს, მას მათე ერქვა; მაგრამ როცა უფალს შეხვდა, გული ისე შეეცვალა და იმდენად მოიხიბლა მისი სიკეთით, რომ ყველაფერი მიატოვა და მოციქული მათე გახდა“ (მათე 9:9). სათითაოდ შეხედა ყველა ქალს სახეში და საკუთარი გულისტკივილი ამოიკითხა მათ თვალებში. ქურდი გახდა წმინდანი, მიმტევებელი და დღემდე მთელი ქვეყნიერების გულში სიყვარული მოიპოვა; ეკლესიის წამებული, ვის მიერ დაწერილი სახარებაც მთელ მსოფლიოში იკითხება. ზოგიერთმა ქალმა დაცინვა დაუწყო, ხოლო ზოგს უფრო მეტის მოსმენის სურვილი გაუჩნდა.

კრიმინალურ და პოლიტიკურ დამნაშავეებს შორის, ხშირად ხიდი არ არსებობდა. ამ ორი ჯგუფის ერთმანეთთან დაკავშირებას ცდილობდა ბოშა, ებრაელი ქალი, რომელიც სიყვარულით ესაუბრებოდა ყველაზე საშიშ კრიმინალებს და ცოდვას გმობდა, საზოგადოებისთვის ყველაზე მაღალი კლასის ქალბატონების თვალში. არაერთ ბრაზიან გამოხედვასთან უწევდა გამკლავება.

ყველა, ვისაც საბინა მიმართავდა, არ ისმენდა მის საუბარს. ხშირად წარმოიდგენდა რიჩარდთან დიალოგს. განსაკუთრებით, ქმრისგან მარტოობაში გატარებული წლების განმავლობაში და ქალიც გრძნობდა მეუღლის პასუხს. დიდი ხნის განმავლობაში ერთმანეთს დაშორებული ვურმბრანდები, როგორც ერთი არსება ისე მოქმედებდნენ.

საბინამ არხზე მომუშავე ყველა ადამიანს ჰკითხა, რაიმე თუ გაეგონათ რიჩარდის შესახებ. მართალია, მოსალოდნელი ცუდი ამბავი შიშს გვრიდა, მაგრამ იმდენად სურდა რიჩარდის ამბის გაგება, რომ აღარ ჩიოდა. არავის არაფერი სმენია მის შესახებ. მალე სამი ქალი გადმოიყვანეს ვაკარესტის ციხიდან, ადგილიდან, საიდანაც უამრავი ავადმყოფი პატიმარი გადაჰყავდათ.

ყოველთვის, როცა ღმერთზე საუბრობ, უთხრა ერთმა ქალმა საბინას, ვიკარესტი მახსენდება. მცირე ხანს დავყავი იმ ციხეში, მაგრამ იქაც გვყავდა ერთი მქადაგებელი.

საბინას გულმა გამალებით დაუწყო ცემა ამ ამბის მოსმენისას. საპირფარეშოს რიგში ვიდექით, გააგრძელა ქალმა, როდესაც განმარტოებით მყოფი პატიმრებისათვის განკუთვნილი საკნიდან შემოგვესმა კაცის ხმა, რომელიც ამბობდა: შეიყვარეთ იესო და მიენდეთ ღვთის სიკეთეს. ძალიან გაგვიკვირდა. ყველა კითხულობდა ციხეში იმ კაცის ვინაობას, მაგრამ ვერაფერი გავიგეთ. ახლა, როცა ეს ქალი საბინას შეხვდა, დარწმუნებული იყო, რომ ეს კაცი რიჩარდი უნდა ყოფილიყო. კაცი მძიმე ავადმყოფის შთაბეჭდილებას ტოვებდა და რამდენიმე დღის შემდეგ, ქადაგება შეწყდა. როგორც გაიგო, ის კაცი მომკვდარა.

ციხის ქოხმახში, რკინის საწოლში, მარტოობაში ტიროდა საბინა. ცრემლები სახეს უსველებდა და ტკივილი გულს უსერავდა,

მაგრამ მწუხარებაში იმედი იზრდებოდა. ლოცვას აგრძელებდა. ღმერთს იმ კაცისათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მიცემას სთხოვდა, ვინც მის სახელს ერთგულად ემსახურებოდა, განმარტოებით საკანში ყოფნის დროსაც.

*****

საბინას სახეზე ცრემლები მალე შეაშრა, მიხეილის ცერნავოდას ციხეში, მოსალოდნელი სტუმრობის იმედით გახარებულს. დაცვა პატიმრებს ბარათებს ურიგებდა, ოჯახის წევრების მოსაწვევად. ლოცულობდნენ, რომ ბარათების დაწერით პატიმრებისთვის მახე არ დაეგოთ, რომ ეს არ ყოფილიყო მათი მეგობრებისა და ნათესავების საიდუმლო პოლიციაში დასმენის მიზნით; საბინამ მიხეილს მისწერა.

მისი სტუმრობისთვის, კვირა დღეს, საბინამ გათენებამდე დიდი ხნით ადრე გაიღვიძა. ფანჯრებზე ყინულის ფიგურებს ამჩნევდა და ერთი სული ჰქონდა როდის გათენდებოდა. როგორც იქნა, გათენდა და საბინა გარეთ გავარდა იმ იმედით, რომ სტუმრები ჭიშკართან ახლოს მდებარე, შემოღობილ, ტერიტორიაზე იცდიდნენ. მოჭუტულმა და ამომავალი მზისაგან ხელით დაჩრდილულმა თვალებმა მიხეილი შენიშნეს. იდგა მაღალი და გამხდარი, დახეულ სამოსში გამოწყობილი, მიხეილი. საბინამ მის გვერდით მდგარ მამაკაცში, ეკლესიის ხუცესი ამოიცნო. გაშმაგებით იქნევდა ხელს, მაგრამ ისინი ვერ ხედავდნენ მას, საყვარელი ადამიანების ნახვის უამრავ მსურველთა რიგში. მოულოდნელად, მის ზურგს უკან ჩხუბი ატყდა. რინა იდგა ამ არეულობის შუაგულში და ყვიროდა. იმდენმა ადამიანმა ვერ შეასრულა დღიური სამუშაო ნორმა ბოლო კვირის განმავლობაში, რომ სტუმრობა გადაიდო.

მიხეილმა და ხუცესმა მთელი ღამე იმგზავრეს ბუქარესტიდან და შავი დღისათვის გადანახული თანხა ამაოდ დახარჯეს. მათ ვერ მოახერხეს საბინასთან საუბარი და მისთვის მოტანილი საკვებისა და სამოსის გადაცემა.

სტუმრების პატარა ჯგუფი, დაახლოებით ოცდაათამდე ადამიანი, მთელი დღე იცდიდა ჭიშკართან იმ იმედით, რომ კომენდანტი აზრს შეიცვლიდა. ასე არ მოხდა და სტუმრებიც საღამოს იმედგაცრუებულნი წავიდნენ. პატიმრებს კვლავ შეეძლოთ მოსაწვევის გაგზავნა. რამდენიმე კვირის შემდეგ, მიხეილი ისევ დაადგა ცერნავოდას გზას. ამჯერად, არავინ დაუსჯიათ, მაგრამ სტუმრებს ანბანის მიხედვით უშვებდნენ. იმის შიშიც გაჩნდა, რომ დაცვა მისი გვარის პირველ ასომდე მისვლას ვერ მოასწრებდა დღეს. ნათხოვარ სამოსს ერთმანეთს გადასცემდნენ ქალები და ცდილობდნენ სასიამოვნო გამოხედვა ჰქონოდათ, ახლობლებთან შეხვედრისას. ოჯახის წევრებთან სათქმელ სიტყვებს იმეორებდნენ. შეხვედრა თხუთმეტ წუთზე დიდხანს არ უნდა გაგრძელებულიყო, მიუხედავად იმისა, რომ სტუმარი და პატიმარი ათი იარდით იყვნენ ერთმანეთისაგან დაშორებულნი და დაცვა დაჰყვიროდა თავზე ყოველ მოსაუბრეს.

ბოლოს, სტუმრობის დროის ამოწურვისას, საბინას სახელიც გაისმა. როცა შვილი დაინახა, დაავიწყდა, რომ პატიმარი იყო, დაავიწყდა როგორ გამოიყურებოდა, დაავიწყდა სად იყო და უბრალოდ თვალებით ეფერებოდა. როგორი გამხდარი და დასერიოზულებული იყო! დედა-შვილი ერთმანეთს უმზერდა და ამ ცქერაში თხუთმეტი წუთიც გავიდა. თითქმის არც კი უსაუბრიათ, მაგრამ სტუმრობის დასასრულს, როცა უკვე ოცდაათი ფუტი აშორებდა დედა-შვილს, საბინამ დაიძახა: მიხეილ, ირწმუნე იესო მთელი შენი გულით! ის ხომ სხვა დანარჩენი ათასობით გოგო-ბიჭის მსგავსად მარტო იყო, რითაც კომუნისტები ისარგებლებდნენ. საბინამ არ იცოდა, რომ მისი სიტყვები შედეგს გამოიღებდა, ისე გაღვივდებოდა მიხეილის გულში, როგორც მცირე მარცვლიდან ხე და სითამამეს მისცემდა.

დაცვამ საბინას მხარზე შეხებით ანიშნა და ბანაკის ქოხში დააბრუნა. რამდენიმე საათით ხმის ამოღება ვერ შეძლო საბინამ, ვაჟის შესახებ ძვირფასი მოგონებები დამამშვიდებელ მალამოდ ედებოდა მის ციხით გარშემორტყმულ სულს.

34

საბინას ბავშვობაში სიბნელე სძულდა. ახლა ის ენატრებოდა, დანუბეს არხზე აუტანელი, მძიმე, შრომის შემყურეს, თუმცა ღამის მოახლოვებისას არ ეძინებოდა. წამოჯდებოდა და ქოხში ან ბანაკში მყოფი ქალებისათვის ლოცულობდა, კომუნისტურ სამყაროში ათასობით სხვა პატიმრისა და დასავლეთში მშვიდად მყოფი ქრისტიანებისათვის - მათთვისაც, ვისი იმედიც ჰქონდა, რომ რუმინელი პატიმრებისათვის ლოცულობდნენ.

ყოველ კვირა დღეს, ცერნავოდაში ღვთის წინააღმდეგ ლექციებს ატარებდნენ. ციხის დიდ დარბაზში, დაღლილ მუშებს კრებდნენ, ღვთისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მისაყენებლად. გარეთ, ყველა კომუნისტია ახლა, დაიწყო ოთახის ზედამხედველმა. მხოლოდ თქვენ ჩააცივდით ამ საშინელ რელიგიას და ჩვენ გეგმაში გვაქვს თქვენი ხელახალი განათლება. პარტია არის ახლა ძალაუფლების სათავეში და მათ იციან რა არის უკეთესი. შენ *ციხეში* არ ხარ, - ამ სიტყვის მოსმენის სურვილიც კი არ მაქვს! - ხელახალი განათლების ინსტიტუტში იმყოფები. შენ თვითონ ააშენებ საკუთარ ბედნიერებას, მომავალ თაობასთან თანამშრომლობით. ყოველდღიური სამუშაო ნორმის გადაჭარბებით კი, შეგიძლია საკუთარი თავისუფლების დაჩქარება, როგორც რეაბილიტირებულ მოქალაქეს.

ხელახალი განათლებისათვის ლექციის შემდეგ, პროპაგანდისტული კონცერტი მოეწყო, კაბარეს მომღერლებისა და მსახიობების მიერ კომუნიზმის განსადიდებელი სიმღერებით. ერთი გერმანელი ქალი, ერთ დროს ლამაზი და სრული რომ იყო, ახლა ციხისათვის დამახასიათებელი სიგამხდრით, პათეტიკური

ტაშის ცემით რომ მღეროდა, მისი ხმა მაღალ ნოტებს ვეღარ წვდებოდა. წინა რიგში მსხდომი ოფიცრები სიცილით უყეფდნენ. რა უნდა ყოფილიყო იმაზე სასაცილო, ვიდრე გაძვალტყავებული ქალბატონის ყურება, საკუთარ თავს რომ მასხრად იგდებდა? სიმღერის დროს ლოყაზე ცრემლები ჩამოსდიოდა და ცახცახებდა.

რამდენიმე ადამიანმა შარადების მოსმენა გააპროტესტა. ამის მოსურნენი, როგორც ჩანს, სრულად ვერ იყვნენ მოქცეულნი ჭკუის სწავლების ზეგავლენის ქვეშ.

საბინამ უარი თქვა ლექციის ტაშით დაჯილდოვებაზე. მიდი და თავი მოაჩვენე - შენი რა მიდის? თხოვდნენ თანასაკნელები. ცემის ფასად გიღირს? მაგრამ საბინამ მოისმინა რა, ღვთის გმობა და მისი სილამაზის ჭუჭყში ამოსვრა, თავის მოჩვენება აღარ შეეძლო. დარბაზის უკან მდგომ ხალხში ჩაეფლა, თუმცა არ გაქცეულა.

*****

მე მაქვს ინფორმაცია, რომ შენ ტაში არ დაუკარი დღეს, ხელახალი განათლების ლექციას, ვურმბრანდ, უთხრა კომენდანტმა საბინას სიბრაზითა და უნიფორმის კეპიდან ჭვრეტით. შენ მიერ, აქ გამოვლენილი საქციელი, შენს კონტრრევოლუციონერობაზე მეტყველებს, პასუხისმგებლობას არ იღებ ხელახალ განათლებაზე, ტუჩების გალოკვით განაცხადა. ვეცადეთ, რომ სიკეთე გამოგვეჩინა შენ მიმართ. ამიერიდან, სხვა მეთოდებს გამოვიყენებთ.

იმ საღამოს, ქოხმახის ნაცვლად, კარცერისაკენ გაუყენეს გზას. რკინის კარს რამდენიმე საჰაერო ხვრელი ჰქონდა და დაცვა პატარა თეფშით, კარის ქვემოდან დარჩენილ ღია სივრცეში შეაცურებდა საკვებს. დანუბეს არხზე, დაცვა დიდი სიამოვნებით ტკბებოდა პატიმრების კარცერში გაგზავნით.

რამდენიმე საათის შემდეგ, საბინას ფეხები ეწვოდა. ყოველ ჯერზე, გადაადგილებისას, რკინის წვეტები ესობოდა გვერდებში. რამდენი საათი გამაჩერებენ აქ? ფიქრობდა ის. საბინა იცნობდა

ადამიანებს, რომლებმაც ამ ტანჯვის ყუთებს ვერ გაუძლეს და გაგიჟდნენ. შიშის დასაძლევად, პოზიტიურ აზრებს აძლევდა უპირატესობას, მაგრამ როგორ დააღწევდა თავს ამ უბედურებას? წყლის წვეთები ეცემოდა ყუთს ზემოდან და საბინამ გადაწყვიტა ეს უკაცრიელი ხმა, დროის გაყვანის მიზნით გამოეყენებინა. წვეთებს ითვლიდა - ერთი ღმერთისთვის, ორი მოსეს კანონის ფილებისთვის, სამი სამებისთვის. თხუთმეტ-თექვსმეტამდე რომ მიაღწევდა, მერე ისევ თავიდან იწყებდა თვლას. საბოლოოდ, იმედგაცრუება მოეძალა და ყვირილი დაიწყო: ერთი! ორი! სამი! ოთხი! ერთი! ორი! სამი! ოთხი! მალე სიტყვებმა ერთმანეთთან კავშირი დაკარგა. მისი გონება ქაოსიდან დასვენების რეჟიმში გადაერთო, მისი წამება სიბნელეში გაუჩინარდა, მაგრამ სულმა ღმერთთან საუბარი გააგრძელა. ერთი თუ ორი საათის გასვლის შემდეგ, დასვენებული გონება დაუბრუნდა. საბინა ღმერთმა დაიფარა სიგიჟისაგან.

*****

მალე, საბინას კარცერიდან გათავისუფლების შემდეგ, პოლკოვნიკმა ალბონმა არხზე მომუშავე ბანაკი მოინახულა, ცერნავოდას გარშემო დადიოდა; ნაცრისფერსა და მოჩვენებებივით გამოწყობილ ქალებს აგდებულად უყურებდა. წასვლისას, ერთი ბოშა გოგონა მიესალმა. გოგონა საიდუმლო პოლიციის ლეიტენანტს ხვდებოდა და ახლა ფეხმძიმედ ყოფილა. ალბონსის ცნობამ, ბუქარესტის ოფიციალურ პირებთან მოთხოვნის წარდგენა გამოიწვია და გადაწყვიტეს, რომ ქალები ცერნავოდადან, მამაკაცების ბანაკიდან, დაეშორებინათ. საბინა მალე გაეცნობოდა ახალ ბანაკს.

*****

დილიდან საღამომდე პატიმრები მძიმე ქვებით ტვირთავდნენ გემებს, მდინარეზე გადასაზიდად და ნაპირზე გადმოსატვირთად.

ამის გაკეთება შეუძლებელი იყო წყლის დიდი ტალღების გამოწვევის გარეშე და სამუშაოს დაწყებიდან რამდენიმე წუთში, ყველა სველდებოდა. ყინულივით ცივი ქარი უბერავდა ბარაგან პლაინზე და საბინას ტანზე ეყინებოდა სამოსი. ლოდები თითებს უსერავდა და ფრჩხილები უსისხლიანდებოდა. ფიქრობდა, ნეტავ, ოდესმე თუ შეძლებდა ფეხზე სწორად დგომას.

საღამოობით თავიანთ ქოხებში დაბრუნებული პატიმრები, გაყინული ტანსაცმლით იძინებდნენ. როგორ ნატრობდა საბინა მზის პატარა სხივს! ჩონჩხად ქცეულიყო და ქროლვისას გაყინული ქარი გეგონება მის სხეულში უბერავდა.

*****

დღის, 11:00 საათზე, ქოხის კარი ფართოდ გაიღო და დაცვის ექვსი თანამშრომელი ოთახში შემოიჭრა: ყველა ფეხზე! კომენდანტის შემოწმება!

ჩაძინებული ქალები აკანკალებულნი გამოვიდნენ ნაცრისფერი ზეწრებიდან, მათი დაღლილი თვალებიდან შიში გამოსჭვიოდა. პირადი ნივთები მოაგროვებინეს, შეიძლება სხვაგან წაეყვანათ!

ქალებო! - გამოაცხადა კომენდანტმა, მისი გაპრიალებული ფეხსაცმელი თავს ზემოთ ნათურის სინათლეს ირეკლავდა; ერთი ნაბიჯი გადმოდგით წინ ყველამ, ვინც უცხო ენაზე ლაპარაკობთ. ბევრმა ქალმა გადმოდგა წინ ნაბიჯი, საბინას ჩათვლით, ყოფილი ბურჟუაზიული დროის სასიამოვნო შედეგის ნიშნად. დაცვამ მათი სახელები ჩაიწერა.

საათების განმავლობაში ფიქრობდნენ ქალები შუაღამის გაღვიძების მნიშვნელობაზე. მთარგმნელები - აი, რას ნიშნავს ეს! ერთმა ქალმა თქვა. ამერიკელები მოდიან! და ფრანგები! კრიმინალი პატიმრები შურისაგან სკდებოდნენ იმაზე ფიქრით, რომ მათ კოლეგებს უფრო კომფორტული სამსახური ელოდებოდათ.

მეორე დილით ველზე გამრჯედ მუშაობისას, საბინა ახალ წარმატებაზე ოცნებობდა. მართალი იქნება? ფიქრობდა ის;

მთარგმნელად, თბილ კაბინეტში მუშაობა, ამ ცივი ქარის მიღმა? რაიმე საერთაშორისო ძირეულ ცვლილებას ხომ არ აქვს ადგილი? ქვის კარიერი ზუზუნებდა ამაღელვებელი ჭორებით.

საბინა იმ დღეს მუშაობდა ერთი, პატარა, ებრაელი ქალის გვერდით, რომელსაც ჯესიკა ერქვა. დაცვისთვის თვალი არ მოუშორებია და ისე აუხსნა რა მოხდა ღამით, მის ქოხში. ეს ყველა ბანაკსა და ყველა ქოხში ხდება, თქვა ჯესიკამ, ხანდახან მოდიან და კითხულობენ ვინ არის უცხოელი. გერმანელები და ებრაელები სწრაფად ასახელებენ არარუმინულ გვარებს იმის იმედად, რომ ემიგრაციაში წავლენ. ჯესიკამ მძიმე ქვა აწია და სატვირთოზე დააგდო, მაგრამ ამაში არანაირი აზრი არ არის. ამის მიზანი, შენი წამებაა.

არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ, საბინა მიხვდა, რომ ეს ქალი მართალი იყო. ეს უბრალოდ მორიგი წამების ხერხი გახლდათ გონების გასანადგურებლად და ოცნებისათვის ძალის გამოსაცლელად.

*****

წამებულსა და მწამებელს შორის, შეიძლება, სიყვარულ-სიძულვილის ურთიერთობა დამყარებულიყო. დაცვა სცემდა და აფურთხებდა პატიმრებს. იგივე პატიმრები, რომლებიც ხელკეტებისაგან მიყენებულ დაჟეჟილობას ატარებდნენ, ხშირად მოსაფერებელ სახელებს ეძახდნენ თავიანთ მწამებლებს. ახალგაზრდა დაცვის თანამშრომლებს ასწავლიდნენ, რომ ყველა პატიმარი ბანდიტი იყო და უსასრულოდ ისროდნენ მკაცრ ეპითეტებს. საბინამ ისწავლა, როგორ მორიდებოდა ცარიელთვალება, ოც წლამდე გოგონებს. მათ მამაკაცებზე უფრო სასტიკად შეეძლოთ მოქცევა იქამდე, ვიდრე მათთვის ხელახალი განათლების პროგრამის გაგრძელებას მიიჩნევდნენ საჭიროდ.

შემდეგ ახალგაზრდა დაცვის თანამშრომლები გადმოიყვანეს არხზე და თვეებისა და წლების განმავლობაში ისინი პატიმრების გვერდით ცხოვრობდნენ. ფეხით მიუძღოდნენ რამდენიმე

კილომეტრის მანძილზე ხალხს კარიერისკენ. ისინი მომუშავე ქალბატონებს თავზე ედგნენ, ხანდახან, ესაუბრებოდნენ კიდეც. ცოტა ხნის შემდეგ გააცნობიერეს, რომ პარაზიტებთან და ბანდიტებთან კი არ ჰქონდათ საქმე, არამედ მათი ოჯახების მსგავს, უბრალო გლეხებთან. მთელ რუმინეთში მიწები და მსხვილფეხა საქონელი ჩამოართვეს მეპატრონეებს კოლექტივიზაციის დამყარების მიზნით. დაცვამ ეჭვი შეიტანა ამ მოქმედების სიკეთეში მას შემდეგ, რაც შეიტყვეს, თუ როგორ შიმშილობდნენ მათი ნათესავები და როგორ აპატიმრებდნენ ხალხს. აღარ ეამაყებოდათ სამსახური და პარტიისადმი რწმენაც დაკარგეს. კომუნიზმის მიერ მიღწეული შედეგების წინააღმდეგ წამოწყებულმა რევოლუციამ, შესანიშნავი შედეგი მოიტანა ზოგიერთი დაცვის ცნობიერების ცვლილებაში.

ნინამ, ვარდისფერლოყებიანმა გოგონამ, რომელიც სიკეთეს იჩენდასაბინასადმიწარსულში,ახალიპატიმრებისნაკადიშენიშნა ახალგაზრდა თაობიდან, მონურ, შრომით-გამოსასწორებელ ბანაკში. ეს გოგონა უბრალოდ ბავშვია! თქვა ერთი გოგონას შესახებ. მათ მითხრეს, რომ ქურდებთან და მკვლელებთან უნდა მემუშავა, მაგრამ ის ისეთი ახალგაზრდაა! ნინას ჩუმად მიჰქონდა საკვები და ოჯახის წევრების მიერ გარედან შემოგზავნილი წერილები პატიმრებთან. მისმა რწმენამ კომუნიზმისადმი რყევა დაიწყო. საბინამ ნინასთან გამოლაპარაკება დაიწყო, თუთიყუშივით, რწმენის მასხრად აგდების ნელ-ნელა შეცვლის მიზნით. როცა ის იესოს შესახებ საუბრობდა, ნინა დასცინოდა. ჩვენ, კომუნისტები, ქრისტეს საუკეთესო მეგობრები ვართ! თუ არსებობს სამოთხე და ქრისტე მოსამართლეა, ჩვენ ყველაზე მეტად მოგვანიჭებს უპირატესობას. შენი ქმარი ხუცესია, არა? ჰკითხა მან საბინას. რას ფიქრობ, რამდენი ადამიანი მიიყვანა მან ქრისტესთან? რამდენიმე ათეული? შეიძლება რამდენიმე ასეული? ჩაიცინა თვითკმაყოფილად. კომუნისტები ყოველწლიურად უნდა დავრწმუნდეთ, რომ ქრისტე ათასობით მომხრეს მიიღებს, რომლებიც მისი სახელის წარმოთქმისას მოკვდებიან. ჩვენ ვავსებთ მის სამოთხეს, ამისთვის მადლიერი

უნდა იყოს. საბინამ ნინას დაცინვა გადაყლაპა და უამბო ტარსუსელი სავლეს ისტორია, რომლის ქრისტიანობისადმი სიძულვილმა საფუძველი დაუდო მომავალ პავლეს და როგორ ამბობს ბიბლია, რომ სადაც ცოდვა რჩება უხვად, მადლი უფრო მეტადაა. (საქმეები 9; რომაელთა 5:20).

ნინა ბოლოს ქრისტიანი გახდა, თუმცა ამის დამალვა ადვილი საქმე არ ყოფილა. მოღალატემ შეიძლება ოცი წელი ფარულად იმუშაოს, რადგან გარშემო ბოროტება სუფევს და დამალვა შეუძლია. ყოველი ქვის ქვეშ ახალი ტარაკანაა, მაგრამ სიკეთე იშვიათი პეპელაა, რომელიც სხვებისადმი გულგრილ ყოველ ადამიანს მოხვდება თვალში. ეს არავის რჩება შეუმჩნეველი, უფრო მეტიც, ზოგიერთებს მისი მოკვლის სურვილიც უჩნდებათ.

1951 წელს ნინა ბანაკიდან გაუჩინარდა.

ძალიან ნუ განიცდი, უთხრა საბინამ მეგობარს, რომელიც გრძნობდა, რომ მისმა საქციელმა ნინას კეთილდღეობა საფრთხის ქვეშ დააყენა. მას ამის გაკეთება გულით სურდა. ის უფრო დიდ სიხარულს განიცდის, როგორც პატიმარი. ტანჯვა ნინას უდიდეს ავტორიტეტს შესძენდა სხვებთან საუბრისას, მაგრამ ციხეში რომ მომკვდარიყო? ამასაც საბოლოოდ კარგი შედეგი მოჰყვებოდა, ახსენებდა საბინა მეგობრებს. ღმერთი არ დატოვებს ჯილდოს გარეშე წამებულთათვის მიწვდილ ერთ ჭიქა წყალსაც კი. ის ნინასაც მიუზღავს. ისინი, ვინც მისი რწმენის გამო კვდებიან, უდიდეს მემკვიდრეობას ტოვებენ ამ ქვეყნიერებაზე სასიკეთოდ.

35

მამაკაცი დაცვის თანამშრომლები პატიმარი ქალების რიგს მიაცილებდნენ ბანაკის ბოლოში. ეს იყო ერთადერთი დრო, როდესაც ქალები და მამაკაცები ერთმანეთს ხედავდნენ. საბინა ჩუმად მუშაობდა დანუბეს სანაპიროზე მაშინ, როცა სხვა ქალები გარყვნილი ხუმრობებით არღვევდნენ სიჩუმეს.

პეტრეს ხელები გორილას მიუგავს! და მისი შავი თმები ზურგზე. დარწმუნებული ვარ, რომ შავი თმით არის დაფარული თავიდან ბოლომდე... თუ ვინმე ამის ნახვას შეძლებდა ოდესმე!“

აქ არიან ქალები, რომელთაც უნახავთ მისი შავი თმა! ჩაიცინა მეძავმა და ოქროს კბილი მზეზე აუბრჭყვიალდა.

თუმცა ვინ იცის რას ხედავენ ისინი ჩვენში მიმზიდველს? თქვა სხვა ქალმა გაკვირვებით. ვერ წამომიდგენია! შეგიძლია წარმოიდგინო უფრო მეტად მადის დამაქვეითებელი და არასექსუალური ქმნილებების ჯგუფი, ვიდრე ჩვენ ვართ? დარწმუნებული ვარ, რომ საშინელი სუნი აგვდის!“ ხარხარი ისმოდა საბინას გარშემო.

ჩვენს პატარა წმინდანს არ მოსწონს უხამსი ხუმრობები! - თქვა ერთ-ერთმა მეძავმა.

დაცვა აუჩქარებლად ეწეოდა სიგარეტს, მომუშავე ქალების ზედამხედველობისას და საბინას ფართო ღიმილით უცქერდა. წარმოდგენაც არ ჰქონდა რა შედეგს მოიტანდა გვიან საღამოს ამ ქალების უხამსი ხუმრობები.

თავი 35

*****

„დაეცი! დაეცი!“ ღმუოდა დაცვა. ქალები იმ შემხვედრი ადგილისაკენ მიდიოდნენ, სადაც სატვირთო მანქანები იცდიდნენ. მდინარის გასწვრივ გზა ტალახიანი იყო.

საბინა გრძნობდა, რომ პეტრეს თვალები მისკენ ჰქონდა მიპყრობილი, ბოროტული ღიმილით უყურებდა. მის გვერდით მიმავალ კაცს ხელი ჰკრა, საბინას ფეხი დაუდო და ქალი ტალახში ჩავარდა. პატიმარი ქალები ახარხარდნენ. ვიღაცამ ხელი ჩაავლო და ტალახიდან ამოიყვანა. საბინა ტალახში ცურავდა, ამოსვლა უჭირდა და პეტრეს ხელში მომწყვდეული ყვიროდა.

- ახლა, რაც თქვენ გჭირდებათ ქალბატონო, დაბანვაა. ძაღლივით დაიღრინა და მაჯაზე მაგრად მოუჭირა ხელი. საბინამ დაიყვირა.

დანუბეში გადააგდეთ! მიაძახა ვიღაცამ. მეორე დაცვამ ტალახიანკოჭებშიჩაავლოხელი საბინას და ჰაერში მოიქნია. დაქანცული პატიმრები დაცვას შეჰყურებდნენ, როცა ისინი უმწეო სხეულს გაყინული წყლისაკენ მიაქანებდნენ. დაცვა სიამოვნებით ყრიდა პატიმრებს დანუბეს ცივ წყალში, მხოლოდ იმისთვის, რომ მათი გაშიშვლებული სხეულები სასაცილოდ აეგდოთ.

ზაფხულმა შეცვალა რუმინეთის ცივი ზამთარი, მაგრამ მუქი ყინულის ნატეხები მაინც დაცურავდა დანუბეს არხზე. ერთი მოქნევის შემდეგ, კაცებმა ხელი გაუშვეს და ტალახიან წყალთან მიახლოვებისას საბინა თავდაცვის მიზნით მოიკრუნჩხა. მდინარის ნაპირთან, ქვებს დაეხეთქა და ახლა სრულიად წყლის დინების იმედზე იყო დარჩენილი. გაყინულმა წყალმა სუნთქვის უნარი წაართვა და ბასრ ქვებს ებღაუჭებოდა. რაც უფრო მეტად ეხეთქებოდა ქვებს, მით უფრო მეტად ზიანდებოდა. ფეხზე წამოდგომის მცდელობა ამაო გახლდათ. ყოველ ჯერზე, როგორც კი ფეხის მოსაჭიდს

იპოვიდა, დანუბეს ძლიერი დინება ერეოდა. თავზე ედგა დაცვა, რომელიც მუქარის ღმუილით დასცინოდა მის ტანჯვას, გაყინული წყლიდან ამოსვლისას რომ განიცდიდა. სად არის შენი ღმერთი ახლა?“

დაცვა იმაზე ნაკლები პატიმრით ვერ დაბრუნდებოდა ბანაკში, ვიდრე დილით წამოვიდა მდინარისაკენ, ამიტომ ორი ადამიანის ხელი სწვდა საბინას, დაცვაც კი დასრიალდა მოსიპულ ქვებზე. თავბრუდახვეული და გაოგნებული საბინა უსიცოცხლოდ იწვა სანაპიროზე. ავადმყოფობის ტალღა უვლიდა საბინას და ვერ გაეგო, წყლის ხმაური ამ ქვეყნიერებას ეკუთვნოდა თუ მომავალს.

დაცვამ გააგრძელა მისი დაცინვა: რატომ არ დაგიცვა შენმა ღმერთმა?

საბინამ გაყინული მიწიდან თავი მაღლა ასწია და თქვა: მან დამიხსნა, თქვენი ხელის მეშვეობით კვლავ ცოცხალი ვარ.“

- კარგად არის. ადექი! ჩაერია სხვა დაცვა. ადექი და იმოძრავე, თორემ გაიყინები.

ახალგაზრდა ქალმა წამოაყენა საბინა, რომელმაც წყლით გაჟღენთილი ქვედაბოლო ტანზევე გაიწურა. რიგს კოჭლობით შეუერთდა და სხვა პატიმრები თანაგრძნობის ღიმილით შეხვდნენ. ყრუ ტკივილი გადაეცემოდა თირკმელებიდან. წლების შემდეგ ექიმებმა დაადასტურეს, რომ ორი გაბზარული ნეკნი, ექიმის ჩაურევლობის გამო, ჯერ კიდევ შესახორცებელი იყო. საბინამ იცოდა, რომ ღმერთმა განკურნა მაშინ.

- ახლა უკეთესია, თქვა პეტრემ, არაფერი შეედრება ცივ აბაზანას.

საბინას სველი ტანსაცმელი მოცახცახე სხეულს ეკვროდა. კლდეებს მისი ხელ-ფეხი დაესერა. ტკივილი აუტანელი ჩანდა და საკუთარ თავს ეხვეოდა სითბოს შენარჩუნების მიზნით.

თავი 35

როცა ჯგუფი ბანაკში დაბრუნდა, საბინამ დასისხლიანებული ხელებით გაწურა სველი ტანსაცმელი და ფერდებზე რბილობები ხელით მოისინჯა. ამაღამ ვერ დაიძინებდა, რადგან რამდენიმე წუთში ერთხელ ტრიალდებოდა და დასვენებისათვის კომფორტულ ადგილს მაინც ვერ პოულობდა.

მეორე დილით, ხელის წელს ზემოთ აწევა არ შეეძლო. ნეკნებზე გაჩენილ დიდ დაჟეჟილობას ფერადი აფრიკის კონტინენტის ფორმა მიეღო. დაბეგვილი სხეული ექიმ კრეტზეანუს აჩვენა და შიშისმომგვრელ განცხადებას დაელოდა.

მუშაობისთვის ვარგისი.

36

გაზაფხული მოვიდა. პატიმრებს კარიერის გზის ნაპირებზე ახალამოწვერილი ბალახის ჭამის უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ როცა დაცვა ვერ ხედავდა საქონელივით ძოვდნენ ბალახს. უმი ბაყაყის ხორცი მორიგ დელიკატესს წარმოადგენდა. ერთხელ, პატიმრებმა ჩხუბი ატეხეს, ველური კატა სჯობდა თუ მინდვრის გველი. ვიტამინის ნაკლებობა მოედო ბანაკს და კუჭის აშლა, იარები და ინფექცია მოეძალათ მუშებს. წყლულები ოთხი ინჩის სიმაღლესა და დიამეტრზე მოედოთ ფეხებსა და ტერფებზე. შხამი ვრცელდებოდა მათი სხეულებიდან და დარჩენილ მცირე ენერგიასაც ისრუტავდა.

როგორც კი გაზაფხულის დღეები გახანგრძლივდა, შესანიშნავმა, ოქროსფერმა მზის სხივებმა დაფარა დანუბეს ცა. სამუშაოზე გამგზავრება სიხარულად იქცა. ჭინჭრისა და მარგალიტისფერი ნიახურის ღერებმა ამოყო თავი თხრილებიდან, სინოტივისა და სიმწვანის სურნელით გაბრუებულმა. ხეებმა მწვანე ფოთლების გამოჩენა გაბედეს. სურნელოვანმა არომატმა ქალების ხასიათზეც იმოქმედა და რადგან ყველაფერი შეიცვალა: სინათლე, ფოთლები, ბალახი, მზე, მათაც დაიწყეს ცვლილება. პაწაწინა ყვავილებთან ერთად არაერთმა ახალმა მეგობრობამ დაიწყო გაფურჩქვნა.

ციხეში მყოფი მრავალი რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლობის გამო, ყოველ მათგანს თავისი პრეტენზია ჰქონდა კამათისას, მაგრამ ახლა წარსული დღეების უარყოფითი გავლენა სწრაფადვე რჩებოდა წარსულში. ახალი მიდგომა გაჩნდა ქალებში. გარეთ ჩხუბის გარეშე არსებობა არ შეეძლოთ, მაგრამ

აქ, ბანაკში, იზიარებდნენ საცხოვრებელ ქოხს, საპირფარეშოს სათლს და საერთოდ, ყველაფერს. აქ ისინი დებივით იყვნენ.

*****

გაზაფხული მალე ზაფხულში გადაიზარდა. პატიმრები თავბრუსხვევითა და ქანაობით მუშაობდნენ მცხუნვარე მზის ქვეშ. დრო ნელა გადიოდა დიდ მინდორში. ქოშინით სუნთქვა ყელს უსერავდათ და ენით მგრძნობელობას კარგავდნენ. ტალახს საათობით თოხნიდნენ, ისეთი მანქანებივით გადაადგილდებოდნენ, მხოლოდ ერთი სახის მოქმედებას რომ ასრულებენ.

ერთმა ქალმა ზლუქუნი დაიწყო, გული წამივა თუ წყალს არ დამალევინებენ მალე.

მეორემ უპასუხა - არ დაეცე, თორემ ფეხით გადაგივლიან.

მზე ზემოთ მიიწევდა. საბინას გაახსენდა პატარა, გამხდარსახიანი, ცრემლმორეული, ფიგურა თავისი შვილისა. რამდენი იმედგაცრუებული ლოცვა წარმოთქმულა არხზე?

შუადღე გადასული იყო და პატიმრებს ჯერ არაფერი ეჭამათ გამთენიიდან მოყოლებული. ბუზები ეხვეოდნენ ნაუცბათევად ხელნაკეთი საპირფარეშოს გზის ნაპირს.

ურიკაში შებმული ცხენი წინ მოიწევდა და უცბად უკან შებრუნდა. ეს საჭმლის ურიკაა! - შეჰყვირა ქალმა.

წყალი! წყალი გვინდა! პატიმრების ბრბო ფუტკრებივით დაესია სატვირთოს და გამწარებულებმა სამუშაო იარაღები დაყარეს. საკვების სატვირთო მოვიდა, მაგრამ დაუდევარმა მძღოლმა ქვაზე გადაატარა ბორბალი, შეცდომით მოქაჩა აღვირს, ცხენი აჭიხვინდა და ვაგონი ცალ მხარეზე გადაიხარა. დაცვამ დაიყვირა, ეცადნენ ვაგონი გაესწორებინათ, მაგრამ ცხენი წინ და უკან გადადიოდა. საკვებიანი ბოცები გადაცვივდა. ორმოცდაათი ფუნტი მოხარშული მაკარონი სველ, ბორცვიან მიწაზე გადმოიყარა. პანიკაში ჩავარდნილი ქალები ვაგონს დაეძგერნენ და ძვირფას საკვებს დააცხრნენ.

მუჭებით ჭუჭყიან მაკარონს მიწიდან იღებდნენ და გამწარებულები პირში იყრიდნენ. დანარჩენები სპექტაკლს შიშის თვალით უცქერდნენ.

იმ დღეს წყალი არ მოსულა. საბინას მუშაობის დროს თვალთ დაუბნელდა. ენა უსაშველოდ გაზრდილიყო და იესოს ჯვარცმის დროს ნათქვამი სიტყვა გაახსენდა: „მწყურია.“ ნამდვილად ესმოდა იესოს მისი ტანჯვა.

*****

ბანაკში საბინა ერთნაირად ზრუნავდა თავისი დების სხეულსა და სულზე. ჭრილობებს უხვევდა ცემის შემდეგ და ტვირთის ტარებაში ეხმარებოდა მაშინ, როცა შემდეგი ნაბიჯის გადადგმა აღარ შეეძლოთ.

მისი ქადაგების შესახებ ამბავმა ციხის მაღალჩინოსნებამდე მიაღწია და საბინა მთავარი კომენდანტის მოადგილესთან გამოიძახეს. წითელსახიანმა ქალბატონმა, რომელსაც მსუქანი ხელები და დიდი კბილები ჰქონდა, დამცინავად უთხრა: პატიმრებს ღმერთის შესახებ უქადაგებ. ეს უნდა შეწყდეს!

საბინამ უპასუხა, რომ ამის შეჩერება არაფერს შეუძლია და ქალმა მუშტი შემართა დასარტყმელად. უცებ გაჩერდა: რას უღიმი? ჰკითხა მან.

ის მაცინებს, რასაც შენს თვალებში ვხედავ, უთხრა საბინამ.

- და ეს რა არის?

- ჩემი თავი. ყველა, ვინც სხვა ადამიანს მიუახლოვდება, საკუთარ თავს დაინახავს სხვის თავალებში. მეც ადვილად ვღიზიანდებოდი, აუხსნა საბინამ. მეც ვყვიროდი და ვმრისხანებდი, ვიდრე გავიგებდი რას ნიშნავდა ნამდვილი სიყვარული - შესწირო საკუთარი თავი ჭეშმარიტებას. მას შემდეგ, ჩემი ხელები მუშტად აღარ შეკრულა.

კომენდანტის მოადგილემ ხელები დაბლა ჩამოუშვა.

თუ თვალებში ჩამხედავ, გააგრძელა საბინამ, ისეთად დაინახავ საკუთარ თავს, როგორადაც ღმერთმა შეგქმნა.

ქალი გაქვავებული იჯდა საბინას წინ, წადი აქედან - დაიჩურჩულა მან.

საბინა აგრძელებდა ქრისტეს შესახებ დამოწმებას პატიმრებში და მას შემდეგ, კომენდანტის მოადგილეს ის აღარ შეუწუხებია.

*****

დრო ნელა გადიოდა ქალების ბანაკში. მათი მთელი ცხოვრება მონობა იყო, არხი კი მთელი მსოფლიო. გადაიწვნენ და თავიანთ ხვედრს უიმედოდ ეგუებოდნენ. ციხის მიღმაც კი არ იცვლებოდა არაფერი: შიმშილი, არასაკმარისი საკვები, ძალადობა და ამერიკელების მოსვლისა და მონობისგან გათავისუფლების უსასრულო იმედი.

სამუშაო ხარისხი დაეცა უიმედობის აღზევებასთან ერთად და დაცვა გონების სასტიკ თამაშებს ეთამაშებოდა ქალებს. შეხვედრაზე ოცამდე ქალი აირჩიეს სხვადასხვა დონეზე და უთხრეს, რომ ყველაზე მაგრად მუშაობდნენ, ამიტომ გაათავისუფლებდნენ.

კომენდანტმა გამოსამშვიდობებელი სიტყვა წარმოთქვა და ოცი გმირი სატვირთოს ძრავზე შესვეს, ხელში ერთი პური ეჭირათ, პრიზად რომ ერგოთ და წითელ დროშასაც აფრიალებდნენ. გზიდან ათი მილის მოშორებით, მეზობელ მუშათა ბანაკში, გაჩერდა სატვირთო და ქალები სამუშაოს დაუბრუნეს.

*****

საბინაც მალე გადაიყვანეს ამ ბანაკიდან ქვეყნის მეორე მხარეს, წარმოუდგენლად გადატვირთული მატარებლით, სუნთქვა რომ ჭირდა. მის ახლოს მყოფი პატიმრები ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბრობდნენ და იმაზე, თუ როგორი ზეგავლენა ექნებოდა რუმინეთზე იმ არჩევნების შედეგებს. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეიზენჰაუერი იყო ყველას მშველელი.

დახურული სივრცის შიშმა აღელვება გამოიწვია, ავადმყოფი ქალებით დატვირთული შავი მატარებელი სწრაფად მიექანებოდა და მდგომარეობის ატანა გაუსაძლისი ხდებოდა. ერთ გაჩერებაზე, ერთი ულუფა საკვები შემოაგდეს მატარებელში, მაგრამ ამის შემდეგ არანაირი საკვები არ მოუწოდებიათ ერთ კვირიანი მგზავრობისათვის. მალე საუბარი სტალინს შეეხო. დარწმუნებული ვარ, რომ სამუდამოდ ვერ გაძლებს, სპეკულირებდა საბინას გვერდით მყოფი ქალი, როგორ შეიძლება ასეთი ადამიანი მეგობარი გახდეს?! ხშირად, მდგომარეობა, უპასუხა საბინამ, ყველაფერს არ განმარტავს, მაგრამ ძალიან ბევრ რამეს გვიხსნის. უჰაერო რკინის ყუთისაკენ მიბრუნდა, გათავისუფლების მიზეზს ეძებდა. შემდეგ აუხსნა, რასაც გულისხმობდა.

იოსებ სტალინი არაკანონიერი შვილი იყო. ზოგიერთები ამბობენ, რომ მამამისი პოლიციელი იყო და დედამისი ოფიცრის სახლში მსახურად იდგა, სადაც დაფეხმძიმებულა. სტალინის ნამდვილი მამა ლოთი ყოფილა. იცოდა, რომ ბავშვი მისი არ იყო და უმოწყალოდ სცემდა. სტალინი მართლმადიდებლურ სემინარიაში შევიდა, სადაც სტუდენტები პატიმრები უფრო იყვნენ, ვიდრე მოსწავლეები. საბინა ხედავდა, როგორ გახდნენ ადამიანები რევოლუციონერები.

დღე ღამემ შეცვალა და მატარებელი სწრაფად გაჩერდა.

გადმოდით! ყველანი გარეთ! - ყვიროდა დაცვა.

მატარებლის კარები ფართოდ გაიღო, ქალები დაბნეულობისაგან თვალებს აფახუნებდნენ. ეს ის ადგილი იყო, სადაც საბოლოოდ დახოცავდნენ? ტირილითა და ყვირილით თავდაყირა გადადიოდნენ სატვირთოებზე.

რიგში დადექით! სერჟანტთან ახლოს დადექით!

ერთ საათიანი ქაოსის შემდეგ, ქალები მინდორში გარეკეს, სატვირთო მანქანებიც გვერდით მიჰყვებოდნენ. სიბნელეში მიდიოდნენ, დაცვა წიხლს უთავაზებდა და შიშის ზარს სცემდა სწრაფად გადაადგილების მიზნით. მოგზაურობა რამდენიმე საათით გაგრძელდა.

თავი 36

მოშორებით ახალი ციხის კედელი გამოჩნდა, გრძელი და ნაცრისფერი. მოსაწყენ შთაბეჭდილებას ტოვებდა ელექტრო ნათურების მკაფიო ნათების ქვეშ. პატიმრების სვეტმა მძიმე, რკინისა და ხის ჭიშკარში გაიარა ხუთ მწკრივად. შიდა ეზოში ჩურჩული დაიწყეს. ეს იყო თირგუსორის ციხე.

აქ რატომ მოგვიყვანეს? რატომ თირგუსორი? უმაღლესი დაცვის ციხე, სადაც სასტიკი მკვლელები ჰყავდათ დაკავებული. ეს ციხე ცნობილი იყო მთელ რუმინეთში. რას უნდა ნიშნავდეს ეს ყველაფერი?

ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა პატიმრები აღარ ჰყავთ, განაცხადა ერთმა ქალმა.

*****

თირგუსორში საბინა სამკერვალო განყოფილებაში გაამწესეს. ციხეში ქვეყნის ყველაზე სასტიკი კრიმინალები: მკვლელები, სექსუალური მოძალადენი, სადისტები იმყოფებოდნენ; ზოგიერთი ნამდვილად ჭკუიდან იყო გადასული. საბინას გვერდით, საკერავ მანქანაზე მომუშავე, ერთ ქალბატონს ექიმი სასიკვდილოდ დაუჭრია მაკრატლით; საბინა ნერვიულად შესცქეროდა ქალს, როდესაც მაკრატელს იყენებდა ქსოვილის გასაჭრელად.

საბინამ გაიგო, რომ გენერალი ეიზენჰაუერი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად აურჩევიათ და ისიც გაიგო, რომ რამდენიმე კომუნისტური პარტიის ლიდერიც გადაუყენებიათ და პარტიიდან გაურიცხავთ. ნუთუ გათავისუფლების დაწყებასთან გვქონდა საქმე?

მალე რუმინეთში ხმა გავრცელდა, თირგუსორში მყოფი პატიმრის მიერ, რომელიც ბანაკ 4 კილომეტრშიც იყო ნამყოფი: დანუბეს არხის პროექტი უნდა მიეტოვებინათ. ჭორებს ფაქტიც ამყარებდა - თირგუსორის პატიმრებმა გაიგეს, რომ არხის ინჟინრები დამნაშავეებად გამოაცხადეს სახელმწიფო ფინანსების მითვისების გამო. ყველა ქალს ერთი და იმავე აზრმა

გაუელვა თავში: როგორ გამოიყენებდა ახლა სახელმწიფო ათი ათასობით პატიმარს? ჩვენ ხომ არ გაგვათავისუფლებენ?

კვირები გადიოდა და დღეში ორჯერ ითვლიდნენ პატიმრებს. რამდენიმე დაცვის წარმომადგენელს შეეძლო დათვლა და წინა რიგებში მყოფი ხალხის უკანა, მცირე რიგებში გადაყვანა. დავალების შესრულებას საათები სჭირდებოდა. მერე კი საკნის ჩხრეკა იწყებოდა. ერთ დღეს, დათვლა გასაოცარი სისწრაფით დასრულდა და დაუყოვნებლივ გაისმა ავისმომასწავებელი ხმა: შეაგროვეთ თქვენი ბარგი! თირგუსორის პატიმრები ისევ დაიძრნენ.

პატიმრები ღია სატვირთოთი გადაიყვანეს კოლექტივის ფერმაში, როსიეში, სადაც ამაოდ შრომობდნენ და ვაზის ლერწებს ტალახით ფარავდნენ, ყინვისაგან დაცვის მიზნით. უკვე ძალიან გვიანი იყო ამ შედეგამდე მისაღწევად, მაგრამ ეს არავის ადარდებდა. ევროპის ყოფილი მარცვალსაცავი ახლა შიმშილის წინაშე იდგა.

ერთ დილას, ვიდრე მონებივით ვენახში მუშაობდნენ ქალები, საბინა დაეცა და ციხის საავადმყოფოში, ვაქარესტში, გადაიყვანეს. იგი კარგად იცნობდა ამ ციხეს. რიჩარდს ხშირად უქადაგია იქ ძველ დროში. ერთხელ, საბინაც ეწვია საშობაო ნაძვის ხის მოსართავად. ახლა მას ცემენტის ცივ იატაკზე ეძინა, განმარტოებულ საკანში, მისი ერთადერთი კამპანიონი კუთხის ჭუჭყიანი სათლი გახლდათ.

მეორე დილით საკნის ფანჯრიდან გაიხედა და მოვარჯიშე მამაკაცი პატიმრები დაინახა. როდესაც ისინი მის ფანჯარასთან ჩაივლიდნენ, ყოველ მათგანს ეკითხებოდა რიჩარდ ვურმბრანდის შესახებ თუ იცოდნენ რამე. პირველმა ორმა კაცმა უარის ნიშნად თავი გაიქნია, მაგრამ მესამემ უპასუხა - ვურმბრანდი? ხუცესი? ბოლოს და ბოლოს ვიღაცამ იცოდა მისი მეუღლის შესახებ! კაცმა ნაბიჯი შეანელა, რომ საბინას ფანჯარასთან გაჩერებულიყო. მე მას შევხვდი, თქვა კაცმა ჩურჩულით. ციხეში გატარებულ ათ წელს არ ვნანობ. ეს ამად ღირდა, რადგან ხუცესმა ქრისტესთან მიმიყვანა, ახლა კი მის მეუღლეს შევხვდი! კაცი რიჩარდს

თირგულ-ოკნადან იცნობდა, მაგრამ არ იცოდა გადარჩა თუ არა რიჩარდი. ის მომაკვდავთა საკანში იწვა ბოლოს, თქვა კაცმა, ყოველთვის ქრისტეზე ლაპარაკობდა. საბინამ ჯერ კიდევ არ იცოდა, იყო თუ არა რიჩარდი ცოცხალი, მაგრამ იცოდა, რომ პატიმრობისას აგრძელებდა რიჩარდად ყოფნას, აღამაღლებდა ქრისტეს და ახალ სულებს მატებდა მას.

*****

კეთილმა ექიმმა, როგორც იქნა, მიიღო საბინა. სურავანდს გაუმჯობესებული საკვებითა და ინიექციით მკურნალობდა. მის სხეულზე წყლულებმა და ქერქმა კურნება დაიწყო, კოლიტი და ფაღარათიც მოუწესრიგდა, მხედველობაც კი გაუუმჯობესდა. ერთ საღამოს, ზედამხედველი, პოლიტიკური ოფიცერი და მისი ფორმიანი კოლეგა საავადმყოფოს ეწვივნენ. ასეთ შესანიშნავ საავადმყოფოში, იკითხა მან, ვის სჭირდება ღმერთი?

ლეიტენანტო, დაიწყო საბინამ, ვიდრე დედამიწაზე ხალხი იცოცხლებს, მანამდე დაგვჭირდება ღმერთი, ის, ვინც სიცოცხლესა და ჯანმრთელობას გვაძლევს.

განრისხებულმა კაცმა საბინა დატუქსა, მაგრამ ქალი მაინც არ გაჩერდა.

„ყველა, ვინც სახლში ცხოვრობს იცის, რომ იგი არქიტექტორის მიერ აშენდა, ისევე როგორც ყველა, ვინც საზეიმო სუფრას სტუმრობს იცის, რომ მზარეულის მიერ არის მომზადებული სუფრა. ჩვენ, ყველანი, ვართ დაპატიჟებული ამ ქვეყნის წვეულების სუფრაზე, რომელიც სავსეა შესანიშნავი საგნებით და ვიცით, რომ ის, ვინც ეს მოგვიმზადა არის ღმერთი!“

ლეიტენანტმა დასცინა, შეურაცხყო, ოთახიდან გავიდა და კარი მიიჯახუნა. მეორე დღეს დაცვამ ბარგის შეკვრა მოსთხოვა საბინას. ამჯერად, იგი როსიეს ღორების ფერმაში დააბრუნეს.

37

ღამე ყველაზე ბნელი მზის ამოსვლამდეა, თქვა რიჩარდმა და თანაგრძნობით შეხედა სერჟანტ-მაიორ ბუქარს. სერჟანტი სიცხისგან იწვოდა და მომაკვდავად იყო სარეცელზე მიჯაჭვული, წარსულში ჩადენილი ცოდვისა და დანაშაულის შეგრძნებით. ბრძანებების შესაბამისად არ იქცეოდა, ბუქარს უამრავი ებრაელი გამოუსალმებია სიცოცხლისთვის, ახალგაზრდა ბიჭებისა და ქალების ჩათვლით.

ყველას წინაშე მინდა ვაღიარო, თქვა მან, ძალიან ბევრი ცოდვა ჩამიდენია. ამაზე ფიქრით არ შემიძლია მოვკვდე.

- ამიერიდან შენ ის მკვლელი აღარ ხარ, არწმუნებდა მას რიჩარდი. ადამიანს შეუძლია ხელახლა იშვას.

მეორე დილით ბუქარის მდგომარეობა გაუარესდა. სიკვდილამდე რამდენიმე წუთით ადრე თქვა, რომ შეეშინდა და გუშინ ყველაფერი არ უთქვამს. სერჟანტმა აღიარა, რომ დედის მკლავებში ესროდა ბავშვებს. როცა ტყვია-წამალი გამოელეოდა, ბავშვებს თოფის ხის ტარით უჭეჭყავდა თავებს. სხვა საშინელი ისტორიებიც მოყვა, სისხლისადმი წყურვილის ჩათვლით და პატიების საჭიროება აღიარა. შემდეგ კისერზე ჩამოკიდებულ ჯვარს ჩაებღაუჭა და ასე დაიძინა. რიჩარდი უყურებდა როგორ იცვლებოდა და მძიმდებოდა სერჟანტის სუნთქვის ტემპი. სახის ირგვლივ ამოტვიფრულმა მძიმე ნაკვალევმა - სისასტიკის წლებს რომ დაემჩნია კვალი - შვება ჰპოვა. ქრისტე საკუთარ მხსნელად მიიღო და მშვიდად განისვენა.

ერთმა სწავლულმა, პროფესორმა პოპმა, ბუქარას სხეულს თვალი მოაშორა და თქვა: მიჭირდა, გამომეცნო, რატომ ხდებოდა ამდენი ათეისტი სიკვდილის წინ მორწმუნე.

თავი 37

რიჩარდმა დასტურის ნიშნად თავი დაუკრა. ერთხელ, მატარებლების სადგურთან ახლოს ვცხოვრობდი და მატარებელი არასოდეს შემინიშნავს დღისით, რადგან ქალაქი ხმაურში იყო გახვეული. ღამით კი მათი ხმა გარკვევით მესმოდა. საწოლზე მოკალათდა და გააგრძელა: ცხოვრების მიმზიდველობამ შეიძლება დაგვაყრუოს და სინდისის ხმა ვეღარ გავიგოთ. როცა სიკვდილი უახლოვდება ციხის სიჩუმეს, სადაც არაფერი ხელს აღარ უშლის, ამ ადამიანებს ესმით სწორედ ის ხმა, რომელიც აქამდე არასოდეს სმენიათ.

პოპი რიჩარდის ახლო მეგობარი გახდა. ღამღამობით უსასრულოდ უამბობდნენ ერთმანეთს ისტორიებსა და ხუმრობებს. ეს ორი კაცი ერთმანეთს უზიარებდა ლიტერატურის, კულტურის, იდეისა და ფილოსოფიისადმი სიყვარულს. პოპი ეხმარებოდა რიჩარდს დაბანვასა და ჩაცმაში.

სად არის ღმერთი? იკითხა პოპმა. რატომ არ გვეხმარება?

რიჩარდმა გაიხსენა იმ გოგონას ამბავი, რომელმაც ხუცესს იგივე კითხვა დაუსვა მამის დაკარგვის შემდეგ. გოგონამ თქვა: სად არის იმ ღმერთის დამცველი მკლავი, შენ რომ იქადაგე, ხუცესო?

რა უთხრა ხუცესმა? იკითხა პოპმა.

მან უთხრა: ის ხელი შენს მხარზეა, დედაშენის ხელის სახით.

რიჩარდმა აუხსნა, როგორ არ მიუტოვებია ღმერთს ისინი ციხეში. ქრისტიანი ექიმები იყვნენ ღვთის წარმომადგენლები. წამების რისკის საფასურად შემოჰქონდათ ციხეში წამლები პატიმრებისათვის. ქრისტე წარმოდგენილი იყო ხუცესების სახით, რომლებიც მიუკერძოებლად ემსახურებოდნენ მკურნალი სახარებით ავადმყოფებსა და მომაკვდავებს. ამბების გაზიარებაშიც კი ჩანდა ღვთიური ხელი, იმ ძალისხმევაში, რომელიც იმედისა და წარმოსახვის ცოცხლად დაცვას ცდილობდა.

*****

აღდგომა არაჩვეულებრივი ძალით განათდა მეოთხე ოთახში. რიჩარდის მსახურებამ ათეისტები მორწმუნეებად გადააქცია,

მკვლელები მსახურებად, პატიმრები მქადაგებლებად. იმ დილით, პატიმარმა ამანათი შემოიტანა ჩუმად და ვალერიუ გაფენკუს, რკინის დაცვის რიგით ჯარისკაცს, გადასცა.

გახსენი! დაიყვირა ვიღაცამ.

გაფენკუმ ამანათს ქაღალდი მოხსნა და შაქრის ორი კუბიკი ამოიღო. პატიმრები თვალებს არ უჯერებდნენ. წლები გავიდა მას შემდეგ, რაც თეთრი ნივთიერება თვალით აღარ ენახათ. დიდი ხანია აღარ მიუღიათ საკმარისი ვიტამინები და უზომოდ ენატრებოდათ შაქრის სიტკბო. ყველა გაფენკუს უცქერდა, რა გზას გაუყენებდა ამ სააღდგომო საჩუქარს. მან შაქარი ხელახლა გაახვია ქაღალდში და საწოლის გვერდით დადო. ჯერ არ შევჭამ, თქვა მან. დღის ბოლოს შეიძლება ჩემზე მეტად იმსახურებდეს ამას ვინმე.

რამდენიმე დღის შემდეგ, რიჩარდს თავი უხურდა სიცხისგან. იმდენად დასუსტდა, რომ წამოდგომის თავიც კი აღარ ჰქონდა. თანასაკნელები იქამდე გადასცემდნენ შაქრის ნატეხს ერთმანეთს, ვიდრე რიჩარდამდე არ მიაღწია.

ეს საჩუქარია, თქვა გაფენკუმ.

რიჩარდმა მისი შეჭმა იფიქრა. სხეულის ყოველ ნაწილს თეთრი კუბების შეჭმის დაუძლეველი სურვილი იპყრობდა, მაგრამ ბოლოს უარი განაცხადა. რამდენიმე დღის შემდეგ, შაქარი სოტერისს მისცა, ასაკიან ბერძენ კომუნისტს, რომელიც სიკვდილის ზღვარზე იდგა. სოტერისი რუმინეთში საბერძნეთის სამოქალაქო ომიდან გამოიქცა და მიუხედავად იმისა, რომ სიმხდალის გამო დააკავეს, შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებდა, რომ საგმირო საქმეებზე დაეკვეხნა. მთა ათონზე, სადაც ბერებს ორი ათასი წლის განმავლობაში ქალი არ უნახავთ, სოტერისს იქ ახალგაზრდა ქალების გუნდი მიუყვანია.

უნდა გენახა, როგორ გარბოდნენ ეს ბებერი კაცები! ჭყიპინებდა და თავბრუ ესხმოდა სიამაყისგან.

სიკვდილი მოახლოვდა და სოტერისი ღმერთს შველას სთხოვდა. რიჩარდმა ყოფილი ათეისტი მარადისობაში

ღვთის სიყვარულისა და პატიების შესახებ თავაზიანი ჩურჩულით გააცილა.

ორი წლის განმავლობაში, ერთმანეთს გადასცემდნენ პატიმრები შაქრის კუბიკებს, ყოველი მათგანი მასზე უარს ამბობდა სხვის სასარგებლოდ, რომელიც მასზე უფრო სასოწარკვეთილ მდგომარეობაში იმყოფებოდა. არცერთი კაცი არ აღმოჩნდა საკმარისად თავკერძა იმისათვის, რომ ეს თეთრი საკვები გადაეყლაპა.

*****

რიჩარდი დროებით შეასვენეს, მაგრამ როგორც კი ხელახალი განათლების პროგრამა შემოვიდა თირგულ-ოკნაში, წამება განახლდა და გაუარესდა კიდეც. ფორმაგიუსის მოკლე სტუმრობამ სახელგატეხილი პეტისტის ციხიდან შიშის ტალღა მოიტანა პატიმრებში. ფორმაგიუმ გადაწყვიტა თავისი მეთოდები წყნარი მთის სანატორიუმშიც დაენერგა, რასაც ვერავინ გადაურჩებოდა.

კომუნისტი ინსტრუქტორების ახალი ჯგუფი, სისასტიკის გამო განსაკუთრებულად შერჩეულები, ციხეში მოვიდნენ. ადრე ისინიც პატიმრები იყვნენ, ვიდრე კომუნისტებს სხვა პატიმრების წამებით დაუმტკიცებდნენ მათდამი ლოიალობას. ციხის დირექტორმა ახალ ინსტრუქტორებს ნება მისცა, რომ დაეშინებინათ და ეცემათ ტუბერკულოზიანი პატიმრები მაშინ, როცა მოესურვებოდათ. წამებისგან თავის დაღწევის ნებისმიერი იმედი გაქრა. ყოველ ორმოცდაათ პატიმარზე, ათიდან ოცი სპეციალიზირებული ინსტრუქტორი მოდიოდა.

ექიმები ყურადღებით აკვირდებოდნენ განსაკუთრებული სისასტიკით ნაწამებ პატიმრებს და სისხლის შრატს უკეთებდნენ ტკივილის ასატანად. სიგიჟემ მოიცვა ციხე. რიჩარდსა და მის მეგობრებს გააშიშვლებდნენ, ცივი ქვის იატაკზე დააყენებდნენ და ყინულიან წყალს ასხამდნენ სათლით. სხეულის მიერ განცდილი შოკის გამო, გულისცემა თითქმის უჩერდებოდათ და მათ ავადმყოფობას კიდევ უფრო დიდი საფრთხე ემუქრებოდა.

როგორც კი ყუათიანი საკვები შეამცირეს, შიმშილი ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. რიჩარდს დაცვა ხელებს ზურგს უკან უკრავდა და აიძულებდა იმ დამპალი საკვების ჭამას, რომელიც ღორებისთვის ჰქონდათ განკუთვნილი.

მეოთხე ოთახის ერთ-ერთმა ახალმა პატიმარმა პიტესტის ციხის მოგონება გააზიარა, როცა საკანალიზაციო არხში ჩააგდეს და აიძულეს იქ ჩაეტარებინა კათოლიკური მესა.

დაემორჩილე? ჰკითხა რიჩარდმა.

პატიმარმა ტირილი დაიწყო: იესო ქრისტეზე მეტად ვეწამე.

ხელახალი განათლებისზენიტშიყოფნისას,პატიმრებიაქამდე დაფარულ საიდუმლოს ახლა უზიარებდნენ გამომძიებლებს, ცოლების, მეგობრების, მშობლებისა და ხუცესების ღალატის მიზნით. ათასობით ადამიანს აპატიმრებდნენ პატიმრების დასმენის გამო.

თვითმკვლელობის შემთხვევებმა იმატა პატიმრებში. ახლომდებარე ჩერლას ციხეში, პატიმრებს შემოქმედებითი გზისთვის უნდა მიეგნოთ თვითმკვლელობით. ზოგიერთი მაღალი კიბიდანვარდებოდაიატაკზე.სხვებიეკლებიანმავთულსიჭერდნენ კისერზე. თუ პატიმარი საკმარისი ენერგიის მობილიზებას შეძლებდა, საკნის კედელზე თავის დარტყმით შეეძლო თავის ქალის გატეხვა. ზოგიერთები ქიმიური საწმენდი საშუალებების დალევით კვდებოდნენ. მართლმადიდებელ მღვდელს, რომელმაც სხვა მეთოდებით ვერ შეძლო თვითმკვლელობა, მაღალი საწოლიდან გადმოვარდნით მოახერხა მიზნის მიღწევა. რამდენიმეჯერ გადმოხტომა დასჭირდა წარმატების მისაღწევად.

რიჩარდი ისმენდა სხვა საშინელ ამბებს ბადარასგან, ბოლოს მოსული პატიმრისგან, მეოთხე ოთახში. ის მოხუცი ფერმერი გახლდათ, ნაბეგვი და დაჟეჟილი ახალი გამოძიების შემდეგ. ბადარასი წყევლიდა კომუნისტებს და იფიცებოდა, რომ შურს იძიებდა მათზე. ბოლო გამომძიებელს, განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეულ ავაზაკს, უთხრა: თუ ოდესმე მოვახერხე და ხელში ჩამივარდა ის კაცი, ცოცხლად გავატყავებ. რიჩარდს უთხრა, რომ ყოველდღე ლოცულობდა მამის, ძისა და სულიწმინდის

სახელით, რათა ღმერთს გაენადგურებინა კომუნისტები, ტანჯვა მიეყენებინა მათთვის. ტკივილი მიეყენებინა, ღორებისთვის!

რატომ ამბობ ასეთ რამეს? ჰკითხა რიჩარდმა. ქრისტიანს ასეთი რამ არ შეეფერება.

ბადარას ჯოჯოხეთის იმიტომ სწამდა, რომ უნდოდა კომუნისტები იმ ცეცხლში დამწვარიყვნენ.

იმიტომ ვამბობ, რომ ღმერთი არავის შეუშვებს სამოთხეში, ვინც მაგ საზიზღრებს არ დაწყევლის!

ადგილს ვერ მივცემთ გულში სიძულვილს, თქვა რიჩარდმა. ეს მამაკაცები ბორისის მსგავსად გაუსაძლისი და საშინელი ძალადობის შედეგად გატყდნენ.

ბორისი, ერთ-ერთი ყველაზე საძულველი ადამიანი ციხეში, სასტიკი გამომძიებელი იყო, რომელმაც ექიმი ალდეა სადისტური მეთოდებით წამებაზე წინააღმდეგობის გამოხატვის გამო სცემა. ექიმს მხრები და ზურგი დაფლეთილი ჰქონდა ბორისის გამო.

როგორც კი ხელახალი განათლების პროგრამამ თავისი განვითარების გზაზე წარმატებას მიაღწია, მიტევება უფრო რთული საკითხი გახდა. ყოველდღიურად სჯიდნენ პატიმრებს სიკვდილით. პროტესტისა და გამოსვლების შესახებ ხმები ვრცელდებოდა, განსაკუთრებით იმ პატიმრებს შორის, რომლებიც დაპატიმრებამდე მიჩვეულნი იყვნენ ბრძანებების გაცემას. შეიძლება თუ არა, რომ ორგანიზებულმა აჯანყებამ თავისუფლება მოგვიტანოს? გაჩაღდა დებატები მეოთხე ოთახში. შეიძლება თუ არა, რომ კარანტინში მყოფმა ტუბერკულოზიანმა პატიმრებმაც მიიღონ გაფიცვაში მონაწილეობა, თუ მეორე ლოყაც უნდა მივუშვიროთ, როგორც იესომ გვიბრძანა? (მათე 5:39)

იესო, როგორც წესი, დახასიათებულია, როგორც თავმდაბალი და მშვიდი, თქვა რიჩარდმა, მაგრამ მებრძოლიც იყო. ვაჭრები შოლტით გამოდევნა ტაძრიდან. დიდხნიანი დავის შემდეგ, რიჩარდმა გადაწყვიტა მხარი დაეჭირა აჯანყებულებისთვის და სხვებიც დაარწმუნა, რომ მათ გვერდით დასდგომოდნენ.

ამის შესაძლებლობა გაჩნდა 1-ელ მაისს, დაახლოებით საღამოს 5:00 საათზე, მუშათა დღესთან დაკავშირებით პატიმრები

თირგულ-ოკნას ციხეში გადაჰყავდათ, ფეხბურთის მატჩის სანახავად. ზოგიერთებისათვის ეს იყო ციხის კედლებიდან გასვლის პირველი შემთხვევა.

მატჩის დაწყებიდან არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ, ფანჯრის ჩამსხვრევის ხმას შორიდანაც გაიგებდნენ, გაფიცვის დაწყების ნიშნად. სტადიონი გეგონება ვულკანივით ამოიფრქვა და პატიმრები დაცვას დაესივნენ. ვისაც მისი დამკითხველ-მწამებლების წინააღმდეგ გამკლავება შეეძლო, ძალ-ღონეს არ იშურებდა, რასაც, ბუნებრივია, არეულ-დარეულობა მოჰყვა და დაცვამ პატიმრებს რეზინის ჯოხებით შეუტია. მრავალი ადამიანი მოკლეს გამანადგურებელი დარტყმებით. თამაში შეჩერდა, როცა ქალაქის მცხოვრებნი სტადიონიდან გაიქცნენ და ქუჩებს მოედნენ. ზოგიერთმა პატიმარმა, რომელიც სანატორიუმში იყო, გაქცევა მოახერხა. დაცვამ ყურადღება მოადუნა, რითაც ისარგებლეს და ხელბორკილები ბასრი საგნით გადახერხეს, თუმცა როგორც კი პატიმრებზე კონტროლი მოიპოვეს, სასტიკად გაუსწორდნენ ჯგუფის ლიდერებს. ექიმებს ციხეში სამედიცინო მომსახურების შეწყვეტა უბრძანეს. აჯანყება კრახით დამთავრდა, მაგრამ მომხდარის შესახებ ამბავი მალე გავრცელდა. ამ ამბავმა მთელ რუმინეთში დაცვას შიში მოჰგვარა, ხოლო პატიმრებისთვის შთაგონების წყაროდ იქცა.

38

ცარიელი ნემსი იგრძნო რიჩარდმა მკერდში, თირკმელებს შორის გაუარა და დაავადებულ ფილტვებს შეეხო. პნევმოტორაქსის[1] სამკურნალოდ განკუთვნილი არც თუ ისე მტკივნეული პროცედურა, მხოლოდ ორ წუთს გაგრძელდა და რიჩარდის სითხით სავსე ორგანოებისთვის ჟანგბადის მიწოდება აღდგა. მეორე დილით ადვილად სუნთქვისაგან გაოცებულმა გაიღვიძა.

ზამთარმა სქელი ნისლი მოიტანა თირგულ-ოკნაში - ყველაზე ცივი ზამთარი ქალაქში ასი წლის განმავლობაში. თოვლით დაფარული ექვსი ფუტის სიგრძის ბოსტნეულის ბაღი ჩანდა მეოთხე ოთახის გაყინული ფანჯრიდან. დამატებითი სამოსის გარეშე რიჩარდი საწოლში კანკალებდა. საყინულეში ჩაგდების შემთხვევა ამოუტივტივდა გონებაში. მოულოდნელმა სიცივემ პატიმრებისათვის განკუთვნილი საკვების რაოდენობის შემცირებაც გამოიწვია. პური დავიწყებულ ფუფუნებად გადაიქცა. რიჩარდს უჭირდა სუპში ჩაფლული დამპალი სტაფილოს ჭამა.

ჩვეულებრივი კინკლაობა, გინება, სიცილი და სამწუხარო ნოსტალგია გამოიწვია პატიმრებში ახალი წლის საღამოს აღნიშვნამ. რიჩარდმა მოკლე სიტყვა წარმოთქვა, მაგრამ მისი მორყეული კბილების გამო სიტყვები ძნელად გასარჩევი იყო.

---

[1] პნევმატორაქსი არის ფილტვების პრობლემა, რომელიც გამოწვეულია ფილტვებსა და მკერდის კედლებს შორის გამომავალი ჰაერის შედეგად. ჰაერი აწვება ფილტვებს და იწვევს მის უმოქმედობას. “Pneumothorax,” Mayo Clinic, August 4, 2017, www.mayoclinic.org/diseases-conditions/pneumothorax/home/ovc-20179880.

ხელ-ფეხი, გაყინული და აკანკალებული, უსარგებლო გამხდარა. უკვირდა, როგორ ახერხებდა მისი გული სისხლის გადაცემას გატანჯული და მტკივნეული სხეულის ნაწილებისათვის.

ახალგაზრდა კაცმა, სახელად არისტარმა, გააგრძელა ქადაგება რიჩარდის შემდეგ. როგორც დამწყები ფერმერი, არასოდეს მიუღია უნივერსიტეტში განათლება, მაგრამ ბუნებრივად საუბრობდა ისე, თითქოს მის ბოსელში დაიბადა ქრისტე. რამდენიმე კვირაში არისტარი გარდაიცვალა, მაგრამ მისმა სიტყვებმა - ძლიერმა და მგრძნობიარემ - ცრემლები მოჰგვარა იმ დღეს მსმენელთა თვალებს. მალე ვიღაცამ საშობაო საგალობელი წამოიწყო. მშვიდად დაიწყო გალობა, მერე ხმას ისე აუწია, რომ ტუბერკულოზიანი პაციენტების საწოლებს გასცდა. მელოდია შესანიშნავად იფრქვეოდა და რიჩარდს ის ფანტასტიკური დრო გაახსენა საბინასთან და მიხეილთან ერთად რომ გაატარა ცეცხლის გარშემო. ხმა დერეფანში გადიოდა, გამვლელები მოსასმენად ჩერდებოდნენ. დაცვის ყველა თანამშრომელი საერთო ოთახში შეიკრიბა გავარვარებულ ღუმელთან და გალობისთვის ხელი არ შეუშლიათ.

*****

თებერვალში, რიჩარდმა და მისმა მეგობარმა, არც ისე ღრმა საფლავი გათხარეს არისტარისთვის თოვლში. ციხის ეზოში მიწა რკინასავით მტკიცე გახლდათ. როცა მეოთხე ოთახში დაბრუნდნენ, არისტარის შემცვლელს მიესალმნენ, მუსიკოსს, სახელად ავრამ რადონოვიჩს.

დაპატიმრებამდე, ავრაამი, მუსიკის კრიტიკოსად მუშაობდა ბუქარესტში. მომაკვდავთა ოთახი ბახის, ბეთჰოვენისა და მოცარტის მუსიკის ღიღინით აავსო და გაალამაზა. სიმფონიის ხმა კედლებიდან სასიამოვნო ექოდ ეფინებოდა ყველა პატიმარს. ავრამის ტუბერკულოზმა დააზიანა მისი ხერხემალიც, ნაცრისფერი ტანი მისი სხეულის ჩონჩხს ეჭირა და ხმამაღლა სიმღერაში ხელს უშლიდა.

თავი 38

ერთ დღეს, მუსიკოსმა ყველა გააკვირვა ოთახში, როცა თაბაშირიდან პატარა, დაფლეთილი წიგნი ამოიღო.

სად იპოვე ეს? ჰკითხა რიჩარდმა. წიგნი წლებია არ უნახავს, მხოლოდ სიზმარში თუ ხედავდა.

- ეს იოანეს სახარებაა, თქვა ავრამმა. თაბაშირში დამალვა შევძელი, როგორც კი ჩემს დასაჭერად მომავალი პოლიცია დავინახე. გინდათ ითხოვოთ?

რიჩარდმა სახარება ისე დაიჭირა, თითქოს ფრთამოტეხილი ჩიტი ეჭირა. გაცრეცილი ფურცლები წამალზე ფასეული იყო მისთვის. თვალი გადაავლო ფურცლებს, რომელიც დაპატიმრების დღიდან აღარ უხილავს. მის ხელში ბიბლიის დანახვისათვის მიღებული სასჯელი, ღირდა რამდენიმე წამიანი წაკითხვის ფასად. თუნდაც მისი გადაგდება ეიძულებინათ, რიჩარდი არაფრად ჩააგდებდა. ხელში სიცოცხლის ჩანჩქერი ეჭირა და სულისათვის დამაკმაყოფილებელი სასმლის მიღების შემდეგ, წიგნი ოთახის სხვა წევრებს გადააწოდა.

მომდევნო კვირების განმავლობაში ოთახში სახარებას განიხილავდნენ. პატიმრებმა ადგილები დაიზეპირეს მისი მარტივი შინაარსის გამო. ხშირად საუბრობდნენ, მათ შორის პროფესორი პოპიც, მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული არ იყო სახარების ჭეშმარიტებაში.

ვეცადე მელოცა, თქვა მან. მართლმადიდებლურ ფორმულაზე, რომელიც ბავშვობაში ვისწავლე და ჩემი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, რომლის მოთხოვნის უფლებაც არ მქონდა, ბევრი არაფერი მაქვს სათქმელი. ჩემი სიტყვები მაღლა მიდიან, მაგრამ ფიქრები მიწაზე რჩება.

რიჩარდმა საიდუმლო გაუზიარა პროფესორს: მე მიყვარს ფიქრი, რომ იესო ჩემთან ახლოს დგას და შემიძლია ვესაუბრო ისე, როგორც შენ გესაუბრები.

პოპი მიჩვეული არ იყო ასეთ უბრალო საუბარს ღმერთთან და ინტერესით უსმენდა რიჩარდის მონათხრობს.

ხალხი, რომელიც იესოს ნაზარეთში შეხვდა, დაზეპირებული ლოცვებით არ მიმართავდა მას. ისინი თავიანთ გულის ნადებს

ამბობდნენ და ჩვენც ასევე უნდა მოვიქცეთ. ერთი ხელის მოსმით დაანგრია რიჩარდმა საბოლოო ბარიერი, რომელიც პოპის რწმენისაგან აშორებდა. ის ქრისტეს მიენდო მთელი გულით და თქვა: „როცა პირველად დაგინახე, ვფიქრობდი, რომ რაღაც გქონდა ჩემთვის მოსაცემი.“ ახლა პროფესორმა დაუბრუნა მას სიკეთე. რაღაცას გიმალავდი ჩემი თირგულ-ოკნაში დაბრუნების დღიდან. ეიმი ალდეა ფიქრობდა, რომ შენს მდგომარეობაში ეს ინფორმაცია დაუძლეველი შოკის მომგვრელი იქნებოდა.

რიჩარდი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, პროფესორს თვალს არ აშორებდა.

„შენი ცოლი ახლა ციხეშია და არხზე მუშაობს.“.

39

რიჩარდის გული სასოწარკვეთილებამ მოიცვა. იცოდა, რომ შრომით-გამოსასწორებელ კოლონიებს, დანუბეს არხის გასწვრივ, გატეხილი ჰქონდათ სახელი ქალებზე ძალადობაში. კომენდანტმა, სახელად კორმოსმა, ოცდაათამდე პატიმარი ქალი გააუპატიურა. მოგვიანებით თვითონ მასაც მიუსაჯეს ციხე და რეჟიმის პრესტიჟის შეურაცხყოფაში დასდეს ბრალი.

„საბინა ძალიან ცუდად იყო, მაგრამ იცოცხლებს," თქვა პროფესორმა პოპმა. „მან იცის, რომ უსაფრთხოდ ხართ."

რიჩარდი პროფესორის სიტყვებს უსმენდა და საკუთარ თავს ვეღარ აკონტროლებდა. ვაკარესტის ციხის საავადმყოფოს პატიმარს, სადაც რიჩარდმა ერთი თვე გაატარა განმარტოებით საკანში ყოფნის შემდეგ, საბინასთან უსაუბრია საავადმყოფოში. მათ შენს მეუღლეს უთხრეს, რომ 1950 წელს მოკვდით, პოპი აგრძელებდა, მაგრამ არ დაიჯერა. სჯეროდა, რომ ცოცხალი იყავით, მიუხედავად მტკიცებულების არ ქონისა.

რიჩარდმა უარი თქვა საკვების მიღებაზე რამდენიმე დღის განმავლობაში. საბინა უფრო საშიში უფროსი პოლკოვნიკის, ალბონის, მმართველობის ქვეშ მოექცა პოარტა ალბას ციხეში, დანუბეს არხზე ერთ-ერთ შრომით-გამოსასწორებელ კოლონიაში. რიჩარდი ეცადა წარმოედგინა, თუ როგორი შეშინებული იქნებოდა საბინა და მისი ფიქრები მალე სირცხვილში გადაიზარდა. მისი ბრალი იყო საბინასთან ქორწინება, ქრისტეს გაცნობა, ხუცესად გახდომა და იატაკქვეშა ეკლესიაში მუშაობა. სხვა კარიერა რომ აერჩია, მისი ძვირფასი მეუღლე უსაფრთხოდ იქნებოდა. ჩემი

ბიჭი? რიჩარდი ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, რაც წლებია არ განუცდია.

მამა სუროიანუმ შენიშნა რიჩარდის უიმედობა და თქვა, „ჩვიდმეტი კუნთი სჭირდება სახეს გაღიმების გამოსახატავად და ორმოცდასამი - მოწყენილობის!“

რიჩარდი მოხიბლული იყო მამა სუროიანუთი პირველივე დანახვის შემდეგ, ციხის ეზოში იდგა თავისი თეთრი, გრძელი წვერით, ქარში რომ ქროდა. სიწმინდისა და ავტორიტეტის აურა იპყრობდა ოთახს, რომელშიც ის შევიდოდა. არასოდეს ესალმებოდა პატიმარს ასე: „გამარჯობა“, „დილა მშვიდობისა“, არამედ ბიბლიური ცნებით - „იხარეთ“.

სუროიანუს გლოვისთვის უფრო მეტი მიზეზი ჰქონდა, ვიდრე რიჩარდს ან რომელიმე ნებისმიერ პატიმარს. მისი კოჭლი ქალიშვილის ქმარი დააკავეს. მეორე ქალიშვილს ოცი წელი მიუსაჯეს. მისი ქრისტიანი შვილი ციხეში მოკვდა და მეორე ვაჟმა, რომელსაც სძულდა ქრისტე, მთელი ცხოვრება რელიგიასთან წინააღმდეგობაში გაატარა. მისი ყველა შვილიშვილი დაობლდა.

- თქვენ იმდენი წინააღმდეგობა გაიარეთ, უთხრა რიჩარდმა, როგორ შეგიძლიათ სიხარულით გააგრძელოთ სიცოცხლე?

- სერიოზული ცოდვაა ამ სიტყვის დაუმორჩილებლობა, უპასუხა სუროიანუმ. ყოველთვის არსებობს სიხარულისთვის კარგი მიზეზი. ღმერთი ცაში და ჩვენს გულშია; სიყვარულით შეხედა რიჩარდს. „ყოველი დღე, როცა არ ხარობ, დაკარგულია, ჩემო შვილო! ის დღე აღარასოდეს დაგიბრუნდება.“

რიჩარდმა იცოდა, რომ ბრძენი კაცი ჭეშმარიტებას ამბობდა. სინამდვილეში, სხვა პატიმრებს თვითონაც ხომ ანალოგიური რჩევით ამხნევებდა, მაგრამ საბინას დაპატიმრების ამბავმა რიჩარდს სიხარული დაავიწყა. როგორ შეძლებდა სხვების გამხნევებას, როცა თვითონ ასე შორს იდგა მწყემსის ნუგეშისგან?

მამა სუროიანუს გამხნევებები გაუჯდა თავში და რიჩარდმა პირველად ილოცა რამდენიმე დღის შემდეგ. მადლობა გადაუხადა ღმერთს საბინას სიცოცხლის დაცვისათვის და იცოდა, რომ კვლავ იხილავდა მეუღლეს ან ამ, ან იმქვეყნად. ხარობდა

იმით, რომ ღმერთმა მისცა სხვებისთვის რწმენის გაზიარების არაერთი შესაძლებლობა.

რიჩარდის დაპატიმრებამდე ეკლესიას ზარები არ ჰქონდა, რათა მრევლი შეეკრიბა, მაგრამ ახლა, კარანტინის პირობებში, მოულოდნელი აუდიტორია ჰყავდა. კვირაში ერთხელ ან ორჯერ ქადაგების ნაცვლად, ახლა შესაძლებლობა ჰქონდა ყოველი დღის ნებისმიერ წუთს ექადაგა, თან არა მხოლოდ სიტყვებით. რიჩარდის მთელი სიცოცხლე, მამა სუროიანუს მსგავსად, გახდა ქადაგება, რომელსაც ახალი ენერგიითა და სიხშირით აზიარებდა.

*****

როგორც კი მზე ჩავიდა თირგულ-ოკნას ციხეში, 1953 წელს, რიჩარდს კბილის ტკივილი მოეძალა და მთელ ყბაზე ტალღებივით ვრცელდებოდა. ოთახში ბოლთის ცემით სიარული ტკივილს უმსუბუქებდა, მაგრამ კოჭებზე ორმოცდაათი ფუტის სიმძიმის მქონე რკინის ბორკილები ჰქონდა შებმული. ცემამ და მწირმა საკვებმა ძალა გამოაცალა, ასევე სიცხემ, წონის კლებამ, სიცივემ და სისხლიანმა ხველამ. მწირი გახლდათ სამედიცინო მომსახურებაც; ექიმის, მაგალითად სტომატოლოგის, მოსვლა განსაკუთრებით წარმოუდგენელი იყო აჯანყების შემდეგ.

დაცვა თირგულ-ოკნას პატიმრებს ნებას რთავდა, რომ თვეში ერთხელ ამანათი მიეღოთ ოჯახიდან. რიჩარდმა ციხიდან შემოგზავნილ ღია ბარათებზე წერილი დაწერა და ექიმ ფილონს, თავის ყოფილ ექიმს, რომელიც ბუქარესტში ცხოვრობდა, სთხოვა, რომ საკვები და სიგარეტი გამოეგზავნა. მართალია, თვითონ არ მოსწონდა სიგარეტის მოწევა, მაგრამ იცოდა, რომ სხვა თანასაკნელებისთვის შვებისმომგვრელი იქნებოდა.

ერთხელ, რიჩარდმა კურიოზული მოთხოვნა დაწერა ღია ბარათზე და ლოცულობდა, რომ ექიმი გაშიფრავდა აზრს: „ექიმი ფილონის ძველი ტანსაცმელი.“

ოჯახის ექიმი რიჩარდივით მაღალი არ იყო და მისი ტანსაცმელი არაფერში გამოადგებოდა ციხეში, მაგრამ ექიმ

ფილონს ხელი მიუწვდებოდა სტრეპტომიცინზე, ამერიკელების დაპირებულ ახალ წამალზე, რომელსაც შეეძლო რიჩარდი ტუბერკულოზისგან განეკურნა.

ორწელიწადნახევარი ებრძოდა რიჩარდი ტუბერკულოზს. ის გახლდათ მეოთხე ოთახის ერთადერთი პატიმარი, რომელიც არ მომკვდარა. სხვა ათობით ადამიანმა, რომელსაც ის იცნობდა, წინააღმდეგობა ვერ გაუწია საშინელ დაავადებას.

თითქმის ერთი თვის შემდეგ, რაც რიჩარდმა დაშიფრული ბარათი გააგზავნა, ამანათი მიიღო, რომელშიც ასი გრამი სტრეპტომიცინი, ერთი ტუბერკულოზიანი ადამიანისათვის საკმარისი დოზა იდო. შაქრის კუბების მსგავსად, თვითონ მიღების ნაცვლად, გენერალ სტავრატს, ქრისტიან თანაპატიმარსა და რუმინეთის ყოფილ სამხედრო წევრს, სთხოვა, რომ ამ ელექსირით ეხელმძღვანელა სასიკვდილო ოთახის ყველაზე სასტიკი შემთხვევისთვის.

ფაშისტი რკინის დაცვა, სახელად სულტანიუკი, სიკვდილის პირას იყო. სტავრატმა რიჩარდს ზიზღნარევი გამოხედვა შეაგება. „უმჯობესი იქნებოდა თქვენ თვთონ მიგეღოთ ეგ წამალი,“ თქვა მან, მაგრამ რიჩარდს ვერ გადაარწმუნებდი.

იცოდა რა, რომ ანტიკომუნისტი ქრისტიანი წამალს სთავაზობდა, სულტანიუკმა უარი განაცხადა მის მიღებაზე. დარწმუნებული იყო, რომ ბრძნული ტაქტიკა იმალებოდა ამ შემოთავაზების უკან -სავარაუდოდ, ახალი მეგობრობა.

40

საბინასთვის ყველაზე რთული პატიმრობა როსიეს ფერმაში გატარებული დრო იყო. საკვების რაოდენობა შიმშილობის ზღვარს პასუხობდა და ყოველ დილით, ხუთ საათზე, იძულებით დგებოდნენ საწოლიდან ქალები, ჯერ კიდევ რომ ეცვათ წინა დღის ჭუჭყიანი ტანსაცმელი. ღორების სადგომი მუხლამდე სიბინძურით სავსე იყო და ცუდი სუნი, გულისრევის გამომწვევი სიმყრალე, ტრიალებდა ჰაერში. საბინა და მასთან მომუშავე ქალები, ღორების საკვები ნაჭუჭებით ივსებდნენ მუცელს.

როსიეს ფერმიდან საბინა გენსეაში გადაიყვანეს, ისევ იმ ბანაკში, საიდანაც არხზე სამუშაოდ გადმოიყვანეს ორი წლის წინათ.

„ვა, რამდენი ქალია!“ ეჩურჩულებოდნენ ქალები ერთმანეთს. „ეს ადგილი იმაზე გადატვირთულია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. რა ხდება?

ასობით ქალი გადმოუყვანიათ რუმინეთის სხვადასხვა ბანაკიდან და გენსეას ქოხები აუვსიათ. ოფიციალურ პირებს ან რაღაც ახალი, დიდი მონური სამუშაო დაუგეგმავთ, ან ... იმედზე სიტყვის თქმასაც კი ვერავინ ბედავდა. უკვე მრავალი ტანჯვა გამოიარეს და ხშირად გაასულელეს საკუთარი თავი.

მეორე დღეს ხმა გავრცელდა: გენზეას კაბინეტებში, დაცვის სათაო ოფისიდან ათი კაცი მუშაობდა დოსიეზე. დოსიე! ნუთუ, ეს მართლა შეიძლება თავისუფლებას ნიშნავდეს?

დაცვამ ქალების ოფისში დასაკითხად წაყვანა დაიწყო. გამომძიებლები ზუსტად ისეთები იყვნენ, როგორებიც აქამდე,

მაგრამ ამჯერად, თავაზიანობით გამოირჩეოდნენ. თვის ბოლომდე ქალებმა გენზეას დატოვება დაიწყეს.

როგორც იქნა, საბინას დაკითხვის ჯერიც დადგა. მაგიდის მეორე მხარეს იჯდა მაიორი, ბავშვივით ჩაფსკვნილი და ვარდისფერი ხელები მსუქანი სოსისის შეკვრას მიუგავდა, ლაპარაკისას მაგიდაზე არსებულ საგნებს ხელით წმენდდა.

განსაკუთრებული შეკითხვები ჰქონდათ შემონახული რელიგიური პატიმრებისათვის. „აქ, ქალბატონო ვურმბრანდ, უნდა იცოდეთ, რომ მე ღმერთზე ძლიერი ვარ. მოკლედ რომ ვთქვათ, ჯერ არ ჩარეულა ამ საქმეში.“ მისმა ორმა თანაშემწემ დასტურის ნიშნად გაიღიმა. „მაგრამ მართლა მიიღეთ ის? ნუთუ ვერ გააცნობიერეთ, რომ კომუნისტურ საზოგადოებაში ღმერთი ზედმეტია? რომ შენ ის აღარ გჭირდება? თუ ოდესმე გაგათავისუფლეს, გაოცდებით ბოლო წლების მიღწევების ხილვით. ეს მხოლოდ დასაწყისია!“

ოქროსფრად ჩაწნული ეპულეტები ციმციმებდნენ მაიორის მიერ საქაღალდეში ფურცლების გადაადგილებისას. შესაძლოა, ისეთი ქაღალდები და დოკუმენტები გაქვთ ჩემზე, რომლებიც აქამდე არასოდეს მინახავს და ისე გადაწყვეტს ჩემს ბედს, მაგრამ ღმერთიც ინახავს ჩანაწერებს. არც მე და არც თქვენ, მის გარეშე სიცოცხლე არ გვექნებოდა. გამათავისუფლებს თუ აქ დამტოვებს, ყველაფერს ისე მივიღებ, როგორც ჩემთვის საუკეთესოს. მაიორმა ორივე მუშტი მაგიდას დაჰკრა. „უმადური ქალბატონი ვურმბრანდი, უმადური! ვწუხვარ, რომ ჭკუა ვერ ისწავლე და აქედან გამომდინარე დასკვნა უნდა დავწერო.

სამი დღის შემდეგ, საბინას სახელი გამოაცხადეს. მაიორზე უფრო მაღალი ავტორიტეტი იღებდა გადაწყვეტილებას მის მომავალზე.

მალე თოვლით დაფარულ ეზოში იდგა, თავისი მცირეოდენი ქონებით სავსე ბოხჩით ხელში. ახლაც კი არავინ იყო დარწმუნებული, რომ გაათავისუფლებდნენ. ამას მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, როცა მავთულხლართებს მიღმა გამოიყვანეს მთავარ ჭიშკარში და აკანკალებულები იდგნენ გზაზე,

დაცვამ კი მათთვის ფურცლების დარიგების ხანგრძლივი პროცესი დაიწყო.

სუსხიან ღამეში საბინამ თავისი სახელი გაიგონა. „ვურმბრანდი, საბინა, დაიბადა ცერნაუტში, 1913 წელს, საცხოვრებელი ადგილი...“

მან აიღო დოკუმენტი, რომელიც გათავისუფლების შესახებ იუწყებოდა. „გათავისუფლების სერტიფიკატი“ ეწერა სათაურად, მაგრამ ძალიან ბნელოდა გარეთ, მცირე ზომის ასოების წასაკითხად. საბინა და სხვა ქალები სატვირთოზე ავიდნენ და გენზეადან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, ბუქარესტის გარეუბანში, გადაიყვანეს.

საბინა სატვირთოდან ჩამოვიდა და ფეხით გაუყვა გზას ჭუჭყიანი სამოსითა და სუნიანი ბოხჩით ხელში, ქალაქის განაპირა გზას. სამი წლის განმავლობაში პირველად დაინახა სამსახურიდან ჩქარი ნაბიჯით, სახლისაკენ მიმავალი და ოჯახებისთვის სურსათის საყიდლად მაღაზიაში მოვაჭრე ადამიანები.

თუ სახლი საერთოდ არსებობდა, თუ რაიმე კიდევ არსებობდა, მალე იქ იქნებოდა. მიხეილი უკვე თოთხმეტი წლის გახდებოდა. ნეტავ, რა მოუტანა მას ამ წლებმა?

მობრჭყვიალე სინათლე და მონატრებული სურნელი მოზღვავდა საბინას გრძნობებში, როცა ტრამვაის გაჩერებას შეხედა. „ვინმე გამოიჩენს სიკეთეს და მგზავრობის საფასურს გადამიხდის?“ იკითხა ტრამვაიში. ათამდე ადამიანმა მყისიერად შესთავაზა თანხა. როგორც ჩანს, ყველა მათგანს ოჯახის წევრი ან ნათესავი ჰყავდა ციხეში.

როცა ტრამვაიმ თავისუფლების ქუჩას ჩაუარა, სევდიანი მოგონებები აეშალა საბინას პოლიციის დეპარტამენტის დანახვისას, სადაც პირველად დააკავეს. არაფერი შეცვლილა. ადამიანური გენიოსების გიგანტური პორტრეტები - მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი - ჯერ კიდევ უცქერდნენ ზემოდან, ტალახში ძნელად მოსიარულე ხალხს.

აღელდა, როცა ტრამვაიმ მისთვის კარგად ნაცნობ შენობებს ჩაუარა და ერთ-ერთი მათგანის კიბეს თვითონაც აუყვა. კარი

მეგობარმა გააღო. „საბინა!“ პირზე ხელი აიფარა და შოკისგან უკან დაიხია. ეს შესაძლებელია? ქალები ერთმანეთს გადაეხვივნენ, საბინას თვალები ცრემლებით აევსო.

ვიღაც მიხეილის მოსაყვანად გაიქცა. თითქოს საბინას გული გაუჩერდა კარებში შემოსული ვაჟის დანახვაზე. მაღალი, მკრთალი და ძალიან გამხდარი, უკვე ახალგაზრდა ჭაბუკი. დედა-შვილი ერთმანეთს გადაეხვია და საბინას ლოყებზე ცრემლი ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა. მიხეილმა საკუთარი ხელით შეუმშრალა დედას ცრემლები.

ძალიან ბევრს ნუ იტირებ, დედა - უთხრა მან.

იმ წუთში, თითქოს, საბინას ყველა განსაცდელი წარსულს ჩაბარდა. მას აღარასოდეს დასჭირდებოდა ტირილი.

41

ბუქარესტში, მისი გათავისუფლებიდან მალე, 1953 წელს, საბინამ მიხეილი ცესმიგიუში წაიყვანა, ბუქარესტის ყველაზე დიდ პარკში. გაზაფხულის დღე იდგა - ზეციური, მშვიდი - დიაცინდებიც კი იღვიძებდნენ ზამთრის ძილიდან. როგორც იქნა, წლების ლოცვისა და პატიმრობის შემდეგ, დედა-შვილი კვლავ შეხვდა ერთმანეთს. მიხეილს ვეღარ ცნობდა დედა. თოთხმეტი წლის კაცი იყო უკვე. ახლადამოწვერილი, რბილი ბალახის ბილიკზე გაატარა, იმ ადგილზე, სადაც ბავშვობაში ატარებდა ხოლმე. ჯერ კიდევ სწამს ღმერთის? ფიქრობდა დედა.

საბინას გაახსენდა, როცა მისი ძვირფასი ბიჭუნა მხოლოდ ხუთი წლის იყო-მაშინაც კი მოშურნე ევანგელისტი. შვიდი წლის იყო, როცა ქრისტიანი გახდა, როცა პროფესორმა მისი თემიდან მხსნელის საჭიროების შესახებ ესაუბრა. მას შემდეგ, მიხეილის ცხოვრება ტრავმებმა მოიცვა. მიაღწიეს თუ არა კომუნისტებმა მიზანს და მშობლების წართმევასთან ერთად, რწმენაც წაართვეს მიხეილს? ქრისტიანობის საწინააღმდეგო პროპაგანდამ მოიცვა სკოლები და ხშირად აღწევდნენ წარმატებას მორწმუნე ბავშვების გადაბირებაში.

საბინამ ციხეში გატარებული წლები გაიხსენა. მიხეილს უთხრა, როგორ აიძულებდა მას დაცვა დანუბეს არხზე მუშაობას და როგორ ენატრებოდა შვილი. ერთი დღეც კი არ გასულა, რომ საბინას არ ეფიქრა და ელოცა თავის შვილზე. შემდეგ, მიხეილი ენის ბორძიკით ჩაერია საუბარში, „ჩვენ არ ვაკრიტიკებთ იმ ფაქტს, რომ არსებობს დღე და ღამე, სინათლე და სიბნელე. ვიღებ

ადამიანების ცუდ საქციელს. მოდი, ვეცადოთ და არ ვუწოდოთ მათ მხეცები.”

საბინამ გაიხარა პასუხით. მიხეილის რწმენა არ შერყეულა, უარი თქვა კომუნისტებსა და მათ მცდარ დოქტრინაზე.

მიხეილის გადაწყვეტილებას ახსნა ჰქონდა. ღმერთმა შექმნა ორივე: მზე და მთვარე, ერთი დღის განმგებლად და მეორე - ღამის. ღმერთმა ღამესაც კარგი უწოდა.

როგორ შეიძლებოდა, რომ ყმაწვილს ზრდასრულისთვის შესაფერისი პასუხი გაეცა სიძულვილზე? ბევრ ზრდასრულს არ შეეძლო პატიება და საკუთარი მტრის შებრალება. საბინა გაოცებული იყო მიხეილის წინსვლით. მისმა წინააღმდეგობამ გააოცა დედა და მის ხმაში მამამისის მსგავსებას ხედავდა, სიყვარულისა და სიკეთის მიმართ.

აყვავებული ხეხილის ხეების ქვეშ სეირნობდნენ, როდესაც მიხეილმა თქვა: „დედა, შენ და მამამ აირჩიეთ ჯვრისაკენ მიმავალი გზა, როგორც საუკეთესო გზა ღვთისმსახურებისთვის. არ ვიცოდი, მეც თუ ამ გზას დავადგებოდი. ღმერთთან ყველაზე ახლოს ახლა ვგრძნობ თავს, ამ ადგილას, სადაც სილამაზეა და არა ტანჯვა და სირცხვილი.“

ბავშვებს ხშირად პატარა სიხარული აკმაყოფილებთ; მიხეილიც არ იყო გამონაკლისი. ღმერთმა მიხეილის ცხოვრება პატარა სიამოვნებებით აავსო. ღვთის ლილიები, შეახსენა დედას შვილმა, ყველაფრად ღირს მათი ცქერა.

მიხეილმა იკითხა, „რატომ არ ვრჩებით ბაღში, რომ შევიგრძნოთ ყვავილების სურნელი და ამგვარად გვიყვარდეს ღმერთი?“

- იცი, როცა იესო ჯვარს აცვეს, თქვა საბინამ, ბაღი იყო ახლოს. რას იზამდი, თუ ბაღში ყოფნისას, უდანაშაულო ადამიანის ჯვარზე გაკვრის ხმა შემოგესმებოდა? ვაკარესტისა და ჯილავას ციხეები არც ისე შორსაა აქედან, ხოლო ქუჩის ბოლოს შინაგან საქმეთა სამინისტროა, სადაც ადამიანებს აწამებენ ახლა, როცა ჩვენ ყვავილებს ვუცქერით.

ძალიან რთული იყო შენთვის, დედა? ჰკითხა მიხეილმა.

თავი 41

საბინამ ისეთი პასუხი გასცა, რომ ახალგაზრდულ წლებში თვითონაც გაუჭირდებოდა ამის დაჯერება. „მიხეილ, ჩვენ ებრაელები ვართ, ღვთის შვილები. ყველაზე მეტად რაც გვჩაგრავდა, ფიზიკური ძალადობა არ იყო. შრომას ამქვეყნიური ილუზიით გვაიძულებდნენ და სულიერი საბაბით გაგვათავისუფლეს. არხის ამბავი იმის მტკიცებულებაა, თუ როგორი ილუზია შეიძლება იყოს ფიზიკური შრომა, ღმერთი რომ არ იდგეს მის უკან.

მიხეილი თავს უკრავდა თანხმობის ნიშნად და საბინა აგრძელებდა. არხი არაფერი იყო და არც დასრულებულა, ასევე რუმინეთის იმპერია, ბერძნული რესპუბლიკა, პირველი ებრაული სახელმწიფო, ძველი ეგვიპტელები და ჩინური ცივილიზაცია. ახლა ბრიტანული იმპერია პირველობს. ეს ყველაფერი ილუზიის სამყაროს ეკუთვნოდა.

ამის შემდეგ სიტყვებს არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. დედა-შვილი ხარობდა დროის ერთად გატარებით; ერთმანეთის ხილვით კვლავ გახარებულნი, ოდესღაც რომ ამის იმედი დაკარგული ჰქონდათ.

*****

გვიან საღამოს, მიხეილი დედის საძინებელში წიგნით - პლუტარქეს თხზულება კატოს ცხოვრების შესახებ - ხელში შევიდა. დედას ბოროტი ტირანის, სულას, შესახებ წაუკითხა, რომელსაც მშვენიერი სასახლე ჰქონდა, რომლის ერთადერთი დანიშნულება მხოლოდ ხალხის წამება გახლდათ. მრავალი ადამიანი აწამეს და სიკვდილით დასაჯეს იმ კედლებში. კატოც აწამეს ბოლოს, აუხსნა მიხეილმა.

როცა კატო სასახლეში მოარულ ცნობილ ადამიანებს ხედავდა, კითხულობდა, რატომ არავინ მოკლა სულა. მისმა მასწავლებელმა უპასუხა, რომ ხალხს ტირანის უფრო ეშინოდათ, ვიდრე სძულდათ.

შემდეგ კატომ თქვა, „მომეცით მახვილი, რათა მოვკლა კაცი და გავათავისუფლო ჩემი ქვეყანა.“

მიხეილმა წიგნი დახურა და საბინას უთხრა: მართალია, მეც კატოსავით ვგრძნობ თავს; მინდა უბრალოდ ვხარობდე სიცოცხლით, მაგრამ ხანდახან მიკვირს, რატომ არ აკეთებს რამეს ამდენი ახალგაზრდა. ერთ, ჩემნაირ ბიჭსაც კი შეუძლია ქვეყნის ტირანისაგან გათავისუფლება. ძველი აღთქმაც ხომ მხოლოდ ამის შესახებ არის. ღმერთისაგან არ არის?“

საბინა ცოტა ხნით დაფიქრდა. თანამედროვე საზოგადოებას ეს არ შეეფერება, დასკვნა გამოიტანა. ის არ იყო საუკეთესო გზა, უნდა ვეცადოთ, რომ *ტირანია* მოვკლათ და არა ტირანი. გვძულდეს ცოდვა და არა ცოდვილები.

დედა, თქვა მიხეილმა, ეგ ყველაზე რთულად შესასრულებელი იქნება.

საბინამ თავი დაიქნია, შვილს ძილინებისა უსურვა და აკოცა. ეს ყველაზე რთული საქმე იქნება*!*

42

მისი გათავისუფლებიდან თითქმის ერთი კვირის შემდეგ, საბინა ბუქარესტში ზარების რეკვამ გააღვიძა. ხმა ჯერ წმინდა სპირიდონის კათედრალიდან გაისმა, შემდეგ გარშემო მდებარე ეკლესიებიდან. სინამდვილეში, ქალაქის შუა საუკუნეების ყველა მონასტერი ლამაზად აჟღერებდა გოდების ჰანგს.

იოსებ სტალინი მოკვდა; ეს იყო 1953 წლის 5 მარტს. საბინა გარეთ გამოვიდა მზეზე. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში ზამთარი უფრო ცივი იყო, ჰაერში ახალგაღვიძებული იმედის ნაპერწკალი ტრიალებდა. ტრამვაის მანქანები, როგორც წესი, ლიანდაგებზე ჭყიოდნენ და კუთხეებში მოხვევისას ისე სტვენდნენ, თითქოს, გასართობი პარკის საკუთრებას წარმოადგენდნენ. მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია სახალხო შეკრებებს კრძალავდა, ყველამ ყველაფერი მიატოვა და ბაზრის მოედანს მიაშურა იმის გასაგებად, თუ ვინ მოკვდა. საბინა თავისუფლების ქუჩაზე მიდიოდა. აინტერესებდა, ვინ იყო ის ხალხი მის გვერდით რომ მოაბიჯებდა. ყველა მაღაზიამ, სკოლამ და ქარხანამ დაკეტა კარი და იმ მნიშვნელოვანი განცხადების მოსასმენად წავიდნენ, მოულოდნელად რომ აჟღერდა უმოქმედო დინამიკებიდან.

„ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო! რუმინეთის რესპუბლიკის მუშებო! საბჭოთა კავშირის უმაღლესი პრეზიდიუმი დიდი მწუხარებით იუწყება და პარტიასა და რუმინეთის მუშათა კლასს სამძიმარს უცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის მინისტრთა კაბინეტისა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი, იოსებ, ბესარიონის ძე, სტალინი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.“

მკაფიო ამოძახილი აღმოხდა ხალხს.

“ბრძენი ლიდერისა და ხალხის მასწავლებლის, ლენინის ამხანაგისა და ერთგული მოწაფის სიცოცხლე დასრულდა”.

დაკრძალვის მუსიკა, რომელიც საბინასთვის ახალი სიცოცხლის დასაწყისი იყო, ხმამაღლა ჟღერდა. დიდი ხნის განმავლობაში, პირველად იგრძნო თავისუფლების ტალღა. გადაცემა გრძელდებოდა, მოსახლეობას აუწყებდა, რომ რელიგიური ღვთისმსახურება აღნიშნავდა იმ ადამიანის სიცოცხლის დასასრულს, რომელმაც დიდი ძალა და ენერგია მოახმარა ქრისტიანული რელიგიის განადგურებას.

წლების შემდეგ, მისი ქალიშვილი, სვეტლანა, იხსენებს მამამისის ამ დედამიწაზე არსებობის უკანასკნელ დღეს.[1] სტალინი, თქვა მან, საშინელი სიკვდილით მოკვდა. ნელ-ნელა იხრჩობოდა, თითქოს ტვინმა გაჟონა, სასუნთქ ორგანოებზე გავრცელდა და სუნთქვა გააკონტროლა. მისი სიცოცხლის ბოლო თორმეტი საათის განმავლობაში, სუნთქვა მძიმე საქმედ ექცა, ტუჩები გაუშავდა და ნელ-ნელა მოკვდა. სიკვდილამდე თვალები ფართოდ გაახილა და საშინელი, გაბრაზებული, საშიში, გამოხედვით გადაავლო თვალი სამთავრობო ოფიციალურ პირებს, ოჯახის წევრებს, მეგობრებსა და სამედიცინო პერსონალს, ოთახში რომ შეკრებილიყვნენ. შემდეგ, მოულოდნელად, მარცხენა ხელი აწია მუქარის ნიშნად და როგორც ჩანს, ზემოთ რაღაცისაკენ იწვდიდა. თითქოს, ზემოდან წყევლას იხმობდა ოთახში მყოფ ყველა პირზე. მეორე წუთში, მოკვდა.

სტალინს რომ მთელი ცხოვრება მის მიერ მოკლული ქრისტიანების სახელების წერისათვის მიეძღვნა, ათეისტები ვერ შეძლებდნენ იმ სიის დასრულებას.

როცა მიხეილი სკოლიდან შინ დაბრუნდა, დედა სხვენში იპოვა, უცხოურ რადიოს რომ უსმენდა სტალინის სიკვდილის შესახებ. მიხეილმა აჩვენა გაზეთის ასლი, რომელიც სკოლიდან მომავალმა შეიძინა. The *Scintea*, ერთადერთი გაზეთი ბუქარესტში,

[1] Svetlana Alliluyeva, *Twenty Letters to a Friend*: A Memoir, trans. Priscilla Johnson McMillan (New York: Harper Perennial, 2016), 10.

რომელსაც ერთ გვერდიანი ნეკროლოგი გამოუქვეყნებია და სტალინის ნათელ მემკვიდრეობაზე საუბრობდა. მიხეილი ქალაქში დასეირნობდა და ყოველი კაფისა და კინოს კედლებზე გადმოფენილ ბანერებს ხედავდა.

ერთ-ერთ ნაწყვეტს ესაია წინასწარმეტყველის მე-14 თავიდან კითხულობდა, ბაბილონის იმპერიის დაქცევის შესახებ, რომელთაც ებრაელები ჰყავდათ მონობაში: „როგორ დაცხრა მჩაგვრელი, როგორ დაცხრა ზვიადობა!“ (მუხლი 4).

რას ფიქრობ ამის შესახებ? იკითხა მიხეილმა.

ასე არ ვფიქრობ, უპასუხა დედამ. „ადამიანი, ბოლო წუთებში, როცა სიკვდილს ხედავს თვალწინ, შეიძლება შეიცვალოს.“ სამწუხაროდ, სტალინი გამონაკლისია. საბინა არ დარდობდა სტალინის სიკვდილს. ახალი ერა უნდა დაწყებულიყო რუმინეთში. მონური შრომით-გამოსასწორებელი ბანაკები თუ კოლონიები, წამებები და სხვა მრავალი უმოწყალო რეჟიმის ბოროტი საქმე საბოლოოდ შეწყდა. სტალინის სიკვდილიდან არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ, სახელმწიფომ გადაწყვიტა, რომ პრიორიტეტი სოციალური კონსტრუქციის საქმიანობიდან, როგორიც მაგალითად, არხის მშენებლობა გახლდათ, სამომხმარებლო საქონლის წარმოებაზე გადაეტანა, რითაც რუმინეთის საზოგადოებას სოციალური პირობების გაუმჯობესებას ჰპირდებოდა. საბინა თანაუგრძნობდა იმ ებრაელებს, რომლებიც მონობიდან იერუსალიმში დაბრუნდნენ. როცა გაზეთ *Scintea-ს* კითხულობდა, მიხეილმა დედამისის ლოცვა მოისმინა: ჩვენ ფარაონის მონები ვიყავით ეგვიპტეში და ყოვლადძლიერმა ღმერთმა გამოგვიყვანა თავისი ხელით.

*****

მხოლოდ 1953 წლის 18 ივლისს, ოთხ წლიანი გაუსაძლისი და მტკივნეული მშენებლობისა და მხოლოდ ერთი მეშვიდედი შესრულებული სამუშაოს დასრულების შემდეგ, დანუბეს არხის მშენებლობა მოულოდნელად შეწყდა. თირგუსორში მოსმენილი

ჭორები გამართლდა. საქმე კომუნისტების სიძლიერეზე მეტყველებდა, მაგრამ უამრავი ადამიანის სიცოცხლის ფასად არ ღირდა. ბარაკები, რომლებსაც საბინა კარგად იცნობდა, სამუდამოდ დაიხურა. ბალახმა გადაუარა ქოხებს და გველები - რომელსაც პატიმრები ერთ დროს საკვებად ეძებდნენ - ახლა პირდაღებული ცემენტიდან სისინებდნენ. ათი ათასობით ქალი და კაცი მუშაობდა არხის სანაპიროზე მონად; შრომამ ამაოდ ჩაიარა, ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და უამრავი ოჯახი დაიტანჯა შეუბრალებელი სისასტიკით, არაფრის გამო.

რუმინელ ინჟინრებს სწამდათ, რომ ეს პროექტი მარცხისათვის იყო განწირული. არასოდეს იქნებოდა საკმარისი სარწყავი წყალი, პროექტი რომ გამართლებულიყო. პროექტის მთავარი ინჟინრები და არქიტექტორები დააპატიმრეს. ორი დიზაინერი ადგილზე დახვრიტეს. ოცდასამი წლის შემდეგ, არხის კონსტრუქცია კვლავ განახლდა, ამჟამად, არა ადამიანის ძალის მეშვეობით, არამედ სახელმწიფოს საუკეთესო სამანქანო ძალით.

43

საბინა სიკვდილიდან მობრუნებულივით გრძნობდა თავს.

„აქედან როგორმე რომ გამიყვანა,“ ოცნებობდა ციხეში ყოფნისას, „ბედნიერად ვიცხოვრებდი მხოლოდ პურსა და წყალზე, მთელი დარჩენილი ცხოვრება.“

თითქმის სამი წლის განმავლობაში დამცირებაში, შიმშილსა და წელის წყვეტით შრომაში გატარების შემდეგ, ოცნება რეალობად ექცა. საბინამ საკუთარი ოცნება გაამხილა თავისუფლებაში. მისი დამტვრეული ნეკნები და დასისხლიანებული თითები, როგორც იქნა, განიკურნა. დაცვა, პეტრეს მსგავსად, გაყინულ წყალში აღარავის აგდებდა. მომავალი კვლავ ნათელი ჩანდა, მაგრამ ჩრდილებს ვერ ამჩნევდა ჰორიზონტზე.

სად არის შენი სამუშაო ბარათი? დაუყეფა სახელმწიფო მოხელემ სამთავრობო ოფისში.

საბინა საათობით იცდიდა რიგში; მაგრამ მე ხომ ყოფილი პატიმარი ვარ, ამბობდა ის.

ვერ დაგეხმარები, უპასუხა კაცმა. თუ სამუშაო ბარათი არა გაქვთ, კვების რაციონის ტალონსაც ვერ მიიღებთ. საბინამ კაბინეტი დატოვა და არ იცოდა საიდან მოვიდოდა მისი შემდეგი სადილისათვის საკვები.

მისი ტანჯვა არ შეწყვეტილა მას შემდეგ, რაც სასიკვდილო არხის სანაპიროდან თავი დააღწია. კომუნისტებს მისი სახლი ჩამოურთმევიათ ოლტენის ქუჩაზე, ბუქარესტის ისტორიულ ნაწილში, ვაკარესტის რაიონში. გრძელ რიგებში დგომისა და ფორმალური საბუთების შევსების შემდეგ, მას და მიხეილს უფლება მისცეს ყოფილი სახლის სხვენში გადასულიყვნენ საცხოვრებლად.

ცხელი ზაფხული და ზამთრის სიცივე ადასტურებდა სხვენის იზოლირების საჭიროებას. სოკოები ფარავდნენ ჭერს და ჩაზნექილი საწოლები დაგრეხილი მავთულებით ღამის ძილს გაუსაძლისს ხდიდა. ერთადერთი ფანჯრის მიღმა, აგურის კედელი ფარავდა ხედს. არც გამდინარე წყალი იყო და არც საპირფარეშო.

ყოფილი პატიმრები, საბინას მსგავსად, იძულებულნი იყვნენ ხალხით გადაჭედილ, ნახევრად დანგრეულ სახლებში ეცხოვრათ, გაცვეთილ ზეწრებში დაეძინათ და ამით გამთბარიყვნენ. საკვები და ელექტროენერგია იშვიათობას წარმოადგენდა, ხოლო ძვირფასი ნივთები სასიცოცხლოდ აუცილებელ ნივთებში იცვლებოდა. საბინას ერთ-ერთმა მეგობარმა ყველაფერი გაყიდა: დანა-ჩანგალი, თეთრეული, ნოხები, წიგნები, რათა ავადმყოფი მამისთვის წამლები ეყიდა.

უამრავი მეგობარი სტუმრობდა საბინას, დაპატიმრებული ნათესავების შესახებ ინფორმაციას სთხოვდნენ.

„საბინა, ფრთხილად იყავი რას ეტყვი ხალხს,“ სთხოვა ერთმა მეგობარმა. „*ინფორმატორები* არიან ყველგან!“

ჯანეტმა, იატაკქვეშა ეკლესიის თანამშრომელმა, მალე გაიზიარა საბინას დივანი. მარიეტა, ახალგაზრდა, ეპილეფსიით დაავადებული, ქალიც მათ შეუერთდა გადაჭედილ სხვენში საცხოვრებლად. როცა მარიეტა პირველად მოვიდა, ისე ჩაშავებოდა თვალები, როგორც მის გაცვეთილ ლაბადას. საბინასა და მიხეილს გადასცა პატარა ყუთი, რომელშიც ორი ფუნთუშა და დელიკატესი იდო, რომლის საყიდლადაც ორი საათის განმავლობაში იდგა რიგში.

„რა კარგად ხართ აქ მოწყობილები!“ თქვა მარიეტამ, როცა გაზქურაზე შემწვარი კარტოფილის სუნი იგრძნო. მცირე საკვები ყველამ ერთად გაიზიარა.

მარიეტა, აშკარაა, რომ ეს ბინა არ არის. ეს ძველი სასაწყობე ოთახია, სადაც ხარახურებს ვინახავდით დაბლა როცა ვცხოვრობდით, დაიწყო საბინამ, მაგრამ თუ მოგწონს, შეგვიძლია მეორე საწოლიც ჩავამატოთ, როგორღაც. დარწმუნებული ვარ, რომ მატრასს სადღაც ვიშოვით.

თავი 43

ოცდაათი წლის შემდეგ, ოლტენის ქუჩა მიწასთან გაასწორეს. საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვან კულტურულ და რელიგიურ ადგილს წარმოადგენდა, ახლა კი მიწასთან გაასწორეს ბინებისა და სამთავრობო შენობების ასაშენებლად. საბინა და მისი ვაჟი თავის მეგობრებთან ერთად ჰატარა სხვენში ცხოვრობდნენ, რკინის ფარდის მიღმა.

44

როცა რიჩარდმა საბინას გათავისუფლების შესახებ შეიტყო, სულით გამხნევდა და მისი უპირველესი მისია სულთანიუკის მოქცევა გახდა. საკუთარი ჯანმრთელობის გაწირვითა და სტრეპტომიცინის მისთვის მიცემით, რიჩარდმა თანასაკნელთან საუბარი წამოიწყო: იოსებს, კარგი ბუნების მქონე, თვრამეტიოდე წლის ახალგაზრდას, რომელიც საიდუმლო პოლიციამ გერმანიაში საკუთარ დასთან დაკავშირების გამო დააკავა, ბრალი დასდეს პოლიტიკურ ღალატში. სასტიკად აწამეს და საბინასგან არც თუ ისე შორს, დანუბეს არხის მშენებლობაზე, სამუშაოდ გააგზავნეს, სადაც ტუბერკულოზი გადაიტანა. წყლულმა მისი ახალგაზრდული სახე დაამახინჯა.

მძულს ღმერთი! განაცხადა იოსებმა, დაცვას დავუძახებ, მარტო დამტოვე!

რიჩარდი ფიქრობდა, ნეტავ იოსები ხომ არ იყო საიდუმლო პოლიციის მიერ გამოგზავნილი მის დასასმენად. როცა გამოძიება პატიმრებისგან საჭირო ინფორმაციის გამოძალვაში დამარცხდა, ჯაშუშები შემოაგზავნეს ციხეში. იოსები შეიძლება ჯაშუში იყო.

სულთანიუკი სიკვდილის საშიშროების წინაშე იდგა. რისკი ჯილდოს ფასად ღირდა.

რიჩარდმა იოსებს სთხოვა სულთანიუკისთვის ეთქვა, რომ ფაშისტებისადმი სიმპათიით გამსჭვალულმა ადამიანმა მოიტანა სტრეპტომიცინი მისთვის. შემდეგ რიჩარდმა დაიფიცა სულთანიუკთან და ამტკიცებდა, რომ ეს წამალი მას არ ეკუთვნოდა. სიკვდილის ზღვარზე მყოფმა ფაშისტმა, საბოლოოდ, მიიღო ფხვნილი და რამდენიმე დღეში მისი ჯანმრთელობა

საგრძნობლად გაუმჯობესდა. სტრეპტომიცინი სინამდვილეში ჩემი კი არა ღვთისაა, მოგვიანებით აუხსნა რიჩარდმა იოსებს. როგორც კი წამალი მოიტანეს, იმ წუთშივე ღმერთს გადავეცი ის.

პატიმარმა, კათოლიკე ეპისკოპოსმა, ყური მოკრა ამ საუბარს და რიჩარდის ეთიკა კითხვის ქვეშ დააყენა. როცა კომუნისტებთან დაკითხვაზე ხართ, ბატონო ვურმბრანდ, არ გრძნობთ, რომ სიმართლე უნდა ილაპარაკოთ?

რა თქმა უნდა, არა, უპასუხა რიჩარდმა. ეჭვიც არ მეპარება, რომ თავში რაც მომივა ყველაფერი უნდა ვუთხრა მათ, თუკი ჩემი ნათქვამი ჩემს მეგობრებს ხაფანგს დაუგებს. უნდა ვუთხრა თუ არა მათ ის ინფორმაცია, რომელსაც ეკლესიისადმი თავდასხმისათვის გამოიყენებებ? მე ღვთის მსახური ვარ! აქ „ტყუილი“ გამოიყენება იმისათვის, რაშიც ჩვენი სინდისი გვკარნახობს, რომ მართალია. ჭეშმარიტებას პატივს ვცემ, მაგრამ მოვიტყუებოდი მეგობრის გადასარჩენად.

მაშინ ტყუილს რას ეძახით? იკითხა იოსებმა.

ჩემგან რატომ მოელით ამ სიტყვის განმარტებას? თქვენივე საკუთარი სინდისი თუ სულიწმინდა გეტყვით ცხოვრების ყოველ ეტაპზე რა უნდა თქვათ და რა არა. არ ფიქრობთ, რომ სულთანიუკთან სტრეპტომიცინის გამო დადებული ფიცი ტყუილია, არა?

- არა, თქვა იოსებმა და ღიმილმა გადაუარა სახეზე. ეს სიყვარულის საქმე გახლდათ.

რიჩარდმა ლმობიერება შენიშნა იოსებში და ჰკითხა, რატომ ამბობ, რომ ღმერთი გძულს?

რატომ? თქვა იოსებმა. მითხარი, რატომ გააჩინა ღმერთმა ტუბერკულოზის მიკრობი.“

აგიხსნი, უთხრა რიჩარდმა, თუ ჩუმად მომისმენ.

იოსები თავით ხელებს დაეყრდნო. მთელი ღამეც მოგისმენ თუ ამას შეძლებ.

ერთი ცოცხალი ბაცილა წარმოქმნის ცომის ფერმენტს, თქვა რიჩარდმა, მეორე ცოცხლობს და აზიანებს ბავშვის ფილტვებს. არცერთმა ბაქტერიამ არ იცის რას აკეთებს, მაგრამ მე მომწონს

პირველი და არა მეორე. ასე რომ, საგნები თავისთავად არ არიან კარგი ან ცუდი; ჩვენ ვანიჭებთ ისეთ სახელებს, რაც ჩვენთვის არის მოსახერხებელი. გვსურს, რომ მთელი სამყარო ჩვენს მოთხოვნებს შეესაბამებოდეს, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მის უმნიშვნელო, პატარა, ნაწილს წარმოვადგენთ. რასაც ჩვენ ცუდს ვუწოდებთ, ის ხშირად „დაუსრულებელი კარგია“.

ეს საკმარისი იქნება ჩემი შემთხვევის დასამტკიცებლად, თქვა იოსებმა.

ერთი კაცი, სახელად იოსები, ცხოვრობდა ოთხი ათასი წლის წინ. მისმა ძმებმა მონად გაყიდეს და იოსები ბევრი უსამართლობით დაიტანჯა ეგვიპტეში. შემდეგ, პირველი მინისტრი გახდა, მან შეძლო ქვეყნისა და მისი უმადური ძმების შიმშილით სიკვდილისაგან დახსნა. იოსების მსგავსად, ვიდრე ისტორიის დასასრულს არ მიაღწევ, ვერასოდეს შეძლებ გაიგო ცუდი იყო თუ კარგი ის, რაც მოხდა.

„და ისინი, ვინც ვერ იცოცხლებენ და თავისუფლებას ვერ მოესწრებიან?“ იკითხა იოსებმა. „ლაზარე სიღარიბესა და ავადმყოფობაში მოკვდა, მაგრამ იესო გვეუბნება იგავს, რომ ანგელოზებმა მარადიულ სასუფეველში მიიყვანეს ის. (ლუკა 16:20-22). სიკვდილის შემდეგ ყველა ჩვენგანი მიიღებს საზღაურს. როცა ყელაფრის დასასრულს დავინახავთ, ვიმედოვნებთ, რომ მხოლოდ მაშინ გავიგებთ ყოველივეს.“

რამდენიმე კვირის შემდეგ, იოსებმა მიიღო ცნობა, რომ ციხიდან გაათავისუფლებდნენ. მისი სამომავლო გეგმები ამერიკაში, დამოკიდებული გახლდათ ინგლისური ენის ცოდნაზე და რიჩარდიც დაპირდა, რომ ასწავლიდა ენას, მაგრამ იოსები ფიქრობდა, ტურბერკულოზისგან დამახინჯებული სახე ხომ არ შეუშლიდა ხელს სამსახურის დასაწყებად.

რიჩარდი ამხნევებდა ახალგაზრდა მეგობარს. „რუსი მწერალი ნოკოლაი ოსტროვსკი ბრმა იყო, პარალიზებული, იმდენად ღარიბი, რომ ნოველას გასახვევ ქაღალდზე წერდა. შილერი, გოპინი და კიტსიც ჩვენნაირად ტუბერკულოზით იყვნენ დაავადებულნი. დიდი ადამიანები ხშირად ავადობდნენ.

ხუცესო, დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, თქვა იოსებმა: თუ იესოც თქვენ გგავთ, მაშინ მე ისიც მიყვარს.“

*****

დაცვამ, რომელიც რიჩარდის საკანში შევიდა, მოითხოვა, რომ ტანთ ჩაეცვა, ვიდრე ბორკილებიანს გრძელი დერეფნისკენ წაუძღვებოდა. მნახველი იცდიდა.

რკინის გისოსებიანი ფანჯრიდან, რიჩარდმა თვალი მოჰკრა ნაცნობ, მაგრამ გაძვალტყავებულ ფიგურას.

ჩემი ბიჭი! შეიძლება, რომ მართლა ის იყოს?

რიჩარდმა წლები გაატარა იმის წარმოსახვაში, თუ რას ეტყოდა მიხეილს, როცა შეხვდებოდა. ახსოვს, საბინამ რომ ფეხმძიმობის ამბავი ახარა, როგორც ცეკვავდა ახალგაზრდა წყვილი სიხარულისგან, პირმშოს ამქვეყნად მოვლინების შესაგებებლად. რას იფიქრებდა მიხეილი მამაზე? ნეტავ თუ იცნობდა?

დაცვა ოთახის ყველა კუთხეში იდგა, საუბარს ახლოდან აკვირდებოდნენ, მაგრამ რიჩარდისთვის ყველაფერი გაუჩინარდა: კედლები, ფანჯრები და გამომძიებლები, საუბარს რომ უსმენდნენ. რამდენადაც რიჩარდმა უწყოდა, მხოლოდ ორი ადამიანი იჯდა ოთახში: თმაშეთხელებული კაცი და მისი საყვარელი ვაჟი.

რიჩარდი განცვიფრებული შესცქეროდა შვილს თვალებში. ბიჭი ცხრა წლის იყო რიჩარდის დაპატიმრებისას. ახლა, ექვსი წლის შემდეგ, მისი ბიჭი უკვე კაცი იყო, რასაც მის სახეზე წამოზრდილი წვერიც ადასტურებდა.

„დედა ამბობს, ციხეშიც რომ მოკვდე, მაინც არ დავნაღვლიანდებით, რადგან ყველა სამოთხეში შევხვდებით ერთმანეთს.“

როგორ არის დედა? იკითხა რიჩარდმა. საკმარისი საკვები გაქვთ სახლში?

თითქმის უკვე კარგად არის, თქვა მან. საკვებიც გვაქვს, მამაჩვენი ძალიან მდიდარია.

მიხეილი ბიბლიის მუხლებით საუბრობდა, იმდენად მცირე ინფორმაციას ამხელდა საბინას შესახებ, რომ დაცვას არანაირი მიზეზი ჰქონოდა მის დასასმენად. რიჩარდის სული ჰაერში ლივლივებდა იმის გაგონებისას, თუ როგორ დაიცვა ღმერთმა მისი ოჯახი. ასობით სხვა პატიმრისგან განსხვავებით, საბინამ განქორწინების განცხადებას ხელი არ მოაწერა. კარგი ამბავი იმაზე უფრო ძლიერი იყო, ვიდრე სტრეპტომიცინი. მნიშვნელობა აღარ ჰქონდა რამდენი ბნელი წელიც არ უნდა გაეტარებინა ციხეში რიჩარდს, შეეძლო კომუნიზმის ბრჭყალებისათვის გაეძლო, იცოდა რა, რომ ბოლოს და ბოლოს, მისი ცოლი და ვაჟი უსაფრთხოდ იყვნენ.

45

უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაუმჯობესდა საბინას ჯანმრთელობა, თუმცა ყოველი ღრმა ამოსუნთქვისას ტკივილს გრძნობდა გატეხილი ნეკნების გამო. ექიმები, გაკვირვებულნი იყვნენ, რომ საბინამ საერთოდ გაუძლო ასეთ წამებას, არწმუნებდნენ, რომ ტკივილი დროებითი იყო და მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში გაივლიდა.

ერთ დილას, როდესაც საბინა ოლტენის ქუჩაზე მიდიოდა, დაბალმა, მოხუცმა, კაცმა ჩაუარა გვერდით. ვიდრე გავლისას მხარს გაკრავდა, იქამდე დაჟინებით მიაცქერდა ქალს. საბინას ამ კაცთან გასაუბრებაზე არც უფიქრია, ვიდრე რამდენიმე წუთის შემდეგ, ჯიბეში ხელი არ ჩაიყო და დაკეცილი ბროშურა არ ამოიღო.

ამ კაცს უნდა ჩაეცურებინა ეს ბროშურა ჯიბეში! გაიფიქრა. საბინამ ბროშურა გაშალა, სინათლისაკენ ასწია და შემდეგი სიტყვები წაიკითხა: „და იქნება იმ დღეს, რომ დაგასვენებს უფალი ტანჯვისა და წამებისაგან და მძიმე ჯაფისაგან, რომლითაც დამონებული იყავი“ (ესაია 14:3).

ეს კაცი ანგელოზი ხომ არ იყო?

საბინამ არ იცოდა, მაგრამ სიყვარულის გამოსხივებას გრძნობდა წერილიდან. ყველგან, სადაც კი მიიხედავდა, ღმერთის მოწყალე ხელს გრძნობდა. ბუქარესტი ისეთ კურთხევად იქცა მისთვის, როგორიც არასდროს ყოფილა. ქუჩაში გავლისას შემხვედრი ადამიანები მთელი სხეულით სიხარულის ტალღას უგზავნიდნენ. ომი ჯერ არ დასრულებულიყო, მაგრამ არც გამხნევება, რომელსაც ღმერთი უგზავნიდა იატაკქვეშა ეკლესიის წევრების მეშვეობით.

წლების შემდეგ გაიგო საბინამ იმ ქრისტიანული წინააღმდეგობის სახელი, რომელთანაც თანამშრომლობდა. კომუნისტური რკინისებრი ბრჭყალების ქვეშ, იატაკქვეშა ეკლესიას არც ორგანიზებული სახელი ჰქონდა და არც ეტიკეტი. ის არ ამაყობდა კოშკებიანი კათედრალებით ან მღვიმის ფორმის მქონე ეკლესიის შენობებით. მის ხუცესებს არ ემოსათ საგულდაგულო მანტიები ან კაბები. სინამდვილეში, თეოლოგიური ტრენინგითა და ხარისხითაც კი ვერ გამოარჩევდი, რომელიც ერთ დროს მიეღოთ. იატაკქვეშა ეკლესია არ იცავდა კომუნისტურ კანონებს და ეს გახლდათ მათთვის გამორჩეული სულიერი ნიშანი. ისინი იყვნენ ქრისტეს მიმდევრები, რომლებიც თავიანთ მოვალეობას, არც მეტი, არც ნაკლები, ღვთის შიშითა და სულიწმინდისადმი მორჩილებით ასრულებდნენ. იატაკქვეშა ეკლესია ყოველთვის არსებობდა. მისი არსებობის ისტორიის განმავლობაში ღმერთმა მოუწოდა მრავალ ქრისტიანს, რომელსაც არ შეეძლო თავისუფლად ან დასჯის შიშის გარეშე თაყვანისცემა. მრავალი თაობა საკუთარი სიცოცხლის ფასად იკრიბებოდა გამოქვაბულებში საიდუმლოდ; ერთადერთი ჭეშმარიტი და მოსიყვარულე ქრისტეს თაყვანისსაცემად.

საბინამ იცოდა, ვიდრე ბოროტი მთავრობა იარსებებდა, იქამდე იატაკქვეშა ეკლესიაც იარსებებდა. გათავისუფლების შემდეგ, მთელი თავისი ცხოვრება ღვთის მადლის გამოვლინების შესახებ ქადაგებას დაუთმო. ვინც შეშინებულნი იყვნენ უხსნიდა, თუ რამდენად თავისუფლები არიან ქრისტიანები, იმ ქალაქის მკვიდრნი, რომლის მშენებელი და არქიტექტორიც არის ღმერთი. ადამიანებისათვის ამ ჭეშამრიტების სწავლება გახდა საბინას მთავარი მსახურება; მისმა ციხეში გატარებულმა დრომ კიდევ უფრო განამტკიცა მისი სიტყვა.

ზოგიერთი მეგობარი საბინას თავს არიდებდა. სამსახურის დაკარგვის ეშინოდათ და მის ბინასთან ახლოს მისვლასაც

ვერ ბედავდნენ. ზოგიერთებმა საერთოდ უარყვეს. როცა ავტორიტეტული პირები საბინას შესახებ ეკითხებოდნენ, ამტკიცებდნენ, რომ არც არასოდეს იცნობდნენ მას.

ერთხელ, საბინამ იმუნივერსიტეტს ჩაუარა, ახალგაზრდობაში რომ სწავლობდა და ნაცნობი პროფესორი დაინახა. საბინა პროფესორს მაშინ მიესალმა, როცა მისმა კოლეგამ ჩაიარა. პროფესორი საუბარში ჩაერია და უთხრა: „გეშლებათ, ქალბატონო. მე თქვენ არ გიცნობთ“ და სირცხვილისაგან სახე აარიდა, თვალებშიც რომ ვერ შეხედა.

ახლა, ორი ლუთერანი ხუცესი ხელმძღვანელობდა ვურმბრანდების ეკლესიას. ძალისხმევას არ იშურებდნენ მრევლის დასამწყემსად, მაგრამ მათი სწავლება წიგნიდან იყო და არა ციხის გამოცდილებიდან. შეეძლოთ დიდი ინფორმაცია მოეძიებინათ წინა საუკუნეების ცოდნა-გამოცდილებიდან, მაგრამ კომუნისტურ რუმინეთში ამ ცოდნის პრაქტიკაში განხორციელება უჭირდათ. ორი ხუცესისაგან განსხვავებით, საბინამ მოწიწებით შთააგონა თემი. ხანდახან უამრავი ადამიანის მასთან მისვლა წინამძღოლობის სათხოვნელად, უხერხულად აგრძნობინებდა თავს. საბინას სახლის კარი მუდამ ღია იყო ასობით განსაცდელში მყოფი ადამიანის გასამხნევებლად და რჩევის, ნუგეშისა და ლოცვის მისაღებად.

მთელ რუმინეთში საბინასნაირი ადამიანები ყველასთვის სამაგალითონი იყვნენ, რადგან მათ დიდი ტანჯვა გადაიტანეს რწმენის გამო. ადრეული ეკლესიის პირობებში დევნილ მამებსა და დედებს მაღალ კვარცხლბეკზე აყენებდნენ. ზოგიერთები მათ გმირებივით და წმინდანებივით ეთაყვანებოდნენ. საბინას ბაგიდან გამომავალი ყოველი სიტყვა განმარტეს, როგორც სახარებისეული ჭეშმარიტება. მან უარი თქვა პოპულარობასა და კერპთაყვანისმცემლურ დამოკიდებულებაზე; ყოველთვის აჩერებდა მის ზედმეტად შემფასებლებს და ახსენებდა, რომ ის უბრალოდ ქრისტეს მსახური იყო.

წამებულები არ ქმნიან ჭეშმარიტებას, იცოდა საბინამ. ჭეშმარიტება ქმნის წამებულებს.

*****

დედა, სკოლა დავამთავრე, თქვა მიხეილმა. ერთ დღეს ადრე დაბრუნდა სახლში, მისი თვალები თავდაჯერებულობითა და შეუპოვრობით ციმციმებდა.

- რას ნიშნავს დაამთავრე? - იკითხა საბინამ.

- უკან აღარ დავბრუნდები.

საბინა ვერ ხვდებოდა. კი მაგრამ სწავლა უნდა გააგრძელო.

- იქ არა! თქვა მიხეილმა და დედას აუხსნა, რომ კომუნისტებმა აირჩიეს ახალგაზრდული მოძრაობის ღირსების წევრობის კანდიდატად; ღირსება მხოლოდ საუკეთესო მოსწავლეებს ენიჭებათ. ნომინაციის მისაღებად, მიხეილს წითელი ყელსახვევის გაკეთება უბრძანეს, რაზეც უარი განაცხადა.

წითელ ყელსახვევს არ გავიკეთებ, უთხრა თავის მასწავლებელს. ეს იმ პარტიის ნიშანია, მამაჩემი რომ ციხეში ჰყავს გამოკეტილი.

მასწავლებელს, თვითონაც რომ ებრაელი იყო - სძულდა თავისი სამსახური, რადგან თავისუფლად არ შეეძლო საგნის მნიშვნელობის სწავლება. კომუნისტები ქვეყნის ყველა მასწავლებელს აიძულებდნენ კომუნისტური იდეის გაკვეთილის გეგმებში ჩართვას. საბინამ იცოდა, რომ რუმინეთი ნამდვილი კომუნისტური ქვეყანა არ იყო. ეს იყო კომუნისტების მიერ რეპრესირებული ქვეყანა.

მეორე დღეს მასწავლებელი სიხარულით შეეგება სკოლაში მისულ მიხეილს. მზად იყო იმ ფაქტისთვის, რომ მას სკოლა უნდა დაეტოვებინა და ხელები გადაჰხვია. მიხეილი იმ წუთიდან სკოლაში ყველაზე დაცული ბავშვი გახდა. სხვა მასწავლებლებმა იცოდნენ, რომ ის პოლიტიკური პატიმრის შვილი იყო და პატივს სცემდნენ მის მხნეობას. ხანდახან, მიხეილი ადგებოდა ხოლმე კლასში და ათეისტურ პროპაგანდას აპროტესტებდა. თინეიჯერი

იყო და ყოველთვის ვერ ახერხებდა გამარჯვებას, მაგრამ თავის რწმენას მაინც იცავდა.

*****

ბიცოლა ალისამ არაოფიციალურად იშვილა მიხეილი, საბინას ციხეში ყოფნის დროს. „ახლა შენ იქნები დედაჩემი," უთხრა მიხეილმა ალისას. საბინას შვილი თერთმეტი წლისა იყო, როცა ალისამ მასზე ზრუნვა დაიწყო. მნიშვნელოვანი სასწავლო განყოფილების უფროსი იყო იქამდე, ვიდრე თანამდებობიდან გაათავისუფლებდნენ იმის გამო, რომ კომუნისტურ პარტიაში შესვლაზე უარი განაცხადა. ალისამ მოახერხა მასწავლებლობის სურვილის დაკმაყოფილება და ფრანგულს ასწავლიდა, მიხეილისნაირ ბავშვებს გამოცდებისთვის მომზადებაში ეხმარებოდა.

როცა მოხუცმა ცოლ-ქმარმა ალისას შესახებ შეიტყვეს, ორი დღე იმგზავრეს მისთვის დიდი თანხის გადასაცემად. ყველა წვრილმან დახმარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქალბატონმა, სახელად მიხაილოვიჩმა, სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დააყენა, ასობით კილომეტრი გამოიარა სოფლიდან ბუქარესტში და ყველაფერი ალისას მისცა, რაც კი გააჩნდა. ერთადერთი კარტოფილით სავსე ტომარა დაეხმარა ალისას მიხეილის გაზრდაში. როცა ამის შესახებ პოლიციამ გაიგო, მოხუცებული ქალი ისე სცემეს, რომ მდგომარეობიდან ვეღარ გამოვიდა.

ალისასთვის სიღარიბეს ხელი არ შეუშლია მიხეილის ოჯახის წევრად აღიარებაში. ამავდროულად, მოხუც მამაზეც ზრუნავდა. სამივე მათგანი ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდნენ და ალისა რასაც გამოიმუშავებდა, ყველაფერს საარსებო წყაროს შესაძენად იყენებდა.

ალისა ზრუნავდა სხვა სამოქალაქო უფლებაჩამორთმეულ ბავშვებზეც, რომელთა მშობლებიც მოკლეს ან დააპატიმრეს. მისმა გაბედულმა ქმედებამ უამრავი ბავშვი გადაარჩინა ქუჩაში ცხოვრებას, შიმშილსა და სავარაუდოდ, ქუჩაში არსებული

საშიშროებისგან სიკვდილს. ალისას დამსახურებით შეეგება ციხიდან დაბრუნებულ დედას იმ სიტყვებით, რომელიც არასოდეს დაავიწყდება საბინას: „დედა, მე შენს მხარეს ვარ და უფალი მიყვარს.“

სკოლა დიდ სირთულეს უქმნიდა მიხეილს. მასწავლებლები ყველა საგანში ათეისტურ პროპაგანდას ურევდნენ, მეცნიერებიდან დაწყებული ლიტერატურით დამთავრებული. ბავშვებს ტვინს ურეცხავდნენ ყოველდღე კომუნისტური ფილმების ჩვენებით. გაკვეთილებზე კიცხავდნენ ქრისტიანობას. ყველა სკოლას ჰქონდა ბიბლიოთეკაში „უღმერთობის კუთხე“, რომელიც ისეთ წიგნებს შეიცავდა, ფერადი სურათებით, სადაც გამოსახული იყო მღვდლებისა და ხუცესების ამორალური სურათები და ცუდი საქციელი. საბინა ეხმარებოდა შვილს პროპაგანდასთან წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლისადმი მორჩილებასაც ავალდებულებდნენ. ერთ დროს, თვითონაც ხომ ათეისტი იყო და იცოდა, როგორ დაეცვა მიხეილი ტვინის გამორეცხვისგან. რიჩარდი დაეხმარა საბინას ამ ეჭვებისაგან გათავისუფლებაში.

ერთხელ, რიჩარდმა უთხრა საბინას, რომ არავინ ითხოვს ბუნების არსებობის შესახებ მტკიცებულებას-რადგან ის ჩვენს გარშემოა. ანალოგიურად, სულიერი არსებებიც ხედავენ საგნებს, რომლებიც რეალურად არსებობენ და ჭეშმარიტებაა ბუნებრივ სამყაროში განცდილი გამოცდილებების მსგავსად. მაგალითად, სულიწმინდის დანახვა წარმოუდგენელია ადამიანის თვალისთვის, მაგრამ არცერთი სულიწმინდით აღვსილი ქრისტიანი არ უარყოფს მის არსებობას. იესომ სულიწმინდა ქარს შეადარა და თქვა, „ქარი დაჰქრის, სადაც მოისურვებს და გესმით მისი ხმა, მაგრამ არ იცით საიდან მოდის და სად მიდის“ (იოანე 3:8).

საბინა ქარს ვერ ხედავდა, მაგრამ მის ზეგავლენასაც ვერ უარყოფდა. ანალოგიურად, იმედოვნებდა, რომ მიხეილსაც შთააგონებდა იმავეს. რწმენა, რომელიც ქარის ძლიერ ტალღას ჰგავდა, მის ამაღლებას მაშინ შეძლებდა, როცა მიენდობოდა და მის ძალას იხილავდა.

თავი 45

ეკლესიას სულიერ მხარესთან ერთად ადამიანური მხარეც გააჩნია, უთხრა საბინამ მიხეილს, სკოლაში განსაკუთრებულად მძიმე დღის შემდეგ. ღვთის ძალა ვლინდება ქრისტიანის ცოდვის მონანიებასა და პატიებაში. ვურმბრანდები იცნობდნენ ბევრ ხუცესს, რომლებიც დიდ ცოდვაში ჩავარდნილან, მაგრამ საბინა ეუბნებოდა მიხეილს, რომ მის სკოლაში არსებული კომუნისტური ლიტერატურა არასოდეს საუბრობდა იმის შესახებ, თუ როგორი დანაშაულისა და სინანულის განცდაში იყვნენ ხუცესები ცოდვის ჩადენის შემდეგ. ისინი მხოლოდ ცოდვიან მხარეს აჩვენებენ, თქვა მან. ყველას ეშლება. მხოლოდ მონანიების შემდეგ ანათებს ღვთის მადლი.

ერთ დღეს, მიხეილის მასწავლებელმა ბავშვებს უთხრა, რომ მეფე დავითი იყო კაცის მკვლელი და მრუში. მიხეილი სკოლიდან მოვიდა და დედას ჰკითხა: რატომ უნდოდა მეფე დავითს ურიას ცოლთან ქორწინება? ბიბლია არ მალავს ჭეშმარიტებას, უპასუხა საბინამ. ის გვიამბობს ადამიანზე, რომელიც ცოდავს და შეცდომებს ჩადის. როცა შენ თვითონ წაიკითხავ ამ ისტორიებს, დაინახავ, რომ კომუნისტები იტყუებიან და ანგრევენ ჭეშმარიტებას.

ყველა ქრისტიანი დედა იბრძოდა იმ ბრძოლით, რომელსაც საბინა გადიოდა. კომუნისტები დილით იკავებდნენ ბავშვების გონებაში ადგილს და დედები საღამოობით მას უკან იბრუნებდნენ. მარქსისტებს ყველა იარაღი ხელთ ეპყრათ: მასწავლებლები, ლიტერატურა, ფილმები და რადიო, მაგრამ მიხეილს მასზე ძლიერი იარაღი ჰქონდა - დედამისის მტკიცე ქრისტიანობა. თეორიებსა და ფილოსოფიურ საკითხებზე დავა შეიძლებოდა, მაგრამ არავის შეეძლო დავა მლოცველ დედასთან. საბინამ და სხვა ქრისტიანმა ქალებმა ისწავლეს, როგორ გამხდარიყვნენ ევროპის ბრძოლის ველზე მყოფი მებრძოლებივით. თუ წინა ფრონტზე ვერ შეებრძოლებოდნენ მტერს, დარწმუნებულები იყვნენ, რომ სახლში მაინც შეუშლიდნენ ხელს მტრის დაწინაურებას და დაამარცხებდნენ.

*****

დევნის მიუხედავად, იატაკქვეშა ეკლესიას არ დავიწყებია მოვალეობა და ობოლი ბავშვები ზრუნვის გარეშე არ მიუტოვებია. ეკლესიის ზოგიერთმა წევრმა ბუქარესტი დატოვა, საიდუმლო პოლიციის ინფორმატორებად გადაქცევის შიშით. ზოგიერთები მაინც მოექცნენ მათი ზეწოლის ქვეშ. სხვა ქრისტიანების დასმენის ცდუნება იმდენად ძლიერი გახდა ბუქარესტში, რომ ხშირად უღებდა საბინა კარს იმ ქრისტიანებს, ამა თუ იმ დანაშაულის აღიარების თქმა და მონანიება რომ სურდათ.

მახეში გავებით, უთხრა ერთმა ქალბატონმა საბინას, ჩვენ გვიყვარს უფალი - გვიყვარხართ შენც და მიხეილიც - მაგრამ ვერ ვუძლებთ ამ მუქარასა და შევიწროვებას.

საბინა უსმენდა ქალბატონის აღიარებას: ჩემი ქმარი სამსახურს დაკარგავს ან ციხეში გააგზავნიან. უნდა ვუთხრათ ყელას სახელი, ვინც ეკლესიაში დადის და ასევე, რას ამბობენ ისინი. ვცდილობთ, მხოლოდ ის ვუთხრათ, რაც არ დაგაზიანებთ, მაგრამ გაფრთხილდით!

კომუნისტები ოჯახების დაყოფას შეცოდებით ახერხებდნენ. თუ სახელმწიფო წარმატებას ვერ მიაღწევდა ბავშვების მიერ მშობლების დასმენის საქმეში, ყოველთვის გამოჩნდებოდა გრძელცხვირა მეზობელი, კოლეგა ან მეგობარი, რომელიც მათ დაასმენდა. საიდუმლო პოლიციას უზარმაზარი და დეტალური ინფორმაცია ჰქონდა მოძიებული საბინას ცხოვრების შესახებ: საკვები, რომელსაც ყიდულობდა, რას ამზადებდა სადილად, სად მიდიოდა, რომელ ქუჩებში დადიოდა და ადამიანები, რომლებსაც კვირის განმავლობაში ესაუბრებოდა. პოლიცია გოგონებს დაკითხვას უწყობდა იმ ბიჭების შესახებ, რომლებთანაც ისინი პაემანზე დადიოდნენ. ყოველი ინფორმაციის სიზუსტე შემოწმებული იყო, ჯვარედინული დაკითხვის მეთოდის სიზუსტით ამოწმებდნენ საიდუმლო პოლიციის სათაო ოფისში და იმედოვნებდნენ, რომ ყველა ქრისტიანს დაიჭერდნენ და დააპატიმრებდნენ.

საიდუმლოება გახდა ეკლესიის დაცვის ყველაზე ძლიერი იარაღი. ყოველი ღონისძიება, ტანსაცმლის გარეცხვიდან ჩვეულებრივი საუბრით დასრულებული, განზრახ რეგულაციაში უნდა მოხვედრილიყო. ჯაშუშები იყვნენ ყველგან. ისინი იყვნენ ქრისტიანები, რომელთაც კომუნისტური წითელი ყელსახვევები ეკეთათ. ზოგიერთებს მეტად საპატივსაცემო თანამდებობაც კი ეკავათ სახელმწიფოს სათავეში. ხშირად, შორ მოგზაურობაში მიდიოდნენ სამსახურიდან სოფლებში, ქორწინების ცერემონიალის ჩასატარებლად ან თავიანთი შვილების იატაკქვეშა ეკლესიის წევრებად მოსანათლად.

საბინა ასობით ინფორმატორს ესაუბრა თავის სხვენში. ის ყოველთვის ეუბნებოდა მათ: თქვენი მონანიების გულწრფელობა ახლა ჩვენთან დაადასტურეთ. გვითხარით, იმ ოფიცრების სახელები, ვისგანაც ბრძანებებს იღებთ. გვითხარით, სად და როდის ხვდებით მათ.

ინფორმატორებიდან მიღებული ინფორმაციით საბინამ ასობით ადამიანის სიცოცხლე დაიხსნა და დაპატიმრებას გადაარჩინა. დააარსა ფარული ორგანიზაცია, რომელიც ხელს უშლიდა საიდუმლო პოლიციას ქრისტიანების დაპატიმრებაში. სხვების დახმარებით, იატაკქვეშა ეკლესიაში, საბინა საიდუმლო პილოციას ჯაშუშობდა, თვალყურს ადევნებდა მათ საქმიანობას და ქრისტიან ოჯახებს წინასწარ აფრთხილებდა მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. ის თვალყურს ადევნებდა, პოლიციის მიერ ქუჩებში თვალთვალს, სურათებს უღებდა და მათ კონტაქტებს შეისწავლიდა.

პოლიციის მთავარი ინფორმატორის, პოლკოვნიკ შირკანუსაგან, რაიმეს შეტყობა რთული იყო, მაგრამ საბინამ ისეთი ძალისხმევა გამოიჩინა მის მიმართ, როგორიც საბინასგან ინფორმაციის მოპოვებისას არ დაინანა თავად. ყოველდღე, საბინა მაშინ გამოდიოდა სახლიდან, როცა შირკანუ დაუღალავად უთვალთვალებდა და მის ყოველდღიურ ჩვევებს სწავლობდა. საბოლოოდ, მისი დიდი სამეგობრო წრის აღმოჩენის შემდეგ, საბინას მეთოდმა შედეგი გამოიღო, ხუცესები და სხვა ოჯახები

გადაარჩინა დაკითხვას, რასაც სხვაგვარად ვერ აიცილებდნენ. იატაკქვეშა ეკლესია ნებისმიერი ფასის სანაცვლოდ უნდა დაეცვათ, ინფორმატორების სათითაოდ თავდასხმაც რომ ყოფილიყო ამისთვის საჭირო.

მიხეილი იდეალური ჯაშუში გახდა. ახალგაზრდა და ძნელად ამოსაცნობი, თვალყურს ადევნებდა ინფორმატორების ადგილსამყოფელს და დედამისს აწვდიდა ინფორმაციას, თინეიჯერის ჩვეულებრივი პრობლემების გარდა. მიხეილი იატაკქვეშა ეკლესიას ეხმარებოდა და მრავალ ადამიანს მხნეობას მატებდა.

მიხეილმა და საბინამ იცოდნენ, რომ ერთი მცდარი ნაბიჯი - მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენად დიდი ან პატარა - და ისინი მათი დაპატიმრების საბაბი გახდებოდნენ, ან სულაც უარესი.

46

მიხეილი სიცილით დაბრუნდა სკოლიდან, საბინამ ეს შენიშნა. მან დედას ხუმრობა უამბო.

„ჰიტლერმა, ნაპოლეონმა და ალექსანდრე დიდმა ერთი დღე დაისვენეს ჯოჯოხეთში, მოსკოვის სამხედრო აღლუმზე დასასწრებად. ჰიტლერმა ტანკების მოძრავი მწკრივი შენიშნა და თქვა: რომ მცოდნოდა, წითელი არმია ასეთი ძლიერი იქნებოდა, რუსეთს არასოდეს შევებრძოლებოდი. ალექსანდრე დიდმა თქვა: ასეთი არმია რომ მყოლოდა, მთელ მსოფლიოს დავიპყრობდი. შემდეგ ნაპოლეონმა დაკვირვებით რომ შეისწავლა რუსული გაზეთი, თქვა: ისეთი მორჩილი გაზეთი რომ მქონოდა, როგორიც *„პრავდაა“*, მსოფლიო ვატერლოოს შესახებ ვერასოდეს გაიგებდა. საბინამ იცოდა, რომ მასწავლებლებისაგან გაიგო ეს ხუმრობა, მაგრამ იუმორმა ღიმილი მოჰგვარა. მისმა თხუთმეტი წლის ვაჟმა საშუალო სკოლა დაამთავრა და წინ ვეღარ წავიდა, რადგან პოლიტიკური პატიმრის შვილებს, კანონიერი უფლება არ ჰქონდათ, აკადემიური განათლება მიეღოთ, ამიტომ მიხეილს ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდა.

მამამისის ერთ-ერთმა ძველმა მეგობარმა, მიხეილის ფორტეპიანოს დაკვრის უნარის შესახებ შეიტყო და მის ასაწყობად სამსახური შესთავაზა.

მე სახელმწიფო ოპერაში ინსტრუმენტებს ვუვლი, უთხრა კაცმა. ერთი შეგირდი მჭირდება კარგი თითებითა და ყურით.

მიხეილს ორივეს ნიჭი ჰქონდა, მაგრამ სამუშაოს დასაწყებად თექვსმეტ გვერდიანი კითხვარი უნდა შეევსო. ორი მეზობლის მისამართი მაინც უნდა დაეწერა, ყველა იმ ქუჩიდან, რომელზეც

აქამდე უცხოვრია. უმჯობესია დარწმუნებული იყო, რა უნდა თქვა, როცა საიდუმლო პოლიცია მოგადგება, უთხრა კაცმა.

ერთ-ერთი შეკითხვა ასეთი იყო - მამათქვენი ოდესმე თუ ყოფილა დაპატიმრებული? მიხეილი ცოტა ხნით დაფიქრდა და დაწერა: არა. მერე თავის თავს ჩასჩურჩულა: სინამდვილეში, მამაჩემი ქუჩიდან *გაიტაცეს*, რაც დაპატიმრებას არ ნიშნავს.

მიხეილი ფორტეპიანოს ამწყობთან მუშაობდა და 80 ფუნტს გამოიმუშავებდა თვეში, რაც ძალიან დიდი თანხა გახლდათ მისი ღარიბი ოჯახისათვის. საკვების ტალონებსაც კი იღებდა, პურისა და სხვა პროდუქტების შეძენაც შეეძლო ადგილობრივ მაღაზიაში. რამდენიმეთვიანი სწავლის შემდეგ, მიხეილს შესანიშნავი სმენა ჩამოუყალიბდა და სწრაფად და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, აგნებდა პრობლემას. მამამისის მეგობარს იმდენად მოსწონდა მიხეილი, რომ დედამისს უთხრა: ამ საქმეს ორმოც წელზე მეტია, რაც ვაკეთებ, მაგრამ მიხეილი ჩემზე უკეთ ართმევს თავს საქმეს.

თვრამეტი თვის შემდეგ, მიხეილმა სამსახური დაკარგა. ვიღაცამ აცნობა ხელმძღვანელობას, რომ ის პოლიტიკური პატიმრის შვილი გახლდათ და ინსტრუმენტის ამწყობს სხვა გზა აღარ დარჩა, სამსახურიდან დაითხოვა ყმაწვილი. მიხეილი იმდენად დახელოვნდა მუსიკალური ინსტრუმენტების აწყობაში, რომ საკუთარი მომხმარებლები გაიჩინა ბუქარესტის მუსიკოსებში და ამ გზით, აგრძელებდა ოჯახისთვის თანხის გამომუშავებას.

საბინაც ასრულებდა უცნაურ საქმეებს ოჯახის დახმარების მიზნით. პირველად, გამოჩნდა აბრეშუმის ჭიის მოყვანის სარისკო საქმე კოოპერატივში, რომლის შესახებაც მარიეტამ წაიკითხა ჟურნალში. განცხადებაში ნათქვამი იყო აბრეშუმის ჭიის გამოყვანაზე სახლში, ასევე ეწერა: გაზარდეთ თქვენი შემოსავალი და დაეხმარეთ სოციალიზმს მშენებლობაში. მიხეილმა თავი ვერ შეიკავა და ხელოვნურად გაიცინა. მარიეტა საკუთარ თავს მდიდრული საღამოს კაბაში გამოწყობილს ხედავს, სახლში გამოყვანილი აბრეშუმისაგან რომ არის დამზადებული.

- არა, მართლა, თქვა მარიეტამ, ყური რომ მოჰკრა საუბარს. აბრეშუმი ძალიან დიდი ფულია!

მიხეილმა ჟურნალი აიღო. ეჰ, მაგრამ რასაც მოიყვან ყველაფერი მთავრობის კოოპერატივს უნდა ჩააბარო. რას ფიქრობ, რას მოგცემენ *ისინი* ამაში? სად უნდა დავსვათ ჭია? თუ ფიქრობ, რომ საჭმელს იმ მაგიდაზე მივირთმევ, შუაში რომ აბრეშუმის ჭუჭყიანი ყუთი დევს, ძალიან ცდებით.“

ყველამ გაიცინა.

საწოლის ქვეშ შეგიძლია დადო, ურჩია საბინამ.

- შენი საწოლის ქვეშ! დაუბრუნა მიხეილმა პასუხი.

მიუხედავად ყველაფრისა, ვურმბრანდებმა აბრეშუმის ჭიის მოვლა სამზარეულოს მაგიდაზე დაიწყეს. მიხეილი მოვლის ინსტრუქციას ხმამაღლა კითხულობდა: „როცა აბრეშუმის ჭია მზად არის პეპლად გამოსაჩეკად, საკუთარი თავის გარშემო პარკს ქსოვს საკუთარი სხეულიდან გამოსული ძაფით.“ ცოტა ხნით, გაჩერდა და საბინას შეხედა. უმჯობესია ფრთხილად იყო, დედა. ერთ დღეს, თავს მოხსნი და გაფრინდებიან.

მიხეილმა ბოლომდე წაიკითხა ბროშურა. ‘“როცა პარკი იშლება, რამდენიმე ასეულობით მეტრ ძაფს გვაძლევს“. ეს ცოტა უცნაური იქნება აქ, არა?

საბინა აბრეშუმის ჭიას იმ ყუთში ინახავდა, ზემოდან რომ ხვრელები გაუკეთა ჰაერისთვის. თითოეული ნაცრისფერი ჭია სამი ინჩის სიგრძისა იქნებოდა და თუთის ფოთოლს ჭამდა, მიხეილს რომ ახლომდებარე სასაფლაოდან მოჰქონდა, იმას. გასაოცარი სისწრაფით ზრდის შემდეგ, აბრეშუმის ჭიამ საკუთარი აბრეშუმის ძაფისაგან პარკი მოქსოვა.

ბოლოს, საბინამ აბრეშუმი გასაყიდად გაარჩია. ასეულობით აბრეშუმის პარკის გაკეთების შემდეგ, საბინამ ის კოოპერატივის ქარხანაში წაიღო ჩასაბარებლად.

ამდენი შრომის შემდეგ, საბინამ მხოლოდ ორი დღის საკვებისათვის საკმარისი გასამრჯელო გამოიმუშავა.

47

აბრეშუმის ჭიის მოყვანის შემდეგ, საბინამ გადაწყვიტა სხვა, პატარა ინდუსტრიული საამქროებისათვის მიემართა, მაგალითად, კერვისთვის და ქსოვისთვის. მიხეილის მიერ ფორტეპიანოს აწყობით გამომუშავებული თანხით, კონფისკირებული ბინა გამოისყიდეს.

საერთაშორისო ახალგაზრდული ფესტივალი ახლოვდებოდა და მსოფლიოს ირგვლივ მყოფი ყველა კომუნისტი თინეიჯერი უნდა შეკრებილიყო ბუქარესტში, ღონისძიებისთვის, სამი თვის განმავლობაში, მაშინ, როცა საკვები იშვიათობას წარმოადგენდა. მაღაზიებში საქონელი ამოიწურა და მშიერი ხალხის გრძელი რიგები იყო ქუჩებში. უსასრულო ლოდინის შემდეგ, საბინას ბედმა გაუღიმა და ერთი კუბიკი კარაქი და მცირეოდენი ფქვილი შეხვდა.

როგორცკი ფესტივალი დაიწყო, მაღაზიები ახალი პროდუქტით გაივსო. სამი კვირის განმავლობაში დელიკატესებით, ეგზოტიკური ხორცითა და ბოსტნეულით აივსო ქალაქში ყველა მაგიდა. რუმინელებს ომის დაწყების შემდეგ, ასე კარგად არ უჭამიათ.

ინდის ხურმის ყუთები ვნახე სახელმწიფო მაღაზიაში! - წამოიძახა მიხეილმა. ოქროს ქაღალდში გახვეული შოკოლადებიცაა!

საბინა ნებას რთავდა მიხეილს თავისი არჩევანით ეყიდა და ეჭამა საკვები, რადგან იცოდა, რომ ეს დიდხანს არ გაგრძელდებოდა. ფესტივალის დასრულებისთანავე რამდენიმეთვიანი საკვების სიმწირე გარანტირებული იყო. ახლა, შიმშილი ადრინდელზე უარესი იყო. ბუქარესტმა რეზერვები უცხოელი სტუმრების მოსატყუებლად გაფლანგა, იმის

მოსაჩვენებლად, რომ, თითქოს, რუმინელები ყოველდღიურად ასე ცხოვრობენ. ამ სიმართლეზე შორს აღარაფერი იქნებოდა.

პატიოსანი ოჯახებიც კი იძულებულნი იყვნენ საკვები მოეპარათ შვილების ცოცხლად დარჩენის მიზნით. ქარხნის მუშები კვირების განმავლობაში უხელფასოდ მუშაობდნენ. ბუქარესტი -ტყუილებითა და ჯაშუშებით სავსე ქალაქი - ძველებურად დაუბრუნდა მცირე რესურსებს.

იატაკქვეშა ეკლესიების ხუცესებმაც კი დაიწყეს კრიმინალურ საქმიანობებში მონაწილეობა. დაკავების შემდეგ, მათი მოძრაობის მთელი პასუხისმგებლობა მეუღლეებს დააწვათ კისერზე. საბინას მსგავსად, ათეულობით ქალბატონი გახდა თვითნასწავლი მსახური და მწირი თეოლოგიური ცოდნით, აგრძელებდნენ ქმრების საქმიანობას. ქალებმა ქადაგებაც ისწავლეს და გალობასაც უძღვებოდნენ. რუმინეთის ყველა მხრიდან მოდიოდნენ დაპატიმრებული ხუცესების ცოლები, ბუქარესტში რჩევის საკითხავად და მარტივი ტრენინგის გასავლელად. ქალები ქრისტიანულ ლიტერატურას კაბების ქვეშ მალავდნენ. როცა მარტო იყვნენ და არავინ უყურებდათ, შინაარსს იზეპირებდნენ და მსახურებაზე ყვებოდნენ.

კომუნიზმის დასამარცხებლად საჭირო იქნებოდა ყველა ქრისტიანი ჯარისკაცი - ქალი და კაცი. თუ ჭეშმარიტების ლამპრის მატარებელი კაცები არ იქნებოდნენ, მათ ცოლებს უნდა ეტარებინათ მათ ნაცვლად, რათა სახარებისეული სინათლე მუდამ განათებული ყოფილიყო.

ყველა ქრისტიანმა იცოდა ნიშანი - სამეზობლოში ანთებული სანთელი. შემდეგ, ქრისტიანები ჩუმად აუყვებოდნენ კიბეს, საიდუმლო პაროლით დააკაკუნებდნენ კარზე და პატარა ბინაში შევიდოდნენ. სარდაფებსა და მტვრიან სხვენებში იკრიბებოდა იატაკქვეშა ეკლესია თაყვანისცემის, მსახურებისა და ქადაგებისათვის. ქრისტიანები იძულებულნი იყვნენ ფანრიდან გამოსული სინათლის ფონზე, ვიწრო ადგილებში, ემსახურათ. რაც არ უნდა ბნელი და საძულველი ადგილი ყოფილიყო, მათთვის მაინც არ წარმოადგენდა ძალიან არაკომფორტულ ადგილს. იესო

იყო მათთვის ქვეყნიერების სინათლე და საბინამ იცოდა, რომ ის გაანათებდა ყველაზე ბნელ სარდაფსაც კი.

*****

ეკლესიის დევნა ხელს უწყობდა, ქრისტიანულ დენომინაციებს შორის, ერთ დროს, აღმართული კედლის ნგრევას. ტერორის ქვეშ, მნიშვნელობა არ ჰქონდა რომელი დენომინაციის წარმომადგენელი იქნებოდი-კათოლიკური, მართლმადიდებლური, ლუთერანული თუ მეთოდისტური. ღვთის ხალხმა, ახლა, უფრო ძლიერი ხიდი აღმოაჩინა ურთიერთობისთვის, ვიდრე კედელი, რომელიც ერთ დროს აშორებდათ. კომუნიზმის ქვეშ, რუმინელი ქრისტიანობა იმ რწმენას დაუბრუნდა, რომელსაც ქრისტეს შემდეგ, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მისდევდნენ ქრისტიანები.

როდესაც საბინა ხუცეს გრეკუს შეხვდა, მისი ტაქტიკა კომუნისტების წინააღმდეგ შეიცვალა. გრეკუ ეკუთვნოდა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ეკლესიას, რომელსაც სახელმწიფო ეთანხმებოდა და მეთვალყურეობდა. ხელისუფლებამ მას დიდი უფლება მისცა, რადგან მისი დაფარული ცოდვის - სმის შესახებ იცოდნენ. მსმელი მღვდლები კომუნისტების თვალში ქრისტიანობის შეცდომის შესანიშნავი მაგალითი გახლდნენ. მათ სურათებს ხშირად საზოგადოებრივ სივრცეში გამოფენდნენ ან სასკოლო წიგნებში აქვეყნებდნენ. რაც კომუნისტებმა არ იცოდნენ, ის იყო, რომ გრეკუ სასმელის სმას მათთან კარგ ურთიერთობაში დარჩენის მიზნით აგრძელებდა. მისი უარყოფითი თვისება მისი სიმტკიცე იყო; არასოდეს გამოუწვევია ეჭვი კომუნისტების თვალში მის მიზანს, არადა მოტივი იატაკქვეშა ეკლესიის დახმარებას წარმოადგენდა.

ხუცესი გრეკუ გახდა საბინას პირველი გამამხნევებელი და მხარდამჭერი. მისმა შრომამ, სახელმწიფოს მიერ დაწესებულ, ყველა შესაძლო ლიმიტს გადააჭარბა. გრეკუმ ასწავლა საბინას თუ როგორ გაეფილტრა ლენინის ტაქტიკის

კონკურენტი ორგანიზაცია. კომუნისტებმა წარმატებას მიაღწიეს სემინარიებისა და სამღვდელო სკოლების გაფილტვრაში, მაგრამ ამჯერად როლები შეიცვალა. ეკლესია გაფილტრავდა გამფილტვრელებს.

„ქრისტემ ტაძარს ქურდების ხარო უწოდა“ (მათე 21:13), ხუცესმა გრეკუმ განმარტა: მოციქულები შეგნებულად შრომობდნენ იქ ქრისტეს სიკვდილისა და აღდგომის შემდეგ. უცნაური მდგომარეობები იწვევენ უჩვეულო მოქმედებებს.

საბინა ყოყმანობდა, მაგრამ უამრავ ჩვენს და-ძმას ექნება მორალური დაბრკოლებები, თქვა მან. „თუ ისინი კომუნისტურ ორგანიზაციას შეუერთდებიან, მრავალი არასწორი რამის გაკეთებას მოსთხოვენ. ეკლესიის წევრები იძულებულნი იქნებიან დაემორჩილონ არასასურველი საქმის კეთებას. მათ ერთ თვეში აღმოაჩენენ და გამორიცხავენ.

ხუცესმა თავი დაიქნია, ზოგიერთი მათგანი შეიძლება კარგი მსახიობი იყოს. ახალგაზრდა თაობას ამის გაკეთება, შედარებით გაუადვილდება. არანაირი პრობლემა არ იქნება ახალგაზრდა კომუნისტთა რიგებში მათი გაწევრიანებისთვის, იქიდან პოლიციაში, შემდეგ კი საიდუმლო პოლიციასა და პარტიაში გადასვლისთვის. საბინამ მის ტაქტიკაში სიბრძნე დაინახა და ეკლესიაში სიის შედგენა დაიწყო მის დასახმარებლად. გონებაში ორიდან ერთ კატეგორიას მიანიჭა უპირატესობა, თუმცა მათი უმრავლესობა ვერ შეძლებდა ჯაშუშის როლის თამაშს. ტყუილი ძალიან დიდი იყო, მისია კი რთული შესასრულებელი იქნებოდა. საბინას მხოლოდ მცირეოდენი ადამიანის ამორჩევა შეეძლო სისტემის ფილტრაციისთვის. მათ უნდა ნდობოდა. მისიას, შესაძლოა, მათი დაპატიმრება ან სიკვდილი გამოეწვია. უნდა მიეღოთ თუ არა ეს გამოწვევა? ღრმად უნდა შეეღწიათ მტრის ტერიტორიაზე, სადაც იატაკქვეშა ეკლესია მათ ვერ დაიცავდა. ღალატი არ განიხილებოდა, რადგან უამრავი ადამიანის სიცოცხლე საფრთხის ქვეშ იდგა. ასი წევრიდან მხოლოდ ერთმა ადამიანმა იცოდა საბინას მოქცევის მისიაზე.

საბინას სახლში საუბრისას, ერთ საღამოს, ხუცესმა გრეკუმ ეჭვი გამოთქვა, რომ მშობლები შვილებს ასეთ დიდ საშიშროებაში მონაწილეობაზე არ დასთანხმდებოდნენ.

საბინამ უთხრა: როცა სკოლაში ვიყავი, დიდი მეფის, სტეფანეს, შესახებ გვიამბობდნენ ხოლმე. ერთხელ, დაჭრილი მიადგა თავისი სასახლის ციხე-სიმაგრეს. დედამისმა ჰკითხა, თუ ვინ იყო, რაზეც უპასუხა, რომ მისი შვილი, სტეფანე, იყო, თუმცა მან არ დაუჯერა. შენ ჩემი შვილი ვერ იქნები, უპასუხა დედამ. ის თავის ჯარს ველზე არ დატოვებდა და აქ არ მოვიდოდა, არამედ ბრძოლის ველზე დარჩებოდა მათთან ერთად. მე სხვანაირ შვილს არ ვიცნობ. საბინა იცნობდა მრავალ დედას, რომელიც თავის შვილს ღვთის სასუფევლის დედამიწაზე წინსვლისათვის გასწირავდა.

ისინი თავგანწირული ქალბატონები უნდა იყვნენ, თქვა გაოცებულმა გრეკუმ.

ვიცი, როგორ გრძნობენ თავს, უპასუხა საბინამ. თუ კომუნისტები ცდილობდნენ, რომ რიჩარდის სიკვდილი დაემტკიცებინათ ჩემთვის, უბრალოდ კი არ დავნაღვლიანდებოდი, ვიამაყებდი კიდეც. თუ დედა საკუთარი შვილის ქვეყნისათვის სიკვდილის გამო იამაყებს, რამდენად იამაყებს ის დედა, რომლის შვილიც იესო ქრისტესთვის ეწამა?

გრეკუ გაამხნევა მისმა გაბედულმა განცხადებამ. სიკვდილი სწრაფი პროცესია, თქვა მან. წამების სხვა ფორმებიც არსებობს.

ჯანეტა ჩაერია საუბარში: დიახ, მრავალი ფორმა არსებობს. შეიძლება, ამაღლებული რამ იყოს ღირსების შეწირვა ასეთი მიზეზით, ვიდრე თავისუფლების შეწირვა, სიცოცხლისაც კი.

ხუცესი წასასვლელად ადგა, მაგრამ კიდევ ერთხელ შეავლო თვალი მხნეობით სავსე ორ ქალბატონს და თქვა: რა საოცარი იქნება ცხოვრება იმ ქვეყანაში, რომელშიც ადამიანს არცერთი მათგანისთვის მსხვერპლის გაღება არ მოეთხოვება.

48

ერთ დღეს, მარიეტას მეგობარი, ტრუდი, ესტუმრა საბინას. წყნარსა და ინტელიგენტ, თვრამეტი წლის ტრუდს, გრძელი, შავი, თმა ჰქონდა და სასიამოვნო ყავისფერი თვალები, რითაც ყველას ყურადღება მიიპყრო ოთახში.

ციხეში - უთხრა საბინამ ტრუდს - ვიდრე გვცემდნენ, დაცვა გვეუბნებოდა - ხომ გინდოდათ წამებულები რომ ყოფილიყავით?! ხო და იტანჯეთ! ჩვენც ვიტანჯებოდით, მაგრამ ყველაზე საშინელ დროსაც კი, სიხარული გვეძლეოდა იმის გამო, რომ ვიცოდით, ეს ქრისტესთვის იყო, ადრეული ქრისტიანების ტანჯვის მსგავსად.

ტრუდი გულისყურით ისმენდა.

საბინამ გააგრძელა, მაგრამ რაღაც არის უფრო მნიშვნელოვანი, რაშიც შეგიძლია დაგვეხმარო, ტრუდ.

ტრუდს საკუთარი სიცოცხლის ღმერთისთვის გაწირვის არ ეშინოდა. ჩამოსხმული ფიგურა ჰქონდა, ძლიერი ხელ-ფეხით და სიარულის მანერამ დაარწმუნა საბინა, რომ ამ ახალგაზრდა ქალს, ადვილად ვერ გატეხდნენ. როგორც უფროსი ქალიშვილი, წლების განმავლობაში უვლიდა თავის დიდ, ავადმყოფ, ოჯახს და ცნობილი გახდა, როგორც თამამი და მგრძნობიარე სულის ადამიანი.

საბინამ აუხსნა, რომ იატაკქვეშა ეკლესიას სჭირდებოდა გოგონები, ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირში გასაწევრიანებლად. ახლა, რაღაც ახალი საქმე გამოჩნდა, თქვა მან. რაც შეიძლება მშვენიერი შესაძლებლობაა.

ტრუდს თვალები აღფრთოვანებისგან გაუბრწყინდა.

პოლკოვნიკმა, სახელად შირკანუმ, რომელიც საიდუმლო პოლიციაში მუშაობდა, თავის სერჟანტს სთხოვა თუ იცნობდა გოგონას, რომელიც სახლში დაეხმარებოდა. მათ დიდი სახლი აქვთ ქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო უბანში.

მისი მეუღლე ექსტრავაგანტური ქალბატონი ჩანს, მაგრამ მაინც საკმარისად კეთილი. თუ ამ სამსახურისთვის მათი დასაქმების კაბინეტის მეშვეობით დარეგისტრირდები, შეიძლება, ძალიან ბევრი რამ გაიგო, რაც ჩვენ დაგვეხმარება.

ტრუდმა არაფერი თქვა, მაგრამ ინტერესით უსმენდა.

ეჭვს ვერაფერში შეიტანენ, თქვა საბინამ. სერჟანტმა მეუღლეს სთხოვა თავის მეგობრებში მოეკითხა და ერთ-ერთმა მათგანმა ისურვა ჩვენს სამსახურში მოსვლა. არავინ იცის მისი ქრისტიანობის შესახებ.

- რა უნდა გავაკეთო?

დასაწყისში არაფერი. სახლში მოშინაურდი. ეცადე ყველა გაიცნო. შევნიშნე, რომ ადამიანებს მოსწონთ თავიანთი პრობლემების სხვებისთვის გაზიარება. მოხუცი ქალბატონი, ტომაზიუ, გაჩვენებდა ფეხებზე დალურჯებულ ვენებს გუშინ.

ტრუდი ერთი წუთით დაფიქრდა ამ შესაძლებლობაზე და შემდეგ, თამამი გადაწყვეტილებით მიიღო მისთვის შემოთავაზებული წინადადება.

*****

ტრუდმა წარმატებას მიაღწია პოლკოვნიკ შირკანუს სახლის გაფილტვრაში. თვეები გადიოდა, მისი შიდა საქმეებისათვის დაქირავება გრძელდებოდა და საბინა გოგონას უსაფრთხოებაზე ფიქრობდა. შემდეგ, სასწრაფო უწყება მოუვიდა ლანდაუერს, მასწავლებელს, რომელმაც ინფორმაცია გაუზიარა მას.

ტრუდმა შეიტყო, რომ შირკანუმ ახსენა ერთი ინფორმატორი ხუცესის სახელი, რომელიც ხშირად მოდიოდა შეხვედრებზე. გვიღალატა? უკვირდა საბინას. ხუცესი საბინას ესტუმრა და აუხსნა, თუ როგორ ემუქრებოდნენ მას მთავრობის წარმომადგენლები

გრძელვადიანი პატიმრობით და მისმა დასუსტებულმა ჯანმრთელობამ როგორ აიძულა შირკანუსთან თანამშრომლობა. დარცხვენილი ხუცესი ბუქარესტიდან გადავიდა და უკან აღარასოდეს დაბრუნებულა.

ტრუდმა სტუდენტი გოგონას სახელიც მიაწოდა, რომელიც შესაძლო ინფორმატორი გახლდათ. როცა საბინამ გოგონა დაკითხა, მან უარყო ბრალდება. შემდეგ საბინამ გოგონას ხელი დაადო და უთხრა, გთხოვ სიმართლე თქვი. ვიცით, როგორი ზეწოლის ქვეშაც ეყოლებოდი. მრავალ ადამიანს უთქვამს ჩვენთვის აქამდე - თავიანთი კეთილი ნების საწინააღმდეგოდ - როგორ აიძულებენ ინფორმატორობას. შენი ნამდვილი მეგობრების წინაშე ვალში ხარ, იცოდნენ რა მოხდა.

გოგონამ ტირილი დაიწყო და მუხლებზე დაეცა.

ქუჩაში მივდიოდი, დაიწყო ახსნა, როცა მანქანა გაჩერდა, ორი კაცი გადმოვიდა და თქვეს, რომ პოლიციიდან იყვნენ. მანქანაში ჩამსვეს, არსად არ წავუყვანივარ, რამდენიმე საათით მატარეს. მეუბნებოდნენ, რომ ყოველ კვირა უნდა მიმეწოდებინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას ამბობდნენ და რას აკეთებდნენ ჩემს სახლსა და ეკლესიაში. თუ არ გავაკეთებდი, მითხრეს, რომ საშინელება დაემართებოდათ ჩემი ოჯახის წევრებს.

გოგონა იფიცებოდა, რომ ისეთი არაფერი უთქვამს, რაც იატაკქვეშა ეკლესიას დააზიანებდა, მაგრამ საბინას ეჭვი ეპარებოდა.

ტრუდი აგრძელებდა სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებას, მაგრამ მისი წინააღმდეგობის სასწაულებრივი საქმე მოულოდნელად მოხდა, როცა პოლკოვნიკის სახლი თავშესაფრად გადააქცია იმ ქრისტიანებისთვის, რომელთაც შირკანუ ეძებდა.

ტრუდი ენდობოდა საბინას ინფორმაციას, რომ შირკანუ ახალი თანამდებობის შესაფერისი პრივილეგიებით სარგებლობდა კომუნისტურ იერარქიაში და ხშირად მიემგზავრებოდა დასასვენებლად ზღვაზე ან მთაში. წასვლამდე, ტრუდი სახლის გამგებლად დანიშნა. ქალბატონი შირკანუ ტრუდს პატარა საგანძურს უწოდებდა, რადგან აფასებდა.

რატომ არ ჩაატარებ შირკანუს სახლში შეხვედრას? მისწერა ტრუდმა საბინას. წასულები არიან რამდენიმე კვირით. დიდი სახლია, რამდენიმე შესასვლელით. ვერავინ შეიტანს ეჭვს.

საბინას ძალიან გაუხარდა შემოთავაზება. ბოლოს და ბოლოს, ვინ იეჭვებდა, რომ ქრისტიანები შეიკრიბებოდნენ იმ კაცის სახლში, ვინც გასანადგურებლად ეძებდა?

საბინა და სხვა ათიოდე ქალბატონი იატაკქვეშა ეკლესიიდან ნერვიულად შევიდნენ პოლკოვნიკის სახლში. ტრუდი ისე შეხვდა სტუმრებს, როგორც სახლის მეპატრონე. ქრისტიანი ქალბატონებისათვის სახლში არსებული განსაკუთრებული გარემო უცხო გახლდათ, მაგრამ სასიამოვნო საჩუქარიც გახლდათ ჩვეულებრივ არაკომფორტულ შენობებში შეკრების შემდეგ.

ყოველთვის, როცა შირკანუ შვებულებაში მიდიოდა, ტრუდი ჯაშუშის როლს თამაშობდა და დიდებულ მსახურებას მასპინძლობდა ბუქარესტში, მტრის სახლში.

49

საბინა საგანძურივით უფრთხილდებოდა ბიბლიას, რომელიც რიჩარდმა 1938 წელს აჩუქა, მისი მოქცევის წელს. ყოველი მეორე გვერდი ცარიელი იყო მკითხველისთვის შენიშვნების ჩასაწერად, რასაც მრავალი წლის განმავლობაში აკეთებდა. ამ ფურცლებზე წერდა საკუთარ ფიქრებს, ლოცვებს, შენიშვნებსა და გამოცდილებებს. დღიურის მსგავსად, წიგნი მისი სულიერი ცხოვრების მთავარი დაბრკოლებების შესახებ ისტორიებს ინახავდა. შენიშვნებს კოდირებული ენით იწერდა, რათა ავტორიტეტულ პირებს არ წაეკითხათ ბიბლიის აღმოჩენის შემთხვევაში.

ლოცვით მსახურებაზე, საბინას ხშირად სთხოვდნენ ციხეში გატარებული დროის შესახებ გაეზიარებინა. დასაწყისში მოგონებების გახსენება შიშის ზარს ჰგვრიდა, მაგრამ მიხეილი დაეხმარა გამოცდილების გახსენებაში.

დედამ შვილს უამბო როგორ სცემდა დაცვა, როგორ აიძულებდნენ, რომ ბალახი და გველები ეჭამა, როგორ აგდებდნენ დანუბეს გაყინულ მდინარეში და ისეთი მძიმე ქვების ტარებას აძალებდნენ, რომ მისი ძვლები დამდნარი ლოტივით (ნივთიერებაა) მძიმდებოდა.

როგორ შეძელი ამის ატანა, არ დანებდი და ქრისტე არ უარყავი? ჰკითხა მიხეილმა.

საბინამ უპასუხა, რომ ებრაულ ენაში მომავალი დროის მოქმედებები ხშირად აღწერილია სრულ დროში, რისთვისაც მნიშვნელოვანია დაინახო, რომ მოქმედება უკვე დასრულდა წარსულში და სრულყოფილია წარსულში. მან აუხსნა, როგორ

განმარტავს ესაიას 53-ე თავი, დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, მომავალი მესიის მოვლინებას ამ ხერხით. მესიის წამება აღწერილი იყო წარსულში და არა მომავალში, მიუხედავად იმისა, რომ ესაიამ ეს წინასწარმეტყველება ქრისტეს მოსვლამდე შვიდასი წლით ადრე დაწერა. როცა იესომ ეს ადგილი ტაძარში მსახურებისას წაიკითხა, ის შენიშნავდა აღნიშნული ზმნის დროს. მისი ტანჯვა უკვე დაწყებული იყო წარსულში, მაგრამ მომავალშიც იგივე ელოდა.

ზუსტად ასე ვგრძნობდი თავს ტანჯვისას, გაიხსენა საბინამ. სიხარული მარადიული საჩუქარია ქრისტიანული სულისთვის. ზეციურ სამყოფელში ვიყავი, საიდანაც არავის შეეძლო ჩემი გამოყვანა. სადღა იყო ჩემი გავლილი ტანჯვა? წარსულს ეკუთვნოდა. ტანჯვა დიდი ხნის წინ გავიარე, როცა ახლანდელი მდგომარეობა უფალთან ახლოს ყოფნის სიხარული იყო.

ერთ დღეს, საბინა ბიბლიის ფურცლებს ნოსტალგიით შლიდა, რიჩარდის შესახებ გაკეთებულ ჩანაწერებს კითხულობდა. თითქოს, თავისი მეუღლის ლოცვებსა და ოთახში თანდასწრებას რეალურად გრძნობდა. მთელი დარჩენილი ცხოვრება, საბინა საიდუმლოს ინახავდა, გაცვეთილ წიგნს, რომელიც კატალოგივით აღნუსხულ ყველა იმ დეტალს მოიცავდა, ღმერთმა რომ ასწავლა.

ბიბლია ჩვეულებრივი მოვლენა არ იყო იატაკქვეშა ეკლესიაში. ეკლესიის თემის წევრები საბინას სხვენში იკრიბებოდნენ, რათა მოესმინათ ან თავიანთი თვალებით წაეკითხათ წმინდა წერილის ფურცლებიდან. საბინას მზარდი პოპულარობის გამო, საიდუმლო შეხვედრებზე სიარული უფრო საშიში ხდებოდა. ის იშვიათად ტოვებდა სამეზობლოს ისე, რომ მოთვალთვალე კაცი არ შეენიშნა და ვინმე უკან რომ არ ადევნებოდა.

მიხეილი ხომ არ ფლობდა დედამისის პოპულარობას და ადვილად შეეძლო წასულიყო საიდუმლო შეხვედრებზე. მრავალი ასეთი მსახურება შენიღბულად ტარდებოდა წვეულების სახით. ოცდაათამდე ახალგაზრდა ვიღაცის ბინაში იკრიბებოდა, ხმაურით მიესალმებოდნენ ერთმანეთს, მუსიკალურ დისკს ისე

ხმამაღლა უკრავდნენ, რომ ნებისმიერი გამვლელი ორჯერ უნდა დაფიქრებული ღონისძიების რაობის გამოსაცნობად.

მას შემდეგ, რაც ცეკვა შეწყდებოდა, მუსიკას გამორთავდნენ და შემდეგ რამდენიმე სიმღერას დაუკრავდნენ ხმადაბლა, მეზობლების სასარგებლოდ; შემდეგ, უფრო მეტად საგალობლების ხმა ისმოდა. ასეთი მსახურებები თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა, ხანდახან დაბადების დღის საბაბით, საზეიმო წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებასთან დაკავშირებით, რუმინეთის სოფლებშიც კი საკვირაო ექსკურსიებისა და ლოცვითი შეხვედრების საბაბით. შეკრებისაკენ მიმავალ გზაზე მოთვალთვალე ჰყავდათ დაყენებული წინასწარი გაფრთხილების მიზნით.

მსახურების ყველა დეტალი დაგეგმილი გახლდათ - შეხვედრის ზუსტი დრო, სპეციალური ადგილი და საიდუმლო კოდი. მოსალოდნელი საშიშროება შეხვედრას ინტენსიურს ხდიდა. მამაცი თინეიჯერები რისკის ფასად ესწრებოდნენ შეხვედრებს. სხვა მრავალი დამსწრისთვის ეს იქნებოდა ბოლო დრო, როდესაც საკუთარი ოჯახის წევრებს ნახავდნენ. ჰიმნის ყოველ სიტყვას წარმოუდგენელი თავდაჯერებულობით წარმოთქვამდნენ. ქადაგების ყოველ სიტყვას წონა ჰქონდა, რადგან ისეთი მქადაგებლის ბაგიდან მოდიოდა, რომელსაც შესაძლოა ქადაგების შესაძლებლობა აღარ მისცემოდა.

50

საბინას გათავისუფლებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი ესტუმრა სხვენში. მსუქანი კაცი, ბოხი ხმითა და მელოტებისთვის დამახასიათებელი ერთ მხარეს გადავარცხნილი თმით. ხელში გაბერილი ჩემოდანი ეჭირა, გეგონებოდა წუთი წუთზე გასკდებაო.

თქვენ დედა ხართ? ჰკითხა კაცმა.

- დიახ, უპასუხა საბინამ.

მერე, როგორი დედა ხარ? შენს შვილზე არ ზრუნავ? არ გინდა, რომ საუკეთესო განათლება მისცე, რომ მაღალანაზღაურებადი სამსახური იშოვოს?

- რა თქმა უნდა, მინდა.

მაშინ რატომ არ შეიცვლი გვარს? როგორ ბედავ და საკუთარ თავს დედას უწოდებ!

კაცი რამდენიმე წუთს მძვინვარებდა, მაგრამ საბინა ჩუმად იჯდა. რაც უფრო ცოტას ილაპარაკებდა, უფრო მალე მიადგებოდა კაცი სათქმელს.

რა სარგებელი აქვს, გააგრძელა მან, შენს ქმართან ქორწინებაში დარჩენას? რიჩარდი კონტრრევოლუციონერია, მას ვეღარასოდეს ნახავ.

საბინამ კაცს ნება მისცა ის ეთქვა, რის სათქმელადაც მოვიდა და, როგორც იქნა, გაუძლო შეპასუხების ცდუნებას. მან თქვა, რომ ახალგაზრდა, ინტელიგენტ, ქალბატონს ადვილად შეეძლო მიეღო განქორწინების ნებართვა სახელმწიფოს პოლიტიკური მტრისაგან და თუ ამას დაუყოვნებლივ არ გააკეთებდა, მოგვიანებით მაინც საჭიროდ ჩათვლიდა.

თავი 50

რამდენ ხანს ფიქრობ, რომ შეეწინააღმდეგო სახელმწიფოს ბრმა და სულელური დაუმორჩილებლობით?

დაუყვირა - შენ ახალი ქმარი და მამა გჭირდება შენი შვილებისათვის.

საბინას უნდოდა დაეყვირა: როგორ ბედავ ჩემს სახლში ამის თქმას! მაგრამ თავშეკავება უფრო გრძელვადიანი თავდაცვის ფორმად გამოიყურებოდა.

ჩემს ქმართან მხოლოდ ბედნიერი დროისათვის არ მიქორწინია, უთხრა საბინამ მშვიდად. ჩვენ სამუდამოდ გავერთიანდით და რაც არ უნდა მოხდეს, მაინც არ გავეყრები.

ნახევარ საათზე მეტი, სიტყვებით ცემასა თუ მოთაფვლას ცდილობდა, ვიდრე საბოლოოდ არ დანებდა; ხელები ჰაერში მოიქნია და კიბეებზე ჩაირბინა.

- ადრე თუ გვიან, მაინც ჩვენთან მოხვალ... საბოლოოდ ყელა ასე აკეთებს, რომ იცოდეთ.

კაცი არ ტყუოდა. საბინა იცნობდა ბევრ ქალს, რომლებიც ზეწოლის გამო გაშორდნენ ქმრებს. კომუნისტები დახელოვნებულები იყვნენ ოჯახების დანგრევაში, უდიდეს სტრესში ჰყავდათ ცოლები და ქმრები. გამომძიებლებმა იცოდნენ განქორწინების გამანადგურებელი ზარის ძალა პატიმრებზე, როგორ ართმევდა მათ წინააღმდეგობის გაწევისთვის უკანასკნელ ძალას. უთვალავი აღიარება, ღალატი და დაპატიმრება მოჰყვა ახალი ამბის გამოცხადებას იმის შესახებ, რომ ცოლებმა მიატოვეს ქმრები.

განქორწინება ქრისტიან ცოლებს კომუნისტური ცხოვრების სტილში მონაწილეობის მიღებას აიძულებდა. ქალები, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ ქმრებს დაივიწყებდნენ, რთულად გადიოდნენ ხელახალი განათლების პროცესს. უფრო მეტი ქალი აქცევდა ქმარს ზურგს. ზოგიერთებმა შვილებიც კი დაკარგეს.

მხოლოდ ერთი სიტყვაა საკმარისი ქმართან გაშორებისათვის: დიახ. როცა ცოლი თანხმობას ამბობდა, ოფიციალური პირები თვითონ აგვარებდნენ ტექნიკურ საკითხებს და მყისიერად

უნიშნავდნენ ქალს სტიპენდიას. რამდენიმე დღის შემდეგ, დაცვა ქმარს მომხდარის შესახებ ატყობინებდა: „შენმა ცოლმა განქორწინება გადაწყვიტა.“

ახლა ვინღა იზრუნებს ჩემზე? ფიქრობდა პატიმარი. სულელი ვარ, რომ არ ვნებდები და არ ვაწერ ხელს მათთვის სასურველ ინფორმაციაზე და არ ვთავისუფლდები.

იმ პატიმრებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს აღიარებით ჩვენებას, გათავისუფლებისთვის წლები დასჭირდათ. იმ დროისათვის უკვე მათი ცოლები სხვა კომუნისტ მამაკაცებზე იყვნენ დაქორწინებული და გაჩენილი ჰყავდათ ბავშვები, რომლებსაც კომუნისტურ ოჯახებში ზრდიდნენ. საბინა უამრავ ასეთ განადგურებულ ოჯახს იცნობდა.

ციხეში საბინამ ერთი ქალბატონის ნათქვამს მოჰკრა ყური, „რა სულელი ვიყავი, არაფრის გამო რომ ვეჩხუბებოდი ჩემს ქმარს. რა კარგი და მოსიყვარულე ცოლი ვიქნები, თუ ოდესმე აქედან გამათავისუფლებენ! თუმცა გათავისუფლების შემდეგ ხშირად იცვლიდნენ აზრს. რატომ არ გავშორდი? შეიძლება ციხეში დარჩენილიყო მთელი ცხოვრება! ახლა როგორ გამოვკვებო ბავშვები რაციონის ბარათის გარეშე? როგორ ვიშოვო სამუშაო?

უამრავი ქალბატონი აიძულებდა საკუთარ თავს განქორწინებას, მაგრამ საბინამ ერთხელ უკვე თქვა დიახ ქორწილში და მეორედ აღარ იტყოდა.

*****

საბინა ახლა ორმოცდასამი წლის ქალი იყო, მარტო ზრდიდა მოზარდ ვაჟს, რომელსაც ყველაზე მეტად ახლა სჭირდებოდა მამა. მისი ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუმჯობესდა და ის სილამაზე, რომელსაც ერთ დროს, სარკეში ხედავდა, კვლავ დაუბრუნდა. წლები გადიოდა და რიჩარდისგან სიტყვა არ ისმოდა. ცოცხალია თუ მკვდარი? წლები სწრაფად გადიოდა, საბინა მოწყვლადი გახდა ცდუნების წინააღმდეგ და წელში გატეხვის საშიშროების წინაშე იდგა.

თავი 50

მისი მოწყვლადობა გამოიცადა ერთი კაცის, სახელად პავლეს, გამოჩენისას. ორმოც წლამდე ებრაელი ქრისტიანი, პავლე, დასაქორწინებელი იყო, მაღალი და მოხდენილი აღნაგობისა. ერთ ოთახიან ბინაში ცხოვრობდა მოხუც მშობლებთან ერთად. კეთილი და თავაზიანი იყო. მან შეძლო საბინას გაცინება ისე, როგორც ამას რიჩარდი აკეთებდა. მიხეილსაც ძალიან მოსწონდა ის და ხანდახან კინოშიც მიდიოდნენ ერთად; საშინაო დავალების შესრულებაშიც ეხმარებოდა პავლე. გამოჩნდა ის, ვინც შეიძლება ქალს ჰყვარებოდა და მინდობოდა. ფიქრებში მრავალჯერ დანებებულა, მაგრამ როცა პავლემ საუბრისას ხელი ჩაავლო ქალს, თავი ვერ შეიკავა და ღრმად ჩახედა თვალებში მამაკაცს. სურვილი გაიფურჩქნა ქალში. მისი წარსული, მთელი თავისი ცდუნებებითა და სექსუალური ფიქრებით, უცბად კვლავ გაცოცხლდა.

საბედნიეროდ, ხუცესმა გრეკუმ დაინახა მამაკაცის ინტერესი მის მიმართ და საბინას ესაუბრა.

იცი, როგორ მიყვარხარ და გაფასებ, უთხრა მან. რაც არ უნდა მოხდეს, ეს არ შეიცვლება.

ხუცესი უჩვეულო ემოციით საუბრობდა. ორივეს, რიჩარდსაც და შენც, წლებია გიცნობთ. ვიმედოვნებ, იცი, რომ შესცოდავ თუ არა, რწმენას შეინარჩუნებ თუ დაკარგავ, მაინც ვიზრუნებ შენზე, რადგან გიცნობ ვინც ხარ.

საბინა მიხვდა საით მიდიოდა საუბარი.

მომიტევე, თუ გკითხავ, თქვა გრეკუმ, მაგრამ რა ხდება შენსა და პავლეს შორის?

საბინა გაჩუმდა.

ნუ იფიქრებ, რომ მეც არ გამივლია ასეთი განსაცდელი, თქვა მან. გთხოვ, უპასუხო ჩემს კითხვას.

- მას ვუყვარვარ, უპასუხა საბინამ.

და შენც გიყვარს?

- არ ვიცი, შეიძლება. იგრძნო, როგორ გაუწითლდა სახე სირცხვილისაგან.

ხუცესი შეჩერდა და თქვა: მახსოვს რას ამბობდა რიჩარდი. ძლიერი სურვილი წინ ვერ აღუდგება მიზეზს. თუ გადადებ, თუ ფიქრისთვის დროს დაიტოვებ, დაინახავ ყველა იმ ტკივილს, რასაც შენს ქმარს მიაყენებ და მიხეილსაც, რა თქმა უნდა.

საბინას გაახსენდა ნათქვამი.

გრეკუმ სიტყვა შემდეგნაირად დაასრულა: მინდა, რომ რთული გადაწყვეტილება მიიღო. რაც არ უნდა რთულად გეჩვენებოდეს, იმ კაცს ნუღარ შეხვდები.

საბინამ იცოდა, რომ ხუცესი მართალი იყო. რამდენიმე კვირა თავს არიდებდა პავლეს ნახვას, ვიდრე გრძნობებს დათრგუნავდა.

მოგვიანებით, შეიტყო, რომ ხუცესი გრეკუ პავლესაც ესაუბრა, შეახსენა, რომ რიჩარდი ციხეში იტანჯებოდა. საბინამ ოთახში მუხლი მოიყარა და ილოცა, რომ ღმერთს მისთვის ეს სისუსტე მიეტევებინა.

რიჩარდის თოთხმეტწლიანი პატიმრობის შემდეგ, სხვა ცდუნებები ბუნებრივად გაჩნდა. ეს საბინას ეხმარებოდა იმაზე გაემახვილებინა ყურადღება, რასაც რიჩარდი განიცდიდა იმ დროს. საბინამ ახლო ურთიერთობა დაამყარა მამაკაცთან, რომელსაც ის შეუყვარდა, ქალს წარსულისდროინდელი ამორალური გრძნობები და ძველი ცხოვრების გზაზე დადგომის ცდუნება მოეძალა.

მაგრამ რიჩარდს უთხრა დიახ იქამდე, ვიდრე სიკვდილი დააშორებდათ და ღმერთმა ძალა მისცა სხვა მამაკაცებზე უარის სათქმელად.

51

1955 წლის ივნისში, რიჩარდმა გაიგო, რომ სხვა ციხეში გადაიყვანდნენ. მეოთხე ოთახმა ვერ შეიწირა მისი სიცოცხლე და სხვა ტუბერკულოზიანებს სჭირდებოდათ მისი საწოლი, რომ იქ დახოცილიყვნენ.

„იმდენად ჯანმრთელი არ ხარ, რომ გადაგიყვანოთ, მაგრამ ჩვენ არაფერი შეგვიძლია,“ უთხრა ექიმმა ალდეამ. თავს გაუფრთხილდი და თუ კიდევ ჩაგივარდება ხელში სტრეპტომიცინი, სხვას ნუ მისცემ!

ცრემლებით გამოემშვიდობა რიჩარდი პროფესორ პოპს. კვლავ შევხვდებით - დაპირდა რიჩარდი. ვიცი, რომ ასე იქნება.

როცა დაცვამ დაიყვირა რიჩარდის სახელი, პატიმრების ჯგუფს შეუერთდა გარეთ. ეს იყო ჯგუფი უცნაური კაცებისა, გადახოტრილი თავებითა და დახეული ტანსაცმლით. დასუსტებულებს სიარული არ შეეძლოთ, წვალობდნენ აჩქარებული ნაბიჯით ბრძანების დამორჩილებას და ვერ იცავდნენ რიგს. მერე მჭედელმა წვივებზე ბორკილების სათითაოდ შებმა დაიწყო.

ციხის ოფიცერი რიჩარდის ზურგს უკან იდგა და როცა მჭედელი რიჩარდს მიუახლოვდა, უთხრა: ეჰ, ვასილი გეორგესკუ! დარწმუნებული ვარ, რაღაც გაქვთ სათქმელი ჯაჭვებში გამომწყვდევის გამო.

დიახ, ლეიტენანტო - უპასუხა რიჩარდმა. შემიძლია სიმღერით გიპასუხო.

ოფიცერმა ხელები უკან დაიწყო და გაიღიმა. ოჰ, გთხოვთ! დარწმუნებული ვარ, რომ ყველას სურს შენი მოსმენა.

რიჩარდმა მელოდია ამოუშვა გულიდან და რესპუბლიკის ჰიმნის სიმღერა დაიწყო: „დამსხვრეული ბორკილები უკან დავტოვეთ...“ დანარჩენმა პატიმრებმა, რიჩარდის წინააღმდეგობით გაკვირვებულებმა, ლეიტენანტს შეხედეს, აშკარად უკვირდათ როგორ მოქმედებდა.

როცა მჭედელმა ბორკილების შეკვრა დაასრულა, რიჩარდმა ოფიცერს უთხრა: კომუნისტები აცხადებთ, რომ ბორკილები უკან დავტოვეთ, მაგრამ ამ რეჟიმმა იმაზე მეტ ადამიანს დაადო ბორკილი, ვიდრე ნებისმიერმა სხვა წყობამ.

ტრანსპორტი მოვიდა, ვიდრე ოფიცერი რამეს უპასუხებდა. რიჩარდი და სხვა პატიმრები ავიდნენ მატარებელში, სადაც რამდენიმე საათი დაჰყვეს, ვიდრე მატარებელი ლიანდაგებზე დაიწყებდა წასვლას.

გრილმა ჰაერმა, ფანჯრების პატარა ხვრელებიდან რომ შემოდიოდა, მხნეობა შეჰმატა პატიმრებს. რიჩარდი გვერდზე გადაბრუნებული იწვა, ტყეებსა და მთებს უმზერდა ორასი მილის სავალ გზაზე.

მომდევნო ორი დღის განმავლობაში ხმა დაირხა პატიმრებში. სად მიჰყავდათ ისინი?

როცა კრაივას სახელშელახული ციხის კედლებს შეავლეს თვალი, ყველაფერი ცხადი გახდა. როგორც კი მატარებელი სადგურს მიუახლოვდა, კარები ფართოდ გაიღო. დაცვამ პატიმრებს ბორკილები შეხსნა და პატარა ჯგუფებად მოაწყო ეზოში. ყვირილის ხმა ისმოდა საკნებიდან მათ ზურგს უკან, ციხის კედლებს მიღმა. აქ თქვენი ადგილი არ არის! უკვე სივიწროვისაგან ვიხრჩობით! დაცვამ ხელი უბიძგა რიჩარდს მბჟუტავი ოთახისაკენ. ხელებგაშვერილმა, ნახევრად შიშველ პატიმარს, ფეხი წამოკრა როგორც კი კარი დაიხურა მის უკან. რიჩარდის თვალებმა ნელ-ნელა შენიშნა ათბით ოფლში გაწურული, ჩონჩხადქცეული ადამიანი. რამდენიმე პატიმარი ერთად იყო შეჯგუფებული იარუსებზე, ოთახის სიგრძეზე რომ იყო განლაგებული. დანარჩენები იატაკზე ისხდნენ და სუნთქვა უჭირდათ. რიჩარდი კინაღამ დაახრჩო სუნმა,

მაგრამ როგორღაც მოახერხა და თანასაკნელებს უთხრა, რომ ხუცესი იყო.

ორთვიანი აგონიის შემდეგ, რიჩარდი კვლავ იმავე საკანში რჩებოდა. დაცვა მხოლოდ საპირფარეშოსთვის განკუთვნილი სათლის დასაცლელად უშვებდა გარეთ, ტყეში სპეციალურად გამოყოფილ საკანალიზაციო არხთან. რიჩარდი ნასიმთან ერთად იზიარებდა საწოლს. ის მუსლიმანი იყო, მისი საუბრისთვის 1945 წელს კულტების კონგრესზე მოუსმენია.

კარგია, რომ თქვენი ხმა სიბნელეშიც ვიცანი, თქვა ნასიმმა. დანახვით, ფიზიკურად ვერ გიცნობდით.

ნასიმი მყისიერად გახდა მისი მეგობარი და ღამეებს რელიგიურ და პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობაში ატარებდნენ. რიჩარდი ხშირად ამხნევებდა ახალ კოლეგას, რომ მოეხვრიპა სუპის ყოველი წვეთი, დაცვის მიერ მოტანილი და ეჭამა დამპალი კომბოსტო და ნაგავი.

როგორ შეგიძლია ამის ჭამა? ეკითხებოდა ნასიმი.

რიჩარდმა საშინელი წვნიანით სავსე კოვზი მოხვრიპა, გადაყლაპა და თქვა: ვიხსენებ ამერიკელ მეგობრებს, რომლებიც ახლა გრილზე შემწვარ ქათამს მიირთმევენ და მადლობას ვუხდი ღმერთს მათთვის, როცა სუპს მივირთმევ. შემდეგ, ვხარობ ინგლისელი მეგობრებით, რომლებიც შეიძლება შებრაწული ძროხის ხორცს მიირთმევენ და მეორე ლუკმასაც ვყლაპავ. მრავალი ქვეყნის მეგობართან ერთად ვხარობ და სიცოცხლეს ვინარჩუნებ.

ნასიმისნაირი თანასაკნელები მოდიოდნენ და მიდიოდნენ, მაგრამ დახუთული ჰაერის გამო საკანი იგივე რჩებოდა. საკვებზე მსჯელობა მთელი ღამე შეიძლება გაგრძელებულიყო. ახალი პატიმარი, სახელად გენერალი კალესკუ, ყოფილი სამხედრო სამართლის უფროსი, გემრიელი საკვების მოგონებებით ტკბებოდა - ზაფრანის სოუსში გაჟღენთილი თევზი, ტრიუფელი, თბილი გახუხული პური ნორმანდიული კარაქით. იხსენებდა ამბებს ეგზოტიკური ბურგუნდისა და ჰოკსის ღვინოზე, უსასრულო შამპანურსა და მსოფლიოში საუკეთესო სიგარეტზე.

პატიმრებს ნერწყვი მოსდიოდათ ასეთი ფუფუნების საგნებზე საუბრის მოსმენისას.

კალესკუმ რიჩარდს ხელით ანიშნა, შენ იხვი გიყვარს, არა, ხუცესო? თუ მამალი ღვინით?

უდაოა, რომ უყვარდა, მაგრამ უბრალო საკვებიც დააკმაყოფილებდა მის სურვილს - ბანანით დატენილი ქათამი, კარტოფილი და მარწყვის ჯემი. როცა საკანში ნოსტალგიის სურნელი ტრიალებდა სადილების გახსენებაზე, დაცვა ჩვეულებრივ დამპალი სუპის სათლს შემოიტანდა ხოლმე ოთახში. რიჩარდს ასეთი უგემური საკვები არასოდეს ეჭამა თავის ცხოვრებაში.

ერთადერთხელ მიიღეს გამონაკლისი სუპი მათდა გასაკვირად. ერთ დღეს, დაცვამ ხახვიანი სუპის ჭურჭელი შემოიტანა, ნამდვილი ხორცის სოუსთან ერთად, თეთრი კარტოფილის პიურე და ახალი სტაფილო. ყველა კაცს ორი პური მისცეს და ვაშლით სავსე კალათა. სამოთხე ჩამოვიდა დედამიწაზე იმ დღეს ყველა პატიმრის გულსა და ბაგეზე. მოგვიანებით, რიჩარდმა შეიტყო, რომ დასავლელი დემოკრატი ქალები ჩამოსულან ბრიტანეთიდან ციხის დასათვალიერებლად. ქალბატონები შემდეგ სახლში დაბრუნდნენ და თქვეს, თუ როგორ კარგად იკვებებოდნენ კრაივას პატიმრები.

*****

რიჩარდმა იცოდა, რომ კომუნიზმი ვერც დასავლეთს დაანგრევდა და ვერც თვითონ დაინგრეოდა თავისით. პრეზიდენტ ეიზენჰაუერის სიტყვებმა შვება მოჰგვარა: „მხოლოდ უნიფორმის ბოლო ღილი უნდა შევიკრა და აღმოსავლეთ ევროპის პატიმრებს გავათავისუფლებ!“

ერთი კითხვა მუდამ უტრიალებდა რიჩარდს გონებაში: ნეტავ დასავლელი ქრისტიანები თუ ლოცულობენ თავიანთი და-ძმებისთვის ციხეში? რიჩარდს სჯეროდა, რომ ისინი ლოცულობდნენ.

ერთ ღამეს, ნასიმს აუხსნა: თუ ნავში, ჩემს მხარეს, ხვრელის გაკეთებას დავიწყებ, რომელშიც ორივე ვსხედვართ და გეტყვი - ნუ ჩაერევი; ეს ნავის ჩემი მხარეა, მეთანხმები?

ნასიმმა თავი გაიქნია.

- არა! ჩემს მხარეს გაკეთებული ხვრელი ორივეს ჩაგვძირავს! თქვა რიჩარდმა.

ასევე იყო გლობალურ ეკლესიაშიც. როგორც პავლე მოციქულმა თქვა, „თუ ერთი ასო იტანჯება, ყველა იტანჯება მასთან ერთად, თუ ერთი ასო პატივშია, ყველა ერთად ხარობს“ (1 კორ. 12:26). მაგრამ რიჩარდს იმედი ჰქონდა, რომ ხუცესები, მისიონერები და ეკლესიები დასავლეთში ზრუნავდნენ ხალხში ცნობიერების ამაღლებაზე წმინდანების კომუნისტური რკინის ბრჭყალების ქვეშ ტანჯვის შესახებ. მე დასავლელ ქრისტიანებთან ერთად ვხარობ, თქვა მან, მათ კომფორტულ სახლებსა და წიგნებზე ფიქრით, არდადეგებზე, რომელსაც გეგმავენ. მუსიკით, რომელსაც უსმენენ და სიყვარულით, რომელიც თავიანთი ცოლ-შვილის მიმართ აქვთ. მახსოვს, მუხლის მეორე ნაწილი, რომაელთა წერილიდან: მოტირლებთან იტირეთ (რომაელები 12:15). დარწმუნებული ვარ, რომ დასავლეთში ათასობით ადამიანი ფიქრობს ჩვენზე და დახმარებას ლოცვით ცდილობენ. რიჩარდმა პრობლემა გადაჭრა დასავლურ ეკლესიასთან ერთად სიხარულით იმ იმედით, რომ ისინიც მათთან ერთად იტანჯებოდნენ და მათთვის მოსთქვამდნენ.

*****

რიჩარდის კრაიოვას ციხიდან ორთვიანი გათავისუფლების შემდეგ, მატარებლების ქსელმა ის გადაიყვანა რუმინეთის ყველა ციხეში. მოგზაურობა უსასრულო ჩანდა. სწრაფად მოძრავი ორმოცდაათფუტიანი ჯაჭვები, პირგაუპარსავი ჩონჩხები და დროდადრო სინათლის სხივები, ანათებდა ვაგონის ჯოჯოხეთურ სივრცეს. ხანდახან, ახლადდაპატიმრებულის ყვირილი

გამოაფხიზლებდა ხოლმე ძილიდან, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში სიზმარში ნახევრად ყოფნის შეგრძნება ჰქონდა, ერთ ციხეს მეორისგანაც ვეღარ არჩევდა.

როგორც კი მატარებელი პოარტა ალბას ციხეს მიუახლოვდა, ბოროტმა ბანდიტმა, სახელად კალაპოდმა, რიჩარდს ზურგში დაარტყა და დაიყვირა - ეს არის წმინდა მღვდელი, რომელსაც უყვარს ქურდები და ჯიბგირები!

ბატონო კალაპოდ, უთხრა რიჩარდმა, იესოს არ აწუხებდა ის ფაქტი, რომ თავისი თავი ქურდისთვის შეედარებინა მეორედ მოსვლის ჟამს. (მათე 24:43-44)

კალაპოდი სიძულვილისგან დაიჯღანა.

ზუსტად ისე, როგორც იმ ქურდებმა არ იცოდნენ შენი მისვლა ვინც გაქურდე, თქვა რიჩარდმა, ასევე ქრისტე მოვა ერთ საღამოს, მოგკითხავს სულს და მზად არ იქნები.

მატარებელმა ყოფილ ბანაკს ჩაუარა არხზე, სადაც საბინას აიძულებდნენ მუშაობას. რიჩარდმა იცოდა, რომ ის უსაფრთხოდ იყო, სადღაც ცხოვრობდა ბუქარესტში, მაგრამ ცოლი რვა წლის განმავლობაში არ უნახავს. ერთი დღეც კი არ გასულა მის სახეზე ფიქრის გარეშე.

ორმოცდაათი პატიმარი ერთმანეთს ეკვროდა ადგილის სიმწირის გამო პოარტა ალბას ციხეში. ნახევრად დანგრეული ბარაკები და მის გასწვრივ გაშენებული ბოსტნეულის ბაღი იყო. საბინა ნახავდა ამ ყველაფერს, ფიქრობდა რიჩარდი. მისი მცირეხნიანი მელანქოლია, როგორც ოჯახის მიმქრალი მოგონებები, კიდევ ერთხელ მოსტაცეს რიჩარდს, როცა დაცვამ მატარებელში კვლავ ჩასვა, სხვა ციხეში გადასაყვანად.

შემდეგ მოდიოდა საშინელი ღერლას ციხე, ჯოჯოხეთის ხვრელი, რომელიც ტრანსილვანიის ღრმა მთებში მდებარეობდა. რადგან რიჩარდის ტუბერკულოზი ყოველდღიურად უარესდებოდა, დაცვამ იმ სპეციალურად გამოყოფილ საკანში შეაგდო, ზოგიერთები საავადმყოფოს რომ ეძახდნენ. მისი ექიმი იყო მაღალი, გამხდარი, ქალბატონი სახელად მარინა, სამედიცინო ინსტიტუტის ახალი კურსდამთავრებული. ღერლა

იყო მისი პირველი გამოცდილება და უჭირდა მომაკვდავი პაციენტების ცქერა. მარინა არ მოუმზადებიათ იმ სისასტიკისთვის, რასაც ციხეში ხედავდა.

კარგი საკვები და სუფთა ჰაერი გჭირდებათ, უთხრა რიჩარდს გასინჯვის შემდეგ.

რიჩარდმა გაიცინა მაშინ, როცა გოგონას ცრემლი მოადგა თვალზე. განა არ იცით სად ვართ, მარინა ექიმო?

ექიმმა უხერხულობისგან ადგილი შეიცვალა. სამედიცინო სკოლაში ასე ვისწავლე.

რამდენიმე დღის შემდეგ, ექიმმა მაღალი თანამდებობის პირებთან დაიჩივლა, ციხის გარეთ. ამხანაგებო, ამ კაცისათვის სიკვდილი არ მიუსჯიათ. სახელმწიფო მათთვის სიცოცხლის შენარჩუნებაში მიხდის ხელფასს, ისევე როგორც, თქვენ გიხდიან მათი უსაფრთხოებისთვის. მე გთხოვთ, მხოლოდ იმ პირობებს, რომლებიც ხელს შემიწყობს ჩემი საქმის შესრულებაში.

ესეიგი, დამნაშავის მხარეს გადახვედი! უპასუხა ერთმა ოფიცერმა.

ისინი შეიძლება თქვენთვის დამნაშავეები არიან, უთხრა მარინამ, მაგრამ ჩემთვის პაციენტები არიან.

რამდენიმე წელში მძიმე შრომისაგან გადაღლილ ექიმს პნევმონია შეხვდა და სიცხისაგან გარდაიცვალა.

*****

1956 წელს დაცვა რიჩარდს წაუძღვა გრძელი ჰოლისკენ, სადაც მაგიდის ერთ მხარეს იდგა და სტუმარს ელოდა. გაახსენდა, წლების წინ მიხეილს რომ ელოდებოდა მსგავს ჰოლში თირგულ-ოკნას ციხეში. შვეიცარიაში, ჟენევის საერთაშორისო სამიტზე, რუმინეთის ციხეები აიძულეს, რომ პატიმრებისათვის ახლობლების ნახვის უფლება მიეცათ. მრავალ პატიმარს არავინ ჰყავდა, რომ სანახავად მოსულიყო.

რიჩარდს ნერვიულობა ემატებოდა, მაგრამ აღფრთოვანებულიც იყო, სახეზე ფართო ღიმილი მოჰფენოდა.

საბინა... აფთიაქის ყველა წამალს არ შეეძლო მისი განკურნება ისე, როგორც მეუღლის სახის დანახვას. დაცვის ოცი თანამშრომელი შემოეხვია გარს, მზად იყვენენ ამ პატარა ხის მაგიდის გარშემო მიმდინარე საუბარში არაფერი გამოჰპარვოდათ.

საბინასთვის პატიმრობას სილამაზის წლები შეემატებინა. ახალგაზრდული ღიმილი, როგორიც რიჩარდს ახსოვდა, მისთვის მოულოდნელად შეცვლილა. მშვიდად გამოიყურებოდა, ხელები ერთად ეწყო.

სახლში კარგად ხართ? იკითხა რიჩარდმა და მაგიდას მოეჭიდა.

- დიახ, კარგად ვართ, მადლობა ღმერთს.

დაცვამ საბინას შეაწყვეტინა. აქ ღმერთის სახელის ხსენების უფლება არ გაქვს.

დედაჩემი ცოცხალია? იკითხა რიჩარდმა.

საბინამ თავი დაუკრა. დიდება ღმერთს, ცოცხალია.

დაცვამ უფრო ხმამაღლა დაიყვირა, გითხარით, რომ აქ ღმერთის სახელის ხსენების უფლება არ გაქვთ!

როგორ არის შენი ჯანმრთელობა? მოიკითხა რიჩარდმა.

რიჩარდი ცდილობდა ჩვეული ხველისაგან თავის შეკავებას. მე ციხის საავადმყოფოში ვარ.

უფროსმა შეაწყვეტინა, უფლება არ გაქვს თქვა სად ხარ.

ჩემი საქმის ხელახლა განხილვის რაიმე იმედი თუ არსებობს? გააგრძელა რიჩარდმა.

უფლება არ გაქვს სასამართლოს შესახებ ისაუბრო, თქვა დაცვამ.

უსასრულოდ ჩარევის შემდეგ, რიჩარდმა საბინას უთხრა: „სახლში წადი, ძვირფასო, ესენი საუბრის საშუალებას არ მოგვცემენ.“

საბინამ გაიღიმა და ადგა, როცა დაცვამ რიჩარდი გაიყვანა. მიმავალმა უკან მოიხედა და კიდევ ერთხელ, საბოლოოდ, მოჰკრა თვალი თავის მეუღლეს; ეს გახდა მოგონება, რომელიც მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში დააკმაყოფილებდა.

52

1956 წლის ივნისში რიჩარდმა ღერგას ციხე დატოვა, უსათუოდ ბუქარესტის გარეუბანში, ვაკარესტის ციხეში, გადასასვლელად. იქ, სადაც პირველად დააპატიმრეს. რიჩარდის ტუბერკულოზი ახლა ყველაზე რთულ ფაზაში იყო, ვიდრე ოდესმე ყოფილა, ჭირივით მოედო მის სხეულს ცივი ოფლი და სისხლიანი ხველა. სცემდნენ, აშიმშილებდნენ, შოლტავდნენ, ურტყამდნენ და უმოწყალოდ აწამებდნენ, მაგრამ მეგობრების, ოჯახის ან მხსნელისთვის არ უღალატია.

რიჩარდმა ორჯერ უქადაგა განსაცდელში მყოფ ორ თანასაკნელს ბუქარესტის ციხეში. მოთმინება, მოთმინება და კიდევ მეტი მოთმინება, მისცა ინსტრუქცია.

ამის გაგონებისას დაცვამ რიჩარდი დაკითხვაზე წაიყვანა.

„მათ ეუბნები მოითმინონ, რომ ამერიკელები მოვლენ და გაათავისუფლებენ!“ უთხრა პოლიციამ. „შენ მათ ეუბნები, რომ კომუნისტები მმართველობას არ გააგრძელებენ! ეს არის კონტრრევოლუციონერული ტყუილი!“

ერთი კვირის შემდეგ, დაცვა რიჩარდის საკანში შემოვარდა და თქვა: დაკითხვა, სასწრაფოდ! ამოძრავდი! ადექი, მიდი! მანქანა გელოდება.

მანქანა?

რიჩარდმა ხოხვით გაიარა ნაცნობი დერეფანი ციხის ეზომდე, მაგრამ მანქანა არსად იყო. მხოლოდ საჯარო მოხელე, რომელმაც ფურცელი მიაჩეჩა ხელში. გამოართვა და დაკვირვების შემდეგ, დაუჯერებლობისაგან კინაღამ მიწაზე დაეცა. სასამართლოს განაჩენი იყო რიჩარდის გათავისუფლებასთან დაკავშირებით.

კი მაგრამ, მხოლოდ რვა წელიწად-ნახევარი გავასრულე, ჩაიბურტყუნა რიჩარდმა. ოცი წელი მაქვს მოსჯილი.

სასწრაფოდ, უნდა დატოვოთ ციხე, ბრძანება უმაღლესი ტრიბუნალიდან მოვიდა.

თითქმის, თორმეტი წელი დამრჩა მოსახდელი, თქვა რიჩარდმა.

დაცვას მოთმინება გამოელია: ნუ გვეკამათები! გადი!

შემომხედეთ! რიჩარდმა ხელით ანიშნა ტილოდქცეული ნაცრისფერი პერანგისა და დაკერებული შარვლისკენ. პირველივე შემხვედრი პოლიციელი დამაპატიმრებს.

- არანაირი სამოსი არ გვაქვს აქ შენთვის! დაუყვირა დაცვამ: მოშორდი აქედან!

ივნისის თბილმა ცამ მიიპყრო რიჩარდის ყურადღება და იქაურობას მოშორდა. რკინის ჭიშკარი ხმაურით მიიჯახუნეს მის უკან. რიჩარდს არ უნდოდა, რომ სხვა თანასაკნელები მიეტოვებინა, მაგრამ გაათავისუფლეს.

ხმამაღლა ლოცულობდა: უფალო, დამეხმარე, საჭიროზე მეტად არ ვხარობდე. თავისუფალი ვარ, რადგან შენ იყავი ჩემთან ციხეში.

მარტო მიმავალს მწერების ბზუილის ხმა ესმოდა ქუჩაში, სადაც გრძელი, თეთრი გზა მწვანე მინდვრებში იშლებოდა. იქ მყოფი ძროხები არც კი შეწუხებულან, ჩონჩხადქცეული მიმავალი კაცის დანახვით.

სამი მილის მანძილზე ბარგივით მიათრევდა საკუთარ სხეულს მაღალ ბალახში, ტყესა და ველურ ბუნებაში. გაჩერდა, რათა ყვავილების ცქერითა და სურნელებით დამტკბარიყო, მიუხედავად მათი ეკლებისა. ეს ყვავილები ყველაზე მეტად მიყვარს. რიჩარდს სამოსი - ჭუჭყის კოლექცია - უღიმღამოდ რომ გამოიყურებოდა, ოფლიან სხეულზე ეკვროდა, მაგრამ უარს არ ამბობდა ამ ტილოებზე. ძალიან ძვირფასი იყო ეს სამოსი მისთვის, წლების განმავლობაში ღვთის საოცარი მადლისა და უზრუნველყოფის ნიშანი.

მოხუცმა ცოლ-ქმარმა რიჩარდი დაინახა და მიუახლოვდნენ.

იქიდან მოდიხარ? ჰკითხა კაცმა.

თავი 52

რიჩარდმა თავი დაუკრა და კაცმა მონეტა მიაწოდა.

- მომეცით თქვენი მისამართი, რომ გადაგიხადოთ.

- არა, არა, თქვენი იყოს.

რიჩარდმა გზა გააგრძელა. ერთმა ქრისტიანმა ქალბატონმა შეაჩერა და გამოელაპარაკა. რიჩარდმა უთხრა, რომ ხუცესი იყო და ორივე გზის პირას ჩამოსხდნენ, ქრისტეს მშვენიერებაზე დაიწყეს საუბარი. შემდეგ, ქალბატონმა ჯიბიდან მონეტა ამოიღო.

ტრამვაის ბილეთისთვის, თქვა მან.

- უკვე მაქვს საკმარისი თანხა.

- მაშინ უფლის სახელის გამო აიღე.

როცა რიჩარდმა ბუქარესტის გარეუბანს მიაღწია, ხალხი გარს შემოეხვა, ეკითხებოდნენ მათი ოჯახის წევრების შესახებ თუ იცოდა რაიმე. უნდოდა, რომ ტრამვაის საფასური გადაეხადა, მაგრამ კონდუქტორმა უარი უთხრა გადახდაზე. როგორც თავისუფალი ადამიანი, ისე ავიდა ტრამვაიში. ზოგიერთი მგზავრი წამოდგა და ადგილი შესთავაზა.

რიჩარდმა გვერდით მჯდომი ქალბატონის კალთაში მარწყვის კალათა დაინახა.

- წელს ხომ არ გაგისინჯავთ მარწყვი? ჰკითხა ქალმა.

- რვა წლის განმავლობაში, უპასუხა რიჩარდმა.

- აიღეთ, მიირთვით! ქალბატონმა გემრიელი ხილით მუჭა გაივსო და მგზავრს შესთავაზა; ბავშვივით შეჭამა რბილი ხილი, ერთმანეთის მიყოლებით.

როცა ტრამვაი რიჩარდის სახლს მიუახლოვდა, აღელვებული გაჩერდა კართან. უცნაური შეგრძნება იყო, დაცვის გარეშე კარის წინ დგომა ან გამომძიებლების ზურგს უკან ხელის კვრის არ არსებობა. რას იფიქრებს ჩემი ოჯახი ჩემზე, ასე რომ გამოვიყურები? რიჩარდმა ღრმად ამოისუნთქა, ღილაკს მისწვდა და თითქმის ათი წლის განმავლობაში კარი პირველად გაიღო ფართოდ.

მამა! დაიყვირა მიხეილმა და რიჩარდის მკლავებისკენ გამოექანა. ბიჭი ჩვიდმეტი წლის იყო და მასზე უფრო ძლიერი. რიჩარდი კინაღამ იატაკზე დაეცა, იმდენად ძლიერად მოუჭირა მკლავები მიხეილმა.

საბინაც შემოუერთდა და რიჩარდს კისერზე შემოეხვია. მისი მოხვევისაგან გამოწვეული განცდა დავიწყებოდა. ენით გამოუთქმელმა ნეტარებამ მოიცვა ოჯახი გაერთიანებისზეიმისას.

ვიდრე გაკოცებდე, უთხრა რიჩარდმა, რაღაც უნდა გითხრა.

საბინამ უფრო ახლოს მიიკრა რიჩარდი.

ნუ იფიქრებ, რომ უბრალოდ უბედურებიდან ბედნიერებაში მოვედი! მე ქრისტესთან ერთად ციხეში ყოფნის სიხარულიდან მოვდივარ, ჩემს ოჯახში მასთან ერთად ყოფნის სიხარულისთვის. უცხოებიდან კი არ მოვდივარ, არამედ ჩემი ხალხის ციხიდან, ჩემს ხალხთან სახლში.

საბინა ტიროდა და რიჩარდი მის გამხდარ სახეს ხელით ეფერებოდა.

ახლა, თუ გნებავს, შეგიძლია მაკოცო.

*****

ბუქარესტის ყოველი კუთხიდან რიჩარდის ეკლესიის წევრები საბინას ურეკავდნენ სასიხარულო ამბით აღფრთოვანებულნი. სტუმრები გამუდმებით მოდიოდნენ მათ პატარა, ორ ოთახიან, სხვენში. როცა რიჩარდი მაღაზიებსა და ქუჩებში დადიოდა, ყველა დახმარებას სთავაზობდა. ის და საბინა ბარებისა და ღამის კლუბების გვერდით ჩაივლიდნენ ხოლმე, ერთ დროს თვითონ რომ ხშირი სტუმრები იყვნენ და მადლობას უხდიდნენ ღმერთს თავიანთ ცხოვრებაში ჩარევისთვის.

რიჩარდის ექიმებს არ ეჯერებოდათ, როგორ გადარჩა იგი რვა წელიწად-ნახევარი შესაბამისი სამედიცინო მკურნალობის გარეშე. მისი ფილტვები ჯერ კიდევ ატარებდნენ ტუბერკულოზთან ბრძოლის ნაკვალევს. ექიმებმა საუკეთესო საწოლი მისცეს საავადმყოფოში, მზიანი და ფანჯრიანი მხარე. საიდუმლო პოლიციის ყურადღების თავიდან აცილების მიზნით, რიჩარდი საავადმყოფოდან საავადმყოფოში გადადიოდა და მისი ჯანმრთელობაც უმჯობესდებოდა.

თავი 52

არანაირი თანხა არ გააჩნდა საბინასთვის ქორწინების ოცი წლისთავთან დაკავშირებული ზეიმისთვის საჩუქრის საყიდლად და მიუძღვნა სიყვარულის პოემა, რომელიც თავის გამზადებულ უბის წიგნაკში ჰქონდა ჩაწერილი. საბინასთვის საკმარისი იყო ქმრის მკლავებში დაბრუნება.

მამა, თქვა ერთხელ მიხეილმა, შენ იმდენი რამე გამოიარე... მინდა ვიცოდე რა ისწავლე შენი ტანჯვიდან.

რიჩარდი შვილს მხრებზე მოეხვია და უთხრა, „მიხეილ, თითქმის დამავიწყდა ბიბლია იმ დროის განმავლობაში, მაგრამ ოთხი რამ მუდამ იყო ჩემს გონებაში. პირველი, რომ ღმერთი არსებობს. მეორე - ქრისტე ჩვენი მხსნელია. მესამე, რომ არსებობს საუკუნო სიცოცხლე და მეოთხე - სიყვარული ყოველთვის საუკეთესო გზაა.

ამის გაგება მჭირდებოდა, თქვა მიხეილმა.

მისი მშობლების პატიმრობის განმავლობაში, სიმწარე და მარტოობა გახდა მიხეილის თანამგზავრი და უჭირდა გადარჩენა. ცამეტი წლის ასაკში ფული ისესხა, რომ დედამისი ენახა შრომით-გამოსასწორებელ კოლონიაში, დანუბეს არხზე. მამას უამბო სტუმრობის შესახებ, ახსოვდა დედამისის ჭუჭყიანი ტანსაცმელი და ცრემლებით დასველებული სახე. საბინა ორი მწკრივის მქონე რკინის გისოსებიდან უყვიროდა შვილს, „მიხეილ, ირწმუნე ქრისტე მთელი შენი გულით!“

„დედა, თუ ასეთ ადგილში კიდევ გწამს ღმერთის, დაუყვირა მიხეილმა, მაშინ მეც უნდა ვირწმუნო.“

რიჩარდის გათავისუფლებიდან ოთხი თვის შემდეგ, მიხეილი პატარა თეოლოგიურ სემინარიას შეუერთდა სიბუში, იმ იმედით, რომ ინდოეთში წავიდოდა მისიონერად. დღეები გაატარა შესანიშნავ ბიბლიოთეკაში კვლევა-ძიებისთვის, სწავლობდა პროფესორებისგან, უილიამ ბუთზე, ხსნის არმიის დამაარსებელსა და ჩარლზ სპერჯენზე, ვიქტორიანული ეპოქის ყველაზე პოპულარულ ბაპტისტ მქადაგებელზე წერდა თეზისებს.

რიჩარდი დასასვენებლად გაეშურა ხის საწოლისკენ, რომელიც საბინას მეზობლებისგან ეთხოვა. ცოლმა ძილის წინ აკოცა და

სუფთა, რბილი, თეთრეული გადააფარა. რიჩარდს დასვენება და სიჩუმე სწყუროდა, ძილი კი ყოველთვის უფრთხოდა. ყოფილმა პატიმარმა თვალი ჭერს გაუშტერა. ტკივილის არ არსებობა ხელშესახებად საგრძნობი გახლდათ. აღარ ისმოდა პატიმრების ყვირილი, არც დამპალი სტაფილოს სუპი იყო, არც გამომძიებლებისაგან მუქარა, არც წამება. რიჩარდს თავისდა გასაოცრად და განსაცვიფრებლად, შეეძლო ნათურა ჩაერთო და გამოერთო. ჩვეულებისამებრ მოსაქმებისთვის ოთახის კუთხეში მდგარი სათლის გამოყენების ნაცვლად, ახლა, თანამედროვე საპირფარეშოთი სარგებლობა შეეძლო. სარდაფში, ცივი და გამაგრილებელი ნაკადულის წყლით ხელების დაბანაც კი შეეძლო.

უძილობის გამო ბიბლია გადაშალა. იოანეს სახარება აკმაყოფილებდა ციხეში, მაგრამ ახლა სურდა, რომ გონება ძველი აღთქმის მოვლენებით განეახლებინა. პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ წიგნების თანმიმდევრობაც კი დავიწყებოდა. დანიელის წიგნის ძებნას თავი დაანება და იოანეს მესამე წერილის კითხვა დაიწყო: „არ არის ჩემთვის იმაზე მეტი სიხარული, ვიდრე იმის მოსმენა, რომ ჩემი შვილები ჭეშმარიტებაში დადიან“ (მე-4 მუხლი). რიჩარდი ადგა და მიხეილის ოთახში შეიხედა, რაზეც ასჯერ მაინც უოცნებია ციხეში. ამჯერად, მიხეილი ნამდვილად იქ იყო.

*****

1956 წელს დესტალინიზაციამ უკვე იმედი მოუტანა ქვეყანას. სტალინის საქმიანობის გამგრძელებელმა, ნიკიტა ხრუშჩოვმა, სტალინი დაგმო კომუნისტური პარტიის მეოცე კონგრესზე და საგრძნობლად შეამცირა მილიციისა და საიდუმლო პოლიციის გავლენა რუმინეთში. დასავლეთთან სავაჭრო ურთიერთობები წამოიწყო და ასობით პოლიტიკური პატიმარი გაათავისუფლა, რიჩარდის მსგავსად, მაგრამ მისი მიმდევრებიდან მატყუარა ახლადმოქცეულები ჯერ კიდევ არსებობდნენ. სანდო მეგობრების წრე გახდა საუკეთესო დაცვა გატაცების წინააღმდეგ.

თავი 52

ორ წელიწად-ნახევარი რიჩარდი იატაკქვეშა ეკლესიაში ქადაგებდა, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ ქადაგების ნებართვა ჩამოართვა. საჭირო დოკუმენტების გარეშე ქადაგება საშიში იყო, რადგან თუ პოლიცია დაიჭერდა, კიდევ ერთხელ ჩააგდებდნენ რიჩარდს ციხეში. რიჩარდი არ ნებდებოდა. ღმერთმა ხუცესობისათვის მოუწოდა, სახელმწიფოს ნებართვით თუ მის გარეშე, მაინც არაფერი შეიცვლებოდა. რიჩარდი მაქსიმალურად იყენებდა ახალ თავისუფლებას, ხშირად ოჯახსაც კი არ ეუბნებოდა სად მიდიოდა. ამგვარად, თუ პოლიცია მიხეილს ან საბინას გაიტაცებდა, დასამალიც არაფერი ექნებოდათ.

რიჩარდი ამ საქმიანობას მეუღლის მხარდაჭერით აგრძელებდა, მიუხედავად გამუდმებული საშიშროებისა და შიშისა. საიდუმლო შეხვედრებს აწყობდა ხშირად სხვენში ან სარდაფში და ქალაქის ცენტრიდან მოშორებულ ბინებში. ქრისტიანების ფარული ჯგუფები იკრიბებოდნენ რიჩარდის - მამაცი, მხნე, და წინააღმდეგობის გამწევი მორწმუნის - ოჯახში დამოწმების მოსასმენად. რიჩარდი ჭრილობებსაც კი აჩვენებდა მსმენელს მონათხრობის დასტურის ნიშნად და არალეგალურ შეხვედრას საგალობლებისკენ წაუძღვებოდა. როგორც კი მეზობლებს ეჭვი შეეპარებოდათ და შეკითხვების დასმას დაიწყებდნენ, ამბობდნენ, რომ დაბადების დღეს აღნიშნავდნენ. ერთი კონკრეტული ოჯახი, მხოლოდ სამი თუ ოთხი წევრით, ოცდათხუთმეტ დაბადების დღეს მაინც ზეიმობდა წელიწადში.

თაყვანისცემის მსახურება რიჩარდს აგონებდა ადრეული ეკლესიის ქრისტიანებს, რომლებიც ნერონის, დიოკლეტიანესა და სხვა რომაელი იმპერატორების დევნის ქვეშ იტანჯებოდნენ, სამარხებსადაგამოქვაბულებშიიკრიბებოდნენმსახურებისათვის. დევნამ სხვადასხვა დენომინაციის ადამიანები გააერთიანა. მათი მტერი იმაზე დიდი იყო, ვიდრე ის სხვაობები, რაც ერთმანეთისაგან აშორებდათ. თუ პირველ საუკუნეში მოღვაწე მამა ტერტულიანე მართალი იყო, რომ მორწმუნეთა სისხლი არის ეკლესიის თესლი, მაშინ რუმინეთი, რომის მსგავსად, ახალმოქცეული ქრისტიანების ბაღად გადაიქცევა.

ვურმბრანდი

ვინაიდან ხშირად ეკლესიას შენობაში შეკრება არ შეეძლო, რიჩარდი მსახურებებს ბუქარესტის გარშემო მინდვრებშიც ატარებდა. უყვარდა ქადაგება ღია სივრცეში, ჩიტების ჭიკჭიკის თანხლებით, სუფთა ჰაერზე. ცა გახდა მისი კათედრა. საკმევლისთვის რიჩარდი ყვავილების სურნელს იყენებდა, სანთლისთვის - ვარსკვლავებს. მსახურების გასრულების შემდეგ, მოჩვენებასავეთ ქრებოდა და საკუთარი უსაფრთხოება მეგობრებზე ჰქონდა მინდობილი.

მიხეილი სიყვარულით ეძახდა მამამისს აჩრდილ მქადაგებელს.

53

კომუნიზმის მმართველობაში რუმინელ სტუდენტებს არ შეეძლოთ ქრისტიანი ავტორების და ბერძენი მწერლების წაკითხვა, მაგალითად, პლატონისა და არისტოტელეს ნამუშევრების. ფილოსოფოსების: ემანუელ კანტისა და ალბერტ აინშტაინის შესანიშნავ ნამუშევრებს ვერსად იყიდდი. უნივერსიტეტის ბევრი სტუდენტი მოდიოდა რიჩარდთან კითხვით, თუ როგორ წასულიყვნენ წინ განათლების საკითხში. ცლუჯის უნივერსიტეტიდან იყო თეოლოგიის ერთი სტუდენტი, რომელმაც რიჩარდს რჩევა სთხოვა იმ თეზისზე, თვითონ რომ წერდა.

რა საკითხზეა? იკითხა რიჩარდმა.

- ლიტურგიკული საგალობლის ისტორია ლუთერანულ ეკლესიაში, უპასუხა სტუდენტმა.

რიჩარდმა, ლუთერანობით რომ ამაყობდა, ახალგაზრდა თეოლოგს უსაყვედურა მოახლოვებული დევნისათვის მოუმზადებლობაში, რომელსაც, სავარაუდოდ, მალე გამოცდიდა. უნდა დაიწყო იმის წერით, რომ ახალგაზრდა მამაკაცებს თავი არ უნდა გამოვუტენოთ ისტორიული ტრივიებით მაშინ, როცა ხვალ რწმენის გამო შეიძლება სიკვდილის წინაშე წარსდგნენ.

- მაშინ რა უნდა ვისწავლო? იკითხა ახალგაზრდა კაცმა.

- როგორ უნდა მოემზადო მსხვერპლშეწირვისა და წამებაში სიკვდილისათვის. რიჩარდმა სტუდენტს იარები უჩვენა და იმ საშინელი ტრაგედიების შესახებ უამბო, რომელიც გისოსებს მიღმა განიცადა. კომუნიზმის ქვეშ მცხოვრები ხუცესები სიკვდილისთვის უნდა იყვნენ მზად. რიჩარდმა პირველად

ამ მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება, ვიდრე კვლევის მეორეხარისხოვანი საკითხისათვის მისცემდა რჩევებს.

„ჩვენი თეოლოგიის მასწავლებელი ამბობს, რომ ღმერთმა სამი გამოცხადება მოგვცა," უთხრა სხვა სტუდენტმა რიჩარდს.

„პირველი იყო მოსე, მეორე - ქრისტე და მესამე - კარლ მარქსი."

რიჩარდს ეს ტვინის რეცხვის პოლიტიკა ადრეც მოუსმენია, მაგრამ ახლა უარი თქვა ამაზე მეტი უაზრობის მოსმენაზე. მან თანხმობა განაცხადა კლუგის უნივერსიტეტში წასვლაზე და მისი უძველესი კათედრალიდან ქადაგებაზე. სტუდენტებმა ერთმანეთში სიტყვა გაავრცელეს მომავალი ქადაგების შესახებ, მაგრამ არ შეეძლოთ რიჩარდის ნაწერების გავრცელება, რადგან აკრძალული იყო. ვისაც კი არალეგალური მასალის კითხვისას დაინახავდნენ, დააკავებდნენ.

*****

მრავალი წლის წინ, რიჩარდმა პირობა მისცა, რომ ღვთის არმიის წევრებს დაეხმარებოდა, კერძოდ, ქრისტიანობის მართლმადიდებლურ შტოს, რომელიც საიდუმლო პოლიციის მიერ იყო შეწუხებული. რიჩარდმა გადაწყვიტა სტუმრად მისულიყო მაღალი თანამდებობის პირთან, პატრიარქ ჯასტინიანთან. მარინა დარწმუნებული იყო, რომ ეს კაცი დახმარებას შეძლებდა.

მან ფრთხილად შეარჩია საზოგადოებრივ სივრცეში რიჩარდთან შეხვედრის ადგილი და ორი კაცი მისი სასახლის ეზოში შევიდა, მიკროფონებისა და სახელმწიფო მოხელეების ყურისგდებისგან მოშორებით.

თქვენ პატრიარქი ხართ, დაიწყო რიჩარდმა. ადამიანები თქვენთან სამსახურებისა და პენსიებისათვის მოდიან, ყველგან უნდა იქადაგოთ და იგალობოთ. მეც ვიფიქრე, რომ მოვსულიყავი და თქვენთვის მეგალობა.

რიჩარდი მიხვდა, რომ მარინა ამას არ მოელოდა და თქვა: ეს უფლის არმიის სიმღერაა, რომელიც ციხეში ვისწავლე და სიმღერა დაიწყო.

თავი 53

მელოდიის დასრულების შემდეგ, რიჩარდმა მარინას სთხოვა, რომ რამე ემოქმედა უფლის არმიის წევრების გასათავისუფლებლად. ისინი ციხეში იმიტომ არ უნდა ისხდნენ, რომ რომელიღაც მიმდინარეობას ეკუთვნიან.

მარინა დაპირდა, რომ ეცდებოდა, მაგრამ რიჩარდმა იგრძნო, რომ პატრიარქი ღმერთისაგან უკვე ძალიან შორს იდგა. მარინამ თქვა, რომ მას ფაქტობრივად, ხელები შეკრული ჰქონდა. ბევრი არაფრის გაკეთება შეეძლო იუსტინ მოისესკუსთან. იასის მიტროპოლიტი მის ყოველ მოქმედებას აკვირდებოდა. თუ მარინა ხაზს გადაკვეთდა, მოისესკუ გახდებოდა ახალი პატრიარქი, რაც დიდად დააზიანებდა ეკლესიას.

მოგვიანებით, რიჩარდმა შეიტყო, რომ მარინას მდივანს ყური მოუკრავს მათი საუბრისთვის და მოისესკუსთვის უცნობებია.

ვურმბრანდმა გითხრათ მოსულიყავით, არა? უთხრა მოისესკუმ მარინას. მისი ციხეში დაბრუნების დროა.

*****

რიჩარდი კლუის უნივერსიტეტში ჩავიდა საქადაგებლად და მისი სტუმრობის შესახებ ამბავი ფართოდ გავრცელდა. დაუყოვნებლივ, აცნობეს პოლიციას და გააფრთხილეს, რომ რიჩარდი მარქსიზმის დაგმობას აპირებდა, რასაც აჯანყება გამოეწვია სტუდენტებში ქრისტიანული თეოლოგიის ნიღბის ფონზე. ბაპტისტი მსახური მივიდა რიჩარდთან ქადაგებამდე და სიამაყით უთხრა, რომ ის იყო ინფორმატორი, რომელმაც მთავრობას მის შესახებ აცნობა. ამბავს რიჩარდისთვის შოკი არ მოუგვრია, რადგან მის მსგავს მრავალ ადამიანს იცნობდა წლების განმავლობაში. რუმინეთში, ოთხი სახის მსახურები იყვნენ. პირველი ისინი, რომლებიც ციხეში იყვნენ, აწამებდნენ სახელებისა და ქრისტიანების მისამართების გაცხადებისათვის. მეორე - ხუცესები, რომლებიც პასიურად ემორჩილებოდნენ საიდუმლო პოლიციას და ინფორმაციას აწვდიდნენ, დაპატიმრების თავიდან აცილების მიზნით. მესამე კატეგორია

იყო მსახურებისა, რომლებიც კომპრომისზე მიდიოდნენ, ქრისტიანების დასმენას გამო ხშირად ჯილდოსაც იღებდნენ. ბოლოს, არსებობდნენ ისინი, რომლებმაც, რიჩარდის მსგავსად, უარი თქვეს დანებებაზე, ქადაგების ნებართვის დაკარგვის მიუხედავად და ტანჯვით ეწამებოდნენ.

ბაპტისტმა გამყიდველმა რიჩარდის სახელი გადასცა ერთ ფანატიკოს ჯაშუშს, სახელად რუგოიანუს, რომელმაც დაუყოვნებლივ მიიღო ზომები ინფორმაციის მიღებისთანავე. ის ამაყობდა რიჩარდისნაირი რევოლუციონერის ლექციაზე დასწრებით და კათედრალის წინა რიგში მოკალათდა. ორმოცდაათამდე სტუდენტი და რამდენიმე პროფესორი დაესწრო საღამოს ღონისძიებას. რიჩარდმა პირველად მათი ყურადღება დარვინის ეთიკის დილემაზე გაამახვილა. თუ კომუნისტური რუმინეთი უარს იტყოდა დასავლურ იდეებზე, რატომ უნდა ესწავლებინა კლუის უნივერსიტეტს ინგლისელი კაცის მიერ აღმოჩენილი თეორია? რუგოიანუ ფეხის წვერებზე დაეყრდნო და წინ გადაიხარა, რიჩარდის არგუმენტს გულისყურით უსმენდა. „თუ გჯერა, რომ ღმერთმა შეგქმნა, მაშინ ეცდები, რომ ღმერთს დაემსგავსო; თუ გჯერა, რომ მაიმუნების ტომიდან მოდიხარ, მაშინ საშიშროების წინაშე დგახარ, რომ მათ დაემსგავსო.“

რიჩარდის ორშაბათისა და სამშაბათის ლექციებს კათედრალში უფრო მეტი სტუდენტი დაესწრო. პარასკევს რიჩარდმა ათასობით ადამიანს, მთელ უნივერსიტეტს, სახეში შეხედა. იცოდა, რომ მრავალი მათგანი მის რწმენას იზიარებდა, მაგრამ შედეგებისა ეშინოდათ.

მან უამბო ერთი ხუცესის შესახებ, რომელიც ფაშისტებმა აწამეს. ხუცესს უთქვამს: „შენს სხეულს ღმერთს უძღვნი მსხვერპლად, როცა ნებდები მათ, ვისაც შენი ცემა და დამცირება სურს. იესომ იცოდა რა, რომ მოახლოვდა მისი ჯვარცმა, თქვა: „ჩემი ჟამი მოახლოვდა“. (მათე 26:18)

ტანჯვა უნდა მივიღოთ, როგორც ღვთის ტვირთი.

ქინძისთავი რომ დავარდნილიყო იმ წუთში იატაკზე, კათედრალში მყოფი ყველა ადამიანი გაიგებდა მის ხმას.

რიჩარდმა გამოსცადა მისი მსმენელები, განსაკუთრებით რუგოიანუ, რომელიც შენიშვნების წერით იყო დაკავებული.

ნუ დაუშვებთ, რომ ტანჯვა მოულოდნელად გეწვიოთ! გააგრძელა რიჩარდმა. ხშირად იფიქრეთ ამაზე. შეიძინეთ ქრისტეს ხასიათი და მისი სიწმინდე თქვენს ცხოვრებაში. შემდეგ გაიხსენა ქრისტიანი ლიდერის ამბავი, რომელიც რომაელების დევნისგან იტანჯებოდა ადრეული ეკლესიის პერიოდში. მოშიმშილე ქრისტიანმა თავის ცოლს უთხრა, რომ ტკივილისთვის შეუფასებელი წამალი იპოვა, „აღმოვაჩინე ჩაი, რომელიც კარგია ყველა წამებისა და წუხილის წინააღმდეგ. ის შვიდ მცენარეულს შეიცავს, ჩამოგითვლი მათ შემადგენლობას.“ დამსწრე საზოგადოება დიდი გულისყურით ისმენდა რიჩარდის მიერ შვიდი სახის მცენარეულის ჩამოთვლას.

პირველი მცენარე არის კმაყოფილება: დაკმაყოფილდი იმით რაც გაქვს. შეიძლება ვკანკალებ ჩემს გაცვეთილ სამოსში და პურის ქერქს ვღრღნი, მაგრამ რამდენად უარეს მდგომარეობაში ვიქნებოდი იმპერატორს რომ შიშველი ჩავეგდე დილეგში და ვეშიმშილებინე! მეორე ბალახეული არის კეთილგონიერება. ვხარობ თუ ვწუხვარ, მაინც ციხეში ვიქნები და აგონიაში რაღატომ ჩავვარდე! მესამე ბალახეული არის წარსულის ცოდვების გახსენება: ჩამოთვალე ისინი და დავუშვათ, რომ ყოველი ცოდვა იმსახურებს ციხეში ერთი დღის გატარებას, დაიანგარიშე სიცოცხლის რამხელა დროს გაატარებდი იქ, მსუბუქადაც კი მოგექცნენ! მეოთხე არის იმ წუხილზე ფიქრი, ქრისტემ რომ სიხარულით აიტანა ჩვენთვის. თუ ერთადერთ ადამიანს, რომელსაც თავისი ბედის არჩევა შეეძლო დედამიწაზე და ტკივილი აირჩია, რამხელა ფასეულობა უნდა დაენახა მას ამაში! ვაკვირდებით ამ საკითხს, ვიტანთ უშფოთველად და სიხარულით და ტანჯვა გამოგვისყიდის.

მეხუთე მცენარეული არის ცოდნა იმისა, რომ ღმერთმა მოგვცა ტანჯვა, როგორც მამისაგან, არა დასაზიანებლად, არამედ ჩვენდა განსაწმენდად და გასამართლებლად. ტანჯვას, რომელსაც

ჩვენ გავივლით აქვს განწმენდისა და ზეცაში შესვლისთვის მომზადების მნიშვნელობა.

„მეექვსე მცენარეული არის ცოდნა იმისა, რომ ვერანაირი ტანჯვა-წამება ვერ ავნებს ქრისტიანულ ცხოვრებას. თუ მხოლოდ ეს არის ხორციელი სიამოვნება, ტკივილსა და ციხეს მოაქვს ადამიანის მიზნის დასასრული ცხოვრებაში, ხოლო თუ მიზანი ჭეშმარიტებაა, მაშინ მის შეცვლას ვერანაირი ციხის საკანი ვერ შეძლებს. ციხე ვერ შემაჩერებს სიყვარულისთვის ბრძოლაში; რკინის გისოსები ვერ დამიშლის რწმენას. თუ ეს იდეალები ქმნიან ჩემს ცხოვრებას, მე მაინც უშფოთველი ვიქნები. რეცეპტის ბოლო მცენარეული არის იმედი. ცხოვრების ბორბალი შესაძლოა იმპერატორის ექიმს ეპყრას ხელთ ციხეში, მაგრამ ის ტრიალებს. მან შეიძლება სასახლეში დამაბრუნოს და ტახტზეც კი დამსვას.

რიჩარდი ცოტა ხნით შეყოვნდა, ჩანაწერებს თვალი მოაშორა და აუდიტორიას შეხედა. შემდეგ თქვა, ტონობით ასეთი ჩაი შემისვამს მას შემდეგ და ყველა თქვენგანსაც იგივეს გირჩევდით. მისი სარგებლისუნარიანობა დადასტურებულია.

ხუცესი საუბრის დასასრულს მიუახლოვდა, რიგოიანუ ადგა და კათედრალის რიგებს შორის გასასვლელს მარშით გაუყვა უკანმოუხედავად. რიჩარდი კათედრიდან ქვემოთ ჩამოვიდა, როგორცკი ხალხი ადგა და ხმამაღლა საუბარი დაიწყო. ზოგიერთმა სტუდენტმა ტაში დაუკრა და ცდილობდნენ შეჯგუფებული ადამიანების წრე გაერღვიათ, რათა რიჩარდთან მისულიყვნენ და ხელი ჩამოერთმიათ. ქადაგების შემდეგ, რიჩარდმა საბინას დაურეკა მისი მსახურების შესახებ ამბის სათქმელად. გაუხარდა, მაგრამ გარდაუვალი შედეგიც შიშის ზარს სცემდა.

*****

მეორე დღეს ეპისკოპოსმა მოიხმო რიჩარდი თავის კათედრალში. მოულოდნელად, რუგოიანუმ შემოაღო კარი და რიჩარდს თვალს არ აშორებდა. „აჰ, თქვენ! რა მიზეზების მოყვანას აპირებთ? ღალატის ნაკადი - როგორც გავიგე!“

თავი 53

რიჩარდმა ჰკითხა, ქადაგების რომელი ნაწილი არ მოეწონა ჯაშუშს. რუგოიანუს ყველა ნაწილთან პრობლემა ჰქონდა, მაგრამ განსაკუთრებულად წამების რეცეფტის მეშვიდე ვარიანტთან.

- რას უწუნებთ ამ ჩემს საწყალ ჩაის? იკითხა რიჩარდმა. რომელი მცენარეული არ მოგეწონათ?

ცხელი ვარდი რუგოიანუს ლოყებზე. „მათ უთხარი, რომ ბორბალი ყოველთვის ტრიალებს," ჩაილაპარაკა სწრაფად. „მაგრამ ამ კონტრრევოლუციონერულ აფეთქებაში გეშლებათ. ბორბალი არ მოტრიალდება, ჩემო მეგობარო. კომუნიზმი ყოველთვის აქ იქნება!"

- მე კომუნიზმი არ მიხსენებია, უბრალოდ ვთქვი, რომ ცხოვრების ბორბალი გამუდმებით ტრიალებს.

არა, არა, არა! თქვენ იგულისხმეთ, რომ კომუნიზმი დაეცემა და ყველამ იცოდა, რასაც გულისხმობდით. თუ ჩემგან ისმენთ ამას მხოლოდ! რუგოიანუმ სხვა ბრალდებების დასახელებაც გააგრძელა, მაგალითად ის, რომ რიჩარდმა მოწამლა ახალგაზრდა სტუდენტები მთავრობის წინააღმდეგ, შეფარული თავდასხმებით. შემდეგ, ვიდრე გარეთ გავარდებოდა, ეპისკოპოსს მიუბრუნდა და შეჰყვირა: დარწმუნდით, რომ ამიერიდან ვეღარასოდეს იქადაგებს. ვურმბრანდი დამთავრდა! ვურმბრანდი დამთავრდა! ვურმბრანდი დამთავრდა!

როგორც კი შენობიდან გამოვიდა, გამვლელმა მანქანამ ძაღლს აარიდა საჭე და რუგოიანუს დაარტყა და კედელზე მიაჭეჭყა. მისი ბაგეებიდან ჯერ კიდევ სიძულვილს აფრქვევდა, როცა რუგოიანუმ სული განუტევა.

54

რუგოიანუს ბოლო სიტყვების ამბავი მთელ რუმინეთს მოედო. რიჩარდს აღარ შეეძლო საკუთარი თავის დამალვა. 1959 წლის იანვარში, ერთმა ქალბატონმა უთხრა საბინას, რომ რიჩარდის ასეულობით ქადაგების ფოტოასლები გააკეთეს და ერთმანეთს გადასცემდნენ მორწმუნეები. პოლიციამ რეიდი ჩაატარა ამ ქალბატონის სახლში და არალეგალური ლიტერატურა ჩამოართვა. საბინა ვარაუდობდა, რომ ტერორის ახალი ფაზა დაიწყებოდა ეკლესიაში. წინა წლის ივლისში, მთელი რიგი კანონები გამოქვეყნდა, იმაზე მკაცრი ვიდრე ოდესმე. მცირე გადაცდომაც კი სიკვდილით ისჯებოდა. ათასობით ახალგაზრდა სამართალდამრღვევი და ქრისტიანი დააპატიმრეს და გააგზავნეს ლელიანში იმ ლერწისაგან გასამარგლად, დანუბეს არხს რომ ხელს უშლიდა. შვიდწლიანი კრუსეიდის განმავლობაში რუმინეთში ძირფესვიანად ამოძირკვეს ყოველგვარი ცრურწმენა; ხრუშჩოვმა პოლიციას ბრძანება მისცა სამუდამოდ დაეხურათ ეკლესიები ან კომუნისტურ კლუბებად, მუზეუმებად და მარცვლეულის საცავებად გადაეკეთებინათ.

რიჩარდისა და საბინას სხვენი იატაკქვეშა ეკლესიის თავშესაფრად გადაიქცა. ყოველ საღამოს, ვახშმამდე, რიჩარდი ლოცულობდა: ღმერთო, თუ იცი ისეთი პატიმრები, რომლებსაც შეიძლება გამოვადგე, მაშინ უკან დამაბრუნე ციხეში.

საბინა ყოყმანით პასუხობდა - ამინ.

ვურმბრანდების ლოცვა რამდენიმე დღეში ისმინა ღმერთმა, ოთხშაბათს, 15 იანვარს.

ღამის პირველ საათზე საიდუმლო პოლიციამ ვურმბრანდების კარი ჩამოანგრია და ოთახის სინათლეში შემოიჭრა. შენ რიჩარდ ვურმბრანდი ხარ? მეორე ოთახში გადი და იქ დარჩი! რიჩარდი და საბინა უცქერდნენ, თუ როგორ დაერია თორმეტამდე პოლიციელი კარადებს და უჯრებს, როგორ წეწავდნენ ქაღალდებს და ხევდნენ დოკუმენტებიდან ფურცლებს. აიღეს პატარა ბლოკნოტიც, რომელიც რიჩარდმა ქორწინების ოცი წლისთავთან დაკავშირებით აჩუქა მეუღლეს. გთხოვთ, ეს არ წაიღოთ, თქვა საბინამ. პირადი ნივთია, საჩუქარი, თქვენ არაფერში გამოგადგებათ.

თხოვნას ყური არავინ ათხოვა. კაპიტანმა, რომელიც რეიდს ხელმძღვანელობდა, რიჩარდი და საბინა ერთმაენთისაგან დააშორა, რიჩარდს ხელბორკილები დაადო და მეორე ოთახში გაიყვანა.

არ გრცხვენიათ უდანაშაულო ხალხს რომ ასე ეპყრობით? ჰკითხა რიჩარდმა. საბინაზე წუხდა. პოლიციამ მკლავში ხელი ჩაავლო რიჩარდს და დაბლა ჩაიყვანა. პრობლემის გარეშე არ დავტოვებ სახლს, თუ ჩემს მეუღლესთან გამომშვიდობების საშუალებას არ მომცემთ, მოითხოვა რიჩარდმა.

გაუშვი, თქვა კაპიტანმა.

რიჩარდმა მუხლი მოიყარა მეუღლესთან ერთად და პოლიციისგან გარშემორტყმულმა ილოცა. შემდეგ გალობა დაიწყეს: ეკლესიის ერთადერთი საფუძველი არის იესო ქრისტე, უფალი...

ცოტა ხნის შემდეგ, კაპიტანმა, ცრემლებისაგან შეძრულმა, თავაზიანად დაადო რიჩარდს მხარზე ხელი და ჩასჩურჩულა: უნდა წავიდეთ. თითქმის ხუთი საათია.

გადაეცი ჩემი სიყვარული მიხეილს და იმ ხუცესს, რომელმაც დამასმინა, ამბობდა რიჩარდი, როცა პოლიციელი მას დაბლა, კიბეებზე მიუძღოდა. გარეთ გაიყვანეს და მინივენში ჩასვეს.

რიჩარდ! რიჩარდ! ყვიროდა საბინა და მანქანას იქამდე მისდევდა, ვიდრე ქუჩის კუთხეში არ გაუჩინარდა. საბინა მოყინულ ქუჩაზე დაეცა, სუნთქვაშეკრული და გულგატეხილი. უფალო, შენი

ხელისათვის გადმომიცია ჩემი ქმარი. მე არაფრის გაკეთება შემიძლია, მაგრამ შენ შეგიძლია დაკეტილ კარში შესვლა. შენ შეგიძლია ანგელოზები დაუყენო ირგვლივ. შენ შეგიძლია უკან დააბრუნო იგი!

ხუთ წელიწად-ნახევრის შემდეგ ღმერთმა საბინას ლოცვას უპასუხა.

55

ალისა სიბიუს უნივერსიტეტის მახლობელ პარკში ელოდებოდა მიხეილს. იცოდა, რომ გაანადგურებდა მამამისის ხელახალი დაპატიმრების ინფორმაცია. ამბავი ხელს შეუშლიდა მის სწავლას და შესაძლოა, სასწავლებლიდანაც კი გაერიცხათ, თუ სხვა უარესი არაფერი მოხდებოდა. ასეც რომ ყოფილიყო, პირველი შემთხვევა არ იქნებოდა. მიხეილი სასწავლებლიდან გარიცხეს და იძულებული გახდა რამდენიმეჯერ გამოეცვალა სასწავლებელი, გართულდა მისთვის განათლების მიღება. ციებამ დაუარა ალისას ხერხემალზე, სიცივეში ლოდინისას, იმედოვნებდა, რომ მიხეილი გამოივლიდა. მწუხრისას გამოიარა კიდეც და სამწუხარო ამბავი შეიტყო.

მოველოდი ამას, თქვა მან. დედას უთხარი, რომ მალე მოვალ სახლში. შეიძლება ისიც წაიყვანონ.

სწავლაზე რას იზამ? ჰკითხა ალისამ. თითქმის სამი წელი იმუშავე...

- რა მნიშვნელობა აქვს? შეაწყვეტინა მიხეილმა. ხანდახან ხარისხიანი ხუცესები არიან მოღალატეები და ანადგურებენ იმას, რაც ნამდვილმა მეთევზე კაცებმა ააშენეს. ხარისხის გარეშე უმჯობესია. სულ ერთია, მალე მაინც გამომაგდებენ, მაშინ, როცა მოესურვებათ. როცა ალისა და მიხეილი ბუქარესტში დაბრუნდნენ, გულგატეხილი და შოკში ჩავარდნილი საბინა ნახეს.

რამდენიმე დღის შემდეგ, კარზე კაკუნის ხმა შემოესმათ. საბინამ კარი გააღო და დაინახა, რომ დაღლილი მოხელე იდგა წინკარში. მან ქაღალდი გადასცა ქალბატონს, რომელშიც

ამოიკითხავდით „ვურმბრანდ, რ. დაბადებული 1909 წელს... მიესაჯოს ოცი წლით თავისუფლების აღკვეთა.“.

*****

საბინამ კარი დახურა და ქვითინი დაიწყო. მეორე დღეს ორი ოფიციალური წარმომადგენელი მოვიდა საგადასახადო სამსახურიდან, ყველა ღირებული ნივთის კონფისკაციისათვის, თუკი რაიმე ფასეული არსებობდა სხვენში; დატოვეს მხოლოდ საწოლები, მაგიდა და ორი სკამი. მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ოფიციალური პირები ბრუნდებოდნენ და საბინას სთხოვდნენ ფულს, რომელიც არ გააჩნდა, ან საიდან უნდა შეძლებოდა მისი გამომუშავება. საბინა დროს ორ ნაწილად ყოფდა. პირველ ნაწილს იატაკქვეშა ეკლესიაში მსახურებას უთმობდა და მეორე ნახევარში ერთი სამთავრობო ორგანიზაციიდან მეორეში დარბოდა და უნიფორმიან ოფიციალურ პირებს სთხოვდა, რომ შეემცირებინათ რიჩარდის დაპატიმრების გამო ოჯახზე დაკისრებული ჯარიმა. თუ საბინა ვერ გადაუხდიდა მთავრობას ამ თანხას, მაშინ ბინას დაკარგავდა. შემოსავლისათვის საბინამ ნახა ძველი საკერავი მანქანა, რომელიც სანახევროდ მუშაობდა. ნემსები მოღუნული იყო და ხშირად იმტვრეოდა. წინდებსა და პულოვერებს შავ ბაზარს სთავაზობდა გასაყიდად და საბინა ქირისთვის საკმარის თანხას აგროვებდა, რის გამოც მთავრობა მის სხვენს ხელს არ ახლებდა. არალეგალური იყო არაავტორიზებული საქონლის წარმოება და გაყიდვა. ამის მიუხედავად, საბინას მეგობრები ტანსაცმელს ყიდდნენ ქარხნის ჭიშკრებთან, მეორეული ნივთების ბაზრობაზე და ნებისმიერ ადგილას, სადაც ხალხი იკრიბებოდა.

ერთ დღეს, საკერავ მანქანასთან დაჯდა თუ არა, ავისმომასწავებელმა კაკუნმა შეაწყვეტინა საბინას მუშაობა.

ამხანაგო, საბინა ვურმბანდ?

საბინამ კარი გააღო და შავ საწვიმარში გამოწყობილი კაცი დაინახა.

- დიახ, მე ვარ ვურმბრანდი.

ხვალ დილის ცხრა საათზე შინაგან საქმეთა სამინისტროში უნდა გამოცხადდეთ. ამ ბარათს აჩვენებთ დაცვას და შეგიშვებენ. შემდეგ, იკითხეთ ბარათზე მითითებული ოთახი. საბინას ცივად შეხედა და წასასვლელად გატრიალდა.

დარწმუნებული იყო, რომ ვიღაცამ დაასმინა, საბინამ პირადი ნივთები და თბილი ტანსაცმელი ჩაალაგა და ოჯახს გამოემშვიდობა. იცოდა რა, რომ შესაძლოა, ეს მათი ნახვის ბოლო შესაძლებლობა იყო.

მეორე დღეს მდიდრულ შენობას ესტუმრა, მომხიბვლელი დივნებით სავსეს. იატაკი ფერადი ფარდაგებით იყო მოფენილი და ლენინის დიდი პორტრეტები ეკიდა კედლებზე. საბინა დიდ, ფორტეპიანოსხელა, მაგიდას მიუახლოვდა. იქვე მსუქანი მამაკაცი იჯდა, სამოქალაქო სამოსით. საბინას ვარაუდით, მამაკაცი ორმოც წლამდე ასაკის უნდა ყოფილიყო.

დაბრძანდით, ამხანაგო ვურმბრანდ, უთხრა და თვალით სავარძლისკენ მიუთითა. აქ მოსვლა იმიტომ გთხოვეთ, რომ ჩვენ დაინტერესებულნი ვართ თქვენი საქმით. მიამბე თქვენსა და თქვენი ოჯახის შესახებ.

საბინა შეყოყმანდა.

ნუ გეშინიათ, ამ კედლებს მიღმა არაფერი გავა. კაცმა სრწაფად გადაავლო თვალი ქაღალდებს. თქვენ გყავთ ვაჟი, მიხეილი? როგორ მიდის მისი სწავლის საქმე?

საბინა მიხვდა რაშიც იყო საქმე - მომდევნო მცდელობა რიჩარდთან განქორწინების თაობაზე. ზეწოლამ ამაოდ ჩაიარა, კომუნისტებმა თავაზიანობას მიმართეს. კაცი თავდაჯერებულად გადაწვა სკამზე.

მიყვარს ჩემი ქმარი, თქვა საბინამ. რაც არ უნდა მოხდეს, მასთან ქორწინებაში დავრჩები. ჩვენ სამუდამოდ ვართ შეერთებულნი.

კარგი. ნება მომეცით, რაღაც შემოგთავაზოთ. ხომ გსურთ, რომ თქვენმა შვილმა სასწავლებელი დაასრულოს. გინდათ, რომ მუშაობის უფლება მოიპოვოთ, რომ თქვენი საკუთარი ცხოვრებით იცხოვროთ. ეს ყველაფერი ვერ გექნებათ, უბრალოდ

ასეა. დამიტოვეთ პირადობის მოწმობა და ორმოცდარვა საათში თქვენი ქალიშვილობის გვარზე დაგაბრუნებთ. დავივიწყოთ სიტყვა განქორწინება. ეს უბრალოდ ფორმალობაა, რასაც სახელმწიფო გთხოვთ. განა გონივრული არ არის ამის გაკეთება?

საბინა არ განძრეულა.

შემდეგ უთხრეს: რა თქმა უნდა, თუ არ ითანამშრომლებთ, სხვა გზებიც არსებობს. როცა რამის მიღება გვსურს, მივიღებთ კიდეც.

დავუშვათ, ერთ დღეს, თქვენც სხვა ოფიციალური პირების მსგავსად, ციხეში აღმოჩნდით, ჩაიჩურჩულა საბინამ, გენდომებოდათ, რომ თქვენი ცოლი გაგცილებოდათ?

აფეთქდა. განა არ იცი სად ხარ და მე ვინ ვარ? როგორ ბედავ ჩემს დაკითხვას!

კაცმა ფანქარი ბუხარში ისროლა. მოშორდი აქედან და არ დაგავიწყდეს რა გითხარი! გასაგებია?

საბინამ ჩანთა აიღო და გარეთ გამოვიდა. ძალიან კარგად ესმოდა, მაგრამ იმასაც მიხვდა, რომ კაცმაც გაიგო. კომუნისტ ლიდერებს ხშირად ისე ეშინოდათ ციხის, როგორც ქრისტიანებს. ეს იყო ბოლო შემთხვევა, როცა საბინას განქორწინების თაობაზე დაემუქრნენ. ამის ნაცვლად, ეუბნებოდნენ, რომ რიჩარდი მოკვდა.

*****

ერთ საღამოს, რამდენიმე უცნაურად ჩაცმული ახალგაზრდა მამაკაცი მოადგა მის კარებს. ამტკიცებდნენ, რომ ყოფილი პატიმრები იყვნენ და ასეც ჩანდა. პროვოკატორებმა რიჩარდი დაახასიათეს, მაგრამ საბინას თვალებში ვერ უყურებდნენ.

საწყალი ხუცესი ვურმბრანდი, თქვა ერთ-ერთმა. ზუსტად არც კი ვიცით რა დაემართა.

ბოლოს ძალიან მოიწყინა. აღარავის ელაპარაკებოდა.

რისი თქმა გსურთ ჩემთვის? თქვა საბინამ. რომ თავი მოიკლა?

დარწმუნებით ვერავინ იტყვის, მაგრამ ვიცით, რომ ღერლას ციხიდან გაიტანეს. ვის შეეძლო მისი დადანაშაულება ასეც რომ მომხდარიყო?

საბინა მიხვდა, რომ ატყუებდნენ. გთხოვთ, დატოვეთ აქაურობა, უთხრა მათ.

საწყალი ხუცესი ვურმბრანდი, გაიმეორა ერთ-ერთა კაცმა. ნამდვილი წმინდანი იყო. ყველა ასე ამბობდა. ჩვენ გვინდა ვთქვათ, თუ როგორ ვწუხვართ ქალბატონო ვურმბრანდ.

გთხოვთ, წადით. ამბობდა დაჟინებით და სიტყვის დამთავრებას არ აცდიდა.

*****

როგორც მიხეილი მოელოდა, სიბიუს უნივერსიტეტმა გარიცხა კომუნისტური სწავლების გამო. გაიგო, რომ ფაკულტეტმა და კურსელებმა იცოდნენ მისი იატაკქვეშა ეკლესიაში მსახურების შესახებ. ფაკულტეტი ინახავდა ფაილებს ქრისტიანი სტუდენტების შესახებ და მიხეილი ვარაუდობდა, რომ მის ეკლესიაში ჯაშუშები იყვნენ.

ერთ დღეს თქვა: დედა, არ მინდა ამის თქმა, მაგრამ ძალიან ჩვილი გული გაქვს.

საბინამ დაბნეულმა შეხედა.

ყველას აძლევ ამ ბინაში მოსვლის ნებას. მხოლოდ უნდა თქვან 'დიდება ღმერთს!' და შემოდიან. ცოტა მკაცრად უნდა მოვექცეთ ამ ინფორმატორებს.

საბინა შეწინააღმდეგებას ეცადა, მაგრამ მიხეილმა გააჩუმა. მეშინია, რომ კიდევ დაგაკავებენ, დედა. ჩემზეც იციან, რომ ვიცი შენი საიდუმლო საქმიანობის შესახებ. მიხეილს სხვა ადამიანების უსაფრთხოებაც ადარდებდა, რა თქმა უნდა. იმ ბიჭებზეც ვფიქრობ, კვირაში ორჯერ რომ მიჰყავდათ და ურტყამდნენ, ვიდრე ინფორმაციის მიწოდების პირობა არ მისცეს. ახლა, ისინი ციხეში არიან, ალბათ სიკვდილამდე სცემენ.

საბინა ალისაზეც ფიქრობდა, როგორი ტკბილი და თავაზიანი გოგოა. ალისამ მთელი ცხოვრება პოლიტიკური პატიმრების შვილებზე ზრუნვას მიუძღვნა. მისი იატაკქვეშა ეკლესიასთან კავშირის გამო, საიდუმლო პოლიციამ მიზანში ამოიღო და

დააპატიმრა. გამომძიებლებს იმედი ჰქონდათ, რომ ინფორმაციას გამოწურავდნენ, მაგრამ რომ ვერ მოახერხეს, დაცვამ უმოწყალოდ და უგონოდ სცემა, რამდენიმე ნეკნი და წინა კბილები რკინის ფეხსაცმელებით ცემისაგან ჩაუმტვრიეს. მომდევნო რვა წლის განმავლობაში ალისამ ენით აღუწერელი წამება გადაიტანა, მაგრამ საბინა, მიხეილი და არც სხვა არავინ დაუსმენია.

საბინა წარმოიდგენდა ხოლმე ალისას გაშლილ სხეულს ჩარჩოს ფორმის საწამებელზე, ვიდრე განწირული კივილი გაისმოდა მისი ბაგიდან. პოლიცია უფო აგრესიული ხდებოდა, გატეხეს რამდენიმე იატაკქვეშა ეკლესია და დააპატიმრეს ლიდერები. მიხეილი მართალი იყო. ინფორმატორებისათვის უნდა შეეტიათ.

56

დაკითხვის შემდეგ, რიჩარდი სატვირთოზე აიყვანეს. როდესაც სატვირთო სადგურზე მივიდა, კარი ფართოდ გაიღო. რიჩარდს გული ამოუვარდა, როცა მანქანა ავტომაგისტრალის პანდუსთან გაჩერდა. ძალიან კარგად იცოდა, რომ ეს გზა ჯილავას ციხისაკენ მიდიოდა.

გადმოიყვანეთ! დაიყვირა ვიღაცამ. დაცვა, რეზინის ჯოხებს რომ იქნევდა ხელში და ალკოჰოლისაგან აქოთებულ სუნს აფრქვევდა, სატვირთოდან გადმოსულ პატიმრებს ურტყამდა. შემდეგ, დაცვამ ნაცრისფერი უნიფორმებით შემოსა ისინი, ვიდრე თავსა და წვერს გადაპარსავდნენ. ნახევრად შიშველი და დასისხლიანებული რიჩარდი საკანში შევიდა და გაყინულ იატაკზე დაჯდა.

ყველა პატიმარი გარეთ, დაიყვირა დაცვამ რამდენიმე საათის შემდეგ. ხითხითი და ფრუტუნის ხმა ესმოდა რიჩარდს გარედან, როცა სხვა ხუცესებთან ერთად ოთახიდან გამოვიდა. დაცვა მთელი ძალით ურტყამდა რეზინის ჯოხს მიმავალ პატიმრებს. რიჩარდი ცდილობდა თავი დაეცვა დარტყმისაგან. ისინი კი უმოწყალოდ ურტყამდნენ და აფურთხებდნენ წაქცეულ პატიმრებს.

ოცდაათი წუთის შემდეგ, დაცვამ ყველა მღვდელი გამოიძახა, მაგრამ არავინ განძრეულა. დაცვა საკნებში დაბრუნდა და ველურად ურტყამდა ჯოხებს მამაკაცებს. რიჩარდი მის გვერდით მყოფი ადამიანების გამხნევებას ცდილობდა. ერთი კაცი, მართლმადიდებელი აბატი, სახელად მირონ კრისტესკუ, საკნის კუთხეში მიიკრუნჩხა. რიჩარდი წლების წინ შეხვდა ამ კაცს, როცა მისი უფროსის ნახვას ცდილობდა და მართლმადიდებელი პატრიარქის ლოდინში კრისტესკუს თავისი სატკივარი გაუზიარა.

ძმაო, კრისტესკუმ რიჩარდს ხელი დაადო მხარზე, ქრისტე დაბრუნდება; ჩვენ ამის იმედი გვაქვს. კრისტესკუ დაუღალავად შრომობდა, რომ მართლმადიდებლური ეკლესია სახელმწიფოს მარიონეტებისაგან დაეცვა, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია.

ახლა, სისხლი მოდიოდა კრისტესკუს ბაგეებიდან. დაცვამ თავისი ჩექმები სახეში ურტყა და საშინლად სცემა, თითით ჩამტვრეულ კბილებს იმაგრებდა. მისი გასიებული ტუჩი და გადახოტრილი თავი ძნელად ამოსაცნობს ხდიდა პიროვნებას.

მეც სხვა ყველა დანარჩენის მსგავსად, აქ ვარ, თქვა კრისტესკუმ. შევცდი, რომ ვცადე. თავიდანვე უარი უნდა მეთქვა.

რიჩარდმა საუბრის თემა შეცვალა: ნუ მისცემ ასეთ ფიქრებს შენი დანაღვლიანების საშუალებას.

- ძმაო ვურმბრანდ, მე მხოლოდ ერთი მწუხარება მესმის, მარცხის მწუხარება.

კრისტესკუს რომ ეს სიტყვები მსახურების დროს წარმოეთქვა, ძალიან ლამაზად გაიჟღერებდა, მაგრამ რადგან საკანში თქვა, დასისხლიანებულმა და უკბილომ, ადამიანის დიდებულება გამოამჟღავნა.

*****

რიჩარდის მეორე დაპატიმრება პირველზე უფრო მწარე იყო, რადგან დაცვამ აკრძალა ქადაგება და თუ ვინმეს დაიჭერდნენ, სასტიკად სცემდნენ. რიჩარდმა და სხვა რამდენიმე მსახურმა თანხმობა განაცხადა ქადაგების საფასურის გადახდაზე; იქადაგებდნენ და ცემაც მოჰყვებოდა. ხშირად, ერთ-ერთი ძმა დაიწყებდა ხოლმე ქადაგებას და შუა გზაზე დაცვა შემოვარდებოდა საკანში, მქადაგებელს სხვა ოთახში წაათრევდნენ საცემად და უკან მოიყვანდნენ დასიებულსა და სისხლიანს. რამდენიმე წუთის შემდეგ, ნაცრისფერ უნიფორმას შეისწორებდა და იტყოდა - ძმებო, სად შევჩერდი ვიდრე შემაწყვეტინებდნენ?

რიჩარდმა ერთი ქრისტიანის, გრეკუს, შესახებ გაიგო ღერლას ციხეში. ის თითქმის სიკვდილამდე სცემეს ქადაგების გამო.

კვირების განმავლობაში დაცვა აწამებდა, ფეხებზე რეზინის ჯოხს ურტყამდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ სცემდნენ, ურტყამდნენ. ექიმი ინექციას უკეთებდა მდგომარეობიდან გამოსასვლელად. რამდენიმე საათის შემდეგ, გონს რომ მოეგო, დაცვამ, სახელად რეკმა, ისევ სცემა, იქამდე ურტყა, ვიდრე არ მოკლა.

რეკი ცენტრალური კომიტეტის პარტიის წევრი იყო. გრეკუს სიკვდილამდე დაუყვირა: შენ იცი, რომ ღმერთი მე ვარ. მე განვაგებ შენს სიცოცხლესა და სიკვდილს. ის, ვინც ზეცაშია, ვერ დაგიცავს ცოცხლად. ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. თუ მე ვისურვებ, იცოცხლებ. თუ ვისურვებ, მოკვდები. მე ვარ ღმერთი!“

მცირე ენერგია შემორჩენილმა გრეკუმ უთხრა: შენ არ იქნებოდი შექმნილი მწამებლად, კაცად, რომელიც კლავს. შენ შეგქმნეს, რათა ღმერთს დამსგავსებოდი, იმ ღმერთის მსგავსად, შენს გულში რომ ცოცხლობს. გრეკუს გარდაცვალებიდან არც ისე დიდი ხნის შემდეგ, რეკი ქრისტეს მიმდევარი გახდა.

რიჩარდი ერთ დიდ გაკვეთილს დააკვირდა - ან სარგებელს - რაც ცემიდან მომდინარეობდა: სული სხეულის ბატონია. მისი სხეული ტანჯვისაგან წამების ტკივილს გადიოდა, მაგრამ სული ზეამაღლებულ ნეტარებას განიცდიდა, რაც მის ცნობიერებას აღემატებოდა. დაცვას მისი სხეულის დაზიანება შეეძლო, მაგრამ ვერასოდეს დაამცირებდნენ მის სულს.

*****

ერთი პურის ნაჭერი და გაფუჭებული სუპი, სულ ეს იყო, რასაც რიჩარდი და მასთან ერთად სხვა პატიმრები ჭამდნენ მთელი კვირის განმავლობაში. მიუხედავად ამ არასაკმარისი საკვებისა, საკუთარი საკვების მეათედს მათზე სუსტებს სთავაზობდნენ, უფრო სასოწარკვეთილ პატიმრებს.

იმ ქრისტიან პატიმრებს, რომელთაც სიკვდილი ჰქონდათ მისჯილი, სიკვდილის წინ ოჯახის წევრების ნახვის უფლებას რთავდნენ. უნდა იცოდეთ, რომ ჩემი მკვლელების სიყვარულით ვკვდები, ამბობდნენ ისინი თავიანთი სიტყვებით. ჩემი საბოლოო

თხოვნაა თქვენც გიყვარდეთ ისინი. გულში სიმწარეს ნუ დაიტოვებთ იმის გამო, რომ თქვენი საყვარელი ოჯახის წევრები მოკლეს. ერთმანეთს კიდევ შევხვდებით სამოთხეში. დაცვა, რომელიც ასეთი საუბრის მოწმე ხდებოდა, ხშირად თვითონაც ქრისტიანობაზე მოექცეოდა ხოლმე.

რიჩარდი ათობით მამაცი ხუცესის მკვლელობის მოწმე გახდა. ზებუნებრივი მხნეობა ჩვეულებრივ ამბად იქცა. მათი ბოლო წუთების სილამაზე უფრო მკვეთრად ანათებდა, ვიდრე ნაცრისფერი ცემენტის კედლები და ციხის უნიფორმა.

დაპატიმრებამდე რიჩარდს მთელი გულით უყვარდა ქრისტე, მაგრამ მეორე პატიმრობის განმავლობაში, ზუსტად იმავე დოზით შეუყვარდა იატაკქვეშა ეკლესია.

*****

რამდენიმე დღის შემდეგ, რიჩარდი ღერლას ციხეში გასამგზავრებელ მატარებელში ავიდა, ტრანსილვანიურ ქალაქში, სადაც სამი წლის წინ იყო პატიმრობაში. ციხის ფანჯრებიდან სახრჩობელებს ხედავდა, რომელზეც პატიმრებს მეთვრამეტე საუკუნეში ახრჩობდნენ. კომუნისტებმა უფრო ეფექტური ფორმა აირჩიეს სიკვდილით დასჯის საქმეში: ერთი ტყვია თავის ქალაში.

ათი ათასობით პატიმარი იყო შეყრილი იქ, სადაც მხოლოდ ორი ათასი კაცისთვის იყო გათვლილი ადგილი. წინა ზაფხულს დაცვამ ფანჯრები დალუქა. სინათლისა და სუფთა ჰაერის გარეშე, აჯანყება მოეწყო. პატიმრებმა ცოცხალი კედელი მოაწყვეს ციხეში, მაგრამ ციხის უფროსმა კარები ჩამოამტვრია. „მილიცია“ გამოიძახეს და ასობით პატიმარი დასახიჩრდა ან მოკვდა. აჯანყების შედეგები ჯერ კიდევ სახეზე იყო, როცა რიჩარდი ღერლაში გადაიყვანეს. რაციონი შიმშილობის ზღვრამდე იქნა შემცირებული და მრავალი პატიმარი, რიჩარდის ჩათვლით, საბოლოოდ სხვა ციხეში იქნებოდნენ გადაყვანილნი.

როდესაც ის პირველად შევიდა ღერლაში, რიჩარდი ძალით შეიყვანეს გრძელ, ძლივს განათებულ ბარაკში, რომელშიც

მხოლოდ ორმოცდაათი იარუსი იყო ას ადამიანზე. საწოლებს იზიარებდნენ, მაგრამ ძილი შეუძლებელი გახლდათ ხვრინვისაგან გამოწვეული ხმაურით. სავსე საპირფარეშოდან მომდინარე სუნი ხომ გულისრევას იწვევდა ადამიანებში. იმ მცირე შესვენებასაც კი, რასაც რიჩარდი საბოლოოდ ეღირსებოდა ხოლმე, მოულოდნელად აწყვეტინებდა ინსპექცია. სქელძირიანი ფეხსაცმელების წმენდისა და დარტყმის ხმა, პატიმრებს აიძულებდა იატაკზე დაწოლილიყვნენ მწკრივად, დათვლის მიზნით. როგორცკი დაცვა საქმეს მორჩებოდა, პატიმარი ხელებით გადადიოდა იმ კაცზე, ვის სახელსაც დაცვა იწერდა. მინიმუმ ოცდახუთი დარტყმა იმას, ვინც ოდნავ მაინც გადაუხვევდა წესებს. ექიმის თანდასწრებითაც კი, მრავალი ადამიანი მოკლეს. ციხეში ყველა პატიმარმა იცოდა მათრახით ცემის გემო, ზოგიერთები ოცდახუთ დარტყმას რამდენიმეჯერ იღებდნენ კვირაში. სხვადასხვა ტანჯვის ინსტრუმენტის გამოცდის შემდეგ, რიჩარდი და მისი მეგობრები შეთანხმდნენ, რომ წვრილი წნელი უფრო მტკივნეული იყო, ვიდრე ღილაკიანი რეზინის ჯოხი. თითოეული დარტყმა ნეკნებსა და ხერხემალს ცეცხლივით სწვავდა. ნერვული სისტემა ამას ვერ უძლებდა და პატიმარს ხშირად გული მისდიოდა. წამება საგრძნობლად მოქმედებდა დაცვაზეც. სისხლითა და ძალაუფლებით მოწამლულები გიჟდებოდნენ.

რიჩარდს ყოველდღე გაჰქონდა საპირფარეშოსთვის განკუთვნილი სათლი ბარაკიდან იქ, სადაც მიწაზე არსებული ირეცხებოდა. გრძელ რიგში იდგა და ელოდა როდის ჩაცლიდა სათლის შიგთავსს გამდინარე, დიდ არხში. ცდილობდა მაქსიმალურად შეენარჩუნებინა სისუფთავე, იმდენად, რამდენადაც შესაძლებელი იყო, მაგრამ განავალი ხშირად სვრიდა მის ხელებსა და სამოსს.

როზა სანდორის ციხის სასაფლაოს ყოველი პატიმრის გონებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ფანჯრიდან დანახული ნაცრისფერი საფლავის ქვები რიჩარდს ახსენებდა, რომ ასაკში შედიოდა. სიკვდილს ვერ გაექცეოდა, გადადება კი შეეძლო. მრავალ მის თანასაკნელს დაავიწყდა უკვე მერამდენე წელს

ატარებდნენ ციხეში. ღერლას ციხის მთავარ კარზე არსებული საათი ერთსა და იმავე დროს აჩვენებდა; მისი ისრები არ მოძრაობდნენ, ექვსი წლის განმავლობაში. სარკის უქონლობის გამო, პატიმრები იგივე ასაკში რჩებოდნენ, თავიანთ გონებაში, რა ასაკშიც დააპატიმრეს. მრავალი ოცნებობდა ისეთ ცოლებზე, როგორებიც ერთ დროს დატოვეს, და არა ისეთებზე, როგორი ტანჯვაგამოვლილებიც იხილეს გათავისუფლების შემდეგ.

*****

მაიორი დორაბანტუ იყო მსუქანი, წითელსახიანი, პატარა, კაცი, რომელიც მთავარ კომენდანტად მსახურობდა ღერლას ციხეში. როცა რაღაცაზე აღშფოთდებოდა ხოლმე, დორაბანტუ ხშირად ჩანთაში ჩაყოფდა ხელს და ხან ნივრიანი სოსისის როლს ამოიღებდა, ხანაც ვაშლს.

რიჩარდი კომენდანტის წინაშე იდგა, უყურებდა კაცის უკონტროლო ლხინს. მხოლოდ ორი რამ არ სძულდა დორაბანტუს, საკვები და საკუთარი ხმა.

კარგი, ვურმბრანდ! თქვა და დიდი ლუკმა ნამცხვარი გადაყლაპა. ბერი, ხო?

მე ხუცესი ვარ, უპასუხა რიჩარდმა.

ხუცესი, მღვდელი, ბერი! ყველა ერთია ჩემთვის. ღარიბების სახელებს რომ ფქვავთ საკუთარი ბუდის ბუმბულივით შენარჩუნების მიზნით. ვიცი! დორაბანტუ გამოცოცხლდა თავისი ბავშვობის დროინდელი ამბების მოყოლისას იმის შესახებ, თუ როგორ სასტიკად ურტყამდნენ ბერები, რუმინულ მონასტერთან ახლოს დარჩენისას.

ნაპერწკალი აკიაფდა უფროსის თვალებში. ისიც კი მინახავს, როგორ ესროდა მღვდელი თოფს მშიერ ბავშვს, ვურმბრანდ?

რიჩარდი გრძნობდა, რომ გულში სიძულვილი ედო.

მშვენიერი წმინდა სურათია! თქვა დორაბანტუმ.

დორაბანტუ არ იყო ერთადერთი რთული ხასიათის ადამიანი, რომელსაც რიჩარდი აქ შეხვედრია. მისი თანასაკნელები

იყვნენ მკვლელები, ქურდები და კრიმინალები, რომლებსაც სიკვდილამდე ციხეში უნდა გაეტარებინათ დრო. ებრაელების მკვლელები განსაკუთრებით მტრულ დამოკიდებულებაში იყვნენ რიჩარდთან და ერთხელ კუთხეშიც კი მიიმწყვდიეს.

გითხარი, რომ მოგეკეტა! დაემუქრა ერთ-ერთი ლიდერი.

ვიღაცამ ხელი ჰკრა რიჩარდს, მეორემ ფეხი დაუდო. სახით იატაკზე დაეცა და ნეკნებში მწარე წიხლები იწვნია. სხვებიც მზად იყვნენ იერიშში მონაწილეობის მისაღებად, როცა დაცვა შემოვარდა ოთახში. აგრესორები თავის საწოლებზე გაიქცნენ.

დერეფანში შეპარვით სიარულისას, დორაბანტუმ მოგვიანებით გაიგო იერიშის შესახებ. დაცვის ერთ-ერთ წარმომადგენელს ამოეცნო რიჩარდი, როგორც ყველაზე მაღალი ოთახში, მაგრამ სიბნელეში თავდამსხმელები ვერ ამოიცნო.

ვურმბრანდ, ეს ვინ გააკეთა? იკითხა დორაბანტუმ მომთხოვნი ტონით.

რიჩარდმა უარი თქვა პასუხზე.

მე რატომ არ მეუბნები? იკითხა კომენდანტმა.

რიჩარდმა ქვედა ტუჩის ჭრილობაზე ხელი დაიდო და თქვა: როგორც ქრისტიანი, მიყვარს და ვპატიობ ჩემს მტრებს, მე მათ არ დავასმენ.

მაშინ იდიოტი ხარ! დაიყვირა დორაბანტუმ.

რიჩარდი დაეთანხმა, მართალი ხართ. ყველა, ვინც მთელი თავისი გულით ქრისტიანი არ არის იდიოტია.

თქვენ მე იდიოტს მეძახით?

ეგ არ მითქვამს. იმას ვგულისხმობდი, რომ ისეთი კარგი ქრისტიანი არა ვარ, როგორიც უნდა ვიყო.

მოაშორეთ აქედან, გასცა დორაბანტუმ ბრძანება. ოცდაათი დარტყმა! გიჟი ბერები.

რიჩარდს ტუჩები უფრო უფეთქავდა, როცა დაცვას გასაშოლტად მიჰყავდა.

57

ფლორესკუმ, ნახევრად ბოშა ქურდმა, ხის სკამი გამოწია და რიჩარდთან დაჯდა სასაუბროდ საკანში.

მე იმის მჯერა რასაც ვხედავ, გემოს ვგრძნობ და განვიცდი, თქვა ფლორესკუმ. ჩვენ, ყველანი, მატერია ვართ, როგორც ეს სკამი, რომელზეც ვზივარ და რომ მოვკვდები, ყველაფერი დამთავრდება.

რიჩარდს ნათქვამი უნდა დაემტკიცებინა. ადგა და სკამს ფეხი ჰკრა, რომელზეც ფლორესკუ იჯდა. სკამი იატაკზე გაგორდა და კედელს მიენარცხა. ფლორესკუ მაგრად დაეცა იატაკზე.

ეს რას ნიშნავდა? დაიყვირა ფლორესკუმ ფეხის ფხანით.

შენ ამბობ, რომ სკამივით მატერია ხარ, უპასუხა რიჩარდმა მშვიდად. მე სკამისაგან წუწუნი ვერ გავიგე!

ზოგიერთმა თანასაკნელმა გაიცინა.

ვწუხვარ, ფლორესკუ, თქვა რიჩარდმა. უბრალოდ, მინდა დაგანახო, რომ ვიდრე მატერია სიყვარულით ან სიძულვილით არ მოქმედებს, ჩვენგან განსხვავებულია.

ფლორესკუ ჩაფიქრდა რამდენიმე წუთით და შემდეგ უთხრა: შეიძლება დავიჯერო, თუ მკვდარი მობრუნდება უკან, ჩვენთან სალაპარაკოდ.

დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანებს გარდაცვლილებთან კონტაქტი ჰქონიათ, უთხრა რიჩარდმა. დიდ მეცნიერებს, ისააკ ნიუტონიდან დაწყებული, სერ ოლივერ ლოჯით დამთავრებული, ყველას სწამდა სპირიტუალიზმის. ბიბლიაც კი საუბრობს გარდაცვლილი წინასწარმეტყველი სამუელის გამოძახებაზე. (1 სამ. 28)

სხვა ადამიანებიც შემოეხვივნენ რიჩარდს გარშემო, სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის საკითხზე ქადაგების მოსასმენად. მისმა სიტყვებმა მიიპყრო მათი ყურადღება და მყისიერი ინტერესი გამოიწვია.

თუ ღმერთმა მხოლოდ ამქვეყნიური სიცოცხლისათვის შეგვქმნა, პირველ რიგში, მოგვცემდა ასაკისთვის შესაფერის სიბრძნეს და შემდეგ ახალგაზრდობას თავისი სიმძლავრით. უაზროდ მეჩვენება ცოდნისა და გამოცდილების შეგროვება, მხოლოდ სამარხში ჩასატანად.

მარტინ ლუთერი ჩვენს ცხოვრებას დედამიწაზე დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლეს ადარებს, გააგრძელა. ის ამბობს, რომ თუ ემბრიონს საშოში ფიქრი შეეძლებოდა, გაუკვირდებოდა, როგორ გაიზარდა მისი ხელ-ფეხი და მივიდოდა იმ დასკვნამდე, რომ უნდა მოელოდეს სხვა სამყაროს, რომელშიც ითამაშებს, ირბენს და იმუშავებს. როგორც ემბრიონი ემზადება მომავალი ცხოვრებისთვის, ასევე ჩვენც. რიჩარდმა ხმას აუწია, რათა დაწოლილ პატიმრებსაც მოესმინათ. ძლივს განათებულ ბარაკში, ყველას თვალები ხუცესისაკენ იყო მიპყრობილი.

ვთქვათ, ვცდილობ დავამტკიცო, რომ ნახევარ ლიტრიან ბოთლში ათი ლიტრი რძის ადგილია. თქვენ იტყოდით, რომ გიჟი ვარ, თუმცა შესაძლოა, გონებაში მიტრიალებდეს წარღვნის მოვლენა, რომელიც ათასობით წლის წინ მოხდა, ვფიქრობდე ჩემს ცოლსა და ვაჟზე სადაც დავტოვე, ვფიქრობდე ღმერთსა და ეშმაკზე. როგორ ხდება, რომ ჩემს თავში არსებული შეზღუდვები მოიცავს ყოველდღიური ცხოვრების საკითხებს, როგორც მოკვდავ, ასევე მარადიულ საკითხებზე ფიქრს. როცა შენს თავისუფალ სულს შეუძლია წავიდეს სადმე დროსა და სივრცეში, ფიქრობთ, რომ ის ჩვენი ხორციელი ნაჭუჭის ბედს გაიზიარებს?

რიჩარდს ბუქარესტში ხუცესობის დროს, ისეთი სიჩუმე არსად უგრძვნია, როგორიც ამ საკანში იყო. არავითარი მთქნარება, არანაირი მოძრაობა, არანაირი ხუმრობა. რიჩარდმა ჩაბნელებულ ოთახში მიმოიხედა და ქრისტეზე ქადაგება გააგრძელა. მან საკანში დაინახა ისეთი მსმენელი, როგორი დაინტერესებულიც

აქამდე არასოდეს ჰყოლია. ისმენდნენ ჭუჭყიანი ტანსაცმლით შემოსილნი, კანგადაკრული ყბები რომ მოუჩანდათ, ლოყები რომ ჩაღრმავებოდათ შიმშილისაგან და მათი თვალები - მოლოდინისაგან ფართოდ გახელილი - ამხელდა მათ შიმშილს იმ ჭეშმარიტებისადმი, რომლითაც რიჩარდი კვებავდა.

*****

მისი მეორე დაპატიმრებიდან მეოთხე წელს, რიჩარდი კვლავ შეუძლოდ გახდა და ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ერთი კვირის შემდეგ, დაცვამ მას და მის გვერდით მყოფ პაციენტებს ეზოში გამოსვლა უბრძანა. ზოგიერთებს სიარულის ძალა არ ჰქონდათ, რიჩარდი ეხმარებოდა, როგორც შეეძლო. აიძულეს, ერთი საათით ფეხზე მდგარიყვნენ და სხვა პატიმრების მიერ სასწრაფოდ შეთითხნილი თეატრალური წარმოდგენისათვის ეყურებინათ. მსახიობები აფურთხებდნენ ქრისტიანობას, ტაშს უკრავდნენ კომენდანტს, რომელიც ჭამდა და იცინოდა.

სათითაოდ ყველა პატიმარს აიძულებდნენ, რომ სცენის შუაგულში დამდგარიყო და ქრისტეს წინააღმდეგ სლოგანი ეთქვა. მანამდე უნდა ვთქვათ ეს, ვიდრე ყველაფერი არ დამთავრდება, თქვა ერთ-ერთმა პატიმარმა და ცრემლმორეული რიჩარდს ეკვროდა.

როცა ალექსანდრესკუმ, ახალმა კომენდანტმა, რიჩარდს სცენაზე ასვლა მოუწოდა სლოგანის გასამეორებლად, ასობით პატიმრის თვალები ხუცესს მიაჩერდა. ისიც კომუნიზმს განადიდებს? ჩურჩულებდნენ ერთმანეთში.

რიჩარდს საბინას სიტყვები გაახსენდა, კულტების კონგრესზე ნათქვამი: ჩამორეცხე ეს სირცხვილი ქრისტეს სახიდან!

მიდი! ილაპარაკე! უბრძანა ალექსანდრესკუმ.

რიჩარდმა ფრთხილად დაიწყო: კვირა დილაა; ჩვენი ცოლები, დედები და შვილები ჩვენთვის ლოცულობენ ეკლესიაში ან სახლში. ჩვენც უნდა გვინდოდეს მათთვის ლოცვა. ამის ნაცვლად, ეს სპექტაკლი ვნახეთ.

რიჩარდმა ცრემლები შენიშნა პატიმრების თვალებზე, როგორც კი ოჯახები ახსენა. ბევრმა ისაუბრა ქრისტეს წინააღმდეგ, გააგრძელა მან, მაგრამ სინამდვილეში რა გაქვთ მისი საწინააღმდეგო? პროლეტარიატზე ლაპარაკობთ და იესო ხურო არ იყო? ამბობთ, რომ ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამსო, რაც დიდი ხნის წინ პავლემ თესალონიკელთა მიმართ მეორე წერილში დაწერა (თესალონიკელთა 2, 3:10). სიმდიდრის წინააღმდეგ ლაპარაკობთ და იესომ ფულის გადამცვლელთა მაგიდები გადააყირავა და გამოყარა ისინი ტაძრიდან (იოანე 2:14-15).

ალექსანდრესკუ წინააღმდეგობით იყო გამსჭვალული, მაგრამ მაინც უსმენდა, იმედოვნებდა, რომ რიჩარდი საკმარისად ბევრს იტყოდა მისივე სიკვდილით დასჯისათვის. თქვენ გინდათ კომუნიზმი, თქვა რიჩარდმა, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ პირველი ქრისტიანები ცხოვრობდნენ ისეთ საზოგადოებაში, რომელშიც ყველა ერთმანეთს უზიარებდა, რაც კი გააჩნდათ (საქმეები 2:44). თქვენ გსურთ, რომ ღარიბებს დაეხმაროთ, შესანიშნავია. მარიამის საგალობელიც იესოს შობისას, ამბობს, რომ ღმერთი აღამაღლებს ღარიბებს მდიდრებზე (ლუკა 1:52-53). ყველაფერი, რაც კარგია კომუნიზმში ქრისტიანობიდან მოდის! შემდეგ რიჩარდმა მოიყვნა კარლ მარქსის ციტატა, რომელიც თავისი წიგნის, კაპიტალიზმის, შესავალში ამბობს, რომ ქრისტიანობა ყველაზე მისაღები რელიგიური ფორმაა. დაცვას შეხედა და ჰკითხა - არის ვინმე, კომუნისტიც კი, ცოდვის გარეშე?

რიჩარდმა ღიად დაიწყო იესო ქრისტეზე ქადაგება, რას მიაღწია მან ჯვარზე და როგორ უყვარდა კომუნისტებიც - განსაკუთრებით კომუნისტები. გამოცდა ცხოვრების ნაწილი იყო, განმარტა მან, უნივერსიტეტის სტუდენტობიდან ქარხნის მუშამდე ცხოვრების აუცილებელ ნაწილს წარმოადგენდა.

რიჩარდი კომენდანტს მიუბრუნდა და უთხრა: თქვენც გაგასამართლებენ, მაიორო ალექსანდრესკუ, თანასაკნელებმა ერთმანეთს გადახედეს შიშისგან. შეიძლება რიჩარდი რამდენიმე წუთით იყო დაშორებული სიკვდილისგან, მაგრამ ქადაგებას

მაინც აგრძელებდა, მთელ ციხეს ეუბნებოდა, რომ ქრისტე მოკვდა ჯვარზე და საუკუნო სიცოცხლე მისცა მას, ვინც მოინანიებს.

ვიდრე რიჩარდი მსახურებას დაამთავრებდა, ციხეში შეძახილები გაისმა. ყველა რანგის პატიმარი ტაშს უკრავდა და ყვიროდა, ისე რომ მოსალოდნელი შედეგი არავის არ აინტერესებდა. როცა რიჩარდი თავის ადგილს დაუბრუნდა, ერთ-ერთმა პატიმარმა, მირონმა თქვა - თქვენ ყველას გაფუჭებული საქმე გამოასწორეთ.

გასტონმა ჩაიჩურჩულა - შეძახილები გაიგეთ?

რიჩარდმა უპასუხა - ისინი იმას ეხმიანებოდნენ, რაც საკუთარ გულებში აღმოაჩინეს და არა მე.

რიჩარდს ქადაგება ციხის საავადმყოფოს ადგილის დაკარგვად დაუჯდა. დაცვამ ის მღვდლების ოთახში გადაიყვანა.

რამდენიმე დღის შემდეგ, ლეიტენანტმა, სახელად კონიამ, ორი ამბავი მოუტანა რიჩარდს. პირველი ის, რომ საბინა ციხეში იყო და მეორე - საღამოს ათ საათზე ისევ გაამეორებინებდნენ გამომწვევ სიტყვას. ცემას მოელოდა, მაგრამ საბინას შესახებ ამბავმა შოკში ჩააგდო. ცემის მოლოდინს შეიძლება კაცი გაეგიჟებინა, მაგრამ იცოდა, რომ მის ცოლსაც სცემდნენ და ეს ყველაზე აუტანელი განსაცდელი იყო. რიჩარდი საკნის კართან იცდიდა, ხანდახან წინ და უკან მიმავალი ნაბიჯების ხმა ესმოდა. სადღაც ქვემოთ პატიმარი ყვიროდა, მაგრამ რიჩარდთან არავინ მოსულა.

მომდევნო ექვსი დღის განმავლობაში გამუდმებით ემუქრებოდნენ. ბოლოს, თითქმის ერთი კვირის შემდეგ, დაცვამ წაიყვანა და იმდენი ურტყა მხარზე და ზურგში, რომ გადარჩენას აღარ მოელოდა. ყოველი იარა ცეცხლივით ეწვოდა სხეულზე.

მას შემდეგ, რაც დაცვა ცემას მორჩა, ლეიტენანტმა კონიამ ბრძანა - კიდევ მეტი მოუხდება! ათით მეტი! ორმა დაცვამ წაათრია რიჩარდი საკანში. ოთახში გრამაფონი იყო ჩართული: ქრისტიანობა სისულელეა. ქრისტიანობა სისულელეა. ქრისტიანობა სისულელეა. რატომ არ დანებდები? რატომ არ დანებდები? რატომ არ დანებდები?

თავი 57

რიჩარდი ვერ დანებდებოდა, რადგან იესო არ დანებდა მისთვის. როცა წამების პირისპირ იდგა, იესოსაც შეეძლო ზეციდან ანგელოზების გამოძახება და საკუთარი თავის დახსნა, მაგრამ მან აიტანა ტკივილი თავისი მტრების სიყვარულის გამო, მათ გამო, ვინც ის ჯვარზე გააკრა.

მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში ინტენსიურად სცემდნენ. რიჩარდსა და სხვა ხუცესებს ხშირად შარვლის ჩაწევას უბრძანებდნენ, უფრო კარგად გაშოლტვისათვის. მუცელზე დაწექით! უყვიროდა დაცვა. სხვები სთხოვდნენ, რომ ზურგზე დაწოლილიყვნენ და ფეხები მაღლა აეწიათ. როცა დაცვა მოიწყენდა, ორ პატიმარს ერთმანეთისგან დააშორებდა და ერთ-ერთს ეტყოდა, რომ მეგობრისთვის სახეში გაერტყა. თუ უარს იტყოდა, ეუბნებოდნენ, რომ შესაძლებლობა დაკარგა. მერე მეორეს უბრძანებდნენ პირველისათვის დარტყმას. ზურგში დაარტყი! ეუბნებოდნენ და ხარხარებდნენ. პატიმრები ხშირად იქამდე ურტყამდნენ ერთმანეთს, ვიდრე სახეზე კანი არ ჩამოეკიდებოდათ, არ გაუსივდებოდათ და არ გაულურჯდებოდათ.

წამებას არანაირი შედეგი არ ჰქონდა რიჩარდის შემთხვევაში. მან ისეთი სიხარული განავითარა შინაგანად ქრისტესათვის წამების შედეგად, რომ ლეიტენანტი კონიას სხვა მეთოდებისათვის უნდა მიემართა. რიჩარდის საკანში შევიდა და საკუთარი ნივთების შეგროვება მოსთხოვა. კონიამ ეზოში გაატარა და შეიყვანა იმ შენობაში, რომელსაც თეთრკედლიანი საკანი ჰქონდა. რიჩარდს ასეთი საკანი არასოდეს უნახავს აქამდე. ნათურები ალამაზებდნენ კუთხეებს და ოთახს საუცხოო შუქს სძენდნენ. უცბად, მეგაფონი ჩაირთო, ყვიროდა: არავის სწამს ქრისტესი ახლა. არავის სწამს ქრისტესი ახლა. არავის სწამს ქრისტესი ახლა. არავინ დადის ეკლესიაში. დანებდი. დანებდი. არავის სწამს ქრისტესი ახლა...

რიჩარდს უნდოდა ყურები დაეცო და ხელბორკილები გაეწყვიტა, ზურგს უკან რომ ჰქონდა შეკრული.

როცა კონია ოთახში შემოვიდა მეორე დილით, რიჩარდს ხელბორკილები მოაშორა და სთხოვა დერეფანში გაჰყოლოდა.

ახალი საკანი, რომელიც რიჩარდს ელოდა. მისი დანახვისას სუნთქვა შეეკრა. ახალი სამოსი ეწყო სუფთა თეთრეულით გაწყობილ საწოლზე. მაგიდას სუფრა ჰქონდა გადაფარებული და ცოცხალი ყვავილები იდო ვაზაში. ოთახმა გრძნობები აღძრა რიჩარდში, საწოლზე ჩამოჯდა და ტირილი დაიწყო. კონია კმაყოფილი დარჩა. რიჩარდმა გადაშალა მაგიდაზე დადებული გაზეთი, რომელიც პირველად ნახა ციხეში გატარებული წლების განმავლობაში. იმდენ ინფორმაციას ისრუტავდა, რამდენიც მოკლე ხანში შეეძლო ფურცლების ნელა გადაშლისას. ამერიკის შეერთებული შტატების მეექვსე ფლოტი შავ ზღვაში შემოვიდა თუ არა? არცერთი სიტყვა არ იყო ნათქვამი ამ მიმართულებით, მაგრამ ერთი სტატია იყო კუბაში მყოფი კომუნისტი დიქტატორის შესახებ, რომელმაც ამერიკა საკუთარ კარში გამოიწვია.

კომენდანტი ალექსანდრესკუ შემოვიდა მდიდრულ ოთახში. მოიწონა ოთახში არსებული საცხოვრებელი პირობები და დაჰპირდა, რომ რიჩარდს მისცემდნენ ამ ოთახს მუდმივ საცხოვრებლად. შემდეგ, მობრუნდა და რელიგიის გინება დაიწყო, ამტკიცებდა, რომ იესო ქრისტე მოწაფეების ფანტაზიის ნაყოფი იყო მონებისათვის უკეთესი ცხოვრების იმედის მისაცემად.

რიჩარდმა მას გაზეთი გადასცა და უთხრა, რომ ეს პარტიის პრესის მიერ არის დაბეჭდილი. ამის მიხედვით, 1963 წლის ივლისია. რაც იმას ნიშნავს, რომ 1963 წელი გავიდა მისი დაბადების შემდეგ, ვინც თქვენი აზრით, არასოდეს არსებობდა. თქვენ არ გჯერათ ქრისტესი, მაგრამ მას აღიარებთ ჩვენი ცივილიზაციის ფუძემდებლად.

ეს არაფერს ნიშნავს, თქვა ალექსანდრესკუმ მხრების ჩეჩვით. ეს უბრალოდ ჩვეულებაა, ასეთი ათვლის წესია.

თუ ქრისტე არასოდეს მოსულა დედამიწაზე, როგორ გაჩნდა ეს ტრადიცია?

ზოგიერთმა მატყუარამ დაიწყო ის.

დავუშვათ, თქვენ მეუბნებით, რომ რუსები დაეშვნენ მარსზე, შესთავაზა რიჩარდმა მოსაზრება. მე არ მჭირდება თქვენი რწმენა, მაგრამ თუ რადიოს ჩავრთავ და ნიუ იორკს მოვუსმენ, რომ ამერიკა

მათ ულოცავს, მაშინ დავრწმუნდები, რომ მართალი ყოფილა. ასევე, უნდა მივიღოთ ქრისტეს არსებობა, როგორც ისტორიული ფაქტისა, როდესაც მტრები და ფარისევლები აღიარებდნენ მას თალმუდში, სახელები უწოდეს დედამისსა და მის მოწაფეებს. და კიდევ, მოხიბლულნი უნდა ვიყოთ იმით, რომ ფარისევლები იესოს მიაწერდნენ სასწაულებს, როცა აპროტესტებდნენ შავი მაგიის გრძნეულებით ზეგავლენას. მრავალი წარმართი მწერალი აღიარებდა იესოს. მხოლოდ კომუნისტები უარყოფენ ამ აშკარა ისტორიულ ფაქტს. უბრალოდ, იმიტომ, რომ მათ თეორიას არ ერგება.

ალექსანდრესკუმ არ დაიწყო ჩვეული ლექციის კითხვა, არამედ რიჩარდს წიგნი გაუგზავნა წასაკითხად; ათეისტის ცნობარი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხავი ნებისმიერი ადამიანისთვის, ვინც კარიერას ეძებდა კომუნისტურ ქვეყნებში. ძალიან ლამაზი წიგნი იყო, კარგად შეკრული ფურცლებითა და ლამაზი ილუსტრაციებით. რიჩარდმა ყოველი სიტყვა წაიკითხა რელიგიის ისტორიიდან: ინდუიზმის, ბუდიზმის, კონფუციანიზმისა და ისლამის შესახებ, ქრისტიანობის ისტორიამდე. ნასიამოვნები დარჩა როდესაც წაიკითხა, რომ ვიდრე კათოლიციზმი ტალახში ამოსვარეს, ლუთერანიზმი უკეთესობისაკენ იღწვოდა მას შემდეგ, რაც ლუთერმა პაპი გამოიწვია. მიუხედავად ამისა, მეცნიერება ამტკიცებდა, რომ ყველა ქრისტიანული ტრადიცია მცდარი და აარასწორ წარმოდგენებზე იყო დაფუძნებული. რიჩარდმა დიდი ინტერესით წაიკითხა იმის შესახებ, თუ როგორ წარმოიშვა ქრისტიანული რიტუალები წარმართული ფოლკლორიდან. ბოლო თავის სათაურმა მიიყვანა წიგნის თეზისი დასასრულამდე: „ათეისტური პროპაგანდის ფორმები.“ ამ თავის წაკითხვის შემდეგ, წიგნის ყდა დახურა და მადლიერი გახლდათ იმ შესაძლებლობისთვის, რომ ეს წიგნი ხელში ეჭირა. შემდეგ სუფთა თეთრეულში ჩაწვა.

*****

რიჩარდმა იცოდა, რომ კათოლიკურმა ეკლესიამ შერიგების გზას მიმართა დაყოფილ ძმებთან აღმოსავლეთსა და

დასავლეთში. იყო თუ არა ქრისტიანული ერთობა შესაძლებელი? რიჩარდი საკუთარ გონებას ეკამათებოდა, იცოდა რა, რომ მას, ვისაც ჭეშმარიტად უყვარს ქრისტე, სხვებიც უნდა ჰყვარებოდა. წარმოიდგენდა, რომ ქრისტე თავის შვილებს ეუბნებოდა მსოფლიოს გარშემო: „მე გაგაერთიანეთ სხვადასხვა გზით. ახლა კი არ უნდა იბრძოდეთ ერთმანეთში, არამედ უნდა ხარობდეთ!“

რიჩარდს ახსოვდა ცნობილი გერმანელი პოეტის, გოეთეს, სიტყვები: „ფერი არის სინათლის ტკივილი.“

აკვირვებდა ეს აზრი. როცა სინათლე პრიზმას გაივლის, მრავალფეროვან ნაწილებად იშლება ყველა მიმართულებით. ყოველი სხივი იმავე სინათლიდან არის წარმოქმნილი, რომლიდანაც სხვები, მაგრამ ერთმანეთისაგან ფორმითა და მიმართულებით განსხვავდებიან. ანალოგიურად, დასავლელი ქრისტიანები განსხვავდებიან აღმოსავლელებისაგან. მათი კულტურა განსხვავებულია; მათი ჩვევები და ტრადიციები განსხვავებულია. მათი ეროვნული დროშების ფერიც კი განსხვავებულია. მთელი მსოფლიოს ირგვლივ, ღვთის შვილები ქრისტეს სისხლით გამოსყიდულები არიან, ერთსა და იმავე სხივს იღებენ მზისგან. ღმერთს არასოდეს არ განუზრახავს ერთმანეთის მსგავსება; მან განიზრახა ერთობა - ერთობა ღვთის ძეში, რომელმაც ყოველივე ახალი შექმნა.

რიჩარდს იმაზე ფიქრში ჩაეძინა, რომ დაყოფა მტკივნეულ საკითხს წარმოადგენდა, სხვადასხვა პერსპექტივიდან. იესოს სიტყვები იავნანასავით ჩაესმოდა და ღრმა ძილს მისცა თავი; „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. ვერავინ მივა მამასთან, თუ არა ჩემით“ (იოანე 14:6).

58

„ალისა სახლშია!“ დაიკივლა მარიეტამ.

საბინა შეეცადა კარგი ამბის დაჯერებას, მაგრამ ალისა ოთხი წელია, რაც არ უნახავს. ლაბადას ხელი დაავლო და მიხეილთან და მარიეტასთან ერთად ტრამვაის გაჩერებაზე წავიდა.

ალისას საგრძნობლად დასტყობოდა ასაკი. დაკერებულ სამოსში გამოწყობილი იდგა და თხელი თმა უფარავდა იმ ღრმა ნაოჭებს, რომელიც კომუნისტების წამებისგან ამოტვიფროდა, მაგრამ იცინოდა, როგორც ყოველთვის.

ხვალ საჭირო ნივთებს მოგიტანთ, დაჰპირდა საბინა.

ვიცი, რომ შენ თვითონ არაფერი გაქვს, უთხრა ალისამ და მართალიც იყო.

ოჰ, მაგრამ ჩვენ მდიდრულად ვცხოვრობთ, თქვა მიხეილმა ხელოვნური ღიმილით. შენ ჩვენი პენტჰაუსის ბინა უნდა ნახო.

კედლებზე ნოხები - ჩაერია მარიეტა. ფანჯრებზეც! გამდინარე წყალი პირდაპირ ჭერიდან!

ალისა საბინას ბიძაშვილის კუთვნილ ბინაში დატოვეს და თვითონ სახლში წავიდნენ. საბინა ეცადა დაეძინა იმ ღამით, მაგრამ როგორც კი თვალებს დახუჭავდა, რიჩარდის ხელახლა ნახვას წარმოიდგენდა.

ყოველ კომუნისტურ დღესასწაულზე, ბუქარესტში, პოლიცია პოლიტიკური პატიმრების სახელებს აცხადებდა, რომლებიც მალე იქნებოდნენ გათავისუფლებულნი. საბინა ყველა დღესასწაულს ესწრებოდა, იმ იმედით, რომ რიჩარდის სახელს ყურს მოჰკრავდა.

შემდეგ, ზაფხულის ერთ თბილ დღეს, 1964 წელს, საბინა სახლში დაბრუნდა და ყოველდღიური გაზეთი ნახა. ოჯახის

მეგობარს მოუტანია სამსახურისაკენ მიმავალს. საბინა აკანკალდა, როგორც კი წინა გვერდზე დიდი ასოებით დაწერილი სიტყვა წაიკითხა: **ამნისტია**.

*****

საბინამ არ იცოდა ვის შეეხებოდა ამნისტია, მაგრამ მთელი გულით ლოცულობდა, რომ რიჩარდის მსგავს პოლიტიკურ პატიმრებსაც შეხებოდათ. სტატია რამდენიმეჯერ წაიკითხა და მერე ამხანაგის ოთახში გაიქცა, სადაც უკვე რამდენიმე ქალბატონი საუბრობდა სათაურის შესახებ.

ოჰ, შარშანდელივით იქნება, მოთქვამდა ქალბატონი ლანდაუერი. მხოლოდ კრიმინალები!

არა, არა! თქვა საბინამ. განა გამუდმებით არ გეუბნებით? მოდით, ვილოცოთ და მადლობა გადავუხადოთ ღმერთს და ნახავთ.

საბინას სახლში დაბრუნებიდან ხუთი წუთის შემდეგ, მეზობელი შემოვარდა მასთან სიახლით, რომ მისი მეგობარი გაუთავისუფლებიათ ღერლას ციხიდან.

ღერლა? გაუფართოვდა საბინას თვალები. მეზობელი აგრძელებდა:ისამბობს,რომშენიქმარიცდღესგათავისუფლებულთა სიაში იყო. დაუნახავს როგორ ელოდებოდა ისიც ეზოში. ის მოდის!

საბინა შეეცადა იმ საღამოს კარტოფილი გაეფრცქვნა, მაგრამ გული სიხარულისაგან უფეთქავდა და აუცილებლად უნდა დამჯდარიყო. რამდენიმე საათის შემდეგ, ვიღაც სხვამ დააკაკუნა კარზე. ბატონი იონესკუ გახლდათ ქვედა სართულიდან. საბინას ხელზე ჩამოეკიდა და უთხრა, რომ ვიღაც ურეკავდა რეგიონიდან. ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა კაცს და ტელეფონის ყურმილი აიღო:

ეს რიჩარდის ხმა იყო! საბინამ იგრძნო, რომ ძირს ეცემოდა, მაგრამ თავის შეკავება ვერ შეძლო. როცა გონს მოვიდა, ცნობისმოყვარე თვალები დააცქერდნენ ზემოდან.

კარგად არის! დაიყვირა ვიღაცამ.

გული წაგივიდა! თქვა მეორემ.

მიხეილი იცინოდა და ლაპარაკობდა ტელეფონზე. დედას გაუცინა და უთხრა, რომ მამა მეგობართან დარჩა კლუიში. რიჩარდი ირწმუნებოდა, რომ კარგად იყო, გათავისუფლებული და სახლში მალე დაბრუნდებოდა. მატარებლით უნდა წამოსულიყო და მეორე დილამდე დაეცადათ.

იმ საღამოს, მოგვიანებით, ათობით ამხანაგთან სტუმრობის შემდეგ, საბინამ ტელეგრამა მიიღო. ქაღალდი სწრაფად გახსნა და კარგი ამბავი ხმამაღლა წაიკითხა: რიჩარდი ღამის მატარებლით მოდის! ჩაიდუდუნა. ხვალ დილის 8:30-ზე იქნება! საბინას იმ ღამით ძილიც კი არ უცდია. სხვა ქალბატონებთან ერთად ხარობდა ქმრების გათავისუფლებას, ზოგიერთ მათგანს თხუთმეტი წელია, რაც ქმარი არ ენახა. თითქოს, საფლავმა გადასცა მკვდარი ცოცხლებს ხელში.

ყვავილები ყოველ საათს მოდიოდა იმ ადამიანებისაგან, რომელთაც საბინასთან ერთად რიჩარდის დაბრუნების სიხარულის გაზიარება არ შეეძლოთ სხვენში, მაგრამ ბინა უკვე გადაჭედილი იყო რიჩარდის მნახველებით.

*****

დილა სწრაფად გათენდა. მზე ახალი სიჩქარით ამოიწვერა ჰორიზონტზე და კარგი დღისათვის მზის სხივებით მოფენას გვპირდებოდა.

ხმაურიანი მატარებელი სადგურს მიუახლოვდა, მშფოთვარე ოჯახის წევრები ძრავის შენელების ხმას უსმენდნენ, ვაგონები პატიმრებით იყო სავსე. მამების, ქმრების, ძმებისა და შვილებისთვის ლოცვამ აავსო პლატფორმა, მაგრამ მრავლის ლოცვა შეუსმენელი დარჩა.

საბინა გამვლელი ვაგონების ფანჯრებს ათვალიერებდა, ვიდრე ნაცნობ სახეს არ მოჰკრა თვალი. რიჩარდი ფანჯრიდან იყურებოდა. გამხდარი და ფერწასული სახის ზემოთ უხეშად გადაპარსული თავი მოუჩანდა. ღმერთმა დამიბრუნა უკან, გაიფიქრა საბინამ და მისკენ გარბოდა შესაგებებლად.

საბინამ დაინახა რიჩარდის ფეხსაცმელი თასმების გარეშე - მისი ფეხისთვის საგრძნობლად დიდი -და იქამდე უწყობდნენ ფეხს ერთმანეთს, ვიდრე რიჩარდის მყიფე კიდურები არ შემოეხვია საბინას მომცრო სხეულს. მიხეილიც შეუერთდა ხვევნას და მთელი მატარებლის სადგური მოიცვა ყვირილმა და მისალმებამ. ყველას უნდოდა, რომ მისალმებოდა და სხვა პატიმრების შესახებ ინფორმაცია გამოეკითხათ. ერთმა ფოტოაპარატიანმა კაცმა გვერდზე გაიხმო რიჩარდი თავის ოჯახთან ერთად და სურათი გადაუღო.

არ ისაუბროთ, უთხრა რიჩარდმა ოჯახის წევრებს თბილად. „ნება მომეცით, უბრალოდ გიცქიროთ.“

*****

კომენდანტ ალექსანდრესკუს რომ ღერლას ყველა პატიმრისათვის ეთქვა რამდენიმე დღით ადრე -ხვალ ყველა თქვენგანს დაგხვრეტენ, მთელი ცენტრალური ციხის ნაწილი ყიჟინას შესძახებდა. თავისუფლება ბოლოს და ბოლოს! ამის ნაცვლად, კომენდანტი დარბაზში მოვიდა და გამოაცხადა, რომ მთავრობამ ამნისტია შეახო პოლიტიკურ პატიმრებს და მეორე დღეს ყველას გაათავისუფლებდნენ.

ირგვლივ გაოცებული სახეები შეიმჩნეოდა. მორიგ ხრიკს ხომ არ ჰქონდა ადგილი?

რიჩარდი ეკუთვნოდა ერთ-ერთ იმ ჯგუფს, რომელმაც ბოლოს დატოვა ციხე. დაცვამ, სისასტიკეს რომ იჩენდა რიჩარდის მიმართ, ახალი სამოსი გადასცა. მან მადლიერებით გამოართვა.

ძმაო ვურმბრანდ! მივიდა ერთი კაცი ხუცესთან და უთხრა, რომ სიბიუში ცხოვრობდა. იმდენი რამ მსმენია თქვენ შესახებ თქვენი შვილისგან. ერთ საკანში ვიყავით.

ჩემი შვილიც ციხეში იყო? გაუკვირდა რიჩარდს. არა, თქვენ გეშლებათ!

კაცმა ლმობიერებით შეხედა და თქვა: არ იცოდით? ის უკვე ექვსი წელია ციხეშია.

თავი 58

რიჩარდი ზურგით შებრუნდა ისე, როგორც აქამდე ათასჯერ გაუკეთებია ოცდახუთი დარტყმის მისაღებად, მაგრამ ამ სიახლემ უფრო ღრმად აუწვა სხეული. მიხეილის ჯანმრთელობა განადგურდებოდა. შეუძლებელი იყო, რომ მას ამდენ ხანს გაეძლო ციხეში.

რიჩარდი ჯერ კიდევ შოკში იყო, როცა ალექსანდრესკუ მიუახლოვდა.

ძალიან კარგი, ვურმბრანდ, თქვა კომენდანტმა. სად წახვალ ახლა, როცა გაგათავისუფლეს?

რიჩარდი მცირე ხანს დაფიქრდა. არ ვიცი, ოფიციალურად მაცნობეს, რომ ჩემი მეუღლე ციხეშია და ახლა მესმის, რომ ჩემი ვაჟიც ციხეში ყოფილა. აღარავინ დამრჩა.

ბიჭიც! თქვა ალექსანდრესკუმ კბილების გამოჩენით. როგორ გრძნობთ თავს შვილის ციხეში ყოფნით?

რიჩარდმა უპასუხა: დარწმუნებული ვარ, რომ ქურდობის ან სხვა დანაშაულის გამო არ არის ციხეში და თუ ქრისტეს გულისთვისაა, მაშინ ვამაყობ მისით.

რა? დაიყვირა ალექსანდრესკუმ. ამდენი ფული ციხეში შენს შესანახად იმიტომ დავხარჯეთ წლების განმავლობაში, რომ საამაყოდ ჩათვალო ოჯახის წევრის ციხეში ყოფნა?

რიჩარდმა ციხე სხვა კაცის ტანსაცმლით დატოვა. მან ერთხელ უკვე იგრძნო ასეთი თავისუფლება, მაგრამ იმ სიახლით, რომ მისი ცოლ-შვილი დაპატიმრებულია, საკუთარი თავი აიძულა რომ ქუჩაში გამოსულიყო, გულგატეხილი და საცოდავი. ქუჩებში მიმავალი მანქანების ბრჭყვიალი თვალს ჭრიდა რიჩარდს. ქალბატონების ფერადმა ლაბადებმა მიიქციეს მისი ყურადღება, ყვავილებმა ფანჯრებში, რადიომ, მუსიკას რომ უკრავდა. ქალაქი სილამაზით იყო მოცული. სიო სუფთა, ახალ ჟანგბადს, სთავაზობდა მის ფილტვებს.

რიჩარდი ავტობუსით ჩავიდა მეზობელ ქალაქ კლუიმდე, სადაც ერთ დროს მეგობრები ჰყავდა. რამდენჯერმე გამოიცვალეს საცხოვრებელი და სახლიდან სახლში გადადიოდა მათ საპოვნელად. როგორც კი ავტობუსმა ქუჩის კუთხეში შემოუხვია,

ის ქალბატონი გაახსენდა მარწყვი რომ შესთავაზა წინა პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ. რას არ მისცემდა ზაფხულის სიცხეში მადისაღმძვრელი მარწყვისათვის ახლა.

როცა რიჩარდმა მეგობრები იპოვა, ხილი და ნამცხვარი შესთავაზეს, მაგრამ მას მხოლოდ ყავისფერი ხახვის ჭამა უნდოდა, მაგიდაზე რომ იდო. ციხის უგემურმა საკვებმა მასში მძაფრგემოიანი საკვების სურვილი გამოიწვია. წყლის დალევის შემდეგ, რიჩარდმა ტელეფონზე დარეკა და ბუქარესტელი მეზობლის ნომერი აკრიფა. რამდენიმე წუთში საბინას ხმა შემოესმა.

რიჩარდი ვარ! აუხსნა მან. ვიფიქრე, რომ შენც ციხეში იყავი!

ხმამაღალი ხმა გაისმა ყურმილში, შემდეგ მისივე სიტყვები გამეორდა. რიჩარდმა მიხეილის ხმაც გაიგონა: დედას გული წაუვიდა, მოიცადე! არეული ხმები ისმოდა, შემდეგ ისევ დაუბრუნდა ტელეფონს. დედა კარგად არის. ჩვენ ვფიქრობდით, რომ მკვდარი იყავი! მიხეილი პატიმრობაში არ ყოფილა თურმე. კომენდანტმა მცდარი ინფორმაცია მიაწოდა რიჩარდს, ტვინის რეცხვის პოლიტიკის შემოწმების მიზნით.

რიჩარდი ემზადებოდა ბუქარესტის მატარებლიდან გადმოსასვლელად, სადაც კაცების, ქალებისა და ბავშვების ჯგუფები იცდიდნენ. მომლოდინე ხალხი ყვავილებით ხელში იდგა. ვინ არის ის იღბლიანი ადამიანი? იყურებოდა ვაგონის ფანჯრიდან რიჩარდი და ხალხს სწრაფად ათვალიერებდა იქამდე, ვიდრე საბინას არ მოჰკრა თვალი. როგორც კი მატარებლიდან გადმოვიდა, გეგონებოდა მთელი მისი ეკლესიის თემი სადგურზე მოსულა მის დასახვედრადო, იმდენი ხალხი შემოეგება. ძლივს გაარღვია ბრბო, რომ საბინასთან და მიხეილთან მისულიყო და გადახვეოდა.

*****

მომდევნო დღეების განმავლობაში, რიჩარდი პატიმრობაზე ფიქრობდა-სულ თოთხმეტი წელი. ამ დროის განმავლობაში წერაც კი დაავიწყდა. შიმშილისა და წამლების გამო, წმინდა წერილის

დიდი ნაწილიც დავიწყებოდა, მაგრამ ერთი ადგილი მაინც ახსოვდა, რომელიც ტკბილ კომფორტს სთავაზობდა: „იაკობი შვიდი წელი ემსახურებოდა რახელისათვის, რაც რამდენიმე დღედ ეჩვენებოდა მისი სიყვარულის გამო“ (დაბადება 29:30).

ახალი ცხოვრების სიღარიბე ელოდათ რიჩარდსა და საბინას, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მათ ერთმანეთი ჰყავდათ და თავისუფლებაში ერთად იცხოვრებდნენ.

59

ყოველდღე და ყოველ ღამე, საბინა სტუმრებს მასპინძლობდა სხვენში. როგორც ჩანს, მთელ ქვეყანას უნდოდა რიჩარდის ნახვა. ყოველ მათგანს ჰქონდა მადლიერებისა და გამხნევების სიტყვები მისთვის. საიდუმლო პოლიციაც კი ვერ ბედავდა უზომო რაოდენობის ხალხის ვურმბრანდების ბინასთან კონტროლს. ისინი ქუჩაში იმალებოდნენ, შენიშვნებს იწერდნენ და ამავდროულად აღმერთებდნენ ხუცესის მაგნიტივით მიმზიდველ პოპულარობას. საავადმყოფოებშიც კი, რომელსაც რიჩარდი დროგამოშვებით სტუმრობდა, ფუტკრის გუნდივით ეხვეოდნენ სტუმრები.

როცა საავადმყოფოს არ შეეძლო მისი მკურნალობა, რიჩარდი სოფელ სინაიას სანატორიუმში გადავიდა. სამეფო სასახლე იყო აგებული მთის კიდეზე, მაგრამ ხუცესებმა და მორწმუნეებმა აღმოაჩინეს რიჩარდის საიდუმლო ადგილსამყოფელი და ავტობუსით, მოტოციკლითა და ველოსიპედითაც კი მიდიოდნენ მის სანახავად. რიჩარდს წლები დასჭირდებოდა ჯანმრთელობის აღსადგენად. ჩხირივით გამხდარი ხუცესი ორმოც კილომდე იწონიდა. წლების განმავლობაში ცემისა და ტვინის რეცხვის პოლიტიკამ დაასუსტა მისი მაღალი სხეული. ხვრელები გაუჩნდა ზურგში, მაგრამ კვლავ ინარჩუნებდა ყინულივით ლურჯ თვალებს, რის გამოც საბინას პირველივე დანახვისთანავე შეუყვარდა. რიჩარდის ჭეშმარიტი პიროვნება მისი სულის ფანჯრის მეშვეობით დაინახა.

თავი 59

*****

იმ წელს, როცა რიჩარდი გამოუშვეს ციხიდან, მთავრობამ ათი ათასობით პატიმარი გაათავისუფლა მასთან ერთად. მრავალი მათგანი რიჩარდს ციხეში იცნობდა. ბუქარესტს უჭირდა გამკლავება ამდენ მოულოდნელად გათავისუფლებულ პატიმართან, რომელთაც სამსახური სჭირდებოდათ ოჯახების გამოსაკვებად. სამსახურის დაწყება მაღალკონკურენტული საქმე იყო და ყოველი დღე ტრაგედიით იყო სავსე მათთვის, ვინც უკვე ამდენი იტანჯა. პოლიცია დაკავებული იყო იმ ქაოსის მოწესრიგებით, ქალაქში რომ მძვინვარებდა და დრო არ ჰქონდა რიჩარდის ქადაგებისათვის ხელი შეეშალა იმ ეკლესიებში, რომლებშიც სტუმრად ეპატიჟებოდნენ. ქადაგების ნებართვის მოპოვებაც კი მოახერხა. არ სჭირდებოდა სახელმწიფოსაგან პროფესიის აღდგენა, ნებართვა საკმარისი იყო კარის გასახსნელად.

საბინა და რიჩარდი ცხოვრებაში ყველაზე დაკავებულები ახლა იყვნენ. ხშირად საიდუმლოდ იკრიბებოდნენ, რათა ასობით ადამიანი ქრისტესთან მიეყვანათ. რიჩარდი არასოდეს გრძნობდა, რომ საკმარისს აკეთებდა. ციხეში ყოფნისას, ერთხელ ფიქრობდა, ნეტავ როგორ გაატარებდა დროს თავისუფლებაში.

ახლა რას გააკეთებ? ჰკითხა საბინამ.

- მინდა მარტო ვიყო, პენსიაში, უდაბნოში ვცხოვრობდე განდეგილად და დარჩენილი სიცოცხლე ღმერთსა და მის სიტყვაზე ფიქრში გავატარო.

საბინა დაეთანხმა, რომ ეს ყველაფერი კარგად ჟღერდა. ძველ ცხოვრებაში ისინი იღწვოდნენ სიმდიდრის, სახელისა და სიამოვნებისათვის, მაგრამ ღმერთმა მათი პატიმრობისა და სიღარიბის წლები გამოიყენა წყვილის გარდასაქმნელად. ახლა, მათთვის არაფერი იყო იმაზე მეტად მნიშვნელოვანი, ვიდრე ქრისტეს თანდასწრება.

რიჩარდის ნაცრისფერ კედლებს ღმერთი არ დაეტყვევებინა. სულიწმინდამ გარდაქმნა ის კედლები გასაოცარი სილამაზის გამოფენისათვის, როგორც დაუმუშავებელი ნახშირი

მიწაში მტვრევის შემდეგ. რიჩარდი და საბინა ციხიდან ბრილიანტებივით გამოვიდნენ. მთელი დარჩენილი ცხოვრება სინათლისა და სიცოცხლის გამოსხივებას შესწირეს სიბნელის წინააღმდეგ. რიჩარდისათვის განმარტოვებით საკანში ყოფნამ, გააღრმავა მხსნელთან ურთიერთობით გამოწვეული სიხარული. უფრო მეტ დროს უთმობდა მედიტაციას, გულში არსებულ სიძულვილზე საბატონოდ. ამიერიდან აღარავისთან უნდოდა ჩხუბი. სიყვარული უფრო ძლიერი გახდა, ვიდრე ძალადობა, რადგან მისით შეიძლებოდა დაემორჩილებინა ყველაზე სასტიკი გამომძიებლის გულიც კი. წყნარი, მშვიდობის წლები წინ ელოდა, მაგრამ რიჩარდი არ აპირებდა მათ უქმად გატარებას. ის ეცდებოდა ქრისტეს ტაძრის განმტკიცებას წერის, საუბრისა და ღვთის სიტყვის ქადაგების მეშვეობით.

რიჩარდი ანუგეშებდა ხუცესებს, რომელთაც დიდი მწუხარებით აღიარეს თემის წინაშე, რომ ინფორმატორებად მუშაობდნენ საიდუმლო პოლიციაში, საკუთარი სამწყსოს წინააღმდეგ. ეკლესიების დახურვის შიშმა მოიცვა მთელი რუმინეთი და მრავალმა ხუცესმა უღალატა იმ ცხვარს, რომლის სამწყემსადაც იყო მოწოდებული.

ერთხელ, ლენინმა დაწერა: „ყოველი რელიგიური იდეა, ყოველი იდეა ღვთის შესახებ, ღვთის იდეასთან გაკეკლუცებაც კი, ენით აღუწერელი მანკიერებაა... ყველაზე საშიში, ყველაზე საზიზღარი მილიონობით ცოდვა, ბინძური საქმე და ძალადობრივი ქმედებები ნაკლებად საშიშნი არიან, ვიდრე დელიკატური იდეა ღმერთის შესახებ.[1]

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ აიტაცა ლენინის ხედვა. რელიგია მათთვის იმაზე უარესი იყო, ვიდრე კიბო, ტუბერკულოზი და სიფილისი. ის საშიშროებას უქმნიდა მათ ეროვნულ თვითმყოფადობას და მისი გამომწვევი მიზეზი დაუყოვნებლივ უნდა განადგურებულიყო.

---

[1] ვლადიმერ ლენინი, ციტატა პიტერ ვატსონის წიგნიდან, *The Age of Atheists: How We Have Sought to Live since the Death of God* (New York: Simon & Schuster, 2014), 216.

ბუქარესტში კომუნისტებმა გააუქმეს ახალგაზრდული შეხვედრები და საბავშვო, საკვირაო სკოლები. არ შეიძლებოდა, რომ ახალ თაობაზე ქრისტიანულ სახარებას ჰქონოდა ზეგავლენა. რიჩარდმა სიახლე ციხიდან გათავისუფლების შემდეგ იხილა. ყოველთვის უყვარდა კომუნისტები, მაგრამ ზიზღი განუვითარდა მათ მიმართ და აღთქმა დადო მისი უარყოფისათვის. ერთი ტრილიონი კაცი, ქალი და ბავშვი, ჯერ კიდევ, რჩებოდა მისი რკინის კლანჭებში. რიჩარდმა დაიფიცა, რომ მთელ დარჩენილ სიცოცხლეს მათი ტირანიის განადგურებას მიუძღვნიდა.

იზოლირება მხოლოდ დროებით შეიძლება, იცოდა რიჩარდმა. ახსოვს, წმინდა ანტონი, რომელიც ეგვიპტის უდაბნოში განმარტოვდა ათწლეულების განმავლობაში. მთელი დრო ლოცვაში, მარხვაში გაატარა. ცდუნებასა და ცოდვასთან წინააღმდეგ ბრძოლას შეალია თავისი ცხოვრება, მაგრამ როცა შეიტყო ათანასესა და არიუსს შორის ჩამოვარდნილი დავის შესახებ, ქრისტეს ღვთაებრიობასთან დაკავშირებით, მიატოვა უდაბნოს სიჩუმე და ალექსანდრიაში ჩავიდა, ერესის თავიდან აცილების მიზნით. არც რუმინეთს ჰყავდა ნაკლები მტერი. პროფესორებსა და ინტელექტუალებს უარს ათქმევინებდნენ საკუთარ რწმენაზე და აიძულებდნენ ათეიზმი ესწავლებინათ. ახალგაზრდულ კომუნისტურ მოძრაობას საყვედური გამოუცხადეს და თინეიჯერი გოგონები დააშინეს ქრისტიანი ბიჭების კოცნის გამო; მთავრობა იმასაც ეუბნებოდა, რომელი ბიჭი იყო მათთვის შესაფერისი და ვისთან ჰქონდათ შეხვედრის უფლება. რიჩარდი იატაკქვეშა ეკლესიის მებრძოლებსაც შეხვდა -ამხანაგები, რომლებიც წლების განმავლობაში ეწინააღმდეგებოდნენ წამებას და ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, თავი დააღწიეს გატაცებას. რიჩარდი მათ ბრძოლას შეუერთდა და საიდუმლო შეხვედრებს ესწრებოდა, მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობის მიზნით. ისინი რიჩარდის მიერ ციხეში დაწერილ და მოგვიანებით გამოცემულ საგალობლებსაც გალობდნენ.

ღმერთმა შეცვალა რიჩარდის ახალგაზრდობის დროინდელი გეგმები. ახლა, რადგან უფრო ასაკიანი იყო, იცოდა, რომ ღმერთს

შეეძლო გეგმების კიდევ შეცვლა. სიწყნარეში განმარტოებული ცხოვრების აზრმა რიჩარდის გონება ნელ-ნელა დატოვა და სხვა აზრმა ჩაანაცვლა: წამოეწყო ქრისტესთვის ბრძოლა. ღმერთმა, ერთხელ, ათი ჭირი გამოუგზავნა ეგვიპტეს მისი მონების გათავისუფლებისათვის, რაც პირმშო ვაჟის სიკვდილით დააგვირგვინა. რიჩარდმა იცოდა, რომ ღმერთი დიდებულ იარაღს ათავისუფლებდა რუმინეთისათვის - საკუთარი ძის სიკვდილს; მხოლოდ აღმდგარ ქრისტეს შეეძლო ახალი სიცოცხლის მოტანა განადგურებული მიწისთვის.

ზოგიერთი მქადაგებელი აკრიტიკებდა რიჩარდს მთავრობის კორუფციის წინააღმდეგ ქადაგებისათვის. ისინი მას წმინდა სახარების ქადაგებისთვის ამხნევებდნენ, მაგრამ განა იოანე ნათლისმცემლის ქადაგება წმინდა არ იყო? იოანე მარტო იმას კი არ ამბობდა: მოინანიეთ, რადგან მოახლოვებულია ცათა სასუფეველი (მათე 3:2). შერისხა მეფე ჰეროდეც, ყველა იმ ბოროტი საქმისთვის, რაც ჩაუდენია (ლუკა 3:19). იესომ უდიდესი უწოდა კაცთა შორის იოანეს და გამხნევების სიტყვებიც კი გაუგზავნა ციხეში (მათე 11: 2-6, 11). იესოც ქადაგებდა იმჟამინდელი ბოროტების შესახებ. ერთ დღეს მთაზე იქადაგა, მაგრამ მეორე დღეს, ეკლესიის წინამძღოლები შერისხა, უთხრა: „ვაი, თქვენ, მწიგნობარნო, ფარისეველნო და თვალთმაქცნო (მათე 23:27).

რიჩარდისთვის კომუნიზმი იყო ცოდვა და როგორც ასობითა და ათასობით ადამიანის ხუცესს, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საკუთარი ხალხის დაცვის პასუხისმგებლობა ჰქონდა. იცოდა, რომ სოციალიზმი, როგორც საზოგადოების მოდელი, ყოველთვის დამარცხდებოდა. არამოხალისეობრივი სოციალიზმი გარდაუვლად მიუძღვოდა საზოგადოების ზედა ფენებს კორუფციისაკენ, ხოლო ქვედა ფენებს - მარგინალიზაციისაკენ.

*****

მასშემდეგ,რაცმთავრობამმოისვენახუცესებისგანდევნისაგან, რიჩარდმა ერთი ეკლესია აიღო ქალაქ ორსოვაში. კომუნისტმა,

კულტების მინისტრმა თქვა, რომ მას მხოლოდ ოცდათხუთმეტი წევრი შეიძლებოდა ჰყოლოდა, მაგრამ არცერთით მეტი. ისინი იმასაც მოითხოვდნენ, რომ რიჩარდს აგენტად ეთანამშრომლა, ყოველი წევრისათვის ჯაშუში ყოფილიყო და ახალგაზრდები ეკლესიიდან ჩამოეშორებინა. კომუნისტებმა ისწავლეს, რომ ეს უფრო ძლიერი იარაღი იყო, ვიდრე ეკლესიის ძირფესვიანად აღმოფხვრა, რადგან მაინც აგრძელებდა აღმოცენებას.

რიჩარდი ფიქრობდა, რომ მისი მსახურება ასობით ქრისტიანს მოიზიდავდა ეკლესიაში, ამიტომ ოფიციალურ ეკლესიაში მუშაობის ნაცვლად, იატაკქვეშა ეკლესიაში მსახურობდა, თავის ისტორიებს უზიარებდა და იარებს აჩვენებდა ხალხს. ღმერთი შესანიშნავად მუშაობდა ნაცისტებისა და კომუნისტების ერაში. მას არ დავიწყებია თავისი არჩეული ხალხი; გაიგონა მათი და იმ ამერიკელების ტირილი, რომლებიც რიჩარდისთვის ლოცულობდნენ.

ერთ დღეს, რიჩარდმა სულის გამათბობელი სიტყვები გაიგონა: ძმა ჩამოსულა უცხოეთიდან. დასავლელ ქრისტიანებს საიდუმლო და საშიში მსახურებისათვის გაუწევიათ ორგანიზება, რათა ქრისტიანობისათვის წამებულ ოჯახებს დახმარებოდნენ. მათ კანონი დაარღვიეს რუმინეთის საზღვარზე ქრისტიანული ლიტერატურისა და სხვა საჭირო მასალის შემოტანისათვის.

აქედან ბუქარესტში ჩამოვიდა ექვსი ქრისტიანი, რომლებიც იმ ცნობილ ხუცესს ეძებდნენ, ციხეში რომ თოთხმეტი წელი გაუტარებია.

მე ვარ ის კაცი - უთხრა რიჩარდმა.

ისინი შეშფოთდნენ: ჩვენ ველოდებოდით ძლიერ ტკივილგამოვლილ ადამიანს. ამის ნაცვლად, ჩვენ ბედნიერი კაცი დაგვხვდა. შენ ვერ იქნები ის კაცი, ჩვენ რომ ვეძებთ, რადგან თქვენ სიხარულით სავსე ადამიანი ხართ.

რიჩარდმა კაცებს იარები აჩვენა და მადლიერება გადაუხადა მასზე ლოცვისთვის. ცოცხალმა და საღ გონებაზე მყოფმა, სტუმრები გააცინა და სასიამოვნო მოგონებებიც გაუზიარა. ერთ-ერთი სტუმარი, ვინც რიჩარდს 1964 წლის ნოემბერში ესტუმრა,

გახლდათ მღვდელი ვ. სტიუარტი. ერთხელ, ძალიან გვიან ღამით, ესტუმრა რიჩარდს სახლში, მრავალი გამაფრთხილებელი ღონისძიების გავლის შემდეგ და სიყვარულისა და ნუგეშის სიტყვა გადასცა დასავლელი ქრისტიანებისაგან. იმის გაგებამ, რომ დასავლელი ქრისტიანები მათთვის ლოცულობდნენ, რიჩარდი აატირა. ტვინის რეცხვის პოლიტიკამ მაინც არ იმოქმედა რიჩარდზე და არ დაუჯერებია, როცა ეუბნებოდნენ, რომ ამიერიდან არავის უყვარდა. გაჰკიოდა ჩანაწერი მის ყურებში. ამერიკელ და ბრიტანელ მორწმუნეებს უყვარდათ ის მთელი გულით და საკუთარი სიცოცხლეც კი გასწირეს მის დასახმარებლად. მან შეიმუშავა კომუნიკაციის ფარული სისტემა, რომლის მეშვეობითაც უცხოელები საიდუმლო პოლიციას ისე ჩაუვლიდნენ ცხვირწინ, რომ ვერ ამოეცნოთ.

რიჩარდი სამეგობრო წრეს აფართოვებდა დასავლეთში, რამაც უფრო მოწყვლადი გახადა მეორედ დაპატიმრების დროს. ორი ქრისტიანული ორგანიზაცია, ნორვეგიული მისია ებრაელებისათვის და ებრაელ ქრისტიანთა ალიანსი, არ დაუშვებდა რიჩარდის მუდმივ პატიმრობას. მათ კომუნისტურ მთავრობას გამოსასყიდი გადაუხადეს ათი ათასი დოლარის ოდენობით რიჩარდის სიცოცხლისათვის - ხუთჯერ მეტი, ვიდრე ჩვეულებრივი პოლიტიკური პატიმრის შემთხვევაში. იესო ქრისტემ გამოისყიდა რიჩარდი თავისი სიკვდილით ჯვარზე. ახლა დედამიწაზე გამოისყიდა ეკლესიამ ხელმეორედ. რიჩარდმა საბინას კარგი ამბავი ახარა. ამდენი წლის დაურწმუნებლობის, წამებისა და გამოძიების შემდეგ, მათთვის რუმინეთის დატოვების დრო დადგა.

60

სიტყვა სწრაფად გავრცელდა მთავრობისგან იმის შესახებ, რომ ათი ათასი დოლარი გადაიხადეს ვურმბრანდების ვიზაში. საიდუმლო პოლიციამ საბოლოო შეხვედრა მოითხოვა რიჩარდთან.

ახლა შეგიძლია წახვიდე და როგორც გნებავს, ისე იქადაგო საზღვარგარეთ, მაგრამ თუ ჩვენს წინააღმდეგ ილაპარაკებ, დაგადუმებთ - თქვა ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

მეორე დილით, 1965 წლის 6 დეკემბერს, რიჩარდი, საბინა და მიხეილი აეროპორტისკენ გაეშურნენ. ასაფრენი ბილიკი გამოჩნდა შორიდან და ნისლში გაუჩინარდა. მომავალიც ჰორიზონტივით ღრუბლიანი ჩანდა, მაგრამ ვურმბრანდები DC-7 ვერტმფრენს მიუახლოვდნენ სხვა ექვს გამოსყიდულთან ერთად, რომელთა უმრავლესობა ებრაელი გახლდათ. აეროპორტის ძალოვანი სტრუქტურები ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ხალხის აეროპორტში შეკრებისათვის, მაგრამ მათმა მცდელობამ ამაოდ ჩაიარა. ხალხის ჯგუფი მალე შეუერთდა ვურმბრანდებს გამოსამშვიდობებლად. დაცვამ შურის თვალი გაადევნა დასავლეთისათვის გამწესებულ პატიმრებს და თვითმფრინავში ასვლაში დაეხმარა. თვითმფრინავის მოძრავი ბორბლები მალე ცაში აიწია ნაცრისფერი ასფალტიდან. მრავალი ადამიანი სიხარულისაგან ყვიროდა, მაგრამ ზოგიერთებს უჭირდათ ტკბილ-მწარე ემოციებთან გამკლავება. ისინი მადლიერნი იყვნენ თავისუფლებისათვის, მაგრამ ადარდებდათ იმ ადამიანების ბედი, რომლებიც ჯერ კიდევ იტანჯებოდნენ ფანჯრებს მიღმა.

რამდენიმე საათის შემდეგ, თვითმფრინავი რომში დაეშვა. სტუმრობის შემდეგ ვურმბრანდები ოსლოში გაემგზავრნენ, ნორვეგიაში. რიჩარდს იმედი ჰქონდა, რომ ჟენევაში, შვეიცარიაში, გაჩერდებოდა, რათა რუმინეთში ფართოდ გავრცელებულ დევნაზე ესაუბრა, მაგრამ მსოფლიოს ლუთერანული ფედერაციის მდივანმა სთხოვა არ სტუმრებოდა იქაურობას, რათა რუსებს არ გაეგოთ.

ისრაელის მისია დახვდა ვურმბრანდებს ნორვეგიაში. საბინა გადაეხვია ანუცას, ქალბატონს, რომელიც დაუღალავად შრომობდა თხუთმეტი წლის განმავლობაში მისი ოჯახის გასათავისუფლებლად. რიჩარდი შვედეთის, ისრაელის მისიასაც შეხვდა, ხუცეს გოტე ჰედენქუისტს, რომელიც გამუდმებით ლოცულობდა წლების განმავლობაში რიჩარდის გათავისუფლებისათვის. ებრაელთა ქრისტიანული ალიანსის წევრები, რომელთაც გადაიხადეს ათი ათასი დოლარის ნაწილი რიჩარდის გათავისუფლებისთვის, აეროპორტში მივიდნენ და საჭირო ნივთები მიიტანეს.

ნორვეგიიდან ვურმბრანდები ბრიტანეთში გაემგზავრნენ. იქ დახვდათ მეგობარი სტუარტ ჰარისი, რომელმაც ხელი შეუწყო რიჩარდს უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლაში და უამრავ ეკლესიაში საქადაგებლად. ბოლოს და ბოლოს, ბრიტანელებმა თავიანთი ყურით მოისმინეს პირველწყაროდან იატაკქვეშა ეკლესიის ტრაგედიასა და გამარჯვებაზე. ბრიტანეთის ეკლესიებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ რუმინეთში მიმდინარე დევნის შესახებ. მადლითა და სიკეთით, რიჩარდმა გაათავისუფლა ამ უცოდინრობისაგან. რიჩარდი და საბინა განცვიფრებულნი იყვნენ ბრიტანელი მეგობრების მასპინძლობით. ალიანსმა ჩამოაყალიბა ახალი მისია, რომელიც მიაღწევდა კომუნისტურ სამყაროს. რიჩარდმა იცოდა, რომ ამერიკელების დახმარებაც დასჭირდებოდა.

61

ვურმბრანდები ამერიკის შეერთებულ შტატებში მოეწყვნენ, რუმინეთის საიდუმლო პოლიციამ დაუყოვნებლივ შეუკვეთა მათი მკვლელობა. მართალია, რიჩარდი გაფრთხილებული იყო, რომ ჩუმად ყოფილიყო, მაგრამ უარი განაცხადა მორჩილებაზე და შესაძლებლობას არ ტოვებდა კომუნისტების წინააღმდეგ სალაპარაკოდ რომ არ გამოეყენებინა. ღვთის ხელი იცავდა ყოველ ნაბიჯზე მის ოჯახს.

რიჩარდმა დაამოწმა ამერიკის შეერთებული შტატების სენატის, შემდეგ კი კონგრესის, წინაშე ვაშინგტონში. პლატფორმაზე ასვლისას სენატორების ზღვას, ჟურნალისტებს, გაზეთისა და რადიოს თანამშრომლებს გადმოხედა. სატელევიზიო არხის თანამშრომლებმა კამერა პირდაპირ რიჩარდს მიუშვირეს, როგორც კი იატაკქვეშა ეკლესიის ტანჯვაზე დაიწყო საუბარი. მსოფლიოს ერთ მესამედს სატკივარსა და ნიჭზე ლოცვის უფლებას აძლევთ, თქვენი ერთი მესამედი ლოცვებით. ციხეში ვხედავდი ფეხებზე ორმოცდაათ ფუნტიან ჯაჭვებშებმულ კაცებს, რომლებიც ამერიკისთვის ლოცულობდნენ, ხოლო ამერიკაში იშვიათად გაიგებთ ლოცვას მათთვის, ვინც კომუნისტურ ქვეყნებში შებორკილები არიან.

სენატორმა რიჩარდს ჰკითხა წამების კვალი თუ აჩნდა. ხუცესმა პიჯაკი და პერანგი გაიხადა და თვრამეტი დამახინჯებული ადგილი აჩვენა გაძვალტყავებულ სხეულზე.

მე არ ვიკვეხნი ამ იარებით, თქვა მან. ნაწამები სხეული ჩემს ეკლესიასა და ქვეყანას ვაჩვენე. მე ვლაპარაკობ იმ გმირებისა და წმინდანების სახელით, რომელთაც არ ძალუძთ ხმის ამოღება;

პროტესტანტების, კათოლიკეების, მართლმადიდებლებისა და ებრაელების, რომლებიც თავიანთი რელიგიის გამო წამებით დაიხოცნენ. საბინას აღარ შეეძლო ცრემლების შეკავება. სენატის უმრავლესობას შეუერთდა და ღიად დაიწყო ტირილი. ფიქრობდა პატიმარ ქალებზე, მონაზვნებსა და მრავალ ახალგაზრდა გოგონაზე, რომლებიც ჯერ კიდევ მონობაში იყვნენ რუმინეთში. ეკრანზე გამოვიდა იმ ადამიანების სახეები, რომლებიც არხის მშენებლობის დროს დაიღუპნენ. რიჩარდი უყურებდა თავის ცოლს და საუბარს აგრძელებდა. მოგვიანებით, საბინას უთხრა: „შენს ცრემლებს უფრო დიდი ზეგავლენა ჰქონდა ადამიანებზე, ვიდრე ჩემს სიტყვებს. ცრემლები ყველაზე ძლიერ კედლებსაც კი უთხრის ძირს.“

*****

მთელი ცხოვრება ესმოდა რიჩარდს, რომ კალამს მახვილზე მეტი ძალა აქვს. პატიმრობის მოგონებები, რომლებიც ჯერ კიდევ ახალი იყო მისთვის, კარნახით ჩაწერა წიგნში, სახელად „დღევანდელი წამებული ეკლესია“. „ქრისტესთვის წამებული“ ბრიტანეთში ყოფნისას დაიწერა. საბინა იჯდა დივანზე და ისმენდა ისტორიებს ერთმანეთის თანმიმდევრობით. როგორც კი დავიწყებულ სახელებსა და მტკივნეულ დაკითხვებს იხსენებდა, ქვითინს იწყებდა. რიჩარდმა თავისი წიგნი კალმითა და ცრემლით დაწერა და ცდილობდა საკუთარი წამება სხვა მრავალი ადამიანის წამებასთან ერთად გაეხსენებინა. ეს მათი ისტორიაც იყო და უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ცოცხლად გადმოიტანდა ქაღალდზე და შემოინახავდა მომავალი თაობებისათვის.

ქრისტესთვის წამებული, როგორც მას ეწოდა, მოულოდნელად, ყველაზე გაყიდვადი წიგნი გახდა მსოფლიოში. ათობით სხვადასხვა ენაზე გადაითარგმნა და რიჩარდისა და საბინასათვის ახალი შესაძლებლობა გააჩინა სხვადასხვა ქვეყანაში, კონტინენტზე სამოგზაუროდ და სახარების ძალა გააზიარა.

ცხრამეტი მისიონერული ორგანიზაცია დაარსდა ევროპასა და აზიაში, ავსტრალიასა და ამერიკაში. ეს მისიები ერთმანეთთან თანამშრომლობდნენ, იატაკქვეშა ეკლესიის ცნობიერების ამაღლების მიზნით და ქრისტიანულ ლიტერატურას წამებულთა ოჯახებს აწვდიდნენ. რიჩარდის კალმიდან ერთი მეორის მიყოლებით უფრო მეტი წიგნი მოედინებოდა. დაუღალავად ქადაგებდა მსოფლიოს გარშემო და დააარსა ორგანიზაცია, რომელიც მტრის ზურგს უკან ფარულად მოქმედებდა. ზოგიერთები მის მეთოდს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ, მაგრამ რიჩარდი ყურადღებას არ აქცევდა მათ კრიტიკას. ის იმ ქვეყნიდან იმისთვის არ მობრუნებულა, რომ კრიტიკაში დაეხარჯა ფუჭად ენერგია. მისი თვალი დახშული იყო შავ-ბნელი მტრისთვის.

სადაც კი წავიდნენ, ვურმბრანდები ქრისტიანულ ერთობაზე ფიქრობდნენ. გაიცნეს ავსტრალიელი, ინდიელი და მაორის ქრისტიანები. შეხვედრებს ატარებდნენ აპართეიდში, სამხრეთ აფრიკაში, ყველა კანის ფერის ქრისტიანისათვის, რომლებიც ერთად უსმენდნენ რიჩარდის მიერ შემოთავაზებულ განკურნებისა და ჭეშმარიტების სიტყვას. აფრიკული გაზეთი იუწყებოდა, რომ ჰარიკანი, სახელად რიჩარდი, დაატყდათ თავს.

გძულდეთ კომუნიზმი, ყოველთვის აცხადებდა რიჩარდი, მაგრამ გიყვარდეთ და შეიძინეთ კომუნისტები ქრისტესთვის. მილიონობით ქრისტიანი ემორჩილებოდა მის ინსტრუქციას, იცოდნენ რა, რომ ადამიანებს არ შეეძლოთ რადიკალური სიყვარულის დემონსტრაცია თვითონ, მაგრამ ღმერთთან ერთად ყოველივე შესაძლებელია, პატიებაც კი.

საბინას მიდგომა, შესაძლოა, უფრო რბილი იყო, ვიდრე მისი ქმრის, მაგრამ ის იყო ძლიერი, სიცოცხლით სავსე, ქალბატონი, რომელიც უკან არ დაიხევდა, როცა საქმე სახარებასა და მასთან ურთიერთობას ეხებოდა. გაერთიანებულ ვურმბრანდებს ძლიერი ხმა ჰქონდათ დევნილი ქრისტიანებისათვის. ისინი დაუპირისპირდნენ დასავლეთს გაბედული რწმენის შთამაგონებელი ისტორიებით: წამების, პატიმრობისა

და სიკვდილის პირისპირ; შთააგონებდნენ მსმენელებს ქრისტესადმი ერთგულებასა და მისი სასიხარულო ცნობის გაზიარებას, ქრისტესთან დადებული პირობისა და მისი კეთილი უწყების შესახებ.

რიჩარდი და საბინა ერთმანეთს ავსებდნენ ყოველმხრივ; აორგანიზებდნენ ისეთ საქმეებს, რომლის მისიებიც კომუნისტურ ქვეყნებს ფილტრავდნენ. ამ ორგანიზაციის წევრებს სჭირდებოდათ ტრენინგები ინფორმაციის მოპოვებისა და დაპატიმრების თავიდან აცილების მიზნით. ზოგიერთები ამ საქმეს ვურმბრანდების შესახებ მოსმენილი დამოწმებების საფუძველზე იწყებდნენ, რადგან შთაგონებულნი იყვნენ საქმეში მონაწილეობისათვის. ბიბლიების ქვეყანაში ტრანსპორტირება საჭირო იყო სხვადასხვა ლიტერატურასთან, ფულსა და ფირებთან ერთად. ეს ხალხი ამავდროულად, იყვნენ სტუმრები, რომელთაც ქვეყანაში მასპინძლობა სჭირდებოდათ. საბინა სამღვდელოების ყველა წევრსა და სტუმარს ისე ხვდებოდა, გეგონება ყოველი მათგანი თვით ქრისტე ყოფილიყო.

რიჩარდი მიჩვეული იყო უარყოფას, დამცირებასა და დაცინვას ციხეში. ახლა, მას ღირსებითა და პატივით ხვდებოდნენ. ზოგიერთი ადამიანი, შესაძლოა, ბრმა თაყვანისცემით გამედიდურებულიყო, მაგრამ საბინას არასოდეს შეუნიშნავს მისი ქმრის გულში სიამაყე. რიჩარდი გავარვარებულ ცეცხლში ჩავარდა ქრისტესთან ცხოვრების მიზნით, როგორც დანიელის წიგნში აღწერილი სამი კაცი მოიქცა (დანიელი 3). ადგილი არ იყო სიამაყისგან შემოძარცვულ სხეულში შიმშილისათვის და ქრისტეს სახელის გამო სხეულზე მიყენებული ჰქონდა უამრავი ჭრილობა. რიჩარდმა ისევე დაგმო აღიარება, როგორც სირცხვილი - დამცირებით.

ვურმბრანდებმა დამამცირებელი სიღარიბე გამოიარეს რუმინეთში, მაგრამ ახალ-ახალი საშიშროების წინაშე დადგა ცოლ-ქმარი. საბინას ეშინოდა იმის, რომ ამერიკაში სიმდიდრის დაგროვების ცდუნების წინაშე დადგებოდა. ეს ისევე დააზიანებდა მათ, როგორც სიღარიბე. საკუთრებას ჰქონდა მფლობელის

ფლობის ძალაუფლება. რიჩარდმა და საბინამ იცოდნენ ამის შესახებ და არასოდეს ფლობდნენ სახლს, მანქანას, ან ველოსიპედსაც კი.

როცა საბინა რიჩარდს გაჰყვა ცოლად, უნდოდა, რომ მდიდარი ყოფილიყო. უხსოვარ დროს, კომფორტულ ცხოვრებაზე ოცნებობდა, მაგრამ ახლა გრძნობდა, რომ ამ სიმდიდრეს შეეძლო მისი დაზიანება და ქრისტესგან ჩამოშორება. ყოველი გემრიელი ლუკმა ახსენებდა ასობით მშიერ ადამიანს, რომელიც რუმინეთის ციხეში იყო. რიჩარდს არასოდეს დავიწყებია დამპალი სტაფილოს სუპის გემო. ყოველთვის, როცა კი მაცივრის კარს გამოხსნიდა, საბინას ეუბნებოდა, რომ დაცვის მიერ საყინულეში ჩაგდების ფაქტი აგონდებოდა. მიხარია, რომ ბევრი ფულის ფლობის სურვილი არა გაქვს, უთხრა საბინამ რიჩარდს. დარწმუნდი, რომ არ შეჩერდები, როცა პირველ მილიონს გამოიმუშავებ.

რიჩარდმა და საბინამ მრავალი სიხარული და მღელვარება გამოიარეს. დაპატიმრების მუქარა, ამერიკაშიც კი, არასოდეს გამქრალა. საბინა საკუთარ თავს ანუგეშებდა. თუ იცოდა, რომ ღვთის საქმის გაკეთება საშიში იყო, იმაზე მეტად საშიში მისი გაუკეთებლობა იქნებოდა. ის ხშირად ამხნევებდა ბავშვებს, რომ აუცილებელი არ იყო ასაკიანი ყოფილიყავი იმისთვის, რომ ქრისტეს სახელით შეგეცვალა ქვეყნიერება. ის ხშირად ყვებოდა ამბავს ერთ ბიჭზე, რომელიც ზღვის სანაპიროსთან იდგა და ხელს უქნევდა დიდ გემს, რომელიც თანდათან უჩინარდებოდა.

სულელი ნუ იქნები, უთხრა კაცმა ბიჭუნას. გემი თავის გეზს არ შეიცვლის შენი ხელის ქნევის გამო, მაგრამ გემი მობრუნდა სანაპიროზე და ღუზა ჩაუშვა. ბიჭმა ხიდზე აირბინა და დაიყვირა -კაპიტანი მამაჩემია!

ეპილოგი

ებრაული ტრადიციის თანახმად, როცა ეგვიპტელები წითელ ზღვაში დაიხრჩვნენ, ანგელოზები მღეროდნენ ისრაელიანებთან ერთად, რომლებიც მონობიდან გათავისუფლდნენ. ღმერთმა შერისხა ანგელოზები და უთხრა; „ებრაელები ადამიანები არიან და, შეიძლება, იხარონ გათავისუფლებით, მაგრამ თქვენგან მეტის გაგებას მოველოდი. განა ეგვიპტელებიც ჩემი ქმნილებები არ იყვნენ? ისინიც არ მიყვარდნენ?“[1]

თოთხმეტი წელი ციხეში გატარებულმა სიბნელემ გაუნათა რიჩარდს გონება გაბრწყინებული ჭეშმარიტებით: ღმერთს ისევე უყვარდა კომუნისტები, როგორც ქრისტიანები, რომლებსაც ისინი აწამებდნენ. ღვთისგან გამოსყიდული არავინ რჩება სიყვარულის მიღმა. სინამდვილეში, მას დიდი ისტორია აქვს აჯანყებული სულების შეძენის საქმეში, გზას აცდენილი ადამიანების მისიონერებად გარდაქმნასა და კრიმინალების საუკეთესო ქრისტიანებად ჩამოყალიბების პროცესში.

ერთხელ, რიჩარდს ჰკითხეს რას ეტყოდა კომუნისტებს. მან კამერას შეხედა და თქვა: მთელი ჩემი გულით მიყვარხართ და ყველა ქრისტიანს უყვარხართ. იესოს თქვენი სამოთხეში ყოფნა თქვენზე მეტად სურს. მას სურს, მოგიტევოთ იმაზე მეტად, ვიდრე ამის გაკეთება თქვენ გსურთ. მას თქვენი გადარჩენა იმაზე მეტად უნდა, ვიდრე ეს თქვენ გინდათ საკუთარი თავისთვის. როგორც იოსები, რომელმაც უთხრა თავის ძმებს, ეგვიპტის მონობაში რომ გაყიდეს „ბოროტი განიზრახეთ ჩემს მიმართ, მაგრამ ღმერთმა ის კეთილად შემოაქცია“ (დაბადება 50:20) რიჩარდმა, საკუთარი ხალხის გათავისუფლების მიზნით რომ იღწვოდა, ღვთის მოქმედი ხელი ჩრდილშიც იხილა.

[1] „სანხედრინი 39ბ,” ბაბილონური თალმუდი: სანხედრინის ტრაქტატი, სექტემბერი 27, 2017, www.halakhah.com/sanhedrin/sanhedrin_39.html#PARTb.

რიჩარდისა და საბინას ისტორია შეხსენებაა იმისა, რომ ღმერთს ნებისმიერი ადამიანის გამოყენება შეუძლია იმედის მოსატანად და ყველას განსაკურნებლად. რიჩარდი, ერთ დროს ათეისტი, რომელიც ქრისტეს მიმდევრებს დევნიდა, წამყვანი ხმა გახდა ათეისტური სისტემის წინააღმდეგ. როცა ჰკითხეს, თუ როგორ ისწავლა მტრისთვის მიტევება, უპასუხა: „ჩვენ ყოველთვის ვერ თანავუგრძნობთ ადამიანებს, მაგრამ თანადგომა იქამდე უნდა გამოვხატოთ, სანამ თავად არ განვიცდით მას.“ ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, არჩევანის წინაშე იდგა: ეპატიებინა მათთვის და ჰყვარებოდა ან შეეძულებინა. რიჩარდმა აღმოაჩინა უპირობო მიზეზი იმისა, თუ რატომ დაუშვა ღმერთმა მისი წამება თოთხმეტი წლის განმავლობაში ციხეში: მისმა წამებამ მისი მწამებლები მარადიული წამებისაგან გადაარჩინა. მან ციხეში დაინახა კომუნისტების დახსნის იმედი. ციხეში განუვითარდა კომუნისტების მიმართ პასუხისმგებლობა. მათ მიერ წამების შედეგად ისწავლა მათი სიყვარული.

დაცვისა და გამოძიების სამსახურის მრავალი თანამშრომელი გახდა ქრისტიანი. ირონიულია, რომ ღმერთმა გამოიყენა რიჩარდის დაკითხვა გამომძიებლების აღიარების მოპოვების მიზნით. რკინის გულიანი კომუნისტებიც კი ყვავილებივით გადაიშალნენ, როცა წმინდა ხელის შეხება იგრძნეს, ჯვარზე გაკვრისას რომ რკინის ლურსმნები დააჭედეს.

ვიდრე რიჩარდი მიტევებასა და მტრის სიყვარულს ანიჭებდა უპირატესობას, საბინა მორწმუნეების ურთიერთობაზე ამახვილებდა ყურადღებას, განსაკუთრებით კი ქრისტესთვის დევნილ და-ძმებზე. ისიც მარადული პერსპექტივიდან უყურებდა ტანჯვას: წამება ჩვენში ღვთის ნებით შემოვიდა და სიყვარულს არ ეწინააღმდეგება. ეს მისი ერთ-ერთი მეთოდია.

*****

იესოს დაბრუნებამდე იარსებებს დევნა. ყველა თაობაში იქნება ქრისტიანების დევნა და ტერორი. ქრისტიანები გააგრძელებენ ტანჯვას კომუნისტებისა და სხვა დიქტატორების ხელში, ისევე

როგორც, ისლამისტებისა და ინდუისტი ექსტრემისტების ხელში მთელი ქვეყნიერების მასშტაბით. დღეს, ქრისტიანები მარტო სხედან ციხეებში, მშივრები და ნაწამები, თუმცა მაინც იტანენ ტანჯვას, ცემასა და დამცირებას, რადგან ღმერთის სიყვარული უფრო დიდია, ვიდრე სიკვდილის შიში.

რიჩარდმა თქვა, „ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ჯერ ნაცისტებისა და შემდეგ კომუნისტების დროს, იატაკქვეშა ეკლესიაში ვისწავლე, რომ ადამიანის აღარ მეშინოდეს. არ მეშინია, რომ ვინმე მოკლავს ჩემს სხეულს.

მუსლიმანურ სამყაროში მრავალ ახლადმოქცეულ ქრისტიანს აიძულებენ ოჯახიდან გაქცევას, რაც მათი ღირსების შემლახველია. სხვები, რომელთაც მხოლოდ ღვთის თაყვანისცემას სდებენ ბრალად, ჩრდილოეთ კორეის მუშათა ბანაკებში იხოცებიან. მათი უმრავლესობის შესახებ ვერასოდეს დაიწერება წიგნები. ისინი არიან უსახელო და უსახო ადამიანები, რომელთაც მხოლოდ ღმერთი იცნობს. ღმერთი, რომელიც ეხმარება დამტყვევებლებისათვის მიტევებაში.

ვიდრე მათ ჩვენი დახმარება, სიყვარული, გამხნევება და ლოცვა სჭირდებათ, ჩვენ გვჭირდება მათი დამოწმებები მხნეობის, სიყვარულის, იმედის, ცემის, დაპატიმრებისა და სიკვდილის ფონზე (ებრაელთა 12:1-2). ჩვენ გვჭირდება, რომ გამოგვიწვიონ ღრმა ვალდებულებაში ქრისტესადმი და მის დიად დავალებაში, რომლის შესასრულებლადაც ყველა მოგვიწოდა და მნიშვნელობა არ აქვს საფასურს. (მათე 28:18-20).

რიჩარდ ვურმბრანდმა დაწერა: „იესომ თქვა, „წადით და ასწავლეთ ყველა ერს!“ მას არასოდეს უთქვამს, „წადით და ასწავლეთ ყველა ერს, ვიდრე რკინის ან ბამბუკის ფარდა არ ჩამოიხსნება და მერე შეჩერდით!“ პირველი ქრისტიანები საკუთარ სიცოცხლეს სწირავდნენ სახარების საქადაგებლად, იქ, სადაც აკრძალული იყო. ჩვენც მათ უნდა მივბაძოთ, ჩვენი დევნილი ძმების შთამაგონებელ მაგალითებს და ანალოგიურად მოვიქცეთ. მათ ქრისტესმიერ რწმენასა და მორჩილებას, დიადი მცნებისადმი, სიცოცხლე შესწირეს. თქვენთვის რა ეღირება ეს რწმენა?

წამებულთა ხმის შესახებ

წამებულთა ხმა (VOM) არის არამომგებიანი, საერთაშორისო, სამისიონერო, ქრისტიანული, ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება მსოფლიოს გარშემო ჩვენი დევნილი ოჯახის წევრებს, პრაქტიკული და სულიერი დახმარებისათვის და ხელს უწყობს ქრისტეს მიმდევრებს ერთმანეთთან ურთიერთობაში. VOM დაარსდა 1967 წელს ხუცეს რიჩარდ ვურმბრანდის მიერ, რომელმაც თოთხმეტი წელი გაატარა კომუნისტური რუმინეთის ციხეში ქრისტეს რწმენის გამო. მისი მეუღლე, საბინა, სამი წლით იყო დაპატიმრებული. 1965 წელს რიჩარდი და მისი ოჯახი გამოისყიდეს რუმინეთიდან. შემდეგ, დააფუძნეს გლობალური სამისიონერო ქსელი, რომელიც დევნილი ქრისტიანების დახმარებას ემსახურებოდა.

გამხნევდით ქრისტესთვის დევნილი და-ძმების რწმენის შთამაგონებელი ისტორიებით და გაიგეთ იმ გზების შესახებ უფრო მეტი, თუ როგორ შეიძლება ემსახუროთ მათ VOM-ის ყოველთვიური უფასო გაზეთის გამოწერით. გვეწვიეთ Persecution.com-ზე ან დარეკეთ 1-800-747-0085.

გაეცანით VOM-ის ხუთ მიზანს და რწმენის დამოწმებას persecution.com/about.

VOM-ის შესახებ უფრო მეტი ინფორმაციისა და საქმიანობის გასაგებად დაგვიკავშირდით:

United States: persecution.com
Australia: vom.com.au

Belgium: hvk-aem.be
Canada: vomcanada.com
Czech Republic: hlas-mucedniku.cz
Finland: marttyyrienaani.fi
Germany: verfolgte-christen.org
The Netherlands: sdok.org
New Zealand: vom.org.nz
South Africa: persecution.co.za
South Korea: vomkorea.kr
United Kingdom: releaseinternational.org!

ხუცესი და მისი მეუღლე, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო

1948 წლის 29 თებერვალს რიჩარდ ვურმბრანდი საიდუმლო პოლიციამ ქრისტიანული მსახურების ჩატარებისა და დამოწმების გაზიარებისთვის დააპატიმრა, რადგან ეს ყველაფერი არალეგალურად ითვლებოდა ათეისტურ-კომუნისტურ რუმინეთში. რიჩარდმა თოთხმეტი წელი გაატარა ციხეში, სადაც აწამეს, სცემეს და იზოლირებულ საკანში გამოკეტეს. საბინა ვურმბრანდი სამი წელი იყო შრომით-გამოსასწორებელ კოლონიაში, სადაც კინაღამ გაიყინა და მოკვდა დანუბეს არხზე მომუშავე სხვა პატიმრებთან ერთად. მას გამუდმებით ეუბნებოდნენ, რომ მისი მეუღლე ციხეში მოკვდა.

რიჩარდ და საბინა ვურმბრანდებს მტკიცე რწმენა ჰქონდათ ქრისტესადმი. არცერთ მათგანს დაუკარგავს იმედი და შეუწყვიტავს ქრისტეზე საუბარი.

ახლა, პირველად, ამ გასაოცარი ისტორიის ორივე მოქმედ პირზე მოგვითხრობს ეს წიგნი. ავტორი გვიამბობს რიჩარდ და საბინა ვურმბრანდებზე. წიგნში გაერთიანებულია რამდენიმე ამბავი და კვლევა: „ხუცესის მეუღლე“, „ღვთის იატაკქვეშეთში“, „ქრისტესთვის წამებული“. თქვენს რწმენას შთააგონებს ციხის ყველაზე ბნელი საკნის სიღრმეში შეღწევა და იმის ხილვა, თუ როგორ აგრძელებს ქრისტეს სინათლე ბრწყინვალებას იმ ადამიანების გულებში, რომლებმაც მთელი სიცოცხლე მიუძღვნეს მას.

წამებულთა ხმა (VOM) — არამომგებიანი, მრავალდენომინაციური, სამისიონერო ორგანიზაცია, რომელიც დევნილ ქრისტიანებს პრაქტიკულ და სულიერ დახმარებას სთავაზობს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ორგანიზაცია VOM დაარსდა 1967 წელს და მისი მიზანია მორწმუნეების შთაგონება იმისათვის, რომ მეტად მიუძღვნან ქრისტეს თავი და აღასრულონ დიადი დავალება, იმის მიუხედავად, თუ რაოდენ დიდი საფასურია გადასახდელი.

ISBN: 978-617-503-216-9

GE

Voice of the Martyrs